იაკობ პაპიაშვილი

გაგრა

XX ს. 80-იანი წლების დამდეგს, საქ. ტელევიზიით – პირველი არხის ქართული ენის და ლიტერატურის განყოფილების გამგემ ქ-მა ივლიტა მესხიშვილმა ოფიციალურად მიმართა მთლად საქართველოს, ქართველ ხალხს და გააკეთა დაახლოებით შემდეგი შინაარსის განცხადება:

– გაცნობებთ, რომ საქ. მეცნიერებათა აკადემიაში შემოსულია სოლიდური მეცნიერული ნაშრომი, რომელიც მიზნად ისახავს ქართული ასომთავრული ანბანი გამოცხადდეს ახ.წ. მე-4 საუკუნეში შექმნილ დამწერლობად, ხოლო ანბანის შექმნა კი მიეწეროს ერთ კონკრეტულ პიროვნებას. მიიღეთ ცნობად, რომ ასომთავრული წარმოშობილია იმ დროს, როცა წერდნენ ქვაზე, თიხის ფირფიტაზე, ლითონზე... რაც ხდებოდა IV-II ათასწლეულებში. იოანე ზოსიმეს „ქებაი-ში“ (962 წ.) ქართული ენა იდენტიფიცირებულია ლაზარესთან და ოთხი დღის ანუ ოთხი ათასი წლის მკვდარია...

ქართველებო! – მოგმართავთ თხოვნით, თუ გაქვთ ნაშრომი, რომელიც გააქარწყლებს ზემოაღნიშნულ მოსაზრებას ასომთავრულის ახ.წ. მე-4 საუკუნეში შექმნასთან დაკავშირებით, გთხოვთ დაუყოვნებლივ წარმოადგინოთ საქ. ტელევიზიის ქართული ენისა და ლიტერატურის განყოფილებაში.

ამ განცხადების მოსმენისთანავე, მე მივხვდი, საქმე ეხებოდა მესროპ მაშტოცის ლეგენდარული თავგადასავლის ხელოვნურ გადმონერგვას ქართულ ენათმეცნიერებაში. ამიტომ იმ ღამესვე გავემგზავრე თბილისში და ჩემი რომანი „ქართული ლეგენდა“ ნაშრომითურთ: „ქართული ასომთავრული ანბანის შექმნის საკითხისათვის“ წარვუდგინე ქ-ნ ივლიტა მესხიშვილს, რომელმაც იგი ოფიციალურად გადაუგზავნა აღმოსავლეთმცოდნეობის ინსტიტუტის დირექტორს აკად. თამაზ გამყრელიძეს განსახილველად. ამ საკითხზე საუბარი მქონდა აგრეთვე გაზეთ „ლიტერატურული საქართველოს“ მთავარ რედაქტორთან ბატონ ელიზბარ ჯაველიძესთან.

ორიოდე თვის მერე, ქ-ნ ივლიტა მესხიშვილის დაპირების თანახმად, პატივცემული აკადემიკოსისგან, საჩუქრად მივიღე მისი ახალი წიგნი. „ქართული ასომთავრული“. ეს წიგნი გამომიგზავნეს ფოსტით დადებითი პასუხით და ამჟამად ინახება ჩემი საკუთარი სახლის (ქ. ქუთაისი, ტ. ტაბიძის 17/19) ბიბლიოთეკაში, რა თქმა უნდა, თუ მოძალადეებმა არ დაწვეს ჩემს სხვა წიგნებთან ერთად.

იაკობ პაპიაშვილი
12.05.2013

თბილისი
2013

იაკობ
პაპიაშვილი

ბაბრა

ორი რომანი
მოთხრობები
ესსეები

საქართველოს მწერალთა კავშირის
გამომცემლობა „მერანი“
თბილისი
2013

დაცულია საქართველოს რესპუბლიკის კანონით საავტორო უფლებაზე

ანოტაცია: იაკობ პაპიაშვილი ცნობილი მწერალი და პუბლიცისტია, საქართველოს და ისრაელის მწერალთა გავშირების წევრი. იგი ათი წიგნის ავტორია, მათ შორის სამი პოეტური კრებულის. რომანის „გაგრა“ ავტორისეული თარგმანი რუსულ ენაზე 1998წ. გამოსცა გამომცემლობა „მორიამ“, ისრაელის პრეზიდენტის ფონდის „ამოსის“ დახმარებით. ბოლოსტყვაში ისრაელის მწერალთა ფედერაციის თავმჯდომარე ეფრემ ბაუხი წერს: „...მე პირველად წავიკითხე იმ ტრაგიკულ ქაოსზე, რომელშიც ჩააგდეს ეს საოცრად ლამაზი მხარე საქართველო“. ისრაელის რუსულენოვანი მწერლების თავკაცი პროფესორი ლეონიდ ფინკელი „იერუსალიმსკი ჟურნალში“ (№ 9, 2001 შესულია ინტერნეტსაიტში) და გაზეთში „7 დღე“ (14.09. 2000) წერს: „მწერლის პროზაში ბევრი პოეზიაა. ზოგჯერ იგი მიაგავს შოფარის ხმას, როცა მელოდია მუსიკალურ გამაში კი არა, არამედ თრთოლვაში გადაიზრდება, და ჟღერს ისე, რომ გულის ყველა შორეულ კუნჭულებში აღწევს.

რედაქტორის წინათქმაში ვკითხულობთ, რომ მწერალი იაკობ პაპიაშვილი მე-20 საუკუნის 90-იანი წლების მიწურულს „...მსოფლიოს ეუბნება, რომ რუსმა დამპყრობელმა წაართვა ახლახან საქართველოს თავისი ძირძველი ისტორიული მიწები – აფხაზეთი და სამაჩაბლო. ამ პრობლემებზე მსჯელობისთვის მეტი დამაჯერებლობის მისაცემად ავტორს წიგნში მე-13 საუკუნის საქართველოს რუკაც ჩაუკრავს. მადლობა ამისათვის შენ ძვირფასო იაკობ“. ამ რუკაზე საქართველოს შავიზღვისპირეთი II-III სს. პოლიტიკური მდგომარეობით არის წარმოჩენილი – ხუფათიდან ლაზიკემდე. ის, რომ ტოპონიმი „ლაზიკე“ უფრო ასაკოვანია ვიდრე – ნიკოფსი, მოკვლეულია ავტორის მიერ წყაროების შეპირისპირების თანახმად. დასაშვებია, რომ გეოგრაფიული სახელწოდება „ნიკოფსი“, გაჩნდა VI-ის დამდეგს ბიზანტია-ირანის ომების დროს.

„წიგნში ჟანრული სხვადასხვაობა მოგჭრით თვალს“. მწერალი ჩვეული პროფესიონალური ოსტატობით ხატავს საქართველოს წარსულს, აწმყოს... უჩვენებს მკითხველს იმ ბილიკს, რომელზეც მომავალმა თაობამ უნდა გაიაროს.

რედაქტორი ფილოლოგიურ მეცნიერებათა
დოქტორი, პროფესორი **რევაზ მიშველაძე**

გამომცემლობის რედაქტორი **დავით კახაბერი**

ISBN 978-9941-9319-1-8
© გამომცემლობა „მერანი“ თბილისი 2013

რედაქტორის წინათქმა

ძვირფასო მკითხველო.

ეს წიგნი ამჟამად ისრაელში მცხოვრები ქართველი მწერლის იაკობ პაპიაშვილის ცხოვრებაზე გვიამბობს.

წავიკითხე იგი ხელნაწერში. რომ იტყვიან, სტრიქონ-სტრიქონ.

წავიკითხე და პირველი ფრაზა, რამაც თავში გამიელვა, გახლავთ:

„რა კაი კაცი ყოფილხარ შენ, იაკობ“.

მადლობა როგორ არ გითხრა იმ სითბოსთვის, რაც შენი სამშობლოსთვის – საქართველოსთვის გაგიღია.

რა ქართულია და რა ებრაულია შენი გულწრფელი სევდა, რა წმინდაა შენი ცრემლი, რა მართალია შენი ნოსტალგია.

ამ წიგნში იაკობის ცხოვრებაა მეთქი, შემთხვევით არ წამომცდენია.

ნამდვილად ასეა.

ჩვენ მწერლები ჩვენს ცხოვრებაზე ვწერთ; მაშინაც კი, როცა ფანტასტიკურ თხზულებას ვქმნით.

ვერავინ გაექცევა საკუთარ ჩრდილს, საკუთარ სამყაროს.

ამ წიგნში ჟანრული სხვადასხვაობა მოგჭრით თვალს.

იგი ორი რომანისგან, რამდენიმე მოთხრობისგან, ესეებისგან, მოგონება-ჩანახატისგან და პოპულარულ ენაზე დაწერილი სამეცნიერო გამოკვლევისგან შედგება.

და ყველაფერი საქართველოთი ფეთქავს, საქართველოს დვრიტას დასტრიალებს.

აგერ რომანი „გაგრა“.

გარდა ნაწარმოების რომანული ხაზისა, თქვენს ყურადღებას მიიპყრობს ავტორი, რომელმაც ყველაფერი კარგად იცის მრავალტანჯულ საქართველოზე და ცდილობს მოასწროს, ბევრი რამ გითხრას, მიგანიშნოს იმაზეც, რაზეც პოლიტიკოსები დელიკატური მოსაზრებით აღარ ლაპარაკობენ.

დაგვატარებს რომანის ავტორი გაგრის წალკოტიდან მსოფლიოს გზებზე.

წიგნში გაიელვებს აფხაზეთზე შეყვარებული გალაკტიონი, სასტუმრო „გაგრიფშში“ ცოლით და ქალიშვილით ჩამომხტარი კონსტანტინე გამსახურდია, აქვეა ირაკლი აბაშიძეც, რომელმაც ხრუშჩოვს იერუ-

სალიმის ჯვრის მონასტერში სამეცნიერო ექსპედიციის ნებართვა უნდა გამოტყუოს... რომანში იხილავთ ჩართულ თეორ ლექსებს, ასე ბუნებრივად რომ შენივთულან რომანის სიუჟეტურ ხაზთან.

და რაც მთავარია, მეოცე საუკუნის 90-იანი წლების მიწურულს დაწერილ ამ რომანს თავიდან ბოლომდე გასდევს აზრი, რომ ე.წ. აფხაზეთი – საქართველოა, საქართველოს ისეთივე კუთხეა როგორიც იმერეთი, კახეთი და ა.შ.

ისტორიის ამგვარი ღრმა ცოდნით დაწერილი თხზულება ორმაგად ძვირფასია სწორედ იმის გამო, რომ ამას გვარტომით ებრაელი კაცი წერს. იგი მსოფლიოს ეუბნება, რომ რუსმა დამპყრობელმა წაართვა ახლახან საქართველოს თავისი ძირძველი ისტორიული მიწები – აფხაზეთი და სამაჩაბლო. ამ პრობლემებზე მსჯელობისთვის მეტი დამაჯერებლობის მისაცემად ავტორს წიგნში მე-13 საუკუნის საქართველოს რუკაც ჩაუკრავს.

მადლობა ამისათვის შენ, ძვირფასო იაკობ.

მღელვარების გარეშე ვერც მეორე რომანს ქართული სინამდვილის პანორამულ სოციალურ თხზულებას („ხანისწყალთან“) წაიკითხავთ.

ჩემს ინტერესს ამ წიგნის მიმართ ისიც ასულდგმულებს, რომ ჩემი სიყრმისდროინდელი ქუთაისის სურნელი ვიგრძენი.

დოკუმენტურ მოთხრობებში გაგვიცოცხლა მწერალმა დომენტი ახობაძის, ბორის გაპონოვის, ალიოშა ტოგონიძის, ზურაბ კუხიანიძის, ვანო ჭეიშვილის, დავით კვიცარიძის, დავით ბრეგაძის... ქუთაისი.

დიახ, წიგნში საქართველოდან შორს მცხოვრები ერთი კეთილშობილი ქუთაისელი კაცის გულისცემა ისმის.

მწერალმა კარგად იცის ჩვენი ჭირ-ვარამი, იცის, რა მეხთატეხა მოაქცია ჩვენს თავზე უახლესმა ისტორიამ.

იცის და იერუსალიმის ჯვრის მონასტრის კედელზე მიწერილ საუკუნო ღაღადისს შეგვახსენებს:

„ქართველნო, დექით მტკიცედ და შეურყევლად!“

რევაზ მიშველაძე
რუსთაველის პრემიის ლაურეატი
18.01.2013წ.

მე მინდა მადლობის ნიშნად თავი დავხარო ჩემი მეუღლის თამარის და შვილების მარკის, მიხეილის და ვიქტორიას წინაშე, რომელთა დიდი დახმარების, თანადგომის და მოთმინების გარეშე, მრავალი წლის განმავლობაში, ვერ შევძლებდი იმ მადლიანი საქმის განხორციელებას და შესრულებას, ჯერ ქუთაისში, თბილისში და შემდეგ ბათ-იამში, რომელსაც ქართული სიტყვის სამსახური ჰქვია.

მე ამ წიგნს ვუძღვნი ჩემს შვილიშვილებს კობის, ჯენის, დიანას, რომლებიც ისრაელში არიან დაბადებულნი, გაზრდილნი და ამიტომ ისინი ისრაელის სრულუფლებიანი მოქალაქეები არიან, მაგრამ იმედს გამოვთქვამ, რომ ოდესმე ისინი დაინტერესდებიან, როგორც თავიანთი თანადროული, ისე შორეული წარსულით.

ავტორი

Хочу в знак благодарности склонить голову перед моей супругой Тамар и детьми Марком, Михаилом и Викторией, без поддержки которых, их участия и терпения на протяжении многих лет я не смог бы воплотить в жизнь сначала в Кутаиси и в Тбилиси, а потом в Бат-Яме то благодатное дело, которое называется служением грузинскому слову.

Я посвящаю эту книгу моим внукам Коби, Дженни и Диане, которые родились и выросли в Израиле и являются полноправными гражданами этой страны. Надеюсь, что когда-нибудь они заинтересуются как своим настоящим, так и далёким прошлым.

автор

I would like to express my gratitude to my wife Tamar and my children Mark, Michael and Victoria whose support and patience for many years helped me to embody my service to the “Georgian word’’ first in Kutaisi-Tbilisi and then in Bat-Yam.

I dedicate this book to my grandchildren Kobi, Jenny and Diana who were born and raised in Israel and enjoy full rights of this country. It’s my belief that some time they will become interested not only in their update life but in the far remote past as well.

author

რომან „გაგრის“ ავტორისეული თარგმანი რუსულ ენაზე გამოქვეყნდა 1998-1999 წ.წ. ისრაელის პრეზიდენტის (ყეზერ ვაიცმანი) ზალმან შაზარის სახ. ფონდის დახმარებით მეცნიერთა და მწერალთათვის.

ამ წიგნისთვის ავტორმა მიიღო აგრეთვე ისრაელის აბსორ-ბციის სამინისტროს მიერ დაწესებული პრემია, როგორც მწ-ერალი რეპატრიანტი.

1970 წლიდან დღემდე მსგავსი პრემიებით ისრაელში არც ერთი ქართველი რეპატრიანტი არ დაუჯილდოებიათ.

Авторский перевод романа „Гагра“ на русский язык был опубликован в 1998-99 годах при поддержке фонда президента (Эйзер Вайцмана) Израиля им. Залмана Шазара для ученых и писателей под заглавием: „Две картинки из жизни гостиницы „Гагрипши”.

За эту книгу автор также получил специалную премию от министерства абсорбции Израиля, как писатель репатриант.

До сегодняшнего дня ни один грузинский репатриант не был удостоен подобных премий с 1970 г.

The authorial translation of the book into Russian was published in 1998-1999 years

and had been supported by the former President (Eizer Waitsman’s) fond for the writers and scientists which takes name after Zalman Shazar.

For publishing this book the author was rewarded by the special prize from the Ministry of Absorbtion of Israel as a writer repartriate.

None of the Georgian repatriates has been rewarded with such a prize since 1970 year and up to now.

გაგრა

რომანი

ორიოდე სურათი
გაგრის ცხოვრებიდან

სურათი პირველი

კაფე არსენა ოძელაშვილი

გაგრა შავიზღვისპირეთის ულამაზესი კურორტია. იგი ლაღი ფრინველივითაა ატყორცნილი კავკასიონის მთების ზურმუხტოვან ფერდობებზე, საქართველოს მიჯნაზე, თანამედროვე რუსეთის მეზობლად. ამ საზღვარს კავკასიონიდან ჩამომდინარე ფსოუს შენაკადი ქმნის, რომელსაც ადრე ქართველები სიხარულას ეძახდნენ, მაგრამ, როცა 1937 წელს რესპუბლიკებს შორის საზღვრების დამდგენმა კომისიამ სერგო ორჯონიკიძის ხელმძღვანელობით, სწორედ, ამ მდინარეზე დაადგინა გამყოფი ხაზი საქართველოსა და რუსეთის ფედერაციას შორის, რუსებმა, როგორც კი აქ გამოჩნდნენ, მაშინვე „ვესიოლკად“ მონათლეს.

ამბობენ, როცა კრემლში სერგომ ამის შესახებ სტალინს მოახსენა, იმას, ვითომც არაფერი მომხდარაო, ჩიბუხი გაუმართავს და ჩაულაპარაკებია: ხომ არ აჯობებდა საქართველოს საზღვარი ღორეშასთან რომ მოგეხაზაო?

ღორეშა ზემო იმერეთის სოფელია, ზესტაფონსა და წიფის გვირაბს შორის, სადაც დაიბადა სერგო.

გაგრის ზღვა და მთა ისე ბუნებრივადაა შერწყმული ერთმანეთთან, რომ იქაური ჰავა გულის იშემიური დაავადების იდეალური სამკურნალო საშუალებაა და ამ მიმართულებით ტოლს არ დაუდებს მსოფლიოს ისეთ სახელგანთქმულ კურორტებს, როგორიც კანი, მონტე-კარლო და კანარის კუნძულებია.

ზღვისა და მთის ასეთი არაჩვეულებრივი შერწყმა-შეხამება, განსაკუთრებით, სასტუმრო „გაგრიფშის“ შემოგარენშია შესამჩნევი, რაც, რა თქმა უნდა, მთელ ზღვისპირა ზოლს, უწყვეტ ლანდშატფად გასდევს და უმშვენიერეს პეიზაჟს ქმნის.

„გაგრიფში“, ოცდაათიოდე წლის წინათ, და თვით „პერესტროიკის“ დაწყებამდე, იყო კოხტა, უნიკალური არქიტექტურული შედევრი, აღმართული მთა-გორებს შორის კლდოვან ფერდობზე, მუდამ მარადმწვანე ნაძვებით და ფიჭვებით შემორკალული.

ეს სამსართულიანი შენობა გათლილი მორებისაგან აეგოთ ოდესღაც და ბუნებრივ, კლდოვან საძირკველს ეყრდნობოდა.

გადმოცემის თანახმად, გარეულ და შინაურ მტრებთან გამუდმებული ბრძოლით გადაღლილმა ქართლ-კახეთის მეფემ ერეკლე II[1], როცა საქართველო რუსეთის იმპერიას დაუქვემდებარა, რომანოვების დინასტიის ერთი „ძლევამოსილი ტირანის“[2] ახირებით, ამ მშვენიერ ადგილზე სასახლე აუგიათ.

უცხოელმა ოსტატებმა, ამბობენ ფინელებმა, ეს ხის სასახლე, ისე ააგეს, რომ ერთი ლურსმანიც არ უხმარიათ, მაგრამ რევოლუციის მერე შენობა არაერთხელ იქნა რეკონსტრუირებული და იმდენი თავბრტყელი, ბოლოწვეტიანი ლითონის ღერო იხმარეს, რომ ანგარიში დაებნათ.

მართალია, XX საუკუნის მეორე ნახევრის დასაწყისში ამ მშვერნიერმა ხის სასახლემ გარკვეული სახეცვლილება განიცადა, მაგრამ მთავარი ფასადი, თითქმის, უცვლელი დარჩა და ადრინდელივით კოხტა და კეკლუცი, ძველებური ეშხით იზიდავდა მნახველს.

შენობა ორი ნაწილისაგან შედგებოდა. პირველში სასტუმრო კომპლექსი განელაგებიანთ, მეორეში — რესტორანი. რესტორნის მთავარ შესასვლელთან, ბეტონის კოლონებზე გადარკალულ თაღზე, იდგა ძველებური ორმეტრიანი დიამეტრის მექანიკური საათი გუგულით. საათის ზედა ნაწილი, კოშკურასავით წამახული, ფერადოვან ვიტრინაში მოეთავსებინათ. შენობის ტარეცს, მეორე სართულზე, სადაც მთავარი დარბაზი იყო, ვერანდა გასდევდა, ლამაზად გამოთლილ-გამოყვანილი ხის მოაჯირით და გისოსებით, ისეთივე, ძველი თბილისის ბანიან სახლებს რომ ამშვენებენ მდ. მტკვრის სანაპირზე. ვერანდაზე მაგიდები და სკამები იდგა რესტორნის სტუმრებისთვის, რომელსაც ჩვეულებრივ მაშინ იყენებდნენ ხოლმე, როცა მთავარი დარბაზი, კლიენტურით ისე იყო შევსებული, რომ ერთი თავისუფალი მაგიდის პოვნაც კი შეუძლებელი იყო. სასტუმრო და რესტორანი შემინული გადასასვლელით უკავშირდებოდა ერთმანეთს, რომლითაც რესტორნის მთავარ დარბაზში შეიძლებოდა მოხვედრა, ასე რომ სასტუმროში მცხოვრები დამსვენებლები გარკვეული უპირატესობით სარგებლობდნენ, გაგრაში ჩამოსულ სხვა დამსვენებლებთან შედარებით, რადგან, როცა რესტორნის მთავარ შესასვლელთან, კიბეებზე, გრძელი რიგი დგებოდა, ე.წ. „თავისიანები“ გადასასვლელით შედიოდნენ დარბაზში და მშვიდად მიუსხდებოდნენ მაგიდებს. და მხოლოდ ამის შემდეგ აღებდნენ რესტორანს.

კიბეები კი, მართლაც „გაგრიფშის“ თვალი და სიამაყე გახლდათ: გრძელი, მაღალი, ორივე მხარეს ლამპიონებით დამშვენებული. კიბე ათმარშიანი (ათსაქცევიანი) იქნებოდა და თითოეული მარში ათამდე საფეხურს ითვლიდა. მარშები ერთმანეთს ოთხკუთხა ბეტონით მოკირწყლული მოედნებით უკავშირდებოდნენ. ასე რომ, რესტორანში ფეხით მისულებს, საშუალება ეძლეოდათ მოჩახჩახე ჩირაღდნების შორიახლოს შეესვენებინათ და ამ დროს, მაღალი გადასახედიდან, გაგრის პეიზაჟით დამტკბარიყვნენ. მშენებლებს ამ არაჩვეულებრივი კიბის ასაგებად მთის დამრეცი, კლდოვანი ფერდობი ისე ოსტატურად ჰქონდათ გამოყენებული, რომ სამანქანო გზას, რომლითაც რესტორანთან და სასტუმროსთან შეიძლებოდა მისვლა, მხოლოდ იმ შემთხვევაში შეამჩნევდით, როცა ას საფეხურიან კიბეს აივლიდით, მანქანის სავალ ნაწილს გადაჭრიდით და რესტორანში შესასვლელ ქვის კიბეებთან შედგებოდით. და, როცა, ამ გადასახედიდან ირგვლივ მიდამოს მიმოავლებდით თვალს, შეუძლებელია არ შეგემჩნიათ, რომ ეს შენობა-ნაგებობანი არქიტექტურული თვალსაზირისით, უჩვეულოდ იყო შეხამებულ-შენივთებული საერთო ლანდშაფტთან, რითაც აღიქმებოდა მშენებლობის დასრულებული სახე. „გაგრიფშის“

1. 1769 წ., როცა ეკატერინე II ოსმალეთს ომი გამოუცხადა, მის გვერდით მხოლოდ ერეკლე II დადგა. იმპერატორს სოლიდარობა გამოუცხადა, აგრეთვე, იმერეთის მეფემ სოლომინ I. ტოტლებენის მუხანათური, ორპირი მანევრების შედეგად ქართველები ოსმალებს მარტო ებრძოდნენ... ამით რუსეთის იმპერიამ, რომელიც განზრახ უწყობდა ხელს ქართველების დასუსტებას, საქართველო დააქუცმაცა, დაშალა, გუბერნიებად დაჰყო, გააუქმა ეკლესიის ავტოკეფალია და ქართული მიწები იმპერიის საკუთრებად გამოაცხადა.

2. რუსული: «Державный деспот». ეს ფრაზა აღებულია ისაკ ბაბელის წერილიდან: „ხალხი გულუხვი და მშვენიერი, პოეტური საქ-სი: „გაგრი“. იხ. И. Бабель Пробуждение, Тбилиси, Мерани, 1989 с. 35, на рус. языке.

კიბეები, რომელიც დღესაც არის შემორჩენილი, ქალაქ გაგრის უმთავრეს მაგისტრალზე ჩადიოდა, რომელსაც მაშინ რუსთაველის პროსპექტი ერქვა. ეს პროსპექტი საკავშირო მნიშვნელობისა გახლდათ, რადგან იგი გაგრას სამხრეთით აკავშირებდა სოხუმ-ბათუმის საავტომობილო მაგისტრალთან, ხოლო ჩრდილოეთით კი ცემესის შავიზღვისპირა უბეს, ნოვოროსიისკის საავტომობილო მაგისტრალით. ხოლო რუსთაველის პროსპექტსა და პლაჟს შორის კი გაშლილი იყო პარკი, ლამაზი და კეთილმოწყობილი, ფიჭვნარით, ნაძვნარით, ევკალიპტებით თუ სხვა მრავალფეროვანი მცენარეებით და ყვავილებით თავმომწონე. და როცა დილით, სასტუმროს მაცხოვრებლები თავიანთი ბინების ბალკონზე გადმოდგებოდნენ, უთუოდ, ასე გაიფიქრებდნენ ხოლმე: „ზღაპრულ სამყაროში ხომ არ ვიმყოფებითო“.

მთელი ეს ანსამბლი — შენობა, კიბე, პარკი და მზიანი პლაჟი, ლურჯი ზღვის ფონზე — გამთლიანებული გეჩვენებოდათ, და თუ მხედველობაში მივიღებთ, დღისით მზით გაჩახჩახებულ, ხოლო ღამით ვარსკვლავებით გადაჭედილ ცის გუმბათს, ის, ვინც, ამ საოცარ სილამაზეს პირველად შეესწრებოდა, უეჭველად გაიფიქრებდა, რომ იმყოფება ლეონარდოს ფუნჯით მოხატულ ღვთის ტაძარში.

ომის შემდგომ წლებში, განსაკუთრებით სამოციანი წლების ბოლოს, გაგრა მაღალი, დარბაისელი საზოგადოების და სხვა ცნობილი ადამიანების აგარაკად იქცა წლის ყოველ დროში.

პლაჟი ბუნებრივად იყო შექმნილი თეთრი კენჭებისაგან. ზღვის ნაპირიდან პარკამდე სულ ოცდაათიოდე მეტრი თუ იქნებოდა. ადრე დილიდან, გვიან საღამომდე ეს არემარე დამსვენებლებით გადაიჭედებოდა ხოლმე. სასტუმროს მესამე სართულის ფანჯრებიდან კარგად ჩანდა შავი ზღვის თეთრი ჰორიზონტი, სადაც დროგამოშვებით ლაჟვარდისფერი აფრიანი ნავი გაუჩინარდებოდა. ქვემოთ, ოტელის ბიჭები ეზოში ერთმანეთს გადასძახებდნენ, კარტის სათამაშოდ ემზადებოდნენ, ჩვეულებრივ. ფიჭვებზე ნამი იწყებდა შეშრობას. ერთი საათიც და პლაჟი ფერადი, ზოლიანი ქოლგებით და ადამიანების თეთრ კენჭებზე გართხმული, გასალტული სხეულებით დაიფარებოდა. მზის სათვალეების, ნაირფერი საბანაო

ტრუსების და რეზინის ქუდების გამოფენა გეგონებოდათ. ბევრი საკუთარი გასაშლელი სკამებით მოსულიყო, მზე რომ შეაწუხებდათ ქოლგების ჩრდილს ეფარებოდნენ ან პარკში შედიოდნენ, გაზონებს შორის მოწყობილ ზურგიან, ხის სკამებზე ისვენებდნენ ფიჭვნარის ჩრდილში. ზოგიერთი, ვინც იცოდა ძლიერი ფილტვები რომ ჰქონდა, იქვე, ფუნიკულიორის სადგურისაკენ მიემართებოდა, სადაც კოხტა, ცისფერი ვაგონი თავის მგზავრებს ელოდებოდა. ვაგონი მგზავრებით რომ შეივსებოდა, მორიგე დაძვრის ნიშანს იძლეოდა, კონდუქტორი კარს დაკეტავდა, ტელეფონით დაუკავშირდებოდა ზემოთ თავის კოლეგას და ვაგონი ნელა გასრიალდებოდა ბაგირზე, ზევით-ზევით წავიდოდა პაწაწინა წერტილისაკენ, მაღლა ზურმუხტისფერი მთაგრეხილის თავზე რომ მოჩანდა. ვაგონი ფიჭვნარის კენწეროებზე და „გაგრიფშის“ სახურავებზე გადაისრიალებდა და თანდათან ამაღლდებოდა.

მგზავრები გულისყურით აკვირდებოდნენ გარემოს, ყველაფრის გაგება სურდათ და გიდს, რომელიც წესისამებრ მიჰყვებოდა ვაგონს, შეკითხვებს აძლევდნენ, რომელიც პასუხს არ აყოვნებდა:

— აი, იქ, ხედავთ, თეთრი ზოლივით რომ მოჩანს — ეს „სიხარულაა“. მდინარე პატარაა, მაგრამ დანიშნულება დიდი აქვს, მასზე გადის საზღვარი საქართველოსა და რუსეთს შორის. აქეთ — ლესელიძეა; შეხედეთ, რა კარგად ჩანს ფეხბურთის კარები, როგორ ხასხასებს ბალახი მოედანზე, თამაშობენ ბიჭები, ეს თბილისის „დინამოს“ სპორტული ბაზაა თავისი შენობა-ნაგებობის კომპლექსით და დამხმარე სათავსოებით. იქვე, მთავარი სტადიონის შორიახლოს, სათადარიგო მოედანია — დუბლიორებისა და მოზარდების სავარჯიშოდ...

იმ შემთხვევაში, თუ ვაგონში ამ დროს ფეხბურთის გადამღერებული გულშემატკივრები აღმოჩნდებოდნენ, უთუოდ ასეთი შეძახილები ისმოდა ხოლმე:

— ვახ, მოთამაშე კი არა, ღმერთია, შემოქმედია მესხი... ვენაცვალე, მიშას!!!

— მეტრეველი!.. სლავა!.. მისთვის გულს, სულს არ დავიშურებ...

— ილო დათუნაშვილი?! ოხ, ოხ, ოხ...

და იმ წუთში, ალბათ, ყველა გაიხსენებდა ბორის პაიჭაძის და გაიოზ ჯეჯელავას ზარბაზნისებრ საჯარიმო დარტყმებს, ავთანდილ (ბასა) ღოღობერიძის ფილიგრანულ შემოვლას, მიხეილ მესხის ილეთებს, მის განუმეორებელ „ხმელ ფოთოლს“, სლავა მეტრეველის ქარიშხლისებურ გაჭრებს, შოთა იამანიძის და, განსაკუთრებით, დავით ყიფიანის უზუსტეს, თითქმის, სანტიმეტრამდე დაყვანილ გრძელ ჩაწოდებებს საჯარიმო მოედანზე, რაც ხშირად ბრწყინვალე გოლით სრულდებოდა; ანთაძის, კალოევის, ზეინკლიშვილის გამანადგურებელ თავურ დარტყმებს, ილია დათუნაშვილის ხუთ გოლს ერევანში და მისივე „ოქროს“ გოლს ტაშკენტში, კუთხურიდან, „მოცეკვავეების“ — ბარქაია, შენგელია, გუცაევის უბადლო გასვლებს, ჩივაძის, ხურცილავას და სულაქველიძის ჩინებულ, ბეტონისებურ დაცვას... ხოლო გვირგვინი ამ საუცხოო ანსამბლისა გახლდათ დარასელიას ოქროს გოლი დიუსელდორფში...[1] ამ საუცხოო ანსამბლის დიდი წვლილი ძევს ქართული ფეხბურთის ბრწყინვალე გამარჯვებებში: 1964 წელს საკავშირო მასშტაბით და 1981 წელს ევროპის მასშტაბით.[2]

---

1. აქ დასახელებული ფეხბურთელები სხვადასხვა დროს (1937-1990) თამაშობდნენ თბილისის „დინამოს“ შემადგენლობაში და ავტორი მათ შეგნებულად აერთიანებს — ეს მათ მოუპოვეს საბჭოთა ფეხბურთს მსოფლიო მნიშვნელობის გამარჯვებები და დიდება.

2. საბჭოთა კავშირის 1964 წ. ჩემპიონის თბილისის „დინამოს“ ოსტატ ფეხბურთელთა გუნდში თამაშობდნენ: ბ. სიჭინავა, გ. ცხოვრებოვი, ვ. რეხვიაშვილი, გ. სიჭინავა, ჯ. ზეინკლიშვილი, ა. ღოღობერიძე (გუნდის უფროსი), მ. ხურცილავა, შ. იამანიძე (გუნდის კაპიტანი), ს. მეტრეველი, ა. კოტრიკაძე (გუნდის მწვრთნელი), მ. მესხი, ნ. ლეჟავა, გ. პეტრიაშვილი, ვ. ბარქაია, ა. აფშევი, ს. კოტრიკაძე, ვ. ხუციშვილი, ი. დათუნაშვილი. გუნდის უფროსი მწვრთნელი იყო გ. კაჩალინი.

ევროპის თასის მფლობელთა თასის 1981 წ. მფლობელის თბილისის „დინამოს“ ოსტატ ფეხბურთელთა გუნდში თამაშობდნენ: ა. ჩივაძე (გუნდის კაპიტანი), ო. გაბელია, ნ. ხიზანიშვილი, დ. ყიფიანი, ა. ანდღულაძე, თ. სულაქველიძე, გ. ჭილაია, ვ. ჟვანია, კ. მჭედლიძე, ს. კუტივაძე (გუნდის მწვრთნელი), ზ. სვანაძე, თ. კოსტავა, რ. შენგელია, ნ. კიკალიშვილი, ვ. გუცაევი, გ. თავაძე, ვ. დარასელია. გუნდის უფროსი მწვრთნელი იყო ნ. ახალკაცი, გუნდის ექიმი — ზ. თელია.

შუა გზაში, როცა ცისფერი ვაგონები გვერდიგვერდ გაისრიალებდნენ, ქვევითა და ზევითა ვაგონის კონდუქტორები ერთმანეთს ხელს აუწევდნენ... ამ დროს თბილისის „დინამოს“ სპორტულ ბაზაზე მოვარჯიშე ფეხბურთელები თვალის ფოკუსში ისე დაპატარავდებოდნენ, რომ წერტილებად მოჩანდნენ და იმ მგზავრებს, რომლებიც საბაგირო გზით პირველად სარგებლობდნენ, ეჩვენებოდათ, რომ ორ ზეცას შუა ლურჯ სივრცეში ჩამოეკიდნენ.

— აი, იქით, პირდაპირ, მთაგრეხილებს შორის, რიწის ტბა მოჩანს, — იტყოდა გიდი, — ეს ულამაზესი ტბა მდ. ბზიფის აუზში მდებარეობს. ქვაბული წარმოიქმნა გაგრის ქედის სამხრეთ-აღმოსავლეთ კალთიდან ჩამოქცეული კლდეზვავით, მდ. ლაშაფსის დაგუბების შედეგად. აუზის ფართი 154 კვ. კმ., ტბის მაქსიმალური სიღრმე 101 მ. ტბას ექვსი მდინარე ერთვის, ყველაზე დიდი ლაშაფსეა, ხოლო იქიდან მხოლოდ ერთი გაედინება — იუფშარა. რიწა გაზაფხულზე მომწვანო ფერისაა, წლის სხვა დროს კი მოცისფრო-მოლურჯო, წყალი მეტად მტკნარია და იმათ, ვისაც თევზაობა გიყვართ, იცოდეთ, აქ იშვიათი ჯიშის კალმახი ბინადრობს და ანკესით თევზაობა აკრძალული არ არის.

— ჩვენგან ხელმარჯვნივ კი ბიჭვინთა — ლიძავის სააგარაკო დასახლებებია — კვლავ აკმაყოფილებდა გიდი ცნობისმოყვარეთა შეკითხვებს და ახასიათებდა აფხაზეთის საკურორტო ზონას. — ასეთი განსაცვიფრებელი ლანდშაფტის მქონე კურორტები მსოფლიოში, მე პირადად, არსად მეგულება. აი, ვთქვათ, მიგრიალებ გაგრიდან ბიჭვინთისაკენ მიმავალ გზატკეცილზე მსუბუქი ავტომანქანით, იცი, რომ შენს ზევით მცხუნვარე მზე და გავარვარებული ცაა, მაგრამ მანქანიდან არც მზე ჩანს და არც ცა, რადგან გზის სავალი ნაწილის ორივე მხარეს აღმართული, კენწეროში ტოტებგადაბარდნილი ფიჭვები და ევკალიპტები ისე არიან ერთმანეთში ჩახლართულ-ჩანასკვული, რომ სადღაც 30-40 მ. სიმაღლეზე ბუნებრივად იქმნება მზისგან დამცავი მწვანე ზოლი, რომელიც მთელ გზატკეცილს გასდევს, ვიდრე ბიჭვინთაში მიხვიდოდეთ. ეს ხეივანი ნეტარხსენებული შოთას სახელს ატარებს და ლიძავაში რუსთაველის პროსპექტის სახელწოდებით გრძელდება...

გიდის წარმოთქმულზე, იმათ, ვინც ამ უმშვენიერეს მხარეს კარგად იცნობდა, წარმოსახვაში თვალწინ დაუდგებოდათ ბიჭვინთა-ლიძავის მრავალკილომეტრიანი პლაჟის სანაპირო ზოლი, სადაც ფიჭვებს ალაგ-ალაგ ევკალიპტები ენაცვლებიან და დედოფალივით კეკლუცად ყელყელაობენ ზღვის, მთის და ცის ამ უჩვეულო სილაჟვარდეში.

— კურორტი ბიჭვინთა მდებარეობს გაგრის საქალაქო საბჭოს ტერიტორიაზე, ბიჭვინთის კონცხზე, აქვეა სოფელი ლიძავაც. გაგრიდან 22 კმ. ხოლო სოხუმიდან 80 კმ-ია. ამ კონცხის ზღვის სანაპიროს შვიდ კმ-ზე გასდევს რელიქტური ფიჭვის ტყის მასივი. აქვს საუკეთესო ქვიშიანი პლაჟი. გაგრა-ბიჭვინთა-ლიძავას საკურორტო ზონა უებარი საშუალებაა სუნთქვის ორგანოთა, გულ-სისხლძარღვთა და ნერვული სისტემების ფუნქციური დაავადებების სამკურნალოდ. საკურორტო სეზონი მთელი წელია. არქეოლოგიური გათხრებით დადასტურებულია, რომ ძვ.წ. მეორე და პირველ ათასწლეულებში, ბიჭვინთის კონცხზე არსებულა კოლხური დასახლებანი. აქ შემონახულია ანტიკური ხანის კულტურა და ციხე-კოშკი, სადაც იდგა რომაული გარნიზონი. მეოთხე საუკუნის პირველი ნახევრიდან კი, ბიჭვინთა ქრისტიანობის ერთ-ერთ უძველეს და ძლიერ კერად მოგვევლინა...

გიდის მონათხრობიდან, მალე ყველასათვის ცნობილი ხდებოდა, რომ ლიძავაში, ყველაზე უმშვენიერეს ადგილას აშენებული იყო საქართველოსა და, საერთოდ, საბჭოთა მთავრობისათვის განკუთვნილი, შესანიშნავი დასასვენებელი სააგარაკო კომპლექსი და ამ პლაჟზე არცთუ იშვიათად შეიძლებოდა დაგენახათ ქვეყნის ცენტრალური კომიტეტის მდივნები თავიანთი ჯალაბითა და დაცვით. ამ ადგილიდან ოდნავ მოშორებით ცნობილი ქართველი საზოგადო მოღვაწეების, გამოჩენილი მსახიობებისა და მწერლებისათვის განკუთვნილი აგარაკების სამშენებლო სამუშაოები მიმდინარეობდა. ბევრი უკვე დაესრულებინათ, შენობათა არქიტექტურული იერსახე გამოკვეთილად მოჩანდა და ახლა, ძირითადად, წყალგაყვანილობის, კანალიზაციის და გარე კეთილმოწყობის სამუშაოები სრულდებოდა. ხოლო მოშორებით, ადგილობრივი მოსახლეობის

ორსართულიანი კოტეჯები ჩარიგებულიყო, სადაც, თითქმის, მთელი საბჭოეთიდან ჩამოფრენილთა სხვადასხვა ჯურის, ჭრელი არმია ისვენებდა. მათ შორის ქართველი ებრაელებიც იყვნენ... და, აი ისინი, მზის ამოსვლამდე გამოჩნდებოდნენ ფიჭვნარში: დიასახლისები, ბავშვების თანხლებით, ქვაბებითა და გადასატანი გაზის ქურებით, დილიდან საღამომდე, სულ რაღაცას ხარშავდნენ და წვავდნენ, ახალგაზრდა გოგო-ბიჭები კი, როცა ზღვაში ბანაობით გულს იჯერებდნენ, ფიჭვნარში ერთობოდნენ. იყო ჟრიამული, ხუმრობა-ოხუნჯობანი, შეძახილ-შემოძახილი და ზოგჯერ ქართულ ფრაზებთან ერთად ებრაულ და მეგრულ-აფხაზურ გამოთქმებსაც ხმარობდნენ, რომლებსაც ისინი იმახსოვრებდნენ თავიანთი კოტეჯის მფლობელებთან საღამოს საუბრის დროს.

ამასობაში, ვიდრე გიდი ენამზეობდა, ზედა ვაგონი პლაჟს უახლოვდებოდა, ხოლო ქვედა ვაგონი მთაგრეხილებს ზემოთ მისრიალებდა. ქვემოთ შქერით, იელით ანთებული ფერდობები მოჩანდა. აქა-იქ თოვლიც იდო. მზეს ძალა დაკარგული ჰქონდა და მგზავრებს მთის მწვერვალიდან მომავალი თოვლის სუნი სცემდათ. კლდეებს შორის ჩანთქმულ ქვაბულში კი ჩანდა რიწის ტბა, უფრო ლურჯი და კრიალა, ვიდრე შავი ზღვა. ალაგ-ალაგ ტბა მომწვანო-მოცისფროდ კამკამებდა. სუსხიანი გარემოს სილამაზეში ჩაკარგული, მცურავი ნავები გედებს, ხოლო გედები ნავებს ჰგავდნენ. ტბის პირას, შორიახლო, ტურისტული ავტობუსი და რამდენიმე მსუბუქი ავტომანქანა ჩანდა.

— რიწის ტბამდე ორი სამანქანო გზა მოდის, — იტყოდა გიდი, — ერთი „გაგრიფშის“ კიბეებთან ერთად იწყება, ზემოთ და ზემოთ, სპირალივით დახვეულ გზაზე მთებს შორის მიიკლაკნება, მეორე გზა კი, ბზიფის რკინიგზის სადგურიდან იწყება. იქ, ზემოთ კი, კავკასიონის დიდი ქედის მიღმა მუდმივი თოვლი ძევს, აღმოსავლეთით ტყვარჩელ-აკარმარას სიპი კლდეები და მთაგრეხილია, რომლის ზემოთ ჩერქეზეთის[1] საზღვარია.

1. ადრე ჯიქეთი ერქვა — ავტ.

თოვლით დაფარულ მთის თხემზე მგზავრები დიდხანს ვერ ჩერდებოდნენ, სულ რაღაც თხუთმეტიოდე წუთი თუ დატკბებოდნენ სუსხიანი სილამაზის თეთრი მდუმარებით, თუმცა ზოგიერთები თხილამურებით იყვნენ, თან ზამთრის ტანსაცმელიც წამოეღოთ. ისინი თოვლში ქრიალებდნენ და უკან საღამოს ვაგონით ბრუნდებოდნენ, ფუნიკულიორის მუშაობის დამთავრების წინ... სადგურის მორიგე სიგნალს მისცემდა და მგზავრები, რომლებიც უკან ბრუნდებოდნენ, სიცივისაგან გვარიანად გათოშილები, ვაგონში შერბოდნენ. კონდუქტორი კარებს დაკეტავდა, დაუკავშირდებოდა თავის კოლეგას და ვაგონი ადგილიდან დაიძვრებოდა, ქვევით წავიდოდა, ისევ მზით გაჩახჩახებული ზურმუხტოვანი პლაჟისაკენ და როცა „გაგრიფშის“ ცეცხლისფრად ბრიალა სახურავს მოჰკრავდნენ თვალს, შვებით ამოისუნთქავდნენ.

2.

196... წლის აგვისტოს მიწურული იდგა.

იმ დილით, დაახლოებით ცხრა საათზე, რესტორან „გაგრიფშიდან“ შემინულ გადასასვლელში შევიდა ახალგაზრდა წყვილი, ექვსიოდე წლის ქალიშვილის თანხლებით. ცოლ-ქმარი სუფთა რუსული ენით საუბრობდა და, რა თქმა უნდა, რუსები იყვნენ, თუმცა მამაკაცის ვიწრო თვალები და მოკლედ შეკრეჭილი სამკუთხა წვერი, გაფიქრებინებდათ, რომ მის ძარღვებში ის პანმონღოლური სისხლი ჩქეფდა, რომელიც ერთ დროს მრისხანედ ბობოქრობდა და ხანგრძლივი ორასი წლის განმავლობაში თითქმის მთელ რუსეთში ბატონობდა, მაგრამ რუსი ქალის სილამაზემ და სითბომ ისე მოათვინიერა და ჩააწყნარა თავის ტვინში ცოფივით მომსკდარი სისხლი, რომ ორსაუკუნოვანი ტანჯვა-ვაების მერე, ომისა და სიყვარულის მიჯნაზე, დამპყრობელი მონად აქცია, მისი ყოველი სურვილისა და ახირების მორჩილი გახდა. კაცი ოცდაათი წლისა იქნებოდა, მოკრივისათვის დამახასიათებელი, ჩასხმული კისერი და ძლიერი ყბები ჰქონდა, შუბლი მაღალი და ჯანსაღი ნამზეური, თმა ლამაზად გადავარცხნილი. ლურჯი რეიტუზით იყო, შიშველ ფეხებზე

რეზინის სანდლებით მსუბუქად მიაბიჯებდა. სპორტსმენივით მოქნილი ჩანდა, ნავარჯიშები, მკლავები კუნთმაგარი.

ქალი, თითქმის ქმრის სიმაღლე, კაცზე რამდენიმე წლით უმცროსი, ისეთი მომხიბვლელი და ლამაზი იყო, ქუჩაში გამვლელნი, ახალგაზრდებიც, ხნიერებიც, ძალაუნებურად შედგებოდნენ და თვალს აყოლებდნენ. თეთრი, ცისფერი ყვავილებით მოხატული სარაფანი ეცვა, მუხლისთავებს ოდნავ ზემოთ კოხტად შემოკეცილი. ტიტველი მხრები და მარმარილოსავით ჩაქნილი ფეხები კარგად – ნამზეური, კანის თეთრი ფერი მხოლოდ უბესთან უჩანდა, ორ მკვრივად გამოკვეთილ ბორცვს შორის. ერთი შეხედვით, გეგონებოდათ, უბრალოდ, „ლამაზი ქალი“ და მორჩა, მაგრამ თუ დაკვირვებით შევხედავდით, ისეთი შთაბეჭდილება იქმნებოდა, თითქოს, ეს სახე ჩაფიქრებული იყო ძლიერი როდენისებური ნაძერწი ნაკვეთებით, ნათელი ფერებითა და გამომეტყველებით, რაც საბოლოოდ პიროვნების ტემპერამენტზე და მბრძანებლურ ხასიათზე მიუთითებდა.

იგი განაწყენებული გამოიყურებოდა, თავდახრილი მიდიოდა. ქერა, ოქროსფერდაკრული თმა, შუბლზე ნახევრად ჩამოშლილიყო. წყლიანი ცისფერი თვალები ზოგჯერ გაურკვეველი უკმაყოფილებით აენთებოდა, რაც ძლიერი აღელვებით უნდა ყოფილიყო გამოწვეული. ქალი დროგამოშვებით ხელებს იფშვნეტდა და დაულაგებელ სიტყვებს და ფრაზებს, ქმრის მისამართით, გაჯავრებული ისროდა: — ეს როგორ მოგვივიდა?! არა, ვიქტორ, ყველაფერში შენ ხარ დამნაშავე... თავს ნუ იმართლებ... აბა, რა ვიცი, რამდენჯერ შეგახსენე?! შენ კი გვერდს იცვლიდი და მზისაგან თვალებმოჭუტული, კატასავით გაინაბებოდი, მზეს ეფიცხებოდი.

— კრისტინ, ძვირფასო, ამ მზეზე და ზღვაზე შენც ძალიან ხარ შეყვარებული, მაგრამ მე არ გსაყვედურობ. — ქმარი შემრიგებლური ტონით ცდილობდა ცოლის დამშვიდებას.

ისინი, რესტორნისა და სასტუმროს დამაკავშირებელი შემინული გადასასვლელით, ჯერ სასტუმროს კორიდორში, ხოლო შემდეგ ვესტიბიულში შევიდნენ.

— პლაჟზე დღეს არ წავალთ? — იკითხა გოგონამ და ჯერ დედას შეხედა, შემდეგ მამას.

— კარინა, შვილო, ხელს ნუ გვიშლი! შენ რა, პირველ სექტემბერს სკოლაში არ გსურს წახვიდე? — და როცა ქალიშვილმა თანხმობის ნიშნად თავი მდუმარედ დახარა, დასძინა: ჰოდა, დაგვაცადე, ჩვენ ვსაუბრობთ.

— მაშინ მე წავალ და დავჯდები! — იგი პასუხს აღარ დაელოდა, დივანთან მიირბინა და აჩოჩდა.

დილით ადრე და საღამოს, ვესტიბიული ფერადი ფარდებითა და უცხოური ავეჯით რომ იყო გაწყობილი, ჩვეულებრივ აჟრიამულდებოდა. ზღვაზე გასვლის წინ, ერთმანეთის მოლოდინში, დამსვენებლები რბილ სავარძლებში მოთავსდებოდნენ, ვინ პოკერით ან პრეფერანსით ირთობდა თავს, ვინ კიდევ ჭადრაკით ან დომინოთი. გულშემატკივრებიც გამოჩნდებოდნენ და თამაშს ყურადღებით ადევნებდნენ თვალს. მაგრამ ცხრა საათის მერე ყველანი ზღვისაკენ მიემართებოდნენ და მზის ჩასვლამდე ვესტიბიული, თითქმის, დაცარიელდებოდა, გაირინდებოდა. ამ დროს სიცოცხლე მხოლოდ პლაჟზე იყო და ვესტიბიულში მხოლოდ ადმინისტრატორის ტელეფონზე ლაპარაკის ხმა და ბუღალტერიიდან გამომავალი საანგარიშო ჩოთქის ჩხაკუნილა ისმოდა.

თუმცა, ზოგჯერ ხანშესულები და უფრო ხნიერები გამოჩნდებოდნენ, მამაკაცები და ქალები, პაპანაქება მზისაგან არაქათგამოცლილები, სავარძელში ჩაეფლეთოდნენ და საუბრობდნენ ყველაფერზე, აქეთურზე თუ იქეთურზე და როცა ლაპარაკითაც დაიღლებოდნენ, ხვნეშით წამოიმართებოდნენ და თავიანთი ნომრებისაკენ წაღოღდებოდნენ.

ცოლ-ქმარი ქალიშვილის მახლობლად ჩამოსხდნენ სკამებზე, მრგვალ მაგიდასთან.

— რაო, რესტორნის დირექტორმა რა გითხრა?

— თუ ძმა ხარ ბილეთები არ მიხსენოო, უკვე ყელში ამომივიდაო, — თან დასძინა, — ოღონდ აეროპორტზე და თვითმფრინავზე არაფერი თქვა და, ძმობას ვფიცავარ, ოცკაციან სუფრას უფასოდ გაგიშლიო.

— მე კი, რატომღაც კეთილმოსურნე მეგონა, კარგი მოკეთესავით მესალმებოდა ყოველთვის, თან ისეთი თანაგრძნობით, სულით და გულით, ასე იფიქრებდი შენთვის წყალში გადავარდებაო.

— კარგი, კარგი, არც მთლად მაგის ბრალია, სამსახური აქვს ასეთი, ათასი მთხოვნელი, აქეთური თუ იქეთური, ყველას უნდა რომ გაუღიმოს, მაგრამ ყველას ხომ ვერ აამებს... ამასთან უამრავი საქმე აქვს, გაგრაში ჩამოსული დამსვენებლების მომსახურება არცთუ იოლია. — გამოეპასუხა მეუღლეს კაცი და მერე ჰკითხა: შვებულება როდის გიმთავრდება?

— ორში დილით პოლიკლინიკაში უნდა გამოვცხადდე. უბნის ექიმი ვინც მცვლის, ორ სექტემბერს აღარ გამოვა სამსახურში, ასე შევთანხმდით. თუ დავიგვიანე საყვედური არ ამცდება. შენ როდის უნდა იყო სამსახურში?

— რა, არ იცი? ათამდე შემიძლია ვისიამოვნო ამ ზღვითა და მზით.

— მოხარშული წაბლი არ გინდა? ათამდე... ვერ მოგართვეს!

— სამსახურში დეპეშა გაგზავნე! — მკვახედ მიუგო ქმარმა.

— ბავშვზე არ გიფიქრია? ხომ იცი, პირველ სექტემბერს სკოლაში უნდა წავიდეს. პირველად პირველ კლასში! რატომ უნდა დაიჩაგროს კარინა... ასეთი დიდი სიხარული რატომ უნდა წავართვათ? მთელი ცხოვრება ემახსოვრება... ნუთუ ამაზე არ გიფიქრია?!

კაცმა მხრები აიწურა, აქაოდა, მე რის შემძლე ვარო.

— მიდი სასტუმროს დირექტორთან. კაცი ხარ, მოგისმენს, აგრძნობინე, რომ უპატივცემულოდ არ დავტოვებთ. ბილეთის ღირებულების გარდა, ასი მანეთი ერთ ბილეთზე, როგორც საჩუქარი, ჩემი აზრით, ურიგო არ იქნება.

— რას ამბობ, კრისტინ! ასი მანეთი შენი ერთი თვის ხელფასია.

ქალის გამოხედვა ისევ გამომწვევი გახდა.

— ვიქტორ, გაქვს სხვა ვარიანტი?

— არა, არ მაქვს, მაგრამ სასტუმროს დირექტორთან არ მივალ. ადამიანს კარგად არ ვიცნობ, როგორ გავუბედო... შეუძლია ქრთამის შეთავაზებისათვის პასუხისგებაში მიმცეს.

— ის ამას არ იზამს. ამბობენ, რომ აქ, სასტუმროში ორი კვირით მოწყობა ბევრად უფრო ძვირი ჯდება, ვიდრე ის ასი მანეთი,

ბილეთის ღირებულებას რომ უნდა დავამატოთ. გამოფხიზლდი, გაანძრიე ტვინის უჯრედები! ადამიანობის ელემენტარული გამოხატულებაა: პატივი გცეს, შენც პატივი ეცი.

— მაგრამ, როცა ჩვენ დაგვაბინავეს, არავის არაფერი მოუთხოვია. არც ქარაგმას არ ჰქონდა ადგილი.

— არ შეეძლოთ და იმიტომ, — ქალმა ირონიულად ჩაიცინა, — ჩვენ ხომ აკადემიკოს ალექსეევის სარეკომენდაციო ბარათი გვქონდა.

— ჰოდა, ძვირფასო, — ჩაიცინა ახლა კაცმა, — აკადემიკოსი ალექსეევი ჯანმრთელობის მინისტრია და სამთამადნო მრეწველობასთან არავითარი კავშირი არ აქვს. და, სხვათა შორის, უმჯობესი იქნება, რომ სასტუმროს დირექტორთან შენ თვითონ მიხვიდე. ხომ გახსოვს, წერილი მას შენ გადაეცი და არა მე.

ქალი წუთით ჩაფიქრდა.

— კარგი, — თქვა ბოლოს და წამოდგა, — იყოს ეგრე, როგორც მიბრძანე! მივალ და ვთხოვ, თოფს ხომ არ მესვრის! — როცა ამას ამბობდა იგრძნო სახეზე როგორ წამოენთო. მერე შებრუნდა და ნელი ნაბიჯით კორიდორისაკენ წავიდა. წინასწარ აწყობდა აზრებს რა უნდა ეთქვა, როგორ უნდა ელაპარაკა. ერთხანს დაფიქრებული შედგა, მეორე სართულზე ამავალი კიბის მოაჯირს დაეყრდნო, მერე სითამამე მოიკრიბა, ხელმარცხნივ გაუხვია და იმ კარებთან გაიყინა, სადაც ეწერა: „სასტუმრო „გაგრიფშის“ დირექტორი“. როცა მხნეობა დაუბრუნდა და კარზე დასაკაკუნებლად ხელი შემართა, იგრძნო, რომ გულის ძგერამ უმატა.

— მობრძანდით! — ოთახიდან მამაკაცის ბოხი ხმა გაისმა და ქალმა კარი შეაღო.

კაბინეტი პატარა იყო. დირექტორი საწერ მაგიდასთან იჯდა, თავი საქაღალდეში ჩაერგო და წინ მჯდარ ადმინისტრატორს რაღაცას ეკითხებოდა. საწერ მაგიდაზე ტელეფონის გარდა საანაგარიშო ჩოთქი ჩანდა, კედლის ერთ კუთხეში წიგნების კარადა, მის თავზე ვენტილიატორი იდგა, ელექტროქსელში იყო ჩართული და ძლიერად უბერავდა.

— ბოდიში, — თქვა ქალმა, იგი ღია კარში იდგა და ვერ გადაეწყვიტა როგორ მოქცეულიყო. — თუ არ გცალიათ, მოგვიანებით შეგაწუხებთ.

— გთხოვთ, ქალბატონო! — რუსულად მიმართა ქალს დირექტორმა და სკამიდან წამოდგა, მისკენ გაემართა. — შემობრძანდით... რაზეა ლაპარაკი! გადაუდებელი საქმეც რომ მქონდეს, თქვენთვის მაინც მოვიცლი. — სკამი ნაჩქარევად მიაჩოჩა მაგიდის სიახლოვეს — დაბრძანდით! მაპატიეთ, ვერ გავიხსენე თქვენი სახელი.

— კრისტინი!

— ქალბატონო კრისტინი! — ქალის სახელი დირექტორმა მახვილით დააბოლოვა და თავისი ადგილი დაიკავა. — დიახ, დიახ, მახსენდება, თქვენ აკადემიკოს ალექსეევის სარეკომენდაციო ბარათი გქონდათ.

— სწორი ბრძანდებით.

— ვალერიან, ცოტა ხნით დაგვტოვე, — ქართულად უთხრა დირექტორმა ადმინისტრატორს, — განვთავისუფლდები და დაგიძახებ. — იგი კაბინეტიდან გავიდა და კარი მიიხურა.

— ძალიან მაინტერესებს როგორ ისვენებთ, — დირექტორი ისევ კრისტინისაკენ შებრუნდა — რესტორნით კმაყოფილი ხართ? შეეგუეთ ქართულ კერძებს? ოთახებს ხომ ყოველდღიურად ასუფთავებენ? თეთრული ორ კვირაში ერთხელ უნდა შეცვალონ. თუ გნებავთ განკარგულებას გავცემ და თქვენს ნომერში თეთრეულს კვირაში ერთხელ გამოცვლიან.

— არა, ბატონო დირექტორო, ჩვენთან ყველაფერი წესრიგშია! ვცხოვრობთ მესამე სართულზე, აივნიდან და ფანჯრებიდან პლაჟი ხელისგულივით მოჩანს, დილით თუ საღამოს ვტკბებით ამ საოცარი სურათის მშვენიერებით: პლაჟი, ზღვა, მზე... განსაკუთრებით მზის ჩასვლა გვხიბლავს. ჩვენი ქალიშვილი კარინა, მოჯადოებულია ამ იდუმალებით, ზღაპარში გვგონია თავი. ოთახები მუდამ გაკრიალებულია. რესტორანში გემრიელი კერძებია, ქართული სამზარეულოთი აღფრთოვანებული ვართ, ზოგიერთი კერძი ისე მოგვეწონა, რომ მათი რეცეპტი მზარეულებისაგან გულისყურით

ჩავიწერეთ. ერთი სიტყვით, ვფიქრობ, და არ ვცდები, ეს ადგილი შავიზღვისპირეთის თვალმარგალიტია, „გაგრიფშმა“ ისე შეგვაყვარა თავი, რომ გვიძნელდება მასთან განშორება.

დირექტორი თავისი საქმის კარგი მცოდნე იყო და ქალის სიტყვებმა რაღაცას მიახვედრა.

— ა..., უკვე მიბრძანდებით? ალბათ შვებულება დაგიმთავრდათ, ესეც არ იყოს, თქვენი ქალიშვილი, მგონი, სასკოლო ასაკისაა, მალე კი სწავლა იწყება. რას იზამთ, მომავალ წელს კვლავ ჩამობრძანდით, სიამოვნებით მიგიღებთ, დაგეხმარებით! ახლა რით შემიძლია გემსახუროთ?

ქალს სახეზე მღელვარება დაეტყო, ხელები მოიფშვნიტა და სკამიდან ოდნავ წამოიწია.

— გამოუვალ მდგომარეობაში აღმოვჩნდით, პატივცემულო, ბილეთებზე დროულად არ ვიზრუნეთ... სალაროში კი გვითხრეს, რომ მოსკოვის მიმართულებით ბილეთები ყველა რეისზე გაყიდულია თხუთმეტი სექტემბრის ჩათვლით. ხოლო ჩვენი ქალიშვილი კარინა, როგორც თქვენც კარგად დაგმახსოვრებიათ, პირველ სექტემბერს პირველ კლასში უნდა წავიდეს.

— როგორ, უკან დასაბრუნებელი ბილეთები დაჯავშნული არ გაქვთ?

ქალმა თავი ჩაღუნა.

— არა. არ ვიზრუნეთ, მხედველობიდან გამოგვეპარა.

დირექტორმა სერიოზული სახე მიიღო. წელი გამართა, მაგიდის უჯრა გამოაღო, „ყაზბეგი“ ამოიღო, „თქვენის ნებართვითო“, მოიბოდიშა და სანთებელათი მოუკიდა.

— და..., რამდენი ბილეთი გნებავთ?

— სამი. ორი მოწიფული და ერთი ბავშვის. — ქალის თვალებში იმედი გაკრთა.

— როდისთვის?

— 29 ან 30 აგვისტოსათვის. უკიდურეს შემთხვევაში 31-ში შეიძლება გაფრენა, მაგრამ გვიან არავითარ შემთხვევაში. პირველში კარინა სკოლაში უნდა წავიდეს.

დირექტორმა კედლის კალენდარს შეხედა.

— დღეს 25 აგვისტოა, აქამდე სად იყავით? მესმის, როგორც თქვით მხედველობიდან გამოგეპარათ. სხვათა შორის, თქვენ დღეში რამდენჯერმე გაივლით ჩემს კაბინეტთან...

კრისტინი უხერხულად შეიშმუშნა, წამოსადგომად მოემზადა. დირექტორმა ეს შენიშნა და შემრიგებლური ტონით დასძინა:

— ნუ ჩქარობთ, ქალბატონო კრისტინ! მე არ გსაყვედურობთ, უბრალოდ მინდა მიგახვედროთ, რომ უკვე ძალიან დაგვიანებულია. ახლა საქართველოს შავი ზღვის სანაპიროზე საბჭოთა კავშირის მოსახლეობის თითქმის ნახევარია თავმოყრილი და ყველას, სწორედ, ამ ერთ კვირაში უნდა უკან დაბრუნება. ასეთი რამ კი მხოლოდ ზღაპრებში ხდება. მაგრამ აკადემიკოს ალექსეევისაგან ისე ვარ დავალებული, ყველა ზომებს მივიღებ, შესაძლებელსაც და შეუძლებელსაც, რომ დაგეხმაროთ. — დირექტორმა ტელეფონის ყურმილი აიღო: — სოხუმი შემაერთე, აეროფლოტის მთავარი დისპეტჩერი, და ვიდრე დააკავშირებდნენ კრისტინის გადაულაპარაკა: — ვეცადოთ, ხომ გაგიგონიათ ცდა ბედის მენახევრეაო, ვინ იცის, რა მოხდება, ერთიც ვნახოთ და... იქნებ რამე გამოდნეს! — მერე ისევ ყურმილში: — ალო, ალო! აეროფლოტის სააგენტოა? რომელი ხართ? გამარჯობათ, ბატონო დავით: გიორგი შარვაშიძე ვარ, „გაგრიფშიდან“. მადლობა, იცოცხლეთ... თქვენ როგორ ხართ? ძალიან კარგი! რა... რა... ჰო, ჰაერივით მჭირდება თქვენი დახმარება — სამი ბილეთი მოსკოვის რეისზე... ოცდაცხრა ან ოცდაათი აგვისტო... ჰა... აჰა, მესმის, შვიდამდე არაფერი ჩანს? გასაგებია... ყოველ შემთხვევისათვის სამი ბილეთი დამიჯავშნეთ. კი, კი შვიდი აგვიტოსთვის, ჩემს სახელზე. აბა კარგად... ბედნიერად, დავით!

დირექტორმა ყურმილი დადო და კრისტინს შეხედა.

— კარგია, თქვენი ყურით რომ მოისმინეთ. იცით, რა მითხრა: დღეს ყველა, დაწყებული ცენტრალური კომიტეტით და დამთავრებული პროფკავშირებით, მოსკოვის რეისის ბილეთებზე ნადირობსო... რა უნდა ვქნათ? არის ასეთი ანდაზა: ააფრინე

ალალიო, რაც არ არის, არ არიო. ასე თუ ისე, შვიდი სექტემბრის ბილეთები დაჯავშნული გვაქვს და თუ სხვა შესაძლებლობა არ გამოგიჩნდებათ, შვიდში უეჭველად გადაფრინდებით.

— დიდი მადლობა! — კრისტინი წამოდგა. დირექტორმა იგი კარებამდე მიაცილა და სხვათა შორის, დასძინა:

— იცით რა, შეიარეთ მაინც დასასვენებლ სახლში „ჟოოკვარა“ ან სანატორიუმ „თბილისში“. იქ ტურისტებს და დამსვენებლებს ბილეთები დაჯავშნული აქვთ, მაგრამ ხშირია შემთხვევა, როცა ბევრი მათგანი საგზურის ვადის გასვლის შემდეგაც აგრძელებს დასვენებას და ბილეთებს ყიდიან, ზოგჯერ კი სალაროში აბარებენ. ვინ იცის, ეგებ ბედმა გაგიღიმოთ. აი, კიდევ რა: თუ რამეს გაახერხებთ, გამგზავრების წინ აუცილებლად შემატყობინეთ.

ისინი გულთბილად დაშორდნენ ერთმანეთს.

კრისტინი ვესტიბიულში დაბრუნდა. იქ მაგიდასთან ვიქტორის გვერდით ქალი იჯდა, ისინი საუბრობდნენ. კარინა დივანის საზურგეზე აცოცებულიყო, მოაჯირზე დაყრდნობას ცდილობდა, კორიდორს რომ ყოფდა ვესტიბიულისაგან. კრისტინი იცნობდა ქალს, იგი მოსკოვის დიდი თეატრის პირველი ბარიტონის დავით გამრეკელის მეუღლე იყო, ორმოცდაათს უკვე გადაცილებული, მაგრამ ისეთი მოვლილი, რომ იფიქრებდით ოცდაათი წლისაც არ იქნებაო. ამბობდნენ — ქალი, როგორც ქმარი, მსახიობიაო, მაგრამ მოსკოვის ერთ-ერთი დრამატული თეატრისაო. ჩვეულებრივად, თვალისმომჭრელად ლამაზი ჩანდა და, როგორც ყოველთვის, მომხიბლავ შთაბეჭდილებას ტოვებდა — ცისფერი ქვედაწელი და თითქმის გამჭვირვალე კოფთა ძალიან შვენოდა. თმები, შავად გადაღებილი, სარკესავით უბზინავდა. ნამზეური ფეხები, შვლის ნუკრის მსგავსი წვივებით რომ ბოლოვდებოდა, ერთმანეთზე მოხერხებულად გადაეწყო და იდაყვით მაგიდას ეყრდნობოდა. ავი ენები ჩაიჩურჩულებდნენ ხოლმე და შესაძლებელია ასეთ ჭორს ქალი თვითონვე ავრცელებდა, რომ გამრეკელი მისი მეოთხე ქმარიაო და საყვარლად ოცდაათიოდე წლის ახალგაზრდა კაცი ჰყავსო. სასტუმროში კი მას

იცნობდნენ, როგორც მსოფლიოში ცნობილი მომღერლის დავით გამრეკელის მეუღლეს, რომელმაც იმ დღეებში რესტორან „გაგრიფშში“ სამოცი წლის იუბილე იზეიმა.

— დილა მშვიდობის, ძვირფასო მაცაცო, — კრისტინი ქალს მიესალმა და ბავშვის გვერდით დივანზე ჩამოჯდა, თან ყურადღება ქალიშვილზე გადაიტანა, — კარინა, ნუ ცელქობ, ჩამოდი მოაჯირიდან, თორემ ქალბატონი მაცაცო იფიქრებს, ქალიშვილს უკულტუროდ ზრდიანო.

— რას ამბობთ, კრისტინოჩკა, გენაცვალე, — თქვა მან მისალმებაზე რომ უპასუხა, — ბავშვი იმიტომ გააჩინა ღმერთმა, რომ ითამაშოს, გაერთოს, იცელქოს. ბოდიში, ჩემი ბრალია, ყურადღება არ მივაქციე. თუმცა, არც გამემტყუნება, ისეთ შემზარავ სანახაობას შევესწარი პლაჟზე, ახლახან, რომ გრძნობაზე ჯერ კიდევ არა ვარ მოსული. აი, იქიდან მოვდივარ, დავჯექი, სული მოვითქვი, მსურდა თქვენი მეუღლისთვის მომეთხრო, რაც იქ მოხდა, მაგრამ მან დამასწრო და სიტყვა თქვენს პირად საზრუნავზე ჩამოაგდო. კრისტინოჩკა, ეს როგორ დაგემართათ. სხვათა შორის, ჩემს დავითს ამ დღეებში მოსკოვში ელოდნენ, ბორისის პარტია უნდა ემღერა, მაგრამ უეცრად შეუძლოდ იგრძნო თავი და ამიტომ გამგზავრება გადავდეთ. და წარმოგიდგენიათ, ჩვენ ზუსტად 30 რიცხვის ბილეთები დავაბრუნეთ! აი, აი, აი! რომ გვცოდნოდა, უკეთესს ვის მივცემდით?! — ამ სიტყვებით მან მაგიდიდან ხელჩანთა აიღო, გახსნა, იქიდან ფერად ქაღალდში ლამაზად შეფუთული შოკოლადი ამოიღო და ბავშვს მიაწოდა.

— აიღე, შვილო, გემრიელია, ჩაიტკბარუნე პირი. — გოგონამ ჯერ დაირცხვინა, კაბის კალთას აწვალებდა, მაგრამ ცდუნებას ვერ გაუძლო და მეორე ხელით შოკოლადს მორიდებით დასწვდა და... გემრიელად ჩაკბიჩა.

კრისტინი რატომღაც დარწმუნებული იყო, რომ ქალბატონი მაცაცო სასტუმროს საზოგადოებასთან ურთიერთობისას ხშირად იყენებდა ხელოვნურ ჟესტებს, საკუთარი პიროვნების მიმართ განსაკუთრებული, მაღალი ყურადღების მიქცევის მიზნით. ამგ-

ვარ თამაშს, ღია ცის ქვეშ, არცთუ იშვიათად მიმართავენ ჭეშმარიტ ხელოვნებაში ხელმოცარული აქტიორები, რათა იაფი ფარსით მიანიშნონ, თითქოსდა, თანდაყოლილი ორიგინალურობა. ამის გამო, პლაჟზე მომხდარი რაღაც საშინელი ამბით, კრისტინი უფრო თავაზიანობის გამოხატვის საბაბით დაინტერესდა.

— ძვირფასო მაცაცო, ძალიან შეწუხებული მეჩვენებით, გაფერმკრთალებული, რა მოხდა ასეთი პლაჟზე, სახის ფერი და იერი რომ შეგიცვალათ?

— მართლა?! კი, როგორც ჩანს ასეა. ოჰ, ეს უდღეურები, საიდან არ ჩამოიყრებიან აზარტით ნადირობისათვის. მაგათ კუბოც მუქთი უნდათ. ოჰ, ნეტა არ გავსულიყავი პლაჟზე ამ დილით. — ისევ ხელჩანთას წაავლო ხელი, სარკე ამოიღო და შეშინებულმა ჩაიხედა. — არა, არაფერი არ უნდა მიიტანო გულთან ადამიანმა, სულ რაღაც ორიოდ დღე გვაქვს დარჩენილი და ასეთი სისულელეებით რატომ უნდა შევიმოკლოთ სიცოცხლე?

— მაინც რა უბედურება დაატყდა პლაჟს ამ დილით, — ინტერესით იკითხა უკვე ვიქტორმა, რომელმაც ქალიშვილს შოკოლადით მოთხუპნული ტუჩ-პირი მოწმინდა.

— აკი ვთქვი, საზარელი სანახაობის მოწმე გავხდი, რაღაც დაუჯერებელის. მგონია, რომ მომეჩვენა, მაგრამ ყველაფერი საკუთარი თვალით ვნახე. კრისტინ, ვიქტორ, თქვენ ხომ გახსოვთ ის ორმოცდახუთიოდე წლის მამაკაცი, ერთი კვირის წინ ჩვენს პლაჟზე რომ გამოჩნდა, დარბაისლურად რომ ეჭირა თავი და ყველას გასაგონად თქვა: „ვისაც გინდათ დაგენიძლავებით, რომ წყლის ქვეშ, ჩაყვინთული ორ წუთს გავძლებო“.

კრისტინმა თავის დახრით ანიშნა თანხმობა, ვიქტორმა კი დასძინა:

— რა თქმა უნდა, კარგად მახსოვს, მაშინ მან დევი დონდუას ათი კაცის პურ-მარილი მოუგო, ზუსტად ორი წუთი გაძლო წყლის ქვეშ, მერე კი აქ, ჩვენს რესტორანში იქეიფეს. გუშინწინ კი ოცი კაცის პურ-მარილი მოუგო, ორწუთნახევარი გაძლო წყლის ქვეშ ჩაყვინთულმა.

— კი, ბატონო, ეგრეა! ამ დილით ის მამაკაცი ისევ გამოჩნდა პლაჟზე და კვლავ დაენიძლავა დევი დონდუას, ოღონდ იმ პირობით, რომ წყლის ქვეშ, ჩაყვინთული გაძლებდა სამი წუთი... ამფსონებმა სანაძლეო ჩაჭრეს და მან, მაშინვე, ჩვენს თვალწინ, ნაპირიდან ორიოდე მეტრის მოშორებით წყალში ჩაიყვინთა. სამი წუთი რომ გავიდა, დევიც, პირობის თანახმად, შევიდა ზღვაში და სპორტულ ტრუსზე მოქაჩა, ეუბნება: „ამოდი, უკვე მოიგე, ოცდახუთ კაციანი პურ-მარილი შენიაო“. მაგრამ იმან თავი არ ამოჰყო. ამ დროს ნაპირიდან ვიღაცამ იღრიალა — კაცი დაიხრჩოო, ჩქარა გამოიყვანეთო... დევიმ ჩაიცინა, ხუმრობსო, თქვა და თმებზე წაავლო ხელი, თავი აუწია, მაგრამ რომ გაუშვა, თავი ისევ წყალში ჩავარდა.

— მოკვდა? — იყვირა კრისტინმა.

— მაშ, ხომ ხედავ რა ფერი მაქვს სახეზე... რა არ გაუკეთეს, აქაოდა ხელოვნური სუნთქვაო, მკერდის მასაჟიო, ჟანგბადიო, თავდაღმაც დაიჭირეს, მაგრამ წყალი არ ამოასხა, ვერ გადაარჩინეს. სასწრაფო დახმარების ექიმმა თქვა, რომ წყალში გული გაუსკდაო. საცოდავი, ზესტაფონელი ყოფილა, კარგი ოჯახის პატრონი. მოგებული ფულით უკვე შინ წაასვენეს. ასე დაასრულა მაცაცომ ის ფათერაკიანი ამბავი პლაჟზე რაც მოხდა და სკამიდან ადგა.

— მაპატიეთ, ძვირფასებო, ალბათ, თქვენც გატკინეთ გული; ამ დილით კარგ ხასიათზე ვიყავი, ვიფიქრე, ზღვაზე გავალ, თვალს დავასვენებ, გავერთობი-მეთქი და ნერვები კი ამეშალა. ნომერში ავალ, მცირე ხნით მივწვები, უნდა დავმშვიდდე რესტორანში გასვლამდე. — ამ სიტყვებით იგი ადმინისტრატორის ფანჯარასთან მივიდა, მორიგეს გასაღები ჩამოართვა და როცა კიბისაკენ გაემართა, კრისტინის და ვიქტორს გადაულაპარაკა: — თქვენ კი ახლავე იზრუნეთ ბილეთებზე, თორემ მერე შოვნა უფრო გაგიძნელდებათ.

კიბის მოაჯირზე დაყრდნობილ მაცაცოს, საფეხურებს სვენებ-სვენებით რომ აუყვა, კრისტინმა თვალი გააყოლა და მიხვდა — იგი ახლა არ თამაშობდა.

— კაცს ბედი თუ არ გწყალობს, არაფერი გამოვა, — ნაღვლიანად ჩაილაპარაკა ვიქტორმა, — რომ გვცოდნოდა გამრეკელი აღარ მიფრინავდა...

კრისტინიმ ქმარს სიტყვა შეაწყვეტინა, ალმაცერად შეხედა.

— ყველაფერი, რასაც შემთხვევით გაიგონებ, არ უნდა დაიჯერო, — ქმარი მიხვდა, ცოლმა იგი მიამიტობაში რომ დაიჭირა და ჩაიბუზღუნა: „კი, შენ მართალი ხარ, ეს ასეა“ და საკუთარი ღირსების გრძნობა რომ არ დაეკარგა, შეეკითხა: ჰო, მართლა, დირექტორმა რაო, დაგვეხმარება?

— „უხეირო ქმარი გყოლიაო“, — ჯერ გამომწვევად მიუგო კრისტინიმ ქმარს, მაგრამ მერე შემრიგებლურად გაუღიმა: — ვხუმრობ, ასეთი რამ არ უთქვამს, პირიქით, როცა გაიგო, რომ უკან დასაბრუნებელ ბილეთებზე არ ვიზრუნეთ და მხედველობიდან გამოგვეპარა, ძალიან შეწუხდა, თან კიდევ შეძლებისდაგვარად დაგვეხმარა, შვიდი რიცხვის ბილეთები დაგვიჯავშნა.

— შესანიშნავია, ჩინებულია. — წამოიძახა ვიქტორმა.

— შენ რა, ჭკუაზე ხარ? ტვინი ხომ არ გეღრძო? — მკაცრად უთხრა ქმარს კრისტინიმ და სახე აელანძა. — ქალიშვილზე სრულებით არ ფიქრობ? — აშკარად გამოხატა მან თავისი გულისწყრომა. — იცოდე, ოცდაათი აგვისტოსათვის ბილეთები თუ ვერ ვიშოვეთ, ქვეყანა არ დაიქცევა, მაგრამ რაღაც საშინელება მოხდება.

ვიქტორი ცოლს უცბად, მორჩილებით დაეთანხმა:

— ძვირფასო, ყველაფერი ისე იქნება, როგორც შენ იტყვი. ბილეთებსაც ვიშოვით და გავფრინდებით კიდეც! — ცხადად ჩანდა, რომ ქმარი ცოლის გავლენის ქვეშ გახლდათ, ყველაფერში მას ემორჩილებოდა, მის ნება-სურვილზე, მის ჭკუაზე დადიოდა.

ქმრის დაყოლამ კრისტინი მოალბო და საუბარი ნორმალურ კალაპოტში ჩადგა.

— ვიტენკა, დასასვენებელ სახლ „ჟოოკვარაში“ და სანატორიუმ „თბილისში“ უნდა წახვიდე. და არა მხოლოდ დღეს, არამედ ყოველდღე, ვიდრე ბილეთები არ გვექნება ჯიბეში. დირექტორმა თქვა, რომ დამსვენებლები ზოგჯერ აგრძელებენ შვებულებას, ხოლო ბილეთებს, ნაადრევად რომ აქვთ დაჯავშნული, სალაროში აბრუნებენ. ასე რომ, ახლავე წადი, ვითარება გაარკვიე, იქნებ რამე გამოჩნდეს, მე და კარინა საბანაო აღჭურვილობას გადავიცვამთ და პლაჟზე დაგელოდებით. — ამ სიტყვებით ქალმა ქალიშვილს ხელი გაუწოდა, ქმარს თბილად გაუღიმა — აბა, შენ იციო — და გასაღებისთვის ადმინისტრატორის ფანჯარას მიაშურა.

3.

ცა და ზღვა თითქოს ერთურთს შეერწყა, ერთ გავარვარებულ ხაზად იქცა. ჰორიზონტის გასწვრივ, ბათუმის მიმართულებით, გემი მიცურავდა, ნელა, ვითომც მიღოღავსო, ალბათ, ტურისტებისათვის განკუთვნილი. აქეთ, ნაპირისაკენ, მოტორიანი ნავი მოთხილამურით, კიჩოზე გამობმულ გრძელ გვარლზე (ტროსზე) რომ იყო დაკიდებული, თეთრად მოქათქათე მკერდით წყალს მიაპობდა. ენით აუწერელი სილამაზე! კატერიცა და მოთხილამურეც უთვალავი შხეფების ვერცხლისფერ შარავანდედში მიქროდნენ.

პარკში ფიჭვებზე, ნაძვებზე და ევკალიპტებზე დილის ცვარი შრებოდა. ოტელის ბიჭები ეზოში ერთმანეთს გასძახოდნენ; მათი ხმა აღიქმებოდა, როგორც განუყოფელი, ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი შემადგენელი ნაწილი ამ ცოცხალი ცისა, ზღვისა და დედამიწისა. სასტუმროს უკანა მხრიდან, რიწის ტბაზე ამავალი მაღალი მთაგრეხილის მიხვეულ-მოხვეული შოსედან იქაურობას დროდადრო ავტომობილების, ავტობუსების და მოტოციკლების ხმაური აფხიზლებდა. კრისტინიმ თქვა:

— კარინოჩკა, შეხედე, ვინ არ მოიხიბლება ამ სილამაზით, ამ პეიზაჟით?

— კი, დე, კარგია... მართლა გული მწყდება, რომ მალე მივემგზავრებით.

— მოიცა, შენ რა, მოსკოვი არ მოგენატრა?

— მოსკოვი კარგია, ლამაზია... მომენატრა ჩვენი სახლი, ეზო, მეტრო, მაგრამ იქ არ არი ზღვა, პლაჟი და, როგორ თქვი? ჰო, არ არი პეიზაჟი.

— დაიცა, ცოტაც წამოიზრდები და წაგიყვან ტრეტიაკოვში. აი, იქ გამოფენილი პეიზაჟები, მართლა პეიზაჟებია. ზოგიერთი მხატვრების, გენიალურების, რა თქმა უნდა, შექმნილი, დახატ-

ული პეიზაჟები ბუნებას ხშირად ჯაბნის ხოლმე, აკეთილშობილებს ნატურას თავისი ფერადოვანი იდუმალებით, ვიდრე სინამდვილეშია! მაგრამ ამას ჯერ შენ ვერ გაიგებ.

— დე, გაისად ჩამოვალთ აქ?

— ეს რა სისულელეს არ გაიფიქრებენ ზოგჯერ ბავშვები! შვილო, ახლა მთავარია მოსკოვში დროულად დაბრუნება, რომ შენ პირველ სექტემბერს ყვავილებით და დიდი, წითელი ბანტებით, სკოლაში სახეგაბადრული წახვიდე. ოჰ, თუ მამაშენმა ბილეთები იშოვნა, საზრუნავი აღარ გვექნება, ხუთი დღე აქ, ამ ნომერში უდარდელად ვიცხოვრებთ, ჩვენს გემოზე სიამოვნებით დავისვენებთ.

ისინი თავიანთ ნომერში, მესამე სართულის აივანზე იდგნენ. პლაჟს გასცქეროდნენ და საუბრობდნენ. ორასიოდე მეტრის იქით, შავი ზღვა დროგამოშვებით რომ ამოაჩენდა თავის სილურჯეს, ხარკს უხდიდა ულმობელი მზის ბრწყინვალებას.

ოტელი, იმის წინ ნოხივით გადაშლილი პარკი და მზისფერი პლაჟი რაღაც მთლიანსა ჰგავდა, განუყოფელს და განუმეორებელს. სალოცავივით იყო განათებული ეს ადგილი შენობის წინ.

სასტუმროში ისინი ოროთახიან კეთილმოწყობილ ნომერში ცხოვრობდნენ. ღმერთო, რა ბედნიერებაა იცნობდე ისეთ ბობოლას, როგორიც აკადემიკოსი ალექსევია! — ფიქრობდა ხანდახან კრისტინი. — მისი პატარა სარეკომენდაციო ბარათის გარეშე არავითარი ეს სილამაზე არ იქნებოდა, მთელი ოჯახი ერთ პატარა ოთახში შეიჭუჭკებოდა და, შესაძლებელია, ეს უფრო ძვირი დამჯდარიყო, ვიდრე ეს დიდებული აპარტამენტი.

ყველაფერი იყო ნომერში — შესანიშნავი სალონი, არცთუ ურიგოდ გაწყობილი ავეჯით: კარადებით, სავარძლებით, მაგიდით და სკამებით, საწოლებზე გაქათქათებული თეთრეული ეფინა, კედელზე ცნობილი მხატვრის რეპროდუქციები. ახლა ტუალეტი!.. აბაზანა!.. პატარა სამზარეულო!.. ირგვლივ წესრიგი და სისუფთავე სუფევდა.

უცბად კრისტინიმ საათს დახედა...

— ღმერთო, უკვე ათია. დღეს ნამდვილად ვაგვიანებთ პლაჟზე

გასვლას. აბა, ჩქარა, მოვემზადოთ, ჩემო გოგონა... შენ ზონტი და საცურაო კამერა მოგაქვს, მე — სხვა დანარჩენი.

საბანაო კოსტიუმი რომ გადაიცვა, კრისტინი ერთხანს სარკესთან შედგა, თავისი გარეგნობა კრიტიკული თვალით შეაფასა. გათხოვების დღიდან იგი თითქმის ყოველდღიურად აკვირდებოდა, აკონტროლებდა საკუთარ თავს, ეშინოდა, ქალიშვილობისდროინდელ სილამაზეში ჭკნობა ხომ არ შემპარვიაო. სიხარულისაგან ჯანსაღი სიწითლით წამოენთებოდა ხოლმე ლოყები, როცა დარწმუნდებოდა, რომ მისი შიში ამაო და უსაფუძვლო იყო, რომ ძველებური შნო და ლაზათი არ დაკარგვოდა, რომ თავით ფეხამდე შესანიშნავად გამოიყურებოდა და მშვენიერების განსახიერება იყო, რომ მისი მომხიბვლელი მკერდის ქვეშ ისევ ცემდა ქალიშვილის ძლიერი გული. თითქმის ოცდაათი წლის იქნებოდა უკვე, მაგრამ ჯერ მაინც შერჩენოდა ცვარ-ნამი ქალწულობისა, სიხარულით უბრწყინავდა თვალები, როცა მთელი სხეულის მომხიბვლელ, მომაჯადოებელ ძალას შეიგრძნობდა და ეჩვენებოდა, რომ მიუხედავად ხანგრძლივი ცოლქმრობისა, ყმაწვილქალობისდროინდელი კეთილსურნელება არსად გამქრალიყო და უკვირდა, რატომ ვერ ისრუტავდა ვიქტორის ათლეტური სხეული მთლიანად ამ სრულყოფილ ღვთიურ ქმნილებას.

სარკეს რომ მოშორდა, კრისტინიმ ტანზე ჩინური ხალათი წამოისხა და მალე ისინი კორიდორში გამოვიდნენ, კიბეებზე დაეშვნენ და მორიგე ადმინისტრატორს გასაღები ჩააბარეს. ჩანთა, კრისტინს რომ მიჰქონდა, სადაც მას საბანაო აღჭურვილობა და ხილი მოეთავსებინა, არ იყო მძიმე; ბალერინასავით მსუბუქად მიდიოდა, ტანსარო, ზეაწეული, გამართული; სიარულისას, თითქოს, კიდევაც მაღლდებოდა, ზევით და ზევით იწეოდა. ადმინისტრატორის ღია ფანჯარასთან რამდენიმე მამაკაცი იდგა და კრისტინმა მათი შემფასებლური მზერა იგრძნო. ქალი მათ არ იცნობდა და ამიტომ არც მისალმებია. სასტუმროდან ქვის ბალკონზე რომ გავიდნენ, მცხუნვარება მოაწვათ თვალებში და ძალაუნებურად ორივემ უკან დაიხია. მზის სხივები დამაბრმავებლად კაშკაშებდა

და დანახვა ჭირდა. კრისტინმა ჩანთაში მზის სათვალეები მოიძია, ბავშვსაც გაუკეთა და თვითონაც მოირგო, რამდენიმე საფეხურიანი ქვის კიბე ჩაიარეს და მოასფალტებულ ეზოში ნელა გაიარეს, „გაგრიფშის“ კიბეებისაკენ მიდიოდნენ. ხელმარჯვნივ, ეზოს სიღრმეში, ქვის მაგიდას, ოტელის ბიჭები შემოსხდომოდნენ, ჯოკერს თამაშობდნენ. რესტორნის შესასვლელთან, თაღის ქვეშ რომ აღმოჩნდნენ, ზემოთ, უეცრად, გაიღო რესტორნის სახელგანთქმული საათი. ბუდე, საიდანაც გუგული გამოხტა და ვიდრე დედა-შვილი „გაგრიფშის“ ისტორიულ, დაუსრულებლად გრძელ კიბეებს ჩაივლიდა, ჩიტმა ათჯერ დაიგუგულა. რუსთაველის პროსპექტზე, ტროტუარზე მცირე ხნით შეყოვნდნენ, რადგან რამდენიმე მსუბუქმა ავტომანქანამ ჩაიქროლა. ბოლოს პროსპექტი გადაჭრეს და პარკში შევიდნენ. მზის მცხუნვარება და დამაბრმავებელი სიკაშკაშე ფიჭვებისა და ევკალიპტების ვარჯმა დაფარა, საამო ჩრდილი ჩამოწვა და კრისტინმა ქალური ცნობისმოყვარეობით შეათვალიერა იქაურობა. ირგვლივ სისუფთავე სუფევდა, ხეივნებს და ყვავილნარებს კარგი მომვლელის ხელი ეტყობოდა, ჩოგბურთისა და ბანდბინტონის კორტებიდან მოთამაშეთა ხმამაღალი შეძახილები ისმოდა, ლამაზად შეკრეჭილი გაზონებისა და ბუჩქების გასწვრივ ალაგ-ალაგ დასასვენებელი სკამები ელაგა. ერთ-ერთ სკამზე კრისტინმა ნაცნობ სახეებს მოჰკრა თვალი — დავით გამრეკელი და ბათუ კრავეიშვილი[1] ჭადრაკს თამაშობდნენ. გამრეკელი ვეება (უზარმაზარი) მელოტი კაცი იყო. მისი უშველებელი მუცელი მთასავით ჩამოწოლოდა ჭადრაკის დაფას. მამაკაცებმა იცნეს თავიანთი მეზობლები და კეთილშობილური ჟესტით მოესალმნენ. დედამ და ქალიშვილმა მხიარული ღიმილით უპასუხეს მათ, ცოლ-ქმარს პლაჟზე თავიანთი ადგილი ჰქონდათ ამოჩემებული და კრისტინიც იქითკენ

1. ცნობილი ქართველი ოპერის მომღერალი, ტენორი (1950-1970). ავტორს წილად ხვდა ბედნიერება, რომ მასთან რამდენჯერმე ეთამაშა ჭადრაკი.

გაემართა, ძლივს მიიკვლევდნენ გზას მზემოკიდებულ შიშველ ზურგებსა და ქოლგებს შორის. პლაჟის რაღაც მონაკვეთი იმ თავიანთი ქოლგის ახლოს, ეტყობოდა, ყველა ოჯახს საკუთრებად მიაჩნდა, ოღონდ, მიმოდიოდნენ, ერთმანეთს რაღაცას გასძახებდნენ, ერთი სიტყვით, თავიანთი წრე ჰქონდათ და ცოტა უხერხული იქნებოდა და მიძალებაც კი გამოვიდოდა ამ წრეში შეჭრა. მალე კრისტინიმ კენჭებითა და ნიჟარებით მოფენილ ნაპირზე ნაცნობი ადგილი შენიშნა, იქიდანაც შენიშნეს, მათკენ იყურებოდნენ და ღიმილით ხელს უქნევდნენ, მოდითო და როცა მიუახლოვდნენ ფაციფუცით მიიწ-მოიწიეს, რომ დედა-შვილისათვის ადგილი გამოენახათ. მოსვლისთანავე, ვიდრე კრისტინი ჩანთას გახსნიდა, მას გამოელაპარაკა ქართველი ქალი, რომელსაც კრისტინი სასტუმროში მოწყობის დღიდან იცნობდა. იგი ოჯახთან ერთად მეორე სართულზე ცხოვრობდა.

— ო, ძვირფასო, რა კარგია, რომ დაიგვიანეთ, — წამოისროლა მან მისალმების მერე, — აქ ისეთი ამბავი დატრიალდა, ისეთი...

— ჭეშმარიტად. საცოდავი.

— როგორ, უკვე იცით? ვინ გითხრათ?

— ქალბატონმა მაცაცომ. ამ უბედურებით ძალიან შეწუხებული იყო, თავი ტკიოდა.

ცხელი, ახალი ამბის ასეთმა სწრაფმა გავრცელებამ, მას წინ რომ გაუსწრო, ქალი გაანაწყენა.

— მაცაცოს თავის ტკივილის მიზეზი ჩვენ ყველამ კარგად ვიცით, — გაჯავრებით თქვა მან და ქმრისკენ გადაიხარა, ყურში ქართულად წასჩურჩულა:

— კოტე, ამდილანდელი ტრაგედიისაგან, გამრეკელის ქალბატონს თავი ატკივებია, გჯერა ეს შენ?

— ღვთის გულისათვის, ქეთევან, კმარა ამაზე! — შეეხვეწა ცოლს ქმარი, წითური, ჭორფლიანი მამაკაცი და საკუთარ ყელში მეორე ბოთლი ლიმონათი გადაამხო, იმით განაწყენებულმა, რომ გააწყვეტინეს ლაპარაკი ფეხბურთზე მეზობელთან. იქვე, ქვიშაზე კოტეს ორი ბიჭი მიწოლილიყო და იდაყვზე დაყრდნობილები, პირდაფჩენილები უსმენდნენ მამას. — დამაცა, ღვთის გულისათ-

ვის! — თქვა, სული რომ მოითქვა და კვლავ თავის მსმენელებისაკენ შებრუნდა — რას ვამბობდი? ჰო..., ორმოცდათოთხმეტი წელია, მაშინ ქუთაისში ვცხოვრობდით. თამაში დინამოს სტადიონზე გაიმართა, ამხანაგური შეხვედრა იყო, ორი „დინამო“ ხვდებოდა ერთმანეთს, ოღონდ თბილისელებმა სათადარიგო შემადგენლობა გამოიყვანეს. სწორედ იმ დღეს პირველად დავინახე მესხი, მაშინ მოფერებით მიშკას ეძახდნენ. ის თექვსმეტი წლის იყო. ფეხბურთელს, მესხს რომ აკავებდა, შეარქვეს „კრიჟევსკი“, ხუმრობით მოსკოვის „ტორპედოს“ დამცველს მიამსგავსეს. აი, რა მოხდა: მოედნის ცენტრში, მარცხენა ფლანგზე, ზედ გვერდით ხაზთან, ბურთი მიიღო მიშამ და მის წინ „კრიჟევსკი“ აღიმართა. ამ ეპიზოდში მესხს „ფინტი“ არ უხმარია, გვერდით ხაზთანვე შედგა და ბურთს მარცხენა ფეხი ზემოდან დააჭირა,[1] თან დოინჯი შემოიყარა, თითქოს უბიძგა მოწინააღმდეგეს, ჰა, თუ ბიჭი ხარ, მოდი, ბურთი წამართვიო... რაღა ბევრი გავაგრძელო, „კრიჟევსკიმ“, გამორბენით, სამჯერ მთელი ძალით დაარტყა ბურთს და ძვრაც ვერ უყო, თითქოს გაქვადა მესხი ბურთთან ერთად... მერე მიშამ, სამარისებურ სიჩუმეში, მეგობრულად გაუღიმა დარცხვენილ მოწინააღმდეგეს და ბურთი წინ გაიგდო. ფეხზე ადგა სტადიონი:

— მიშკა!.. მიშკა!.. მესხი!.. მესხი!..

— კიდევ ერთ ეპიზოდს გავიხსენებ, — ეშხში შევიდა კოტე, — მალე საცხოვრებლად თბილისში გადავედით. 1961-66 წ.წ. მესხის ილეთით და მეტრეველის „დრიბლინგით“ მოჯადოებული ვიყავი, ამ პერიოდში თამაში თითქმის არ გამიცდენია. აი რა უნდა გიამბო: თბილისის „დინამო“ მოსკოვის ერთ-ერთ გუნდს ხვდებოდა. მეხსიერება თუ არ მღალატობს ან „სპარტაკს“, ან „ლოკომოტივს“, შესაძლებელია, „დინამოს“... მოედანს ხელისგულივით ვხედავდი: მოწინააღმდეგის კარის სიახლოვეს, მარცხენა ფლანგზე ბურთი

1. 1954 წელს ავტორი 12 წლის იყო. გაკვეთილების მერე სტადიონზე წავიდა და თამაშს დაესწრო. მესხი და „კრიჟევსკი“ მის თვალწინ სამიოდ მეტრში იდგნენ. „დინამოს“ სტადიონს მაშინ ლითონის გისოსები ჰქონდა შემორტყმული გარშემო და იგი იქვე იყო ჩაცუცქული.

ჰქონდა მესხს. მის წინ, ხუთიოდე მეტრში, დამცველი იდგა. მიშამ ბურთი მას მიაწოდა... სტადიონმა ამოიგმინა, ყველას შეცდომა გვეგონა, ამ დროს კი მესხი უბურთოდ კარისკენ გაიჭრა... საოცარი რამ მოხდა, დღემდე ყველასათვის გაუგებარი. როცა ბურთი მცველს მიუახლოვდა, უეცრად ტრაექტორია შეიცვალა და მიშას მიუგორდა... ზუსტად არ მახსოვს ის ბურთი მესხმა გაიტანა თუ არა, მაგრამ 21 გაოგნებული ფეხბურთელი, სამი მსაჯი და ფეხზე ამდგარი სტადიონი, ბღავილით: „მესხი!“ ტაშს უკრავდა განუმეორებელ ქართველ ფორვარდს. ამ ილეთს „ხმელი ფოთოლი“[1] ჰქვია.

— კაცები, როცა ფეხბურთზე ლაპარაკობენ, საკუთარ თავსაც კი ივიწყებენ. — ეს სიტყვები კრისტინის გასაგონად თქვა ქეთევანმა, რომელსაც უკვე ჩანთა გამოეცარიელებინა და ზღვაში შესვლის თადარიგს შედგომოდა. — კრისტინა! სხვათა შორის, დილით მომხდარი ტრაგედია, მთლიანად დევის და მისი ამფსონების სინდისზეა, შეხედე, რას ჩადიან, როგორ ოინბაზობენ... ადამიანი მოკლეს და იცინიან, ვითომ არაფერი მომხდარაო! ღმერთმანი, სამართალში არიან მისაცემი!

და მართლაც, ოდნავ მოშორებით, რამდენიმე წარმოსადეგი მამაკაცი გაცხოველებით რაღაცაზე კამათობდნენ და თან, დროდადრო, მხიარულად იცინოდნენ, როგორც ქუჩის ბიჭები. ერთი იმათგანი, მზისგან ზანგივით რომ გაშავებულიყო, მათ შორის აქტიურობით გამოირჩეოდა, რაღაცაზე ლაპარაკობდა, ალბათ, ძალიან

1. 1961-1966 წ.წ. ავტორი თბილისში სწავლობდა, პოლიტექნიკურ ინსტიტუტში და „დინამოს“ გულშემატკივარი იყო. მესხის ილეთი „ხმელი ფოთოლი“ პირადად აქვს ნანახი. მ. მესხს კარგად იცნობდა, იგი, ასევე ცნობილი ფეხბურთელის ჯ. ზეინკლიშვილის ბინაში, წაღვერში, გაიცნო. მოგვიანებით ავტორმა შექმნა ქართული ფეხბურთის ჰიმნი: „ხმელი ფოთოლი“ (იხ. შენიშვნები).

აქვე აღვნიშნავთ, რომ ავტორი თვითონ იყო სპორტსმენი, „პოლიტექნიკის“ გუნდში თამაშობდა. მისი თანაგუნდელები იყვნენ: ირაკლი კიზირია, სერგო კეშელავა, თამაზ შერაზადაშვილი. ქუთაისში როცა დაბრუნდა, ჩამოაყალიბა და შექმნა რაგბისტთა გუნდი „მშენებელი“, რომელიც შემდეგ რამდენჯერმე იყო საბჭოთა კავშირის ჩემპიონი.

სასაცილოს, თუმცა ისეთი სახე ჰქონდა, ფარსს მაინცდამაინც ვერ იფიქრებდი. ზოგჯერ ზღვაში კენჭებს ისროდა, იმ დროს მსმენელებს გადახედავდა და მათი მხიარული სახეები ენერგიას მატებდა, ბოლოს საქმე იქამდე მივიდა, ოღონდ კი რამე ეთქვა, და ამფსონები ჰომეროსისებური ხარხარით ჩაბჟირდებოდნენ ხოლმე.

ახლო-ახლო ყველა ყურადღებად ქცეულიყო, როგორც ქეთევანი; უნდოდათ მოსმენილით საკუთარი ლექსიკონი გაემდიდრებიანთ, რომ მერე სხვები, როცა ჭორის გუდას თავს მოხსნიდნენ, მახვილგონიერებით მოეხიბლათ და განეცვიფრებინათ. და მხოლოდ კრისტინი არ აქცევდა ყურადღებას ყოველივე ამას, რადგან ჯერ ერთი, ქართული არ იცოდა, ხოლო მეორე, — მოგვიანებით ქეთევანი ყველაფერს ჩაუკაკლავდა, როგორც საკუთარ „შემოქმედებას“.

ჩანთიდან კრისტინმა დიდი, პლაჟისთვის განკუთვნილი პირსახოცი ამოიღო, უნდოდა გაეშალა, მაგრამ ადგილი არ ყოფნიდა. ქეთევანმა ქმარს უბიძგა, ცოტა შევიწროვდითო. მამაკაცები მიხვდნენ და ცოტაც კიდევ შევიწროვდნენ. კრისტინმა კმაყოფილი სახით პირსახოცი გაშალა და ქეთევანის გვერდით ჩაჯდა, მუხლისთავებზე ხელებმოჭდობილი. ქეთევანის და კოტეს ბიჭები კარინასთან ერთობოდნენ, ზღვის ქვიშაში აფათურებდნენ ხელებს, ზოგჯერ წყალმცენარეებს ამოისროდნენ, ზოგჯერ ტალღა მედუზას გამორიყავდა, რომელიც ცხელ ქვებზე ნელა დნებოდა და ბოლოს კვდებოდა.

— ბილეთების რა ქენით? — ჰკითხა ქეთევანმა კრისტინის.

— შვიდი სექტემბრის ვიშოვეთ, მაგრამ ჩვენ ეს არ გვაწყობს. ვიქტორი გავუშვი დაზვერვაზე სანატორიუმ „ჟოოკვარში“ და „თბილისში“, ვნახოთ, შეიძლება ბედმა გაგვიღიმოს. თქვენ როდის მიემგზავრებით?

— ოი, ჩვენ მთელი სექტემბერი აქ ვიქნებით. მართალია, კოტე ორი დღის მერე ბავშვებს თბილისში წაიყვანს, მათ იქ ორი ბებია მზრუნველობს, ხოლო ჩემი ქმარი სამსახურის საქმეებს მოაწესრიგებს და ისევ დაბრუნდება. ჩვენ უბრალოდ შეყვარებული ვართ წელიწადის ამ დროზე, — მზის პაპანაქება კლებულობს, სიგრილეა,

ზღვა კი თბილი, წყნარი და კრიალა, ნამდვილი ხავერდის სეზონი დგება, ამ დროს „გაგრიფში“ უფრო დარბაისელ და კულტურულ ხალხს მასპინძლობს. ასე გგონია, სამოთხეში ხარო, არ იქნებოდა ცუდი თქვენც რომ დარჩენილიყავით. მივეჩვიეთ ერთმანეთს!

— ამაზე უკეთესი რა იქნებოდა; მაგრამ ერთი სურვილი მკლავს, რომ კარინას მთელი სიცოცხლე დაამახსოვრდეს სკოლის პირველი ზარი.

— კი, რა თქმა უნდა!

ქეთევანი მიხვდა, რომ საუბარმა სხვა კალაპოტში გადაინაცვლა და იქ მსხდომთ გადახედა, იქნებ ამათ თქვან რაიმე საზრიანიო, რომ სასიკეთო, სასარგებლო საუბარი გაგრძელებულიყო.

— წუხელ ჩვენს სასტუმროს კონსტანტინე გამსახურდია[1] ეწვია, მეუღლე მირანდა და ქალიშვილი თამარი თან ახლავს, — თითქოს შემთხვევით წარმოთქვა კოტემ, თუმცა მეუღლის შემოხედვამ კარგად აგრძნობინა თუ როგორ უნდა მოქცეულიყო. — ვესტიბიულში რომ შემოვიდა, დავინახე, მაშინვე მივედი, მივესალმე და მოვიკითხე; როგორც ჩანს, ზვიადიც მალე შეუერთდება ოჯახს.

— სხვათა შორის, ამბობენ, რომ და-ძმას შორის შავმა კატამ გაირბინაო! — დაურთო ქეთევანმა.

— შესაძლებელია მართალია. ზვიადს უნდა მამის ერთადერთი მემკვიდრე იყოს, მაგრამ კონსტანტინე არ არის თანახმა, ქალიშვილი მას არანაკლებ უყვარს, ვიდრე ვაჟი. გაგრაშიც მისთვის ჩამოვიდა. ამბობენ — ავად ჰყავს თამარიო.

— მიკვირს „გაგრიფშში“ რომ მოვიდნენ. მათ ხომ აგარაკი აქვთ ლიძავაში, ზუსტად „კოლხური კოშკის“[2] მსგავსი შენობა ააგეს, მედეა ჯაფარიძის[3] აგარაკის გვერდით.

1. ცნობილი ქართველი მწერალი.

2. თბილისში, კ. გამსახურდიას სახლი, ცნობილი „კოლხური კოშკის“ სახელწოდებით. იმ წელს, როცა ბატონი კონსტანტინე „გაგრიფშს“ ეწვია, ავტორს შესაძლებლობა მიეცა გასაუბრებოდა მას.

3. თეატრისა და კინოს ცნობილი ქართველი მსახიობი.

— ჯერ არ არის დასრულებული, რემონტდება, კაპიტალურად აკეთებენ. — მიუგო ცოლს კოტემ.

— კარგი მწერალია, — თქვა კრისტინიმ, — მე წავიკითხე მისი „დიდოსტატის მარჯვენა“, ძალიან მომეწონა.

— რუსულ თარგმანში სტილი არ არის დაცული, — ჩაერთო საუბარში კოტეს გვერდით მჯდომი მამაკაცი და ლიმონათის ბოთლი ბრტყელ ქვაზე დადო, ქოლგის ჩრდილის ქვეშ. — გამსახურდიას სტილის შენარჩუნება, შეუძლებელია, მისი სხვა ენებზე თარგმნის დროს, საერთოდ.

— არჩილ, კრიტიკოსებს თუ დავუჯერებთ, ზმნის ბოლოს ხმოვანი „ო“-ს დამატება ქართული ენის დამახინჯებაა, და არა სტილი.

— გამსახურდია ბევრს არ უყვარს, განსაკუთრებით გამოჩენილ მწერლებს. ძველი სენია ეგ. — არ დაეთანხმა მას არჩილი. — ბატონმა კონსტანტინემ დიდი დრო დაუთმო თარგმანს, განსაკუთრებით — „ღვთაებრივ კომედიას“, „ახალგაზრდა ვერტერის ვნებას“... და ამით ბევრი რამ წაართვა საკუთარ შემოქმედებას.

— „გოეთეს ცხოვრების რომანზე“ არაფერს ვიტყვი, გერმანული ენა ბრწყინვალედ იცის, ლაიფციგის, მიუნხენის, ბერლინის უნივერსიტეტებში სწავლობდა... იტალიური ენა კი კარგად არ იცის. „ღვთაებრივ კომედიას“ იგი, ძირითადად, გერმანული და რუსული ტექსტებით თარგმნიდა, ამიტომ ლექსი თეთრი გამოუვიდა.

— სამაგიეროდ, ალეგიერის პოეზიას აზიარა ქართველი მკითხველი. დანტე და რუსთაველი მიუწვდომელ მწვერვალზე დაამკვიდრა. წარმოუდგენელი, ჩვენთვის უცნობი, სრულყოფილი პარალელებით დააკავშირა ერთმანეთს მსოფლიოს ეს ორი, განუმეორებელი, პოეზიის კორიფე.

— მორჩი რა, არჩილ! ჰემინგუეს გაუტოლა თავი. ამერიკელი მწერალი საქართველოში რომ იმყოფებოდა, ერთად ინადირეს, სურათიც გადაიღო მასთან, კონსტანტინე ლორთქიფანიძეს[1] კი „კომუნისტში“ წერილი გამოაცხობინა, გამსახურდია უფრო დიდი მწერალი და მარჯვე მონადირეა, ვიდრე ჰემინგუეიო. ამაზე რას

1. ცნობილი ქართველი მწერალი.

იტყვი?! კაცი აფრიკის ჯუნგლებში, მთაში თუ ბარში ვეფხვებზე და ლომებზე ნადირობდა, ორ მსოფლიო ომში მიიღო მონაწილეობა... ეს კი აქ კურდღელს, ხოხობს, კაკაბს და გნოლს ესვრის და „უფრო მარჯვეა“, არა?

— კარგია სიგარეტი მქონდეს, — მშვიდად თქვა არჩილმა, — მოწევას არაფერი მირჩევნია ახლა. — მერე მეგობარს შეხედა და ცნობილი ფრაზა წარმოთქვა: „თქვენ დაკარგული თაობა ხართ“[1], ვინ თქვა ეს? ისე, კოტე, ჩვენ შორის დარჩეს და ნადირობა მწერლობის ეტალონი არ არის, რუსთაველი თავგამოდებული მონადირე რომ ყოფილიყო, ნადირობას ისე კარგად ვერ დახატავდა, ზიჩის სურათში რომ ვიხილეთ შემდგომ. მჯობნის მჯობნი არ დაილევაო, მაგრამ რუსთაველის მჯობნი მე არსად მეგულება... სხვათა შორის, ჰემინგუეიმ ინგლისური ენის გრამატიკა კარგად არ იცოდა, ყველაფერს რედაქტორები უსწორებდნენ გულისყურით. რაც შეეხება გამსახურდიას, როგორც ჰემინგუეი, მოდერნისტული სკოლის წარმომადგენელია ექსპრესიონისტული იდეების გამოხატვისათვის, თავის დროს, დიდი ხრკი გაიღო.[2] და მაინც, ჩემი აზრით, მწერლის მთავარი ღირსება მისი წერის მანერაა, გონების მხატვრული ჰორიზონტია, ისეთი, აი, ამ ცისა და ამ ზღვის ზედაპირს რომ გაარღვევს და ისე აგაღელვებს, რომ კაცს თავს დაგახრჩობინებს. — უცებ წამოდგა და წყალში ბეჰემოტივით შეტოპა, ჯერ ხელები მარჯვედ მოუსვა. მხარულით მიცურავდა, მაგრამ მალე ჰაერი აღარ ეყო, უკან გამოცურა და ნაპირს რომ მიუახლოვდა, ფეხზე დადგა, მიმოიხედა, წყალი წელამდე სწვდებოდა, თვალებიდან მარილიანი წყალი ჩამოიწმინდა და კოტეს გასძახა:

— შემთხვევით ირაკლი აბაშიძის[3] პოემა „პალესტინა, პალესტინა“ ხომ არ წაგიკითხავს?

1. ფრაზა ეკუთვნის XX ს. მოდერნისტული სკოლის წარმომადგენელს გერტრუდა სტაინს. იგი მფარველობდა ჰემინგუეის.

2. იგულისხმება: „დიონისეს ღიმილი“, „პორცელანი“, „ლილ“, „ქალის რძე“ — ავტ.

3. ცნობილი ქართველი პოეტი.

— წავიკითხე. მაგარი რამეა.

— განსაკუთრებით „ხმა კატამონთან“.

— რუსთაველის პრემიას შეწვდა.

— ძმობას გაფიცებ, მითხარი, კიდევ დიდხანს ვიკამათებთ რუსულ ენაზე?

— თუ ქალბატონ კრისტინს ესიამოვნება, რატომაც არა?

ქეთევანი და კრისტინი ყურადღებით უსმენდნენ მოკამათეებს და როცა ყველაფერი მშვიდობიანად დასრულდა, ორივემ შვებით ამოისუნთქა და წრფელი გულით გადაიკისკისეს — არჩილისა და კოტეს ბოლო ფრაზების გაგონებისთანავე.

კოტე მეგობართან შეკამათებამ ცოტა კი გაანაწყენა, მაგრამ ცხარე საუბრის კეთილად დასრულებამ სიამე მოჰგვარა და უცებ შეწითლებულ ფეხებს დახედა.

— დიდხანს მზეზე წოლა არ არი სასარგებლო, — უთხრა ცოლს, — უნდა დავისველოთ ტანი. — იგი წყალში შევიდა, რათა გაოფლიანებული სხეული გაებანა.

ქეთევანმა ქმარს არ უპასუხა, ისევ მზეს მიეფიცხა. კრისტინიმ შემთხვევით ისარგებლა და ადგა, რეზინის რგოლი გაბერა და ქალიშვილს გასძახა, ანიშნა, რომ მასთან მისულიყო. კარინამ ბიჭებთან თამაშს თავი მიანება, დედასთან მიირბინა, რომელმაც მას რეზინის რგოლი თავზე გადააცვა — გოგონამ ჯერკიდევ არ იცოდა ცურვა და ამიტომ დედა შიშობდა, რომ ბავშვს უნებლიეთ ზღვის წყალი არ ჩაეყლაპა.

ლირიკული წიაღსვლა
ხატი სალოცავი
თეთრი ლექსი

ეძღვნება დედას

ხატი სალოცავი!

ქალი — დედა, ზღაპარში ამოსული მზეთუნახავი. დაუსრულებელია ძალა მისი დედობრივი სიყვარულისა!

ყველას ჰგონია, რომ ეს პოეტური სახეა მხოლოდ, რომ ის დიდი ხანია უკვე გაქრა, რეალურად აღარ არსებობს და XX-XXI საუკუნეებში ლეგენდად დარჩა, როგორც ხელოვნების განუმეორებელი ფორმა, მხატვრული მეტყველების ხატოვანების უკვდავი ნიმუში.

მაგრამ ისინი ცდებიან. ეს ხატება არ გამქრალა და არც არასოდეს გაქრება. იგი აქ არის, ჩვენს გვერდით დგას და მუშაობს. თან ცოტა როდი აქვს საფიქრალი და საზრუნავი: სარეცხი უნდა გარეცხოს, ქმარ-შვილს გემრიელი სადილ-ვახშამი გაუმზადოს — დღეისათვის, ხვალისათვის.

ქალი — დედა, ზღაპრიდან გადმოსული მზეთუნახავი, სახატე და სალოცავი!

ხომ არ ავიწყდებათ, რომ ის ლეგენდა კი არა ცოცხალი არსებაა და უნდა ყურადღება და სიყვარული?!

აი, იგი ქუჩაში მიდის, მაღაზიასთან ჩაიარა და ხედავს ვიტრინაში ქალის ფეხსაცმელი ძევს, ლამაზია და ყოველდღიურ სახმარადაც გამოადგება. უნდა იყიდოს, რადგან ძველი უკვე გაცვდა და „ხუთი წუთით“ შეირბენს მაღაზიაში, მაგრამ როცა ერთი საათის მერე გამოვა, გაახსენდება, რომ რაღაც უნდა ეყიდა თავისთვის... მიუხედავად ამისა, ის მაინც კმაყოფილია — უყიდა ქალიშვილს კოფთა და საზაფხულო წითელი მაშიები. გაიხარებს ბავშვი, მისი ბედნიერი სახის დანახვა ერთ ქვეყანად ღირს. ფეხსაცმელი მოიცდის, ძველი ცოტას კიდევ გაძლებს.

...დღე მიდის და დღე მოდის — მზეთუნახავო! საკუთარ თავზეც ხომ უნდა იფიქრო. მიიხედ-მოიხედე, რაგინდარა მამაკაცი

აგედევნება კვალდაკვალ. მაგრამ არა, მის თვალებში მარტოდ-მარტო ერთი კითხვა ჩანს: როგორ დაეხმაროს ქალიშვილს?

...კოტეს ბიჭებმაც მიანებეს თავი ქვიშაში თამაშს, დედა-შვილს გაუსწრეს და ყიჟინით, თავით გადაეშვნენ ზღვაში. ეტყობოდათ, რომ ცურვა რიონის ჩქერებში ჰქონდათ ნასწავლი, რადგან სწრაფი მხარული მოუსვეს — მთის მდინარეში ცურვანასწავლი ყმაწვილებისთვის დამახასიათებელი.

— უყურებ, რა კარგად ცურავენ, — უთხრა კრისტინმა ქალიშვილს, — არა უშავს, შენც მალე ისწავლი, მთავარია ყურადღებით მომისმინო და ყველა ილეთი კარგად დაიმახსოვრო.

დამსვენებელთა უმრავლესობა ძალიან შორს გაცურვას ერიდებოდა, კიდეც რომ მოეწადინებინათ ვერსად გაიქცეოდნენ, მაშველთა კატერები დროგამოშვებით დაჰქროდნენ ჰორიზონტის პარალელურად. ამიტომ, ზღვის სანაპირო ისე იყო გადაჭედილი, როგორც იტყვიან, ნემსს ვერ ჩააგდებდი. ვინ ბურთს თამაშობდა, ვინ წყალზე ზურგით იწვა, თავი ოდნავ ზემოთ აეწია, ისვენებდა და თან მზის სათვალეებით გარემოს აკვირდებოდა, ზოგიერთები გამაფრთხილებელ ტივტივასთან მოსულიყვნენ, ბევრი ზღვის ველოსიპედით სეირნობდა.

აფხაზეთის ჩრდილო საზღვარი კავკასიონის მთავარი წყალგამყოფი ქედის თხემს გასდევს, სამხრეთით და სამხრეთ-დასავლეთით შავი ზღვა აკრავს. ჩრდილო-დასავლეთით საზღვარი მდინარე ფსოუზე გადის. აქვე ჩამოედინება სიხარულა, სოფელ ლესელიძესთან. აღმოსავლეთით სვანეთ-აფხაზეთის ქედი და მდინარე ენგურის ქვემო დინება საზღვრავს, ჩრდილოეთით კი კრასნოდარის მხარე და ყარაჩაი-ჩერქეზეთის ავტონომიური ოლქი.

ლესელიძის სასაზღვრო ზოლიდან გაგრამდე 25 კმ-ია. მდინარეებს — ფსოუსა და ხაშუფსას შორის ვაკე-დაბლობია. სანაპირო ზოლში შეჭრილია გაგრის და ბიჭვინთის უბეები. პლაჟები ქვიშიანია, გაგრასთან — ვიწრო, ლესელიძესთან და ბიჭვინთასთან — განიერი.

აფხაზეთის ეს კურორტები: ლესელიძე, განთიადი, გაგრა, ბიჭვინთა, ლიძავა გაგრის ქედის სამხრეთ-დასავლეთ ზონაშია მოქცეული და სოხუმ-სოჭის სარკინიგზო და საავტომობილო გზით უკავშირდება ერთმანეთს და ისინი, არსებითად, განსხვავდებიან აჭარის უმშვენიერესი კურორტებისაგან — ბათუმის, ქობულეთის და ურეკისაგან. საქართველოს ზღვისპირა ზოლის ეს ორი რეგიონი, რომელთა შორის მანძილს, ილ-14 ტიპის თვითმფრინავი საათზე ნაკლებ დროში ფარავს, საოცრად კონტრასტულია. ქობულეთისა და ურეკის პლაჟი ათასწლოვანი ხნისაა, კოლხეთის დაბლობის სამხრეთ-დასავლეთ ნაწილში მდებარეობს მდინარეების კინტრიშისა და ნატანების ქვემო დინებებს შორის და შავი (მუქი-ნაცრისფერი) სილისაგანაა შექმნილი. იმ უამრავ სამკურნალო თვისებათა შორის, რომელიც ამ ქვიშას გააჩნია, არის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი: საკურორტო ზონის თბილი ზამთარი, ცხელი ზაფხული და ცხელი სილა, უშვილოთათვის განაყოფიერების უებარი საშუალებაა. აქ ზღვის ფსკერიც სილიანია. ეს იმის გამო, რომ აქედან სულ ახლოს ზღვაში ჩაედინება დასავლეთ საქართველოს დედა მდინარე — რიონი. უბერებელი ფასისი; ზღვის სიღრმე წყალში თანდათან მატულობს, შესაძლებელია, ფსკერზე ზოგჯერ ას მეტრზე მეტი ფეხით გაიარო და წყალი მხოლოდ წელამდე მოგწვდება, რაც ხმელთაშუა ზღვის ცნობილი კურორტებისთვისაა დამახასიათებელი. აფხაზეთის შავიზღვისპირეთში კი, ნაპირიდან უკვე სამი მეტრის იქით, მიწას ფეხით ვერ შეეხები, მერე უფსკრულია, ამიტომ ტურისტებისაგან ხშირად გაიგონებთ ასეთ სიტყვებს:

„მსოფლიოში, თითქმის, არც ერთი ქვეყანა არ გაგაოცებს კონტრასტებით, როგორც საქართველო. ზღვაც და მთაც გამოუცნობია“.

კრისტინი ქალიშვილს ცურვის წესებს ასწავლიდა, დაბეჯითებით უხსნიდა თუ როგორ უნდა ემოქმედა წყალში ხელებით და ფეხებით; როგორ უნდა ჩაესუნთქა და ამოესუნთქა ჰაერი.

ქეთევანსაც მობეზრდა მზის მცხუნვარება და ისიც წყალში შევიდა. ცურვა არ იცოდა და ნაპირთან ახლოს წყალში ისე ჩაეშვა, რომ მხოლოდ თავი უჩანდა.

— კრისტინოჩკა, გენაცვალე, — უთხრა მან მეზობელს — მომავალ წელსაც გვესტუმრე გაგრაში. ჩვენ აქ დაგხვდებით სასტუმროში და მეც მასწავლე ცურვა.

— პირველ გაკვეთილს ახლავე ჩაგიტარებთ: წყალში ყოფნისას ამოისუნთქეთ, — აუხსნა კრისტინმა, — და მერე ყოველ მესამე ან მეორე მოსმაზე თავს ამოყოფთ და ისევ ჩაისუნთქავთ ჰაერს.

— ვინც ცურვა იცის მისთვის ადვილია, მე კი, ვატყობ, გვარიანი ვარჯიში დამჭირდება.

ქეთევანის ბიჭებმა, იქვე რომ იდგნენ და ხუმრობით ერთმანეთს წყალს ასხურებდნენ, დედას გასძახეს: „ხელები ასე მოუსვიო“ და წყალში გადაცვივდნენ.

კოტემ ცურვის ჟინი მოიკლა, უკან ნაპირთან გამოცურა და ფეხზე რომ დადგა, არჩილმა იმ მიზნით, რომ კრისტინს გაეგონა, მასთან საუბარი ისევ რუსულ ენაზე გააბა.

— იერუსალიმის ჯვრის მონასტერი შუა საუკუნის ქართული რელიგიური და კულტურულ-საგანმანათლებლო ცენტრია. იგი, ბაგრატ IV-ის სამეფო კარის მხარდაჭერით და დახმარებით ააშენა ქართველმა მოღვაწემ გიორგი შავშელმა. 1071 წ. იერუსალიმის აღებისას, თურქ-სელჩუკებმა მონასტერი დაარბიეს და ნაწილობრივ დაანგრიეს. დავით IV აღმაშენებლის დიდი ძალისხმევით და ფულადი დახმარებით მონასტერი აღადგინეს, განაახლეს, მოხატეს და ისევ ქართული მართლმადიდებლური სული შთაბერეს, რომელიც შემდეგ თამარ მეფემ არაერთხელ განამტკიცა მატერიალური დახმარებით — ქართული უფლებრივი მდგომარეობის გაუმჯობესების თვალსაზრისით. XVII საუკუნის დასასრულამდე ქართველმა მეფეებმა და საზოგადო მოღვაწეებმა შეძლეს მისი შენარჩუნება, მერე კი მონასტერი სინას მთის სხვა ქართულ სავანეებთან ერთად, იერუსალიმის საპატრიარქოს დაექვემდებარა, აგერ უკვე 200 წელზე მეტია და მგონი, იგი ყველას დაავიწყდა. ახლახან ისრაელში გაგზავნილმა სამეცნიერო-ეთნოგრაფიულმა ექსპედიციამ, რომლის შემადგენლობაში იყვნენ: ირაკლი აბაშიძე,

გიორგი წერეთელი და აკაკი შანიძე,[1] რომლებმაც დაადასტურეს ეს საყოველთაოდ ცნობილი ფაქტი და სწორედ ჯვრის მონასტერში აღმოაჩინეს შოთა რუსთაველის პორტრეტი. ალბათ, თქვენ, ყველანი გაიგონებდით ამის შესახებ.

მაშინ, ქვეყანაში გამომავალი ყველა გაზეთი, რადიო და ტელევიზია ამ საოცარ აღმოჩენაზე წერდა და მსჯელობდა, რა თქმა უნდა, კრისტინმა ეს ამბავი ზედმიწევნით სრულად იცოდა, მაგრამ ქალმა იგრძნო, არჩილის ეს ისტორიული ექსკურსი მის გასაგონად რომ იყო წარმოთქმული და ამიტომ გამოეხმაურა.

— ეს ამბავი ხომ საკავშირო მასშტაბით არის ცნობილი, დღეს ყველა ამაზე ლაპარაკობს და არა მარტო კავშირი... ამ ამბავმა მსოფლიო საზოგადოება განაცვიფრა.

— იცით კი, როგორ, რა ხერხით შეძლო ირაკლი აბაშიძემ მიეღო ისრაელში, კერძოდ, იერუსალიმში გამგზავრების ვიზა?

კრისტინის გაეღიმა. არჩილის კითხვა პოლიტიკურ ასპექტს მოიცავდა, რომელშიც ქალი კარგად არ იყო გათვითცნობიერებული და უარის ნიშნად თავი გააქნია, „არა, არ ვიციო“.

არჩილს კი სათქმელი უკვე ენის წვერზე ეკიდა და ერთი სული ჰქონდა გადმოემღერებინა ის რთული პერიპეტიები ამ საქმის ირგვლივ, რომელიც სხვისგან გაეგონა.

ეს იყო პერიოდი, როცა საბჭოთა კავშირსა და ისრაელს შორის დიპლომატიური ურთიერთობა თითქმის არ ფუნქციონირებდა. კავშირში ისევ მიმდინარეობდა პარტიული წმენდა, ყველა თავის ტყავს და თავის სკამს უფრთხილდებოდა და რა დასამალია, ისრაელის ხსენებას გაურბოდნენ, არა მარტო სახელმწიფოებრივ სტრუქტურებში, არამედ საზოგადოებრივი თავშეყრის ადგილებშიც.

საუბარში კოტე ჩაერია.

— ეს საქმე ვასილი პავლოვიჩმა[2] გაჩარხა, როცა ხრუშჩოვი თბილისში ჩამოფრინდა.

1. ცნობილი ქართველი მეცნიერები.
2. ვ.პ.მჟავანაძე, საქ.ცკ კომპარტიის პირველი მდივანი (1957-72).

— ე, ძმობილო, საით გაფრინდა ჭიამაია? ახლოს კი მოარტყი, მაგრამ მთლად მართალი არ არის. ვასილი პავლოვიჩმა, სხვათა შორის, უბრძანა კიდეც ირაკლი აბაშიძეს, ნიკიტასთან ისრაელი არ ახსენოო.

— საინტერესოა, მჟავანაძის გარდა ასეთ რთულ ოპერაციას მაშინ ვინ დაკვანწავდა? იქნებ, ეს შენი დამსახურებაა, ჩემო არჩილ?! — გამომწვევად ჰკითხა მას კოტემ. არჩილიც ამას უცდიდა.

— რასაც ახლა გიამბობთ, საიდუმლოდ გამანდო მწერალმა ოტია იოსელიანმა.[1] თუმცა, ისეთი არც არაფერია, გამხელა რომ არ შეიძლებოდეს. იგი, როგორც ეს თვითონ თქვა, მოხვდა მწერალთა იმ სიაში, რომლებიც დაპატიჟეს იმ წვეულებაზე, მჟავანაძემ ხრუშჩოვს რომ გაუმართა წყნეთის აგარაკზე. მაშინ ქართველ მწერლებს ირაკლი თავკაცობდა, როგორც მათი კავშირის თავმჯდომარე. მაგიდა ორასი პერსონისთვის იყო გაშლილი. ნიკიტა სერგეევიჩი და ვასილი პავლოვიჩი მეუღლეებით მაგიდის თავში ისხდნენ. შემდეგ კი, მაგიდის ორივე მხარე ეკავათ ბობოლა ჩინოვნიკებს ცენტრალური კომიტეტიდან, უმაღლესი საბჭოდან, მინისტრთა საბჭოდან, უშიშროებიდან და პროფკავშირებიდან, ხოლო მათ შორის შენაცვლებით მწერლები, მსახიობები, მუსიკოსები და მსხვილი წარმოება-დაწესებულებების ხელმძღვანელები ისხდნენ. და აი, როცა თამადამ სკკპ ცკ გენერალური მდივნის, პატივსაცემი სტუმრის ნიკიტა სერგეევიჩის სადღეგრძელო წარმოთქვა, მთასავით წამოიმართა, თურმე, ირაკლი, ახოვანი, მაღალი, წარმოსადეგი ქართველი, აიღო მაგიდიდან სხვადსხვა ხილით სავსე ბროლის ვაზა, იქვე დააპირქვავა, — ჭურჭელი ხილისაგან დაცალა, თან შამპანურს დასწვდა, მოხდენილად მოაძრო საცობი და დინჯად გაემართა ხრუშჩოვისაკენ. თან გზადაგზა ღვინოს ვაზაში ასხამდა. როცა ბოთლი დაიცალა, დადგა მაგიდაზე, აიღო

1. ოტია იოსელიანი 80-იან წლებში იყო ქუთაისის მესხიშვილის სახ. თეატრის სამხატვრო ხელმძღვანელი. ავტორს ჰქონდა მასთან ურთიერთობა და ერთხელ, ყველას თანდასწრებით მოჰყვა ზემოაღნიშნული ამბავი.

მეორე — სავსე, ისიც ვაზაში გადააპირქვავა და მისთვის დამახასიათებელი დარბაისლობით განაგრძო გზა პარკეტის იატაკზე დაფენილ ძვირფას ხალიჩაზე. გენერალური მდივნიდან რამდენიმე ნაბიჯის მოშორებით შედგა, ვაზა მარჯვენა ხელით შემართა და ხმამაღლა, გამართული რუსულით, წარმოთქვა:

— ძვირფასო ნიკიტა სერგეევიჩ, მე ვსვამ თქვენს სადღეგრძელოს! — ამ სიტყვებით სასმისი ტუჩებთან მიიტანა, სულმოუთქმელად გამოსცალა, ცარიელი ჭურჭელი მაგიდაზე დადო და დარბაზიდან გავიდა.

ხრუშჩოვმა გაკვირვებით შეხედა, თურმე, მჟავანაძეს და შეეკითხა „ვინ არის, ეს გოლიათი?“ მჟავანაძემ უპასუხა, რომ ეს „ირაკლი აბაშიძეა, პოეტი-აკადემიკოსი, საქართველოს მწერალთა კავშირის თავმჯდომარე“. „მერე რა უნდა?“ „ისრაელში გამგზავრება სურს. იქ იერუსალიმის ჯვრის მონასტერში, როგორც ვარაუდობენ, შოთა რუსთაველის საფლავი უნდა იყოს; ჰოდა, სურვილი აქვს, რომ მოიკვლიოს და ნახოს“.

„გენსეკმა“ უეცრად მაგიდას დაარტყა ხელი და ჩაიბუზღუნა: „მერე რა, წავიდეს, თუ უნდა“. ეს ფრაზა არჩილმა ღვინონასვამი კაცის კილოთი წარმოთქვა.

— რაღაც დაუჯერებელ ისტორიას კი მიაგავს. — თქვა დაეჭვებულმა კოტემ.

— მე გადმოგეცით ცნობილი მწერლის ოტია იოსელიანის ნაამბობი, შენ კი, გინდ დაიჯერე, გინდ — არა.

— ჩვენი წინაპრები ორ ბოთლ ღვინოს ყურის ძირში ისხამდნენ. სრულიად დასაშვებად მიმაჩნია, რომ ირაკლიმ, იმ მომენტში, იდეის განხორციელების მიზნით, როგორც ამ შემთხვევაში იტყვიან — სამშობლოსათვის, თავი გასწირა და ის ვაზა, ბოლომდე გამოცალა. ადვილი დასაჯერებელია, რომ სწორედ ამის გამო ჩაეხლიჩა ხმა. — თქვა ქეთევანმა და ზღვიდან გამოვიდა.

კრისტინი შეეცადა საკუთრი შთაბეჭდილება გამოეთქვა.

— ეს ისტორია დასამახსოვრებელია. პატივცემულო არჩილ, ამბობენ, რომ თქვენი დიდი პოეტი გალაკტიონ ტაბიძე, თუ ეს სიმართლეა, ლექსს ვერ წერდა, თუ მთვრალი არ იყო. სხვათა შორის,

ამას ესენინზეც ამბობდნენ, რასაც სხვადასხვა მიზეზებით ხსნიან, მაგრამ ირაკლი აბაშიძეზე, მაპატიეთ, ამის მსგავსი არაფერი გამიგია. ის რომ, შესაძლებელია ორი ბოთლი ღვინო ერთბაშად დალიოს კაცმა, მე წარმოდგენაც არ შემიძლია. ერთი კი ზუსტად ვიცი, ბატონი ირაკლი სოციალისტური შრომის გმირია; წაკითხული მაქვს მისი ლექსები თარგმნილი მეჟიროვის[1] მიერ და მჯერა, რომ ის კარგი პოეტია.

— კრისტინოჩკა, ძვირფასო, რაც თქვენ ახლა გალაკტიონზე თქვით, მტკნარი წყალია ანუ სიცრუე. ჩვენს გამომცემლობაში გალაკტიონის ხუთტომეული გამოდის, პირველი ორი ტომი უკვე იკინძება და მალე იხილავს მკითხველი. ჰოდა, აი რა, ჩემო კარგო, ყოველ ტომს ახლავს ორი განყოფილება: შენიშვნები და კომენტარები, სადაც გარკვევით, შავით თეთრზე წერია, თუ როგორი ამაგი მიუძღვის მას არამარტო ქართული, არამედ საერთოდ, პოეტიკის განვითარებაში, რაც დაკავშირებულია მსოფლიო ლიტერატურაში პოეტური ნორმების კლასიფიკაციასთან. გალაკტონი ქართული პოეტიკის ნოვატორია. ადვილი არ იყო მისთვის აკაკის[2] ავტორიტეტული ეპიგონის, მისი პოეტური ვირტუოზობის დაძლევა. უხვად მომადლებული ნიჭის წყალობით, გალაკტიონმა შეუძლებელი შეძლო, ქართული პოეტიკა ფრანგული და, საერთოდ, ევროპულ-ამერიკული პოეტიკის დონემდე აიყვანა. რა თქმა უნდა, ჰქონდა გავლენა, ვთქვათ ბარათაშვილის რომანტიზმისა, მისი სულით ობლობის, ტანჯვის მოტივებისა, უცხოელი რომანტიკოსების, მათ შორის ფრანგი და რუსი სიმბოლისტებისა! ბედნიერება გალაკტიონისათვის ლექსის ნოვატორული ფორმის ძიება, ახალი ჟღერადობის მინიჭება იყო. ამიტომაა, რომ ზოგიერთ მის ლექსს ექვსი-შვიდი ვარიანტი აქვს და მაინც, ხშირად, დაუკმაყოფილებლობის გრძნობა წვავდა, ტანჯავდა. თქვენ კი გაიძახით „ღვინო“, „ღვინო“... რაც შეეხება ირაკლის, ქეთევანის თქმისა არ იყოს, იმ დღეს, სამთავრობო ბანკეტზე რაც მოიმოქმედა, თავგანწირვის მართლა დიდებული მაგალითია და რაც მთვარია, იმ დღის, იმ საათის, იმ წუთის ქართული სისხლის ყივილს ტყუილუბრალოდ არ ჩაუვლია, საშვილიშვილო საქმე გაკეთდა. ქართველ კაცს ღვინო რომ არ უყვარდეს, წარმოუდგენელია, მაგრამ ირაკლის პირადად ვიცნობ და ვიცი, როგორი დინჯი და დარბაისელია იგი ქართულ სუფრასთან როცა ზის.[1]

Жизнь с ураганом должна быть схожа,
С ударом молнии – схожа смерть...
Должен быть друг, и недруг быть должен,
Но чтоб ни пред кем никогда не краснеть...[1]

— ბრწყინვალე შეფასებაა! — წამოიძახა გაოცებულმა კრისტინიმ — არ ვიცი რა ვთქვა. აზრადაც არ მომსვლია, თუ აქ, ზღვაზე ქართული ლიტერატურათმცოდნეობის გაკვეთილს მოვისმენდი.

ალბათ, თქვენ ლიტერატურული კრიტიკოსი ბრძანდებით. ასე მგონია, რომ დღევანდელი ბანაობა მთელი ცხოვრება დამამახსოვრდება. დიდი მადლობა, ბატონო არჩილ.

— რას ბრძანებთ, ეს ისე... არ მსიამოვნებს, როცა გალაკტიონზე აბდაუბდას ჰყვებიან და უაზროდ მსჯელობენ.

— მესმის! გავიგე... მართლა არასოდეს დამავიწყდება.

კრისტინის ზრდილობიანი ტონი არჩილს მოეწონა და როცა ქალმა ბავშვი ნაპირზე გაიყვანა, პატივისცემით თვალი გააყოლა.

1. ცნობილი რუსი პოეტი, ეროვნებით ებრაელი. ამჟამად ცხოვრობს ამერიკაში.

2. ცნობილი ქართველი სახალხო პოეტი, ახალი ქართული ლიტერატურისა და სალიტერატურო ენის რეფორმატორი ი.ჭავჭავაძესთან ერთად.

1. წინამდებარე წიგნი ავტორის მიერ თარგმნილია რუსულ ენაზე და დაიმსახურა ისრაელის სახელმწიფოს ორი მნიშვნელოვანი პრემია.

წიგნის რუსულ თარგმანში, იმ ადგილზე არჩილი კრისტინს რომ ესაუბრება, ავტორს გამოყენებული აქვს პოეტ ტარიელ ჩარქსელიანის ლექსი — თარგმნილი ავტორის მიერ რუსულ ენაზე: „სიცოცხლე უნდა ქარიშხალს ჰგავდეს, მეხის დაცემას ჰგავდეს სიკვდილი, მტერიც გყავდეს და მოყვარეც გყავდეს, მაგრამ არც ერთთან ჭამო სირცხვილი“.

ქეთევანი უკვე თავის ადგილზე დაბრუნებულიყო. კრისტინი ქალიშვილს რეზინის რგოლის მოხსნაში დაეხმარა, მუცლით პირსახოცზე დააწვინა და უთხრა: „მე ზღვაში უნდა შევიდე. მინდა გავცურო. ჩემს მოსვლამდე დეიდა ქეთევანს არ მოშორდე. მამაშენიც მალე მოვა“. ქეთევანი მყისვე გამოეპასუხა: „ნუ გეშინია, კარინა ჭკვიანი გოგოა; ხომ ასეა?“ და ღიმილით ბავშვს შეხვდა.

4.

კრისტინი შავ ზღვაში შევიდა, სახე წყალში ჩამალა და სწრაფი კროლით გაცურა ტივტივისაკენ. წყალი საყვარლად მიელამუნა სახეზე, პაპანაქება სიცხე დაავიწყა, თმები დაუსველა, ტანზე აქაიქ ჭავლივით დაუარა. კრისტინი ნებივრობდა, ნეტარებდა, ადგილზე ირწეოდა. ტივტივასთან მისული უკვე ძლივსღა ითქვამდა სულს... ტივტივას კიდეს ჩაეჭიდა, რომელიც ოდნავ დაიგვერდა და წყალმა მხრებზე უბიძგა, მაგრამ მან თავი შეიმაგრა და უეცრად, ვიღაც მოცურავე შენიშნა, რომელიც ტივტივამდე მოვიდა თუ არა, მაშინვე ბატერფლაის ილეთი იხმარა და წყლიდან ტანით ამოხტა. ახალგაზრდა კაცი იყო, გარუჯული, იღიმებოდა, შავი სახე თეთრი კბილების სიქათქათეს ერთიორად აჩენდა. ქალს დაჟინებით, მოურიდებლად უყურებდა, თვალებით ჭამდა. ეს იყო დევი დონდუა, ქალი იცნობდა მას, მაგრამ არც ისე ძალიან ახლოს.

...ორი კვირის წინათ.

იმ საღამოს ყველანი — ვიქტორი, კრისტინი და კარინა რესტორან „გაგრიფშში“ ისხდნენ. ბრინჯაოსაგან ჩამოსხმული დიდი ჭაღიდან, დარბაზის შუაგულში რომ ეკიდა, ელექტრონის შუქი იღვრებოდა. რვა საათისთვის რესტორანში თავისუფალი ადგილები უკვე აღარ იყო და შვეიცარმა სადარბაზოს კარი ჩაკეტა. გარეთ კი გრძელი რიგი იდგა — ზოგი კიბეზე ჩამომჯდარიყო, ზოგი მოაჯირს ეყრდნობოდა, ხოლო ისინი, ვინც პირველები იყვნენ, მთავარ შესასვლელთან შეჯგუფულიყვნენ და მოთმინებით უცდიდნენ როდის გააღებდა კარს შვეიცარი, რომ

კლიენტურის ერთი ნაწილი იმათ სანაცვლოდ შეეშვა, რომლებმაც უკვე ივახშმეს.

დარბაზში ხმაური და მთვრალების ღრიანცელი ისმოდა. ოფიციანტები თავიანთ საქმეს აკეთებდნენ, კლიენტურისაგან დაკვეთებს იღებდნენ, ბლოკნოტში გულდასმით იწერდნენ, შემდეგ კი ჩქარი ნაბიჯით, ფაცაფუცით მიემართებოდნენ სამზარეულოს გამცემი ფანჯრებისაკენ, სადაც ჩვეულებრივ უკვე მზა, შეკვეთილ ულუფებს ალაგებდნენ. ჰაერი ცივი საუზმის, ცხელი, ორთქლით მბოლავი კერძების ოხშივარით და ღვინის სურნელით გაჟღენთილიყო. რას არ ნახავდით მაგიდაზე — შავი და წითელი მარცვალა ხიზილალა, ნადუღი, ლობიო ნიგვზით, ყველი, სულგუნი, კიტრი, პომიდორი — მთელ-მთელი და სალათად გაწყობილი, ხინკალი, ჩიბურეკი, ლულა-ქაბაბი, ცეცხლისფრად შებრაწული წიწილები და გოჭები, ჩიხირთმა, ჩახოხბილი და ქართული სუფრის მშვენება — მწვადი. ახლა, ხილი — ხილნარი!.. აქვე, შუაგულში, ბროლის ვაზებში მოკიაფე გორის წითელლოყება თურაშაული ვაშლები და ატმები, გულაბი მსხლები, ყვითელი აფრიკოსები, სისხლისფრად ელვარე საზამთროები და... ღვინო, კონიაკი, არაყი — რა გინდა, რა გემოსი, რა ფერის — ვარდისფერი და თეთრი შამპანური, ხვანჭკარა, ქინძმარაული, ოჯალეში, საფერავი, მუკუზანი; ხუთვარსკვლავიანი — ქართული და არმენიული კონიაკები.

ორკესტრს, კედელთან, რომლის უკან სამზარეულო იყო, შემაღლებული ადგილი ჰქონდა დათმობილი. ორკესტრანტები ხშირად დაკვეთით უკრავდნენ, მოქეიფეების ხუშტურს ასრულებდნენ, რისთვისაც მათ გარკვეული თანხით ასაჩუქრებდნენ. ზოგჯერ, როცა თანამედროვე მელოდია აჟღერდებოდა, წყვილები, ორკესტრის გვერდით, საცეკვაო მოედანზე გადიოდნენ და თავბრუსხვევამდე ტრიალებდნენ, ვიდრე მუსიკა არ შეწყდებოდა. კლიენტების უმრავლესობა ქართველები იყვნენ, მაგრამ იყვნენ აგრეთვე რუსები, უკრაინელები, ებრაელები, უზბეკები, აზერბაიჯანელები, სომხები. ამის გამო, ორკესტრანტებს ხშირად

უხდებოდათ ნაციონალური სიმღერების შესრულება და ისინი ამისათვის მზად იყვნენ. და რაც მთავარია, ირგვლივ ისეთი შთაბეჭდილება სუფევდა, თითქოს აქ, ამ დარბაზში თავმოყრილიყო და დროს ატარებდა ერთი დიდი ოჯახი. ასეთი საზეიმო განწყობილება დაუფლებოდა ვიქტორს კრისტინასთან ერთად. ისინი განსაკუთრებით იმით იყვნენ კმაყოფილნი, რომ კარინა გამხიარულდა.

უეცრად კრისტინიმ შენიშნა, რომ მეზობელი მაგიდიდან წამოიმართა მაღალი, ბრტყელბეჭიანი, მზისგან გაშავებული ოცდათხუთმეტიოდე წლის მამაკაცი. აშკარად ეტყობოდა შეზარხოშებული რომ იყო და როცა გაიღიმებდა, თეთრი კბილები მისი სახის შავ ფონზე, უფრო ბრწყინავდა, უფრო კაშკაშებდა. ცისფერი პერანგი გაღეღოდა, ნამზეურ მკერდზე ოქროს მსხვილი ჯაჭვი და ჯვარი ეკიდა. ლამაზი კაციაო, იტყოდით, მაგრამ აბუჩი, დამცინავი იერი ედო სახეზე, რაც საერთო შთაბეჭდილებას აფუჭებდა. მოგვიანებით კრისტინი გაიგებს, რომ მას, აქ, „გაგრიფშის დონ-ჟუანს“ ეძახდნენ, ამბობდნენ, რომ ქალებთან მისი ურთიერთობა ელვისებურად წამიერიაო, რადგან მცირე ხნის მერე ისინი მას ისევე ავიწყდებოდა, როგორც ის მსახიობი, რომელსაც ფილმის გადაღებისას ჩვეულებრივ აუცილებლობის გამო ჰკოცნიან. მიხვრა-მოხრა დარბაისლური ჰქონდა და მაგიდებს შორის რომ გაიარა, წამიერად კრისტინის სიახლოვეს შედგა, ამით, თითქოს ეუბნებოდა, აბა, შემომხედე რა წარმოსადეგი, რა მომხიბვლელი ვარო.

ქალმა შენიშნა, რომ კაცმა უტიფრად შეხედა და თვალი აარიდა, ბავშვს რაღაც შენიშვნა მისცა, ისე, ყასიდად. ამასობაში ის კაცი ესტრადაზე ავიდა, ორკესტრის ბიჭებს ძმაკაცურად გამოელაპარაკა, ჩანდა გაშინაურებული იყო მათთან. მალე როიალს მიუჯდა და როცა ერთმა საქსოფონისტმა მიკროფონი ახლოს დაუდგა, გრძელი, ლამაზი თითები კლავიშებზე პიანისტისათვის დამახასიათებელი ვირტუოზულობით გადაატარა და ორკესტრის აკომპანიმენტის ქვეშ სიმღერა დაიწყო, — ხმა კარგი ჰქონდა:

თბილისო ეშხი თუ არ გაქვს, მზეთუნახავი ქალისა,
რაღა შენს თავზე აფრინდა, ხოხობი გორგასალისა,
ვიცი, ერთხელაც დაგიჭერ, ისე ამ გულმა იხაროს,
შენ ჩემთან იყო თბილისო და ქალმა არ შემიყვაროს.[1]

მომღერალს მელოდია დასრულებული არ ჰქონდა, ტუჩებგახეული ღიმილით და ლანგრით ხელში, ოფიციანტი რომ დადგა ცოლ-ქმრის მაგიდასთან.

— ეს თქვენი ფეშქაშია, პატივცემულო! — თქვა ოფიციანტმა და მაგიდაზე ორი ბოთლი წითელი შამპანური ჩამოდგა.

გაკვირვებული ცოლ-ქმარი ოფიციანტს მიაშტერდა.

— ჩვენ შამპანური არ შეგვიკვეთავს. — ხელები გაასავსავა ვიქტორმა.

— ხომ გითხარით, ფეშქაშია-მეთქი.

— ვისგან არის? — ცხარედ იკითხა კრისტინმა.

— აი, იმ ახალგაზრდამ გამოგიგზავნათ, ახლა ესტრადაზე რომ უკრავს და მღერის.

— ჩვენ შამპანურს არ ვსვამთ, გთხოვთ, წაიღეთ უკან!

— ბოდიში, ქალბატონო, ამის უფლება მე არა მაქვს. დაკვეთა თქვენს სახელზეა, ადრესატი თქვენა ხართ. ასეთი პრაქტიკა ყველა რესტორანშია მიღებული. თუ არ გნებავთ ნუ დალევთ.

ოფიციანტი გაქრა.

— რა ვქნათ? — იკითხა აღელვებულმა ქალმა, მაგრამ ვიქტორმა პასუხის გაცემა ვერ მოასწრო, რადგან ამ დროს ორკესტრმა დაკვრა შეწყვიტა და უცნობი მასპინძელი ბოძივით დაესო მათ მაგიდასთან.

1. ლეგენდის თანახმად დაჭრილი ხოხობი ჩავარდა თბილ წყალში, მიწიდან რომ ამოჩუხჩუხებდა, სადაც ვახტანგ მეფემ ააშენა ქალაქი და უწოდა თბილისი. ამ სიუჟეტზე ავტორს შექმნილი აქვს მოთხრობა — „სამი ანგელოსი“, რომელიც შესულია წინამდებარე წიგნში.

— პატივცემულნო, თქვენი მონა-მორჩილი, ინჟინერ-გეოლოგი, ძველი თბილისის მომღერალი, პრეფერანსის მოტრფიალე დევი დონდუა!

დონდუამ თავისი პროფესია — „ინჟინერ-გეოლოგი“ რომ ახსენა, ვიქტორი მაშინვე წამოდგა.

— საოცარი დამთხვევაა, პროფესიით მეც ინჟინერ-გეოლოგი ვარ, მთამსვლელი, ტექნიკურ მეცნიერებათა კანდიდატი ვიქტორ კ. — და დევის ხელი ჩამოართვა, მერე ოჯახი წარუდგინა:

— იცნობდეთ, ჩემი მეუღლე კრისტინი, მოსკოვის პოლიკლინიკის ექიმი..., — და ღიმილით დასძინა, — უაღრესად ზუსტი დიაგნოზის დასმა ეხერხება. ეს კი ჩვენი ქალიშვილი კარინაა.

კრისტინმა მისალმების ნიშნად თავი დახარა.

— კრისტინი.

— დაბრძანდით, შემოგვიერთდით, — ვიქტორმა ღიმილით მიიპატიჟა უცხო სტუმარი თუ მასპინძელი, — გავსინჯოთ თქვენი შამპანური.

ამ დროს ორკესტრმა არაბული ტანგო დაუკრა და დონდუამ ჯენტლმენურად, თხოვნით ვიქტორს მიმართა:

— თუ ნებას დამრთავთ, მსურს თქვენს მეუღლესთან ვიცეკვო.

— დიდი სიამოვნებით.

მამაკაცის დარდიმანდულობით კრისტინი მოიხიბლა და როცა დონდუამ ქალს ხელი გაუწოდა, იგი მას საცეკვაოდ გაჰყვა.

მეორე დღეს, დილით, პლაჟზე რომ გავიდნენ, კრისტინმა დაწვრილებით უამბო ქეთევანს თუ როგორ გაიცნო რესტორანში ინჟინერ-გეოლოგი დევი დონდუა.

— ორი ბოთლი წითელი შამპანური გამოგვიგზავნა... მერე, როგორ უკრავს, როგორ მღერის. ვიქტორი აღფრთოვანებულია კოლეგა რომ გაიცნო.

ქეთევანი უცებ წამოენთო, შეშფოთებული თვალებით შეხედა კრისტინს.

— ვერ დაგმართნიათ კარგი ამბავი, ძვირფასო, — თვალები გადაატრიალა ქეთევანმა, — ეგ კაცი, აფერისტია, თანაც ცნობილი, კავშირის მასშტაბით. ამბობენ, რომ ციხიდან ახალი გამოსულია. ისეთი რამეები აქვს ჩახლაფორთებული, რომ ძნელი დასაჯერებელია, მაგრამ სიმართლეს ვერსად გაექცევი. პირველად მეც ასე ვიფიქრე, როგორც თქვენ, მაგრამ როცა მიამბეს მის მიერ ჩადენილი დანაშაულებების შესახებ, წარმოგიდგენია, აღარ ვიცოდი, სად მეცინა და სად მეტირა. სულ ბოლოს, ჟოშხის კოლმეურნეების გაბიაბრუებისათვის დაუჭერიათ...

აქ, ამბავი დონდუას ყალთაბანდობისა, ქეთევანმა კრისტინის რომ უამბო

ჟოშხა, — პატარა სოფელია რაჭაში,[1] ჭრებალოს ზემოთ. მშვენიერი ადგილია, განთქმული ჰაერითა და ბუნებით, როგორ იტყვიან? — ჰო, ჰო, — ფლორითა და ფაუნით. ერთხელ, ციხიდან მორიგი განთავისუფლების მერე, დონდუა ძმაკაცებით იქ ასულა. როგორც ჩანს, ვიღაცისგან შეიტყო, რომ სოფელში უეშმაკო, მიამიტი ხალხი ცხოვრობსო. ჯერ სოფსაბჭოში მისულა და თავმჯდომარე მოუკითხავს, უთქვამს — თბილისის გეოლოგიური სამმართველოდან ვართ მივლინებით თქვენს სოფელშიო და წარუდგინა პირადობის მოწმობა, რა თქმა უნდა, ყალბი. ეუბნება მერე, აქ, ჟოშხაში ნავთობის დიდი მარაგი აღმოვაჩინეთ და მინისტრთა საბჭოს გადაწყვეტილებით, ქარხანა უნდა ავაშენოთო. სოფსაბჭოს თავმჯდომარე გამოთაყვანებულა, სიხარულისაგან ფრთები შეესხა თურმე, მაშინვე გამოუძახა კოლმეურნეობის თავმჯდომარეს და უბრძანა: „ამ კაცს საკუთარი თავივით გაუფრთხილდით და მოუარეთ. ხელი არ შეუშალოთ, რასაც გთხოვთ — დაეხმარეთ!“ სოფელში სამასი კომლი ცხოვრობდა და ყველა დონდუას წინაშე სმენაზე დამდგარა: „რა გნებავთ, ბატონო...“, „რას გვიბრძანებთ, ბატონო...“ ისიც ამას უცდიდა, შეუდგა საქმეს, გაუხედგამოუხედავს, ერთი შეძლებული კოლმეურნის ორსართულიანი სახლისთვის დაუდგამს თვალი, ენით აუწერელი კარ-მიდამო: ეზო და სახლი, საბძელი, ბოსელი, ბაკი, აგერ ვენახი — ვაზის ბაღი, მსხმოიარე მაღლარი... ახლა, ხეხილის ბაღი და ბაღჩა, ბაღნარი, გულო და სულო, რაც გინდა, რასაც მოისურვებ ყველაფერია — ხილი, ბოსტნეული, პირუტყვი, ფრინველი... ერთი სიტყვით, შევიდა ამ აბიბინებულ ეზო-გარემოში და ბრძანა — ინსტრუმენტები მომიტანეთო. აი, ის მშენებლები რომ ხმარობენ, ერთი ადგილიდან მეორეზე გადააქვთ, იმაში, როგორც ჭოგრიტში ისე იცქირებიან, ჰო, გამახსენდა — ნიველირი, ჯანდაბას მისი თავი, მერე, რომ მოუტანეს, დააყენა სამფეხზე, გაიჭვრიტა და უთხრა თავის ხალხს: „აქ, ეს ადგილი, ორმოცდაათი მეტრის რადიუსით, ლითონის ბადით შემორაგვეთ. ეს არემარე ნავთობის უდიდესი მარაგია, მძლავრი ჭაბურღილები აქ უნდა დავამონტაჟოთ!“ შემდეგ კოლმეურნეობის თავმჯდომარეს მიუბრუნდა: „ეს სახლი, საბოლოოდ, უნდა დაინგრეს, რადგან ნავთობგადამამუშავებელი ქარხნის ძირითადი კორპუსი აქ აშენდება. არ არი კარგი მაცხოვრებლებისათვის, მაგრამ სხვა ვარიანტი არაა, ნავთობით არის სავსე ეს ადგილი. სანაცვლოდ — პირველ მრავალსართულიან სახლს რომ ავაშენებთ, იმათ, ვინც აქ ცხოვრობს, მშვენიერი, ფართო, ნათელი ბინით დავაკმაყოფილებთ. მანამდე კი, დროებით, აქ ჩვენი გეოლოგიური სამმართველოს ფილიალი განთავსდება“. ერთი სიტყვით, დავთარი ისე დაუბნია სახლის პატრონს, რომ იმან „გეოლოგს“ მეორე სართული მთლად დაუთმო, სადაც დონდუამ თავისი ხალხი შეასახლა, ოღონდ, პირველ რიგში, საკუთარი კაბინეტი მოაწყო: ორი დიდი და ნათელი ოთახი დაისაკუთრა, რომლის თავზე მუშებს ტელევიზორის ანტენები გაამართვინა, და რაც ყველაზე მნიშვნელოვანია — კაბინეტში ათი ტელეფონი დაიდგა, აქაოდა საქმის დროულად მოსაგვარებლად თბილისთან და მოსკოვთან ყოველდღიური კავშირი აუცილებელიაო.

ასე და ამგვარად, საქმე დაიძრა. დაქირავებული მუშები, თვითონ კოლმეურნეები, გასამრჯელოს მოლოდინში დღესა და ღამეს ასწორებდნენ, ტელეფონის ბოძები ამართეს, კაბელები გაჭიმეს, ხოლო იმ ეზოებში, სადაც მავთულებმა გაიარა, ყველას ბლის ხეები ძირში მოაჭრევინა, უთქვამს: „ქარის დროს ტოტები ხაზებს აზიანებს და ტელეფონი ხრინწავს და ხრიალებსო“. ამის მერე, დილით და საღამოს რეპროდუქტორივით ისე გაჰყვიროდა, რომ მთხოვნელებს კი არა, მგონი მთელ სოფელს ესმოდა: „ალო, ალო, თბილისი? თბილისი, შემაერთე მოსკოვი!.. ...Алло, алло, Москва, Говорит Жошха!..

1. საქართველოს ერთ-ერთი ულამაზესი კუთხე.

...მალე, ლითონის ღობით შემორკალულ ტერიტორიაზე, სასოფლო-სამეურნეო ტექნიკის ძალებით რამდენიმე ჭაბურღილი გათხარა და თავის ძმაბიჭებს, რომლებმაც სოფელში ნავთობის გადასაზიდი მანქანა ამოიყვანეს, თითოეულ ჭაბურღილში, ღამით, მალულად, რა თქმა უნდა, რამდენიმე კასრი ნავთი ჩაასხმევინა და ადრე დილით, ჟოშხაში ნავთობის ძლიერი საბადოს აღმოჩენით აღფრთოვანებული სოფელი ჭაბურღილებთან შეიკრიბა. დონდუას კაბინეტიდან ისმოდა მისი მჟღერი, მაღალი ხმა:

«...Алло, алло, Москва, Говорит Шошха!.. Наидено новое месторождение нефти».

გაიმართა საზეიმო მიტინგი, ააფრიალეს დროშები, გამოფინეს პლაკატები, ისმოდა ლოზუნგები, შეძახილები, აქებდნენ და ადიდებდნენ ჟოშხაში ნავთობის აღმომჩენ „დიდ გეოლოგს“. დონდუამ მიულოცა სოფლელებს ნავთობსახდელი ქარხნის მშენებლობის დაწყება და აცნობა, რომ ქარხნის მშენებლობის პარალელურად საფუძველი ჩაეყრებოდა ცხრასართულიანი საცხოვრებელი სახლის, ხუთსართულიანი სასტუმროს და მანქანათა პროფილაქტიკური რემონტისათვის სამსართულიანი საწარმოს მშენებლობებს.

იმ დღიდან დევი დონდუა შეუდგა თავისი გრანდიოზული გეგმის განხორციელებას. პირველ ყოვლისა, საკუთარი აპარტამენტის და საშტატო განაწესის დაკომპლექტებაზე იზრუნა — მდივნებად და საქმეთა მმართველებად ადგილობრივი, ლამაზი გოგონები შეარჩია 16-18 წლისანი, შემდეგ კადრების შერჩევას შეუდგა: ნავთობპროდუქტების გადასამუშავებელი ქარხნის დირექტორად სოფსაბჭოს თავმჯდომარე დანიშნა, ხოლო საავტომობილო მეურნეობის სამმართველოს უფროსად — კოლმეურნეობის თავმჯდომარე. სხვათა შორის, ორივენი დააიმედა: „როცა ქარხნის მშენებლობა დასრულდება, სოფელი ქალაქის ტიპის დასახლებად გადაიქცევა და კოლმეურნეობა უკვე აღარ იქნებაო“ და ამ „დიდი საქმის გახაზირებისათვის“ თითოეულიდან აიღო ათ-ათი ათასი მანეთი. მსგავსად ამისა, მან „დანიშნა“

მთავარი ინჟინრები, ბუღალტრები, ეკონომისტები, ადმინისტრატორები და სხვა თანამდებობის პირები. ფასების ნიხრი თვითონვე დააწესა: ხუთი ათასიდან, ათი ათას მანეთამდე. ბოლოს საქმე იქამდე მივიდა, გლეხებმა მოინდომეს, რომ მას წინასწარ გაეყიდა იმ ცხრასართულიანი სახლის ბინები, რომლის აშენებასაც ის აპირებდა და, რა თქმა უნდა, ის წინააღმდეგი არ წასულა, პირიქით, წაახალისა პირველი მთხოვნელები „მთავარი ფასადის მხარეს ჩაგასახლებთო“. ასეთი მეთოდით მან გაყიდა აუშენებელი სახლის ბინები: ერთოთახიანი — ხუთი ათას, ოროთახიანი — ათი ათას, სამოთახიანი — თხუთმეტი ათას მანეთად.

აი, ასეთი დიდი აფიორა გააკეთა, დიდი ფული მოხვეტა, წარმოგიდგენია? — ჰკითხა მან მონასმენისაგან გაოგნებულ კრისტინს, რომელმაც პასუხის გასაცემად პირი კი დააფჩინა, მაგრამ ხმა ვერ ამოიღო და ქეთევანმა ლაპარაკი განაგრძო: მესმის, რაც უნდა თქვა! მოკლედ, ბევრი რომ არ გავაგრძელო, მოხვეტა ამოდენა ფული და ერთ მშვენიერ დღეს თვალსა და ხელს შუა გაქრა, სამსახურში არ გამოცხადდა. სოფელში იფიქრეს, ალბათ, თბილისში ან მოსკოვში გაემგზავრა ქარხნის მშენებლობის საქმეებთან დაკავშირებით და ამიტომ მის მიერ დანიშნული დირექტორი, სამმართველოს უფროსი, მთავარი ინჟინერი, ბუღალტერი, ეკონომისტი, მდივნები და სხვანი და სხვანი, ყოველდღე, ჩვეულებისამებრ, დადიოდნენ ახალ „სამსახურში“, სხდებოდნენ დონდუას გამოკეტილ კაბინეტის კარებთან და იცდიდნენ. იცადეს ერთი დღე, კვირა, თვე..., და, რასაკვირველია, ამის მერე სოფელი ცოტ-ცოტა აწრიალდა, ჯერ რაიკომს და რაისაბჭოს მიაკითხეს, ფრთხილად, მორიდებით იკითხეს — ხომ არ იცით თბილისიდან მოვლინებული გეოლოგი დონდუა როდის ჩამობრძანდებაო, მაგრამ რაიონულ ხელმძღვანელებს, ასეთი პიროვნების შესახებ არც არაფერი სმენოდათ და არც არავინ არაფერი იცოდა. მაშინ სოფელმა გადაწყვიტა, რომ გაეგზავნათ თავიანთი წარმომადგენლები თბილისში, მთავარ გეოლოგიურ სამმართველოში. ასეც მოიქცნენ. წარმოიდგინე ახლა, რა მდგომარეობაში აღმოჩნდებოდა ხალხი, როცა თბილისე-

ლებს გუგები გაუფართოვდათ, თვალები ბუდეებიდან გადმოეწიათ, გაოგნებული შეჰყურებდნენ რაჭველებს და გაკვირვებულები ეკითხებოდნენ: „რას ამბობთ, რა ჟოშხა, რის საბადო?!“, „ვინ არის დონდუა?!“, „რაებს ბოდიალობთ, საიდან-სადაო, ვინ გაიგონა რაჭა და ნავთობის საბადო?!“, „თქვენ რა, შერეკილები ხართ?!“, „საიდანაც მოხვედით, იქ დაბრუნდით!“

ბოლოს და ბოლოს ჟოშხელები მიხვდნენ, რომ ყალთაბანდებმა გააბრიყვეს და გადაწყვიტეს სასამართლოში საჩივარი შეეტანათ. აღიძრა სისხლის სამართლის საქმე, დონდუას ადგილსამყოფელს მალე მიაკვლიეს და დაიჭირეს. სასამართლოზე მთელი სოფელი გამოცხადდა. მოსამართლის შეკითხვაზე — რას მოითხოვთ ბრალდებულისაგანო? — თურმე ყველამ ერთხმად უპასუხა: „ჩვენს მიერ მიცემული ფული დაგვიბრუნოსო!“

დონდუას, ხელები გაუშლია, თავი მოუსაწყლებია, ისე, ვითომაც მამა აბრამის ბატკანი იყო და უთქვამს: „რა ფული, რის ფული, რავა, თამასუქით მომაბარეთ რამეთუ?“

პროკურორს საბრალდებო დასკვნის გამოტანის დროს განუცხადებია:

— დამამტკიცებელი საბუთი იმისა, რომ ბრალდებულმა თქვენი ფული მიითვისა, არ არსებობს, ვინაიდან არ არის არც ნივთიერი მტკიცება და არც იურიდიული საფუძველი, მაგრამ იმ შემთხვევაში, კიდეც რომ დაუმტკიცდეს ამ კაცს ფულის მითვისება, თქვენ უნდა იცოდეთ, რომ ქრთამის მიმცემი და ქრთამის ამღები — ყველა უნდა მიეცეს სისხლის სამართლის პასუხისგებაში. ამის გარდა, სოფელ ჟოშხის მაცხოვრებლებს დოყლაპიობისათვის ეკუთვნის დამატებითი სასჯელი.

დონდუას სამი წელი მიუსაჯეს, წელიწადნახევარში კი გამოუშვეს, და როგორც ხედავ, ახლა აქ არის და ნებივრობს, თავს იგრილებს! — ასე დაამთავრა ქეთევანმა დოუნდუას ყალთაბანდობის ამბავი და ბოლოს კრისტინს ასეთი რჩევა მისცა: მოშორდით მაგ კაცს შენ და ვიქტორი, რასმე უკუღმართობაში არ გაგხვიოთ, ხიფათს არ გადაეყაროთო.

იმ დღიდან კრისტინი ერიდებოდა ამ კაცთან შეხვედრას, ქმარიც გააფრთხილა და თუ შემთხვევით სადმე მარტოდმარტო შეეჩეხებოდა, თავდახრილი აუვლიდა გვერდს. მართალია, საბჭოთა ეპოქის დონ-ჟუანი, ქალს რამდენჯერმე დაუდარაჯდა სასტუმროს კორიდორის ნაკლებად განათებულ მხარეს, დაიმარტოხელა კიდეც, ეცადა კვლავ მოეხიბლა თავისი დარდიმანდობით და ენამჭევრობით, მაგრამ კრისტინმა კაცს მკაცრად აგრძნობინა, რომ მას მისამართი შეეშალა.

მაგრამ, როგორც ჩანდა, დონდუას იმედი მთლად გადაწურული არ ჰქონდა და როცა კრისტინი პლაჟზე უქმროდ შენიშნა, გადაწყვიტა ქალს პირდაპირ ზღვაში გამოსაუბრებოდა.

...მოულოდნელობისაგან კრისტინი მთელი ტანით შეკრთა.

— მაშ ასე, გაგრიდან ისე გინდათ წახვიდეთ ქმარს ერთხელ მაინც არ უღალატოთ, არა? — თქვა კაცმა თავისი დაუდევარი კილოთი და თეთრი კბილები გამოამზეურა.

— ეგ თქვენი საქმე არ არის. — უხეშად მიუგო ქალმა.

— საყვარელო, რატომ ჯავრობთ?

— მე არასოდეს ვყოფილვარ თქვენი საყვარელი და არც ვიქნები!

— კრისტინა, ქმრისთვის ნუთუ მართლა არასოდეს გიღალატნიათ?

შეკითხვა ქალს ისეთი უცნაური მოეჩვენა, რომ უნებურად გაეღიმა.

— ყოველ შემთხვევაში თქვენთან არა, არ ვუღალატებ.

— რით მიწუნებ? თბილისში, ყველაზე ფეშენებელურ რაიონში — სოლოლაკში — ორსართულიანი საკუთარი სახლი მაქვს — ეზოგარემო, ორი გარაჟი, შიგნით ორი ახალთახალი „ვოლგა“ დგას. მაქვს ბინები მოსკოვში და ლენინგრადში. ხომ განცხრომაა ზღვაში ბანაობა?! სულ ასე, ფუფუნებაში, უზრუნველად გაცხოვრებ. ისე ჩაცმულ-დახურული გატარებ, რომ ცენტრალური კომიტეტის მდივნების საყვარლები ბოღმისაგან გულზე გასკდებიან.

კრისტინის ქეთევანის ნაამბობი გაახსენდა მისი ყალთაბანდობის შესახებ და მას ხრიკიანი კითხვა მისცა:

— საინტერესოა, როგორ შეძელით ამოდენა ფულის შოვნა?

— ჩვეულებრივად. ამას ყისმათი ჰქვია. ადამიანს თუ ბედი აქვს, დაბადებისთანავე მთელ ტანზე თაფლი უნდა ჰქონდეს წასმული, რომ ფული თავისთავად ეწებებოდეს.

— ამ დილით თქვენი აკვიატებული ახირების გამო ადამიანი დაიხრჩო.

— თვითონ დამენიძლავა. მოსვენებას არ მაძლევდა, სადაც წავიდოდი თან მომდევდა. ჩემი ბრალი არ არის. სანაძლეო ორჯერ წავაგე. ვიფიქრე, ჯანდაბას, მესამედაც წავაგებ-მეთქი.

— რაჭაში, სოფელ ჟოშხაში გლეხები გაგიბრიყვებიათ, — და ნაცნობი ფრაზა გაიმეორა: «Алло, Москва, Говорит Жошха!»

— კრისტინოჩკა, მე მგონი ვიღაცაში გეშლებით, — თქვა კაცმა და უნდოდა ქალისათვის ხელზე ხელი ჩაეჭიდა, მაგრამ კრისტინი განზრახვას მიუხვდა, დაასწრო, ტივტივას ორივე ფეხი ჰკრა, თევზივით მოსხლეტილი გრძელი სხეული ზღვას მიანება და წყლის ზედაპირზე ზურგზე გაწოლილი გასრიალდა. როცა ბიძგის ინერცია შენელდა, მკვეთრი მოძრაობით წყალში პირდაღმა შებრუნდა, წამით მიმზიდველი, სავსე ბარძაყები გამოუჩნდა და მყისვე წყალქვეშ გაუჩინარდა, მხოლოდ ქაფი დარჩა ზღვის ზედაპირზე. რამდენიმე წამის მერე კრისტინმა წყლიდან თავი ამოყო და ნაპირისაკენ სწრაფად გაცურა. ქალურმა ინსტინქტმა აიძულა უკან მიეხედა და შენიშნა, დონდუა ტივტივას იქით გასულიყო და ძლივსღა ჩანდა. გაეღიმა, ნაპირთან აუჩქარებლად მიცურდა და მაშინვე დაინახა ვიქტორი. მას თავისი საბანაო ლურჯი ტრუსი ეცვა და კარინას გვერდით იჯდა. ფეხზე რომ დადგა, ქალი თვალებით შეეკითხა ქმარს „როგორ არის საქმე?“, როცა კაცმა შეცბუნებით მხრები აიჩეჩა, ქალი მიხვდა, რომ არც „ჟოოკვარაში“ და არც „თბილისში“ ბედმა არ გაუღიმა და დედა დანაღვლიანდა, აშკარად მოეღრუბლა სახე.

5.

ცაზეც და ზღვაზეც ორივეგან შუადღე დადგა. გაგრის მზისფერი ჰორიზონტიც კი, რამდენიმე კილომეტრის დაშორებაზე მირაჟად იქცა, მაცოცხლებელ და გრილ მირაჟად. მაგრამ ეს არ იყო არც მოჩვენება და არც ბედნიერების ზმანება. ცისარტყელასავით მორკალული ცა, რაღაც ღვთაებრივს რომ მიაგავდა, ცხადი იყო და არა დიდების აჩრდილი. ასეთი საოცრების შემხედვარე, უეჭველად იფიქრებდით, სიცოცხლე ამ ადგილს გარდა სანაპიროზე არსად არისო, მხოლოდ აქ, ამ პლაჟზე, მზის სხივებდაფენილი ქოლგების ქვეშ, სადაც ერთი ორომტრიალი ჰქონდათ და საიდანაც განუწყვეტლივ ისმოდა შიშველი, ნამზეური სხეულების წყალში დგაფუნის ხმა და ადამიანების მხიარული შეძახილები.

კრისტინი, რომელიც დაღვრემილი იჯდა ქმარ-შვილის გვერდით, ფიქრობდა, რომ ამ საერთო მხიარულებაში და თავდავიწყებაში, მხოლოდ ის იყო მოწყენილი. გამომშვიდობებისას ქეთევანმა უთხრა — „ნუ ნერვიულობ, დამშვიდდი და ყველაფერი თავისთავად მოგვარდება“-ო, მაგრამ როგორ მოგვარდებოდა, არც ერთმა იცოდა და არც მეორემ. სინამდვილე კი ის იყო, რომ იმ წუთში, არავინ არაფერი იცოდა იმის შესახებ, თუ როგორ, სად და რა გზით მოახერხებდა კრისტინი ბილეთების შოვნას და პირველი სექტემბრისათვის მოსკოვში გაფრენას. ქმარი შეეცადა ცოლს გამოლაპარაკებოდა, მაგრამ მან არ უპასუხა, თითქოს მისი ხმა არც გაუგონია. ბოლოს დედის ყურადღება კარინამ მიიპყრო, უთხრა, რომ მამასთან ერთად საბანაოდ მიდიოდა.

— კარგი, შვილო, — უპასუხა კრისტინმა, — ოღონდ მალე დაბრუნდით, ძალიან ჩამოცხა, ახლა ზღვა ბავშვებისათვის სასარგებლო არ არის.

კრისტინი ქოლგის ქვეშ იჯდა, საბანაო კოსტუმის თასმები შეეხსნა და ხელები მხრებზე შემოეხვია. მისი გაშიშვლებული, ნამზეური ზურგი მზეზე ბზინავდა; ხაზი მკრთალი მარგალიტივით მოოჭვილი თვალსაჩინოდ ყოფდა ზურგის ზედა და ქვედა მხარეს თანაბრად მოფენილი ფორთოხლისფერ-ყავისფერი ჯანსაღი ნამზეურით. მის

ლამაზ სახეს ახალი ელფერი დაჰკრავდა, რაღაც უხეში, მკაცრი, ულმობელი და ამასთანავე უმწეო, უილაჯო. გულგრილად, უხალისოდ იმზირებოდა, უკვე აღარ იცოდა რა უნდა ექნა, ხვდებოდა, რომ შვიდ სექტემბრამდე მოუწევდა აქ ყოფნა.

— რომელი საათია?

— ორის ნახევარი, — უპასუხა ვიქტორმა, — და გაეხარდა, რომ ცოლი გამოელაპარაკა.

— სადილის დროა, რას უცდით? ჩქარა, იბანავეთ და წავიდეთ, სადმე წავიხემსოთ.

მის ირგვლივ დამსვენებლები ნელინელ ამოძრავდნენ, თავიანთ ქოლგებქვეშ, პლედებით, თავიანთი ფინია ძაღლებით დეკორატიული მცენარესავით რომ ჰყავდათ გაკრეჭილები. პლაჟი თანდათანობით იცვლიდა სახეს, მიდიოდნენ ისინი, რომლებსაც უნდა ესადილათ, ხოლო მოდიოდნენ ისინი, რომლებმაც უკვე ისადილეს.

...იქ, სადაც ტალღა ნაპირს ეხლება და წყალი ქაფად იქცევა, კარინა ჩაცუცქულიყო. იგი ფერად კენჭებს და ნიჟარებს აგროვებდა. ეს მისი საყვარელი გასართობი იყო, აგროვებდა ყოველდღე, მერე კი სასტუმროში მიჰქონდა და პატარა აკვარიუმში ჰყრიდა. სხვა სათამაშოებიც ჰქონდა — მწვანე ნიანგი და ყვითელი თუთიყუში და ვიდრე დედა დასაწოლად მოამზადებდა, ერთობოდა. იგი ლამაზი და კარგად აღზრდილი ბავშვი იყო, ცნობისმოყვარე, უყვარდა ხატვა და კითხვა, მშობლები მას დიდ დროს უთმობდნენ, ყურადღების ქვეშ ჰყავდათ და უნდოდათ, რომ მათი გოგონა მრავალმხრივ განვითარებული ადამიანი გამოსულიყო. ასეთ ყურადღებას შვილისადმი, განსაკუთრებით, დედა იჩენდა და ალბათ, ამიტომ იყო, რომ ქალი თავგამეტებით ცდილობდა შეცდომის გამოსწორებას: სულ იმაზე ფიქრობდა, სულ ის ჰქონდა აზრად, ეგებ მოხდეს რამე სასწაული და ბავშვი პირველ სექტემბერს პირველ კლასში წავიყვანოო.

ვიქტორმა და კრისტინიმ ყველაფერი ჩანთაში ჩაჰყარეს, რაც კი პლაჟზე ჰქონდათ, კარინაც მიეხმარა. მერე ყველა შხაპის ქვეშ დადგა — ოფლი და ზღვის მარილიანი წყალი ჩამოირეცხეს ტანიდან. საშხაპეებიდან რომ გამოვიდნენ, პარკში შევიდნენ. ხეების გაშლილი ვარჯების ქვეშ მისი უდიდებულესობა — სიგრილე მეფობდა, მთებიდან მაცოცხლებელი გრილი სიო უბერავდა.

ფიჭვის ძირში კარინამ ზამბახები შენიშნა, ყვავილები ისე უწესრიგოდ იყო მიბნეულ-მობნეული, თითქოს ვიღაცას ეჩქარებოდა და თესლი პეშვით, ხის ძირში უყურადღებოდ მიმოაბნია. გოგონამ ხესთან მიირბინა, რამდენიმე ყვავილი მოწყვიტა. იქვე, გვერდით მდგარი პალმა, მეგობრულად აქნევდა თავის ტოტებს — მარაოებს.

— რა ლამაზი ყვავილებია! — მშობლებს ძალიან ახარებდათ ის, რომ ბავშვი გრძნობდა და კარგად აღიქვამდა ბუნების სიმშვენიერეს.

მერე აკვარიუმთან გაიარეს, რომლის შუაში მხიარულად ჩხრიალებდა პატარა შადრევანი. მის ირგვლივ, როგორც ლეგენდარული ფარაონების ფრთიანი ნავები, სრიალებდნენ თეთრი გედები, ყარყარა სურა-ყელით; ისინი ზოგჯერ ფრთებს გაშლიდნენ, შადრევნის აუზიდან ამოფრინდებოდნენ და მის ირგვლივ, ფერადი მინის ფილებით მოკირწყლულ ქვაფენილზე დასკუპდებოდნენ, ამაყად ყელმოღერებული ჩაუვლიდნენ მათი სილამაზით მოხიბლულ ხალხს, ისე, თითქოს ტრაბახობდნენ თავიანთი დიდმშვენიერებით. აკვარიუმში წყლის ზედაპირზე ხეთა ფოთლების სიმწვანე ირეკლებოდა, სიღრმეში ოქროსფერი და ვერცხლისფერი თევზები სხმარტალებდნენ. იქვე, შორიახლოს სასაუზმე იყო, მაგიდები ხეების ქვეშ იდგა, ხალხი სუფთა ჰაერზე მიირთმევდა საუზმეს, ვინ ლულაქაბაბს გეახლებოდათ, ვინ — ჩებურეკს. თვითონ სამზარეულოსთან, სადაც კერძებს ამზადებდნენ, დიდი რიგი იდგა, რამაც კრისტინის თავისი გასაჭირი — თვითმფრინავის ბილეთები მოაგონა და ხასიათი საბოლოოდ გაუფუჭდა.

— ვიქტორ, წავიდეთ აქედან.

— კი, მაგრამ სად ვისადილოთ? ჩვენს რესტორანში ახლა შესვენებაა, თუმცა, შეიძლება ცოტაც მოვითმინოთ და მერე ჩვენებური

ბორშჩი დავხვრიპოთ. მე და შენ, ყავა და ჩიბურეკები გვეყოფა, მაგრამ ბავშვისათვის წვნიანი აუცილებელია.

— საშინლად მომბეზრდა ბორშჩი, — თქვა კრისტინიმ, — რომ დავინახავ, გული მეზიდება. წეღან ქეთევანი კაფეზე მელაპარაკებოდა, სადღაც აქვეა, პარკის ბოლოს. იქ, აჭარულ ხაჭაპურებს აცხობენ თურმე, ისე გემრიელია, ჭამით ვერ გაძღებიო. მოდი, გავსინჯოთ.

— დიდებულია! — წამოიძახა ვიქტორმა. — შარშან, თბილისში რომ ვიყავი მივლინებაში, ქართველმა მეგობრებმა აჭარულ ხაჭაპურზე მიმიპატიჟეს. მახსოვს, რუსთაველის პროსპექტზე ვიყავით, ლაღიძის წყლებთან, გვერდით, საცხობი სარდაფში აქვთ გამართული. ნამცხვარს, შუაში კვერცხი აქვს ჩახლილი, ირგვლივ ყველი რეზინასავით იწელება, მართლა გემრიელია, კარინასაც მოეწონება.

ითქვა და შესრულდა. ისინი ხალისიანად გაუყვნენ ქუჩას, ჩაუარეს საცხოვრებელ სახლებს, მაღაზიებს, სანატორიუმს, სანაპიროს მხარეს რომ იყო ჩარიგებული, რომელთა უმრავლესობა ზღვის ქაფივით თეთრად იყო გადაღებილი. მალე კაფეც გამოჩნდა. ეს იყო ორსართულიანი შენობა, მთავარი ფასადი — აივნებით, ვერანდებით და ბალკონებით სახლს შნოსა და ლაზათს მატებდა. შენობის ერთ მხარეს ავტომანქანების სადგომი იყო მოწყობილი, მეორე მხარეს კი ვრცელი ეზო-გარემო ჩანდა; კარ-მიდამო გულმოდგინედ იყო მოვლილი, ყველაფერს ბეჯითი ხელი ეტყობოდა. მიწა ახალი დაბარული იყო, იქ ქორფა კიტრები და სიწითლეშეპარული პომიდორები ხარობდა, ტალავერზე ვაზი შაბიამნით ახალი შეწამლული იყო, სისოვლის კვალი აჩნდა. ლიმონის ხეები უკვე საზამთროდ შეეფუთათ. ყვავილების და მწვანილის ბაღის მახლობლად მებაღის ხელნა იდგა. ეტყობოდა არცთუ დიდი ხანი იქნებოდა რომ დარჩენოდათ, მაგრამ ბორბლებით უკვე მიწას შეზრდოდა. ასეთი მუყაითი, დაუზარებელი შრომა სოციალისტურ ქვეყანაში მხოლოდ კერძო საკუთრების

მქონე ადამიანისათვის არის დამახასიათებელი და ასეც იყო, ყველაფერი კერძო მეპატრონის საკუთრება გახლდათ.

იმ პერიოდში საბჭოთა ხელისუფლება უკვე ეკონომიურ სიძნელეებს განიცდიდა და ამიტომ ხშირი იყო შემთხვევები, როცა კერძო მესაკუთრეები სახელმწიფო ორგანიზაცია-დაწესებულებებს ქირით აძლევდნენ იმ სათავსოებს, რომლებიც საცხოვრებლად არ ჭირდებოდათ, სადაც შემდეგ კაფეებს, სასაუზმეებს და ზოგჯერ მაღაზიებსაც ხსნიდნენ. ვიქტორი და კრისტინი მოგვიანებით შეიტყობენ, რომ ეს კაფე ამგვარი სისტემის ნიადგაზე იყო დაფუძნებული. კლიენტები კაფეში ბეტონით მოკირწყლული იატაკით შედიოდნენ, სადაც ზოლებიანი ქოლგების ქვეშ, რამდენიმე მრგვალი მაგიდა იდგა წნული სავარძლებით. ეს ადგილები იმ მეოცნებეთათვის იყო განკუთვნილი, რომლებიც თურქული ყავით და სიგარეტებით ტკბებოდნენ დილით და საღამოს, ლაჟვარდისფერი ზღვისა და მზის იდილიით დატყვევებულები. მაღალი, ორფრთიანი კარების ზემოთ ილუმინებული რეკლამა ჩახჩახებდა წარწერით: „კაფე არსენა ოძელაშვილი“. წარწერა სამ ენაზე იყო გაკეთებული — ქართული, აფხაზური და რუსული ასოებით. აფხაზური და რუსული ასოები ერთმანეთს წააგავდა, განსხვავება უბრალო იყო, რუსული „კაფე“ აფხაზურად იკითხებოდა, როგორც „აკაფე“. სარეკლამო ნათურები მუდმივად ენთო და მთვარის კაშკაშს ჰგავდა, მაგრამ ასოები წამით ქრებოდა და წამით ინთებოდა, როგორც საახალწლო ნაძვის ხის ელექტროგანათება, რაც კაფეში დასანაყრებლად მოსულ ხალხს საზეიმო განწყობილებას უქმნიდა.

კაფეში რომ შევიდნენ, ყველამ სიგრილე იგრძნო, რადგან ჭერზე დიდი ვენტილიატორი ტრიალებდა და ჰაერს აგრილებდა. ფანჯარასთან თავისუფალი მაგიდა შენიშნეს და იქ დასხდნენ. ფანჯრიდან ტროტუარზე ჩარიგებული ფიჭვები ჩანდა, ტოტებს ქარი არხევდა და მზის სხივები მაგიდას რაღაც უცნაურ ჩრდილებს ფენდა. დარბაზში ბევრი ხალხი იყო, ოფიციანტები საქმეს აკეთებდნენ: ვინ დაკვეთას იღებდა, ვინ თავიანთ კლიენტებთან

ანგარიშს ასწორებდა. კრისტინმა შემთხვევით ისარგებლა და ოფიციანტის მოსვლამდე, ისევ ბილეთებზე ჩამოაგდო სიტყვა:

— რაო, არც „ჟოოკვარაში“ და არც „თბილისში“ არავითარი იმედი არ არის? — ჰკითხა ქმარს მკვახედ.

ვიქტორმა ცოლს შემრიგებლური ტონით უპასუხა:

— კრისტინ, ძვირფასო, ხალხი სალაროსთან ათენ-აღამებს, იქნებ, როგორმე ოცი სექტემბრის ბილეთი ვიშოვნოთო. დრო ფუჭად დავკარგე. გამოუვალი მდგომარეობაა.

— პირველ სექტემბერს ბავშვი სკოლაში უნდა წავიყანოთ, — ქალმა ლაქწასმული თითები მაგიდაზე ისე ააბრახუნა, თითქოს პიანინოზე უკრავდა, — გასაგებია?!

ამგვარ უაპელაციო ულტიმატუმს ვიქტორი არ დაეთანხმა და ოდნავ ხმას აუწია.

— მე აქ არავის ვიცნობ.

— არ მაინტერესებს! შუაზე გასკდი, შუბლით ქვა გახეთქე და ბილეთები აქ დადე, როგორც ამას ყველა ნამდვილი მამაკაცი აკეთებს.

— ბრალს ტყუილად მწამებ, შენ კი ბუჩქებს ეფარები. თავს იმართლებ, ხომ ასეა? — განაწყენდა ვიქტორი.

— შენ რა, სულელი ხარ?! — წამოიყვირა კრისტინიმ — თავის გამართლებას არც ვაპირებ, ან რად მჭირდება! — კიდევ უნდოდა რაღაც ეთქვა, მაგრამ ანაზდად თვალი მოჰკრა ახალგაზრდა კაცს. იგი კეთილი ღიმილით მათი მაგიდის სიახლოვეს იდგა და როგორც ჩანდა, მათ საუბარს ისმენდა.

კრისტინმა უცნობს გაკვირვებით შეხედა — მას სამოქალაქო ტანსაცმელი ეცვა და ოფიციანტს არ ჰგავდა.

— თქვენ რა? — ჰკითხა მას დაბალი, ოდნავ უხეში ხმით, უნდოდა ეგრძნობინებინა, რომ მისი საქციელი უტაქტო იყო.

— პატივცემულო, მე ამ კაფეს მფლობელი ვარ, როგორც ამბობენ — პატრონი. — უპასუხა ახალგაზრდა კაცმა, — შევნიშნე, რომ გოგონა დამშეულია, ოფიციანტებს კი აგვიანდებათ.

შუადღისას ასეა ყოველთვის, — თქვა, თითქოს, თავის მართლებით, — ამიტომ გადავწყვიტე პირადად მოგემსახუროთ.

— ბოდიში, არ ვიცოდი! — კრისტინი უხერხულობის დაფარვას შეეცადა და ახლად შეძენილ ნაცნობს ლამაზი ქალისათვის ნიშანდობლივი მომხიბლავი, მომაჯადოებელი ღიმილით შეხედა.

იგი საშუალოზე მაღალი იყო, მოკლესახელოიანი პერანგი ეცვა. მუქი წაბლისფერი თმები კოხტად გადავარცხნილი ჰქონდა — სახე და ხელები მზისა და ქარისაგან გარუჯული, ცისფერი თვალები უცნაურად უელავდა.

— საბოდიშო არ გაქვთ, — თქვა კაფეს პატრონმა და მაგიდისკენ ნაბიჯი გადადგა, — თქვენ ხომ არ მიცნობდით.

ეს სიტყვები თავაზიანი ტონით იყო წარმოთქმული. კრისტინს მოეჩვენა და ალბათ, ეს ასეც იყო, რომ ეს მჟღერი ხმა, ჰაერში ისე კანკალებდა და ირხეოდა, როგორც ვიოლინოს დაჭიმული ლითონის სიმი, როცა მასზე მუსიკოსი უკრავს. თუმცა, ამ ხმაში იყო სიმტკიცეც, ძალაც, თავშეკავებაც და ამტანობაც, რაც ქალისთვის შეუმჩნეველი არ დარჩენილა.

„გათხოვებამდე სწორედ ასეთი მამაკაცი იყო ჩემი იდეალი!“ — გაუელვა რატომღაც თავში.

— რას მიირთმევთ?

ვიქტორმა მაგიდიდან მენიუ აიღო, გაკვრით, სხვათა შორის, ჩააცქერდა კერძებს და სასმელების ფასებს. მერე მენიუ უცებ გვერდზე გადადო.

— გვითხრეს, რომ აქ, თქვენთან, კაფეში, გემრიელ აჭარულ ხაჭაპურს აცხობენ. — და როცა თანხმობა მიიღო სამი ხაჭაპური შეუკვეთა.

— აგრეთვე სამი ფორთოხლის წვენი, თუ შეიძლება ცივი, შემდეგ კი სამი ნაყინი.

ისაუზმეს, ანგარიში გაასწორეს, ყურადღებისათვის და კარგი მომსახურებისათვის ახლად შეძენილ ნაცნობს გულწრფელი მადლობა გადაუხადეს და ის იყო მაგიდიდან ადგომა დააპირეს, რომ მოულოდნელად კაფეს მეპატრონე კარინას მიუახლოვდა, გოგონას მოეფერა, თმაზე ხელი გადაუსვა და შოკოლადის ფილა მიაწოდა.

— რა გქვია?

— კარინა.

— რამდენი წლის არის კარინა?

— ექვსი წლისა.

— სკოლაში წელს მიდიხარ?

კრისტინას გაუკვირდა კაფეს პატრონმა სკოლა რომ ახსენა. „ალბათ ყურს უგდებდა ჩვენს ლაპარაკს“, — გაიფიქრა მან და ახალგაზრდა კაცი თავით ფეხამდე შეათვალიერა. კარგი აღნაგობისა იყო, ტანთხელი და მხარბეჭიანი, ხაკისფერი შარვალი, ქამრით ტანზე შემოკრული, ლამაზად ადგა. მისი სახე ჭაბუკური ცეცხლით გიზგიზებდა, ახლა ხმა... აშკარად ეტყობოდა, რომ ღელავდა.

„ასე მკვეთრად გამოხატული ჭაბუკური ბუნება უცოლო მამაკაცისთვის არის დამახასიათებელი. ალბათ, ოცდაშვიდი-ოცდარვა წლის არის. შესანიშნავი ასაკია უცოლოთათვის...“ გაიფირა ქალმა და მიიღო წამიერი გადაწყვეტილება: „უნდა გამოველაპარაკო“.

— კი, სკოლაში აუცილებლად წავა, ოღონდ პირველი სექტემბრის მერე, პირველი ზარის დღესასწაულს ვერ დაესწრება, — ნაღვლიანად თქვა და ქალიშვილს შეხედა, — ძიას მადლობა უნდა გადაუხადო შოკოლადისთვის! — კრისტინი წასასვლელად მოემზადა.

— რატომ? პირველკლასელისათვის პირველი ზარის გაგონება სავალდებულოა. ასეთ მშვენიერ დღესასწაულს კარინა უთუოდ უნდა დაესწროს, — თქვა მან. კრისტინა კაცის მზერას შეეჩეხა, უნდოდა ეპასუხა, მაგრამ ვიქტორმა დაასწრო:

— ბილეთებზე გვიან ვიზრუნეთ და შვიდ სექტემბრამდე მოსკოვში ვერ გადავფრინდებით. ხომ გესმით, აგვისტოს ბოლოა, ბილეთების შოვნის ყველა იმედი გადაწურულია.

უეცრად, კაფის მეპატრონის თვალები სასიკეთოდ გაბრწყინდა.

— თუ ნებას მომცემთ, მე დაგეხმარებით.

კრისტინიმ და ვიქტორმა ერთმანეთს გადახედეს.

— ძალიან რთული პოზიციაა, თითქმის შეუძლებელი, — იჭვნეულად თავი გადააქნია ქალმა, ამას ამბობდა, მაგრამ სინამდვილე ის იყო, რომ არ იცოდა რა ექნა, როგორ მოქცეულიყო, რა უნდა ელაპარაკნა, რადგან სულის სიღრმეში უკვე გაჰკვესა იმედის ნაპერწკალმა: „ვინ იცის, იქნებ...“

— ყოველ შემთხვევაში მითხარით, რომელ რიცხვში გსურთ მოსკოვში გადაფრენა. ამით თქვენ არაფერს კარგავთ.

კრისტინი მიხვდა, რომ თამაში დაიწყო, და ვინაიდან ქმრის იმედი აღარ ჰქონდა, ინიციატივა საკუთარ თავზე აიღო და გატეხილი ტონით თქვა:

— ოცდაათ აგვისტოს, უარეს შემთხვევაში ოცდათერთმეტში, რომ პირველი სექტემბრისთვის მოსკოვში ვიყო და ბავშვი სკოლაში წავიყვანო.

— ეტყობა თქვენ სამი ბილეთი გინდათ. ხომ არ ვცდები?

— ბავშვს ნახევარი ბილეთი უნდა.

— მესმის! იმედი მაქვს, საქმე კარგად წავა. აი, ამ ფურცელზე დაწერეთ თქვენი გვარი და სახელი, რა თქმა უნდა, უშეცდომოდ, აგრეთვე პასპორტის სერია და ნომერი.

კრისტინმა ჩანთიდან უმალ ამოიღო დოკუმენტები და კაფის მეპატრონეს თხოვნა შეუსრულა.

— კეთილი, ხვალ საღამოს მობრძანდით, უმჯობესია მზის ჩასვლის მერე. ამ დროს უფრო ვარ თავისუფალი. პასუხი მზად იქნება. — თქვა და კარინას ალერსიანად გაუღიმა, ცოლ-ქმარსაც გამოემშვიდობა.

— შენი საქციელი მიკვირს, — უთხრა ვიქტორმა ცოლს, კაფე რომ დატოვეს და გარეთ გამოვიდნენ. — ადამიანი ერთი საათის წინ გავიცანით, სახელიც არ ვიცით მისი. დიახ, ძალიან უტაქტოდ მოიქეცი.

— კი, მაგრამ დახმარება ხომ თვითონ შემოგვთავაზა.

— მესმის, მაგრამ ჩვენ თანხმობა არ უნდა მიგვეცა.

— რატომ? — ჰკითხა ქმარს და გაახსენდა, რომ რამდენიმე წუთის წინ ასეთივე შეკითხვა მისცა მას კაფეს პატრონმა. იმ მომენტში მათი თვალები შეხვდა, კაცმა თვალი თვალში გაუყარა, პირდაპირ შეხედეს ერთმანეთს; როცა ქალმა მისი მომნუსხველი

მზერა დაიჭირა, უნებურად იგრძნო, რომ მისი ცისფრად მოელვარე თვალების ბრწყინვალე სამყაროში აღმოჩნდა.

— იმიტომ, — მიუგო ვიქტორმა, — რომ მას შეუძლია ისარგებლოს ჩვენი უმწეო მდგომარეობით და ბილეთებისათვის დიდი თანხა მოგვთხოვოს.

— თუ შენ გინდა, ხვალ ამ კაფეში საერთოდ ნუ მოვალთ. — ქალი წინდახედულად მოქმედებდა; პასუხისმგებლობის თავიდან აცილება სურდა, იმ შემთხვევაში თუ ქმრის მოსაზრება გამართლდებოდა.

— არა, ეს შეუძლებელია, ჩვენ ხომ სიტყვა მივეცით. თუ დიდი თანხა დააფასა, უარს ვიტყვით და მორჩა. ხვალ დანიშნულ დროზე მივიდეთ. ღმერთმა ქნას, რომ აქ რამე ინტრიგა არ იყოს.

— ნერვების ბრალია.

— არა, — ვიქტორი ცოლს არ დაეთანხმა, — ნერვები აქ არაფერ შუაშია, მაგრამ ის კი საინტერესოა, რატომ გვეხმარება?

ეს კრისტინისაც ძალიან უკვირდა, ქმარი მართალი იყო და სიფრთხილეც უნდა გამოეჩინათ — „ვინ იცის მოვლენები როგორ განვითარდება“. — ფიქრობდა იგი, თუმცა ქალი ალღოთი იმასაც გრძნობდა, რომ თუ კაფეს მეპატრონე დანაპირებს შეასრულებდა, მაშინ სანაცვლოდ მას რაღაცის დათმობა მოუწევდა, მაგრამ როგორ ან რით, მისთვის ეს ჯერჯერობით ორუცნობიან გამოცანად რჩებოდა. ამიტომ არ იცოდა, რა ეთქვა, როგორ დასრულდებოდა ყველაფერი. რა არ ხდება ცხოვრებაში.

— რატომღაც მგონია, რომ დიდ თანხაზე ლაპარაკი არ იქნება.

— თუ ეს ასეა, მაშინ გამოდის, რომ შენ მას მოეწონე, მორჩა და გათავდა! — ვიქტორმა ცოლს დაკვირვებით, გამომცდელი თვალით შეხედა.

მეუღლის ასეთ დასკვნაზე, ქალი წამოწითლდა, ღაწვები შეეფაკლა, გაახსენდა მათი ახლად შეძენილი ნაცნობის თვალები, ცისფერი და ღრმა, მაგრამ, ამასთანავე, რატომღაც დევი დონდუა დაუდგა თვალწინ და მყისვე ჩაინავლა ის ცეცხლი, მის სულში და გულში ქმრის სიტყვებმა რომ დაანთო; ამან ქალი შეაშფოთა,

მთელი შიგნეულობა, გულ-მუცელი აემღვრა, თითქოს თავზე ცივი წყალი გადაასხეს.

— არა მგონია, რომ ბილეთების შოვნა მოახერხოს. — ამ სიტყვებით თავიც დაიმშვიდა და ქმარსაც ეჭვები გაუფანტა.

— მეც ასე ვფიქრობ. მოდი წინასწარ თავს ნუ ავიტკივებთ. ხვალ საღამოს ყველაფერი თავისთავად გაირკვევა.

ისინი უკვე სასტუმროს კიბეებთან მისულიყვნენ. ჩამავალი მზე თანდათან უახლოვდებოდა ჰორიზონტს; და რაც უფრო შორს მიცურავდა დასავლეთისაკენ, რაც უფრო უახლოვდებოდა ზღვას, მით უფრო, მისი დისკო დიდდებოდა, ხოლო სხივები სიმხურვალეს კარგავდნენ.

სიამე იყო უკან სასტუმროში დაბრუნება, საღამოთი, ქვევით ზღვა იდუმალად ფერადოვანი ჩანდა, ანდამატივით მიმზიდველი. სიამის მომგვრელი იყო კიბეების აყოლა და სასტუმროს წინ ჩავლა, დანახვა ხალხის, იმათი, ვინც ვერანდებზე წაიხემსებდნენ. რესტორნიდან გამომავალი პიანინოს ჟღრიალა ხმაც სიამეს ჰგვრიდათ. ადრე, ნასადილევს, როცა საზრუნავი არ ჰქონდათ, ყველანი ჩვეულებრივ ზღვისკენ მიეშურებოდნენ. ამ დროს წყალი თბილია და ბანაობას არაფერი ჯობია. მაგრამ ასეთ ნეტარებაზე ცოლ-ქმარი უკვე აღარ ფიქრობდა; იმათ, იმ წუთში, მხოლოდ ერთი სურვილი ჰქონდათ: რაც შეიძლება ჩქარა დაღამბულიყო და ჩქარა გათენებულიყო.

ისინი ისტორიულ კიბეებთან იდგნენ, რუსთაველის პროსპექტზე. მეწამული მზე მათ თავზევით მიგორავდა და სამთავეს სახეზე ვარდისფერი მოჰფენოდათ. კრისტინმა მაღლა აიხედა. საათი ხუთს აჩვენებდა. საათის ზემოთ რეკლამა ციმციმებდა: დიდი, ქართული და რუსული ასოებით ეწერა: „გაგრიფში“.

— კარინამ ცოტა უნდა დაიძინოს. ცოდვაა ბავშვი, დაიღალა. ჩვენც დავისვენოთ. საღამოს რესტორანში ჩაი დავლიოთ, მერე კი პარკში გავისეირნოთ.

ორასი წლის წინ კლდეში გაკვეთილ ისტორიას დაადგეს ფეხი. დაღლილები იყვნენ, მაგრამ სიამოვნებდათ კიბეებზე ნელ-ნელა ასვლა და საათის ცქერა. შთამბეჭდავი იყო ასე აღმასვლა, ამ

დროს ცოლ-ქმარს ისეთი განცდა ეუფლებოდა, თითქოს ბიბლიურმა ღმერთმა, ბოლოს და ბოლოს, ადამზე და ევაზე გული მოიბრუნა, ძველთძველი ცოდვა შეუნდო და თავიანთ სამოთხეში დაბრუნების უფლება მისცა. ბოლო საფეხურს ფეხი დააბიჯეს თუ არა, თაღის ქვეშ ხალხი შენიშნეს, კლიენტები რესტორანში სადილობის თადარიგს იჭერდნენ. სასტუმროსკენ რომ გაუხვიეს — უკნიდან „ვოლგამ“ ნიშანი მისცა და მანქანას გზა დაუთმეს, მგზავრებით იყო სავსე და ოტელში შესასვლელ კიბეებთან შეჩერდა. სამანქანო გზა აქ მთავრდებოდა და როცა მგზავრები მანქანიდან გადმოვიდნენ, „ვოლგა“ შემობრუნდა და მათ ისევ მოუხდათ მანქანისათვის გზის დათმობა. შემინულ გადასასვლელს რომ მიუახლოვდნენ, რესტორნის სარდაფს ჩაუარეს; გისოსებიანი სარკმლიდან, გზის პირას რომ იყო მოწყობილი, კაცები მაგიდასთან ისხდნენ, ღვინოს სვამდნენ და თან ბანქოს თამაშობდნენ. უცებ, კრისტინის ყურადღება მიიპყრო პურ-პროდუქტების გადასაზიდმა სატვირთო მანქანამ, რომელიც შემინული გადასასვლელის ქვეშ იდგა. ძარასთან მუშები ტრიალებდნენ, მანქანიდან ფქვილით სავსე ტომრები გადმოჰქონდათ და რესტორნის სამზარეულოში შეჰქონდათ.

ქალი რატომღაც შეკრთა და ადგილზე გაიყინა, წუხანდელი სიზმარი გაახსენდა. ერთხანს ასე იდგა გარინდებული და ყურადღებით აკვირდებოდა მუშების მოძრაობას. მერე, როცა გამოერკვა, წინ წასული ქმარ-შვილი შეაჩერა.

— ვიტია, გაჩერდი! წუთით მომისმინე. იცი, წუხელ სიზმარში, ზუსტად ეს მანქანა ვნახე, ოღონდ ამ მუშების მაგივრად მანქანას შენ ცლიდი, ფქვილის ტომრები შენ გადაგქონდა. თითქოს, თეთრ ღრუბლებში დააბიჯებდი, თმები კი ისეთი თეთრი გქონდა, როგორც თოვლი. ხოლო მე შეშინებული ვფიქრობდი, ჩემი ქმარი ნაადრევად რამ დააბერა-მეთქი.

— სისულელეა და მეტი არაფერი! — დარდიმანდულად წამოიძახა ვიქტორმა და გაიცინა. — არ მჯერა სიზმრების და მორჩა.

— საოცარი დამთხვევაა, ღმერთმანი, — ჩაილაპარაკა და ქმარ-შვილს დაედევნა. მალე სამივენი სასტუმროში შევიდნენ.

6.

მზის გავარვარებული დისკო თანდათან უახლოვდებოდა ჰორიზონტს და მისი გამონაშუქი „გაგრიფშს“ იდუმალებით მოსავდა. იქაურობა საზეიმოდ მორთულ დარბაზს ჰგავდა, გაზაფხულობით ვარდისფერი ფარდებით რომ შეამკობენ ხოლმე. საიდანღაც ანგელოსი რომ გამოციცინებულიყო ოქროსფერკულულებიანი ბავშვის სახით, ამ არაჩვეულებრივი სურათის პირველად მნახველს, მოეჩვენებოდა, რომ იმყოფებოდა ლეონარდოს, მიქელანჯელოს და რაფაელის ჯადოსნური ფუნჯით მოხატულ ტაძარში.

ცეცხლისფერი მნათობი ჰორიზონტს ჯერ კიდევ არ შეჰხებოდა, მაგრამ შთაბეჭდილება ისეთი იყო, თითქოს გაუკაცრიელდაო პლაჟი.[1] ამ დროს სიცოცხლე ჩვეულებრივ პლაჟიდან სასტუმროში გადაინაცვლებდა. ვესტიბიულში ზღვიდან დაბრუნებული დამსვენებლების მთლიანი, ერთიანი, სრული გამა სასიამოვნო მუსიკასავით ისმოდა. ვინ რესტორანში სავახშმოდ ემზადებოდა, ვინ პარკში სასეირნოდ, ვინ ღამის ზღვის მზერით დატკბობას მიელტვოდა, ერთი სიტყვით, ვინ აქეთ, ვინ იქით, სადაც სული და გული ეძახდა და ყოველივე ამის მნახველი ვერავითარ შემთხვევაში ვერ დაიჯერებდა, რომ ეს ბედნიერება ეფემერული იყო.

ბევრი არსად არ მიდიოდა, ესენი ის ხანშიშესულები იყვნენ, რომლებიც ამჯობინებდნენ აივანზე ჩამომსხდარიყვნენ და ამ განუმეორებელი ბუნების ღვთიურ გარემოცვაში, სუფთა ჰაერზე, ხილით, საზამთროთი და ნესვით ჩაეგემოვნებინათ პირი.

რესტორანში ორკესტრმა დაიგრიალა. მუსიკის ხმაზე სანიაღვროდან თოლიები წამოიშალნენ, მოსეირნე წყვილებს თავზე გადაუქროლეს და ოტელის უკან გორაკზე — ნაძვებზე ჩამოსხდნენ.

— კარგი ანსამბლია, — თქვა კრისტინმა, როცა მუსიკოსების მხიარულმა შეძახილებმა და მუსიკის ხმამ მათ ოთახში შეაღწია.

— მართლა კარგი ანსამბლია. — უპასუხა ცოლს ვიქტორმა და გაზეთის კითხვა განაგრძო. იგი მრგვალ მაგიდასთან იჯდა.

1. გამოყენებული კ. გამსახურდიას კონსტრუქცია — ავტორი.

კარინა დივანთან იდგა. იგი ჯერ თავისი სათამაშოებით ერთობოდა, მაგრამ მალე მოწყინდა და ის ფერადნახატებიანი წიგნი აიღო, დედამ რომ აჩუქა გაგრაში ჩამოსვლისთანავე. ხშირად, როცა თამაში მობეზრდებოდა, ის აიღებდა ამ წიგნს და ყურადღებით ათვალიერებდა. გოგონას სიამოვნებდა გაგრის ფერადი ფოტოილუსტრაციების დათვალიერება...

დედა კარინას საუკეთესო მეგობარი იყო; მასზე გადაგებული, მთელ თავის ძალას და ღონეს ქალიშვილზე ზრუნვას ახმარდა. მისი და ვიქტორის ქორწინებიდან ათი წელი იწურებოდა და ამ ხნის განმავლობაში, მას ერთხელაც არ უფიქრია, რომ ოდესმე უფრო მნიშვნელოვანი საქმე გამოუჩნდებოდა, ვიდრე საკუთარი ბავშვის აღზრდაა. ამ საქმისთვის იყო მისთვის გამოგონებული: სამსახური, ოჯახი, ქმარი. როცა ტელევიზორში რაიმე ცუდ ამბავს გაიგონებდა, სადაც მოზარდები უილაჯო, უმწეო ცხოვრების მსხვერპლნი ხდებოდნენ, ვიქტორს სეტყვასავით მიაყრიდა კითხვებს: რა იყო? რა მოხდა? რა ამბავია? და თან შეშფოთებით გადახედავდა კარინას, სულ იმაზე ფიქრობდა, როგორ აეცილებინა მისთვის ყველა სისაძაგლე. ის, რომ ვიქტორი ცოლს ამ საკითხში სავსებით ეთანხმებოდა, ქალს ახარებდა და იმედით ავსებდა. ამიტომ იყო, რომ ქალიშვილს მაინცდამაინც არ ანებივრებდა, ამით უნდოდა მისთვის ხასიათი გაეკაჟებინა, მაგრამ არც ზრუნვას და სიყვარულს აკლდებდა, რაც რამ კარგი იყო, ყველაფერი მისთვის სურდა, მისთვის უნდოდა. აი, ამიტომ, როცა ვიქტორისა თუ საკუთრი დაუდევრობის გამო, კარინას სკოლაში წასვლა პირველ სექტემბერს საეგებიო შეიქმნა, ქალი შფოთვამ მოიცვა და ეს გრძნობა ერთიორად გაუორკეცდა წუხანდელი შემთხვევის შემდეგ, როცა ქმართან ცხარე შეკამათების დროს, სრულიად უცხო ადამიანს მიანდო თავისი სულსწრაფი სურვილის შესრულება, და არ იყო გასაკვირი, რომ მეორე დღეს კრისტინი თავის თავს არ ეკუთვნოდა, გული შიშის მომგვრელი მღელვარებით უცემდა, მოსვენებას არ აძლევდა ის ურყევი გადაწყვეტილება, წუხელი ნაჩქარევად რომ მიიღო: „ეს როგორ მოხდა, რომ მთელი ოჯახის ბედი ახლად გაცნობილ კაცს მიანდო? რა სასაცილო მდგომარეობაში

აღმოვჩნდებით თუ ცივი უარით გამოგვისტუმრა? უფრო მეტიც, ხომ შეიძლება აბუჩად აიგდოს, დამცინავად შეხედოს, უბრალოდ გადაიხარხაროს და მეტი არაფერი! ისე, ტყუილად მოგვიწევს იქ წასვლა... ვიქტორის ბრალია ყველაფერი, ასეთ საქმეში კაცმა მეტი ფხა უნდა გამოიჩინოს, ვიდრე ქალმა“. ეს ბოლო ფრაზა აუფერულებდა ყველა იმ წინა ფრაზას, რომელთა დამახსოვრება არ უნდოდა, მაგრამ ისინი, დროდადრო, ქვეცნობიერად იმ მწუხარე ზარების რეკვასავით აღდგებოდნენ, რომელიც ღმერთმა იცის რამდენჯერ ჩამოჰკრეს, მაგრამ გონებაში ჩაბეჭდილან და რიტმით თავისთავად აღდგება ხოლმე.

...დილით რესტორანში რომ გავიდნენ, კრისტინი ცუდ გუნებაზე იყო, რამდენადაც საერთოდ შესაძლებელია ადამიანი იყოს ცუდ გუნებაზე, რომელიც რაღაცას უცდის, რაღაცას ელოდება, ვთქვათ თვითმფრინავის დროულად გაფრენას ან დათქმულ დროზე იმ ადგილზე მისვლას, დაპირებისამებრ რომ შეთანხმდნენ. ალბათ, ამის გამო, ჩაის უგულისყუროდ ხვრეპდა და წამდაუწუმ საათზე იცქირებოდა. ასე ეგონა, სკამზე კი არა ნემსებზე იჯდა იმის მოლოდინში — როდის გავიდოდა დრო! უცებ შეამჩნია, რომ რესტორანში დევი დონდუა შემოვიდა. ის რომ დაინახა, გუნება კიდევ უფრო გაუფუჭდა და როგორც კი კარინამ და ვიქტორმა ჩაი დალიეს, მყისვე სკამიდან წამოდგა. ზღვაზე გასვლა არც უფიქრიათ და სამივენი თვიანთ ნომერში დაბრუნდნენ. საღამოს არც ერთს ხმა არ ამოუღია, ვიდრე ორკესტრანტების მხიარულმა შეძახილებმა, რესტორნიდან მათ ოთახში არ შეაღწია. მუსიკის ხმებმა კრისტინას ბნელი ფიქრები სადღაც გადაატყორცნა და ქალს სულიერი წონასწორობა აღუდგინა.

— კარგი ანსამბლია. — კვლავ გაიმეორა ქალმა.

— ხომ გითხარი, კარგია-მეთქი. — უპასუხა ვიქტორმა. იგი გაზეთს კითხულობდა და თავი არ აუწევია.

კრისტინი ბალკონზე გავიდა.

— კარინოჩკა, მოდი აქ, შეხედე, რა ჯადოსნური სილამაზეა ირგვლივ! — გასძახა მან ქალიშვილს, რომელმაც წიგნი გადადო და ადგა.

ჰორიზონტზე მზის დისკოს მხოლოდ ნახევარიღა ჩანდა, ნახევარი კი აღარ მოჩანდა, რადგან უკვე წყალში შევიდა, მზე კი თითქოს გაფერმკრთალდა, მაგრამ მისი მეწამულისფერი ისე გალღვა, რომ სიწითლე, თითქმის, მთელ ჰორიზონტს მოეფინა. ირგვლივ თანდათან ბინდი ჩამოწვა. „გაგრიფშის“ კიბეებზე, პარკში და სანაპიროზე ლამპიონები და ციცინათელები აინთო.

— დროა კაფეში წავიდეთ. მართლა, რა ჰქვია? ჰო, ვიღაც არსენა, — ვიქტორმა გაზეთი დაკეცა და ადგა.

ისინი სასტუმროდან გამოვიდნენ, „გაგრიფშის“ კიბეებზე თავქვე დაეშვნენ და მალე პარკში ყვავილნარებსა და გაზონებს შორის მიდიოდნენ, ლამპიონებით რომ იყო გაშუქებული, იქვე, შორიახლოს, ცნობილი, მსოფლიოში სახელგანთქმული მოქანდაკის, ფერმწერის, მონუმენტალისტის ზურაბ წერეთლის სკულპტურული ნამუშევრები მოჩანდა: „თევზები“, „ჩიტები“, „მზე და მთვარე“, „ბავშვების სათამაშო მოედანი“. მაღლა, მთაგრეხილებს ზემოთ ვარსკვლავები აკიაფდა, ზღვიდან ტალღების წყნარი ფშვინვა ისმოდა, გაზონებს შორის ბაღის სკამებზე წყვილები ისხდნენ, ერთმანეთს ეალერსებოდნენ, სიყვარულით და ბუნების მშვენიერებით გაბრუებულები.

„რა რომანტიკული და პოეტური საღამოა“ — უნდოდა ეთქვა კრისტინის, მაგრამ მათ წინ მიმავალი დევი დონდუა დაინახა, ჭრელი, ნაირფეროვანი პერანგი ტანზე ლამაზად ჰქონდა შემოტმასნილი, მსუბუქად მიდიოდა, მარჯვენა ხელი ვიღაც ტურფა ქალისთვის მხრებზე ჰქონდა გადახვეული, სიარულისას, ზოგჯერ, თავს მისკენ ხრიდა, რაღაცას ეჩურჩულებოდა და ამ დროს მხრებს მედიდურად შეათამაშებდა ხოლმე.

ამ სურათმა კრისტინის ის დღე მოაგონა, დონდუამ რესტორანში საცეკვაოდ რომ გაიწვია. ცეკვის დროს კაცმა მისი მკერდის სიახლოვეს დახარა თავი და უჩურჩულა:

— დავიღალე მეგობრებით, ყველას პირმოთნე სჭირდება. ქალებმა ხომ სულ ამირიეს გონება. აღარ ვიცი რა ვქნა, სად წავიდე. თქვენ სულ სხვა ხართ, ასე მგონია.

...გაახსენდა, და თითქოს ისევ ჩაესმა მწუხრის ზარების რეკვა: ლამაზი საპნის ბუშტივით გაქრა იმ მშვენიერი საღამოს რომანტიული და პოეტური პათოსი, და როცა ნაცნობი ილუმინებული რეკლამა დაინახა: „კაფე არსენა ოძელაშვილი“, გული საგულეში მტრედივით შეუფართხალდა.

კვამლიან, გემრიელი საჭმელების მძაფრი არომატით გაჟღენთილ და გაცხოველებული ჩრდილნათელი ფერებით შუქდაფრქვეულ კაფეში კრისტინის ცისფერმა კოსტიუმმა გარედან კარგი ამბის მაუწყებელი ფრინველივით შემოანათა.

ჩვეულებრივი ევროპული ღამის ბარივით მორთულ-მოკაზმულ დარბაზში, ხმადაბალი საცეკვაო მელოდია ისმოდა. ოფიციანტები ციბრუტივით ტრიალებდნენ, მაგიდებთან მსხდარ კლიენტებსა და სამზარეულოს კერძების გასაცემ ფანჯარას შორის. კაფეს მეპატრონე თავამაღლებული იდგა ერთ-ერთ კუთხეში და ყველაფერს გამგებლის თვალით აკვირდებოდა. კრისტინი რომ დაინახა, სახეზე გულთბილი ღიმილი აღებეჭდა და უმალ მისკენ გაემართა.

— ცოტა შეგაგვიანდათ, ვიფიქრე რომ აღარ მოხვიდოდით, — თქვა მან მისალმების მერე, — კარგად გამიგეთ, რომ არ მოსულიყავით, ძალიან მეწყინებოდა. — ამ სიტყვებით თეთრი, საზაფხულო პიჯაკის ჯიბიდან შოკოლადი ამოიღო და კარინას ხელებში ჩაუდო, თან ვიქტორს გამოელაპარაკა: — მე კომპლიმენტების მოყვარული არ ვარ, მაგრამ თქვენი მეუღლე ამ საღამოს კეთილი ფერიასავით გამოიყურება, თითქოს, გეგონება, აგერ, სადაცაა ფრთებს მოიქნევს და გაფრინდება შორს-შორს.

ვიქტორი და კრისტინი თავს უხერხულად გრძნობდნენ, არ იცოდნენ რა ეთქვათ. დუმილი ბოლოს ვიქტორმა დაარღვია, შეეცადა საუბრისთვის ნორმალური მიმართულება მიეცა.

— კომპლიმენტისათვის დიდი მადლობა.

— მე ხომ გითხარით, ეს არ არის კომპლიმენტი. თქვენი მეუღლე მართლაც ძალიან ლამაზი ქალია. თუმცა... ო, ღმერთო ჩემო, როგორი დაბნეულ-დაფანტული გესაუბრებით. რატომ გავჩერდით აქ, შემოსასვლელში? გთხოვთ, წამობრძანდით. უმ-

ჯობესია ზემოთ ავიდეთ, რადგან აქ ხმაურია. არ მინდა საუბრის დროს ხელი შეგვიშალონ.

იგი სტუმრებს წინ წაუძღვა. გზაში ერთ-ერთ ოფიციანტს დავალება მისცა: „ზემოთ ორი ბოთლი ხვანჭკარა, ბევრი შოკოლადი და ოთხი ყავა მოგვიტანე“.

ისინი მეორე სართულზე, დიდ და ნათელ სათავსოში შევიდნენ, რომელშიც ორი განყოფილება იყო: დიდი დარბაზი და მისგან გატიხრული პატარა ოთახი, ორი ფანჯრით ზღვას რომ გადასცქეროდა. დარბაზის ფართო სარკმელი ვიტრინას წააგავდა. გარეთ, ფანჯრის ქვემოთ, ავტომანქანების სადგომი იყო მოწყობილი. იქით ერთსართულიანი შენობა იდგა, სადაც ორი მაღაზია იყო განთავსებული — სამრეწველო საქონლის და საიუველირო. შორიახლო მშენბანკის ორსართულიანი შენობა მოჩანდა.

ლითონის გისოსები ვერცხლისფრად იყო შეღებილი. ფანჯრებს ზევით ლაქით გაპრიალებულ, ჩუქურთმიანი ხის კარნიზებზე თეთრი ფარდები ეკიდა. ეს დარბაზი, პირველად რომ შევიდნენ, ალბათ, საბანკეტოდ იყო განკუთვნილი. იქ იდგა იმპორტული ბუფეტი და რამდენიმე გრძელი მაგიდა სკამებით.

ისინი დიდი დარბაზიდან პატარა ოთახში შევიდნენ. ფანჯრები აქაც თეთრი ფარდებით იყო გაწყობილი. ეტყობოდა, რომ საწოლი ოთახი იყო, იმპორტული ავეჯი იდგა, წითელი ხის, ლამაზი ლოგინის გადასაფარებლით დამშვენებული. ფანჯრების მოპირდაპირე მხარეს, ყრუ კედელს, მთლიანად გასდევდა ბროლის ჭურჭლის რაფა («горка»), რომელიც იმპორტული ბროლით იყო გაწყობილი. ოთახის შუაში იდგა ოვალური (მრგვალმოგრძო) მაგიდა, ირგვლივ რბილი სკამებით შემოწყობილი. კაფეს პატრონმა სტუმრები ამ მაგიდასთან მიიპატიჟა. დასხდნენ თუ არა, ოფიციანტიც გამოჩნდა, შემოვიდა თავაზიანად, ყველაფერი, რაც პატრონმა დაუკვეთა, გულდასმით განალაგა მაგიდაზე და ის იყო გასვლა დააპირა, რომ პატრონმა უთხრა: „მოგვიანებით ოთხი ჯამი ნაყინი შემოგვიტანე“. შემდეგ სტუმრებისკენ მიბრუნდა და საქმიანი კაცის კილოთი თქვა.

— მოდი, გავიცნოთ ერთმანეთი! მე არსენა მქვია.

— კრისტინი.

— ვიქტორი. ეს კარინაა, ჩვენი ქალიშვილი, თქვენ მას უკვე იცნობთ.

— კი, მე და კარინა უკვე დავმეგობრდით, — თქვა არსენმა და ღვინო პატარა სირჩებში ჩამოასხა, მერე ორივეს მიუჭახუნა. — ეს გაცნობის იყოს, თითო გადავკრათ. კაცებმა ჭიქა დაცალეს, კრისტინიმ ოდნავ მოსვა, ბაგეები შეახო სასმისს. მერე ყავა მიირთვეს და შოკოლადს გემო გაუსინჯეს.

კრისტინის მოუთმენლობა კლავდა, ბილეთების ამბავი აინტერესებდა, უნდოდა რაც შეიძლება ჩქარა შეეტყო, შეასრულა თუ არა თავისი სიტყვა არსენმა, მაგრამ სტუმართმოყვარე მასპინძელი არ ჩქარობდა, თვითონ კი ინიციატივის გამოჩენა არ სურდა, არ უნდოდა მასზე ეფიქრათ თავდაჭერილი არ არისო. ამიტომ გადაწყვიტა საუბარი სხვა თემაზე გადაეტანა.

— ბატონო არსენ! თქვენი გვარი ოძელაშვილია?

— არა. ჩემი გვარი აფხაზავაა.

— მაშინ ოძელაშვილი ვინ არის?

— არსენა, ჩემი სეხნია, საქართველოს სახალხო გმირია. გასულ საუკუნეში ცხოვრობდა. იგი ხელმოკლე ხალხის წიაღში აღიზარდა და მათი ინტერესების დამცველი იყო. ებრძოდა დიდგვაროვნებს, სქელჯიბიანებს და მეფის ჟანდარმერიას. ხალხმა გააიდეალა ის, მხარს უჭერდნენ და მღეროდნენ: „მდიდარს ართმევს, ღარიბს აძლევს, ღმერთი როგორ წაახდენსა“. ერთი სიტყვით, უკანონობის, განუკითხაობის წინააღმდეგ მებრძოლი გმირი იყო, რაც იმ პერიოდში, რევოლუციურ იდეალებს განასახიერებდა, მაგრამ ის რევოლუციონერი არასოდეს ყოფილა და თანამედროვეთა ცნობიერებაში სახალხო გმირად დარჩა, ისევე როგორც რობინ ჰუდი. მისი ფათერაკიანი ცხოვრების პერიპეტიებზე შექმნილია ხალხური ლექსები — ბალადა „არსენა“. ცნობილმა ქართველმა მწერალმა მიხეილ ჯავახიშვილმა[1] კი შექმნა დიდი ტილო — რომანი,

1. დიდ ბელეტრისტს წაყენებული ექნა ბრალდება არიული სისხლის პროპაგანდასთან დაკავშირებით. უცილობელი წყაროები ამტკიცებენ, რომ დაპატიმრების წინა დღეს, მ.ჯავახიშვილი აღნიშნული თეორიის შესახებ მხოლოდ ერთხელ ესაუბრა ბოლშევიკ მწერალს იაკინთე ლისაშვილს, ცნობილი რომანის „ლადო კეცხოველი“-ს ავტორს.

სახელწოდებით: „არსენა მარაბდელი“. დიდმა ქართველმა რეჟისორმა მიხეილ ჭიაურელმა გადაიღო შესანიშნავი ფილმი „არსენა“, არ შევცდები თუ ვიტყვი — ამჟამად ლეგენდარული მსახიობების ნატო ვაჩნაძის და სპარტაკ ბაღაშვილის მონაწილეობით. ალბათ, ეს სახელები თქვენთვის უცნობი არ უნდა იყოს. სხვათა შორის, ეს იყო პირველი ქართული ხმოვანი ფილმი, რომელმაც 1941 წელს სახელმწიფო პრემია დაიმსახურა.

— ნატო ვაჩნაძე, ქართველი მზეთუნახავი! — წამოიძახა კრისტინიმ, — როგორ თუ არ გამიგია, იგი არა მხოლოდ კავშირის, არამედ მსოფლიო მასშტაბით არის ცნობილი. რა სამწუხაროა, რომ ავიაკატასტროფაში დაიღუპა. რას არ გაიგონებ ამ თემაზე... ამბობენ, თითქოს, თბილისიდან მოსკოვში ბერიას მითითებით გადაფრინდა.

— კი, მგონი ასეა. — არსენმა ისევ ჩამოასხა ღვინო სირჩებში. — ასე თუ ისე, ამგვარად, მე და ოძელაშვილი, როგორც უკვე ვთქვი, მხოლოდ სეხნიები ვართ, და უბრალოდ, მისი ხსოვნის უკვდავსაყოფად ვუწოდე ჩემს ბარ-რესტორანს: „კაფე არსენა ოძელაშვილი“.

ვიქტორი და კრისტინი განცვიფრებული მიჩერებოდნენ მასპინძელს და ვერ გარკვეულიყვნენ რატომ მოვიდნენ ამ კაფეში და რისთვის ამოვიდნენ მეორე სართულზე — თვითმფრინავის ბილეთებისათვის თუ საქართველოს ისტორიის შესასწავლად. სიტუაცია ისეთ შთაბეჭდილებას ტოვებდა, თითქოს, მასპინძელს საერთოდ გადაავიწყდა წუხანდელი დანაპირები. ცოლმა ქმარს გადახედა, თვალებით ანიშნა: „არაფერი ეთქვათ ბილეთებზე“.

არსენმა ჭიქა ასწია, უნდოდა მორიგი სადღეგრძელო ეთქვა, მაგრამ ვიქტორმა დაასწრო.

— ბატონო არსენ! საქართველოში არცთუ იშვიათად ვიმყოფები, სამსახური მაქვს ასეთი. ვიცი, რომ ქართული გვარები ძირითადად „შვილზე“ და „ძეზე“ მთავრდება, რაც სინონიმებია. ამიტომ მაინტერესებს თქვენი გვარი აფხაზავა სხვა ძირიდან მომდინარეობს თუ ასევე ქართულია?

— აფხაზავები სამეგრელოდან ვართ წარმოშობით, მაგრამ ეს გვარი აფხაზეთშიც არის გავრცელებული. მე მკვლევარი არა ვარ,

მაგრამ ჩემი აზრით, სუფიქსი „ავა“ მეგრული „აბა“, „ბაბა“-დან უნდა მოდიოდეს, რაც „მამის“ მნიშვნელობით იხმარება. ხოლო მამა და შვილი გვარის გაგრძელებისათვის, ორივე მნიშვნელოვანი კომპონენტია. დედაჩემი — მაგალითისთვის ვამბობ, ჭაკვეტაძეა გვარად, გურულია. ამით ის მინდა ვთქვა, რომ „ძე“-ზე ძირითადად გურული გვარები მთავრდება, მაგრამ სამეგრელო და გურია, როგორც ასევე აფხაზეთი — საქართველოს მხარეებია. არსებობს ასეთი ხალხური სიმღერა: „ქართლ-კახეთი, იმერეთი, გურია და სამეგრელო, ყველა ჩემი სამშობლოა, საყვარელი საქართველო“. ქართულ სუფრაზე ხშირად გამიგონია, რომ ამ ლექსის მთქმელმა რითმა საქართველოს რამდენიმე უმნიშვნელოვანეს მხარეს ამჯობინაო, თუმცა იმერეთი მთელ დასავლეთ საქართველოს მოიცავს, რადგან საქართველო ორი სიტყვით შეიძლება გამოიხატოს: „ამერ-იმერი“. „ამერი“ — აღმოსავლეთ საქართველოა, „იმერი“ — დასავლეთი. — განმარტა არსენმა და ჭიქა, რომელიც ლაპარაკის დროს მაგიდაზე დადო, ისევ ასწია.

— ამ სასმისით მე მინდა კარინას სახით ყველა ბავშვი ვადღეგრძელო, ჩვენი სამყაროს ხვალინდელი იმედი, მშვენება და სილამაზე. ბედნიერების მომტანი იყოს მათთვის ეს არაჩვეულებრივი დღესასწაული — პირველი სექტემბერი, სკოლის პირველი ზარი. ეს ჩემი სიტყვები კარინას რომ აუხდება, ამის საწინდარი ეს სამი ბილეთია, რომლითაც თქვენ ოცდაათ აგვისტოს, დილის რეისით სოხუმიდან მოსკოვში გადაფრინდებით. — თქვა და პიჯაკის შიგა ჯიბიდან სამი ბილეთი ამოიღო, კრისტინის წინ მაგიდაზე დადო.

ცოლ-ქმარს სიხარულისაგან თვალები გაუბრწყინდათ, ერთდროულად ამბობდნენ სამადლობელ სიტყვებს. განსაკუთრებით კრისტინი იყო აღფრთოვანებული.

როცა სიხარულის პირველმა ტალღამ გადაიარა, ქალმა არსენს ჰკითხა, რა თანხა უნდა გადაეხადათ მათ.

— ოცდახუთი მანეთი!

— სულ, სამოცდათხუთმეტი მანეთი. მე სწორად დავითვალე? — იკითხა კრისტინმა და ყოვლისშემძლე მასპინძელს მხიარული ღიმილით შეხედა.

— მე მჯერა, რომ თქვენ კარგი ექიმი ხართ, მაგრამ ბუღალტრად ვერ ივარგებთ. — უპასუხა არსენმა.

— ნუთუ მე შემეშალა?

— დიახ, ქალბატონო კრისტინ, ნამდვილად შეგეშალათ! თქვენ კარგად იცით, რომ ერთი ავიაბილეთის სახელმწიფო ფასი მოსკოვამდე ათი მანეთი ღირს, ნახევარის — ხუთი მანეთი. ასე რომ, თქვენგან სულ ოცდახუთი მანეთი მერგება.

— სახელმწიფო ფასი?

— ქალბატონო კრისტინ! სპეკულაცია არ არის ჩემი სტიქია.

ვიქტორი არ დაიბნა, ფული ჯიბიდან ამოიღო და არსენს ოცდახუთი მანეთი გადაუთვალა. მერე ჭიქა აიღო და ბავშვების სადღეგრძელო დალია.

— კრისტინა, — მიუბრუნდა ის ცოლს, — ეს ჭიქა აუცილებლად უნდა დაცალო; დიდებული სასმელია.

კრისტინიმ ბილეთები ჩანთაში ფრთხილად მოათავსა, მერე ბავშვების სადღეგრძელო წარმოთქვა და სასმისი დაცალა. ალბათ, გადატანილი ნერვიულობისა და ძლიერი განცდის მიზეზი თუ იყო ის, რომ ღვინომ სწრაფად იმოქმედა, ტანში თბილმა ჟრუანტელმა დაუარა, რის გამოც, მსუბუქად დაეხვა თავბრუ.

ვიქტორი ლაპარაკის ხასიათზე დადგა.

— „ხვანჭკარა“ სტალინის საყვარელი ღვინო იყო.

— კი. — დაადასტურა არსენმა. — მისთვის საქართველოდან ორი სამარკო ღვინო იგზავნებოდა — „ხვანჭკარა“ და „ქინძმარაული“.

— რომელი ყურძნის ჯიშებიდან აყენებენ ამ ღვინოებს?

— ხვანჭკარა — სოფელია რაჭაში, ამბროლაურის რაიონში, მდ. რიონის მარჯვენა ნაპირზე. იქ, მზიან ფერდობებზეა გადაშლილი ამავე სახელწოდების ვენახი, ხოლო „ქინძმარაული“ მზადდება სოფელ უსახელოში, ცაგერის რაიონში, ლეჩხუმში, რაჭის მეზობლად. ეს სოფელი მდ. ლაჯანურის (რიონის მარჯვენა შენაკადი) ზემო დინებაზეა გაშლილი. იქ მოჰყავთ ყურძნის ჯიში „უსახელოური“. სახელი შეერქვა სოფლის სახელწოდებისაგან.

ორივე სოფელში და მიმდებარე რაიონებში შექმნილია სპეციალიზებული მეურნეობა. მუშაობენ ღვინის ქარხნები.

ოთახში ისევ გამოჩნდა ოფიციანტი, ჩვეული თავაზიანობით ყველას თავისი ულუფა ნაყინი ჩამოურიგა.

— ვიქტორ, დანახარჯი გადაიხადე. — შეახსენა კრისტინიმ ქმარს.

— დღეს თქვენ ჩემი სტუმრები ხართ და არა კლიენტები. — არსენმა თვალით ანიშნა ოფიციანტს, წადიო და იგი უცებ აორთქლდა.

ახლა ჭიქები ვიქტორმა შეავსო.

— არსენ, გაგიმარჯოს! შენ ნამდვილი მამაკაცი ხარ! მოსკოვში თუ ჩამოხვალ, გახსოვდეს, ჩვენი სახლის კარები შენთვის ყოველთვის ღია იქნება.

კრისტინიმ ქმარს ტოლი არ დაუდო, ეს ჭიქაც ფსკერამდე გამოცალა. რამდენიმე წამში ქალი ისე შეიცვალა, რომ ძნელად საცნობი გახდა — მისი სახე მზესავით ანათებდა, ოთხი თვალი გამობმოდა და ყველა არსენს უყურებდა.

— დავითვერი! — თქვა მან, — მაგარამ არ ვიცი ღვინის ბრალია თუ სიხარულის.

როცა გამომშვიდობების დრო დადგა, კრისტინიმ არსენს მხურვალე მადლობა გადაუხადა, თან დასძინა, რომ ეს საღამო მას არასოდეს დაავიწყდებოდა და მთელ ცხოვრებაში მაგალითივით გაჰყვებოდა.

7.

კრისტინიმ ადრე გაიღვიძა, მზის ამოსვლას დაასწრო, სიზმარგამოყოლილმა კიდევ რაღაც წაიბუტბუტა, ვიდრე გრძელ წამწამებს გახსნიდა და მერე ნელა, ზანტად წამოდგა ლოგინიდან.

სარკეში რომ ჩაიხედა, ცისკარი ჯერ კიდევ არ ცისკრობდა, პირდაბანილი არ იყო, მაგრამ მაინც ლამაზი და მიმზიდველი ჩანდა. გუშინდელი მოგონებები მოაწვა, ბილეთებზე საზრუნავი რომ აღარ ჰქონდა, უკვე მშვიდად იყო და სახეზე ნეტარების ღიმილი

მოეფინა. შავი ღვინის მერე, წუხელ კაფეში რომ დალია, თავს კარგად გრძნობდა, ეგონა ძარღვებში სისხლი კი არა, ყურძნის ტკბილი ბადაგი დუღსო და გადაწყვიტა ცივი შხაპი მიეღო.

თავს რომ იმშრალებდა, წამდაუწუმ სარკეში იმზირებოდა, სურდა დარწმუნებულიყო, რომ რომანტიული სიყვარულით დატკბობა მისთვის ჯერ კიდევ არ იყო დაგვიანებული, და რომ სწორედ ამისთვის მოევლინა ამ წუთისოფელს მისი მშვენიერი, აშოლტილი ტანი, მისი სისხლისფერი, ოდნავ გაპობილი ტუჩები, როგორც მიმნდობი მოლოდინის გამოხატულება; სველი თმები ოქროსფერი ღრუბელივით შუბლზე ალაგ-ალაგ რომ იყო ჩამოწეწილი, მასში ისეთ სულიერ განწყობილებას ბადებდა, თითქოს სარკიდან კვლავ ის, ჩვიდმეტი წლის გამოსაშვები კლასის მოსწავლე უცქერდა. თუმცა, პირიანად თუ ვიტყვით, მას ისეთი შთაბეჭდილება რჩებოდა, რომ ახლა, ოცდაშვიდი წლის ასაკში, იგი არანაკლებ მომხიბვლელი და მიმზიდველი იყო, ვიდრე ათი წლის წინათ.

თითქმის ნახევარი საათი იტრიალა სარკის წინ, დრო სულაც არ დაუზოგავს, მუშტრის თვალით ამოწმებდა ყველაფერს რა ჩაიცვა, რა როგორ მოიხდინა, კისერიც კი ეტკინა. როცა დარწმუნდა, რომ მორთვა-მოკაზმვას თავი კარგად გაართვა, ახლად გამოღვიძებული ქმრის ხმა შემოესმა.

— ამ დილაუთენია სად მიდიხარ? — ჰკითხა ვიქტორმა ცოლს.

— ჯერ ჩვენი სასტუმროს დირექტორს ვნახავ, შვიდი სექტემბრის ბილეთების დაკვეთა ხომ უნდა გაუქმდეს, მადლობის მეტი რა გვეთქმის, შეწუხდა ადამიანი. მერე კაფეში წავალ, არსენს საკადრისი პატივი უნდა მივაგოთ, ასე არ არი?

— რა გადაწყვიტე, რას იყიდი, საჩუქარი თუ შეარჩიე რამე?

— ასი მანეთი მაქვს. წუხელ ხომ შევთანხმდით, ამ თანხის ფარგლებში რამეს შევარჩევ, ისეთს, რომ დავამახსოვრდეთ.

ოთახიდან რომ გადიოდა კრისტინმა ქმარი დაარიგა:

— რესტორანში დროზე წადით, ბავშვს ყურადღება არ მოაკლო, არც საუზმის დროს და არც ზღვაზე! იმ შემთხვევაში თუ შემაგვიანდა, უჩემოდ ისადილეთ.

სასტუმროს დირექტორმა კრისტინი არაჩვეულებრივი თავაზიანობით მიიღო, გულისყურით მოუსმინა და როცა დარწმუნდა, რომ ბილეთები დაჯავშნილი იყო ვიქტორის, კრისტინის და კარინას სახელზე, მაშინვე დარეკა სოხუმში, აეროფლოტის მთავარ დისპეტჩერთან და მის მიერ მიცემული ძველი შეკვეთა გააუქმა. ასეთი მაღალი ყურადღებისათვის კრისტინმა დირექტორი მადლიერების გამომხატველი სიტყვებით აავსო. ქალის სილამაზით და ქცევით მოხიბლულმა დირექტორმა იგი ვესტიბიულამდე მიაცილა და გამომშვიდობებისას თხოვა: „გამგზავრების წინ აუცილებლად შემოიხედეთ ჩემს კაბინეტში, მინდა პროფესორ ალექსეევთან მისალოცი ღია ბარათაი გაგატანოთ“.

გაგრის მთაგრეხილებიდან ვარდისფერი მზე ამოვიდა. ქალაქს უკვე ეღვიძა. ავტობუსები და მსუბუქი ავტომანქანები გზატკეცილზე გრიალით მიქროდნენ. ძველი ფარდულის მსგავსი ყვავილების პავილიონთან გამყიდველი გოგონა მუშაობდა, რიგრიგობით გამოჰქონდა ქოთნებში აღმოცენებული იები, ენძელები, ვარდები და ყაყაჩოები. სასადილოებთან ხალხის რიგი დგებოდა. ქუჩებში პირველი დამსვენებლები გამოჩნდნენ. მათ უკვე მოესწროთ დანაყრება და ახლა გასაშლელი ქოლგებით, საბანაო კოსტუმებით, დასაკეცი სკამებით, გასაბერი ბალიშებით და სხვა რამ წვრილმანით დატვირთულები, სანაპიროსაკენ მიემართებოდნენ.

მთის გრილი, სუფთა ჰერით და გაგრის ქუჩების იერ-სახით მოხიბლული კრისტინი ცნობისმოყვარეობით ათვალიერებდა ვიტრინებს. მაღაზიები, როგორც წესი, ცხრა საათზე იღებოდა, ვისაც ფული ჰქონდა და რაიმეს ყიდვის სურვილი ჰკლავდა, არავითარი პრობლემა არ იყო, იყიდდა რაც სურდა, რაც ვიტრინაში მის ყურადღებას მიიქცევდა. ერთ ვიტრინაში კრისტინიმ ვერცხლის პორტსიგარი შეამჩნია, იგი მას ძალიან მოეწონა, იყიდა და იქვე მაღაზიაში მომუშავე იუველირს დაუკვეთა ფირფენილი წარწერით: „არსენ აფხაზავას, გულისხმიერ და კარგ მეგობარს — კრისტინისა და ვიქტორისაგან. 27 აგვისტო, 196... წელი, კურორტი

გაგრა“. რაც პორტსიგარის შიგა პირზე დაამაგრებინა. იქიდან კი სასურსათოში გადაინაცვლა, სადაც იყიდა ორი ქართული კონიაკი „ენისელი“ და შოკოლადი „დათუნია“. კრისტინიმ ძალიან კარგად იცოდა, რომ იმ ფულს ხარჯავდა, ცოლ-ქმარს ბილეთბისთვის რომ ჰქონდათ გადანახული, ამიტომ დასანანიც არა იყო რა.

გაგიხარია, დიდებული იყო მზით, ზღვით და სიმწვანით სავსე ქალაქში სიარული და ფულის ხარჯვა. დადიხარ ნამზეური, ჯანმრთელი, წამოწითლებული ლოყებით, თავით ფეხებამდე მომხიბვლელი, ათვალიერებ ვიტრინებს, მოგეწონა რამე — შედიხარ მაღაზიაში, გამყიდველები თვალებში შემოგციცინებენ, რა გნებავთ, რით გასიამოვნოთ, ოღონდ რამე მოგეწონოს, ოღონდ რამე იყიდო... შენ კი, ამაყად ჩანთას გახსნი, ფულს ამოიღებ, გადაიხდი — შეძენილს ლამაზად შეგიფუთავენ, გზას დაგილოცავენ, გაიხარეო, გეტყვიან, თან ღიმილს საგზალივით გამოგაყოლებენ. ლაპარაკობ, მოძრაობ, ცნობილი კინოვარსკვლავების ჟესტიკულაციას იყენებ... და გრძნობ რა მომხიბვლელი და ქალურად მიმზიდველი ხარ, გჯერა შენი თავისა.

კრისტინის გამჭვირვალე ცისფერი კოფთა და თეთრი ქვედატანი, ლამაზ მუხლისთავებს მთლად რომ არ უფარავდა, ისე მოხდენილად ადგა, როგორც ჩოგბურთის მოთამაშე გოგონებს და როცა იგი არსენმა კაფეში შესული დაინახა, გაიფიქრა:

„მაისის პირველი დილასავით არისო“.

ოთახში ერთხანს გაურკვეველი — დაძაბული სიჩუმე იდგა. ორივენი დუმდნენ, თუმცა ძალიან აგზნებული და აღელვებული იყვნენ, ღრმად და ხშირად სუნთქავდნენ, ეტყობოდა კონიაკმა თავისი ფუნქცია შეასრულა.

— ხომ არ გეწყინება ფარდას თუ ჩამოვუშვებ?

— ო, არა, მართლა რა თვალისმომჭრელი სინათლეა...

საოცრად გრძელი წამწამები ჰქონდა კრისტინს. დროდადრო ისინი აქრობდნენ მისი ცეცხლივით მოგიზგიზე თვალების ბრწყინვალებას, რომელიც იმ წამიერი ნეტარებისას თავისთავად მამაკაცის

თვალების კოსმიურ უფსკრულში იძირებოდა და ცდილობდა თავისი შუქმომფინარი სხივით გაეშუქებინა კაცის ის იდუმალი ზრახვანი, დასაბამიდან ღამის სიბნელესთან რომ იყვნენ წილნაყარნი.

„ძნელია თქვენთან ახლოს ვიყო და არ გაკოცოთ“.

ოთახის შუაგულში იდგნენ, ერთმანეთს აკოცეს, ვნებიანად. წამით კრისტინი არსენს მიეკრა, კაცის ტანს მკერდით მიეწება. კრისტინის სუნთქვას „ენისელის“ სურნელი ახლდა.

„ვინ იცის, იქნებ ნანობთ, ჯერ არ არის გვიან, ჯერ კიდევ შეიძლება უკან დახევა“.

„თვითონვე იცით, რომ ახლა თქვენი უფრო ვარ“.

არსენმა წელზე მოხვია ხელი, ქალი ვნებიანად ოდნავ უკან გადაიხარა, წუთით თვალები დაეხუჭა, თმები წყლიდან ამოყვანილი გოგოსავით ეყარა მხრებზე.

სხვა არაფერი იყო უკვე, ერთმანეთის სხეული და — სამოსიანად, მამაკაცის მკლავების ძალა და ქალის ყელი და მკერდი. მერე ქალის ჩურჩული:

„ამიყვანეთ“.

კაცმა ქალის სათუთი სხეული ზევით ასწია, თავის ტანზემოთ. ქვემოდან ზევით უყურებდა და სულ სხვა ეჩვენებოდა მისი სახე — მარადიული მთვარის შუქით განათებული.

მაგრამ დიდხანს ასე ვერ იქნებოდნენ. კაცი მიხვდა, რომ წინ უნდა წასულიყო, რამდენიმე ნაბიჯი გადადგა და საწოლზე დააწვინა. თვითონ გვერდზე მიუწვა, მიიზიდა. ჰკოცნიდნენ ერთმანეთს, ვიდრე სულის შეგუბებამდე. კრისტინის სუნთქვა აღგზნებული და მღელვარე ჰქონდა, ტუჩები ოდნავ დახეთქილი, მაგრამ კუთხეებში ისევე რბილი. კაცის მკლავები სალტეებივით შემოჭდობოდა და როცა მამაკაცის მომთხოვნი ძალა იგრძნო, სწრაფად შეიხსნა ბუზჰალტერი და ქვედატანის კლაკნილა (რუს. ზმეიკა), გაიძრო ყველაფერი, რაც იმ წუთში მისთვის ხელის შემშლელი იყო და ლოგინზე მთელი თავისი სიმშვენიერით გაიშოტა. არსენს ალმური აუვიდა, ცეცხლი მოეკიდა — მოეჩვენა, რომ ცთომილი მთვარის შუქი ახლა ქვემოდან ანათებდა, ადამისა და ევას დროინდელი სამოთხის სიღრმიდან.

8

...კრისტინი საწოლზე იწვა, ისეთივე პოზაში და ისევე გაშიშვლებული, როგორც რემბრანდტის „დანაე“, განსხვავება მხოლოდ ის იყო, რომ იდაყვითა და ძუძუთი მუთაქას კი არ ეყრდნობოდა, არამედ არსენას მუხლებს, რომელიც თმებზე ეალერსებოდა.

— შეიძლება შეგეკითხო?

— რა თქმა უნდა.

— აქ რომ მოდიოდი, ქმარს რა უთხარი?

ქალმა ფართოდ გახსნა თავისი გრძელი წამწამები, მის თვალებში ეშმაკუნები ახტუნავდნენ.

— შენ რა გგონია, რას ვეტყოდი?

კაცმა მხრები აიჩეჩა, არ უპასუხა ქალს.

— სიმართლე ვუთხარი. არსენასთან მივდივარ-მეთქი. თვითონაც კარგად ესმოდა, რომ როცა პატივს გცემენ, პატივისცემითვე უნდა უპასუხო. წუხელ სასტუმროში რომ დავბრუნდით ფული თვითონ მომცა, თან გამაფრთხილა, რომ შენთვის კარგი საჩუქარი შემერჩია. მე მგონი, ყველაფერი ზუსტად შევასრულე. — თქვა ქალმა და ეშმაკუნები ახტნენ და მის ტუჩებზე დახტნენ.

კრისტინის ნაყიდი კონიაკები მაგიდაზე იდგა. ერთი გახსნილი იყო, ბოთლში ნახევარი თუ იქნებოდა დარჩენილი. შოკოლადი „დათუნია“ თეფშზე ეწყო, იქვე ცარიელი შესაფუთი ქაღალდებიც მოჩანდა.

არსენა დაიხარა, ქალს ლოყაზე აკოცა, თავი გაინთავისუფლა.

— სად მიდიხარ?

— ყავას მოვიტან. — საწოლის ერთ კუთხეში ხალათი იყო მიგდებული, ჩაიცვა და სამზარეულოში გავიდა. რომ დაბრუნდა, კრისტინი უკვე საწოლზე იჯდა, მამაკაცის ხალათი ჰქონდა მოცმული.

— ბოდიში, სარკიან კარადაში ვნახე, ტანისამოსი რომ ჰკიდია.

— ძალიან კარგი, როცა კიდევ ჩამოხვალ, უკვე ყველაფერი გეცოდინება სად რა არის.

ქალს გაეღიმა, „ვნახოთო“, ჩაილაპარაკა.

არსენა გვერდით მიუჯდა. უხმოდ, ნელ-ნელა ხვრეპდნენ ყავას. ჭიქიდან ორთქლთან ერთად გამაბრუებელი არომატი ამოდიოდა.

— რამდენი წლის ხარ? — ჰკითხა მოულოდნელად ქალმა.

— ოცდაშვიდის.

— ანუ, ჩვენ თანატოლები ვართ! ცოლიანი ხარ?

— ჯერ არა.

„ყველაფერი ზუსტად გამოვიცანი“. — გაიფიქრა ქალმა და კმაყოფილმა ჩაიღიმილა.

— მშობლები ცოცხლები არიან?

— ღვთის მადლით, ორივე სახეზეა. ახლა სამსახურში არიან. ჩემი და თბილისშია გათხოვილი. ნუ გეფიქრება, ხელს არავინ შეგვიშლის.

— ეს კაფე შენი საკუთრებაა?

— არ ვიცი, როგორ გითხრა? შენ კარგად იცი, რომ ჩვენს ქვეყანაში კვების ობიექტები კერძო საკუთრებაში არ არის. წელიწად-ნახევარია რაც სოხუმის სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტი დავამთვრე. მერე ბზიფის საბჭოთა მეურნეობაში ვმუშაობდი აგრონომად. შარშან, რატომღაც აღმასკომში გამომიძახეს, მითხრეს, რომ ქალაქში საზკვების ობიექტების ნაკლებობაა და შემომთავაზეს ჩემს ბინაში, პირველ სართულზე მომეწყო კაფე. მე დავთანხმდი.

უეცრად ქალმა კაცს პირდაპირ შეხედა თვალებში, ისე, თითქოს, უნდოდა მისთვის რაღაც წაერთმია და თან წაეღო.

— ისეთი კითხვა მაქვს, რაც ჩვენ, ორივეს გვეხება. ოღონდ სიმართლე უნდა მითხრა... იცოდე, ტყუილს თუ მეტყვი, უმალ მივხვდები.

— რაზეა ლაპარაკი?!

— მითხარი, როგორ მიხვდი ჩვენ ბილეთების პრობლემა რომ გვაწუხებდა, ხოლო ყველაფერი კი კარინასთან იყო კავშირში? და კიდევ, რატომ დაინტერესდი ამ პრობლემით?

არსენამ გაიცინა, ხმამაღლა, თითქოს გადაიხარხარა სიამოვნებისაგან, ცალი ხელი თმებზე გადაისვა, დაფიქრდა.

— კაფეში რომ შემოხვედით მე მაშინვე მოგაქციე ყურადღება, — თქვა მცირედი დუმილის მერე. — არ დავმალავ, შენი სახე ისეთი მშვენიერი იყო, ისე ელვარებდა და ციმციმებდა, ისეთ წმინდა

შუქს გამოცემდა, როგორც ალიონზე მზის შუქზე მოკამკამე ცვარი ბალახზე. არ ვიცი რა დამემართა, მოსვენება დავკარგე და უმალ, წამიერად გადავწყვიტე, რადაც უნდა დამიჯდეს, მაინც გავიცნობ-მეთქი. მაგიდასთან რომ დასხედით, ოფიციანტები გავაფრთხილე — სიახლოვეს არ გაგკარებოდნენ. მე კი შეუმჩნევლად მოგიახ-ლოვდით. შენი და ვიქტორის საუბარი მოვისმინე, ყველაფერს მივხვდი... დანარჩენი, თვითონ იცი, ტექნიკის ამბავი იყო.

— რომანტიკულად გამართლებულია და პოეტური, რომ სწორედ შენ იშოვე ჩვენთვის ბილეთები, — თქვა კრისტინიმ და ფინჯანი ლამბაქით მაგიდაზე დადო, მერე სარკესთან მივიდა და ორივე ხელით თმა გაისწორა თავი დაკვირვებით შეათვალიერა, როცა შემობრუნდა სკამი საწოლთან მიდგა, ჩამოჯდა და არსენას სახეზე მიეფერა.

— ძვირფასო, როგორ მომენატრები მოსკოვში.

ქალი სახეზე ოდნავ გაფერმკრთალდა, თავი ნაღვლიანად დახარა და კაცმა სიმღერის ხმა გაიგონა — ხმა კრისტინის! ის ქართულ მელოდიას ქართულ ენაზე მღეროდა:

„თბილისო მზის და ვარდების მხარეო, უშენოდ
სიცოცხლეც არ მინდა,
სად არი სხვაგან ახალი ვარაზი, სად არი ჭაღარა მთაწმინდა“.

ის რუსული აქცენტით მღეროდა და ფრაზა „ჭაღარა მთაწმინ-და“ მან წაიმღერა, როგორც „ჩაგარა მტაცმინდა“.

— ვინ გასწავლა?

— ამას წინათ, არ არის დიდი ხანი, რესტორან „გაგრიფშში“ დავით გამრეკელმა იმღერა, მგონი მისი დაბადების დღე იყო. ალბათ, იცი, იგი პირველი ბარიტონია დიდი თეატრის. მელოდია ძალიან მომეწონა და ეს ორი სტროფი დავიმახსოვრე. ქართული, ვფიქრობ, კეთილხმოვანი ენაა, მაგრამ მისი სწავლა, ძნელიაო, ამბობენ.

— უცხო ენის სწავლა ყველას უჭირს. პოლიგლოტები არ მყავს მხედველობაში. თუმცა, როცა ისინი ტრაბახობენ ყველა ენაზე ვლაპარაკობთო, ფაქტიურად, არც ერთი არ იციან ნორმალურად.

კრისტინმა გაიცინა.

— კიდევ ერთი შეკითხვა მაქვს.

— რა გაინტერესებს?

— ეს უფრო თხოვნაა, ვიდრე შეკითხვა.

— თქვი გისმენ!

— არსენას ლექსი მასწავლე.

— რად გინდა?

— ისე.

— პატარა რომ ვიყავი, დედა მიკითხავდა. ახლა კარგად აღარ მახსოვს.

— რაც იცი.

არსენამ ქალს თხოვნა შეუსრულა, რამდენიმე სტრიქონი მოიფიქრა და შეძლებისდაგვარად, გამოთქმით წაიკითხა:

„შაირ სიტყვითა მესტვირემ, ღმერთი მაღალი ახსენა,
ღმერთმა მოგცეს გამარჯვება, ოძელაშვილო არსენა.
ქეიფი იმას უყვარდა, გზებზე სუფრის გადაფენა,
შვიდი წელი ტყვედ იარა, მთა და ბარი შეაჯერა.
რომ შეიქმნა თექვსმეტი წლის, ულვაშები დაიმშვენა,
შეჯდა თავის ლურჯა ცხენზე, გააჭენ-გამოაჭენა.
ბატონს რომ ერთი გოგო ჰყავს, არსენას მოეწონება, —
გოგო... მე მომეც ბატონო, შენ კი არა წაგიხდება...“

Волынщик строками шаири выси и веси воспел.
Побед тебе и удачи, Одзелашвили Арсен...
Пиры любил и застолье, любил на природе кутнуть.
Семь лет отишачил в неволе, свободным продолжил свой путь.
Как стукнуло парню шестнадцать, усами украсил себя,
Расправил плечи, галопом пустил вороного коня.
У барина девка... Арсену в ней радость, улыбка и свет,
Тебе не убудет, а парню – до гроба любовь да совет...
(თარგმანი ეკუთვნის ავტორს)

— რა მშვენიერებაა! — წამოიძახა კრისტინმა და ხელი ხელს რამდენჯერმე შემოჰკრა, ტაში დაუკრა. — „გააჩენ გამოაჩენა“... ეს გოგო, ხომ?

არსენამ გაიცინა.

— არა, გოგო არა... აქ ლაპარაკია შავ ცხენზე.

— ა..., ცხენი? „ლურჯა“ რას ნიშნავს?

— ქართულად იტყვიან „ლურჯა ცხენი“, რუსულად ეს ნიშნავს „вороной кон”.

— გავიგე, ცხენი, თანაც ლურჯა... მე კიდევ რა ფერისა ვარ? გარუჯული, ხომ სწორად ვამბობ?

კრისტინის ჟინიანმა ხმამ კაცი მგზნებარე სურვილით აანთო, ქალის წინ დადგა, ერთი ხელი მის თმაში შეაცურა, ყურის ბიბილო ხოშით მოუსრისა, მეორეთი ყელზე და მკერდზე ვნებით მოეფერა; ქალი უფრო მეტად აღიგზნო, კატასავით განაბულმა და თვალებ-მოჭუტულმა კაცის მუცელს ნეტარებით მიაყრდნო შუბლი.

ერთხანს ასე იყვნენ. უეცრად კაცმა ამოიქშინა, ძლიერად ამოიქ-შინა — ორთქლმავალივით და ქალს იღლიებში სწვდა, წამოაყენა.

ქალი მსუბუქი და დამყოლი იყო, მისი ნოტიო სხეული აბრე-შუმივით მიეკრა კაცის სხეულს.

9

მეორე დღეს, ნაშუადღევს, პლაჟიდან სასტუმროში რომ დაბრუნდნენ, კრისტინიმ თქვა: „დღეს ისევ არსენას კაფეში ვისადილებთ. კაცმა ისეთი საქმე გაგვიკეთა, ზოგჯერ ღვიძლი ძმა არ გაგიკეთებს. გამგზავრებამდე აუცილებლად უნდა გამ-ოვემშვიდობოთ“. ვიქტორი ცოლს დათანხმდა. მალე სამივენი სასტუმროდან გამოვიდნენ და პირდაპირ კაფე „არსენა ოძელაშ-ვილს“ მიაშურეს. კრისტინიმ ჯერ კიდევ შორიდან შენიშნა, რომ ავტოსადგომზე პურპროდუქტების დახურულძარიანი ავტომან-ქანა იდგა და არსენა მძღოლს ელაპარაკებოდა. ცხადი იყო, იგი მძღოლს რაღაცას უხსნიდა. პურპროდუქტების მანქანა რომ დაი-ნახა, კრისტინის ისევ გაახსენდა ამ რამდენიმე დღის წინათ ნანახი

სიზმარი, ვიქტორს რომ უამბო, მაგრამ ქმარს იგი სასაცილოდ არ ეყო და არც დაიჯერა.

„საკვირველი კია, ღმერთმანი, აქამდე ყველაფერი ისე ხდება, როგორც სიზმარში იყო“ — გაიფიქრა ქალმა.

არსენამ ისინი რომ დაინახა, მძღოლს უთხრა, მალე დავბრუნ-დებიო და სტუმრებს მიეგება. ცოლ-ქმარს ისე მიესალმა, როგორც ახლო მეგობარი, მერე კარინას მიეალერსა და საკუთარი თავის გამართლების მიზნით თქვა:

— აქ, ჩვენ ცოტაოდენ გაუგებრობასთან გვაქვს საქმე. ფქვი-ლი განრიგის მიხედვით ამ დილით უნდა შემოეზიდათ და ახლახან კი მოიტანეს. რომ დაიგვიანეს, ვიფიქრე, ალბათ, დღეს აღარ მოი-ტანენ-მეთქი და მუშები შინ გავუშვი. ახლა სადმე მტვირთავები უნდა მოვძებნო, რომ დაფასოებული ფქვილი მანქანიდან გადმო-ვაცლევინო და საკუჭნაოში მოვათავსო. თქვენ კაფეში შებრძან-დით და მალე მეც თქვენთან გავჩნდები.

— რამდენი ტომარა არის გადმოსაცლელი? — იკითხა კრის-ტინიმ ყველასათვის მოულოდნელად და არსენას თავისი მომაჯა-დოვებელი ღიმილით შეხედა.

— ეს თქვენ რატომ გაინტერესებთ?

— ისე, უბრალოდ. შემთხვევით ეს საიდუმლო ინფორმაცია ხომ არ არის?

— რა თქმა უნდა, არა, ეგ რა საიდუმლოა, — არსენმა საყვა-რელს დაბნეული გამომეტყველებით შეხედა, — ოცი ტომარა ფქ-ვილია გადმოსატვირთი.

— სულ ეგ არი?! ჩემი მეუღლე მოგეხმარებათ. თქვენ ისეთი რამ გაგვიკეთეთ, ეს საქმე მასთან შედარებით უმნიშვნელოა. — კრისტინიმ ქმარს გადახედა.

ვიქტორმა ცოლის თვალები რომ დაინახა, მიხვდა — მანქანი-დან ფქვილის გადმოტვირთვა არ აცდებოდა და მისდაუნებურად წამოისროლა:

— კი, რა თქმა უნდა, ეს უბრალო საქმეა, ოღონდ მითხარით, სად დავაწყო ტომრები?

არსენა გაოცებული შეჰყურებდა ხან კრისტინს, ხან ვიქტორს, არ იცოდა რა ექნა, როგორ მოქცეულიყო და ვიდრე ცბიერი არსების ჩანაფიქრს გამოიცნობდა, ვიქტორი მის წინ იდგა, წელზემოთ შიშველი. პერანგი მან სწრაფად გაიძრო და იქვე, ვერანდის მოაჯირზე გადაკიდა.

არსენა საგონებელში ჩავარდა, ხელები უმწეოდ გაასავსავა.

— თქვენ რა, მეგობრებო?..

— არაფერი, არაფერი! — მხიარულად წარმოთქვა კრისტინიმ, — ეს მისთვის სასარგებლოცაა, ხომ უყურებთ, როგორ წამოეზარდა ღიპი? — ამ სიტყვებით ქმარს მუცელზე ნაზად მოუთათუნა ხელი.

— რა გაეწყობა, — თქვა არსენმა და ვიქტორს საკუჭნაო მიასწავლა, რომელიც მოშორებით, სახლის უკან მოჩანდა. მერე მძღოლს უთხრა: თუ ძმა ხარ, მანქანაზე ადი და კაცს ხელი წაუკარი.

ვიქტორი მანქანისაკენ გაემართა.

— კაფეში დაგელოდებით, — დაადევნა კრისტინიმ ქმარს სიტყვა, — საქმეს რომ მორჩები, შხაპი მიიღე და შემოგვიერთდი.

არსენამ კაფეში შესასვლელი კარი შეაღო, დედა-შვილი წინ გაატარა, თვითონ კი მათ უკან მიჰყვა. გზაზე ერთ-ერთ ოფიციანტს რაღაც გადაულაპარაკა და როგორც კი ისინი მეორე სართულის სადარბაზოში შევიდნენ, სად იყო და სად არა, ისიც მათთან გაჩნდა და მაგიდაზე აჭარული ხაჭაპურები, გამაგრილებელი სასმელები, ხილი და შოკოლადები ლამაზად დაალაგა.

ოფიციანტის გასვლისთანავე არსენამ კარები გასაღებით დაკეტა, მერე ბუფეტთან მივიდა, ის კონიაკი გამოიღო, ამას წინათ კრისტინიმ რომ მოიტანა და ორივემ გემო გაუსინჯა, კარგადაც ისიამოვნეს.

კრისტინიმ ქალიშვილი მომიჯნავე ოთახში გაიყვანა, მაგიდასთან დასვა, მიუტანა მას ხაჭაპურიც, ხილიც, შოკოლადიც, ლიმონათიც და დაარიგა:

— იცოდე, სანამ კარგად არ დანაყრდები, შოკოლადი არ გასინჯო, თორემ მადა წაგიხდება და მშიერი დარჩები. აბა, შენ იცი,

ჭკუით იყავი, როცა ისადილებ, ლოგინზე წამოწექი, შუადღის ძილი მარგებელია. მე ფანჯარასთან დავდგები, შევხედავ მამა როგორ მუშაობს, როცა საქმეს მორჩება, გაგაღვიძებ. კარგი?

— კარგი, დე, შენ წადი, მე ყველაფერს, როგორც მითხარი ისე გავაკეთებ, — გოგონა დედას მაშინვე დაეთანხმა და მაგიდიდან დანა-ჩანგალი აიღო, სადილობას შეუდგა.

ოთახიდან რომ გამოვიდა, კრისტინიმ კარები დახურა და გასაღბით დაკეტა. არსენა მაგიდასთან იდგა, ხელში კონიაკის ბოთლი ეჭირა და „ენისელს“ ჭიქებში ასხამდა. კრისტინიმ მისკენ არც კი გაიხედა, ფანჯარასთან მივიდა, შეაღო და ეზოში გადაიხედა. ვიქტორი მანქანასთან იდგა, მძღოლის დახმარებით ფქვილის ტომარა ზურგზე მოიგდო.

— ვიტია! — ხმამაღლა დაუძახა ცოლმა ქმარს, და მან ზემოთ აიხედა. — ეს მერამდენეა?

— მესამე.

— ცოტა დაუჩქარე, კარგი? ჩვენ გიცდით.

— კარგი, ვეცდები, — უპასუხა ვიქტორმა და ზურგზე ტომრით საკუჭნაოსკენ მძიმედ გაიწია.

— არსენ, ვიქტორი მუშაობს! — თქვა ქალმა და სარაფანის თასმები მხრებიდან ძირს ჩაუშვა. კაბა ნელა ჩასრიალდა იატაკზე. საკუთარი სიტიტვლე რომ დაინახა, თვალები ისე მოჭუტა, თითქოს დაირცხვინაო.

— იცი, პლაჟიდან სასტუმროში რომ დავბრუნდით, ვჩქარობდი და ტრუსის ჩაცმა დამავიწყდა.

სველი თმები გოგოსავით ეყარა მხრებზე, ზღვიდან ახლად ამოსულს ჰგავდა, უკანიდან უფრო მიმზიდველი და ვნებისაღმძვრელი ჩანდა მისი ტიტველი სხეული. იგი ორივე ხელით, მოდუნებული დაეყრდნო ფანჯრის რაფას.

კაცი მიხვდა, რასაც მისგან ქალი ითხოვდა. იგი უკნიდან მიუახლოვდა თეთრი იასამნის ბუჩქივით ფანჯრის რაფაზე გადაყრდნობილ კრისტინს, ეფერებოდა ნამზეურ ზურგზე, მკერდზე, ძუ-

ძუებზე, ხორცსავსე ბარძაყებზე. მოჯადოებულივით გრძნობდა კაცი თავს, ასე ეგონა ზღვიდან ამოსული ნიმფის სიმშვენიერით ვტკბებიო, მაგრამ ამ დროს, ვნებააღძრული ქალის სავსებით მიწიერი ხმა შემოესმა:

— არსენ, ვიქტორს უკვე მეშვიდე ტომარა მიაქვს საწყობში.

ქალი მართალი იყო, დრო არ იცდიდა და კაცმა აღარ დააყოვნა, ცოცხლად გაიძრო შარვალი, ფეხით კრისტინის სარაფანისკენ მოისროლა, ხელები იღლიებში შეუცურა, ორი, გულაბი მსხალივით ბორცვი ნდომით ჩაბღუჯა და ისეთი მკვეთრი შეკვრით შევიდა მასში, როგორც ატეხილი ულაყი მიაჭირებს ხოლმე ახურებულ ჭაკს. ყოველი შეკვრისას ქალი თავს ინერციით ფანჯარაში გადადებდა და იგი, ამ დროს, ანგარიშმიუცემლად ითვლიდა თუ მერამდენე ფქვილის ტომარა მიჰქონდა ვიქტორს საწყობში. და როცა მძღოლმა ვიქტორს მეცამეტე ტომარა მოაგდო ზურგზე, ქალის მკერდში დაგუბებული ყრუ კივილი ვულკანივით ამოიფრქვა: — ვიქტორ, უფრო ჩქარა! არსენ!... ძლიერად, კიდევ უფრო ძლიერად!

სურათი მეორე
არსენა მოტეხილია

— ექვსი თვის მერე კრისტინას მოსკოვში ვესტუმრე, — თქვა არსენმა, — ქმარმაც და ცოლმაც გაშლილი ხელებით მიმიღეს. სამოთახიან ბინაში ერთი ოთახი მე დამითმეს. მოსკოვში ცოტაოდენი საქმეც მქონდა და იქ ორი კვირა დავყავი. ჩემი გულისათვის კრისტინიმ ათდღიანი უფასო შვებულება აიღო. ქმარს სამსახურში გაისტუმრებდა, ბავშვს სკოლაში და სადილობამდე ჩვენ ვრჩებოდით ორნი ერთად.

იმ პერიოდში რაღაც ახალი საქმე წამოვიწყე და მასთან დაკავშირებით მოსკოვში კიდევ ერთხელ გავემგზავრე. გადავწყვიტე ვიქტორისა და კრისტინის ოჯახი აღარ შემეწუხებინა და სასტუმრო „უკრაინაში“ დავბინავდი. კრისტინის ტელეფონზე დავურეკე და ვუთხარი, რომ აქ შევხვდეთ-მეთქი. მაშინვე მოირბინა, ჩემი ბარგიბარხანა ჩემოდანში თავისი ხელით ჩაალაგა და შინ წამიყვანა.

მას შემდეგ ბევრმა წყალმა ჩაიარა. დავცოლშვილდი. ოჯახი თავისას ითხოვდა და კრისტინის დიდი ხანი აღარ შევხვედრივარ, თუმცა კავშირი ჩვენ დღემდე არ გაგვიწყვეტია. შარშანწინ, ჯერ კიდევ სოხუმის დანგრევამდე, თვითონ დამირეკა და მითხრა — მანდ ცუდი ამბებია მოსალოდნელი და ოჯახი დროებით ჩვენთან შეაფარეო. არა-მეთქი, ვუპასუხე, მამაპაპურ სახლს ბედის ანაბარა არ დავტოვებ-თქო. ქვეყანა რომ დაიქცა, მაშინ მივხვდი, რომ შევცდი. უეცრად დატრიალებულმა საშინელმა მოვლენებმა — ავტომატების და ტყვიამფრქვევების განუწყვეტელმა ცეცხლმა და წკვარამმა გამაგებინა თუ რა ტკბილი და კარგია იყო ამ წუთისოფელში, იცხოვრო, იარსებო და რა მწარეა სულთან დაშორება. მაგრამ საკუთარ თავზე უფრო, ასჯერ მეტად, ცოლშვილი მეცოდებოდა და ყველა ღონე ვიხმარე მათ გადასარჩენად. მეგობარი მყავს ერთი, გემის კაპიტანია, ბათუმის პორტში მუშაობს. ჰოდა, იმან გადაგვარჩინა, თუ ამას გადარჩენა ჰქვია.

გემი, რომლითაც ჩვენ ძლივს მივაღწიეთ ბათუმამდე, გვამებით იყო ავსებული, მათ შორის ჩემი მშობლებიც იყვნენ. ჩვენს ბინას გაგრაში საარტილერიო ჭურვი მოხვდა, მაშინ დაიხოცნენ საცოდავები. მე, ცოლ-შვილთან ერთად, შემთხვევით გადავრჩი, მივატოვეთ ყველაფერი. დახოცილი მშობლები გემბანზე რომ დავყარე, მაშინ გავიგე, რომ ომი უკანონობაა და სიკვდილი. ჩემს მდგომარეობაში ბევრი იყო და არავის არ ჰქონდა არც ძალა, არც სურვილი არა იმისათვის, რომ შებრალებოდი, არამედ, უბრალოდ, რომ ეთანაგრძნოთ. ყველა თავის მკვდარს მისტიროდა, ყველა თავის გადარჩენაზე ფიქრობდა.

უსახლკაროებს ბათუმში დროებითი თავშესაფარი მოგვცეს. მე ამით ვისარგებლე, მივატოვე ბავშვები დედის ანაბარა და მოვახერხე გადავფრენილიყავი ხარკოვში. იქ ძველი სამეგობრო მყავს, მათთან გაგრაში მჭიდრო, მეგობრული ურთიერთობა მქონდა, ისინი ადრე იყვნენ წასულნი, ალბათ, იყნოსეს აფხაზეთში დარდუბალა რომ დატრიალდებოდა. ჰოდა, ისინი დამეხმარნენ, ხელი გამიმართეს. ხომ გაგიგონიათ, გაჭირვებული კაცი ზღვაში გავაო. ასე იყო, ძლივძლივობით დავძლიე მძიმე მდგომარეობა, თანდათან ფეხზე დავდექი, წელში გავიმართე. ახლა ხარკოვის ცენტრში მაღაზია მაქვს, ჩემია, საკუთარი, დიდი არ არის, მაგრამ, როგორც იტყვიან, ორ კაპიკს ვშოულობ. თბილისში ოროთახიანი ბინა დავიქირავე და ცოლ-შვილი ბათუმიდან იქ გადავიყვანე. სამ თვეში ერთხელ თბილისში მივფრინავ, ფული ჩამაქვს მათთვის, თორემ შიმშილით დაიხოცებიან ყველანი. სამეზობლოში, სადაც ისინი ცხოვრობენ, დღე ისე არ გავა, ვინმე რომ არ მოკვდეს, ავადმყოფობისაგან არა, ძმაო, შიმშილი კლავთ, საცოდავებს უჭმელობისაგან ძვრებათ სული.

...ეს იყო 1995 წლის აგვისტოში. ხარკოვიდან თბილისში მივფრინავდი და აეროპორტში შემთხვევით გავიცანი არსენ აფხაზავა. უფრო სწორად, თვითონ გამეცნო, ვიდრე ბილეთების რეგისტრაცია დაიწყებოდა. იმის გამო, რომ თვითმფრინავი გაფრენას აგვიანებდა, ხარკოვის აეროპორტის ცნობათა ბიუროსთან მივედი და იქ რიგში დავდექი. უცებ წინ მდგომი, წარმოსადეგი მამაკაცი მომიბრუნდა და ქართულად მკითხა: „თქვენ ქართველი ხართ?“ „დიახ, დიახ“. — ვუპასუხე მე და შევათვალიერე. მაღალი იყო, დარბაისლური სიტყვა-პასუხი ჰქონდა, მიხრა-მოხრა ელეგანტური. ლამაზად ეცვა, ნაცრისფერი პიჯაკი ძალიან უხდებოდა. მისი თვალების და ნათელი სახის გამომეტყველებით თუ ვიმსჯელებდით, შეიძლება გეფიქრა, ორმოცდახუთი წლის მამაკაციაო, მაგრამ შესამჩნევი მხრებდახრილობა, თმებისა და კოხტად შეკრეჭილი მოკლე ულვაშების სითეთრესთან ერთად, გეუბნებოდათ, რომ სამოც წელს იქნებოდა მიახლოებული და რომ ცხოვრების ჭირ-ვარამს უკვე საგრძნობლად მოეტეხა კაცი.

ერთ შეკითხვას მეორე მოჰყვა, მეორეს — მესამე და თვითმფრინავის თბილისის აეროპორტში დაფრენამდე საუბარი არ შეგვიწყვეტია.

— რა ვითარება იყო გაგრაში, როცა თავს უშველეთ?

— გაგრის ცნობილი პარკი ნაჯახის მსხვერპლი, ჯერ კიდევ საბრძოლო მოქმედების დაწყებამდე გახდა. ელექტროენერგიის უქონლობის გამო მოსახლეობა უმოწყალოდ ანადგურებდა, ჩეხდა და შეშად იყენებდა წლობით ნალოლიავებ ფიჭვებს, ნაძვებს, ევკალიპტებს და სხვა ეგზოტიკურ მცენარეებს. მერე ომი დაიწყო და ირგვლივ ყველაფერი ტანკებმა გადახნეს. სასტუმრო „გაგრიფში“ ყბადაღებული „პერესტროიკის“ დროს დარჩა მზრუნველის გარეშე. თოვლმა და წვიმამ სახურავი ჩაშალა და წყალმა მთელ შენობაში გაჟონა, კედლები და ჭერი ყველგან ჩამომპალია. დასასვენებლად და საცხოვრებლად გამოუსადეგარია. ხანდახან მწყემსები თუ შეეხეტებიან უამინდობის გამო, იცდიან ვიდრე გამოიდარებდეს, რომ ცხვარი მთებში აიყვანონ საზაფხულო საძოვრებზე. ეს ადგილები, ბიჭვინთის, ლიძავას, ეშერის და ახალი ათონის ჩათვლით, შედიოდა იმ ოთხას ჰექტარში, რომელიც განკუთვნილი იყო გორბაჩოვის საზაფხულო რეზიდენციის შემდგომი გაფართოებისათვის. იმ დროს ამ მშენებლობის საწინააღმდეგოდ, იმ მიზნით, რომ წითელი იმპერიის პირველ პირს უკან წაეღო სა-

კუთარი გადაწყვეტილება, თითქმის ყოველდღე, ჭექდა და ქუხდა ქართული პრესა, რადიო და ტელევიზია, რაც მთელ ქვეყანას მოედო. ერთი ქართული ანდაზა მახსენდება: დათვი რომ მოგერევა, ბაბაია დაუძახეო. რა შედეგიც მოიტანა ქართველების მაშინდელმა „ლაშქრობამ“, ახლა სახეზეა. თბილისის „დინამოს“ სპორტული ბაზა ლესელიძეში გაავერანეს, მოსპეს. ალბათ, რუსული იმპერიალიზმის მიზანია, რომ აფხაზეთში ქართულმა ფესვმა აღარ იხაროს. ჩვენს სახლში კაზაკების ოცეულია დაბინავებული.

არსენას ხმა ხრინწნარევი იყო.

წუთიერი, მძიმე დუმილი ჩამოვარდა. თვითმფრინავის მოტორების გუგუნი ჩვეული რიტმით ისმოდა.

— ახლა რუსული ჯარები დგანან: გალის რაიონში, სამაჩაბლოში, ბათუმში, ვაზიანში, გორში და ახალციხეში. ამბობენ, რომ ესენი მშვიდობისმყოფელი ჯარებია. მაგრამ სად არის იმის გარანტია, რომ ეს ურდოები ისევ არ შემოესევიან საქართველოს და ოსმალებივით არ დააწიოკებენ მშვიდობიან მოსახლეობას? ტანკებით არ გადახნავენ ვაზსა და ვენახს? ამ ძმათამკვლელი ომის დროს ასიათასობით ადამიანი მიაწყდა ჭუბერის უღელტეხილს, იმ იმედით, იქნებ უშბამ, შხარამ და თეთნულდმა შეგვიფაროსო. არავინ იცის ვინ სად დაიღუპა, ვინ სად გადაიხვეწა. რომელ ქვეყანას შეუძლია მოგვცეს იმის ფირმანი, რომ აღარ განმეორდება 1989 წლის 9 აპრილი და რუსი მესანგრეები წვერწამახული ბარებით არ დახოცავენ ფეხმძიმე ქალებს? — ბოლო ფრაზები არსენამ ჩუმად, თავისთვის წაიჩურჩულა: — ვინ იყო ის კანიბალი, ვინც გასცა ბრძანება?.. როდიონოვი?.. ლებედი?..

ჩანართი:

ჰამლეტი: „ბოროტი საქმე დღის სინათლეს ვერსად წაუვა, თუნდ დასამალად დედამიწა გადაეფაროს“.

— მთლად ვერ გამართლდა რომანტიზმის დიდი წარმომადგენლის ბარათაშვილის წინასწარმეტყველება: „აჰა, აღსრულდა ხელმწიფური აწ აზრი შენი, და ვსჭამთ ნაყოფსა მისგან ტკბილსა აწ შენნი ძენი“[1].

— სპარსეთი... ოსმალეთი... ნახევარი საქართველო გადაარჯულეს. ამის გამო იყო, რომ ერეკლემ ერთმორწმუნე ქვეყანა აირჩია — „გეორგიევსკის ტრაქტატით საქართველომ თავისი ბედი დაუკავშირა ერთმორწმუნე რუსეთს“. მერე, სულ მალე, 1801-1811 წ.წ. ცარიზმმა გააუქმა საქართველოს მართლმადიდებლური ეკლესიის ავტოკეფალია (დამოუკიდებლობა) და საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის თანამდებობა. საქართველოს ეკლესია ცალკე საეგზარქოსოს სახით შეუერთდა რუსეთის ეკლესიას. ეგზარქოსებად ნიშნავდნენ რუსეთიდან მოვლინებულ რუს მღვდელმთავრებს, რომლებიც ცარიზმის რუსიფიკატორულ-კოლონიური პოლიტიკის საყრდენნი იყვნენ. საქართველო გუბერნიებად დააქუცმაცეს და რუსეთის პროვინციად აქციეს.

— გამოდის, რომ „ერთმორწმუნეობა“ არ აღმოჩნდა სინდისის და მოყვრობის გარანტი. იესო ქრისტემ, ლაზარესთან ერთად მკვდრეთით ქართული ენაც აღადგინა. ცარიზმი და რუსეთის ეკლასია კი მაცხოვრის წინააღმდეგ წავიდა, ჯვარცმულის ნება არად ჩააგდო, ყველა გიმნაზიაში აკრძალეს ქართული ენის სწავლება, დევნიდნენ ქართულ მეტყველებას და დამწერლობას, ქართულს ძაღლის ენას ეძახდნენ.

— ეს მომენტი კარგად არის აღწერილი შალვა დადიანის „გვირგვილიანების ოჯახში“.

— ახლა, ამ წუთში, უცნაური კითხვა დამებადა: მენშევიკებს რომ დაემარცხებიანთ ბოლშევიკები, ლენინი და სტალინი დაეხვრიტათ, შეძლებდნენ ქართველი მენშევიკები საქართველოს დამოუკიდებლობის შენარჩუნებას? ან რა სახით შეინარჩუნებდნენ? ხომ ცნობილია, — რუსული მენშევიზმი ცარიზმის აპოლოგიას წარმოადგენდა, ბატონყმობის დამქაში იყო.

1. ნ. ბარათაშვილი: „საფლავი მეფის ირაკლისა“.

— ძნელია ილაპარაკო იმაზე, რაც არ მომხდარა, მაგრამ ცხადია, რომ დროებითი მთავრობის გამარჯვების შემთხვევაში თურქეთი, გერმანიასთან ერთად, საქართველოს, მთლიანად თუ არა, ნაწილობრივ მაინც დაიპყრობდა. ეს რომ ასე იქნებოდა, ბრესტის ზავის პერიპეტიები ამტკიცებს:

ისტორიული ჩანართი: „ამიერკავკასიის კომისარიატმა გერმანიის და თურქეთის ჩაგონებით ამიერკავკასია მოწყვიტა საბჭოთა რუსეთს და 1918 წ. 9 (22) აპრილს შექმნა „დამოუკიდებელი ამიერკავკასიის ფედერაციული რესპუბლიკა“, რომელმაც 35 დღე იარსება, შემდეგ კი შინაგან, ნაციონალისტურ წინააღმდეგობათა გამწვავების გამო დაიშალა საქართველოს, სომხეთის და აზერბაიჯანის რესპუბლიკებად. ამიერკავკასიის სეიმმა არ ცნო ბრესტში საბჭოთა რუსეთის მიერ დადებული საზავო ხელშეკრულება და ცალკე გამართა მოლაპარაკება თურქეთთან ზავის თაობაზე. მოლაპარაკება უშედეგოდ დამთავრდა, თურქები შეტევაზე გადმოვიდნენ, დაიკავეს ოზურგეთი და ახალციხე-ბორჯომის ხეობიდან საფრთხე შეუქმნეს თბილისს. რუსეთის საბჭოთა მთავრობამ, ამის გამო, საპროტესტო ნოტა გაუგზავნა თურქეთის და გერმანიის მთავრობას, თურქებმა წინსვლა შეაჩერეს. 1918 წ. 26 მაისს ქართველმა მენშევიკებმა შექმნეს საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკა და დამოუკიდებლობა გამოაცხადეს. მენშევიკურმა მთავრობამ სასწრაფოდ დადო ზავი თურქეთთან (1918 წ. 4 ივნისი). თურქეთის ხელში გადავიდა ბათუმის ოლქის სამხრეთ ნაწილი, ახალქალაქის მაზრა და ახალციხის მაზრის ნაწილი. გერმანიამ საზავო ხელშეკრულება საქართველოსთან უფრო ადრე დადო 1918 წ. 28 მაისს, რის შემდეგ გერმანიის ჯარი შემოვიდა საქართველოში და მოახდინა ქვეყნის ფაქტობრივი ოკუპაცია“.

— გამოდის, რომ ბარათაშვილი მართალი იყო, როცა თქვა: „და ვსჭამთ ნაყოფსა მისგან ტკბილსა აწ შენნი ძენი“. ერეკლე მეფემ „გეორგიევსკის ტრაქტატით“ ქართველთა ცოცხალი ფონდი გადაარჩინა, მოსპო თურქებისა და სპარსელების თარეში. დასაბამი მიეცა ქართველთა განმათავისუფლებელ მოძრაობას, რამაც შექმნა ორი დიდი რევოლუციური ძალა: ქართველი მენშევიკებისა და ქართველი ბოლშევიკებისა, რის შედეგად, 1917 წ. თებერვლის ბურჟუაზიულ და ოქტომბრის სოციალისტურ რევოლუციებს შორის შუალედში: 12 (25) მარტს ქართულმა ეკლესიამ ავტოკეფალია აღადგინა.

— იმ პერიოდში, კაფე „არსენა ოძელაშვილის“ საქმეებთან დაკავშირებით, საქალაქო კომიტეტში რომ გამომიძახეს, შემთხვევით ერთი ხანდაზმული ბოლშევიკის ნაამბობი მოვისმინე. რაც თქვა, ახლაც კარგად მახსოვს: მაშინო, 20-იანი წლების დასაწყისში, რუსეთ-საქართველოს საზღვარი რომ დაადგინესო, ვიღაცას უთქვამს ნიკოფსი და ლაზიკე[1] ერთი და იგივე ნაქალაქევიაო, ვიღაცას სოჭი და ადლერი უხსენებია... ნიკოფსი, ნიკოფსია სახელწოდება ბერძნულია, ციხე-სიმაგრის ნარჩენები შემორჩენილია დღევანდელი ტუაფსეს მახლობლად 47 კმ-ის დაშორებით, კლდე-გორაზე. პირველად მოხსენიებულია ბერძნულ-რომაულ წყაროებში V საუკუნის ანონიმ ავტორთან, მაგრამ II საუკუნის მემატიანის ფლავიუს არიანეს ცნობით, აქ ადრეც ყოფილა ქალაქი ძველი ლაზიკეს სახელწოდებით. ფლავიუსის ეს ცნობა სარწმუნოა იმ თვალსაზ-

1. ლაზიკე — III ს-ში ქართველური ტომების ლაზების (ჭანების) მიერ დაარსებული ქალაქი აფხაზეთში, დღევანდელი ტუაფსეს ჩრდ-დას. 47 კმ-ზე. შემორჩენილია ციხე-სიმაგრის ნანგრევები მაღლობზე (30 მ). III-V სს. ლაზებმა მთელი კოლხეთი და აფხაზეთი გააერთიანეს.

რევოლუციამდე ამ მიდამოებს ერქვა ველიამინოვსკის რაბათი, და იყო ერთ-ერთი სტრატეგიული პუნქტი რუსეთ-ოსმალეთის ომების დროს. ტუაფსე უწოდეს 1917 წელს, მიამსგავსეს ძველ ტოპონიმს „ნიკოფსს“ — ავტორი.





ეს ტერიტორიული მთლიანობა აღადგინა გიორგი ბრწყინვალემ, რომლის ერთიანობა მის გარდაცვალებამდე (1346 წ.) შენარჩუნდა. წინამდებარე რუკაზე საქართველოს შავიზღვისპირეთი წარმოჩენილია II-III საუკუნის პოლიტიკური მდგომარეობით ხუფათიდან ლაზიკე დაახლოებით 200 წლის მერე. მოიკვლია ავტორმა. რაც შეეხება ნიკოფსის — ამ ტოპონიმით შეიცვალა ქართული ტოპონიმი —

რისით, რომ ლაზების (ჭანების) ქართული სამეფო დინასტიის გაძლიერება იწყება ძვ.წ-ის II საუკუნეში. ამ დროს ისინი თავიანთ უძველეს სამოსახლო ადგილზე აარსებენ პატარა ციხე-ქალაქს, რომელიც ისტორიოგრაფიაში ცნობილია პეტრას სახელწოდებით. ეს ციხე დღეს დაცულია ციხისძირში არსებულ მიუვალ კლდეზე ქობულეთსა და ბათუმს შორის, საიდანაც წარმოიშვა მისი სახელი პეტრა — ბერძნული კლდე. მაგრამ ისტორიოგრაფიაში ცნობილია კიდევ ერთი პეტრა, თურქეთის საზღვართან ახლოს, გონიოს სამხრეთით. მისი ქართული სახელია ხუფათი, თურქული ხოფა. წყაროებში პირველად იხსენიება V საუკუნეში, როგორც ლაზიკის სასაზღვრო ციხე-სიმაგრე ბიზანტიასთან. როგორც ჩანს, როცა ლაზებმა III-V საუკუნეებში დას. საქართველო და აფხაზეთი რომ გააერთიანეს, საქართველოს შავიზღვისპირეთი გადაჭიმული იყო ისტორიული პეტრადან, ხუფათიდან ქალაქ ლაზიკემდე. თამარ მეფემ ეს შავიზღვისპირეთი აღადგინა (იხ. რუკა — საქართველოს სახელმწიფო XIII საუკუნის დამდეგს).

დაახლოებით V საუკუნის ბოლოს და VI ს-ის დასაწყისში ლაზების სამეფო მასზე დაქვემდებარებულ აფხაზთა სამეფოსთან ერთად ბიზანტიისა და სასანიდური ირანის ბრძოლის ასპარეზია კავკასიაში გაბატონებისათვის. სწორედ ამ პერიოდში ქართული სახელწოდება „ლაზიკე“ შეიცვალა ბერძნული ნიკოფსი ან ნიკოფსია.

ჰაი, დედასა, წყალს გავატანეთ ოცი საუკუნის ბრძოლა და სისხლის თხევაო. ოცდათექვსმეტში სამცხე-ჯავახეთის მიტაცება რომ უნდოდათ, ისევ რუსი სოციალ-დემოკრატები ამღვრევდნენ წყალსო.

და... — მრავალმნიშვნელოვნად ჩაილაპარაკა არსენმა — სოხუმი მაშინ გადარჩა, მაგრამ ახლა ხომ დაისაკუთრეს.

ისტორიული ჩანათი: 20-იან წლებში სტალინმა თანამდებობიდან გადადგომა გადაწყვიტა. ამასთან დაკავშირებით მტკიცედ გააკეთა განცხადებები საკ. კპ(ბ) XIII (1924), XIV (1925) და XV (1927) ყრილობების პირველ პლენუმებზე. მაგალითდ,

XV ყრილობის პირველ პლენუმზე უფრო კატეგორიული ფორმით. ტროცკისტულ-ზინოვიევური ოპოზიცია დამარცხდა. ყრილობამ ეს ორგანიზაციული სახით გააფორმა, სტალინმა საკუთარი განცხადება, წერილობითი სახით, ცკ წევრებს თვითონ წაუკითხა:

„მე ვფიქრობ, რომ დღემდე არსებობდა პირობები, რის გამოც პარტიას საჭიროდ მიაჩნდა აუცილებლად ვყოლოდი ამ თანამდებობაზე მე, მეტად თუ ნაკლებად, მკაცრი ხასიათის ადამიანი, წარმომადგენელი ოპოზიციის ცნობილი შხამის წინააღმდეგ. ახლა ოპოზიცია არათუ გატეხილია, არამედ გარიცხულია პარტიიდან. ამავე დროს, ჩვენ გვაქვს ლენინის მითითება, რომელიც, ჩემი აზრით, უნდა გავატაროთ ცხოვრებაში. ამის გამო, თხოვნით მივმართავ პლენუმს გამანთავისუფლოს მე გენერალური მდივნის თანამდებობიდან. გარწმუნებთ, თქვენ, ამხანაგებო, რომ პარტია ამით მხოლოდ მოიგებს“.

უფრო ადრე:

„...დიახ, მე უხეში ვარ, ამხანაგებო, იმათ მიმართ, ვინც უხეშად და მუხანათურად არღვევს პარტიის მითითებებს და ცდილობს ჩამოაგდოს განხეთქილება...“ „...XIII ყრილობის პირველივე სხდომაზე, მე თხოვნით მივმართე ცკ პლენუმს გამანთავისუფლოს მე გენერალური მდივნის თანამდებობიდან. ყველა დელეგაციამ, მათ შორის ტროცკის, კამენევის, ზინოვიევის — დაავალდებულეს, სტალინი რომ დარჩეს თავის თანამდებობაზე. რა ვქნა? გავექცე მოვალეობას? ეს არ არის ჩემი ხასიათი. მე არც ერთი თანამდებობიდან არ გავქცეულვარ და არ მაქვს უფლება გავიქცე, ვინაიდან ეს იქნება დეზერტირობა...“ (დ. ვოლკოგონოვი, „ი.ბ. სტალინი, ტრიუმფი და ტრაგედია“, წიგნი 1, გვ. 177 და 251, მოსკოვი, 1990, რუსულ ენაზე).[1]

1. თარგმანი რუსულიდან შესრულებულია ავტორის მიერ.

ალბათ ყველა დამეთანხმება — სტალინი ის პიროვნება გახლდათ, ვინც ჰაიჰარად არც არაფერს იტყოდა, არც არაფერს დაწერდა, და ალბათ, მაშინ, უკვე კარგად ჰქონდა მოფიქრებული საკუთარი მომავალი.

არ გაანთავისუფლეს, რომ გაენთვისუფლებინათ, არ დატრიალდებოდა სტალინის დიდი ოჯახური ტრაგედია: თავს არ მოიკლავდა მისი მეორე ცოლი — ნადეჟდა ალილუევა. არ დაიჭერდნენ და არ დახვრეტდნენ მისი პირველი და მეორე ცოლის ახლო ნათესავებს. არავინ იცის მოიგებდნენ თუ წააგებდნენ მეორე მსოფლიო ომს სტალინის გარეშე, მაგრამ რუსები უკვე ვეღარ იტყოდნენ ბელადმა რუკა არ იცოდა და ომი, რომლის მსგავსი ისტორიამ არ იცის, გლობუსით მოიგოო.

ს. პესტკოვსკი (სტალინის პირადი მდივანი, როცა იგი ნაციონალურ საქმეთა სახალხო კომისარი იყო — ი. პ.) წერს: ლენინს არ შეეძლო სტალინის გარეშე ერთი დღეც კი იოლად გაევლო. ალბათ, ამ მიზნით ჩვენი კაბინეტი სმოლნში ლენინის „გვერდით“ იყო მოთავსებული. დღის განმავლობაში ის დაუსრულებლად იხმობდა სტალინს ტელეფონით ან უეცრად გამოჩნდებოდა ჩვენს კაბინეტში და მიჰყავდა იგი თავისთან. დღის დიდი ნაწილი სტალინი ლენინის კაბინეტში იმყოფებოდა. რას აკეთებდნენ ისინი იქ, ჩემთვის უცნობია, მაგრამ ერთხელ, ილიჩის კაბინეტის კარი რომ შევაღე, მე შევესწარი საინტერესო სურათს. კედელზე ეკიდა რუსეთის დიდი რუკა, მის წინ იდგა ორი სკამი, ხოლო მასზე იდგნენ ილიჩი და სტალინი და თითებს ატარებდნენ ქვეყნის ჩრდილოეთ საზღვრებზე, თუ არ ვცდები ფინეთის გასწვრივ. (ლ. ტროცკი, „სტალინი“, ტომი 2).

— იქნებ საქართველოს გაერთიანება სწორედ მაშინ წყდებოდა?!

თვითმფრინავის ილუმინატორიდან თბილისის შემოგარენი გამოჩნდა. ჩვენ საუბარი გავნაგრძეთ.

— ბოლშევიკებმა მენშევიკები რომ განდევნეს, თავდაპირველად შეიქმნა ამიერკავკასიის საბჭოთა ფედერაციული რესპუბლიკა, დედაქალაქი იყო თბილისი, მაგრამ 36-ში ფედერაცია დაიშალა სამ რესპუბლიკად... საქ. კონსტიტუციის თანახმად ქართულმა ენამ მიიღო მშობლიური ენის სტატუსი. ჩამოყალიბდა ქართული ჯარი.

— მართალია, მაგრამ 1956 წ. ცნობილი დადგენილების „პიროვნების კულტისა და მისი შედეგების დაძლევის შესახებ“, ყველა რესპუბლიკის ნაციონალური ჯარი დაშალეს, ცარიზმის სიომ ისევ დაუბერა, შექმნეს ახალი, რუსული არმია. თუ გახსოვთ, ოდნავ მოგვიანებით, კონსტიტუციიდან ქართული ენის სტატუსის ამოღებაც მოიწადინეს.

— კარგად მახსოვს. იმ ამბების მონაწილე პირადად ვიყავი. — ვთქვი მე.

ისტორიული ჩანართი: 1978 წ. ანდროპოვმა უბრძანა შევარდნაძეს, რომ საქართველოს კონსტიტუციაში შავი ვარიანტით ჩაეშვა პუნქტი, სადაც ქართული ენა დეკლარირებულია რესპუბლიკის სახელმწიფო ენად. ანდროპოვის სიტყვით: რუსული ენა საბჭოთა კავშირის ხალხებისთვის — იგივეა, რაც ინგლისური მსოფლიოს ხალხებისათვის.

ანდროპოვისაგან განსხვავებით, შევარდნაძემ კარგად იცოდა, რომ დამოუკიდებლობის ერთადერთ სიმბოლოდ საქართველოში დარჩენილი იყო ქართული ენა — ჭეშმარიტი წყარო ნაციონალური თვითშეგნებისა და ხალხის ეთნიკური გადარჩენისა მრავალი საუკუნის განმავლობაში უცხო დამპყრობლების უღლისაგან. ანდროპოვამდე იყვნენ: ხვარაზმელი თურქები, სპარსელი პიტიახშები და შაჰები, ბერძენი კოლონიზატორები, რომაელთა კოჰორტები, არაბი ხალიფები, მონგოლი ხანები, თემურლენგები, ოსმალი სულთნები. ამ უთანასწორო ომების

ქარცეცხლში გამოიბრძმედა, გამოიწრთო ქართული ენა და რევოლუციურ საქართველოში ამაყად განაგრძობდა სიცოცხლეს.

მოვლენები სწრაფად ვითარდებოდა. რამდენიმე ასეულმა დემონსტრანტმა, ძირითადად, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტებმა და ქართველმა მწერლებმა, რომლებიც მოითხოვდნენ, რომ აღედგინათ საქართველოს კონსტიტუციაში ქართული ენის სტატუსი, ლოზუნგებით გაიარეს რუსთაველის პროსპექტზე და მთელი ღამე იდგნენ პარლამენტის შენობის წინ. რესპუბლიკის პარტიული აპარატი ფხიზლობდა. შევარდნაძეს მუდმივი კავშირი ჰქონდა მოსკოვთან. შექმნილ სიტუაციასთან დაკავშირებით იგი ტელეფონით ესაუბრა ბრეჟნევს, სუსლოვს, ანდროპოვს. ბოლოს და ბოლოს, კრემლი მიხვდა, რომ ანდროპოვის უხეშმა შეცდომამ სახელი გაუტეხა შევარდნაძეს თანამემამულეების თვალში. იმ დღეს ყველა მიხვდა, რომ ასეთი ანტინაციონალური საქციელისაკენ მას უბიძგა სსრკ სუკ-მა.

დილით, გამთენიისას, როცა შევარდნაძემ მიიღო ბრეჟნევის პირადი განკარგულება, რის თანახმად საქართველოს კონსტიტუციაში აღდგა გამქრალი პუნქტი, იგი გამოვიდა მთავრობის შენობის აივანზე და დემონსტრანტებს მამაშვილურად მიმართა:

— ჩემო შვილებო, ძმებო და დებო! საკითხი დადებითად გადაწყდა. საქართველოს კონსტიტუციაში აღდგა დეკლარაცია: „საქართველოს სსრ სახელმწიფო ენა არის ქართული ენა“. გთხოვთ დაიშალოთ, წადით სახლებში. გმადლობთ თანადგომისათვის.

თვითმფრინავში სტიუარდესას ხმა გაისმა. მან ქართულ და ინგლისურ ენებზე გამოაცხადა, რომ თვითმფრინავი დაშვებას იწყებდა და გვთხოვა უსაფრთხოების ქამრები შეგვეკრა. ასეც

მოვიქეცით და ვიდრე თვითმფრინავი ქვემოთ ეშვებოდა, არსენას ვკითხე:

— ხომ არ გგონიათ, რომ კრისტინი რუსი ქალის ტიპიური წარმომადგენელია?

არსენ აფხაზავამ გაკვირვებით შემომხედა, შევნიშნე რომ აღელდა, სახეზე წამოწითლდა.

— როგორ შეიძლება ასე იფიქროთ და ილაპარაკოთ?! რა კავშირი აქვს ინტიმური ურთიერთობებისას რუსი ან ქართველი ქალების ხასიათების დაკონკრეტებას? ალბათ, გაგონილი გექნებათ იტალიური გამოთქმა: „ყველა ქალი მეძავია, მაგრამ დედაჩემი წმინდანი!“ და საერთოდ, ყველა ქალს კარგად აქვს შეგნებული თავისი დანიშნულება ცხოვრებაში — ოჯახის შექმნა და შვილების აღზრდა. მე შეგნებულად არ ვხმარობ სიტყვას „გაზრდა“, რადგან „აღზრდა“-ს და „გაზრდა“-ს შორის საფუძვლიანი განსხვავებაა. ქალი მამაკაცისაგან ითხოვს არა მარტო თანამონაწილეობას ბავშვების გაჩენაში, არამედ – ქმრის აქტიურ თანადგომას შვილების აღზრდის პროცესში. თუ ოჯახში ეს პრობლემა მოუგვარებელია, ქალი ყოველთვის ეცდება, როგორც ამ შემთხვევაში იტყვიან, ნემსის ყუნწში გაძვრეს, რომ გამონახოს იოლი საშუალებანი საკუთარი მოვალეობის შესასრულებლად.

თბილისის აეროპორტში ჩემი და არსენ აფხაზავას გზები გაიყარა. როგორც თვითონ თქვა, საქართველოს დედაქალაქში დიდხანს დარჩენას არ აპირებდა და ცოლ-შვილის დაპურებისთანავე ხარკოვში დაბრუნდებოდა. გამომშვიდობებისას, ვიდრე ერთმანეთს ხელს ჩამოვართმევდით, მან პიჯაკის შიგა ჯიბიდან ვერცხლის პორტსიგარი ამოიღო, გახსნა და სიგარეტი აიღო, მერე მე გამომიწოდა. თამბაქოს დიდი ხანია აღარ ვეწევი, მაგრამ იმ წუთში თავში უეცრად გამიელვა: „ეს უეჭველად კრისტინის ნაჩუქარი იქნება!“ და ცნობისმოყვარეობის გამო სიგარეტი ავიღე, თან დაჟინებით ვაკვირდებოდი პორტსიგარის იმ მხარეს, სადაც სი-

გარეტები არ ელაგა. იქ დიდი რუსული ასოებით ეწერა: „არსენ აფხაზავას, გულისხმიერ და კარგ მეგობარს — კრისტინისა და ვიქტორისაგან. 27 აგვისტო, 196... წელი, კურორტი გაგრა“.

რომანი „გაგრა“. დასასრული.
ქუთაისი-ბათ იამი

ინდივიდუალური ფილოსოფიურ-ესთეტიკური შთაბეჭდილება

და ვსჭამთ ნაყოფსა მისგან ტკბილსა...

„თვითონ მეფენიც უძლეველნი, რომელთ უმაღლეს
არც ვინღა არის, და წინაშე არც ვინ აღუდგეს,
რომელთ ხელთ ეპყრასთ უმაღლესი სოფლის დიდება,
შფოთვენ და დრტვინვენ და იტყვიან: „როდის იქნება,
ის სამეფოცა ჩვენი იყოს?“ და აღიძვრიან
იმავ მიწისთვის, რაც დღეს თუ ხვალ თვითვე არიან!...“

(ნ. ბარათაშვილი, „ფიქრნი მტკვრის პირას“)

„აბა რას მირჩევ, ჩემო მსაჯულო?
კარგად იფიქრე, შვილო ერთგულო:
აწ განთქმულია რუსთა სახელი,
ხელმწიფე უვისთ ბრძენი და ქველი,
დიდი ხანია გვაქვს ჩვენ ერთობა,
მტკიცე კავშირი, — სარწმუნოება, —
მას მსურს, რომ მივცე მემკვიდრეობა, —
და მან მოსცეს ქართლს კეთილდღეობა!“

(ნ. ბარათაშვილი, „ბედი ქართლისა“)

„იცი, მეფეო, რომე ივერნი
იქმნებიან რუსთ ხელთ ბედნიერნი?
სახელმწიფოსა სჯულის ერთობა
არარას არგებს, ოდეს თვისება
ერთა მათ შორის სხვადასხვაობდეს.
ვინ იცის, მაშინ როგორ მოუხდეს
რუსეთის ძალი ქართლს აწინდელი:
ვით შეითვისოს რუსმა ქართველი,
ვით შეიწყნაროს რუსთ მეფობამა,
რაც მოისურვოს ქართველობამა?

(ნ. ბარათაშვილი, „ბედი ქართლისა“)

გეორგიევსკის ტრაქტატი — 1783, ხელშეკრულება რუსეთის იმპერიასა და ქართლ-კახეთის სამეფოს შორის. 24 ივლისს, (4 აგვ.) გეორგიევსკის ციხესიმაგრეში (ჩრდ.კავკასია, ახლანდელი სტავროპოლის მხარე) ტრაქტატს ხელი მოაწერეს რუსეთის მხრივ გენერალმა პავლე პოტიომკინმა, ქართლ-კახეთის მხრივ ივანე მუხრანბატონმა და გარსევან ჭავჭავაძემ, რატიფიცირებულ იქნა 1784 წ. 24 იანვარს...

გ.ტ-ის სეპარატიული არტიკულირებით რუსეთის იმპერატორი ვალდებულებას კისრულობდა: ქართლ-კახეთის სამეფოში ჰყოლოდა ორი ქვეითი ბატალიონი ოთხი ზარბაზნით; ომის შემთხვევაში ყოველმხრივ ცდილიყო, ხოლო ზავის დადებისას ყოველი ღონე ეხმარა, რათა ქართლ-კახეთის სამეფოსათვის დაებრუნებინა მტრების მიერ მიტაცებული მიწები (ქსე. ტ. 3., გვ. 86, 87).

კრწანისის ბრძოლა — 1795, ბრძოლა ქართლ-კახეთისა და სპარსეთის ლაშქარს შორის თბილისთან კრწანისის ველზე გაიმართა. აღა-მაჰმად-ხანმა ერეკლე II-ს მოსთხოვა ქართლ-კახეთის სამეფოზე სპარსეთის ბატონობის აღდგენა და რუსეთთან კავშირის გაწყვეტა. ერეკლე II გ. ტ. ერთგული დარჩა და რუსეთს დახმარება სთხოვა. 8 სექტემბერს აღა-მაჰმად-ხანი კუმისის ტბასთან მდ. მტკვრის ნაპირზე დაბანაკდა. სპარსელთ ჯარში იყვნენ განჯის მმართველი, ყარაბაღელ სომეხთა მელიქები და ერევნის ხანი. ერეკლე II რუსეთს დახმარებას სთხოვდა, გეოგრიევსკის ხელშეკრულების თანახმად. საქართველოში ელოდნენ სპარსელების ამ გამოლაშქრებას, შეეძლო მრავალრიცხოვანი ჯარის შეგროვება, მაგრამ რუსეთის დახმარების მომლოდინე ერეკლე II დროული და საჭირო ღონისძიებები ვერ გაატარა და მტერს მოუმზადებელი დახვდა. ქართველთ ლაშქარი 5 ათასამდე კაცს ითვლიდა, აქედან 2 ათასი იმერეთის სამეფოდან იყო. მათ სოლომონ II მეთაურობდა. ქართველები მედგრად იბრძოდნენ,

აღა-მაჰმად-ხანი შეშინდა, ჯარი აჰყარა და უკან გაბრუნებას აპირებდა, მაგრამ საქმეში ღალატმა იჩინა თავი, ხანს შეატყობინეს მეფეს რუსთ ხელმწიფის დახმარება არ მოუვიდა, ხოლო მეფის ლაშქარი მცირერიცხოვანია და სუსტიო. სპარსელები თბილისში შეიჭრნენ, ჯერ გაძარცვეს ქალაქი, შემდეგ დაარბიეს და ცეცხლს მისცეს. მრავალი ათასი მცხოვრები ტყვედ წაიყვანეს. მოსახლეობის დიდი ნაწილი შიმშილისა და გადამდები სნეულებისაგან დაიღუპა. ქართლის სოფლებს მოთარეშეთა რაზმები შეესივნენ.

ერეკლე II და მისმა 150-მდე მხედარმა თბილისზე გავლით საგურამოსკენ გასწია და ბოლოს თავი მთიულეთს შეაფარა. სოლომონი, მეფის მსაჯული, მას თან ახლდა. იგი არწმუნებდა მეფეს — რუსების ნდობა არ შეიძლებაო, გეორგიევსკის ტრაქტატი ფარატინა ქაღალდია, ბალღის დამამშვიდებელი სატყუარას მსგავსიაო. ასპინძის ბრძოლა გაიხსენეთ! გადამწყვეტ მომენტში ისევე გვიღალატებენ, როგორც დღეს, ამ სამკვდრო-სასიცოცხლო ბრძოლაში. ხომ გაგიგონიათ: მიზეზ-მოზეზ დოს მარილი აკლია. მიზეზები კი მაგათ არ დაელევათ. და ასე იქნება, ვიდრე სისხლისგან დავიცლებით, ვიდრე მთლად არ მიიტაცებენ საქართველოს მიწა-წყალსო.

სოლომონს ეგეთები რომ არ ეთქვა, განა არ იცოდა პატარა კახმა რას წარმოადგენდა ცარიზმი? მაგრამ სხვა გზა რომ არ ჩანდა?! აქეთ სპარსეთი, იქით ოსმალეთი. ურჯულოები მოითხოვდნენ რუსეთთან საბოლოოდ კავშირის გაწყვეტას და მათი ბატონობის აღდგენას საქართველოში. გზა ხსნისა კი სადღაც შორს იყო მიჩქმალული. რა უნდა ექნა მეფეს, რომელ წყალში ან წკვარამში გადავარდნილიყო თუ გეოგრიევსკის ტრაქტატს უარყოფდა?

პირველ მსოფლიო ომს, რუსეთის და გერმანიის რევოლუციები რომ მოჰყვება, როცა ბოლოს და ბოლოს რუსეთში ბოლშევიკები გაიმარჯვებენ, როცა მეორე მსოფლიო ომის დროს სპარსეთის და თურქეთის ყოფნა-არყოფნის საკითხი ბეწვის ხიდზე დაეკიდება, მაშინ მიხვდებიან გადამთიელები, სად უბიძ-

გა საქართველოს მათმა ისტორიულმა უკუღმართობამ, მიხვდებიან, რაც დათესეს, ის მოიმკეს.

ზემოაღნიშნულით, მე მოკლედ დავასაბუთე ის მიზეზ-გარემოებანი, რაც თავის დროზე გააზრებული ჰქონდა ქართული რომანტიზმის დიდ წარმომადგენელს ნიკოლოზ ბარათაშვილს, რომელთა გამო, თავისი დიდი ბაბუის მიერ მიღებული გადაწყვეტილება გარკვეულად გაამართლა:

„და ვსჭამთ ნაყოფსა მისგან ტკბილსა აწ შენნი ძენი“.

სისხლით ნაწერი არ ქრება

ისტორიული ჩანართი: III-V სს-ში ქართველები, ლაზები (ჭანები) მთელ კოლხეთს და აფხაზეთს აერთიანებენ. ისინი აფხაზეთის ჩრდილო-დასავლეთით, სადაც უკიდურესი საზღვარი იყო საქართველოსა და მომთაბარე ტომებს შორის, აშენებენ ქალაქს, ციხე-სიმაგრეს, რომელსაც უწოდეს ლაზიკე. მისი ნანგრევები შემორჩენილია დღევანდელი ტუაფსეს ჩრდ.-დას. 47 კმ. ამ დროს ბიზანტიელი ავტორები დასავლეთ საქართველოს ლაზიკას ეძახდნენ, მაგრამ ქართული წყაროები მას იცნობენ როგორც ეგრისის სამეფოს. VI-VII სს., კავკასიაში გაბატონებისათვის მიმდინარეობდა ომები ბიზანტიასა და სასანიდურ ირანს შორის, რომლის დროსაც ლაზიკემ მიიღო ბერძნული სახელწოდება: ნიკოფსი ან ნიკოფსია.

ისტორიული ლაზიკედან (ნიკოფსიიდან) კურორტ ლესელიძემდე 150 კმ. თუ იქნება.

საზღვარი ფსოუსთან, ე.ი. ნახევარი აფხაზეთი ქართველებმა 65 წლის განმავლობაში შეინარჩუნეს, და 1991 წლამდე ნახევარი აფხაზეთი საქართველოს მთავრობის პატრონაჟში იმყოფებოდა.

ფსოუსთან საზღვარი ახლა მირაჟია, მშვენიერი და საოცნებო მირაჟი და ამ თავბრუდამხვევ ბურუსში კურორტი ლესელიძე ლამაზ მოჩვენებას მიაგავს. აქედან ანაკლიამდე, სულ ცოტა ხნის წინათ ერთი საათის სავალი იყო კომფორტაბელური მსუბუქი ავტომანქანით.

ამიერიდან, ქართველები აფხაზეთში ცხვირსაც ვეღარ შეყოფენ — ანაკლიასთან თავით ფეხამდე შეიარაღებული რუსის ჯარი დგას.

ლაზიკა ანაკლიასა და ზუგდიდს შორის უნდა გააშენონ...

ქალაქი, მაინც ქალაქია და ალბათ, ქართველებთან ერთად იქ დასახლდებიან: ამერიკელები, ინგლისელები, ფრანგები, გერმანელები, ეთიოპელები, ქურთები, სომხები, რუსები, თათრები, ებრაელები?..

ისტორიული ლაზიკედან (ნიკოფსიიდან) ლაზიკამდე, რომელიც ახლა უნდა გააშენონ, 400 კმ. თუ იქნება, შეიძლება ცოტა მეტი ან ნაკლები.

აფხაზეთის მშვიდობიანი მოსახლეობა, 500 ათასი ლტოლვილი, იმედით უცქერის ახალი ქალაქის ლაზიკის აშენებას, არ უნდათ ქუჩაში სიკვდილი!

ძნელია ქუჩაში სიკვდილი!

ორმა ქართველმა, სტალინმა და ბერიამ, რუსეთი მიწის პირისაგან აღგვას — უკვალოდ გაქრობას — გადაარჩინა... ის იარაღი რომ არა, რუსეთი დღეს არ იარსებებდა.

ისტორიული სპარსეთი და ოსმალეთი, სამწუხაროდ, ერთმორწმუნე რუსეთია საქართველოსათვის ახლა. გამკითხავი კი არავინ არის.

„როგორ გეკადრებათ, — იტყვის მავანი და მავანი, — აგერ გაერთიანებული ერების ორგანიზაცია, აგერ დემოკრატიული პრინციპები“.

მიმიფურთხებია მე იმნაირი დემოკრატიული პრინციპებისათვის, რომელიც ნავთობის ფასთან ერთად მერყეობს, ადამიანს საკუთრებას ართმევს და მხოლოდ საკუთარ ჯიბეზე იყურება.

აფხაზეთი და სამაჩაბლო საქართველოს სარკმელია ევროპისაკენ, მისი სასიცოცხლო ინტერესია.

არსენა ხერხემალშია გადატეხილი.

„ქართველნო, დექით მტკიცედ და შეურყევლად!“ — ეს სიტყვები იერუსალიმში ჯვრის მონასტრის იატაკზეა ამოკვეთილი. წარწერა XII ს. ან XIII ს. დამდეგს უნდა იყოს გაკეთებული. ამ ეპოქაში ქართველებმა მთლად აფხაზეთი დაიბრუნეს, ააღორძინეს ლაზიკე (ნიკოფსია), ეგ კი არადა, თითქმის ნახევარი ანატოლია, ძირძველი ქართული მიწები: შავშეთი, კლარჯეთი, არტაანი, კოლა. პარხალი, ტაო და ამასთან ერთად, მცირე და დიდი კაპადოკია, რომელიც ბიზანტიამ (ბერძნებმა) თითქმის უბრძოლველად დაუთმო თურქებს, თამარმა ხმლით გამოსტაცა ურჯულოებს და იქ კვლავ ააღორძინა ახალი ქართული იმპერია — ტრაპიზონი.

მაშინ საქართველოს ჩრდილოელი მეზობლები რუსები კი არა, სხვა ხალხები იყვნენ: ყივჩაღები, ოვსები, დურძუკები, დიდოელები, ლეკები, ღუნძები, შირვანელები (დარუბანდი). რუსები გვიან მოვიდნენ, ქართველების თანადგომით ოსმალეთი რომ დაამარცხეს და როგორც თვითონ ამბობენ განათლება და კულტურა შემოიტანეს. ილიამ „მგზავრის წერილებში“ გვიჩვენა მათი განათლებაც და კულტურაც.

ისტორია უნდა დააფასოთ!

ვაგლახ, რომ მისი კუთვნილებაა ის კულტურული მემკვიდრეობა, რაც საქართველოს ევროპასთან და ახლო აღმოსავლეთთან აკავშირებდა.

X-XIII სს. ქართული კულტურის გამორჩეული ძეგლები იყო: ხანძთა, შატბერდი, ოპიზა, იშხანი, ოშკი, ბანა, გელათი, იყალთო, შიომღვიმე... უძველესი დროიდან საქართველოს კულტურულ-საგანმანათლებლო ცენტრები ჰქონდა საზღვარგარეთ — იერუსალიმში, სინას მთაზე, კვიპროსზე, ათონზე, ანტიოქიაში...

ჯვრის მონასტერი მდებარეობდა იერუსალიმის სამხ.-დას-ით, მაგრამ ქალაქის გაზრდის გამო, მის ფარგლებში მოექცა. ძველი აღთქმის თანახმად, აბრაამის ბიძას — ლოტს, ცოდვების გამოსყიდვის მიზნით, ამ ადგილზე დაურგავს ხე. ეს ხე, სოლომონ მეფის ბრძანებით, პირველი ტაძრის მშენებლობის დროს მოუჭრიათ, მაგრამ ჩვენთვის გაურკვეველი მიზეზებით, იგი მშენებლებს აღარ გამოუყენებიათ. ქრისტიანული გადმოცემით, სწორედ ამ ხისგან გაუკეთებიათ ჯვარი, რომელზეც გააკრეს იესო ქრისტე.

IV ს. დამდეგს, წმ. ნინო, რომელიც მოგვიანებით ქართველებს ქრისტიანობისკენ მოაქცევს, რომის იმპერატორის კონსტანტინე I-ის კარზე იმყოფებოდა და ქრისტიანობას ქადაგებდა. როგორც ფაქტი, ეს არ არის გასაკვირი, ვინაიდან მისი მამა ზაბილონი, წარმოშობით კაპადოკიელი ქართველი, იმპერატორ მაქსიმიანეს მხედართმთავარი ყოფილა. როგორც ირკვევა, იგი იბრძოდა გალიაში, სადაც ფრანკთა ტომი ქრისტიანებად მოუქცევია, რაც იმპერატორთან განხეთქილების მიზეზი გამხდარა. სამსახურისთვის თავი რომ დაუნებებია, ზაბილონი იერუსალიმში წასულა და ცოლად შეურთავს სუსანა, იერუსალიმელი პატრიარქის იუბენალის და.

მაქსიმიანე რომის იმპერატორი იყო 285-305 წწ., ხოლო უფრო ადრე (284 წ.) იყო ცეზარი და იმპერატორ დიოკლეტიანეს მეგობარი. ცნობილია, რომ ორივე იმპერატორი სასტიკად დევნიდა ქრისტიანებს. მაშასადამე, ზაბილონსა და მაქსიმიანეს შორის განხეთქილება უნდა მომხდარიყო 284-285 წ.წ., რის გამოც იგი ტოვებს სამხედრო სამსახურს და მიემგზავრება იერუსალიმში, სადაც ამავე პერიოდში დაიბადა კიდეც მისი ქალიშვილი ნინო. აქედან გამომდინარე, როცა ნინო კონსტანტინე I-ის კარზე მოხვდა, იგი უკვე 20 ან 21 წლის ქალწულია, რადგან კონსტანტინე დიდი იმპერატორი გახდა 306 წელს, ხოლო წმ. ნინო სწორედ ამ დროს, დედოფალ ელენეს, დედას იმპერატორისას და სეფექალებს ქრისტიანობას უქადაგებდა. ცხადია, ნინომ კარგად იცოდა „მილანის ედიქტის“ (313) მნიშვნელობა და მონაწილე იქნებოდა პირველი მსოფლიო კრების (ნიკეა, 325), რომელიც მოწვეულ იქნა კონსტანტინე დიდის საგანგებო ბრძანებით. როგორც ჩანს, ამ კრებაზე ნინოს იმპერატორისაგან მიუღია სიგელი გადასაცემად იბერიის მეფის მირიან IV-ისათვის (ზოგიერთი ქართველი მეცნიერი, მირიან IV სპარსეთის შაჰის შვილად მიიჩნევს. მე რომანში „ქართული ლეგენდა“ და შესაბამის მეცნიერულ ნაშრომში: „საქართველოში ქრისტიანობის გავრცელების ისტორიიდან“, დასაბუთებული მაქვს მირიან მეფის ქართული წარმომავლობა, აქ კი უბრალოდ დავძენ — მირიან IV ისეთივე სპარსელი იყო, როგორც სტალინი — რუსი. — ი.პ.), რომლის თანახმად მირიანი იმპერატორისაგან საჩუქრად იღებდა მიწას იერუსალიმში, სადაც მოჭრეს ხე, რომელზეც შემდეგ ჯვარზე გააკრეს იესო ქრისტე.

1038 წელს, ბაგრატ IV-ის სამეფო კარის ინიციატივით და ფინანსური დახმარებით, ქართველი არქიტექტორი გიორგი-პროხორე შავშელი აგებს (აშენებს) მამათა მონასტერს, რომლის ახლომახლო მიდამოებში სახლდებიან ქართული კულტურის მოღვაწეები და განმანათლებლები. მშენებლობა განხორციელდა იმ მიწაზე, რომელიც იმპერატორმა კონსტანტინე დიდმა საჩუქრად გადასცა იბერიის მეფეს მირიან IV — წმ. ნინოს მეშვეობით. ღვთისმსახურმა მამებმა მას ჯვრის მონასტერი უწოდეს.

1071 წელს იერუსალიმის აღებისას, მონასტერი დაარბიეს და დაანგრიეს თურქ-სელჩუკებმა. XII ს. დასაწყისში დავით IV აღმაშენებლის თაოსნობით აღადგინეს, განაახლეს და მოხატეს.

1187 წელს იერუსალიმი ეგვიპტის სულთანმა სალაჰ ალ-დინმა (სალადინმა) დაიპყრო. ქართველები შეავიწროვეს, ჯვრის მონასტერი ფინანსურად რთულ მდგომარეობაში აღმოჩნდა, მაგრამ თამარ მეფემ შეძლო გარკვეული შეთნხმება მიეღწია და იგი იერუსალიმის ქართულ მონასტერს არაერთხელ დაეხმარა. არის გადმოცემა, თითქოს, შოთა რუსთაველი ჯვრის მონასტერში თამარის ბრძანებით წამოსულა, როგორც მხატვარი და თავისი პოემა „ვეფხისტყაოსანი“ იქ დაუმთვრებია, მაგრამ ეს ბოლო ვერსია გადამოწმებას საჭიროებს. ყოველ შემთხვევაში, ჯვრის მონასტერში არსებული პოეტის მხატვრული სურათი, შესაძლებელია ავტოპორტრეტი იყოს. 1192 წ. თამარმა იერუსალიმში გაგზავნა ელჩობა მონასტრის უფლებრივი მდგომარეობის განსამტკიცებლად. მისივე ბრძანებით, საქართველოს ბიუჯეტიდან გამოიყო სოლიდური თანხა მონასტრის სამშენებლო-სარემონტო სამუშაოების განხორციელებისთვის, რაც განაპირობებდა ჯვრის მონასტრის პრივილეგიების შენარჩუნებას და ავტორიტარულ წინსვლას.

1273 წელს, როცა მონღოლთა შემოსევების შედეგად საქართველოს პოლიტიკურ-ეკონომიური მდგომარეობა გაუარესდა, ჯვრის მონასტერი ქართველებს ჩამოართვეს და მეჩეთად გადააკეთეს, მაგრამ დავით VIII-ის მცდელობით, 1305 წ. იგი ქართველებს დაუბრუნდა. მონასტერი აღადგინეს და განაახლეს, თუმცა განსაკუთრებული ავტორიტეტი მან მოიპოვა გიორგი V (ბრწყინვალე) დროს. იგი ჭკვიანი პოლიტიკოსი იყო, შეძლო საქართველოს გაერთიანება. კარგი, ცხოველი ურთიერთობა ჰქონდა ეგვიპტის სულთანთან. ამის წყალობით მან აღადგინა ქართველთ მონასტრები იერუსალიმში და სინას მთაზე. მის დროს ქართველთა მხედრიონი იერუსალიმში, მოფრიალე ქართული დროშებით, თავისუფლად შედიოდნენ.

1516 წელს, როცა იერუსალიმი ოსმალებმა დაიკავეს, ქართველთა უფლებები ჯვრის მონასტერში შეიკვეცა. მართალია, XVII

ს. დასასრულამდე ქართველები ცდილობდნენ მონასტრის შენარჩუნებას: ნიკოლოზ ჩოლოყაშვილმა, იგივე ნიკიფორე ირბახმა სამეგრელოს მთვრის ლევან II დადიანის მატერიალური დახმარებით შეაკეთა მთავარი ტაძარი, მოახატვინა კედლები, გუმბათი და სხვა, მაგრამ 1684 წელს მონასტერი ფინანსურად უკვე დავალიანებული იყო, მართალია, იგი დაიხსნა ქართლის მეფემ გიორგი XI-ემ, მაგრამ ეს იყო და ეს ქართველობამ მეტი ვერაფერი იღონა, გეორგიევსკის ტრაქტატის თანახმად საქართველომ რუსეთის უფლებამოსილება სცნო, და თუ როგორ წაართვა ცარიზმმა საქართველოს დამოუკიდებლობა და ავტოკეფალია, ამის შესახებ ჩვენ ზემოთ მკითხველს უკვე ვუამბეთ.

XVII ს. დასასრულს ჯვრის მონასტერი სხვა ქართულ სავანეებთან ერთად იერუსალიმის საპატრიარქოს გადაეცა და ამჟამად ბერძენთ დაქვემდებარებაში იმყოფება. მაგრამ იქ კვლავ არის შემორჩენილი ძველი ქართული წარწერები, მანუსკრიპტები და, რაც მთავარია, თამარ მეფის მიერ იერუსალიმში წარგზავნილი პოეტის შოთა რუსთაველის ავტოპორტრეტი, რომლის გენიალური პოემა „ვეფხისტყაოსანი“, ებრაულ ენაზე ბრწყინვალედ თარგმნა დიდმა ებრაელმა პოეტმა, მთარგმნელმა, საქართველოს მკვიდრმა, ქუთაისელმა — ბორის გაპონოვმა.

ქართველები მრავალი საუკუნის განმავლობაში იბრძოდნენ იერუსალიმის სიწმინდეების გადარჩენისათვის და შენარჩუნებისათვის. ამისათვის საქართველოს არ დაუშურებია არც ფინანსები და არც სისხლი. ჩემს პოეტურ კრებულებში: „სად არის საქართველო?!“ და „ოდა იმერთ მეფესა და აფხაზთა მთავრის შვილის თავდადებაზე“, შევიდა ჩემი ლექსი „არ დაგიძახონ...“, სადაც არის ასეთი სტრიქონები: „ნუ შეჩერდები ქართულო სისხლო, არ დაგიძახონ ნაწისქვილარი“. ასე მგონია ეს გამონათქვამი პერეფრაზია იერუსალიმის ჯვრის მონასტრის იატაკზე არსებული წარწერისა: „ქართველნო, დექით მტკიცედ და შეურყევლად!“

ის, რაც სისხლით არის ნაწერი და დახატული, არ წაიშლება არასოდეს.

ბოლო გაკვეთილი

მალე საქართველო მეც დავტოვე. №4 ტრესტი და მისადმი დაქვემდებარებული მექანიზაციის სამმართველო, სადაც ბოლოს მე ვმუშაობდი, გაუქმდა. სხვათ შორის ეს ის ადგილია, სადაც ადრე დიდების მემორიალი იდგა, ახლა კი საქართველოს პარლამენტის ლამაზი შენობაა წამომართული. მექანიზაციის სამმართველოდან შრომის წიგნაკი წამოღებული არა მაქვს და ფაქტიურად ითვლება, რომ ახლაც იქ ვმუშაობ. მექანიზაციის სამმართველოს გვერდით 16 სართულიანი საცხოვრებელი სახლი დგას. ეს პირველი მაღლივი შენობაა ქუთაისში (მე მგონი არც დღეს არის უფრო მაღალი შენობა — ი.პ.) ჩემი დამონტაჟებული რკინა-ბეტონის და ლითონის კონსტრუქციებით. ეს 1967-70 წ.წ-ია. მაშინ როსტოვის ტრესტის „იუჟსტალკონსტრუქციის“ ქუთაისის სამმართველოს ოსტატი ვიყავი, უშეცდომოდ ვმუშაობდი ნიველირით და თეოდოლიტით[1], ხოლო იმ შემთხვევაში თუ კოშკურა ამწის მემანქანე სამუშაოზე არ გამოცხადდებოდა, თვითონ ავდიოდი კოშკურა ამწის კაბინაში და ვამონტაჟებდი გადახურვის ფილებს. ჩემზე იტყვიან მშენებლობაში „ჭიპი აქვს მოჭრილიო“. ხუთი წელი მშენბანკის ქუთაისის განყოფილების უფროსი ინჟინერი ვიყავი. ვაფინანსებდი და ვაკონტროლებდი: ავტოქარხანას, ელექტრომექანიკურ ქარხანას, სატრაქტორო ქარხანას, ბინათმშენებლობის ობიექტებს და სხვა. ამ საწარმოებში იაპონიიდან და საზღვარგარეთის სხვა ქვეყნებიდან ოქრითი ნაყიდი მანქანა-დანადგარები იყო დამონტაჟებული, რაც ე.წ. პერესტროიკის დროს გაქრა.

1966 წ. დავამთავრე თბილისის (საქ.) პოლიტექნიკური ინსტიტუტის დღის დასწრებული, სპეციალობით სსმ მივიღე ინჟინერ-მშენებლის დიპლომი. ვარ სპორტსმენი. ვთამაშობდი (5 წ.) თბილისის „პოლიტექნიკის“ რაგბისტთა გუნდში. თანაგუნდელები იყვნენ

1. სამშენებლო იარაღები. მასალები აღნიშნულზე დაცულია გაზეთ „ქუთაისში“ — ავტორი.

ცნობილი სპორტსმენები: ირ. კიზირია, ს. კეშელავა, თ. შარაშენიძე. სამშენებლო საქმეში ლექციებს მიკითხავდნენ: აკად. ზავრიევი, პროფესორები დოლიძე, კაკუშაძე, ციციშვილი (საბჭ.კავშ.გმირი), წულეისკირი და სხვ. სამუშაოდ გამანაწილეს ქუთაისში, №4 საამშენებლო ტრესტში, საიდანაც მქონდა ლიმიტი. 1967-72 წ.წ. ტრესტის ბაზაზე ჩამოვაყალიბე რაგბისტთა გუნდი „მშენებელი“. შევქმენი რაგბის პირველი ფედერაცია, (ზაუტაშვილი, კირტავა, პაპიაშვილი, ყუფარაძე). საკუთარი ხარჯით შევიძინე: ბურთები, ბუცები, ფორმა. ვიყავი მწვრთნელი-მოთამაშე (№9). პირველი შეხვედრა გავმართეთ თბილისის „ლოკომოტივთან“. ვითამაშეთ ცენტრალურ მოედანზე. 1993 წ. შ. ქურციკიძის და ჩემი ინიციატივით აღინიშნა ქუთაისის რაგბის 25 წლისთავი. „დინამოს“ სტადიონზე გაიმართა ვეტერანთა შეხვედრა: „აია“ — „ლოკომოტივი“. ჩემს მაისურზე კვლავ ეწერა №9. რაგბის ეს ისტორია გამოქვეყნებულია გაზეთ „ქუთაისში“. დაჯილდოებული ვარ ქუთაისის სპორტკომიტეტის სიგელებით, ემბლემებით, ფასიანი საჩუქრებით.

სამშენებლო და სპორტულ პრაქტიკას აქტიურად ვუთავსებდი ლიტერატურულ საქმიანობას. მხატვრული წერის და კითხვის — დეკლამაციის უნარი აღმომაჩნდა სკოლაში. 1951 წ. სექტემბერში პირველ საშუალო სკოლაში, საზეიმო შეხვედრაზე, წავიკითხე ვრცელი ლექსი,რომელიც მიეძღვნა სტალინის და ბერიას სტუმრობას ქუთაისში და წყალტუბოში. მონაწილეობა მაქვს მიღებული რესპუბლიკური მნიშვნელობის ლიტერატურულ კონკურსში, ჩემმა თემამ — „დედა“ დაიმსახურა საქ. განათლების სამინისტროს სიგელი, მე-3 საშუალო სკოლის დირექტორმა თამარა დახუნდარიძემ, ამასთან დაკავშირებით მიიღო განათლების სამინისტროს სამადლობელი წერილი. აღნიშნულის გამოძახილი, მოგვიანებით, როცა მე სერიოზულ სამწერლო მოღვაწეობას შევუდექი, იყო მოთხრობა „დედა“, რომელიც ამშვენებს ჩემს შემოქმედებას. მკითხველი მიხვდება, რომ წინამდებარე რომანში „დედის“ სახე მე გარკვეული შტრიხებით შევავსე და გავაიდეალე.

სერიოზულ ლიტერატურულ მუშაობას შევუდექი 1972 წ., როცა სპორტს თავი დავანებე. ჩემი ნამუშევრები იბეჭდებოდა საქართველოს ყველა ლიტერატურულ ორგანოში, მათ შორის უნდა დავასახელო: „ქუთაისი“, „სოფლის ცხოვრება“, „ლიტერატურული საქართველო“, „ნობათი“, „განთიადი“, „ცისკარი“, „სამშობლო“, „წიგნის სამყარო“. 1972 წელს გავიმარჯვე ლიტერატურულ კონკურსში, რომლის ფრაგმენტი წარმოდგენილია აქ, როგორც მტკიცება.

გაზეთ „ქუთაისში“ გამოცხადებული კონკურსის შედეგები: 30 მაისი, 1972 წ.

საკავშირო აღიარებული ორგანიზაციის 50 წლის იუბილეს აღსანიშნავად საქართველოს ალკ ქუთაისის საქალაქო კომიტეტმა, საქართველოს საბჭოთა მწერლების კავშირის ქუთაისის განყოფილებამ და გაზეთ „ქუთაისმა“ ოდესაც გამოაცხადეს კონკურსი საუკეთესო მხატვრულ ნაწარმოებზე, რომელშიც ასახული იქნებოდა პიონერების ცხოვრება, სწავლა და შრომა.

კონკურსში მონაწილეობა მიიღო 34-მა ავტორმა, რომლებმაც წარმოადგინეს 50-ზე მეტი პოემა, ლექსი, მოთხრობა და პიესა.

ეიურის გადაწყვეტილებით პირველი პრემია 400 მანეთის რაოდენობით მიეკუთვნა გიორგი სამხარაძეს (დევიზი „მაისის აკორდები“) ლექსების ციკლისათვის „ვარსკვლავი ლენინელები“.

ორი მეორე პრემია თითოეული 100 მანეთის რაოდენობით ხვდათ:

1. დავით ზუროძეს (დევიზი „ხალადობო“) პიესისათვის „ახალი ზღაპარი“.

2. თეიმურაზ აბულაძეს (დევიზი „მიხაკი“) სამავშვო პოემისათვის „რკაგრეზილა“.

სამი მესამე პრემია, თითოეული 60 მანეთის რაოდენობით მიეკუთვნა:

1. ეთერ ეორეოლიანს (დევიზი „პიონერი“) პიესისათვის „ზღაპარი არ გეგონოთ“.

2. ლეილა მესხს დევიზი „ალისფერი უელსახვევი“ (მოთხრობისათვის „ორი მეგობარი“.

3. თეიმურაზ ლანჩავას (დევიზი „მე დავიბადე აპრილის თვეში“) მოთხრობისათვის „ხალსლისფერი უელსახვევი“.

ქოწოსებულია და გაზეთში დაბეჭდვის რეკომენდაცია მიეცა:

1. შალვა ტოგონიძის ლექსებს „პიონერული“;

2. დალი სვანაძის პიესას „ჩემი ბავშვობა“;

3. ლილი ქემოკლიძის მოთხრობას „ორი მაგიდა“;

4. ციცა შალაშვილის მოთხრობას „დიდი და პატარა“;

5. რომან წიფწიფაძის მოთხრობას „ოქროისფერი მტრედი“;

6. იაკობ პაპაშვილის მოთხრობას „ზღვა, მოხუცი და პიონერი“;

7. აღუქსანდრე შახარაძის მოთხრობას „სიცოცხლე გრძელდება“;

8. ნელი დარსაელიძის სამავშვო ლექსებს;

9. სულიკო ბერძენიშვილის მოთხრობას „ძალიან გიუხუნებდა“;

10. ეთერ ეორეოლიანის მოთხრობას „ზღაპარი არ გეგონოთ“.

ქუთაისი

80-ე ფურცელი, სამშაბათი,

30 მაისი, 1972 წ.

პერესტროიკის მერე საქართველოში ცხოვრება ძალიან გაჭირდა. შავი დღისათვის გადანახული ფულით ქაღალდი შევიძინე და საკუთარი ხარჯით სამი წიგნი გამოვეცი. იმ ხანებში გაზეთ „ქუთაისის“ გამოცემა შეფერხდა, ქაღალდი არ ჰქონდათ. ბეჟან ნამიჭეიშვილმა დახმარება მთხოვა. 1993-94 წ.წ. გაზეთი „ქუთაისი“ ჩემი ქაღალდით გამოდიოდა.

რეზო ჭეიშვილს მოთხრობა აქვს: „პაპიაშვილის ბრალდების საქმე“. მე არ ვიცი ვინ იყო ის პაპიაშვილი, მაგრამ მე ჩემი სახლისთვის ქვები არასოდეს დამიშენია, პირიქით კი იყო: 1996 წ. ისრაელში სამკურნალოდ რომ წამოვედი (ორჯერ გამიკეთეს გულის ოპერაცია, ხუთი ბალონი ჩამითესეს გულის სისხლძარღვებში — ი.პ.), კარის მეზობელმა, ვისაც ვთხოვე ყურადღება მიექცია დაკეტილი ბინისთვის (ტ.ტაბიძის ქ. 17). მომატყუა, თვითონ გატეხა ბინა, დამაყაჩაღა და სხვას დააბრალა (არსებობს დამადასტურებელი მტკიცებულებანი — ი.პ.). ბინა გააქირავეს, წიგნები დამიწვეს, გაყიდეს რაც შეეძლოთ. მოძალადე მეზობელი, „КГБ“-ს თანამშრომელი, ველური ცხოველივით ისე იტაცებს ჩემს საკუთრებას, როგორც რუსეთი საქართველოს ძირძველ მიწებს — აფხაზეთს და სამაჩაბლოს.

ნამდვილად ასეა ბატონებო, ჩემი სახლისთვის ქვები არასოდეს დამიშენია, პირიქით იყო: ჩემს სახლს ქვები მეზობელმა დაუშინა.

...იმ მძიმე წლებში, ქუთაისში მომუშავე საქართველოს მწერალთა კავშირის წევრებს, ქალაქის მერია გვიწევდა ფინანსურ დახმარებას. მათი დავალებით დავწერე ნარკვევი: „ორივენი ბედკრული საქართველოს შვილები იყვნენ“. იგი შესულია მერიის მიერ გამოცემულ ჟურნალში, რომლის რედაქტორი ზურაბ კუხიანიძე იყო. ნარკვევი იმერეთ-სამეგრელოში მომხდარ ცნობილ მოვლენებს ეხება. ნარკვევზე მუშაობის დროს გამოვიყენე უიარაღოს (კ. თათარაშვილის) მოთხრობის „მამლუქის“ ფინალის ეპიზოდი.

მალე მერიის დახმარება შეგვიწყდა. მაშინ უკვე ჯანმრთელობაც გვარიანად შელახული მქონდა. სახლის კარები დავკეტე,

მეთვალყურეობა მეზობელს ვთხოვე და 1996 წლის აგვისტოში თელ-ავივში გადმოვფრინდი. ამავე წლის ნოემბერში მივიღე ისრაელის მოქალაქეობა, რამაც საშუალება მომცა გამევლო კლინიკური და სხვა პროცესუალური შემოწმება...

2010 წ. 16 ივლისს საქართველოს მოქალაქეობა აღმიდგინეს პასპორტი: 09AR42535, მოქალაქის პირადობის მოწმობა №60002002047. დეკლარაციით, რომელსაც ხელი მოვაწერე, ვალდებული ვარ ვიბრძოლო აფხაზეთის, სამაჩაბლოს და სხვა ქართული სიწმინდეების დაბრუნებისათვის.

კალაშნიკოვის ავტომატი არასოდეს მჭერია ხელში. ჩემი იარაღი ყოველთვის ფანქარი იყო. მე ამ იარაღით ვიბრძოდი და ვიბრძვი საქართველოს საკეთილდღეოდ.

ისტორიული ექსკურსი: ქუთაისი. საქართველოს ერთ-ერთი უძველესი ქალაქი. სახელი ნაწარმოებია სიტყვიდან „ქვა“. მართალია, იგი ნამდვილად კლდეზეა დაფუძნებული. სხვათა შორის, ქალაქი მითების ბურუსშია გახვეული. საყოველთაოდ მიღებულია, რომ სახელი ქუთაია ანუ ქუთაისი, წარმოშობილია ტოპონიმიდან „აია“, რაც ბერძნულ წყაროებში კოლხეთის სინონიმია, ხოლო ქუთაია დედაქალაქი იყო, ოქროთი მდიდარი ამ სახელმწიფოსი (XII-X სს. ძვ.წ.). ოქროს მოპოვება ხდებოდა მდ. რიონში. საქართველოში ორი ათასი პატარა და დიდი მდინარეა, მაგრამ მათ შორის რიონი ერთადერთია ქვეყნის საზღვრებში რომ იწყება და მთავრდება, ამიტომ ეძახიან დედა მდინარეს. ოქროს სილა წყალს ფასის მთიდან მოჰქონდა. ოქროს საწმისიც ამ წყალში გაჩნდა პირველად. ამიტომ უწოდეს ბერძნებმა კოლხეთს ოქროს საწმისის ქვეყანა. კოლხი ოსტატები ფლობდნენ მისი დამზადების საიდუმლოს. ისინი ჯერ ტექნოლოგიურად ამუშავებდნენ ცხვრის ტყავს და მერე მოხერხებულად ამაგრებდნენ (ათავსებდნენ) მას

მდინარის ისეთ ტალღებში, სადაც დიდი რაოდენობით ბრწყინავდა ოქროს მარაგი. ოქროს სილა სწრაფად ეკვროდა ტყავს და უმალ გარდაიქმნებოდა ოქროს საწმისად. ამის შესახებ თავდაპირველად მოხსენებულია ჰომეროსის „ოდისეაში“, მაგრამ არ არის გამორიცხული, რომ ეს მოტივი ნასესხები იყოს კოლხური ფოლკლორიდან, ეს არ არის ლიტონი სიტყვები. ამ მიმართებით საყურადღებოა მედეა, როგორც პერსონაჟი; მისი მხატვრული სახე ჩვენთვის ძვირფასი განძია არა მარტო იმით, რომ იგი კოლხთა მეფის უმცროსი ასულია, არამედ — აგრეთვე ის, მედეა, ჰელიოსის (მზის) შვილიშვილია, რამეთუ კოლხეთის მეფე აიეტი იყო ჰელიოსის შვილი. უფრო მეტიც, მედეას მფარველები იყვნენ თვით ათენა და აფროდიტა... ეს შტრიხები მედეას შესახებ, ნაწარმოების მიმართ მეტი ყურადღებით აღგვავსებს, როცა ვგებულობთ, რომ აიეტს ჰყავდა კიდევ ორი შვილი, ვაჟი აფსირტი და ქალიშვილი ქალკიოპა, წლოვანებით მედეაზე უფროსი. ორთავეს, როგორც აფსირტს, ისე ქალკიოპას მფარველობდნენ ღმერთები და ქალღმერთები, რომელთა ავტორიტეტი მედეას მფარველებზე ნაკლები არ იყო. ისტორია, რომელსაც ახლა მოგითხრობთ საინტერესოა იმ მოტივით, რომ იასონი არ იყო ის პირველი ბერძენი რაინდი, ვინც შეძლო გადაელახა მრავალი დაბრკოლებანი, გადაელახა ჯერ ეგეოსის ზღვა, შემდეგ პონტოს ზღვა და მიეღწია კოლხეთის ზღაპრულ ქვეყნამდე, სადაც ამზადებდნენ ოქროს საწმისს. ნაწარმოების თანახმად, ეს რთული სანაოსნო გზა პირველად გაიარა ბერძენმა უფლისწულმა ფრიქსემ. მან თავის ქვეყანაში მძიმე დანაშაული ჩაიდინა და გაიქცა. თავისი მფარველი ღმერთების დახმარებით, ფრიქსე აიეტის კარზე აღმოჩნდა. ჰელიოსმა ურჩია აიეტს — საკუთარ შვილს — რომ მისი უფროსი ქალიშვილი ქალკიოპა ფრიქსესთვის მიეთხოვებინა. აიეტმა მამის რჩევა შეასრულა. ფრიქსეს და ქალკიოპას

ეყოლათ ოთხი ვაჟი: არგოსი, ქუთასია, მელისი და ფრონტოსი. ვაჟები რომ წამოიზარდნენ მამა გარდაეცვალათ, და ძმებმა გადაწყვიტეს ენახათ საბერძნეთი. ამ საქმეში მათ დაეხმარათ ბაბუა — აიეტი. მეფემ აუშენა მათ გემი, რომელსაც ერქვა „არგო“ და ისინი გაემართნენ საბერძნეთისკენ; მაგრამ ეგეოსის ზღვაში, ამოვარდა ქარიშხალი და მათი „არგო“ გაირიყა იმ კუნძულზე, სადაც შემთხვევით ღუზა ჩაუშვა იასონის გემმა, რომელსაც აგრეთვე „არგო“ ერქვა. ირკვევა, რომ არსებობდა სამი „არგო“: პირველი — ფრიქსეს, მეორე — ოთხი ძმის და მესამე — იასონის. ამ სამ „არგოს“ შორის, მეორე აგებული იყო კოლხეთში, მეფე აიეტის მიერ.

ბერძნულ მითოლოგიაში დაფიქსირებული ეს ამბავი, სხვა ჩემ მიერ მეცნიერულად დასაბუთებულ მოკვლევებთან ერთად, გარკვეულად ამტკიცებს ჩემს თეორიას იმის შესახებ, რომ ქართველი ბაგრატიონები იყვნენ ქართველ ვაჭართა კლასის წარმომადგენლები ახლო აღმოსავლეთში და ეგვიპტეში. და თუ გავითვალისწინებთ ზემოაღნიშნულ მითოლოგიას, ადვილად მივხვდებით: ქართველი ვაჭრები აქტიურად მოღვაწეობდნენ ანატოლიაში, ბალკანეთის ნახევარკუნძულზე და ეგეოსის ზღვის კუნძულებზე (ბერძნებთან) ძვ. წ. მესამე-მეორე და პირველ ათასწლეულებში.

ასე და ამგვარად, ფრიქსეს და ქალკიოპას შვილები — ოთხი ძმა — დაეხმარნენ იასონს და მიასწავლეს მას კოლხეთისაკენ მიმავალი გზა.

ჩემ მიერ მოკვლეული ეს ეპიზოდი ადასტურებს, რომ ბერძნებმა კოლხეთი აღმოაჩინეს უფრო ადრე, ვიდრე იასონი ააგებდა თავის „არგოს“.

რაც შეეხება იასონის და მედეას ურთიერთობას, ცხადია — ქალმა სიყვარული ამჯობინა, მოატყუა მამა, მოსტაცა მას

ოქროს საწმისი და საყვარელთან ერთად მშვიდობიანად ჩააღწია ფესალიაში.[1]

ეს ისტორია, რომელიც ძალიან ტრაგიკულად მთავრდება, ამაყ ქართველებს თავმოყვარეობის შელახვად მიაჩნიათ, არ უნდათ ირწმუნონ, რომ მედეამ საკუთარი შვილები გაწირა სიყვარულისა თუ სიძულვილის ნიადაგზე.

კამათი შეიძლება, მაგრამ ამაზე, ფიქრიც კი არ ღირს.

აი, ასეთია აიას, ქუთაიას, ქუთაისის ბურუსით მოცული მითოლოგიური წარსული. რა თქმა უნდა, ძნელია მიკვლევა სად ლეგენდაა და სად სინამდვილე. ყოველ შემთხვევაში, შემიძლია ვთქვა, რომ ამ მითებით გარემოცულ ქალაქთან დაკავშირებულია უკვე ახალი ისტორიის კუთვნილება — ოთხი ცნობილი ქართველის სახელი: სოსო ჯუღაშვილის, ედუარდ შევარდნაძის, ზვიად გამსახურდიას, მერაბ კოსტავას...

გაივლიან წლები, საუკუნეები და ალბათ, ისევ ახალი ბრმა ჰომეროსი იქნება საჭირო ახალი მითოლოგიის შესაქმნელად.

ერთ მშვენიერ დღეს, როცა ჩემი შემოქმედებითი ძალები ამოიწურება და წერას ვეღარ შევძლებ, — და ასეთი დღე ჩემს ცხოვრებაში აუცილებლად დადგება, — თავიდან გადავიკითხავ ყველაფერს, რაც კი ოდესმე დამიწერია. წინასწარ მიხარია და ვტკბები, თუ რა საინტერესო მოგონებების წაკითხვა მომიწევს.

---

1. საფუძველი, ავტორის ნაშრომი: „ილიადა“ და „ოდისეა“ კოლხური ფოლკლორის მიხედვით“.

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ათიკური პერიოდის ავტორის ევრიპიდეს და ელინისტური პერიოდის ავტორის აპოლონიოს ალექსანდრიელის პიესების: „მედეა“ და „არგონავტიკა“ - მიხედვით, იასონის „არგომ“ ღუზა ჩაუშვა კუნძულ არეტიადის უბეში, სადაც არგონავტები შეჩერდნენ მას შემდეგ, როცა ათენას დახმარებით მშვიდობიანად გაიარეს ორ კლდეს შორის და გაემართნენ აიეტის ძმის პირსეის სამფლობელოში — ტავრიაში. შესაძლებელია აქ იბერია იგულისხმება. სწორედ კუნძულ არეტიაზე შეხვდნენ ფრიქსეს ვაჟები არგონავტებს.

ეს იყო ქუთაისში, მე-3 საშუალო სკოლაში. 1958 წლის ივლისში, ფიზიკის მასწავლებელმა, ჩვენი კლასის დამრიგებელმა, — მარგარიტა დვალმა, საზეიმო ვითარებაში სიმწიფის ატესტატები გადმოგვცა და მცირეოდენი გულითადი საუბრის მერე, ბოლო გაკვეთილი ჩაგვიტარა.

— ბავშვებო, — გვითხრა მან, — ძალიან ძნელია, როცა ადამიანები ერთმანეთს სამუდამოდ შორდებიან. ეს განსაკუთრებით ჩვენთვის — მასწავლებლებისათვის არის მძიმე. დღეის იქით თქვენ ჩვენი ქვეყნის სრულუფლებიანი მოქალაქეები ხართ. ალბათ, ზოგჯერ, მოგენატრებათ სკოლა — მშობლიური, თბილი ატმოსფერო... მაგრამ ეს სინანული დიდხანს არ გაგყვებათ, რადგან თქვენ გადადიხართ ახალ სამყაროში, რომელსაც ჰქვია — ცხოვრება. თქვენ წინ გადაიშლება დიდების სხვა მწვერვალები, აღსავსე წინსვლით და გამარჯვებებით. თქვენ ხართ ჩვენი სამშობლოს მომავალი კადრი, თქვენ გახდებით მუშები, ინჟინრები, ექიმები, ჯარისკაცები და, შესაძლებელია, დიდი ხელმძღვანელები. ეს მოხდება სულ რამდენიმე წამში — წინ ცხოვრების დიდი ასპარეზი გელოდებათ.

მასწავლებელი ადგა და მერხებს შორის გაიარა.

— დაიმახსოვრეთ, ცხოვრება დაუწერელი წიგნია, სავსე მოულოდნელობებით, სადაც დაუსრულებლად ებრძვის ერთმანეთს კეთილი და ბოროტი. და ჩემი საქმეა — დაგარიგოთ თქვენ, რომ გზას არ აცდეთ, უფსკრულში რომ არ გადაიჩეხოთ.

იცით, ცხოვრება, ხანდახან, მიაგავს თამაშს, სკოლაში დიდი დასვენების დროს. თამაშობთ და ვერ ხედავთ სად მირბიხართ. და ჩემი საქმეა — აგიხილოთ თვალები, რომ არ აღმოჩნდეთ კლდის პირას, უფსკრულის წინ. ეს იყო ჩემი მოვალეობა სკოლაში, როცა გასწავლიდით. ეს არის ჩემი მოვალეობა ახლა, როცა რამდენიმე წამის მერე ცხოვრებაში დაფრთიანდებით.

მატერია, სივრცე და დრო. ეს პარამეტრები მნიშვნელოვანია არა მარტო ფიზიკაში, არამედ ცხოვრებისეული პრობლემების გადასაჭრელადაც, რადგან ამ პარამეტრებით განისაზღვრება ადამიანის არსებობა. ადრე ფიქრობდნენ, რომ დედამიწა არის სამყაროს ცენტრი, ხოლო მზე და ვარსკვლავები იმისთვისაა

შექმნილი, რომ მას უნათონ. ახლა, ჩვენ ვიცით, ყველაფერი პირიქითაა, მზე ჩვენი გალაქტიკის ცენტრია[1] და დედამიწა მის ირგვლივ ტრიალებს თავის ორბიტაზე.

მასწავლებელი მაგიდასთან შედგა.

— არ დაივიწყოთ, ამ ქვეყანაზე მარტონი არა ხართ და ყოველი თქვენი ნაბიჯი, ყოველი თქვენი მოქმედება უკვალოდ არ გაქრება. ეცადეთ იყოთ გულწრფელნი, როგორიც ახლა ხართ. არ დამალოთ ცრემლი გაჭირვების ჟამს და არ დამალოთ სიხარული დღესასწაულის დროს. იყავით პატიოსნები ადამიანებთან ურთიერთობისას და იფიქრეთ მხოლოდ იმაზე, რომ აღარ მოხდეს კიდევ ომი.

ამ სიტყვებით გამოგვემშვიდობა ჩვენი კლასის დამრიგებელი მარგარიტა დვალი. მეტსახელად მას ცუკლოს ვეძახდით.

სამწუხაროდ, ჩვენ ძალიან ახალგაზრდები ვიყავით და როცა მხიარული შეძახილებით სკოლის ზღურბლს გადავაბიჯეთ, მისი დარიგება მალე დაგვავიწყდა.

ახლა?

საკვირველი ძალაა ჩადებული ამ სიტყვაში. იტყვი „ახლა“ და უკვე აღარ არის „ახლა“ — თვალს დაახამხამებ და აალდება, ფერფლად იქცევა. ფერფლად იქცევა და გადადის წარსულში, იმ წარსულში, რომლის განმეორება მხოლოდ მოგონებით შეიძლება. არც ერთ გრძნეულს, არც ერთ ჯადოქარს არ შეუძლია შეაჩეროს ეს უცნაური, აალებული და ფერფლად ქცეული წამი, წამი — რომელიც ჩვენთვის, ადამიანებისათვის მუდმივი კავშირია წარულსა და მომავალს შორის. „ახლა?“ — აწმყო დრო, რომელიც მხოლოდ ლაპარაკის მომენტში მიმდინარეობს, — იტყვი „ახლა“ და თვალის დახამხამებაში აინთებიან და თვალის დახამხამებაში ქრებიან ხსოვნაში ჩაძირული მოგონებები, ისე, როგორც ელექტრონათურები საახალწლო ყვავილწნულზე.

იაკობ პაპიაშვილი
1998-1999 წწ.
ბათ-იამი, ისრაელი.

1. პირობით აღნიშვნაა. მზე ცენტრალური პლანეტაა მზის სისტემის, — ავტორი.

ხანისწყალთან

რომანი

უთხრა უფალმა ღმერთმა დედაკაცს:
ეს რა ჩაიდინე? თქვა დედაკაცმა: გველმა
შემაცდინა და მეც შევჭამე.
დაბადება, თ. 2. 13.

ადამმა ევა მეგობრის ქორწილში გაიცნო. ქალიშვილი დედოფლის ხელისმომკიდე იყო, ვაჟი — ნეფისა. ისე მოხდა, რომ ქალვაჟს ერთმანეთი მოეწონათ და მალე შეუღლდნენ კიდეც.

ევა ღარიბი ოჯახის შვილი იყო; დედამისი, რაც დაქვრივდა, მარტო ცხოვრობდა, ევას მეტი არავინ ჰყავდა. დამთხვევის ბრალი იყო, თუ ბედ-იღბალისა, მამა არც ადამს ჰყავდა, მეორე მსოფლიო ომში დაეღუპა. შესაძლებელია ამგვარმა შემთხვევითობამაც განაპირობა ის პატივისცემა და დაფასება, რასაც ცოლქმარი ერთმანეთის მიმართ დაუფარავად ამჟღავნებდა, მაგრამ გაცილებით სწორი იქნება, უბრალოდ თუ ვიტყვით: მათ გაცნობისთანავე ძალიან შეუყვარდათ ერთმანეთი და ქორწინების მერე, თაფლობის თვეები სიამტკიბლობაში გაატარეს; ყოველ შემთხვევაში, სიყვარულით თავდავიწყებულიაო, ამის თქმა უფრო ევაზე შეიძლებოდა, რადგან ადამს მოკლე ხანში ისეთი საზრუნავი გაუჩნდა, რამაც ძალიან დააფიქრა და ცხოვრებაზე საღად განსჯისა და დაკვირვების უნარი დაუბრუნა.

როცა დაქორწინდა, ევას თვრამეტი წელი უსრულდებოდა, სკოლა ერთი წლის დამთავრებული ჰქონდა, უნდოდა ექიმი გამხდარიყო და მისაღები გამოცდები თბილისის სახელმწიფო სამედიცინო ინსტიტუტში ჩააბარა, მაგრამ ქულები არ ეყო და ინსტიტუტში ვერ მოხვდა. ნაღველი, ერთხანს ამ წარუმატებლობის შედეგად რომ დასადგურდა მის არსებაში, ადამის გაცნობის მერე ნელ-ნელა გაიფანტა და ქორწინების დღეს, იგი ისეთივე ხალი-

სიანი, სიცოცხლით სავსე და სანდომიანი გამოჩნდა, როგორც იყო სკოლაში, თითქმის ერთი წლის წინათ, გამოსაშვები გამოცდები რომ ჩააბარა და სიმწიფის ატესტატი დაიმსახურა.

ქმრის ოჯახში რამდენიმე თვის ცხოვრებითაც კი გამოვლინდა ის ბუნებრივი, თანდაყოლილი თვისება, რომელმაც ადამი და მისი მოხუცებული დედა დაარწმუნა, რომ ევა ოჯახისათვის იყო გაჩენილი. ახალგაზრდა ქალს საკუთარი ბუდისადმი უსაზღვრო სიყვარული ძვალსა და რბილში ჰქონდა გამჯდარი. ეს იყო ძლიერი, ცეცხლოვანი, ყოვლისმომცველი გრძნობა, თვით ევაზეც ძლიერი, მუხის ფესვებივით რომ იყო გატოტვილი და სადღაც, შორეული სიღრმიდან ამოდიოდა. ასეა თუ ისე, ევას სიყვარულში ოჯახისადმი, მეტნაკლებად გამოსჭვიოდა იმ ახალდაქორწინებულთა დამსხვრეული იმედები, რომლებიც ამა თუ იმ მიზეზგარემოებათა გამო, ვერ ეგუებიან დედამთილს და ოცნებად აქვთ გადაქცეული — ჰქონდეთ პატარა, მყუდრო ბინა, თუნდაც საკუთარი კუთხე, სადაც თვითონ არიან სრული ბატონ-პატრონი. ადამის დედამ, წლებისაგან და ცხოვრების ტვირთისაგან უკვე მთლად გაჭაღარავებულმა ქალმა, მალე აუღო ალღო ახალგაზრდების ამ მოთხოვნილებას; თანდათანობით, შეუმჩნევლად, შვილისადმი დედის სიყვარულმა და მზრუნველობამ ადგილი დაუთმო ქმრისადმი ცოლის ყურადღებას და როგორც ამ შემთხვევაში იტყვიან, ევამ იმედები გაამართლა. იგი არა მარტო ოჯახისა და ქმრის მოსიყვარულე, არამედ კარგი დიასახლისიც აღმოჩნდა, ერთთავად დაფუსფუსებდა, უსაქმოდ გაჩერებულს ვერ ნახავდით, ოთახებშიც ყველაფერს კრიალი გაჰქონდა, სისუფთავე და წესრიგი სუფევდა ირგვლივ. ადამის საწერ მაგიდაზე ყოველთვის იდგა ცოცხალი ყვავილებიანი ლარნაკი, ქაღალდები და წიგნები მუდამ კოხტად ეწყო, თითქოს სამუშაოდ განგაწყობდათ. არ იყო შემთხვევა სადილობისას ხელსახოცი არ დებულიყო მაგიდაზე ან ნამცხვრიანი ლანგარი. ტანსაცმელი და საცვლები მუდამ წესიერად ელაგა, როგორც ხდება ხოლმე ასეთ პირობებში, პატარა და მოუხერხებელ ბინაში. ევა საძინებელ ოთახსაც საკუთარი გემოვნებით ალაგებ-

და, გულმოდგინედ ხეხავდა და წმენდდა ყველაფერს. სარკესავით ბზინავდა ფანჯრის მინები და პარკეტი. ღამით, დაძინებისას თვითონ შლიდა საწოლს, ბალიშებს მოხერხებულად დააწყობდა, საბნის კიდეს ლამაზად გადაკეცავდა. ერთ საწოლზე თავის გამჭვირვალე ღამის პერანგს გადაფენდა, მეორეზე — მეუღლის პიჟამოს. დილით ადრე დგებოდა, სამზარეულოში საუზმეს მოამზადებდა, რომ ქმრისთვის ადგომისთანავე ყველაფერი მზამზარეულად მიერთმია. ამას უხმაუროდ აკეთებდა, დილის ძილი რომ არ დაეფრთხო სამუშაოთი გადაღლილი კაცისათვის. ამით იგი მთელი გულითა და ხალისით, მონდომებითა და უშურველად გამოხატავდა ქმრისადმი დიდ სიყვარულს და პატივისცემას. და რაც ყველაზე მთავარია და მისანიშნებელი შტრიხია — ევას ძალიან უნდოდა ყოფილიყო უშუალო, ბუნებრივი და ხალისიანი იმათთან, ვისთანაც ადამს ახლო ურთიერთობა ჰქონდა. ამიტომ იყო, ქმრის თანამშრომლები, ერთხელ ადამმა მისი დაბადების დღეს რომ მიიპატიჟა შინ, გულთბილად მიიღო.

ადამს მოსიყვარულე ცოლის ასეთი ყურადღება ფრიად სიამოვნებდა, რასაც სათანადოდ აფასებდა კიდეც; ანდა როგორ შეიძლებოდა არ დაეფასებინა, როცა ევას შემოსვლით მათ ოჯახში ბევრი რამ სასიკეთოდ შეიცვალა. პირველ ხანებში იმასაც კი ფიქრობდა, რომ ჩემზე ბედნიერი კაცი დედამიწის ზურგზე არ დადისო. არც იყო გასაკვირი, სიტკბოებისაგან იმ პირველ თვეებში ცოლის მეტს ვერავის და ვერაფერს ამჩნევდა. ცოლი კი ჰყავდა ლამაზი, ერთგული, მზრუნველი და მოსიყვარულე. აბა, ახალგაზრდა, სამსახურით უზრუნველყოფილმა კაცმა ბედნიერად რომ იგრძნო თავი, მეტი რა არის საჭირო?.. მაგრამ თურმე ყოფილა, და ამას ადამი მალე, ექვსიოდე თვის შემდეგ მიხვდა, როცა ჭკუა თვალებიდან ისევ გონებას დაუბრუნდა. მაშინ გაიგო, რომ ქორწინების მომენტში გათვალისწინებული არ ჰქონდა ყველაზე უმნიშვნელოვანესი — ცხოვრების ეკონომიური მხარე; კერძოდ, საქმე ეხება მათი ოჯახის ფინანსურ მდგომარეობას, რაც არცთუ სახარბიელო გახლდათ. აწონილ-დაწონილი ყველაფერი ნათე-

ლია, შემოსავალს გაცილებით სჭარბობდა გასავალი და თუ მათი ცხოვრება ამგვარ დინებას გაჰყვებოდა, შეუძლებელი იყო ხვალინდელი დღე ეწამა და დაეჯერებინა.

ადამი ევაზე ათიოდე წლით უფროსი იყო, იგი ცოლად რომ შეირთო, ინსტიტუტი ორი წლის დამთვრებული ჰქონდა, ერთ-ერთ ორგანიზაციაში ეკონომისტად მუშაობდა, ასორმოცდაათი მანეთი ხელფასით; ამას აკლდებოდა საშემოსავლო და უშვილობის თანხა და სინამდვილეში, ხელზე ასოცდაათ მანეთს იღებდა; ამ თანხას დედის პენსია ემატებოდა და საბოლოოდ მათი ოჯახის ყოველთვიური შემოსავალი ორას მანეთს აღწევდა. ევა არ მუშაობდა, ე.ი. სამ სულ ადამიანს, ოცდაათი დღე ამ ფულით უნდა გაეტანათ თავი. ორასი მანეთი თავისთავად არ იყო პატარა თანხა; ადრე, ამ თხუთმეტიოდე წლის წინ, ძველი ფულით ორი ათას მანეთს უდრიდა... სტალინური წესწყობილების ნაწილობრივ მოშლის შემდეგ, მართალია, დემოკრატიამაც ნაწილობრივ იზეიმა, ადამიანმა თავისუფლად ამოისუნთქა, მაგრამ მხოლოდ ხელფასზე მიჩერებული კაცისათვის ცხოვრება ძალიან გაჭირდა; თითქმის ყოველწლიურად მატულობდა ფასები პროდუქტებზე. ერთი ათად გაძვირდა ყველაფერი... ახლა ჩაცმა-დახურვაო, კინო-თეატრიო და აბა, რა გასაკვირი იქნება, რომ ცოლის მოყვანის შემდეგ ადამს გაუჭირდებოდა; ოღონდ ესაა, მაშინ, როცა თავისი ბედი ევას დაუკავშირა, ადამი ცხოვრების სირთულეებზე არ ფიქრობდა და შეცდომაც აქ დაუშვა. ახლა ყველაფერი გვიან იყო და, ზოგჯერ, საღამოობით, ევა რომ ეტყოდა, დღეს მაღაზიებში ვიყავი და ოჯახისათვის რაღაც-რაღაცეები ვიყიდეო, ნაღველს ვერავის უმხელდა, სიბრაზეს საკუთარ გულში იკლავდა, რადგან არ უნდოდა ცოლისათვის სიხარული ჩაემწარებინა, მითუმეტეს იცოდა, რომ ევას არაფერში მიუძღოდა ბრალი. იგი იყო ახალგაზრდა, ლამაზი, სიცოცხლით სავსე და სურდა ცხოვრების ყველა სიამე ეგემა; ხოლო თუ სად უნდა ეშოვა ფული ადამს, ევა ამაზე საერთოდ არ ფიქრობდა, უფრო სწორედ — არ სურდა ეფიქრა.

ადამი იძულებული გახდა დედისათვის ეთხოვა ფული და მოხუცებულმა ქალმა შემნახველ სალაროში მოუხშირა სიარულს, სადაც შავი დღისთვის ცოტაოდენი დანაზოგი ჰქონდა გადადებული. ეს მოხდა ექვსი თვის მერე მათი ჯვრისწერიდან.

„ნუთუ შევცდი, სილამაზის გულისათვის საშუალო განათლების მქონე ქალი რომ ვითხოვე? ვიდრე ისწავლის ან შესაფერის სამსახურს მოძებნის, მე უნდა ვარჩინო: უმჯობესი იქნებოდა ცოლად ისეთი ქალი მეთხოვა, ვინც მხარში ამომიდგებოდა და ჭირსაც და ლხინსაც ჩემთან ერთად გაიყოფდა“.

თუმცა ასეთ, მოულოდნელ და მწარე აზრებს ადამი უმალვე უკუაგდებდა ხოლმე, ვინაიდან ცოლის განაწყენებას ერიდებოდა და უმჯობესად მიაჩნდა შექმნილი მდგომარეობიდან რეალური გამოსავალი მოეძებნა. მოკლედ რომ ვთქვათ, გადაწყვიტა ისეთი სამსახური ეშოვნა, სადაც შედარებით მაღალი ხელფასი და გარდა ხელფასისა, რაიმე სხვა ანაზღაურებაც ექნებოდა პრემიის სახით. ეს ჩანაფიქრი ადამმა მალე განახორციელა, თითქმის ამ საქმეში ბედი წყალობდა. ყველაფერი უბრალოდ მოხდა. იგი, როგორც ეკონომისტი, ხშირად იმყოფებოდა ბანკში ხელფასების გამოტანის დროს, სადაც ურთიერთობა ჰქონდა საკმაოდ მაღალი თანამდებობის პირებთან. იქ დაუახლოვდა ერთ-ერთი კომბინატის დირექტორს ლევან მამაცაშვილს, რომელსაც ადრეც იცნობდა. ერთხელ შინაურული საუბრის დროს სხვათა შორის თვითონ დირექტორმა შესთავაზა, მალე ეკონომისტის ადგილი გამითავისუფლდება და სამუშაოდ ჩემთან გადმოდიო. პირობები კარგი იყო, — თვეში ორას ორმოცდაათი მანეთი, ხოლო კვარტალში ერთხელ, გეგმის გადაჭარბებით შესრულებისათვის, მუშა-მოსამსახურეები ერთი თვის ხელფასის ოდენა პრემიას ღებულობდნენ. ამასთანავე, დირექტორი ჰპირდებოდა, მოკლე ხანში განყოფილების უფროსის თანამდებობაზე დაგაწინაურებო.

კაცმა თავი ბედნიერად რომ იგრძნო, ზოგჯერ ამისთვის მცირედი წარმატებაც საკმარისია. ასე მოუვიდა ადამსაც და ლევან მამაცაშვილის მიერ შემოთავაზებულ წინადადებას დაუფიქრებლად დათანხმდა. რომანიც აქედან დაიწყო.

II

ლევან მამაცაშვილი საკუთარ კაბინეტში საწერ მაგიდასთან იჯდა და საბუღალტრო ანგარიშებს ამოწმებდა, როცა კარი ადამ ბერიძემ შემოაღო.

— შეიძლება, ბატონო ლევან?

— შემოდი, შემოდი, დაჯექი, — თქვა და ახლად შემოსულს გაშლილ ქაღალდებზე მიუთითა, — ისე ჩავცქერი ვითომ თავმოხდილი ჭური მქონდეს წინ, — მერე თავი ასწია და თანამშრომელს გამომცდელად შეხედა. — როდის იყო, სახელმწიფო გეგმა მხოლოდ ფონდირებული საქონელით რომ სრულდებოდა, შოვნა უნდა ყველაფერს, ხომ გაგიგონია ხელი ხელს ბანს და ორივე კიდევ პირსო; წარმოგიდგენია რა დღეში ვარ, ამხელა კომბინატში ჩემს მეტი საქმეზე არავინ ზრუნავს. საამქროს უფროსებს დავუძახებ და ლეკვებივით შემოლაგდებიან კაბინეტში, მოჰყვებიან წუწუნს, ხვეწნას, მუდარას... ვითომ მამა აბრამის ბატკნები მყავდნენ; ჰა, ჰა, ჰა... — ნიშნისგებით გაიცინა, იმ კაცივით, რომელმაც თავისი სახლის ყოველი კუთხე-კუნჭული ზედმიწევნით კარგად იცის და ადვილად ვერ გააცურებენ; უეცრად სიცილი შეწყვიტა, სახეზე კვლავ სერიოზულობა აღებეჭდა და განაგრძო: — წყალწაღბულს როდის იყო ხავსი აჩერებდა, კინოში ხომ გინახავს მუხრუჭებმოშლილი მანქანა თავდაღმართში როგორ მიგრიალებს, ა, ასე მივექანებით ძირს, ბოლოს დავეჯახებით რამეს, აბა, რა იქნება!

დირექტორის კაბინეტი საკმაოდ დიდი იყო. საწერი მაგიდის გარდა ოთახში იდგა სათათბირო მაგიდა, ირგვლივ შემოწყობილი სკამებითურთ, რომელიც ფანჯრებს გასწვრივ გასდევდა. იქ, სადაც დირექტორი იჯდა, მაღლა, კედელზე ბრეჟნევის სურათი ეკიდა, ხოლო სათათბირო მაგიდის თავში, ლითონის ქვესადგამზე გარდამავალი წითელი დროშა იყო ჩამაგრებული, რაც იმაზე მეტყველებდა, რომ კოლექტივი ხშირად გამოდიოდა გამარჯვებული სოციალისტურ შეჯიბრებებში.

— ჰო, მართლა, როგორ შეეგუე ახალ სამსახურს? — უეცრად საუბრის თემა შეცვალა დირექტორმა.

— მე მგონი ალღო ავუღე, ყველაფერი ნორმალურადაა, — პასუხი არ დააყოვნა ადამმა.

— ნახევარი წელია, მეტი, რაც აქ მუშაობ, მომწონს რომ პრეტენზიული არა ხარ, თანდათან უკეთ და უკეთ იქნება საქმე, ჩვენთან კარგი მუშაკის წახალისებაც იციან, — დირექტორმა ორაზროვანი ღიმილით შეხედა თანამშრომელს და დასძინა: — ფინანსურად, რა თქმა უნდა, — მერე უცებ სერიოზულად შეეკითხა: — ახლა მითხარი, „ლაიკის“ მასალა ფონდით ვისგან გვეკუთვნის.

— ბატონო ლევან, ფონდირებული ტყავი ლაბადისათვის აღარავისგან გვეკუთვნის, ამოწურულია.

— ჰო, ვერ ყოფილა კარგად საქმე... რაღაც უნდა მოვიფიქროთ, ყველანი უნდა გავინძრეთ, თორემ გეგმა თუ ჩაგვივარდა აქ არავის გაგვაჩერებენ. დაიმახსოვრე, კომუნისტებს ერთი ნაცადი თვისება აქვთ: ჯერ გიყურებენ, წაგახალისებენ, გაცლიან... და რომ გგონია ვინ რას დამაკლებს, აწი მე ვარ და ჩემი ნაბადიო, მამა ღმერთიც რომ იყო ვერაფერი გიშველის. თუ სადმე წაიფორხილე, გუდასავით მოგისვრიან ლაფში; ლუარსაბ თათქარიძე ხომ გახსოვს?..[1]

გარეგნული მიმზიდველობა არ აკლდა ლევან მამაცაშვილს, სიტყვა-პასუხიც გვარიანად უჭრიდა. განსაკუთრებით სამსახურებრივი მოვალეობის შესრულების დროს გამოიყურებოდა თვალშისაცემი კეთილშობილებითა და ბრწყინვალებით: სადად გადავარცხნილი შავი თმა საფეთქელთნ ოდნავ გაჭაღარავებოდა, რაც ძალიან უხდებოდა კიდეც; სახე, მზე რომ მოჰკიდებოდა, მუდამ კეთილად და სათნოდ მოღიმარი ჰქონდა, ისეთი, თვალს რომ აჯადოვებს, რაც ზოგჯერ თანამშრომლებს დირექტორისადმი სიმპათიითაც კი განაწყობდათ, თუმცა ეს იყო პირველი შთაბეჭდილება და თუ დაკვირვებით შევავლებდით თვალს მის სახეს, ეს გარეგნული კეთილშობილება და ბრწყინვალება, ცოტა არ იყოს, ხელოვნური მოგეჩვენებოდათ, თითქოს ნიღაბი ჰქონდა აფარებული, და ეს სინამდვილე იყო. ამ ნიღაბს მამაცაშვილი მუდამ

1. ილია ჭავჭავაძის მოთხრობის „კაცია ადამიანის!?“ პერსონაჟი.

ატარებდა, რადგან კარგად იცოდა, როგორც კი ნამდვილ სახეს გამოაჩენდა, საოცრად ულამაზო, თითქმის მაიმუნივით მახინჯი ჩანდა. შესაძლებელია, ეს იმიტომ ხდებოდა, რომ უნიღბოდ მის სახეზე ეშმაკს მიყიდული სულის დაფარული, ავი ზრახვანი ამეტყველდებოდნენ ხოლმე. ამგვარი სიმახინჯის დაფარვას ზედმიწევნით ცბიერი ადამიანი, ანუ არაკაცი ახერხებს მხოლოდ კარგად მორგებული ნიღბის წყალობით და ისეთი დათაფლული ენით, ლევან მამაცაშვილს რომ ჰქონდა. მისი ორაზროვანი ნართაულის გამოცნობა იოლი საქმე არ გახლდათ. ასი თვალი და ასი ყური არ კმაროდა იმ ჩახლართული, ქვებუდანი აზრების გამოსაცნობად, საუბრის დროს მიკიბულ-მოკიბულად რომ დაახვავებდა ხოლმე.

უეცრად მამაცაშვილმა შუბლს ქვემოდან ამოხედა ბერიძეს და უთხრა.

— ადამ, ორიოდე კვირით რუსეთისაკენ მოგიწევს გამგზავრება მივლინებით, „ლაიკის“ მასალა უნდა გამოგზავნო, — მაგიდიდან კონვერტი აიღო და ადამს წინ დაუდო, — ამ კონვერტზე სათავო სამინისტროს მისამართია; ის კაცი, ვისთანაც უნდა მიხვიდე, ჩემი საუკეთესო მეგობარია, დიდი თანამდებობის პირია, რომ შევუთვალო, წყალში გადავარდი-თქო, გადავარდება, მაგრამ მეგობრის ასეთი ბრმა თავგანწირვა რას შეგვმატებს? არაფერს. იმასაც ხომ ჰყავს უფროსი, ჰოდა, ასე კაკილასავითაა აწყობილი ეს საქმე; ამიტომ წერილთან ერთად იმ კაცს საჭირო თანხას მიუტან. ფული მზა ნაწარმის საამქროს უფროსს ვალიკო ღლეტაძეს აქვს ჩაბარებული; საქმის კურსშია, მიხვალ და მოგცემს. აი, ამიტომ დაგიძახე. მივლინების ფურცელი და თვითმფრინავის ბილეთი მზად არის. ხვალ, ამ დროს უკვე მოსკოვში იქნები. აბა, შენ იცი და შენმა ვაჟკაცობამ, ვიცი, ამ საქმეს გამიხაზირებ.

თავდაპირველად ადამმა მოულოდნელობისაგან ხმის ამოღება ვერ მოახერხა, აღარ იცოდა, რა ეთქვა, თუმცა საქმის ვითარებას მალე აუღო ალღო და დირექტორს მორიდებით შეეპასუხა:

— ბატონო ლევან, ხომ გითხარით, ფონდი ამოწურულია-თქო.

— ეგ არაფერი, ამ საქმეს ეშველება, იმიტომ გატან ამოდენა ფულს.

— ესე იგი, საქონელი, რომელიც უნდა გამოგზავნილი იქნეს სხვისი ფონდიდან უნდა მივითვისოთ, — მისდაუნებურად წამოისროლა ადამმა, — პასუხისმგებლობას თავი რომ დავანებოთ, სინდის-ნამუსი...

— გაჩერდი, ვხვდები, რაც გინდა რომ თქვა, — დირექტორი წამოდგა, თანამშრომელს ზურგი შეაქცია, — კი... ჰო... მართალი ხარ... — ანაზდად მაღლა აიხედა, ბრეჟნევის სურათს შეხედა, ის დრო გაახსენდა, ათიოდე წლის წინანდელი, აქ, ამ ადგილზე, ამავე შავ ჩარჩოში ხრუშჩოვის პორტრეტი რომ იყო მოთავსებული; მაშინ შავი პურიც სანატრელი გახდა... ეგ კიდევ რა, წისქვილებში, უმოქმედობით ბორბლები ჩაიჟანგა... იმხანად, ოცდაექვსი წლის ახალგაზრდა კაცს, პირველად რომ მოთავსდა ამ სავარძელში, ცხოვრებაზე ისეთივე წარმოდგენა ჰქონდა, როგორიც ახლა ამას, ადამ ბერიძეს აქვს, ტვინს სინდის-ნამუსით რომ იჭყლიტავს. დირექტორმა სურათს თვალი მოაშორა და თავჩაქინდრულმა ჩუმად ჩაილაპარაკა: — ვაი შენს პატრონს... მერე სწრაფად შემობრუნდა, თავის ადგილზე წამოიჯგიმა და ადამს ჯიქურ შეხედა: — ჯანმრთელი კაცი რომ მიუყვანო ექიმს გასასინჯად, ექიმი რეცეპტს მაინც გამოუწერს. მომისმინე და დაიმახსოვრე: სირცხვილი სინდისი და სიღარიბე და-ძმანი არიან. თუ გინახავს, კაცს სინდისი ჰქონდეს და გამაძღარი იყოს? ეს ცხოვრება ჭამისაა; ერთი საბანი ათი წელი გეყოფა, მეტიც... საჭმელი კი ყოველდღე გინდა, ისიც დღეში სამჯერ... ხანდახან, თუ კაი ხასიათზე ხარ, რამდენიმე დღე ჭამასა და ღვინის სმაში რომ გადააბა, არ მოგწყინდება. დღეს, თუ ფული გაქვს, კაცს გინდა მოკლავ და გინდა გააცოცხლებ, ცამდე მართალი რომ იყოს, ფეხით გასრისავ...

— ამ საქონელს ხომ პატრონი ჰყავს, ბატონო ლევან, ვინ შეგვარჩენს!... ამხელა ტყუილი?..

მამაცაშვილმა ადამს სიტყვა ისევ გააწყვეტინა, დამრიგებლური, თბილი, მეგობრული კილოთი ეუბნება:

— ბიჭო, ტყუილის თქმა და გატანაა დღეს ყველაზე დიდი ვაჟკაცობა. რა თქმა უნდა სხვისი საკუთრება თუ მიიტაცე, ამისთვის დაგსჯიან, მაგრამ ბევრი უნდა მიიტაცო, იმდენი, რომ სხვასაც გაუყო, შენც დაგრჩეს და საბოლოოდ მშრალზე გამოხვიდე. სხვის ეზოში ბოროტი თვალით რომ გაიხედავ, ვერ უნდა შეგამჩნიონ. ხვდები, რას გეუბნები? ეს სისტემა გამრავლების ტაბულასავით მარტივია: რიგითი თანამშრომელი განყოფილების უფროსს ატყუებს, განყოფილების უფროსი მოადგილეს, მოადგილე დირექტორს, განა შენ არ მატყუებ?.. არაფერი თქვა, არ გსაყვედურობ... ჰოდა, ასეა, საბოლოოდ იქმნება ერთი დიდი ტყუილი, სიმართლეზე მტკიცე და ძლიერი. ყველამ იცის, რომ ტყუილია, მაგრამ წინ ვერაფერი დაუდგება, რადგან აჯაფსანდალივითაა... თვითონ მამა ღმერთი ვერ მიაგნებს, სად ტყუილია და სად სიმართლე. აბა, ლამაზი თვალებისათვის დღეს ასმანეთიანებს ჯიბეში ვინ ჩაგიჩხრიალებს, ჰა... გიფიქრია ამაზე?

თვალის გუგებში ელვა გაუკრთა მამაცაშვილს და მისდაუნებურად რამდენიმე სიტყვა ქურდების ჟარგონზე ჩაილაპრაკა, რაღაც „არიფის“, „კაი ბიჭის“ თუ „პუტიოვის“ მაგვარი.

ადამი გაუნძრევლად იჯდა, მმართველს ყურადღებით უსმენდა, ოღონდ თვალებში ფიქრი ჩასდგომოდა; ახსენდებოდა:

ეს იყო ევას დაბადების დღის აღნიშვნიდან ორიოდე კვირის შემდეგ. მაშინ მამაცაშვილმა კომბინატის ადმინისტრაციული აპარატის თათბირი მოიწვია, გამეხებული ლაპარაკობდა, ბოლოს სიტყვა ასე დაასრულა:

„სათანადოდ არ ამოწმებთ საამქროებს! იქ კი ცხვრის ქურქში გახვეული მგლები სხედან, რასაც მოიხელთებენ, ყველაფერს შინ მიარბენინებენ. თქვენ გაიძახით მათზე, არაფრის ეშინიათო, მერედა ვისი ბრალია? ისევ და ისევ თქვენი. ერთხელ მაინც შეამოწმეთ კანონის ძალით, მთელი სიმკაცრით მოუჭირეთ ხელი და ნახავთ, როგორ მოიკაკვებიან...“

ამ დროს ადამის გვერდით მმართველის მოადგილე აწრიალდა შუა ხანს მიტანებული ქალი; თითქოს საჯდომზე ნემსები უჩხვლიტესო, ისე სწრაფად შემობრუნდა ადამისკენ და გადაუჩურჩულა:

„თვითონაა მთავარი, პირწავარდნილი ბანდიტი, თვითონ... ამ ორიოდე წლის წინ კომბინატი რესპუბლიკურმა რევიზიამ შეამოწმა. აღმოაჩინეს დიდძალი გაფლანგვა, შეადგინეს აქტები, მაგრამ ამ სალახანამ ყველას გვიბრძანა ხელი არავინ მოაწეროთო. რევიზორები იძულებულები გახდნენ მთავარი საწყობი დაელუქათ. იმ ღამეს კი უშველებელი ხანძარი გაჩნდა... გაუტეხიათ საწყობის სარკმელი, დაუჭერიათ კატა, გადაუსხამთ მისთვის ნავთი, წაუკიდებიათ ცეცხლი და შეუგდიათ საწყობში; გამწარებული, წითლად აბრიალებული ცხოველი საშინელი ჩხავილით დარბოდა თურმე და ხან ერთი საქონლის ზვინს ედებოდა ცეცხლი და ხან მეორეს. ეს იდეა დირექტორს ეკთვნოდა. რამდენიმე მილიონის ღირებულების საქონელი დაწვა ამ ბანდიტმა და ასე გადაირიჩინა თავი...“

...ტელეფონის ზარმა გაიწკრიალა, ადამი ფიქრებიდან გამოერკვა, მამაცაშვილმა ყურმილი აიღო, ერთხანს მოსაუბრეს უსმენდა, მერე მშვიდად წარმოთქვა:

— ჰო, გია, მესმის, ნაყინის გამყიდველი უკვე გააფრთხილე?.. აჰა... ძალიან კარგი; წყალთაშუა შეარჩიე?... რესტორანი „თხმელები“?.. დიდებულია, ჰოდა, სიცხეები ქეა და მერე ხანისწყლის ნაპირას, დიდველასაკენ გავუტიოთ... თუმცა, მოიცა, უმჯობესია კიდევ დავფიქრდეთ, გაგიგონია ალბათ „ასჯერ გაზომე და ერთხელ გასჭერიო“. ერთ საათში მოდი და აქ მოვილაპარაკოთ.

მამაცაშვილმა ყურმილი დადო, მერე საწერი მაგიდის უჯრა გამოაღო, იქიდან „მალბორო“ ამოიღო, სიგარეტს რომ უკიდებდა, ადამს მოეჩვენა, თითქოს უცხოურმა სანთებელმა კი არა, შუბლს ქვემოდან გამომზირალმა ორმა თვალმა გაკვესა ბოროტად.

სიგარეტის იისფერი კვამლი რგოლებად ავიდა მაღლა.

ბერიძე, ცოტა არ იყოს, შეფიქრიანდა, ვაითუ დირექტორს რაიმე ვაწყენინეო, შეშინდა, სამსახური არ დამაკარგინოსო და ანგარიშმიუცემლად ალაპარაკდა.

— რა გაეწყობა, ბატონო ლევან, თუ საქმე მოითხოვს, წავალ, ოღონდ ეს კია, მოხუცებული დედა, ახალმოყვანილი ცოლი... ცოტა არ იყოს, მიჭირს...

დირექტორს შუბლზე ნაოჭები უმალ გაუქრა, უეცრად მოვარდნილმა სიხარულმა სახე გაუნათა და თანამშრომელს სიტყვა გააწყვეტინა.

— შენს ოჯახს ჩიტის რძე არ მოაკლდება, ამაზე არც იფიქრო, ეგ კი არადა, ჯიბის ფულად ათას მანეთს მოგცემთ, მოსკოვში სასტუმრო დაჯავშნული გვაქვს, გაიარ-გამოიარე, თვალს წყალი დაალევინე. ცოლი კი გყავს ლამაზი, მაგრამ ხანდახან რომ წაიცუღლუტო კიდეც, ვითომ ქვეყანა დაიქცევა?.. — თქვა და ადამს თვალი მეგობრულად ჩაუკრა, მერე თითი ზარის ღილაკს მიაჭირა. კაბინეტში მდივანი გოგო შემოვიდა.

— ლია, — უთხრა დირექტორმა, — ადამს მივლინების ფურცელი და თვითმფრინავის ბილეთი მოუმზადე, თუ რაიმე საბუთის დაბეჭდვა გთხოვოს, არ დააყოვნო, გასაგებია?

— დიახ, ბატონო ლევან, — მორჩილად მიუგო მდივანმა და წასვლა დააპირა, მაგრამ დირექტორმა ანიშნა, დარჩენილიყო.

— დღეს და ხვალ ჩემი ვოლგა შენს განკარგულებაშია, — კვლავ ბერიძეს მოუბრუნდა მამაცაშვილი, — მოგემსახურება, რომ ამ საქმის გამო არაფერში დაბრკოლდე, — იგი წამოდგა და ადამს ხელი მძლავრად ჩამოართვა, — კეთილ მგზავრობას გისურვებ, ორ კვირაში გელოდები, — თან დასძინა: — შენი იმედი მაქვს.

— გმადლობთ, ბატონო ლევან, ვეცდები არ შეგარცხვინოთ, — თქვა ადამმა, კონვერტი აიღო, დირექტორმა მაგიდაზე რომ დაუდო და კაბინეტიდან გავიდა.

— როგორაა საქმე? — შინაურულად ჰკითხა მამაცაშვილმა პირად მდივანს, როცა მარტო დარჩნენ.

უეცრად ქალს გამომეტყველება შეეცვალა, თვალები უცნაურად დაეპრაწა, თითქოსდა შიგ ჭინკები აცეკვდნენო.

— ძნელი დავალებაა, ლევან, — თქვა ქალმა და ჭინკები ახლა შეღებილ ტუჩებზე ათამაშდნენ.

— ლია, ეგ საქმე მომიგვარე და შენი ხმალი და ჩემი კისერი.

— ჰოო... — ქალი ყველაფერს მიხვდა და გაიღიმა, მორჩილად, მოდრეკილად, თუმცა იმ წუთში სახეზე ფარულმა სევდამაც გადაურბინა; ეს იყო მონის ღიმილი, რაც მეპატრონის ყველა სურვილის შესრულებას მიანიშნებს... და ეს სინამდვილე იყო; პირადი მდივანი ზოგჯერ ნაბახუსევსაც კი გახსენებია დირექტორს და სანდო კაცებს ქალი შუაღამისას შინიდან გამოუყვანიათ მისი ხოშის გასასწორებლად.

ქალი ტანის მსუბუქი და გამომწვევი რხევით მიუახლოვდა საწერ მაგიდას, თან ლაპარაკობდა:

— როგორი გაუტანელი ხარ, ლევან, რომ იცოდე, ჟინს მოიკლავ და მერე ვითომ აღარც ვარსებობ..

— ლია, ნუ ცუღლუტობ, რაც გიბრძანე ის შემისრულე!

ქალი გაიბუტა და მაგიდას მოშოროდა.

— ხომ გითხარი, ძნელია-მეთქი, — ჩაილაპარაკა და შორიახლოს შედგა, — თუმცა შევეცდები გულისწადილი შეგისრულო, — დასძინა შემრიგებლურად, — ოღონდ საჩუქარი ნამდვილად ძვირფასი უნდა იყოს.

— როდის იყო ტყუილს ვამბობდი, ამ რაიონში მხოლოდ შენ ჩაიცვამ პირველად.

— კარგი, ლევან, შევასრულებ, მხოლოდ ერთი პირობით: იცოდე, უნდა დაათრო, თორემ ფხიზელმა ადვილი შესაძლებელია ისეთი წინააღმდეგობა გაგიწიოს, თავი შემოგაკლას.

— ეგ ნუ გადარდებს, არაფერი შემეშლება. შენ ის მითხარი, ხომ კვლავ მეგობრობთ ერთმანეთთან?

— რა თქმა უნდა, აკი გითხარი, ის ფრანგული სუნამო, მისთვის რომ მომიტანე, ჩემი სახელით ვაჩუქე.

ლევან მამაცაშვილმა სიგარეტის ნამწვს საფერფლეში თავისი შავბნელი ფიქრებიც გულდაგულ ჩაასრისა, მერე აუჩქარებლად წამოდგა და ნელი ნაბიჯით მიუახლოვდა ლიას.

— დღეს პარასკევია, ადამი მოსკოვში ხვალ გადაფრინდება. ასე რომ, კვირა დილით უნდა გამოვიტყუოთ ევა სახლიდან.

— ხვალ საღამოსვე შევივლი მასთან, ახალი, იტალიური ფილმი გამოვიდა და კვირას კინოში დავპატიჟებ.

— არა, არ ივარგებს, ჩემი აზრით ამ დროს მოულოდნელი მოქმედება უმჯობესია, თუმცა კიდევ მოვიფიქროთ... ახლა კი წადი და ბერიძეს საბუთები გაუმზადე. გია რომ მოვა, ერთად შემოდით.

ლია კაბინეტიდან გამოვიდა.

ლევან მამაცაშვილმა კარში გამავალ ქალს ალმაცერად გახედა, მერე შემობრუნდა და კვლავ საწერ მაგიდასთან დაჯდა, თავი ხელებში ჩარგო, თვალის გუგები იმ მტაცებელი ცხოველივით მოეწკურა და დაუპატარავდა, მსხვერპლის მოლოდინში ჩასაფრებული სულს რომ განაბავს ხოლმე.

III

— ევა, ევა!

იგი ტოტებგაბარდნილი ჭადრის ჩრდილში მზეს ემალებოდა. ეზოს სიღრმეში ერთსართულიანი წითელი კრამიტით დახურული სახლი მოჩანდა, ღია ფანჯარაში ახალგაზრდა ქალი გამოჩნდა, წინსაფარი ჰქონდა გაკეთებული, სტუმარი რომ დაინახა, გაიკვირვა: — ლია?! — წამოიძახა და უმალ გაუჩინარდა. მალე აივანზე გამოვიდა და კიბეებზე დაეშვა, იღიმებოდა.

— დღეს არ გელოდებოდი, — უთხრა სტუმარს, როცა მოეხვია და ლოყა ლოყაზე მიადო.

— შენთან მოსვლას არც მე ვფიქრობდი, გოგო, მაღაზიებში მინდოდა შემეხედა, მაგრამ კინო „კომუნასთან“ რომ გავიარე, სალაროებთან ისეთი ჭედვა იყო, ნემსს ვერ ჩააგდებდი; ამან დამაინტერესა, — ხმადაბლა ალაპარაკდა ლია. თან მზერა აივნისაკენ გააპარა, იქ ვერავინ დაინახა და თამამად განაგრძო: — იცი რა ფილმი გადის? „ქორწინება იტალიურად“. სოფი ლორენი და მარჩელო მასტროიანი თამაშობენ. ბილეთები ძლივს ვიშოვე, — თქვა და მომცრო ხელჩანთა გახსნა, იქიდან ორი ბილეთი ამოაძვრინა, — თორმეტზე იწყება, ნახევარი საათი კიდევ დროა, წამოხვალ?

ევამ წინსაფარზე დაიხედა და ჩუმი სიცილით თქვა:

— ხომ ხედავ, გოგო, რა დღეში ვარ... ადამიც შინ არ არის, მივლინებაშია, შენც ხომ გესმის... დედამთილი რას იტყვის!

— დიდი — დიდი ორი საათი დაკარგო. რამე მოიგონე, ნუთუ ვერაფერს მოიფიქრებ? — ლიამ ბილეთებს გულდაწყვეტით დახედა, — არადა, მარტო კინოში როგორ წავიდე, მეუხერხულება; უბრალოდ სირცხვილია, სხვა დროც არა მაქვს...

ევა ყოყმანობდა, არ იცოდა, რა გზას დადგომოდა, დედამთილის წყენინებასაც ერიდებოდა და არც მეგობრის მომდურება უნდოდა, რადგან ლიასთან ძალიან ახლო ურთიერთობა ჰქონდა... მისი დაბადების აღსანიშნავი დღიდან დაიწყო ყველაფერი, ადამმა რომ მოაწყო, იმ საღამოს, გამომშვიდობებისას, ლია დაპირდა აუცილებლად დაგირეკავო, შეასრულა კიდეც სიტყვა. მერე გაშინაურდნენ, ხშირად დაიოდნენ კინოში, თეატრში. ლია არასოდეს ფულს არ ახარჯვინებდა. ეგ კი არადა ერთხელ ფრანგული სუნამოც აჩუქა... თავდაპირველად ევას ძალიან უკვირდა ლიას ასეთი ხელგაშლილობა, რამდენჯერმე გაუჯიუტდა, უნდოდა თვითონ გადაეხადა ესა თუ ის დანახარჯი, მაგრამ ლია არ ანებებდა, ეუბნებოდა, მე მარტოხელა ვარ, თანაც ვმუშაობ, და არა მიშავს რაო, თან ხუმრობით დასძენდა, აი, როცა გავთხოვდები, სამაგიერო მაშინ გადამიხადეო. ერთხელ ლიამ პოლონური მოდების ჟურნალიც მოიტანა. უთხრა,— აქ ისეთი კაბის მოდელი შევარჩიე, შენ ძალიან მოგიხდება; ჩაცმა-დახურვა მეტისმეტად უყვარდა ევას, ადამი როცა შინ არ იყო, შეეძლო საათობით ეტრიალა სარკის წინ. ხან რას მოირგებდა, ხან რას. კაბის მოდელი, ლიამ რომ აჩვენა, მართლა მოეწონა და ადამს საკაბის ფული სთხოვა; მერე დაქალებმა ლურჯი საკაბე შეარჩიეს და ლიამ ევა თავის ნაცნობ მკერავთან წაიყვანა...

ამიტომ იყო, ევა რომ გამოუვალ მდგომარეობაში იმყოფებოდა, აღარ იცოდა, როგორ მოქცეულიყო, წასვლაც უნდოდა და არც უნდოდა... ბოლოს ახალი ფილმის ნახვის სურვილმა აცდუნა და საწონმა მეგობრის მხარეს გადასძლია.

— კარგი, წამოვალ, ხუთი წუთი დამელოდე, — გადაწყვეტილად თქვა და შებრუნდა.

— ჭიშკრის გადაღმა მოგიცდი, — მიადევნა ლიამ.

ევამ აღარ უპასუხა, ოღონდ თავი დააქნია და კიბეები სწრაფად აირბინა. სამზარეულოში შესვლისას წინსაფარი მოიხსნა და მოხუცებულ დედამთილს, გაზქურასთან რომ იდგა, ფრთხილად, შემპარავად უთხრა.

— ლია მოვიდა, მკერავთან წამყევიო მითხრა და უარით ვერ გავისტუმრე.

მოხუცებულს, როგორც ჩანდა არ ეამა რძლის ნათქვამი.

— გირჩევ, შვილო, ცოტა მოერიდო მაგ გოგოს; რატომღაც ასე მგონია, რომ თვალთმაქცია. სულ იმის ცდაშია გულუბრყვილო, უწყინარ ადამიანად მოგაჩვენოს თავი, გულში კი, ასე მგონია, კაცმა არ იცის, რა უძევს.

— რა გიპასუხო, რომ აღარ ვიცი? ლია ხომ ადამის და მისი კარგი მეგობრის თანამშრომელია, უკვე გავშინაურდით. აბა, ცუდს რად უნდა ფიქრობდეს. მხოლოდ ორიოდ საათი შემაგვიანდება, ნუ გეშინია, ხელსაქმეს მოვასწრებ.

მოხუცებულმა უკმაყოფილოდ შეიჭმუხნა უკვე დანაოჭებული შუბლი, მაგრამ რძალს აღარ დააჯინდა, თუმცა სათქმელი ენის წვერზე ჰქონდა მომდგარი:

„ქმარი როცა შინ არ არის, ოჯახის ქალის გარე-გარე წოწიალი რა საკადრისიაო“, — გაიფიქრა და მძიმედ ამოიოხრა.

კაბას რომ იცვლიდა, ევა სინდისმა შეაწუხა, ჯავრობდა, დედამთილთან რატომ ვიცრუეო, მერე ლურჯი კაბა რომ გადაიცვა, ლიას ნაცნობმა მკერავმა რომ შეუკერა, გულზე ოდნავ მოეშვა და რამდენიმე წამი სარკის წინ იტრიალა. მართალია პუდრსა და პომადას არ ხმარობდა, მაგრამ თმის ვარცხნილობა შეიცვალა. ბოლოს მაღალ ქუსლებზე შემდგარმა, ერთხელ კიდევ შეათვალიერა საკუთარი თავი და როცა ჩაცმულობაში ხინჯი ვერ იპოვა, გარეთ გამოვიდა. აივანი სწრაფად გადაჭრა და კიბეებზე მოხდენილად დაეშვა. თვალისმომჭრელად ლამაზი ჩანდა, ტანკენარი, ტანაშოლტილი, მიმზიდველი ნაკვთები ჰქონდა, ალბათ, აღორძინების ეპოქის მხატვრები ანგელოსის სახის დასახატად უკეთეს მენატურეს ვერ

შეარჩევდნენ. ლია მეგობრული ქათინაურით შეეგება, ეგ კაბა ყველაზე მეტად გიხდებაო, უთხრა.

ისინი მზით გაკაშკაშებულ ქუჩაში მიაბიჯებდნენ. სიცხისაგან ასფალტი ისე გალღობილიყო, მათი მაღალქუსლიანი ფეხსაცმელების ანაბეჭდები ტროტუარს მკაფიოდ აჩნდებოდა. ლია დაქალის გართობას ცდილობდა, ენაგაუჩერებლად ლაქლაქებდა, ხუმრობდა, ხან მთას მოედო, ხან ბარს, ერთი ისეთი ანეკდოტი მოჰყვა, ევა კინაღამ სიცილისაგან გაიგუდა, უეცრად მანქანის დამუხრუჭების ხმა მოესმათ, შავი „ვოლგა“ ადგილს დააკვდა. იქიდან მოხდენილი აღნაგობის მამაკაცი გადმოვიდა და მათკენ გამოემართა. ცისფერი, მოკლესახელოებიანი პერანგი ეცვა, ჯიბეებით და სამხრეებით დამშვენებული, ღიმილი უხდებოდა, თეთრ კბილებს თითქოს განზრახ აელვებდა.

— გამარჯობათ, ქალბატონო ევა! — თქვა კაცმა, როცა ქალის პირისპირ შედგა და პატივისცემის ნიშნად თავი დახარა, — დამნაშავე ვარ თქვენთან, ორი კვირით მეუღლე წაგართვით. სამსახურის ბრალია, თუმცა უფლებას გაძლევთ დამსაჯოთ.

მოულოდნელობისაგან ევა შეკრთა, დაიბნა, უხერხულად იდგა, არ იცოდა რა ექნა, ენა ვეღარ მოაბრუნა. მართალია კაცს იცნობდა, მაგრამ არცთუ ძალიან ახლოს...

***

...მაშინ ადამი განყოფიელბის უფროსად დანიშნეს. ახალგაზრდა კაცისათვის, რომელიც ამ კომბინატში მხოლოდ ორიოდე თვის მისული იყო, ეს თანამდებობა წინსვლას ნიშნავდა და ამით გახარებულმა დირექტორი ლევან მამაცაშვილი და კიდევ რამდენიმე თანამშრომელი შინ მიიპატიჟა მეუღლის დაბადების დღეზე.

ადამმა სუფრის თამადად ლევან მამაცაშვილი დაასახელა, კომბინატის დირექტორმა ერთი კი იხუმრა, მაგიდის თავში ჯდომა სამსახურში მომბეზრდა და აქ მაინც მომასვენეთო, მაგრამ თავპატიჟი დიდხანს არ დაუწყია, ღვინის სმაში მამაცაშ-

ვილს რაიონში ტოლი არ ჰყავდა, სიტყვა-პასუხიც მოსწრებული იცოდა და იმ ღამესაც გვარიანად მოულხინა.

ევას მეხსიერებაში უეცრად ის სიტყვები გაცოცხლდა, მამაცაშვილმა მოხერხებულად რომ ჩართო მაშინ ქალის სადღეგრძელოში: ქალბატონო ევა, ამ კაბაში თოვლში ამოსულ ყაყაჩოს ჰგავხართო.

თეთრი კაბა ეცვა ევას, ეს მისი საქორწილო კაბა იყო, მაგრამ ამ შემთხვევაში, თითქოს მხოლოდ ქალის აღნაგობა ანიჭებდა ტანსაცმელს სრულყოფილებას. ქათინაურიც მიზანში მოხვდა, თუმცა მამაცაშვილი სრულებით არ ტყუოდა. იგი მართლა ყაყაჩოსავით ატკრციალებულიყო, ლამაზად ჩამოსხმული სავსე და მკვრივი მხრები, მკლავები, ყელი, სახე, თეთრ-ყირმიზი ჰქონდა: სწორი და თხელი ცხვირი, ბაგეებზე პომადა არ ეცხო, მაგრამ ვარდის ფურცლებივით უღვიოდა, ტუჩ-პირი ოდნავ დანამვოდა აქეთ-იქით ხშირი სიარულისაგან, როცა იცინოდა, ერთმანეთზე მიჯრილი თეთრი კბილები უელავდა, დიდრონ ცისფერ თვალებში სტუმრებისადმი პატივისცემა იხატებოდა; წელწვრილი და მხრებგამართული, ნარნარად დადიოდა, თავი მოხდენილად და ღირსეულად ეჭირა, მის ახალგაზრდულ, ჩამოთლილ ფეხებს აუღელვებლად ვერ შეხედავდით; ერთი სიტყვით, მხოლოდ ბუნების ნაბოძები შეიძლება იყოს ის მსუბუქი მოხდენილობა და ჩუმი დიდებულება, ევას არსებაში რომ გამოსჭვიოდა, ამიტომ მოჩანდა იგი მიუწვდომელი და იდუმალი... ენით აუწერელი ნდომით და სურვილით აღანთებთ ხოლმე ქალთა სქესის მოტრფიალე მამაკაცებს ასეთი უჩვეულო სილამაზე და მომხიბვლელობა.

ევამ ანაზდეულად შეხედა ქმარს, უნდოდა გაეგო რა შთაბეჭდილებისა დარჩა, ცოლი ასე რომ შეუქეს, მაგრამ იგი სუფრის ერთ-ერთ წევრს ესაუბრებოდა და სახე თითქმის არ უჩანდა, თუმცა მეუღლის პორტრეტი იმწამსვე ამოტივტივდა მის წარმოსახვაში:

ადამს ცნობისმოყვარე თვალები, სწორი ცხვირი, გაშლილი შუბლი და კარგად მოყვანილი პირისახე ჰქონდა. ერთი შეხედვით იფიქრებდით, ხალისიანი მოსაუბრე იქნებაო, მაგრამ სინამდ-

ვილეში საკმაოდ გულჩათხრობილი იყო. ევას სულაც არ წყდებოდა ამაზე გული, რადგან თვითონ ბევრი ჰქონდა სალაპარაკო და სიამოვნებდა, მის მოსწრებულ ნათქვამზე ადამი რომ გაიცინებდა ხოლმე. თუმცა, როცა ადამი ლაპარაკობდა, სულელურს არაფერს ამბობდა და მუდამ ისეთ რამეს იტყოდა, რაც აუცილებლობით იყო გამოწვეული.

ევამ მეორე დღეს, ქმარს სხვათა შორის უთხრა, კეთილი კაცი ჩანს თქვენი დირექტორი, სუფრასაც კარგად გაუძღვაო, თან ჰკითხა:

— კომბინატში მუშაობა თვითონ შემოგთავაზა?

ადამი მცირე ხანს დაფიქრდა და მერე უპასუხა:

— ჰო, ხშირად ვხვდებოდით ერთმანეთს, სამსახური გვქონდა ასეთი, ერთხელ, სანამ ჩვენ ხელს მოვაწერდით, ბანკში შევხვდი, კარგა ხანს ვისაუბრეთ აქეთურზე, იქეთურზე, სადღაც ერთად დავუნახივართ და მკითხა, ის ქალიშვილი ვინ არისო, საცოლეა-მეთქი, ვუთხარი, პურ-მარილი არ გამომაპაროო, იხუმრა. სწორედ იმ ხანებში ეკონომისტის ადგილი გაუთავისუფლდა და ნაცნობის პირით შემომითვალა, თუ სურვილი აქვს, ჩვენს კომბინატში იმუშაოსო, ეს იყო და ეს. რატომ მეკითხები?

— ისე, უბრალოდ... ასე ახალგარზრდაა და უკვე ამხელა კომბინატს ხელმძღვანელობს.

— ზურგი აქვს ძლიერი, ძმები ჰყავს, დედაქალაქში ცხოვრობენ, გავლენიანი ხალხია.

ევა როგორც ჩანდა, პასუხმა დააკმაყოფილა, ქმრისთვის მეტი აღარაფერი უკითხავს.

***

...ფიქრებიდან მამაცაშვილის ხმამ გამოარკვია.

— საით გაგიწევიათ, ლია? — მამაცაშვილი ახლა ლიას მიაცქერდა, რადგან ევა თავჩაღუნული იდგა და ეტყობოდა ხმის ამოღებას არ აპირებდა.

ლიას ლოყები წამოუწითლდა, ქალმა ჯერ თითქოსდა გაუგებრად ჩაილუღლუღა რაღაც, მერე ვითომ მოახერხა, თავს რომ დაუფლებოდა და თქვა:

— კინოში... კინოში მივდივართ, ბატონო ლევან. იტალიური ფილმი გადის, ამბობენ...

— „ბატონოს“ ნუ მეძახი, ლია, სამსახურში კი არა ვართ, თორემ ქალბატონი ევა იფიქრებს, თანამშრომლები დაშინებული ჰყავსო.

ევა უხერხულად შეიშმუშნა, არც იცოდა, მზერა საით წაეღო, გადაწყვეტილი ჰქონდა, კაცს საუბარში არ აჰყოლოდა.

მამაცაშვილი გუმანით მიხვდა, რომ ქალი თავისი სურვილით ნებაზე არ დაჰყვებოდა, საქმის ასე შეტრიალება ხელს არ აძლევდა და მაშინვე მბრძანებლური კილოთი ალაპარაკდა:

— კინოში მიდიხართ?! კი, მაგრამ სრულ ჭკუაზე ხომ იმყოფებით? თავი არ გებრალებათ? ხომ უყურებთ, დუღს ქვეყანა. ხანისწყალს ახლა რა ჯობია, რა ჰაერი, რა ბუნება... წავიდეთ, გავგრილდეთ... საღამოს საზაფხულო კინოში გპატიჟებთ!

ლიამ შუბლს ქვემოდან ახედა ევას, ნეტა რას იტყვისო, გაიფიქრა, ევა დაბნეული იდგა.

— არა, არა, — აჩქარებით ჩაილაპარაკა, — არ მცალია.

— მთელი თვით კი არ მივდივართ, ქალბატონო ევა, — შინაურულად ჩაურთო მამაცაშვილმა, — მხოლოდ ორიოდ საათით დავტკბებით ხანისწყლის და ბუნების სიმშვენიერით, ეს არის და ეს.. — მერე უცებ დასძინა: — ენას ძვალი არა აქვსო, რომ ამბობენ, ჩემზეა ნათქვამი, ნეტავი რა მრჯის. — თქვა და შებრუნდა, მანქანისაკენ გადადგა ნაბიჯი.

— ბატონო ლევან, ბილეთები რომ არ გვქონდეს ნაყიდი... — უცებ ლიას ხმა გაისმა.

მამაცაშვილი შედგა, ლიას დაკვირვებით შეხედა და უეცრად ბრძანებით უთხრა:

— მომეცი ეგ ბილეთები!

ლია დაემორჩილა, ბილეთები სწრაფად გაუწოდა. კაცმა არც დახედა, ისინი რამდენჯერმე გადახია და ქუჩის პირზე მოისროლა, თანაც ყოველივე ეს ისეთი ჟესტით მოიმოქმედა, თითქოს ხანისწყალზე წასვლა ყველას ერთხმად ჰქონდა გადაწყვეტილი, თან ამ სიტყვებით მანქანის უკანა კარები გააღო.

— ნაყინი, შოკოლადიანი ნაყინი!

ეს ხმა უეცრად გაისმა და მათ სიახლოვეს თეთრ ხალათში გამოწყობილი ნაყინის გამყიდველი შედგა; მკერდზე მიდებული საკმაოდ მოზრდილი ყუთი ძარღვებამობურცულ კისერზე შემოვლებულ მსხვილ თასმას ეჭირა.

მამაცაშვილი მანქანას მოშორდა და მას მიუახლოვდა.

— მაგ ყუთში მხოლოდ ნაყინი გაქვს?

ნაყინის გამყიდველი ქართველი ებრაელი იყო და მისი საქმიანობის კვალობაზე სიტყვამოსწრებული აღმოჩნდა.

— კაი ხალხისთვის, შენ დაგენაცვლე, გაუჩენელს გავაჩენ.

ყველას გაეცინა.

— მაინც რას გააჩენ ისეთს, რომ ეს ქალბატონები მოხიბლო?

— ორი ფრანგული „ბამბანერკა“ მაქვს; შოკოლადებში ლიქიორია, ისეთია, ისეთი, ჩიტის რძე მონაგონია...

— ხუმრობ, ალბათ, სად ნაყინი და სად „ბამბანერკა“?

— რა მეხუმრება, შენ დაგენაცვლე, ამით ვარჩენ ოჯახს, — ამ სიტყვებით გამყიდველმა ყუთს თავი მოხადა და იქიდან ნაირფერი ბაფთებით გაწყობილი ორი კოლოფი ამოიღო.

— რა ღირს ნაყინი ყუთიანად და შოკოლადები?

— მთლად ყიდულობ?

— მოკლედ მოჭერი, სალაპარაკოდ არ მცალია.

— თხუთმეტი თუმანი და ეგ ყუთი კიდევ თქვენ სანაცვლოდ.

მამაცაშვილმა უმალ ჯიბეზე გაიკრა ხელი და ორი ასმანეთიანი ამოაცურა.

— აჰა, რაც ზედმეტია, შენი ფეშქაში იყოს, ოღონდ ყუთი მანქანის საბარგოში დადე, ხოლო შოკოლადები ქალბატონებს მიართვი.

ებრაელმა ფული ჯიბეში ჩაიჩურთა და უცებ ციბრუტივით დატრიალდა, თან ლაპარაკობდა:

— ბევადაი[1], ამ პატარა საქმეს არ დაგამადლი, რომც არ გეთქვა ამ გვრიტებს ისედაც მოვემსახურებოდი, ამათ შემოევლოთ დანიელ შალომიჩი...

1. ღმერთმანი.

ევამ სიტყვის თქმაც კი ვერ მოასწრო, ისე აღმოჩნდა მის ხელებში შოკოლადებიანი კოლოფი...

— რომ იცოდეთ, როგორი გამაცოცხლებელი ნიავი ქრის ხანისწყლის პირას, — მამაცაშვილი ახლა რიხიანად ალაპარაკდა, იქ მუდამ თევზაობენ პატარა ბიჭები, ჩვენც დავეხმაროთ, დავტკბეთ წყალში მოსხმარტალე ვერცხლისფერი კალმახების ცქერით.

— წამოდი, ევა, ბატონი ლევანი მართალია, ახლა, კინოში ნამდვილად დავიხუთებით.

ლიამ პასუხს აღარ დაუცადა, ანაზდად ევას ხელი ჩაავლო და მანქანის ღია კარისაკენ ისეთი ძალით გაიწია, რომ გაოგნებული ქალი მისდაუნებურად თან გაიყოლა.

— ოჯახში ათასი საქმე მაქვს, ლია, დედამთილს რა პირით უნდა შევხედო. — ამის თქმა ევამ მაშინ მოახერხა, როცა უკვე მანქანაში იჯდა ლიას გვერდით და მამაცაშვილმა კარები ძლიერად მიაჯახუნა.

— ნუ ნერვიულობ, გოგო, კინოში ხომ უნდა წავსულიყავით, სულ ერთი არ არის?

ნაყინის გამყიდველი, რომელმაც თავისი საქმე მონდომებით შეასრულა ორჭოფულად იღიმებოდა.

ამ დროს საჭესთან მჯდომი ახალგაზრდა კაცი ჯერ ლიას გამოელაპარაკა, გაეხუმრა, სამსახურში ხომ მოსვენებას არ მაძლევ და ამ კვირა დღეს თერთმეტზე ტუზივით თუ დამეცემოდი, ნამდვილად არ მეგონა. მერე სალონის სარკიდან ევას შეხედა და პატივისცემით მოიკითხა:

— როგორ ბრძანდებით, ქალბატონო ევა?

— გმადლობთ, გმადლობთ... — წაილუღლუღა ქალმა, რომლის საერთოდ მშვიდი და უშფოთველი სილამაზის მიღმა უცნაური მღელვარება დაბუდებულიყო; იგი გრძნობდა, რომ გაურკვეველ მდგომარეობაში აღმოჩნდა, სულის სიღრმეში რაღაც შინაგანი ფარული შიში დაუფლებოდა, მაგრამ არ სურდა ეს შიში გამოაშკარავებულიყო და თავი სასაცილო მდგომარეობაში ჩაეყენებინა, მითუმეტეს რომ საჭესთან მჯდომი ახალგაზრდა კაციც

მისი ქმრის თანამშრომელი იყო, მათ ოჯახში ნამყოფი, ამიტომ ზრდილობისათვის კითხვა შეაგება, თუმცა ლაპარაკის გუნებაზე სრულებით არ იყო.

— თქვენ როგორ ბრძანდებით, ბატონო გია?

— სადღაა ბრძანება, ქალბატონო ევა, ისე ვართ სამუშაოთი დატვირთული, დილიდან დაღამებამდე თავი მაღლა ვერ აგვიწევია. გუშინ ადამმა დაგვირეკა განყოფილებაში, ზოგიერთი საკითხი ვერ მოუგვარებია; ამ ორ დღეში მეც მოსკოვში გადავფრინდები, ასეა მუდამ ჩვენს თავს არ ვეკუთვნით.

ამასობაში მამაცაშვილი მძღოლის გვერდით დაჯდა, გიამ ძრავი ჩართო, „ვოლგა“ ადგილიდან მოწყდა.

გია მანქანას დიდებულად მართავდა, წითელ შუქნიშანზე დროულად ამუხრუჭებდა, შესაძლებლობას თუ იხელთებდა, სიჩქარეს მოუმატებდა, გაძვრებოდა და მანქანების რიგს თავში მოექცეოდა. სალონში წესრიგი და სისუფთავე სუფევდა, მინები ყველგან ჩაწეული იყო, ქუჩიდან შემოჭრილი ნიავი მგზავრებს სახეზე ესალბუნებოდათ.

გიამ მაგნიტოფონი ჩართო, გაისმა მომღერლის ხმა:

...ჩამოასხით კარდანახი შავი,
ეგებ თეთრად გაგვითენდეს ღამე...

გიამ საუბრის დროს ადამი რომ ახსენა, ევას გუნება-განწყობილება გამოუკეთდა. თავი დაიმშვიდა გადამთიელები ხომ არ არიანო, გაიფიქრა და ის დღე გაახსენდა, ადამმა პირველად რომ მიულოცა დაბადების დღე:

...ერთხელ ადამი სამსახურიდან შინ გვიან დაბრუნდა. ევა სამზარეულოში ხელსაქმით იყო დაკავებული. ადამი ფრთხილად მივიდა მასთან, ხელები მხრებზე მოჰხვია, ლოყაზე აკოცა და საზეიმო ხმით წარმოთქვა:

— ჩემო მშვენიერო დედოფალო, ნება მომეცი, დაბადების დღე მოგილოცო!

მერე ადამმა ევა სასტუმრო ოთახში გაიყვანა, სადაც წითელი ვარდები და ნაირფერ ქაღალდებში შეხვეული შოკოლადები მიართვა, თან დასძინა:

— მსურდა ერთგვარი სიურპრიზი გამომსვლოდა... შენი დაბადების დღის აღსანიშნავად სამსახურიდან თანამშრომლები დავპატიჟე.

იმ დღეს თვალწარმტაცი იყო ევა, მისი გრძელი წამწამებით შემოჯარული სხივიანი და ამავე დროს მიბნედილი თვალების მზერა კაცს სისხლს აუჩქროლებდა; მომხიბლავსა და მხიარულს უნდოდა ყველასათვის თავი მოეწონებინა...

მანქანა მუხნარის ტყეს გასცდა, ახლა მშვიდად მიუყვებოდა გზას, მდელოებს მდელოები ენაცვლებოდა, ხერგულს ხერგული, აქა-იქ ღობეებთან ნახირი ჩოჩქოლაობდა.

— მაგნიტოფონს დაუწიე და მანქანა რესტორან „თხმელებში“ შეაჩერე!

— ნება თქვენია, ლევან სიმონიჩ.

— იქ, ხანისწყლის ხიდთან ეგზოტიკური რესტორანია, იქიდან მშვენიერი პეიზაჟი იშლება... მართლა კარგი ადგილია, ტყე, მდინარე, მთები... — მამაცაშვილი არც შერხეულა, წინ იცქირებოდა და თითქოს თავისთვის, თუმცა ხმამაღლა, ყველას გასაგონად ლაპარაკობდა: — ცხონებაა იქ პურის ჭამა, სანდო მუშტრებისათვის ყველა წვრილმანი საგულდაგულოდ მოზომილ-მოფიქრებულია... — მამაცაშვილი ქალებისაკენ შებრუნდა, — ამ რესტორანში ლია რომ ნამყოფია, ნამდვილად ვიცი, თქვენზე კი ვერაფერს ვიტყვი.

ევამ უარის ნიშნად თავი გადაიქნია.

— ამგვარი სახელწოდების რესტორანი პირველად მესმის.

— ჰოდა, ძალიანაც დაგიშავებიათ, ქალბატონო ევა. აი, ნახავთ და თვითონ დარწმუნდებით.

მანქანა გაჩერდა. სალონიდან ყველანი გადმოვიდნენ ევას გარდა. ლია ღია კარებთან დადგა, თავი სალონში შერგო.

— გადმოდი, გოგო!

— არა. ლია, რესტორანში ვერ შემოვალ, უხერხულია.

— სოფლელი ხომ არა ხარ, სირცხვილია, მეტი არაფერი!

— სრულებით არ მშია, თქვენ ისაუზმეთ და მე აქ დაგელოდებით.

ლიამ მხრები აიჩეჩა, აქაოდა ვითომ არაფერი მესმისო, მერე ჩაილაპარაკა, უშენოდ არსად წავალო და სალონში დაბრუნდა. მობუზული იჯდა.

ლევან მამაცაშვილმა შექმნილ ვითარებას უმალ აუღო ალღო და გიას განზრახ ხმამაღლა უთხრა:

— იქ, მდინარის პირს, ისეთი ჰაერი უბერავს, ძაღლივით მოგვშივდება; შედი რესტორანში და წასახემსებლად წამოიღე რამე. — თქვა და მანქანაში დაბრუნდა, თავის ადგილზე წამოიჯგიმა; ეტყობოდა უკმაყოფილო იყო ევას მოქმედებით. გია ყველაფერს მიხვდა, რესტორანში შევიდა და ათიოდე წუთში უკან გამობრუნდა, თეთრხალათიანი მამაკაცი გამოჰყვა, ღვინითა და სანოვაგით სავსე კალათით ხელში, როცა კალათი საბარგეში მოათავსეს, გია კვლავ საჭეს მიუჯდა და მანქანა დაძრა.

— დიდველასაკენ გადაუხვიე, — მამაცაშვილს თავი მტკიცედ ეჭირა და დინჯად ლაპარაკობდა, — მდინარის ნაპირს გაჰყევი, საურმე გზაა, მაგრამ მსუბუქი ავტომანქანა თავისუფლად გაივლის. იქ მშვენიერი საბანაო ადგილი ვიცი.

ევას რატომღაც შეამცივნა.

— ხომ არ აჯობებდა, უკან დავბრუნებულიყავით, — ქალს ხმაში მისდაუნებურად აღელვება დაეტყო.

მამაცაშვილს უეცრად სიბრაზე მოეძალა, შუბლი შეეჭმუხნა, შემობრუნდა, ანაზდად თუ განზრახ სათქმელი ვეღარ მოიზომა და ევას უკმეხად მიმართა:

— ნუ ჩაგვამწარებთ გასეირნებას, ქალბატონო ევა, რა მოგივიდათ, ვინ გგონივართ?!

ისეთი კილო ჰქონდა, ევა შეკრთა, შეკამათება ვეღარ შეჰბედა.

მამაცაშვილი თითქოს მიხვდა, უტაქტოდ მოვიქეცი, მოულოდნელად გაიღიმა და შემრიგებლურად დასძინა:

— გაძლევთ პატიოსან სიტყვას, დიდი-დიდი ერთი საათი დაყოვნდებით.

ევამ ახლა პირველად შეხედა მამაცაშვილს დაკვირვებით. კაცს მომღიმარი თვალები ჰქონდა, მზერა დარბაისლური პატივისცე-

მით აღსავსე, რაც მის გულწრფელობაში გარწმუნებდათ. ასეთი თვალების პატრონი გულშიაც კი არ გაივლებდა ავ განზრახვას.

ევას შეპასუხება აღარ უცდია. კაცის დაჟინებულ მზერას თვალი აარიდა და ფანჯარაში გაიხედა: თვალწინ უცხო პეიზაჟი გადაეშალა: მდინარე, მთები, ტყე... თვალი მიადევნა ბუნების ამ სიმშვენიერეს და გაიფიქრა, — ეს ადგილი მხოლოდ ერთმანეთის მოსიყვარულე ადამიანებისათვისაა განკუთვნილიო, წუთით სიმშვიდე დაეუფლა და მისდაუნებურად თავში სულელური აზრი დაებადა — შეეცადა წარმოედგინა სად იქნებოდა ადამი და რას აკეთებდა: ალბათ, დილით სასტუმროს კაფეში ისაუზმებდა, იქიდან სამსახურის საქმეზე წავიდოდა, მერე... ისიც შესაძლებელია, შემთხვევით ვინმე ლამაზი რუსის გოგო გაიცნოს, ვინ იცის იქნებ რესტორანშიც წაიყვანოს... იქ ორკესტრი უკრავს, ხმაურით იხსნება შამპანური... მაგრამ ეს მხოლოდ წუთით იყო და ისევ საღად დაიწყო აზროვნება: არა, ადამი ასეთი ბუნების კაცი არ არის, ეგ კი არადა, მაშინ ლიას თავის მკერავთან რომ დაჰყავდა, ქმარს ეუბნებოდა, ჩვენ იქ შეგვაგვიანდა და შენ ამხანაგთან ერთად სადმე წადი, გაისეირნეთო, რაზედაც ადამი მუდამ ერთსა და იმავეს პასუხობდა, — უმჯობესია შინ დაგელოდებით; ადამი მოსკოვიდან რომ დაბრუნდება, არაფერს დაუმალავს, სიმართლეს ეტყვის ხანისწყალზე რომ გაისეირნეს... ნეტავი ხომ არ ეწყინება, ანდა რად უნდა ეწყინოს, ყველაფერი ხომ შემთხვევით მოხდა. იგი სავარძლის რბილ საზურგეზე მიესვენა, თვალები დახუჭა და ჰაერის გრილი ჭავლი ღრმად ჩაისუნთქა.

— ო, შეხედეთ რა ბუნებაა, როგორ ბიბინებს ბალახი! აი, აქ შევჩერდეთ! — შესძახა ამ დროს მამაცაშვილმა და როცა გიამ ძრავი გამორთო, იგი მანქანიდან გადმოვიდა.

იმ ადგილას მდინარის ყელი ბექობში იჭრებოდა და ყურეს ქმნიდა, კალაპოტი ვიწრო იყო, ათი მეტრი სიგანისა ძლივს იქნებოდა. წყალგაღმა სიმინდის ყანები და საძოვრები მოჩანდა. შორიახლო ნახირი ძოვდა, იქვე მწყემსი იდგა, „ჰაი, ჰაი, შე სამგლე“, ისმოდა ხოლმე მისი ხმამაღალი შეძახილი. იქ, სადაც „ვოლგა“

შეჩერდა, სილიანი ნაპირი თხმელების რკალში მოქცეულიყო. მდინარე მდორედ მოედინებოდა, წყალს ბაცი მომწვანო ფერი დაჰკრავდა. ოდნავ მოშორებით ტრიალ მინდორზე, სადაც მწვანე ბალახი ხასხასებდა პაპიროსის ცარიელი კოლოფები, ნამწვავები, მუყაოს ყუთები, გაზეთის ნაგლეჯები, ქაღალდები და ბოთლები ეყარა. იქით, გორაკებზე შერეული ტყე შეფენილიყო.

როცა მანქანის ხმა გაიგონა, მწყემსი მობრუნდა, ჩასხმული ტანისა იყო, ლოყებღაჟღაჟა, შარვლის ტოტები პაჭიჭებში ჩაეტნა, თავზე ჭილოფის ქუდი ეხურა, ხელში თხილის გაწვეტილი ჯოხი ეჭირა და დროგამოშვებით აკუნტრუშებულ ნახირს მოუქნევდა ხოლმე. მამაცაშვილმა ალმაცერად გახედა მას, მაგრამ რომ იტყვიან აინუნშიც არ ჩაუგდია და თვალი მინდორზე მიმოატარა.

— რა ბუნებაა და როგორი დაბინძურებული. — თითქოსდა დიდი სინანულით წარმოთქვა მან, — ადვილი შესაძლებელია, ისინი, ვინც ეს მოიმოქმედა, ქართულ სუფრაზე ჩვენს გვერდით აღმოჩნდნენ და თავიანთ კულტურულობაზე ლაპარაკით ყურები გამოგვიჭედონ. — მერე ხელი ჩაიქნია, — ჯანდაბას მაგათი თავი, გია, მანქანა აი, იქ, თხმელების ჩრდილში შეაყენე, სუფრაც. იქვე გავშალოთ, მოლზე.

ევას ეს სიტყვები უკვე ზურგსუკნიდან შემოესმა. იგი ნელი ნაბიჯით ნაპირისაკენ მიდიოდა, მალე ბექი შენიშნა, იქ ხის ძირში ქვაზე ჩამოჯდა, ფეხსაცმელი წაიძრო, კაბა მუხლამდე აიწია და ფეხები მდინარის ცივსა და კამკამა წყალში ჩაყარა.

უცებ ლიას კისკისი შემოესმა და იქით გაიხედა. მას ფორთოხლისფერი საბანაო ტრუსი ეცვა, გაშლილი თმები ტიტველ მხრებზე ეყარა, მდინარეში ფრთხილად შედიოდა, გია წყალს ასხურებდა და ამიტომ კისკისებდა. მალე ტანის მსუბუქი რხევით გიას გვერდი აუარა, წყალში კოჭებამდე შევიდა, დაიხარა და ორივე ხელით წყალი მალ-მალე შეისხურა ტანზე; კიდევ უფრო ღრმად შევიდა მდინარეში, ჯერ მუხლებამდე ჩადგა წყალში, მერე წელამდე, საბანაო კოსტუმი დაუსველდა, ნელ-ნელა წინ წაიხარა, წყალში ჩაიძირა და მდინარეს მინებდა. სიამოვნებით მიცურავდა, ერთხანს მხარულით

მიაპობდა წყლის ჩამწვანებულ ზედაპირს, უცებ შედგა, ხელი წყლიდან ამოიღო, მაღლა შემართა და გიას გასძახა:

— რაღას ელოდები, მოდი!

გიას უკვე წითელი საბანაო ტრუსი ეცვა, ნაპირთან იდგა და ლიას უცქეროდა, მის ძახილზე ორივე ხელი თავს ზემოთ წაიღო და წყალში გადახტა. ერთხანს არ ჩანდა და მერე მოულოდნელად ლიას სიახლოვეს ამოყვინთა და ქალს ცალი ხელით ყელ-კისერზე და მკერდზე მიელაციცა, ქალი არ გასძალებია, პირიქით, ორივე ხელი ვაჟს კისერზე ნაზად შემოაჭდო და მკერდზე აეწება.

ევას სახეზე წამოახურა, გულმა რეჩხი უყო, ცუდად ენიშნა მათი უტიფარი მოქმედება, განსაკუთრებით ლიას საბანაო აღჭურვილობამ შეაშფოთა. უცებ მზის მკრთალი სხივები ფოთლებში რომ ატანდა, გაქრა, მუქი ჩრდილი გადაეფარა. თავი ასწია, ლევან მამაცაშვილი იყო, კაცი მორიდებულად იდგა, იღიმებოდა და თავისი გამოუცნობი მზერით დასცქეროდა ქალს.

— სუფრა უკვე გაშლილია, ქალბატონო ევა, გთხოვთ წამობრძანდეთ. ახლა მაინც არ გვითხრათ უარი, ცოტაოდენი წავისაუზმოთ და დავლოცოთ აქაურობა.

უარის თქმას აზრი არ ჰქონდა, ევამ ფეხები წყლიდან ამოიღო, ამ დროს მამაცაშვილი დაიხარა, ქალს ნაზად მოჰკიდა ხელი მკლავში, თითქმის იღლიასთან და წამოდგომაში მიეშველა. როცა წამოიმართა ქალმა მკლავი გაინთავისუფლა, მამაკაცს დახმარებისთვის მადლობა უთხრა და ფეხსაცმელები ისევ ჩაიცვა. მალე ისინი ნელა გაემართნენ თხმელების ჩრდილისაკენ, სადაც მწვანე მოლზე თეთრი გადასაფარებელი იყო დაფენილი. სანოვაგე უკვე ამოელაგებინათ. სახელდახელოდ გაშლილ სუფრაზე ელაგა: შოთი პურები, ნადუღი, სულგუნი, მწვანილი, წითელი ხიზილალა, სათალი თევზი, შემწვარი წიწილები, ბორჯომი, ლიმონათი, რამდენიმე ბოთლი „ქინძმარაული“, ნაყინით სავსე ყუთი და შოკოლადები.

შუადღე ახლოვდებოდა. მზე საცა იყო შუბისტარზე გავიდოდა. ხანისწყალისპირას გაშლილ სუფრას ოთხნი უსხდნენ. წყალგაღმა, ნახირი მდინარის ნაპირს თანდათან შორდებოდა და ახლა მწყემსის შეძახილები ბუნდოვნად მოისმოდა. მამაცაშვილმა ისეთი სადღეგრძელოები წარმოთქვა, რომ დალევაზე უარის თქმაც კი სირცხვილად ჩაითვლებოდა. მართალია, თავდაპირველად ევამ ღვინის შესმა იუარა, მხოლოდ ცოტას მოვსვამო, თქვა, მაგრამ სასმელი ტკბილი და შემპარავი აღმოჩნდა. ამასთან ძალაც დაატანეს და ქალმა რამდენიმე ჭიქა ბოლომდე დაცალა. მცირე ხნის შემდეგ ქალს თითქოს ჭინკა ჩაუძვრა სულშიო, შუბლი გაეხსნა და მამაცაშვილის ნათქვამ უხამს ანეკდოტზე უეცრად აიგრიხა, აძაგძაგდა, სიცილ-კისკისი ერთმანეთში აურია, თითქოს ამას უცდიდნენო და... ლია და გია წამოიმართნენ და იქაურობას განერიდნენ.

— რომ იცოდე, ევა, როგორ გიხდება სიცილი, — თქვა ლევანმა და ცარიელი ბოთლი ბალახებში მოისროლა, მერე მოულოდნელად ქალს მხარზე მოჰხვია ხელი, მიიზიდა და ყურის ძირში რამდენიმეჯერ ვნებიანად აკოცა.

კაცის თავხედობამ ევა თითქოს გამოაფხიზლა, უცებ ძალა მოიკრიბა, მოძალადეს ხელი ჰკრა და შეშფოთებული წამოხტა.

— რას კადრულობთ, ბატონო ლევან!

კაცი წამოიმართა, წინ აესვეტა ქალს, მომნუსხველი მზერით შეხედა, ევას ასე ეგონა თვალებით თუ მბურღავსო, მაინც არ დაიბნა, კიდევ უნდოდა რაღაც ისეთი ეყვირა, რაც კაცს გონებაზე მოიყვანდა, მაგრამ რომ შეხედა ანაზდად შეკრთა, მის წინ ადამიანი კი არა ურჩხულის სახიანი მახინჯი საფრთხობელა იდგა. ეს იმის გამო მოხდა, რომ იმ წუთში მამაცაშვილმა საკუთარ თავზე ზედამხედველობის უნარი დაჰკარგა და მისდაუნებურად ნიღაბიც მოშორდა, ახლა თავისი ნამდვილი, გაშიშვლებული სახით და ეშმაკს მიყიდული სულით იდგა, დაბეჩავებული, დაბრიყვებული ქალის პირისპირ. კაცის ამგვარმა სახეცვლილებამ ევა შეაშინა კიდეც, ყელი გაუშრა, სახეზე გაურკვეველი, დაბნეული და შემცბარი გამომეტყველება აესახა; ამ დროს უეცრად ჩამობნელდა. ეს კაცმა მოიქნია მარჯვენა ხელი, საკმაოდ ძლიერად შემოჰკრა ყბაში.

ქალი სილაში ჩაიკეცა, თუმცა დამორჩილება არ უნდოდა, უღონოდ, მაგრამ მაინც შეეცადა წამომდგარიყო, კაცმა ისევ

მოუნაცვლა მარჯვენა, ქალი სილაზე გაიშოლტა, თავგზააბნეული იყო, ეტყობოდა, რომ წინააღმდეგობის გაწევის აღარც თავი ჰქონდა და აღარც სურვილი, კაცის პირველივე შეხებაზე სხეული ერთბაშად მოუდუნდა და დამყოლი გახდა. კაცი მიხვდა ამას და მხართან ქალის მკლავი ხელში მოიქცია, კაბის სახელო მოჭმუჭნა, გააფთრებით მთელი ძალით გადაგრიხა და მოქაჩა. ევას შიშველი მხარი გამოუჩნდა და კაცი ტუჩებით დააცხრა. ევა აღარ განძრეულა, სადღაც შორს, ზემოთ, ცაში წერტილს მიშტერებოდა და თითქოს მოთმინებით იცდიდა როდის გაძღებოდა ეს პირუტყვი. სახეზე დაბნეულობა და შეშფოთება ეხატა კვლავ. კაცმა აღარ დააყოვნა, უკვე დამორჩილებულ ქალს კაბის ქვედა კალთა წამოხადა უხეშად და სილაზე მოხერხებულად და მძლავრად დასვენებული ქალის ხორცსავსე თეძოებიც მკვეთრად გამოიკვეთა. ევას ზიზღით დაემანჭა სახე, თვალები მილულა და ინსტინქტით, ჩამოგლეჯილი სახელო მკერდზე აიფარა. კაცმა შენიშნა ქალის ეს მოძრაობა და ავხორცულად გაიცინა, ახლა მთლად გაუშიშვლა მკერდი და როცა მისი მკვრივი ძუძუები აქეთ-იქით პატარ-პატარა მთვარეებივით გადმოიშალნენ, ორივე ხელით ვარდისფერი ძუძუსთავები ხოშით მოსრისა...

ჟინი რომ მოიკლა, კაცი გულაღმა გაიშოლტა და ქალის გვერდით ერთხანს გაუნძრევლად იწვა. ერთი საათის მერე იგი ზანტად წამოდგა და ქალს ხელი გაუწოდა. ქალი გრძნობდა, უკვე ყველაფერი სულ ერთი იყო და მართალია ამრეზით, მაგრამ მაინც მისცა ხელი. კაცმა წამოაყენა ქალი, მხრებზე მოეხვია, ისევ დაუწყო ლაციცი. თხუთმეტიოდე მეტრი რომ გაიარეს, კაცი შეჩერდა, იქვე, მახლობლად ხის ძირში, მწვანე მოლზე გადააწვინა ქალი და მალე იქიდან მდედრის კმაყოფილი კვნესა მოისმა.

***

ხანისწყლიდან რომ ბრუნდებოდნენ, ლიამ ევას ურჩია, ჩემთან წამოდი, თავი წესრიგში მოიყვანეო, მაგრამ ცივი უარი მიიღო. ევამ მანქანა დედამისის სახლის მახლობლად გააჩერებინა, გამოუმშვიდობებლად დატოვა სალონი, აჩქარებით გადაჭრა ქუჩა და შინ შეირბინა. ჯერ დედა მოიკითხა, არეულ-დარეულად მიკიბ-მოკიბა რაღაც ამგვარი, შემთხვევით ღობეს გამოვედეო, მერე თავის პატარა ოთახში განმარტოვდა, რომელიც მოხუცებულს ქალიშვილის დიდი სიყვარულის და პატივისცემის გამო გაქირავებული არ ჰქონდა; იქ ოცდაათიოდე წუთი დაჰყო, კაბას გახეული სახელო დროებით მიაკერა, მერე ტუალეტში გავიდა, თმები შეისწორა, პირისახე ჩამოიბანა და როცა დარწმუნდა: ასე თუ ისე ნორმალურად გამოვიყურებიო, დედას გამოემშვიდობა და შინ წავიდა. ისე მოხდა, რომ დედამთილი მეზობელთან იყო გადასული და რძლის დაბრუნება არ შეუნიშნავს. რა თქმა უნდა ევას ეს ხელს აძლევდა. იგი მაშინვე ლოგინში ჩაწვა, დაღლილსა და ღვინო ნასვამს მალე ჩაეძინა კიდეც.

IV

ქმრის ჩამოსვლის დღეს ევამ თავის ტკივილი მოიმიზეზა და დედამთილს უთხრა, ადამის მოსვლამდე, მცირე ხნით ჩემს ოთახში განვმარტოვდებიო, მოხუცებულმა რძალს ეჭვნარევი მზერა გააყოლა, ის ორი კვირა, რაც ადამი მოსკოვში იმყოფებოდა, ევას გამუდმებით ტკიოდა ხან წელი, ხან თავი. ერთხელ ლიამაც მოაკითხა, მაგრამ ევა მას უკვე აღარ გაჰყოლია. ისიც შენიშნა მოხუცებულმა, რომ დაქალები ადრინდელი კეთილგანწყობით უკვე აღარ მასლაათობდნენ. მოხუცი ეჭვობდა, რომ ევას თავზე რაღაც ფათერაკი უნდა დატრიალებულიყო, მაგრამ რა და როგორ, ამის გათვალისწინება იმ წუთში არავის შეეძლო; როცა ევამ კარები მიიხურა და შიგნიდან გადარაზა, მოხუცს რაღაც მძიმე ლოდივით დააწვა გულზე, თუმცა რძლის შეწუხება არც უფიქრია და ადამის მოლოდინში ფანჯარასთან დადგა.

ადამი რამდენიმე საათის შემდეგ მოვიდა, ჯერ დედას გადაეხვია, მიეალერსა და მერე რა თქმა უნდა ცოლი მოიკითხა.

— ეს ორი დღეა თავის ტკივილები აჩემდა, ინერვიულა, ალბათ, ვერ აიტანა შენთან ამდენი ხნით განშორება, თავის ოთახშია, შვილო, ისვენებს...

ადამი მაშინვე საწოლი ოთახისაკენ გაემართა და კარებს მიაწვა, გაუკვირდა, კარები რომ დაკეტილი დახვდა, თითქმის წელიწადზე მეტი ცხოვრობდნენ ერთად და არასოდეს ევას ასეთი რამ არ გაუკეთებია. რა დაემართა, ნეტავი, გაიფიქრა ადამმა და კარებზე დააკაკუნა. პასუხი არ იყო.

— ევა, ევა! — კი არ დაიძახა, თითქმის რამდენჯერმე შეჰყვირა ადამმა.

არც ახლა უპასუხეს.

ადამი შეშფოთდა, გულმა რაღაც ავი უგრძნო და იგი მთელი ძალით მიაწვა კარებს, მერე წიხლებიც კი დაუშინა, მაგრამ კარები ძლიერად იყო შიგნიდან ჩაკეტილი.

ხმაურზე მეზობლები შემოსულიყვნენ, რამდენიმე ქალი და კაცი; მამაკაცები მიხვდნენ რაშიც იყო საქმე, ადამი დააწყნარეს, გვერდზე გაიყვანეს, თვითონ კი ხელსაწყოები მოიტანეს და კარებთან აფუსფუსდნენ; კარები შეაღეს თუ არა, მათ თვალწინ საზარელი სურათი გადაიშალა, ჭერზე მსხვილ თოკზე ევას სხეული ეკიდა.

ადამმა ერთი კი იბღავლა, ისე ხარს რომ დაკოდავენ და მიცვალებულისაკენ გაიწია, მაგრამ მეზობლის ქალებმა გააკავეს, არ გაუშვეს.

— რისთვის, ღმერთო, რისთვის დამსაჯე!.. — ჩურჩულებდა პირგამშრალი, გაფითრებული ადამი.

...ევამ ისე ცოცხლად წარმოიდგინა ეს სურათი, რომ ცრემლები მოჰგვარა, საკუთარი თავი შეეცოდა.

მოულოდნელად კარებზე ძლიერი ბრახუნი გაისმა და ქალი გამოერკვა, გონს მოვიდა. ბაწარი, ხელებში რომ ჰქონდა ჩაბღუჯული, საწოლის ქვეშ სწრაფად გადამალა, ტაბურეტი მაგიდიდან ჩამოიღო და კედელთან დადგა, მერე უხმოდ მივიდა კარებთან, გააღო და ნაზად გაუღიმა ქმარს, რომელსაც აღელვებისაგან სახე დაღრეცოდა.

— ღმერთო, ასე მგონია საუკუნეა რაც წახვედი, — უთხრა ქალმა ადამს და იმ წუთში, ანაზდად ის ხე დაუდგა თვალწინ — ხანისწყალთან, რომელსაც სახით და მკერდით მიეყრდნო, ხელები მოჰხვია და უკვე თავისი ნებით დააცხრო მამაცაშვილის ავხორცობა.

მოთხრობები

დასასრული ღმერთმა იცოდა

სამი წლის წინ, ეს იყო ივნისის ბოლოს, დონეცკიდან შვილს ველოდებოდი; მიუხედავად იმისა, რომ ვიცოდი თვითმფრინავი განრიგის მიხედვით საღამოს ხუთ საათზე მოფრინდებოდა, გადავწყვიტე აეროპორტში დილაადრიან წავსულიყავი.

თონეთის მოედანზე ვცხოვრობ. „ქართვლის დედა“[1], ერთ ხელში ხმლით და ღვინიანი ჯამით – მეორეში, ჩვენს სახლს გადმოცქერის. მესამე სართულის მობინადრე ვარ. ფანჯრებიდან ძველი თბილისის დიდებული ხედი იშლება.

„ქართვლის დედის“ ქვემოთ, კლდოვან ვაკეზე, პატარძალივით დგას თეთრი ტაძარი, მიმზიდველი და გრძნეული. ფასადის უკან, სადაც ჩუქურთმაში ამოსული ხის აივანი ლამაზმანობს, ხელის გულივით მოჩანს ძველი თბილისის უბანი — აშუღური სიმბოლიზმით რომ ეტრფოდა ქართული პოეზიის ბულბული იოსებ გრიშაშვილი. ხელმარჯვნივ ნარიყალაა, ღამით მუდამ ელექტრონის ზღვაში მოჩახჩახე; ქვემოთ, კლდის ძირას, ქართველ ებრაელთა ორსართულიანი სალოცავია, შორიახლოს კიდევ მეჩეთი და თათრული აბანოები, ხოლო პირდაპირ სიონის კათედრალური ტაძარია აღმართული. ეჰ, რა დროს მოვესწარით — ბედისწერით აფორიაქებულს, არეულ-დარეულს, ქაოსითა და საშინელი ამბებით აღსავსეს.

წყვდიადთან მარადიული ბრძოლით გადაღლილ, ღვთის მიერ მოზელილ თიხაში კვლავ ტყვიისფერი სული გაბატონდა, ისევე, როგორც ეს ხდებოდა გარდასული კატაკლიზმების და მეორე მსოფლიო ომის დროს.

---

1. ელგუჯა ამაშუკელის სკულპტურა, დგას ნარიყალას მახლობლად მდებარე კლდეზე, ადრე კომკავშირის ხეივანი ეწოდებოდა — ავტორი.

თავისუფლების მოედანი და რუსთაველის პროსპექტის დასაწყისი ნანგრევებად იყო ქცეული. ქალაქი ბორგავდა, მთავრობის სასახლის წინ ზვიადისტების კარვები იდგა. კინოს სახლთან და პარლამენტის შენობასთან ხშირად სხვადასხვა პარტიების არასანქცირებული მიტინგი იმართებოდა. აფხაზეთისათვის ომში ქართველები დამარცხდნენ. სოხუმი მიწასთან იყო გასწორებული. კაზაკების, რუსების და ჩეჩნების დაქირავებულმა ბანდებმა გადათელეს მშვიდობიანი მოსახლეობა. ცა — ფირუზ, ხმელეთ — ზურმუხტი, ქართული შავიზღვისპირეთი ადამიანების გვამებით დაიფარა. ეს ტრაგედია, ალბათ, დიდხანს ემახსოვრებათ ქართველ, რუს, ებრაელ თუ სხვა ეროვნების ლტოლვილებს, რომლებმაც იმ ცივი, სუსხიანი ზამთრის დღეებში ჭუბერის უღელტეხილის გავლით დიდი გაჭირვებით გააღწიეს სამშვიდობოს. უკან დარჩა ნანგრევებად ქცეული, ცეცხლმოდებული აფხაზეთი. და მხოლოდ ღმერთმა იცოდა თუ ვინ სად გადაიხვეწა, ვინ სად მონახა თავშესაფარი.

ქვეყნის ეკონომიკური მდგომარეობა ყოველდღე უარესდებოდა. საბჭოთა ფული გაუფასურდა: ერთ დოლარში უკვე ხუთი ათას მანეთს აძლევდნენ. რამდენიმე თვით ადრე ამ ფულით ახალთახალი „ჟიგულის“ ყიდვა შეიძლებოდა. ეროვნული ვალუტის, კუპონის ფულად ერთეულად დაფუძნებამ მოსახლეობა გააღატაკა. განსაკუთრებით ცუდ მდგომარეობაში აღმოჩნდნენ ხელოვნების, კულტურის, განათლების სფეროს მუშაკები და პენსიონრები; შავი დღისათვის დანაზოგი თანხა, „წითელაშვილების“[1] იმპერიის შემნახველ სალაროებში რომ ჰქონდათ გადანახული, გაუფასურდა. მართალია, მთავრობა მოსახლეობას მტკიცე დაპირებას აძლევდა, თითქოს, შემნახველ სალაროებში შენახული ფული დოლარის თავდაპირველი კურსის მიხედვით აგინაზღაურდებათო, მაგრამ სიტყვას საქმე არ მოჰყოლია და მალე ყველა მიხვდა, იმ ფულმა ჩაილურის წყალი რომ დალია. თუმცა, საღად მოაზროვნეებმა იმ-

1. „წითელაშვილი“ — იგულისხმება ბოლშევიკი.

ასაც კარგად აუღეს ალღო, რომ გაუფასურდა მხოლოდ „წითელი“ მანეთი, „წითელაშვილები“ კი მოკლე ხანში ყოვლისშემძლე ჯადოქრებივით კვლავ ასპარეზს დაუბრუნდნენ და თავიანთი დაუდეგარი შრომითი მოღვაწეობა განაგრძეს.

ცხოვრება გაძვირდა. შიმშილმა თავისი საშინელი სახე გამოაჩინა. უმუშევრობამ და უსაქმურობამ მორალი უსარგებლო სიტყვად აქცია. არავის არაფერი რცხვენოდა, ვისაც რა საშუალება ჰქონდა იმით ცდილობდა თავი გადაერჩინა. ვაჭარი დაფასდა. თითქმის ყოველი სახლის წინ გამოჩნდა სავაჭრო ჯიხურები, მაგრამ ფული სადღაც გაქრა და მყიდველიც გაუჩინარდა. ქუჩები ახალი სახეებით ამეტყველდა: დილეტანტი დეკლამატორები, მუსიკოსები, მომღერლები, მათხოვრები, მაწანწალები — ბუდიდან გამოცვენილი თვალებით ითხოვდნენ შეწყალებას, ითხოვდნენ ფულს. განსაკუთრებით შემზარავი შესახედავნი იყვნენ სამგლოვიარო ტანსაცმელში გამოწყობილი მოხუცი ქალები მცირეწლოვანი ბავშვების თანხლებით, იდგნენ და იწვნენ ისეთი პოზით ხელგამოწვდილები, ადამიანს უკანასკნელ კაპიკს რომ გააღებინებდა.

სკკპ-ის წესდებაში ანულირებული იქნა ერთადერთი ქვეთავი, რის საფუძველზეც გაუქმდა ერთპარტიული სისტემის ჰეგემონია. ცნება „პარტიული დიქტატურა“, რომელიც ახლო წარსულში შიშისა და დამონების საზიზღარ გრძნობას აკანონებდა ხალხთა მასებში, ახლა იუმორისტულ, დამამცირებელ ტერმინად იქცა. ახალი პარტიები და დაჯგუფებები ინკუბატორის წიწილებივით იჩეკებოდნენ. ყველას ამოძრავებდა ერთადერთი თვითმიზანი: თავისუფლებისა და დემოკრატიის სახელით პირადი ძალაუფლების მოხვეჭა, რაც ყოველთვის გამდიდრების უშრეტ წყაროს წარმოადგენდა. კომუნისტური პარტია კანონგარეშე გამოცხადდა. ახალი სამთავრობო კოალიციის პროკურატურამ მათი წარმომადგენლობის საქმე განსასჯელად უმაღლეს სასამართლოს გადასცა. პროცესი თითქმის წელიწადი მიმდინარეობდა; საბოლოოდ, მაინც „წითელაშვილებმა“ იმარჯვეს და დემოკრატიულ არჩევნებში მონაწილეობის უფლება მოიპოვეს. ამასობაში, ვიდრე მოსამართლე მბრალდებელისა და

ბრალდებულის საქმეს იხილავდა, არჩევდა, საბჭოური მრეწველობის სისტემა ძირფესვიანად გაქარწყლდა საკუთარ ფუნქციასთან ერთად: ცენტრალური მომარაგების კომუნისტური პრინციპი პირწმინდად მოიშალა. მასალებისა და ნედლეულის უქონლობის გამო ფაბრიკა-ქარხნების მუშაობა ყოველდღე წყდებოდა. უმუშევრობამ, ომმა და ძალმომრეობამ შავი ჭირივით მოიცვა უკვე დამოუკიდებელ სახელმწიფოებად გადაქცეული ყოფილი საბჭოთა რესპუბლიკები. მილიონობით ადამიანმა ხელი სამათხოვროდ გაიწოდა. ისევე, როგორც ოქტომბრის რევოლუციის და სამოქალაქო ომების დროს, ცოფივით გადამდები სიტყვა: „ევაკუაცია“ ჩურჩულით დაძრწოდა სახლიდან სახლში და მალე ცხადი გახდა, რომ ჯერ კიდევ „პერესტროიკის“ დაწყებამდე ყოფილი საბჭოთა კავშირის შემნახველი სალაროებიდან გაქრა არა მილიარდობით გაუფასურებული საბჭოთა მანეთი, არამედ მშვიდობიანი მოსახლეობის შავი დღისათვის გადანახული თანხა.

რასაკვირველია, არავინ იცოდა ვისი უძირო ჯიბეები აივსო ასეთი ცოდვის დღისათვის გაჩენილი ხალხის იმ მილიარდებით.

კი, „პერესტროიკამ“ დიდი უბედურება მოუტანა „წითელაშვილების“ იმპერიაში მცხოვრებ მილიონობით ადამიანს, მაგრამ შესაძლებელია უარესი მომხდარიყო. იფიქრო და ილაპარაკო თავისუფლად დედამიწის ერთ მეექვსედ ნაწილზე, ალბათ, ეპოქალური კატაკლიზმებიდან თავის დაღწევის შესაძლებლობის საშუალებაც არის, მაგრამ, დღესდღეობით, „პერესტროიკის“ ეს დასაწყისი უფრო ლამაზი ოცნებაა და არა სინამდვილე.

ასეა თუ ისე, საზღვრები გაიხსნა: რომელ ქვეყანაშიც გსურს იქ წადი, ხმელეთით, საჰაერო გზით ან თუ გნებავთ ზღვით. ცისფერი ლაინერები შეუფერხებლად დაფრინავდნენ ანკარაში, დუბაიში, სტამბულში, პარიზში, ლონდონში, ბერლინში, თელ-ავივში, ანტალიაში, ნიუ-იორკში, პეკინში. კომფორტაბელური ავტობუსები დაჰქრიან ბათუმიდან ანატოლიის მიმართულებით. გააქვთ ოქრო, ფერადი ლითონი, რკინა; ხოლო სანაცვლოდ შემოაქვთ მსუბუქი მრეწველობის ნაწარმი, რაც თურქეთის ბაზარზე არ საღდებოდა.

„პერესტროიკის“ დროინდელი „წითელაშვილების“ იმპერია სულს ღაფავდა. ელექტროენერგიის ხშირი გამორთვის გამო ქალაქში ცხოვრება აუტანელი გახდა. თბილისის მეტროპოლიტენი პარალიზებული იყო. ბენზინი ყოველდღიურად ძვირდებოდა. ტრანსპორტი მუშაობდა არანორმალურად, სათანადო განრიგის დაცვის გარეშე.

აი, ასეთი მიზეზგარემოებების გამო გადავწყვიტე, რომ აეროპორტში ადრიანად მივსულიყავი. სახლიდან დილის 9 საათზე გამოვედი. მზიანი ამინდი იდგა. ცხელოდა. ლესელიძის მყუდრო აღმართს ფეხით ავუყევი, თავისუფლების მოედანზე, სადაც „პერესტროიკამდე“ ლენინის ძეგლი იდგა, 37 ავტობუსში ჩავჯექი და ორმოციოდე წუთში უკვე აეროპორტში ვიყავი.

ხალხმრავლობა იყო. ჭარბობდნენ ებრაელები, რადგან იმ ღამით თვითმფრინავი თელ-ავივში მიფრინავდა. ზოგი მუდმივ საცხოვრებლად მიემგზავრებოდა წმინდა მიწაზე, ზოგიც კიდევ ტურისტული ვიზით და ყველა ცდილობდა გამგზავრებამდე აეროპორტში დროულად დაბინავებულიყო. მათ შორის იყვნენ ქართველი, რუსი, უკრაინელი, თათარი და მართალია, ძნელი წარმოსადგენია, მაგრამ, სომეხი ებრაელებიც კი.

ქართველი ებრაელი ვარ და კარგად ვგრძნობდი, რომ დღეს თუ ხვალ მეც ასეთივე მდგომარეობაში აღმოვჩნდებოდი და რაღა თქმა უნდა, მაინტერესებდა მათი სვე-ბედი. დრო მქონდა, ნაცნობებიც შემხვდნენ და ლაპარაკშიც დრო მალე გავიდა. უკვე ნაშუადღევის ორი საათი იქნებოდა, აეროპორტის დიქტორმა რომ გამოაცხადა — თვითმფრინავი დონეცკიდან ტექნიკური მიზეზების გამო განუსაზღვრელი დროით იგვიანებსო. ასეთი ამბებით ჩვენს დროში ვერავის გააკვირვებ, მეც კარგა ხნის შეგუებული ვიყავი და გადავწყვიტე სკვერში ჩამემუხლა, იქვე აეროპორტის შენობის გვერდით. იქ სასაუზმე იყო, ვიფიქრე, წყალს დავლევ-მეთქი. ასეც მოვიქეცი, „ბორჯომი“ ვიყიდე და სასაუზმედან გამოვედი. შევნიშნე ერთ-ერთი ნაძვის ძირას მაგიდა განთავისუფლდა. მეც იქ გავჩნდი. ბოთლი და მუყაოს ჭიქა მაგიდაზე დავდგი, ჭიქა შევავსე და წყალი მოვსვი... უეცრად, ორი მაღალი, მხარბე-

ჭიანი, წარმოსადეგი მამაკაცი მომიახლოვდა. ჩემი ვარაუდით, სამოცდაათი წლისანი იქნებოდნენ. შევერცხლილი თმები კოხტად გადაევარცხნათ, მოკლედ შეკრეჭილი ჭაღარა ულვაშები ჰქონდათ, სუფთად გაპარსული პირისახე, თუმცა სახეზე და შუბლზე ნაოჭები გვარიანად ეტყობოდათ, რას იზამ, დროის წინაშე ყველა უძლურნი ვართ. ერთი სიტყვით, ისე ჩამოჰგავდნენ ერთმანეთს, მეგონა, ძმები თუ იყვნენ.

— შეიძლება ჩამოვსხდეთ? — ზრდილობიანად მკითხა ერთმა.

— კი ბატონო, დაბრძანდით. — ვთქვი და უხერხულობის დასაფარავად ჭიქა ისევ შევავსე. ჩემმა სტუმრებმა, როგორც ჩანდა, დაწყებული საუბარი განაგრძეს:

— სინდისს გეფიცები, მე და თბილისის მიტოვება?.. არასოდეს მიფიქრია.

— ჰმ, კი, კარგია ისრაელი, მუდმივად ცისფერი ზღვა და ზეცა, თვალწარმტაცი კურორტი, მაგრამ... რა ვთქვა, აღარ ვიცი...

— ვიცი, რომ შენ ეს გესმის.

— მესმის! მთელი ჩემი სიცოცხლე რუსული იმპერიის დამხობაზე და საქართველოს თავისუფლებაზე ვოცნებობდი... ვიბრძოდი, როგორც შემეძლო. ახლა რა ვიფიქრო? ნუთუ ესაა თავისუფლება? ღმერთმა იცის როდის დავიბრუნებთ აფხაზეთს, სამაჩაბლოს... ამ უგუნურ ომში ერთმანეთის პირისპირ ქართველები ვიდექით, ქართველი ქართველს კლავდა...

— ქაოსი, ანარქია და განუკითხაობაა გაბატონებული. არავინ იცის რა იქნება ხვალ, ვის რა მოელის; კაცი მხარზე ავტომატს რომ გადაიკიდებს ღმერთმა იცის ომში მიდის თუ მეზობლის დასაყაჩაღებლად? ნუთუ სტალინი მართალი იყო? ძნელი სათქმელია.

— 1942 წლის 26 მაისს, მენშევიკების მიერ საქართველოს დამოუკიდებელ რესპუბლიკად გამოცხადების დღეს, ჩვენი ქართული ლეგიონი პოლონეთის ქალაქ ვესელას მისადგომებთან იდგა. ეს ამბავი რამდენიმე თვით ადრე მოხდა, ვიდრე მე და შენ ფრონტის ხაზზე შევხვდებოდით. ხომ გახსოვს? როგორც გაირკვა, გენერალმა მაღლაკელიძემ იმ დღეს საგანგებოდ დაამთხვია ბრძანება „რუსეთისაგან განთავისუფლებულ ქართულ მიწაზე შესვლის“ ფიცის მიღების შესახებ და ქართველ ოფიცრებს საქართველოს სამფეროვანი დროშა აღგვამართვინა. ცერემონიას ესწრებოდნენ გერმანიის ყოფილი სამხედრო ატაშე საბჭოთა კავშირში გენერალი კესტრინგი და კავკასიის საქმეთა ექსპერტი შულენბურგი. ჰოდა, სწორედ იმ დღეს, ქართველმა გენერალმა სუფრაზე, სხვათა შორის, გაიხსენა, რომ 1935 წლის თვალსაწიერზე გერმანია-საბჭოთა კავშირის გარდუვალი კონფლიქტი რომ გამოჩნდა, რუსმა ემიგრანტმა გენერლებმა ჩამოაყალიბეს ორგანიზაცია „ობშჩევოისკოვი სოიუზი“ და შექმნეს შტაბი. მაღლაკელიძისთვის უთხოვიათ ამ საქმეში მონაწილეობა მიეღო და ისინი დენიკინს თავის ვილაში ქართველ გენერალთან ერთად ესტუმრნენ, რათა ამ მოძრაობას გასძღოლოდა. დენიკინი აქცენტით შეატყობს, რომ მაღლაკელიძე ქართველი იყო და საუბრის დროს დასძენს: „განა თქვენი თანამემამულე არ ზის ახლა კრემლში?“ მოძრაობის გაძღოლაზე კი უარი განუცხადებია, უთქვამს: „სტალინი აღმოსავლელი ფანატიკოსის განსახიერებაა. ვიდრე იგი კრემლშია, მე არ შემიძლია დავუკავშირდე თქვენს მოძრაობას. ვიდრე იგი ცოცხალია, ყოველგვარი ბრძოლა უნაყოფოა. თქვენც ამას გირჩევთ. ნიჟნი ნოვგოროდს რომ მივადექი და ყველა გაიქცა კრემლში ერთადერთი სტალინი დარჩა. ეს მე ჩემი მზვერავებისაგან შევიტყვე“.

მაგრამ იმ დღეს, როცა ქალაქ ვესელაში მაღლაკელიძემ საქართველოს სამფეროვანი დროშა აღგვამართვინა, მესამე რეიხის ქართველმა გენერალმა კესტრინგის და შულენბურგის თანდასწრებით განაცხადა, რომ „დენიკინს არ ვეთანხმები, საბჭოთა იმპერიის დამარცხება ახლო მომავლის საქმეა, მალე რუსეთის უღლისაგან განთავისუფლებულ ქართულ მიწაზე შევაბიჯებთ“.

...გვიან, ძალიან გვიან ჩავწვდი ცნობილი თეთრგვარდიელი გენერლის დენიკინის შორსმჭვრეტელობას, ათი წლით ადრე, მესამე რეიხის დამხობამდე, მან ზუსტად განსაზღვრა მომავალი ომის ბედი! — თქვა და გაჩუმდა.

მათი საუბრიდან გამომდინარე მივხვდი, რომ ისინი ძმები არ იყვნენ. ერთხანს აღარაფერი უთქვამთ, დუმდნენ.

გამოგიტყდებით, გაგონილმა ძლიერ დამაინტერესა. მოსაუბრეებს შუბლს ქვემოდან მალულად გავხედე. თავჩაქინდრულები ისხდნენ, მიწას ჩაშტერებოდნენ, თითქოს შორეული მოგონებებით გამოწვეული ტკივილის დაყუჩებას ცდილობდნენ.

ის რამდენიმე წუთი, ისინი რომ დუმდნენ, საკმარისი აღმოჩნდა იმისათვის, რომ გამეხსენებინა ზოგი რამ მესამე რეიხის გენერლის შალვა მაღლაკელიძის შესახებ ქართულ პერიოდიკაში გამოქვეყნებული მასალების მიხედვით:

„...1941 წლის 22 ივნისს, როცა გერმანელთა ჯარის ნაწილებმა საბჭოთა კავშირის საზღვარი გადმოლახა, მოწინავე რაზმებს მიჰყვებოდა შტაბი, სადაც იმყოფებოდა გენერალი შალვა მაღლაკელიძე. მალე გენერალი კესტრინგი ამცნობს მას, რომ მთელი ჩრდილოკავკასიის და კავკასიის ხალხებისაგან — ქართველები, აზერბაიჯანელები, სომხები — ყალიბდებოდა ე.წ. „თურქული ბატალიონები“; ამ ჩანაფიქრის სტრატეგიული დანიშნულება ის გახლდათ, რომ თურქეთი ომში ჩაეთრიათ.

კავკასიური ბატალიონების პატრონობა („ობერსეტ“) შალვა მაღლაკელიძეს დაავალეს. იგი ცდილობს კესტრინგს განუმარტოს, რომ სახელწოდება „თურქული ბატალიონი“, უბრალოდ, ყველასათვის გაუგებარიაო. მაგალითად, სომხები, გასაგები მიზეზების გამო, როგორ იმსახურებენ თურქულ ჯარში? ან ქრისტიანი ქართველები როგორ გაერთიანდებიან აზერბაიჯანელ და სხვა კავკასიელ მუსულმანებთან? უმჯობესი იქნება ეროვნული რეგიონების დაარსება, ვინაიდან საშტატო განაკვეთის მიხედვით, ბატალიონის შემადგენლობა 400 კაცს არ უნდა აღემატებოდესო.

კესტრინგმა უპასუხა შალვას, რომ ამ საკითხს შულენბურგთან ერთად გადავწყვეტო. მაგრამ, როგორც ირკვევა, მაღლაკელიძეს ამ მოლაპარაკებამდე მოუხერხებია ქართველების და ჩრდილოკავკასიელების გაერთიანება. ქართული ბატალიონი მეთვრამეტე ყოფილა. ყველამ გერმანული ფორმა ჩაიცვა. მალე

გენერალმა მაღლაკელიძემ ბატალიონები ეროვნულ ლეგიონებად გარდაქმნა. თითოეულ ლეგიონს ნაციონალური სახელი ეწოდა, გაზეთები ყველას თავის მშობლიურ ენაზე დაუარსეს. ქართულენოვან გაზეთს „საქართველოს“ რედაქტორობდა შალვას ვაჟი გაიოზ მაღლაკელიძე.

ქართული ლეგიონის შემადგენლობამ ათას კაცს გადააჭარბა. ამის გამო, გენერალმა ლეგიონი რამდენიმე ბატალიონად დაჰყო. პირველ ბატალიონს მისი სახელი ეწოდა და ქართულ დროშაზე ამოქარგეს ინიციალი - „შ. მ.“ ბატალიონებში ოცეულებს გერმანელები მეთაურობდნენ, მოადგილეებად კი ჰყავდათ შესაბამისი ეროვნების ოფიცრები...“

ალბათ, შევიძლებდი ზოგი რამ კიდევ გამეხსენებინა მესამე რეიხის ქართველი გენერლის შალვა მაღლაკელიძის შესახებ, მაგრამ უცნობებმა საუბარი კვლავ განაახლეს.

— მეირ, ვინ იცის როდის შევხვდებით, და შევხვდებით კი? მოდი დავილოცოთ!

— ეჰ... მოდი — გამოეპასუხა ის — ვისაც მეირი უწოდეს.

— მეგობარო! — ახლა მე მომმართა — ჩვენ მალე დავბრუნდებით, თუ ვინმე მოვა, უთხარით, რომ მაგიდა დაკავებულია.

— რაზეა ლაპარაკი, ბატონო, — დავთანხმდი მყისვე, — ასეთ უბრალო დავალებას სიამოვნებით შევასრულებ.

მიმავლებს თვალი გავაყოლე. ელეგანტური მიხვრა-მოხვრა ჰქონდათ, პეწიანი, თავის დროზე თავადიშვილებსაც რომ შეშურდებოდათ ისეთი, ჩაცმულებიც კარგად იყვნენ, კოსტიუმები ტანზე მოხდენილად მოერგოთ.

გულისხმას ავყევი, ვშიშობდი, ვაითუ აღარც დაბრუნდნენ-მეთქი. ხომ შესაძლებელი იყო, სასაუზმეში დამსხდარიყვნენ და გულისთქმაც იქ მოეკლათ. არადა, უკვე გუმანით ვგრძნობდი, რომ ისინი ძველი ძმაკაცები იყვნენ და ისეთი ურთიერთობა აკავშირებდათ, რაც საქმეში წამადგებოდა.

მოუთმენლობამ დამრია ხელი, აღარ ვიცოდი რა მექნა. და ის იყო სასაუზმეში დავაპირე წასვლა, მაგრამ ალაგეზე უმალვე

დავჯექი, რადგან ისინი სასაუზმის კარებში გამოჩნდნენ. შვებით ამოვისუნთქე.

ორივენი თავიანთ ადგილზე დასხდნენ. მათ მოჰყვა ოფიციანტი ქალი და მაგიდაზე გაჩნდა: სამი ბოთლი შამპანური, სამი ჩეხური ლუდი, სალათა, მწვადები, პური, ჭიქები და დანა-ჩანგალი. მცირედი სამსახურისათვის მადლობა გადამიხადეს და ჭიქები შეავსეს. იმან, ვისი სახელიც არ ვიცოდი, ჭიქა მომაწოდა და მითხრა:

— ახალგაზრდავ, თუ შეიძლება უარი არ გვითხრა, ვიცნობდეთ ერთმანეთს! მე თორნიკეს მეძახიან, მეორე ჩემი ძველი მეგობარია.

მეც ეს მინდოდა და თავპატიჟი არ გამიდვია.

— იაკობი! — ვთქვი მე.

— ჩვენი გაცნობისა იყოს!

დავლიეთ.

თორნიკემ ჭიქები ისევ შეავსო.

— ჩემო იაკობ! როგორც გითხარი, მე და მეორე ძველი მეგობრები ვართ, ჯეელობაში ერთი ფუთი მარილი გვაქვს ნაჭამი, როგორც ჩვენებურად იტყვიან ხოლმე, ჭირში და ლხინში ერთად ვართ. დღეს მეორე ისრაელში მუდმივ საცხოვრებლად მიემგზავრება. მიშფახა[1] უკვე იქა ჰყავს. მოდი გზა დავულოცოთ.

მეორე დავლოცეთ და დავლიეთ.

ახლა ჭიქები მე შევავსე.

— ბატონო თორნიკე, შეიძლება ერთი შეკითხვა მოგცეთ?

— სამი იყოს!

გამეღიმა.

— ვეცდები თქვენი გულუხვობა გამოვიყენო. გამოგიტყდებით, მწერალი ვარ, საქართველოს მწერალთა კავშირის წევრი. თქვენმა ნაუბარმა ცნობისწადილით ამავსო. ყურადღებით გისმენდით; ამ რამდენიმე წუთის წინ გენერალი შალვა მაღლაკელიძე გაიხსენეთ. თუ საიდუმლო არ არის, რა ურთიერთობა გქონდათ მასთან, რა გაკავშირებდათ?

1. მიშფახა (ებრ.) — ოჯახი.

თორნიკემ აწეული ჭიქა მაგიდაზე დადო.

— ჰო... კი... არა, ეს ისტორია დღეს საიდუმლოს აღარ წარმოადგენს. უკვე ყველამ იცის, და... ვიტყვი... ჩემი გვარი ჯაფარიძეა. ომის დაწყებიდან დამთავრებამდე გენერალ მაღლაკელიძის ლეგიონში ვმსახურობდი.

— საოცარია! — წამოვიძახე მე.

— რა არის საოცარი? — მკითხა მან.

— არ დავმალავ, მართალს გეტყვით: თქვენ ფაშისტების დროშის ქვეშ იბრძოდით, ბოდიში, გერმანელების, ხოლო ბატონი მეორე, ალბათ არ ვცდები, ებრაელია. ეს თქვენ თვითონ ბრძანეთ და იქიდანაც ჩანს, რომ მისი ოჯახი ისრაელში ცხოვრობს, თვითონაც რამდენიმე საათში ისრაელში მუდმივ საცხოვრებლად მიემგზავრება. ჰოდა, ეს არის გასაოცარი... საიდან, როგორ გახდით ძმადნაფიცები? ერთი ფუთი მარილი გვაქვს ნაჭამიო — თქვით. თქვენი სიჭარმაგის მიხედვით თუ ვიმსჯელებთ ამ უცნაურ ამბავს ღრმა ფესვები ექნება.

— მართალი ხარ, იაკობ, მეორე ებრაელია, მე — ქართველი და ფაშისტების დროშის ქვეშ ვიბრძოდი. — თორნიკემ წინასწარგანზრახვით გააკეთა მახვილი ფრაზაზე „ფაშისტების დროშის ქვეშ“, თავი დახარა, მცირე ხანს დუმდა, მერე, თითქოს, რაღაც მოაფიქრდაო, ისევ დაიწყო ლაპარაკი: იცით, კარგია, რომ ჩვენ მწერალს შევხვდით და ამის გამო მინდა, რომ კარგად გამიგოთ, არ იფიქროთ თავს ვიმართლებ, არა ეს არცაა საჭირო. აი, რას გეტყვით: ჩვენი ლეგიონი ბრძოლებში უშუალო მონაწილეობას არ იღებდა. მიზანი ერთი იყო: გერმანელების დახმარებით რუსული იმპერიის დამხობა, საქართველოს განთავისუფლება და ქვეყნის დამოუკიდებელ რესპუბლიკად გამოცხადება. ვფიქრობდით, თურქ-სელჩუკებისაგან მიტაცებული ტერიტორიების დაბრუნებაზე. თქვენ მწერალი ხართ? მაშინ უნდა იცოდეთ, რომ ისტორიული საქართველოს სახელმწიფო ტერიტორია მოიცავდა მტკვრის შუა და ზემო წელს, აგრეთვე ჭოროხის, რიონის და ენგურ-კოდორ-ბზიფის აუზებს მთლიანად. ჩრდილოეთით საზღვარი გადის დიდი

კავკასიონის ქედზე, სამხრეთით მტკვარ-არაქსის და ჭოროხ-ევ-ფრატის წყალგამყოფ მთაგრეხილთა სისტემაზე. დასავლეთიდან შემოისაზღვრება პონტოს ზღვით; მხოლოდ აღმოსავლეთი მხარე არ იყო დაცული მკვეთრი ბუნებრივი ზღუდით, თუმცა მდინარე აგრიჩაი და ალაზნის ქვემო დინება (ჩრდილო მონაკვეთზე) და მდინარე ძეგამ-ჩაი (სამხრეთ მონაკვეთზე) საკუთრივ საქართველოს მიჯნებს ჰქმნიდნენ. ასეთ საზღვრებში მოქცეულ საქართველოზე ოცნებობდა მესამე რაიხის გენერალი შალვა მაღლაკელიძე. რა თქმა უნდა, ეს არ იქნებოდა არც დავით აღმაშენებლის და არც თამარ მეფის დროინდელი საქართველო, მაგრამ უკეთესი ვარიანტი არ ჩანდა და მიზანიც ეს იყო. სხვა შემაერთებელი ძაფი გერმანელებთან არ არსებობდა.

— ალბათ, თქვენთვის უკვე ცნობილია ფიურერის ფარული გეგმა: რა მოელოდა რუსეთს, უკრაინას და ამიერკავკასიას მისი გამარჯვების შემთხვევაში?

— გახსენებაც აღარ ღირს, ყველაფერი ჩავლილია.

— და კიდევ, ერთი შეკითხვა. ბოდიშს კი ვიხდი, მაგრამ თქვენი ბრალია, ხომ თქვით სამი შეკითხვა იყოსო. როგორ გახდით ძმადნაფიცები თქვენ და ბატონი მეირი?

— ეს ამბავი მძიმე მოსაგონებელია, — საუბარში მეირი ჩაერთო, — ეს ნაჭრილობევი დიდი ხნის შეხორცებულია; მისი გახსნა აუტანელი ტკივილების გაღვიძებაა, მიმავალი საუკუნის ტრაგედიაა.

თორნიკემ მეგობარს გადახედა.

— მეირ, კარგად თუ დაფიქრდები, ჩვენს თავგადასავალზე საინტერესო წიგნი დაიწერება. ეჰ, სამწუხაროა, ძალიან გვიან მოხდა ჩვენი მწერალთან შეხვედრა. ჩვენივე დანაშაულია, არასოდეს გვიფიქრია ამაზე. იქნებ, არც ახლა არის გვიან... დრო გვაქვს, ბარგით დატვირთული არ ხარ. მოდი, გავიხსენოთ წარსული. უკეთესი შემთხვევა ჩვენ აღარ მოგვეცემა. შესაძლებელია, ბატონმა იაკობმა მართლა დაწეროს ჩვენს შესახებ. — იცოდეს ხალხმა რა წკვარამშიც გამოვიარეთ.

— თუ გულს გატკენთ, ნუ იტყვით. — ვაღიარებ, ეს ყასიდად ვთქვი, თორემ სულმოუთქმელად ველოდებოდი როდის დაიწყებდნენ ამბის თხრობას.

— კარგი, — გადაწყვეტილად თქვა მეირმა, — შენ დაიწყე და მე წაგეხმარები.

— არა, იმ ჯოჯოხეთს შენ უფრო აღწერ.

— გეთანხმები, ოღონდ ჯერ ჭიქა ავწიოთ, სადღეგრძელო შევსვათ. მოვიგონოთ ბედდამწვარნი, შავ ვარსკვლავზე დაბადებულები, კონცლაგერებში, კრემატორიუმებში, გაზის ღუმელებში დაღუპულები, ბევრი მცირეწლოვანი იყო, ბევრი ყვავილობას ელოდებოდა, ბევრი კიდევ მოხუცებული, ნაცისტებმა ფერფლად და მტვრად რომ აქციეს. კომუნისტებს, მიუხედავად მრავალი ჩადენილი საზიზღრობისა, ერთი შესანიშნავი ლოზუნგი ჰქონდათ: „არავინ და არაფერი არ არის დავიწყებული“. ეს ასე უნდა იყოს. ნაციზმის ურჩხულის დავიწყება წამითაც არ შეიძლება.

მეორე მსოფლიო ომმა ორმოცდაათ მილიონზე მეტი ადამიანის სიცოცხლე შეიწირა. მათ შორის ექვსი მილიონი ჩემი ძმები და დები; ეს საალბათო ციფრია, ამბობენ, რომ უფრო ბევრია დაღუპულიო, ცხადია, საშინელი წამებით... სიტყვები არ არის საკმარისი იმ ჯოჯოხეთის დასახატად.

ისრაელში, წელიწადში ერთხელ, დედის ცივი ხმით გაჰკივიან სირენები იმ უდიდესი უბედურების ხსოვნის ნიშნად. ბევრს არ ესმის ამ ხუთი წუთის მნიშვნელობა, ბევრმა დაივიწყა.

— მოკლედ, იმ უბედურების მუდმივი მოგონებისა იყოს!

ფეხზე ავდექით და დავლიეთ.

— თორნიკე, — თქვა მეირმა, როცა დავსხედით, — ერთზე შევთანხმდეთ: თხრობას მე ვიწყებ, შენ კი დაასრულებ.

— კეთილი.

მეირ ქოსაშვილის ნაამბობი:

„1942 წლის დასაწყისში ფაშისტებმა ოდესისა და სევასტოპოლის მიმართულებით ახალი კონტრიერიში დაიწყეს. მე 31-ე ფეხოსან პოლკში ჩაპაევის 25-ე დივიზიის შემადგენლობაში ვიბრძოდი. მოწინააღმდეგემ ზღვის სანაპიროდან შეგვავიწროვა. ყველა საბრძოლო შენაერთმა ევაკუაცია ვერ მოასწრო. საბჭოთა გემები, რომელთა ნავსაყუდელს ჩვენი პოლკი იცავდა, ისე იყო ავსებული

სამხედრო ნაწილებით, ლტოლვილებით და ტვირთით, რომ ნემსის ჩასაგდები ადგილი აღარ იყო. ბოლო საბჭოთა გემი მიიმალა ჰორიზონტს მიღმა. ამ დროს თავგანწირული შემართებით ვიგერიებდით მტრის გამძაფრებულ შემოტევას სევასტოპოლის უკანასკნელი დამცველები. საბოლოოდ, ნაპირზე ასი მებრძოლი დავრჩით. ზღვის მახლობლად მდებარე გამოქვაბულში გადავწყვიტეთ ჩასაფრება. მიუვალ კლდეში შეჭრილი გამოქვაბული ტირიფების ხშირი ტევრით იყო დაფარული, მაგრამ ვგრძნობდით, რომ თავშესაფარში დიდხანს ვერ გავძლებდით. დროგამოშვებით გერმანელების თვითმფრინავები მოფრინდებოდნენ და პილოტები თოკზე დაკიდებულ დაფას გადმოკიდებდნენ ხოლმე, სადაც რუსულ ენაზე ეწერა: „გამოდით, გამოგკვებავთ, წყალს დაგალევინებთ!“ ჩვენ ავტომატების ჯერით ვპასუხობდით.

წყლის მარაგი გაგვითავდა. წყურვილი შიმშილზე უფრო გვტანჯავდა. ელვა-ჭექის გაგონებისას სიხარულის ცრემლს ვერ ვიკავებდით. წვიმის წყლისაგან გაჟღენთილ ზღვის სილას ვწურავდით და ტუჩებს ვისველებდით. ყოველდღე ვიღაც კვდებოდა... მალე იარაღის ხმარების უნარი ცოცხლად დარჩენილებმაც დავკარგეთ. გერმანალები მიხვდნენ, წინააღმდეგობის გაწევა რომ აღარ შეგვეძლო და გამოქვაბულს კატარღებით მოადგნენ... ჯერ სიმფეროპოლის ციხეში ჩაგვამწყვდიეს, იქიდან კი გადაგვიყვანეს კონცლაგერის ტიპის გადასასახლებელ უბანში, იქ ხდებოდა ტყვეების შერჩევა „შავი ტრანსპორტისათვის“ პოლონეთში ან გერმანიაში გადაყვანის წინ. ეკლიანი მავთულხლართები ბანაკს სამ რიგად ჰქონდა შემორკალული, რომლებშიც მაღალი ძაბვის დენი გადიოდა. რამდენიმე ადგილზე დიდი რუსული ასოებით ეწერა: „მავთულხლართებთან მიახლოების შემთხვევაში გაუფრთხილებლად გესვრით“. ვცხოვრობდით ბარაკებში თითოში ასი კაცი იყო. შესასვლელთან წარწერა იყო მიმაგრებული: „საკონცენტრაციო ბანაკის გერმანელ თანამშრომელ ქალებთან სქესობრივი კავშირი ისჯება სიკვდილით!“

მუდამ მშივრები ვიყავით. საუზმის ულუფა იყო: ორასი გრამი პური და შავი ყავა უშაქროდ. სადილზე გვაძლევდნენ ნახევარ

ლიტრ ცხელ წყალს კარტოფილის ნარჩენების ნახარშით. ვახშმობის დროს არიგებდნენ შავ ფაფას, როგორც შემდეგ გაირკვა ეს იყო ზღვის სილაში არეული შავი ყავა. ვმუშაობდით მზის ამოსვლიდან მზის ჩასვლამდე. ხშირად შესვენებაზე ესესელი ოფიცერი გერმანულ მონეტას გადმოგვიგდებდა და გვეუბნებოდა: იმას, ვინც პირველი იპოვის, ნამდვილი სუპით გავუმასპინძლდებითო. მონეტის დაცემის ადგილზე ჩონჩხადქცეული ადამიანების ზედახორა დგებოდა ხოლმე, რაც ხშირად ერთ-ერთი ჩვენგანის სიკვდილით მთავრდებოდა. ასეთი ამაზრზენი სანახაობა ფაშისტებისათვის ყველაზე სასიამოვნო გასართობი იყო; ხარხარებდნენ, არანორმალური სიცილისაგან თვალები საცრისოდენა უხდებოდათ და შიზოფრენიულ ეპილეფსიამდე მისულნი წონასწორობას კარგავდნენ.

ტყვეებს, საბჭოთა კავშირის ყოფილ მოქალაქეებს, გულთან მიმაგრებული გვქონდა ლითონის ემბლემა წარწერით „Feld Gandarmeria“ („საველე ჟანდარმერია“), მკლავზე კი გაკეთებული გვქონდა სახვევი წარწერით „Shutz polizei“ (პოლიციელი). ასეთი ნიშნები პატიმრებს გვიცავდა შემთხვევითი მკვლელობისაგან სასიკვდილო ღუმელებში გადაყვანამდე.

„ვამპირი“ — საშინელი სიტყვაა, მაგრამ ფაშისტების ხასიათის გადმოსაცემად ეს სიტყვაც არ კმარა. ტყვეებს ნაციონალური წარმოშობის მიხედვით გვანაწილებდნენ — ცალკე ებრაელებს, რუსებს, უკრაინელებს. ებრაელებს კომუნისტებისაგან არ ასხვავებდნენ და იმათთან ერთად, ვისაც ფიზიკური შრომა არ შეეძლო „შავი ტრანსპორტით“ სადღაც აგზავნიდნენ. მე მოვახერხე დამედგინა, რომ ასეთი ტრანსპორტით მიჰყავდათ მხოლოდ სიკვდილმისჯილები მაიდანეკში, ლიუბლინში, ოსვენციმში და ბუხენვალდში, საიდანაც ცოცხალი აღარავინ ბრუნდებოდა. როგორც ამბობდნენ, ყველაზე მძლავრი და ტევადი ოსვენციმის და ლიუბლინის ღუმელები ყოფილა. ყური იმასაც მოვკარი, როგორი წამებით კლავდნენ ტყვეებს: ყველას თმას პარსავდნენ, ტანთ აძრობდნენ და დედიშობილად გაზის ღუმელებში პირუტყვე-

ბივით ერეკებოდნენ. ღუმელებს პირთამდე ისე ავსებდნე, რომ განწირული ადამიანები ერთმანეთს ტანით იყვნენ მიწეპებულნი. გაზს უშვებდნენ ნელ-ნელა, ჰაერი თანდათან კლებულობდა და კლებულობდა. გაწამებული, გატანჯული მასა ჰაერის უკმარისობას ყოველწამიერად აღიქვამდა და ამის გამო მათი სახეებიდან ქრებოდა ყოველგვარი ადამიანური, რაც კი ღუმელში შესვლამდე გააჩნდათ. მეტამორფოზა თითქმის რეალური ხდებოდა: უკვე მხეცური იერით იყურებოდნენ, თვალის გუგები ბუდეებიდან უცვივდებოდათ და ველურებად გადაქცეულნი ორივე ხელს მარწუხივით უჭერდნენ ყელში ერთმანეთს; ყოველი მათგანი ცდილობდა მოწინააღმდეგისთვის სასუნთქი არხი გადაეკეტა. ვინ შვილს ახრჩობდა, ვინ — მამას, ვინ — ძმას საბოლოო ერთი ყლუპი ჰაერისათვის.

ასეთ ცდებსა და დაკვირვებებს გერმანელი ექიმები განუწყვეტლივ ატარებდნენ. ისინი საველე დურბინდებით აკვირდებოდნენ ადამიანის ცხოველად გარდაქმნის მეტამორფოზულ პროცესს იმ მიზნით, რომ ნიცშეს არიული თეორიის დამამტკიცებელი შესაბამისი დასკვნები გაეკეთებინათ წყეული „ზეადამიანების“ აღზევების შესახებ. რა დასამალია, გადავწყვიტე საკუთარი ნაციონალობის დამალვა. პირადობის მოწმობა დატყვევებამდე გავანადგურე, რადგან ვიცოდი ებრაელებს და კომუნისტებს ძალიან ხშირად ადგილზევე რომ ხვრეტდნენ.

არის ისეთი წუთები, როცა სწრაფი გადაწყვეტილების მიღებაა საჭირო. ამ დროს თავში ათასნაირი აზრი დაბორიალობს, დაულაგებელი, არეულ-დარეული, ვრცელი და წყვეტილი. გამახსენდა საქართველო, ბავშვობა, ყმაწვილობა, ღვთის ანაბარა მიტოვებული მოხუცი მშობლები, ჩვენი სალოცავი, თებაზე მომაღლებული სეფერთორა... ის, რომ ებრაელი ვარ, არასოდეს არავისთვის დამიმალავს, მაგრამ ახლა ამის გამჟღავნება საშინელ სიკვდილს მიქადდა. ჰოდა, ტყვედ ჩავარდნის პირველივე ღამეს დავიწყე ფიქრი თუ რომელ ეროვნებას და სარწმუნოებას მივტმასნებოდი. ამასთან უმთავრესი იყო ის, რომელსაც ავირჩევდი, უნდა ყოფილიყო აბსოლუტურად დამაჯერებელი. რომ მეთქვა ვარ რუსი, უკრაინელი, ყაზახი, თათარი და თუნდაც ბერძენი, რა თქმა უნდა, გარდაუვალი სიკვდილი მელოდა, რადგან ფიზიონომია კავკასიელის — ნაღდი ქართველისა მაქვს. საქართველოში მეგობრებსაც კი არ სჯეროდათ რომ ებრაელი ვარ. მოხდა ისე, რომ იმ ღამით, დავიძინე როგორც ებრაელმა და გამოვიღვიძე როგორც ქართველმა, მართლმადიდებელმა ქრისტიანმა. ასე იქნება, ვფიქრობდი, მორჩა და გათავდა. აქ კი მოულოდნელად გამახსენდა წინადაცვეთილი რომ ვარ, „ბრით-მილა“ სრული ებრაული წესის დაცვით მაქვს გაკეთებული. არადა, რომ ეკითხათ სად ქრისტიანი და სად წინადაცვეთაო, რა უნდა მეპასუხა? დამბეზღებლები კი ესესელებს ყველა ბანაკში ჰყავდათ; თუკი ვინმეზე ეჭვს მიიტანდნენ მაშინვე ჩაუშვებდნენ თავიანთ პატრონებთან: „ეს — ებრაელია“, „ეს — კომუნისტია“. ასე და ამგვარად მივხვდი, რომ ქრისტიანობა არაფერში წამადგებოდა და ვამჯობინე თავი მუსულამანად გამესაღებინა, რადგან ჩვენსავით ისინიც წინადაცვეთილები არიან. სახელად მამედი შევარჩიე, გვარი კი არ შემიცვლია. ვიცოდი, რომ საქართველოში ქოსაშვილები ებრაელებიც იყვნენ და ქრისტიანებიც. და რატომ არ უნდა ყოფილიყვნენ ისინი მაჰმადიანები? ქართული გვარები ხომ ძირითადა „ძე“ და „შვილზე“ მთავრდება.

...და აი, ერთხელ, აბანოში წაგვასხეს. დაბანის დროს შევამჩნიე, რომ ვიღაცამ რამდენჯერმე ამიარა და ჩამომიარა. გულმა რეჩხი მიყო. ეს ვირიშვილი ნაღდად მე მითვალთვალებს-მეთქი, გავიფიქრე. როცა მომიახლოვდა უკვე საეჭვო აღარაფერი იყო. უტიფრად გამომელაპარაკა, განსაკუთრებით, ჩემი ეროვნებით დაინტერესდა. ასეთი ვითარებისთვის მზად ვიყავი და მკვახედ მივუგე, რომ ქართველი ვარ, თან ვაგრძნობინე ჩამომშორებოდა. ეჭვით შემომხედა, კიდევ ერთხელ გაიარა აქეთ-იქით და გამეცალა. ხასიათი წამიხდა, მივხვდი, რომ ეს ამბავი უბრალოდ არ დამთავრდებოდა.

გუმანი გამიმართლდა, საღამოს ბანაკის კომენდანტთან გამომიძახეს. იქ თარჯიმანიც იყო. კომენდანტი შეკითხვებს გერმანულ ენაზე მაძლევდა, ის კიდევ რუსულად მითარგმნიდა.

— საიდან ხარ?

— საქართველოდან!

— ეროვნება? — მკითხა თარჯიმანმა და ახლა უნდობლად შემათვალიერა.

მე შაურადაც არ მიღირდა მისი უნდობლობა, ჩემსაზე მტკიცედ ვიდექი და მხნედ ვუპასუხე:

— ქართველი!

— თუ ქართველი ხარ ასო რატომ გაქვს წაჭრილი? — თქვა და თითით ხვანჯარზე მიმანიშნა.

— მაჰმადიანი ქართველი ვარ. ალაჰია ჩემი ღმერთი. — ვთქვი და წელში მოვიდრიკე, ხელით გულთან და სახესთან მუსულმანური ჟესტი გავაკეთე და წავიმღერე: ალაჰ ინშალაჰ!

— როგორ, ქართველები მაჰმადიანებიც არიან?

— აჭარაში უმეტესობა მუსულმანი ქართველები ვართ. აგრეთვე თურქეთში. — იქ მოსახლე მუსულმანი ქართველები[1] საქართველოში მცხოვრებ ქრისტიან ქართველებზე მეტნი არიან.

კომენდატმა თარჯიმანს რაღაც უთხრა და ბანაკში დამაბრუნეს. მეორე დღეს კი ისევ იმავე დროს კვლავ კომენდატურაში წამიყვანეს. გამოგიტყდებით, შიშმა გვარიანად შემბოჭა, ალბათ, არ მიჯერებენ, ამ შავი ფიქრით მივლასლასდი.

ოთახში კომენდანტის გვერდით იჯდა არა თარჯიმანი, არამედ უცნობი გერმანელი ოფიცერი. თავჩაღუნული დავდექი მათ შორიახლოს. უეცრად გერმანელი ოფიცერი წამოდგა, მომიახლოვდა და სუფთა ქართულით შემეკითხა:

— თავი აწიე და მიპასუხე, ქართველი ხარ?

ხმა მკაცრი და დაუნდობელი ჰქონდა, ისეთი გამყინავი, იმედის გამონაჟურსაც რომ გადაგიწურავს კაცს. დავირეხვე, მაგრამ,

1. ამჟამად თურქეთში შვიდ მილიონზე მეტი მუსულმანი ქართველი ცხოვრობს — ავტ.

კარგად გამიგეთ, როცა კაცის სიცოცხლე ბეწვზე ჰკიდია, გადარჩენის უცნაური რწმენა, იქნებ რამენაირად, რაღაც მანქანებით გადავრჩეო, სულ ერთიანად არასოდეს ჩაიფშუტება, სულში მაინც ღვივის მცირედი ნაპერწკალი და უკანასკნელ წამს ხავსსაც კი მოეჭიდები, რომ როგორმე გადაურჩე იმ წკვარამს, რომლის მიღმა მუდმივი წყვდიადი, სიჩუმე და მარადიული ნეტარებაა.

ერთი სიტყვით, ძალა მოვიკრიბე, გული გავიმხნევე და თავი ავწიე; ის იყო რიხიანად უნდა მეპასუხა დიახ, ბატონო, ქართველი ვარ-თქო, რომ ანაზდეულად ალაგეზე გავქვავდი, გავშრი კაცი. ჩემ წინ თორნიკე ჯაფარიძე იდგა. გონებაში ერთადერთმა აზრმა გამიელვა:

„ეჰე, მეირ ქოსაშვილო, ახლა, ამ წუთში დამთავრდა შენი სიცოცხლე!“

ბატონმა მეირმა თხრობა შეწყვიტა და მეგობარს შეხედა.

— შეთანხმებისამებრ ეს ამბავი შენ უნდა დაასრულო!

თორნიკე ჯაფარიძის ნაამბობი:

„მეირს ომის დაწყებამდე ვიცნობდი. ორივენი ინჟინრები ვიყავით და ერთ დაწესებულებაში ვმუშაობდით. იმ ხანებში ჩვენს შორის ფრიად სერიოზული უსიამოვნება წარმოიშვა ერთ საკმაოდ ქარაფშუტა, მაგრამ ლამაზი და მოხდენილი ქალიშვილის გამო. საქმე იქამდე მივიდა, რომ ერთ-ერთი შელაპარაკების დროს გაანჩხლებულმა უდიერად შევაგინე: გზიდან ჩამომეცალე-მეთქი, შე ურია მამაძაღლო, შე ნაბიჭვარო, შენი ასე და ისე... ამან კი სიფათში მგლიჯა ერთი, მეორე... თვალებიდან ცეცხლი ვყარე და წავიდა მუშტი-კრივი იქვე დაწესებულებაში. მერე და როგორი! ცხვირ-პირიდან ძმარი გვდიოდა, ტანსაცმელი შემოგვეფხრიწა. ძლივს გაგვაშველეს. ჩვენი ერთად მუშაობა უკვე აღარ შეიძლებოდა. ჩემი ბოლო სიტყვები იყო მუქარა: „მეირ ქოსაშვილო, სადაც დაგინახავ, იქვე ალაგზე დაგაკლავ!“ დანა-სისხლად დავშორდით. საქართველოში იმ ხანებში რომ გადავყროდი სადმე, ალბათ, ან მე მოვკვდებოდი ან ის გამომიყვანდა წირვას. მაგრამ ის დღე იყო და ჩვენ ერთმანეთს აღარ შევხვედრივართ. მერე ომი დაიწყო და მე

პირადი ეროვნული პრინციპებიდან გამომდინარე შალვა მაღლაკელიძეს დავუკავშირდი, გერმანელი ოფიცრის ფორმა ჩავიცვი.

მეირი ტყვედ რომ ჩავარდა, ჩვენი ქართული ლეგიონი კამენეცკ-პოდოლსკის ოლქში იყო დაბანაკებული. ჰოდა, სიმფეროპოლში გადამაფრინეს ერთი საეჭვო საქმის გასარკვევად. შეხვედრისას კომენდანტმა დაწვრილებით ამიხსნა ჩემი გამოძახების მიზეზი. მე მეირი მაშინვე ვიცანი, როგორც კი ოთახში შემოიყვანეს. შეკითხვა რომ მივეცი და თავი ასწია, ამანაც მიცნო და ეგრევე გაფუჭდა კაცი, შევატყვე ამ ქვეყნისა აღარ იყო, ამოილუღლუღა:

— თორნიკე, შენ?

მე განზრახ ხმამაღლა, ქართულად მკაცრად ვეუბნები: „გამაგრდი, ბიჭო, რა ზაფრანა გეცა, ხო არ გგონია ამ ღორიშვილების პირში მიგცემ! საქართველოში რაც იყო — სხვა საქმეა“. შემდეგ კომენდანტისაკენ შევბრუნდი და გერმანულად ვუთხარი:

— ამ კაცს არა მარტო ვიცნობ, არამედ ინსტიტუტში ერთად ვსწავლობდით, მერე კიდევ ერთად ვმუშაობდით. მეგობრები ვართ. რა თქმა უნდა, ქართველია. მართალია, სარწმუნოება სხვადასხვა გვაქვს, მე ქრისტიანი ვარ, ის — მუსულმანი, მაგრამ საქართველოში როგორც ძმები ისე ვართ.

ვთქვი და მეირს გადავეხვიე. ამან კიდევ ყურში ჩამჩურჩულა: „მამედა მქვიაო“.

ასე დაასრულა ამბის თხრობა თორნიკე ჯაფარიძემ.

. . . . . .

თვითმფრინავი დონეცკიდან ჩამოფრინდა. ახლად გაცნობილებს გამომშვიდობებისას დავპირდი, რომ თქვენს უცნაურ თავგადასავალზე მოთხრობას დავწერ-მეთქი. და, როგორც ხედავთ, სიტყვა შევასრულე. თუმცა, იმ დღის მერე აღარც მეირ ქოსაშვილი მინახავს და არც თორნიკე ჯაფარიძე, მაგრამ იმედი მაქვს, რომ ოდესმე ჟურნალ-გაზეთებში წაიკითხავენ ამ საოცარ ამბებს და გამომეხმაურებიან.

1998

ბათ-იამი

დ ე დ ა

— ეს თქმულება პაპისაგან გამიგონია, სოლომონის მეფობის ხანაში მომხდარა, — ასე დაიწყო ამბის მოყოლა მოხუცმა მწყემსმა, რომლის თეთრი წვერი ახლად მოსული თოვლივით ბრწყინავდა შავ ნაბადზე. უზარმაზარ, თეთრ ლოდზე ჩამომჯდარიყო იგი აზვირთებული მდინარის პირას. თავზე ნაცრისფერი ბოხოხი ეხურა და მხარზე მიყრდნობილი მსხვილი კომბალი მარჯვენა ხელით ეჭირა. მის გარშემო ახალგაზრდა მწყემსები ისხდნენ, გულისყურით უსმენდნენ მოხუცს.

ცა ვარსკვლავებით მოჭედილიყო. მდინარე გაცოფებული ცხოველივით მოღმუოდა ლოდებშუა, მოიბრძოდა, ბობოქრობდა.

— ტყუილა როდი შეარქვეს ბრძენი სოლომონს, — ამბობდა მოხუცი, — თეთრი მტრედები ზეთისხილის რტოთი პირველად მისი მეფობის დროს აფრინდნენ ცის კაბადონზე; იქნებ განგების ნებაც ეს იყო, სოლომონი ხომ ბიბლიური სახელია და ქართულად „მშვიდობას“ ნიშნავს. ჰაი, გიდი, იმ ზღაპრულ ხანაში სამართალს კაცი ფულით ვერ იყიდდა. უზენაესი მსაჯული თვითონ მეფე იყო და აბა, ქრთამს ვინ შეჰბედავდა.

სამოცდაათ ენაზე ლაპარაკობდა სოლომონი, წარმოთქვა სამი ათასი იგავი და შეთხზა ხუთი ათასი საგალობელი და ყოველი მათგანის აზრი ისე დამძიმებულიყო სიბრძნით, რომ მთელი ზღვისპირეთის ოქრო-ვერცხლი ვერ გადასწონიდა. მეფობის პირველსავე წელს აკრძალა მან ყრმათა და ქალწულთა მსხვერპლად შეწირვა. მეფის რისხვამ წალეკა ადამიანთა სამსხვერპლო. დედას აღარ აშინებდა ბავშვის შობა, არავის ჰქონდა უფლება მისი ჩვილი მსხვერპლად მიეტანა ღვთაების გავარვარებულ ხახაში. ამიტომ შეაჩვენეს ხელმწიფე მღვდელთმოძღვრებმა და წარმართმა ქურუმთუხუცესებმა, მაგრამ სოლომონი მათ როდი ეპუებოდა.

ჰოდა, იარა, იარა, ცხრა მთა გადაიარა და მსოფლიოს მოედო სოლომონის სიბრძნის ამბავი. რკინის ქალამნებით მიდიოდნენ

და მიდიოდნენ მისი სასახლისაკენ ჭეშმარიტების საპოვნელად ღარიბნი თუ მდიდარნი.

ერთხელ, გაზაფხულზე, როცა სოლომონს „იომ-მიშფატი“[1] ჰქონდა დანიშნული, მისი უერთგულესი მრჩეველი და ყალაიცაბა[2] ბენაია ლიბანის მაღნარის ბეთ-დინში[3] ორ ქალს შეუძღვა.

სპილოსძვლისაგან ჩამოთლილ და ოქროთი მოვარაყებულ ტახტზე იჯდა სოლომონი. ტანზე ძოწეული ემოსა, შავი სირმებით გაწყობილი ქსოვილი ფერადოვან ნაქარგებში იჩქმალებოდა. ჩასხმული ვაჟკაცი იყო, მხრებგაშლილი, თმა-წვერი გვარიანად შევერცხლოდა. ტახტზე ასვლა შვიდი საფეხურით შეიძლებოდა; თითოეულს კიდეებში, აქეთ-იქით, ლომები ედგნენ დარაჯად: თოთხმეტი გოროზი მხეცის მოდუნებული სხეული გართხმულიყო ძვირფას ხალიჩაზე, აღმოსავლელი მხატვრების ხელით რომ იყო ნაქარგი.

მეფემ თავი ასწია.

ქალი, რომელსაც ჩვილი ბავშვი მკერდზე ძალუმად მიეკრა, თვრამეტი წლისა იქნებოდა; უბრალო, სადად შეკერილი კაბა ეცვა, მხრებზე შავი თმები ეყარა, ვაზის ლერწივით ასხეპილი ყელი აეღირა, შეშფოთებული სახე ჰქონდა, მზერა დანასავით მჭრელი; იგი მთელი სხეულით თრთოდა.

მეორე, ასე ოცდაათი წლის ქალი, ფარჩა-აბრეშუმში გახვეული, ყელზე ბრილიანტისთვლიანი ოქროს ჯაჭვი რომ ეკიდა, სამეფო ტახტს მიუახლოვდა, ნაძალადევი, ყასიდი მოკრძალებით თავი დახარა და მეფეს მოახსენა, — ასე და ასეო, დიდვაჭრის მეუღლე ვარო, იმიტომ გეახელით, რომ ამ გომბიომ შვილი წარმტაცაო. ეგ უბედური ჩემს მეზობლად ცხოვრობს, ღარიბია, არავინ იცის ვისგან დაორსულდა, მამამისმა სახლიდან გააგდო; იმ ავბედით ღამეს შემთხვევით ორივემ ერთ ბებიაქალთან მოვილოგინეთ, ჰოდა,

1. სიმართლის დღე.
2. ჯარის სარდალი.
3. სამსჯავროს სახლი.

მძინარემ შვილი ლოგინში გასრისა, ამაზე ჭკუა აერია საწყალს, ადგა და ღამით ბავშვი შემიცვალა. შეძრწუნებული ბებიაქალი ასე გაიძახოდა, — რა ვთქვა არ ვიციო, თქვენი ბიჭები თითქმის ერთდროულად დაიბადნენ და ერთმანეთს ტყუიპისცალებივით ჰგავდნენო. ურჩევნია ამ ბედდამწვარმა ღატაკმა ჭკუას მოუხმოს, დამიბრუნოს ჩემი ბიჭი და ოქრო-ვერცხლით ავავსებ.

ერთი სიტყვით, ისეთები გადმოალაგა, მეფის ნათელი სახე ავის მომასწავებელი ღრუბელივით მოიქუფრა. მისმა დაჟინებულმა მზერამ ახალგაზრდა ქალი, ისედაც ფერმიხდილი, უნებურად აალაპარაკა:

— ტყუის, მეფეო, უღვთოდ ტყუის! ბავშვი ჩემია. ღმერთმა ხომ იცის, არ მომიპარავს იგი.

ეს სიტყვები სასოწარკვეთილი, გულისშემძვრელი ხმით იყო თქმული, რის გამოც მეფემ სინანულით გაიფიქრა:

„სამართალი ფიჭის თაფლი არ არის, რომ მისი სიტკბოთი ყველას აამო“.

გასაჭირში ჩავარდა სოლომონი, აქეთაც დედა, იქითაც დედა. მართალია ერთი — ღარიბი და გატანჯული, მეორე – მდიდარი და კმაყოფილი, მაგრამ, გინდ ასე თქვი, გინდ ისე, ორივე დედაა და ორივე ერთ ბავშვზე გაიძახის — ჩემიაო. მოდი და განსაჯე, როგორი განსასჯელია!

— ამბობ, არ მომიპარავსო, იქნებ უქმრობასაც ტყუილად გწამებენ? — ეკითხება ბავშვიან ქალს.

— არა, ეგ მართალია, ქმარი არა მყავს.

— ვინ არის ბავშვის მამა?

— მწყემსია, უბრალო!

— ახლა სად არის?

— არ ვიცი.

სოლომონი ერთხანს დუმდა, მერე ახალგაზრდა ქალს დაკვირვებული, გამომცდელი მზერა შეავლო და დაშაქრული ხმით უთხრა:

— მარტოხელას ბავშვის გაზრდა გაგიჭირდება, დათმე ეგ პატარა ბიჭი, ვერა ხედავ, სამაგიეროდ ოქრო-ვერცხლს გპირდებიან. გამდიდრდები.

— შვილს ცოცხალი თავით არ დავანებებ; ვიშრომებ, ვიშიმშილებ, გავზრდი!

მაშინ მეფემ პირქუშად უთხრა:

— რადგან ჩემი რჩევა არ შეისმინე, მიპასუხე: ღამით, ლოგინში პირმშო რომ გასრისე, ნუთუ გაანჩხლებული ბალღის ღნავილი არ გესმოდა?

— ოჰ, მეფეო, გემუდარებით, ნუ დაუჯერებთ საშინელ ცილისწამებას, რა დამაძინებდა, თავს ვევლებოდი ჩემს პატარას, ვაკვირდებოდი, სახით მამას ხომ არ ჩამოჰგავს-მეთქი. ძალიან, ძალიან მსურდა, რომ ჰგვანებოდა. თვალწინ მედგა ჩემი მზეჭაბუკი.

სოლომონის თვალებში წამით უცნაური სხივი გაკრთა, მზეჭაბუკი საიდან სადაო, განა ბავშვის მამა უბრალო მწყემსი არ არისო, გაიფიქრა, უბრძანა, ეამბნა ყველაფერი, რაც თავს გადახდა.

— გასულ გაზაფხულს, მაისის მიწურულს ქალაქიდან არც ისე შორს, ბებიასთან გამგზავნეს. ზაფხულს, ჩვეულებრივ, იქ ვატარებდი. მისი პატარა კოხტა სახლი მთის ფერდობზე დგას, მდინარის პირას. იქვე, მახლობლად წყაროსწყალიც ჩამოდის, ცივი და ანკარა. მიყვარს სოფელი, განსაკუთრებით ზაფხულში. მზე ნათელია და დიდი, ნამდვილი საოცრებაა. გამთენიისას ვიღვიძებდი და უმალ მთისკენ გავრბოდი მზესთან შესახვედრად! მივიწევდი მაღლა, სულ მაღლა.. გული მიგრძნობდა, მოვიდოდა იგი, ვისაც დიდი ხანია ველოდი.

წინათგრძნობა ამიხდა, გამოჩნდა ჩემი მზეჭაბუკი. იმ დღეს ლურჯად ხასხასებდა ივნისის კრიალა ზეცა... მთის ფერდობზე ბილიკს მაღლა მივუყვებოდი. ერთგან შევდექი და მიდამოს გადავხედე. სოფლის ბოლოში თეთრი ფარა მოიზლაზნებოდა. უცებ სალამურის ხმა შემომესმა. ვიღაც ჯადოქარივით აკვნესებდა ლერწამს. ჰანგი იყო ახლობელი და ლაღი. სალამური მე მიხმობდა. მწყემსებს ყმაწვილი გამოეყო, ჩემსკენ გამოემართა. ვიცანი; ერთი წლის წინ იქეთ გამგზავრებისას, წყალი მომთხოვა, მე არ დავზარდი და დოქით წყაროსწყალი მივაწოდე; შეიძლება ვეღარ გნახოო, ჩაილაპარაკა როცა წყურვილი მოიკლა და უკანვე გაბრუნდა: მაგრამ აი, წელიწადი გავიდა და კვლავ გამოჩნდა.

ვაჟს ახოვან ტანზე უბრალო ჯვალო შემოტმასნოდა. ვიწრო, უხეში შარვლის ტოტები პაჭიჭებში ჩაეტნია, მზით შერუჯულ შუბლზე გიშრისფერი თმები გადმოყროდა, თვალებში ნაკვერჩხლები უელავდა. ალბათ ისევ წყაროსწყალი თუ მოისურვა-მეთქი; მთიდან გადმოვფრინდი. მასთან გავჩნდი. სახე აელეწა, მეც ცეცხლი მომეკიდა.

ხელზე ხელი წამავლო.

— მომთაბარე ვარ, გოგო. ვინ იცის ბედი სად გადამისვრის; დღეს აქა ვარ, ხვალ იქ. იმადაც გითხარი შეიძლება ვეღარც გნახო-მეთქი.

ამათვალ-ჩამათვალიერა და სულშეგუბებულმა ძლივს ამოღერღა:

— რამოდენა გაზრდილხარ!

ქალმა თავი ჩაღუნა. ბავშვი არ ტიროდა, მაგრამ მაინც მიეალერსა, ხელებში დაარწია, იავნანაო, ვარდოვ ნანაო, — ჩუმად, ხმატკბილად ჩაუღიღინა.

— იმ დღეებს რა დამავიწყებს, დიდო მეფეო, დუღდა გული, ელოდა, ელოდა... სამი თვის მერე იალაღს სიყვითლე შეეპარა. ცხვარი ვერ ძოვდა უხეშსა და ხმელ ბალახს. წავიდა ჩემი მწყემსი, გაჰყვა თეთრ ქარავანს. გული ჩამწყვიტა, მაგრამ არა ვნანობ, დაილოცა მისი მშობელი... — მერე კილოშეცვლილი ხმით დასძინა: — ჩემი ბიჭი ალიკვალი მამაა, შემოევლოს ჩემი სიცოცხლე, არავის დავაჩაგვრინებ. — თქვა და ახლა წამწამებდახრილი ოდნავ ხმადაბლა ალაპარაკდა:

ორიოდ თვეში მუცელი მენძრა. ნაყოფის პირველმა განძრევამ ძალიან გამახარა, თუმცა ის დღე ჩემთვის არ ყოფილა ბედნიერებით გაცისკროვნებული. რაღა დაგიმალოთ, თვალწინ მამაჩემის გოროზი გამოხედვა დამიდგა და ერთბაშად მოვარდნილმა შიშის

ნიაღვარმა ჩაკლა დედის სიხარული. შექმნილი მდგომარეობიდან გამოსავალს დავუწყე ძებნა, მაგრამ საითაც არ გავიხედე, საითაც არ მივაპყარ ფიქრი, არსაიდან არ ჩანდა ხსნა, ისეთი ვერაფერი მოვისაზრე, რაც მამის რისხვას ამაშორებდა; იმედი გადამეწურა და გადავწყვიტე თავი მომეკლა. ოჰ, მეფეო, სიკვდილისა ვის არ ეშინია, მაგრამ სხვა გზას ვერ ვხედავდი. კლდის პირს მივადექი, ერთი ნაბიჯიღა იყო საჭირო და... სწორედ იმ წამს ბავშვი ისე აფართქალდა მუცელში, როგორც განწირული ჩიტი. მივხვდი, მას სიცოცხლე ეწადა და ვერ გავიმეტე ეს პაწაწინა, უცოდველი არსება, ნაყოფი ჩემი ბრმა გულისთქმისა; ბედს შევურიგდი.

სინამდვილე რომ შეიტყო, მამა საშინლად განრისხდა და სახლიდან გამაგდო. დედაჩემმა შემიბრალა, საწყალი აქეთ ეცა, იქეთ ეცა, ბოლოს იმდენი მოახერხა, მეზობელ უბანში მყუდრო ოთახი დამიქირავა და იქ მალულად მივლიდა.

ერთხელ, მშობიარობამდე ორი კვირით ადრე, ღამით, ბურანში მყოფს უცნაური ხმა მომესმა. მე მეძახდნენ. თვალი გავახილე. ადამიანის მსგავსი არსება ცეცხლისმაგვარი ფრთებით სასთუმალთან ჩამომჯდარიყო, შიშისაგან თვალები დავხუჭე. ყვირილი მინდოდა და ენა არ დამემორჩილა, განძრევა მინდოდა და ვერ შევძელი. ერთხანს გარინდებული ვიწექი, მერე ნელ-ნელა გავხსენი ქუთუთოები. მომეჩვენა იმავე ადგილას იჯდა. დავაკვირდი. პირისახით თითქოს მე ჩამომგავდა, ოღონდ შედარებით ფერმკრთალი იყო, მომხიბლავად მიღიმოდა. ალბათ, მიხვდა, გრძნობაზე რომ მოვედი და სასთუმალთან დაიხარა, ცეცხლოვანი ფრთა ლოყაზე ალერსიანად მომისვა, რაღაც მანიშნა. ვერ გაუგე, რა უნდოდა, იმ დღიდან გამიშინაურდა, შუაღამისას გამოჩნდებოდა ხოლმე, ხან თავთით დამიჯდებოდა, ხან კიდევ ფრთებს გაშლიდა, ოთახში მსუბუქად დაფარფატებდა, თან ღიმილით მანიშნებდა — გავყოლოდი...

მალე ბებიაქალთან გადამიყვანეს. იქ ჯოჯოხეთური ტკივილები დამეწყო. ის იყო, სიმწრით წამოდგომა დავაპირე, რომ მოჩვენება კვლავ გამოჩნდა. ალისფერ ბაგეზე ნეტარების ღიმილი

უკრთოდა, თავი მხარზე დამადო; მეალერსებოდა, მამშვიდებდა. ტკივილი თანდათან მომეშვა, ბავშვის მოძრაობა ახლა ყრუ იყო, შებოჭილი. და... ჰოი, საკვირველებავ, მოჩვენებამ ენა ამოიდგა:

— ნუ გეშინია, საცოდაო, მოვედი, რათა გადაგარჩინო. სიცოცხლეში ტანჯვა-წამება გელის და მინდა გიხსნა. მე... სიკვდილის ანგელოსი ვარ, მეგობარო. წამოდით შენა და შენი შვილი ჩემთან; იმ მხარეში, სადაც მე ვცხოვრობ, სიმშვიდეა და სიმყუდროვე; იქ ყველაფერი იდუმალი და დიადია, როგორც თავად სიკვდილი. ნუ გეშინია, ნუ... დამიჯერე, ცხოვრება ათასნაირ უბედურებათა ქაოსია, მარადიული შფოთი და ვნებათაღელვაა, და რადგან ბოლო მაინც სიკვდილია, მე მომენდე, ასე უმჯობესია ორთავესთვის.

ნექტარივით ტკბილი ენა ჰქონდა; ვგრძნობდი, ნელ-ნელა ვიძირებოდი მისი შავი თვალების უფსკრულში. მერე... მზე ვიხილე, მხოლოდ ერთი წამით იქმნა ნათელი; ამან მიშველა, არაბუნებრივი კივილით შევძარი იქაურობა. და... გაბმული ტირილი გავიგონე. ძალაგამოცლილი სასთუმალზე მივესვენე თუ არა, ბებიაქალმა მომახარა, — ბიჭიაო და ბავშვი გვერდით მომიწვინა...

სოლომონი ყურადღებით ისმენდა უცნაური სიყვარულის ამბავს, მაგრამ მოსმენა ერთია და ჭეშმარიტების დადგენა მეორე; როცა ახალგაზრდა ქალმა ამბის თხრობა დაასრულა, მოსამართლემ ასწია შევერცხლილი გოროზი თავი და ხელი საფეთქელთან მიიტანა, გაიხსნა ზღაპრულ სიბრძნეთა სამყაროს კარი და...

— ბენაია, ამ საცოდავს ბავშვი გამოართვი, შუაზე გაჰკვეთე და ლომებს მიუყარე, თორემ ხომ ხედავ, უსაქმურობისაგან მიეძინათ მხეცებს.

ხმა ცივი და შეუვალი იყო.

მეფის ბრძანებას ვინ გადასვლია და... ყალააცაბა თავჩაღუნული გაემართა გაფითრებული ქალისაკენ, ბავშვი უნდა წაერთმია. იმ წუთში, როცა დიდვაჭრის ცოლს ცბიერმა ღიმილმა გადაჰკრა, ახალგაზრდა ქალი სოლომონთან მიიჭრა, ბავშვი ფერხთით დაუწვინა და შესძახა:

— მეფევ, ნუ ჩაიდენთ ამ საშინელ დანაშაულს. ბავშვი... არ არის ჩემი. დაუბრუნეთ იგი ნამდვილ დედას!

ამგვარი ფანდით სოლომონმა ადვილად გამოიცნო ვინ იყო ბავშვის დედა; ყველაფერი ცხადი გახდა და მეფეს ისღა დარჩენოდა გამოაშკარავებული დამნაშავე დაესაჯა, მაგრამ მთავარი აქ სხვაა, რაც შემდეგ მოხდა. როცა მეფის ბრძანებით მცველებმა დიდვაჭრის ცოლი დარბაზიდან გაიყვანეს, ახალგაზრდა ქალი ანაზდად თავის კეთილისმყოფელთან მიიჭრა, ჩაიჩოქა, უნდოდა მისთვის მუხლები დაეკოცნა, მაგრამ სოლომონმა იგი მყისვე წამოაყენა.

— დედას ღვთის წინაშეც არ ეკუთვნის მუხლის მოდრეკა!

— რა გქვია?

— სულამითი, მეფევ ბატონო.

— ბენაია, დე, იყოს ვაჟი სულამითისა სოლომონის ძე! — მოულოდნელად ხმამაღლა წარმოთქვა მან, — მიეცი მათ ერთი ტალანტი ოქროთი სახელმწიფო ხაზინადან, მე ვასაჩუქრებ! უხმე აგრეთვე სულამითის მამას, აგრძნობინე, კაი ყმა ქვეყნისთვის ოქროზე ძვირად რომ ფასობს და უბრძანე, დაეხმაროს ქალიშვილს ბავშვის აღზრდაში. — თქვა მეფემ, — დიდვაჭრის ცოლი მკაცრი სასჯელის ღირსია ცილისწამებისათვის; მაგრამ ქალია, თან დედობაც სწადია; ამიტომ განაჩენი შეუმსუბუქდება. მიბრძანებია! უპატრონო ბავშვთა თავშესაფარში შეარჩიეთ ორი ბიჭი, ვინც თვითონ ინდომოს; იშვილოს, დაე ორივენი გაზარდოს! — მეფემ მარჯვენა ხელი შემართა, — განაღეთ ბჭენი დარბაზისანი, — ბრძანა მან, — გზა მიეცით ქალს — დედას! მუხლი მოიყარეთ მის წინაშე, ფეხქვეშ დაფნის რტოები დაუფინეთ!

ახალგაზრდა დედის სახიდან მზემ გამოაბრწყინა, იგი ბავშვით ხელში დარბაზიდან გადიოდა. სასახლის მცველნი, მუხლმოდრეკილნი, დედის ფეხქვეშ დაფნის რტოებს აფენდნენ...

ასე დაასრულა მოხუცმა მწყემსმა ძველთაძველი თქმულება.

— პაპა ყარამან, — ჰკითხა მას ახალგაზრდა მეცხვარემ, — ის მზეჭაბუკი ადამის ჯილაგისა ხომ იყო, კაცო, ნუთუ სულამითს არ მოძებნის?

— ჰაი, ჰაი, რომ მოძებნის, მოძებნის და... თუმცა უკვე გვიანია, დანარჩენს ხვალღამ გიამბობთ, ჩემო შევარდნებო, — თქვა მოხუცმა და კომბალს დაებჯინა...

ცა ვარსკვლავებით მოჭედილიყო. მდინარე გაცოფებული ცხოველივით მოღმუოდა ლოდებშუა, მოიბრძოდა, ბობოქრობდა.

P.S. როცა „დედა“ ქართულ პერიოდიკაში („ქუთაისი“, „ალია საქართველოდან“), გამოვაქვეყნე, მავანმა და მავანმა ჯერ ბერტოლდ ბრეხტის „კავკასიური ცარცის წრეო“? — ჩაიქირქილა. როცა ვუთხარი აქ მოთხრობილ ამბავს გაცილებით ღრმა ფესვები აქვს-მეთქი, მოგვიანებით შემხვდა და ნიშნის მოგებით მისაყვედურა, — მართალია, ბიბლიური სიუჟეტიაო. ვსარგებლობ შემთხვევით და განვუმარტავ: ნურას უკაცრავად, სიუჟეტი კი არა, ფაბულა ავიღე ბიბლიიდან; ხოლო წინამდებარე მოთხრობის იდეური ქსოვილი და სიუჟეტი სავსებით განსხვავებულია ბიბლიური თქმულებისაგან. ეს რომ ასეა, ფრიად კეთილშობილი მკითხველი თავად დარწმუნდება, თუ მოცალეობის ჟამს გულისყურით ჩაიკითხავს ძველ აღთქმაში — „მესამე მეფეთა“, თ. 3, ტაეპი 16-28, რომლის ერთ სტრიქონს აქვე მოვიყვან: „მაშინ მივიდა მეფესთან ორი მეძავი ქალი და დადგნენ მის წინა“. და ა. შ.

სამი ანგელოსი

თუმც უწვერული ყმაწვილი იყო, მაგრამ ისე ჰხმარობდა შუბსა და ჰოროლს, რომ მრავალ ბრძოლაში ნაცად ვაჟკაცსაც შეშურდებოდა.

ძლიერი იყო იგი, ვით მუხა და მხრებგაშლილი, ვით კავკასიონი. ბავშვურ სახეზე, სადაც მაღალ შუბლს ნაადრევად დამჩნეოდა ნიშანი ღრმა ფიქრისა და წუხილისა, ნაპერწკლებს ჰკვესავდა არწივის თვალები.

ერთხელ, როცა ყმაწვილი მეფე ერისთავების თანხლებით, მცხეთის აღმოსავლეთით მდებარე ნაძვისა და ფიჭვის ხეებით დაფარულ მთაგორიან ქვაბულში ნადირობდა, მშვენიერი შვლის კვალს გადააწყდა, დამფრთხალი ნადირი ქარივით გაიჭრა წინ, ტანაშოლტილ ხეებს შორის. მხედარმა თანშეზრდილ რაშს სადავეები მიუშვა და უკან დაედევნა ლაღ, ტყის დაფეთებულ შვილს. სულ მალე ზურგს უკან დარჩა მეძებარი ძაღლების გაავებული ყეფა. სერებითა და გორაკებით რკალშემორტყმულ ქვაბულში თავგანწირვით მიმქროლავი ცხოველი და მონადირე ასპარეზობდა.

ვახტანგმა მირიან მეფის ნაქონი მშვილდი სწრაფად მოიმარჯვა, ლარი მოზიდა და... მოხდა საკვირველება, პირველად ააცილა ისარი მიზანს.

გაცეცხლდა ჭაბუკი, სიბრაზე მოეძალა, ომახიანად შეუძახა ცხენს და სისწრაფეს უმატა; კვლავ მოზიდა ლარი და ამჯერად უფრო დაბეჯითებით ტყორცნა ისარი, შველმა წაიფორხილა. მონადირემ ძლიერად მოზიდა სადავეები, ცხენი და მხედარი ადგილზე გაქვავდა... მაგრამ ეს რა არის? თვალი ხომ არ ატყუებს ვახტანგს? თითქოს ისევ წამოხტა შველი და მიწის სიღრმიდან ამომავალ ორთქლის სვეტში გაუჩინარდა.

ყმაწვილ კაცს ეძნელებოდა დაჯერება, მაგრამ რა ექნა, როცა ნამდვილად ჰხედავდა, რომ სქელსა და გამჭვირვალე ორთქლს მიღმა მშვენიერი სასახლე წამომართულიყო; სვეტებზე შემდგარი შენობის გუმბათი მტრედისფერ ცაში ქანაობდა და თეთრად მოქათქათე ღრუბლების ქულები გვირგვინად შემოდგომოდა ყოველი მხრიდან.

შენობის ირგვლივ ყაყაჩოების ზღვა ლივლივებდა. ასეთი რამ სიზმრად თუ ენახა, ან ზღაპრად თუ გაეგონა ჭაბუკ მეფეს. გაოცებული მიჩერებოდა მოჩვენებას თუ სინამდვილეს...

უეცრად სასახლის ოქროთი მოვარაყებული მუხის კარი გაიღო და იქიდან სამი ერთმანეთზე ულამაზესი ასული კი არ გამოვიდა, ვარსკვლავის დარად გამოციმციმდა, ბროლის ყელ-კისერზე ხვეული თმები გადმოჰყროდათ და მომხიბვლელად იღიმებოდნენ; მცირე ხნის შემდეგ ხელები ნაზად გაშალეს, თუმცა ეს ხომ ადამიანის ხელები არ იყო, ეს იყო ფრთები, ფრთები ანგელოსთა... — მალე ისინი ტანის მსუბუქი რხევით გაცურდნენ ახალგაზრდა მეფისაკენ. ერთს შროშანისფერი, მეორეს ძოწისფერი, ხოლო მესამეს იასამნისფერი გამჭვირვალე მოსასხამები მოეგდოთ შიშველ მხრებზე. სამი მხრიდან შემოერკალნენ ვახტანგს და გაისმა ნარნარი ხმები.

პირველი ანგელოსი: — დიდი და მძიმე ბრძოლები მოგელის, ვახტანგ! შენ განამტკიცებ ქართლოსიანთა საზღვრებს ალანთა კარამდი და შემოიერთებ ძველ კოლხურ მიწას, წართმეულს ბერძენთაგან. შეებრძოლები და დაამარცხებ ჰინდოთ, სინდელთ, აბაშთ და ჯორჯანელთ და არასოდეს ქედს არ მოიხრი სპარსთა წინაშე; აღაშენებ მრავალ ციხე-გოდოლს, ეკლესიებს, ტაძრებს და დაამკვიდრებ ქრისტეს სჯულს ქართლოსიანთა ზედა.

მეორე ანგელოსი: — რაინდულ ორთაბრძოლებში შენ, ვახტანგ, მახვილით განგმირავ ოვს გოლიათს თარხანს და ბუმბერაზ ბაყათარს, ბერძენთ სპასპეტს პალეკარპოს და სპარსთა მეფის შვილს ბარტამს. საქმენი ესე საგმირონი შარავანდედის გვირგვინს დაგბურავს.

მესამე ანგელოსი: — იცოდე, საუკუნეების მანძილზე იცოცხლებ შენ, ვახტანგ გორგასალო, ვინაითგან სწორედ ამ ადგილს, სადაც ამოჰქუხს წყალი თბილი, სამკურნალო და სანეტარო, აღაშენებ ქალაქს და უწოდებ მას თბილისს, და არ მოკვდები ვიდრე იარსებებს ქალაქი იგი, რომელიც მუდამ იქნება პირველი ქალაქი ქართლოსანთა.

***

ტყის სიღრმეში მეძებარი ძაღლების გაავებული ყეფა გაისმა. ჭაბუკი მეფე გამოერკვა. მოჩვენება გამქრალიყო. მის შორიახლოს კი მიწის სიღრმიდან ამოჩუხჩუხებდა წყარო, რომელსაც ორთქლის ოხშივარი თეთრი ღრუბლის ქულებივით დაჰფენოდა. წყლის ვერცხლისფერ შხეფებს შორის ბუნდოვნად მოჩანდა გორგასლის ისრით დაკოდილი შველი...

ბესია

— არ იფიქროთ, შეთხზული პიროვნება გახლდეთ; აჰ, არა, თქვენც არ მომიკვდეთ, მეც ადამიანი მერქვა და ისევე მაღელვებდა გაზაფხულის კართან ტყემლის ყვავილების აფეთქება, კლდიდან გადმომქუხარე მოკასკასე წყარო, ლორთქო ბალახზე ცვრის მარგალიტი, ველ-მინდვრებზე ათასფრად აბიბინებული ყვავილთა ჯარი, დანისლულ ცაში ისარივით ატყორცნილი კავკასიონის ვერცხლისფერი მწვერვალები, როგორც თქვენ. დავაბიჯებდი იმ მიწაზე, სადაც დადიხართ თქვენ, ერთნი — ღირსეულნი და ამაყად წელგამართულნი, მეორენი — მედიდურნი, ცა ქუდად რომ არ მიგაჩნიათ და დედამიწა ქალამნად, მესამენი კიდევ, დაღონებულნი, დაფიქრებულნი...

მისმენთ, გიკვირთ და მეკითხებით:

— ვინა ხარ, რა გსურს, რად გარჯილხარ და ამდენს რად ლაქლაქებ?

— გეტყვით, — ბესო მერქვა, მეტსახელად კი „ჯღანას“ მეძახდნენ; რატომ მიიფარეთ ზოგმა ხელი სახეზე? ნუ გეფიქრებათ, არ დაგასმენთ, არ გაგცემთ, მე მხოლოდ ისე, სხვათა შორის ვისაუბრებ.

ნაღდად ვიცი, ჩემს დანახვას სიკვდილი გერჩივნათ, როცა შეხედავდით ჩემს მოჩოჩიალე მარცხენა ფეხს, ძლივს რომ მივათრევდი, მარჯვენა მხარს, ზემოთ კარგა გვარიანად ამოწეულს, დიდსა და უშნო ოთხკუთხა სახეს, — მარჯვენა თვალი თითქმის ყოველთვის დახუჭული რომ მქონდა, ხოლო ქვედა ყბა ისე ჩამოვარდნილიყო, გეგონებოდათ, ზედა ყბასთან თასმით არის დამაგრებულიო, ვგრძნობდი, ზიზღით თვალს მარიდებდით: გეზიზღებოდით, მაგრამ უჩემობა არ შეგეძლოთ, რადგან პატივმოყვარეობის კლანჭებში მოქცეულნი ჩემსავით ოქროსა და თვალ-მარგალიტის მონები იყავით. სავარძელში მოკალათებულთ სახელის გატეხვისა გეშინოდათ და სხვადასხვა კომბინაციათა დახლართულ ქსელში უჩემოდ ერთი ნაბიჯის გადადგმაც კი არ შეგეძლოთ.

გადავხედავ წარსულს და გავიხსენებ ზოგიერთ მნიშვნელოვან მომენტს, იქნებ ვისმეს მოეწონოს მონათხრობი და ხელი დამიცალოს. ცხოვრება ვაჭრობაში გავატარე და აქაც არ ვუღალატებ ძველ საქმიანობას.

მაშ, ვიწყებ თხრობას.

დაბადებითვე სახიერად მახინჯი, ბუნებით მშვენიერების, სიმყუდროვის და ფუფუნების ტრფიალი ვიყავ. ვერ გეტყვით, წინაპართაგან ვისი ფაქიზი სული დამყვა, რადგან არავინ გვყოლია ნათესავთაგან ისეთი ამაღლებული გრძნობების მატარებელი, ვისთვისაც შეიძლებოდა მიმებაძა.

ყმაწვილკაცობაში რომ შევდგი ფეხი, ვიგრძენი, რომ თვალში არავის მოვდიოდი, ღვიძლმა და-ძმამაც კი ალმაცერად დამიწყო ყურება; თითქმის ყველასაგან გარიყული აღმოვჩნდი. იძულებული გავხდი, შექმნილი მდგომარეობიდან გამოსავალი მომეძებნა. ვეძებდი ჯადოს, რომელიც მახინჯ სხეულს დამიფარავდა და ანდამატივით მიმზიდველს გამხდიდა. ვპოვე კიდეც, დაგეშილი მეძებრის ყნოსვით მივაგენი ოქროს ციებ-ცხელებას. ალბათ, გამოგიცდიათ, თუ რა ძალა აქვს და რის მაქნისია ეს ერთობ ბრჭყვიალა და მოგიზგიზე ლითონი, მისთვის არ არსებობს არავითარი ზღვარი. პატიოსნების საწყისებს მისი ბრწყინვალება და მიმზიდველობა აბრმავებს; მისი ელვარება მეძავს ღირსეულ მანდილოსნად აქცევს, მახინჯს კი ლამაზად. სულიერი სიფაქიზისა და მონდომების წყალობით ადვილად მივაკვლიე ოქროს მოხვეჭის იოლ გზებს, ასე და ამგვარად გავხდი მილიონერი...

როგორ?

მოითმინეთ... ცოტაც მოითმინეთ! ყველაფერს გიამბობთ, ყველაფერს აგიხსნით.

ჰოდა, იმას ვამბობდი, მოკლე დროში ყველამ დაივიწყა „ბესია ჯღანა“ და ბატონი ბესო გავხდი. ცხოვრება საათივით ავაწყვე. და რაკი გასაქანს ვაძლევდი რომანტიზმით აღსავსე სულისკვეთებას, ხელოვნების მოტრფიალეთა წრეშიც ამოვყავი თავი. ხელოვნების უცხო შედევრების შეძენით ვერთობოდი და მათი სიმშვენიერ-

ით ვტკბებოდი. ერთი სიტყვით, თავს არ შეგაწყენთ და მოკლედ მოვჭრი — ლონდონელი დენდივით ვცხოვრობდი და ასეც გაგრძელდებოდა, მოულოდნელად რუსეთში სახელმწიფოს გადატრიალება რომ არ მომხდარიყო. ქაოსით მოცულ გონებას რისხვად ჩაესმა რევოლუციის სიტყვები:

— ფაბრიკები და ქარხნები — მუშებს, მიწა – გლეხებს, ოქრო — სახელმწიფოს.

პირველ ორ მუხლზე, არც დავფიქრებულვარ, ისე დავთანხმდი, მაგრამ მესამეზე თავი შევიკავე; გაჟეჟილს გატეხილი სჯობიაო და არაფრად მეპიტნავა; თუმც ჩემისთანები რას გახდებოდნენ, როცა მილიონობით ბოგანო აღსდგა და იმასვე მოითხოვდა — რასაც რევოლუცია. ფიქრის დრო აღარ იყო და სწრაფად გადავწყვიტე უმრავლესობას მივმხრობოდი. გადავმალე ოქროულობა, ხელოვნების შედევრები, გამოვქექე ძველმანები, დაძონძილ-დახეულები, კვლავ დღის სინათლეზე ამოვატივტივე სახიერი სიმახინჯე და ხრინწიანი ხმით სხვებთან ერთად გავყვიროდი:

— გაუმარჯოს რევოლუციას!

გულში მიკრავდნენ, ძმას და მეგობარს მეძახდნენ, მახინჯ სახეს მიკოცნიდნენ. ისე ამიჩუყდა გული, ერთი პირობა გადავწყვიტე, გამოვაჩენ ჩემს სიმდიდრეს და დავურიგებ ამ არაფრის მქონე და გულკეთილ ხალხს-მეთქი, მაგრამ დროულად დავაჭირე ენას კბილი და გავისუსე.

გავიდა ხანი, ცხოვრება თავის კალაპოტში ჩადგა. ყველამ თავისი ადგილი მოძებნა. ფული და ოქრო კვლავ დაფასდა და მეც ასპარეზს დავუბრუნდი. მივიხედ-მოვიხედე, ჩემისთანები კიდევ ბევრი დარჩენილიყო. გულმა გული იცნო და ერთმანეთს გავუზიარეთ სულის ბნელი ზრახვანი...

წეღან მკითხეთ, როგორ გახდით მილიონერიო. მესმის, გულისხმაში ჩავარდით, რა გზით, რა მანქანებით მოახერხა ამოდენა სიმდიდრის დაგროვებაო. აბა, ყველა ვით მოვიგონო, ყველაფერს რა გაიხსენებს, ამისი დრო სადა მაქვს, მაგრამ ის ამბავი, ერთ ახ-

ალგაზრდა ცოლ-ქმარს რომ დავმართე, ახლაც კარგად მახსოვს, თითქოსდა გუშინ მომხდარიყოს ყოველი.

იმ დღეს, ჩვეულებრივ, საიუველირო მაღაზიაში თვალ-მარგალიტით გაწყობილ ოქროს ნივთებს ვათვალიერებდი და თან ტრამალის მგელივით ვუთვალთვალებდი მორიგ საკბილოს. ის მიამიტი ქალ-ვაჟიც იქვე მოვიხელთე. გამოსაუბრებისთანავე მივხვდი, რა ჩიტებიც ბრძანდებოდნენ, როგორც გაირკვა, საკმაოდ შეძლებული მშობლები ჰყავდათ, მაგრამ უთანხმოება მოსვლოდათ, რძალ-დედამთილი ვერ შეთვისებულიყვნენ. ხომ იცით, ეს სენი დამახასიათებელი შტრიხია ჩვენებური ცხოვრებისა. ეგეთებისთვის კი ხშირად მიმკურნალია ... ჰოდა, რაღა ბევრი გავაგრძელო, ახლა ცალკე ცხოვრობდნენ. გაჭირვებოდათ და მამაპაპისეული ნივთების გაყიდვა მოეწადინებიათ. ჩავეძიე, ჩავეკითხე და შორეული ნათესავებიც კი აღმოვჩნდით. დავითაფლე ენაპირი. ამას მივედე, იმას მოვედე, ორთავეს უპატიოსნეს ვაჭრად მოვაჩვენე თავი, მოკლედ, ისე მოვაწყე თვითონ მიმიპატიჟეს შინ და, რაც რამ ებადათ, მაგიდაზე გადმომილაგეს.

— ძალიან გაგვიჭირდა, ბატონო, ფული გვჭირდება და გადავწყვიტეთ ზოგი რამ გავყიდოთ, — თქვა ახალგაზრდა ქალმა და თითებიდან ბრილიანტის თვლიანი ოქროს ბეჭედი წაიძრო, — მგონი, ეს თვალი ერთი კარატი მაინც იქნება; რა ღირებულებისაც არის ის მოგვეცით, თუ გეძვირებათ ცოტასაც დაგიკლებთ.

ბეჭედი გულდასმით შევათვალიერე, რამდენჯერმე მუშტრის თვალით შევატრიალე ხელში და ფანჯრის შუქზე გავხედე, მრავალწახნაგიანი თვალი ნაირფერად ელავდა და მიმზიდველად ბრჭყვიალებდა. მერე პიჯაკის ჯიბე მოვსინჯე, გამადიდებელი მინა მოვიძიე და იუველირის ჩვეული სიფაქიზით დავუწყე ბეჭედს გასინჯვა, ვერავითარი ნაკლი ვერ ვუპოვე, რაც იყო ნაღდი იყო, მაგრამ სახეზე ერთი ნერვიც არ შემტოკებია, ასეთ საღ ბრილიანტთან პირველად როდი მქონდა საქმე; ფასიც მშვიდად წარმოვთქვი, რა თქმა უნდა, ის თანხა დავასახელე, სინამდვილეში რომ ღირდა. ამ დროს

ტყუილის თქმა წესად არა მაქვს, რადგან, ადვილი შესაძლებელია, გამყიდველი დაფრთხეს და მერე სათოფეზე აღარ გამიკაროს.

სხვა ნივთებიც რომ შევაფასე ვქვი:

— ყველაფერი კარგად შემიხვიეთ, შვილებო, ფულს, როგორც შევთანხმდით, ხვალ, ამ დროისათვის ჩაგაბარებთ. იცოდეთ და დაიხსომეთ, ესენი, ყველაფერი უკვე ჩემია. მინდა გადავყრი, მინდა აქვე, თქვენ თვალწინ, ფეხით გავსრეს, ჩემია, გესმით? მორჩა და გათავდა! ფული ხვალ საღამოს აქ გექნებათ. კაპიკს არ დაგაკლებთ, კაპიკს...

ამას ყასიდად ვამბობდი, თორემ გულსა და გონებას ჭიასავით ერთი აზრი მიღრღნიდა: ოღონდ ეს ნივთები წამაღებინა აქდან და ფულს კი არა, შავს ქვასაც არ მოგიტანთ-მეთქი.

ცოლ-ქმარი ერთი კი შეფიქრიანდა, კარგად არ გიცნობთო, ჩაილაპარაკეს, მაგრამ... ეგ ხომ არც პირველი შემთხვევა იყო და არც უკანასკნელი; სადმე, რამეს მუქთად ხელში ჩაგდების სურვილი უკურნებელი სენივით მქონდა ჩაბუდებული გვამში, თანაც მეამაყებოდა თუ ამას საკუთარი მარიფათით გავჩარხავდი. კარგი მსახიობისა არ იყოს, რაც გნებავთ იმას გავაკეთებდი — ვიცინებდი, ვიტირებდი, სახეს ჩამოვიხოკავდი, ტანისამოსს ჩამოვიფხრეწდი, ყირამალას დავდგებოდი, ოღონდ მუქთად ჩამეგდო ხელში რამე! ასეთი ამბავი იყო; რაც მთავარია, და რაშიც ეჭვი არ მეპარებოდა, ყველაფერი კარგად დამთავრდა. მართალია, ახალგაზრდებმა ერთხანს სახლის ზღურბლი ამიტალახეს, რას არ გაიძახოდნენ, ხან მეფერებოდნენ, ხან მემუქრებოდნენ, ან ჩვენი ნივთები მოგვეცი და ან ფულიო, მაგრამ მე თუთიყუშივით ერთსა და იმავეს ვუმეორებდი:

— ფულს, უსიკვდილოდ ხვალ საღამოს ჩაგაბარებთ, ყველაფერი გაყიდული მაქვს; იცოდეთ და დაიხსომეთ, ის ნივთები თქვენგან რომ წამოვიღე უკვე ჩემია, მინდა გადავყრი, მინდა აქვე, თქვენ თვალწინ ფეხით გავსრეს, ჩემია, გესმით? მორჩა და გათავდა! ფული ხვალ საღამოს შინ გექნებათ, კაპიკს არ დაგაკლებთ, კაპიკს...

მერე, როცა ეს ამბავი მათმა მშობლებმა გაიგეს აქეთ მეხვეწებოდნენ შენი ჭირიმე, შენ გენაცვალე, ოღონდ არსად წამოგცდეს და ის ოქროულობა შენი ფეშქაში იყოსო.

ვხედავ, ძველი ნაცნობები გამომეცხადნენ, მიკიჟინებენ და იმუქრებიან კიდეც — ჯოჯოხეთში შეგხვდებით და ნახე, რა დღეც გაყაროთო, მიჯობს გავჩუმდე; ვინ იცის, იქნებ მართლაც ჯოჯოხეთში მიკრან თავი და მამაზეციერთან დამასმინონ.

ცხოვრებისეულ ქრონიკას ნათესავ-ახლობლებთან ურთიერთობის აღწერით დავასრულებ. არაფრის მქონე ყმაწვილი კაცი მათთვის „ბესია ჯღანა“ ვიყავი, აბუჩად მიგდებდნენ და ჩემს დანახვაზე სიცილს ძლივს იკავებდნენ. ბოლოს, როცა საწოლს მივეჯაჭვე და გაიგეს იმ აურაცხელი სიმდიდრის შესახებ, რომელსაც ვფლობდი, ისე დამესივნენ, როგორც ფუტკრები დაესევიან ხოლმე სანექტარო ყვავილს. აღსასრულის მოახლოება რომ ვიგრძენი, ერთ-ერთ ახლობელს ნოტარიუსის მოყვანა ვთხოვე. იმ დღეს ტევა არ იყო ჩემს სახლში, მოკეთეები ერთმანეთს ეცილებოდნენ სიტყვაკაზმულობაში. მათი პირიდან თაფლი გადმოდიოდა. თურმე ნუ იტყვით, მახინჯი და უზნეო კი არა, მეფე სოლომონივით ლამაზი და ბრძენი ვყოფილვარ. მაგრამ ნეტავ გენახათ მათი სახეები, როცა ჩემგან გასულმა ნოტარიუსმა კითხვაზე, — ვის რა ვუანდერძე, ასე უპასუხა:

— უკანონოდ მითვისებული ქონება ჰქონია სადღაც ჩამარხული; ალბათ, საქმე სასამართლოს გადაეცემა და ქონებაც მის ნამდვილ მესაკუთრეს დაუბრუნდება.

სიამოვნებისაგან ისე ავხითხითდი, მთელი სხეულით ვძაგძაგებდი, მერე თანდათან ჩავწყნარდი და თვალები მივლულე. ვცადე საკუთარი დასაფლავების დღე წარმომედგინა. ალბათ, დაკრძალვაზე ორიოდ ღვთისმსახურის მეტი არავინ მოვა... თუმცა რატომ, რამდენიმე თანამოსაქმესთან ანგარიში გაუსწორებელი მაქვს, აი, ისინი ვალდებული არიან მოვიდნენ, მათგან საკმაოდ დიდი თანხა მერგება. თუმცა მოვლენ კი, ვინ იცის?.. უეცრად ვიგრძენი, რომ ბნელდებოდა, მივხვდი, საღათას ძილს თავს ვეღარ წავართმევდი, სინანულით ამოვიოხრე და გავიფიქრე: ნეტავ როდისღა გამეღვიძება-მეთქი.

ჰაბა, ნაგილა

ისინი სასტუმრო „ქუთაისის“ წინ სკვერში საუბრობდნენ. საღამოვდებოდა. ადრიანი შემოდგომის სურნელი იდგა. მიწა მოყვითალო, მკვდარი ფოთლებით იყო მოფენილი... სკვერიდან ოქროსფრად მოსირმული ბულვარი ჩანდა.

— არ უნდა წასულიყავით, ბიჭო, არა!

— რატომ? დაუსაბუთე, რატომ არ უნდა წასულიყვნენ? – გამომწვევად გადახედა მას გაიოზმა.

— ამათი სამშობლო აქ არის, ესენი ქართველები არიან.

— რწმენა აქვთ ებრაული, მთავარი ხომ ესაა. — საუბარში ბონდო ჩაერია.

— მოეშვი, თუ ძმა ხარ, ამ რწმენას, — აგდებულად თქვა ავთანდილმა და წამოდგა, დონ-კიხოტივით ატოტილი სკამს ხელებით დაეყრდნო.

ილო სკამზე ჩამოჯდა და თავი ჩაღუნა.

— კერპი კაცია მამაჩემი, — თქვა მან, — ძნელია მასთან ლაპარაკი, თუმცა იქნებ მართალიცაა...

სასტუმროს რესტორანში ორკესტრმა დაიქუხა.

— კმარა, გეყოფათ, — თქვა უეცრად დემურიმ. იგი გვერდზე იდგა და რესტორანს მისჩერებოდა. — ამ საქმეს ახლა არაყის მეტი არაფერი უშველის. კაცი მიდის და გზა დავულოცოთ.

...სკვერიდან გამოვიდნენ, ქუჩა გადაჭრეს, სასტუმროს გვერდით ჩაუარეს, ხელმარცხნივ შეუხვიეს და წულუკიძის ბაღის პირდაპირ რესტორან „იმერეთში“ შევიდნენ.

ელექტონის შუქით განათებულ დარბაზში კერძებით დამძიმებულ მაგიდებს შორის მიმტანები ციბრუტივით ტრიალებდნენ. მოქეიფენი შეზარხოშებულნი იყვნენ. კერძების სურნელით გაჟღენთილი ჰაერი თამბაქოს კვამლით გაზავებულიყო. ბუფეტის გვერდით შემაღლებულ ადგილზე ორკესტრი უკრავდა. ახალმოსულები ღია კარით ეზოში გავიდნენ. აივნის ქვეშ, კედლის გასწვრივ შეწყვილებული მაგიდები იდგა და იქ დასხდნენ. აივნის

ჭერს ქვემოთ, კედელზე ნათურები ენთო, შუაგულ ეზოში შადრევანი ჩხრიალებდა, რომლის ქვეშაც ნარნარად დაცურავდნენ სადღაც წყლის ფსკერიდან განათებული ოქროსფერი და ვერცხლისფერი თევზები.

დასხდნენ.

თეთრწინსაფრიანი ახალგაზრდა ქალი მიუახლოვდათ.

— რა მოგართვათ?

— არაყი, სალათა, პური და ტყემლის საწებელი. — უთხრა მას დემურიმ. — თანახმა ხართ, ბიჭებო?

— კი ბატონო, — უპასუხა გაიოზმა. — ოღონდ, წინასწარ გაფრთხილებთ ყველას, — გრძელ-გრძელი სადღეგრძელოები არ გამაგონოთ.

გაეცინათ. იცოდნენ, გაიოზი ამას ავთანდილის მისამართით რომ ამბობდა.

მომტანი წავიდა.

— სტუდენტობას არაფერი სჯობია, არა, ბიჭებო?! — თქვა იაკობმა. — ცხოვრება რთულია. აქ ყველაფერი სხვაგვარადაა.

— აბა! — აჰყვა ბონდო, — ბავშვობის ტკბილი წლები მაინც ყველაზე დაუვიწყარია...

ისინი ათი წელი ერთად სწავლობდნენ, მეგობრები იყვნენ. ორ კვირაში ილო ისრაელში მიემგზავრებოდა და, რაღა თქმა უნდა ეს შეხვედრა სამუდამოდ უნდა დარჩენილიყო მათ ხსოვნაში.

მომტანმა ქალმა სხარტად გააწყო მაგიდა.

— რაც კარგია, კარგია. — დემურიმ ჩაიღიმა და თვალი გააყოლა მიმავალ ქალს.

არაყი ჭიქებში ჩამოასხეს.

— სიმწარე აგვშორებოდეს.

— ამინ!

დალიეს. მერე პური გატეხეს...

დემურიმ ისევ ბოთლისაკენ გაიწვდინა ხელი.

ავთნდილმა დაასწრო, ჭიქით ხელში, ფეხზე იდგა უკვე.

— დაიწყო ახლა, ამან ისტორიები, — თქვა გაიოზმა და ხელები გაშალა. იგი ტანმოვარჯიშე იყო და ხელისგულები სულ დაკოჟრილი ჰქონდა.

ავთანდილმა მის ქილიკს ყური არ ათხოვა.

— ბიჭებო, ჩვენგან სულ ახლოს მოედინება ჩვენი ბალღობის მეგობარი რიონი, იქ თეთრი ხიდია, ზემოთ წითელი და ჯაჭვის ხიდებია; იქიდან გუმათისა და რაჭის გზა იწყება, საიდანაც მოჩანს მწვანეყვავილა, ქართველ ებრაელთა საცხოვრებელი უბანი. დღეს მიდიან ისინი, ტოვებენ მშობლიურ მიწა-წყალს. საკითხავი კია, ღმერთმანი, ნუთუ ეგრე იოლია წინაპართა საფლავების მიტოვება? გაიხსენეთ ვამეხი რას ეუბნება ბარამს:

„...საქართველოში მცხოვრები ებრაელები იგივე ქართველები არიან. დაუკვირდით მათ იერს, მოყვანილობას, პირსახეს, ვერაფრით ვერ გაარჩევთ ქართველებისაგან...“[1]

ავთანდილმა სიტყვა დაასრულა, არაყი გადაჰკრა და დაჯდა.

— მართალია ეგ, — თქვა ხმამაღლა იაკობმა, — ხშირად მიფიქრია, უხსოვარ დროიდან საქართველოში ვცხოვრობდით, ქართული ანა-ბანა გვისწავლია, ქართული მიწის ბარაქით დავიზარდენით და როგორ გავხდით ებრაელები-მეთქი.

უთქმელად დალიეს და ახლა საწებელს გაუსინჯეს გემო.

— მამაშენი, ვთქვათ მორწმუნე კაცია. შენ რას ფიქრობ? — ჰკითხა ავთანდილმა ილოს. — სამსახური კარგი გქონდა, პატივს გცემდნენ...

ილო ადგა.

— იქნებ მართალი ხართ ძმებო; ვინ იცის, იქნებ მართალი ხართ, მაგრამ ამ წუთში, მე, მხოლოდ ერთი სადარდებელი მიღრღნის გულს, ნეტავ თუ დადგება ის დრო, გულღიად და ალალად რომ ვუთხრათ საქართველოს: უანგარო იყო და არის ჩვენი სიყვარული მშობლიური მიწის მიმართ-თქო, დღეს გაბზარულია ეს სიყვარული. მის განმრთელებაზე ზრუნვა თქვენი ვალია, ვინც

1. შალვა დადიანის რომანის „გვირგვლიანების ოჯახის“ პერსონაჟები.

აქ დარჩებით, ჩემო იაკობ, ჩვენ სხვა ვალი გვაწევს... ერთი სიმართლეც უნდა გითხრათ, — ილოს კილო შეეცვალა, — აღარ შემიძლია ყოველ საეჭვო შემოხედვაზე ვიყვირო: გამიგეთ, ხალხო, მეც მიყვარს ქართული მიწა, მისი მთები, ველ-მინდვრები, მდინარეები, წყაროები და ნაკადულები; თაკარა მზით განმტკიცებული ბელტიც მიყვარს მისი, რადგან მე ამ ბელტისაგან ვიშვი, მან გამომკვება და აღმზარდა...

სათქმელი ვერ დაამთვრა. მღელვარებისაგან პირში ნერწყვი გაუშრა, ყელში ბურთი მოაწვა, მთელი ტანით ათრთოლდა, არაყით სავსე ბოთლს დასწვდა და სუფრის კიდეს გვერდულად, ძლიერად დაარტყა. ბოთლი დაიმსხვრა. არაყი იატაკზე დაიღვარა. ბოთლის თავი წვეტიანი ნამსხვრევით ხელში შერჩა.

— დაიმახსოვრეთ, ვინც კიდევ ერთხელ მომაგონებს წასვლის ამბავს, ამ ნამსხვრევს სახეში ვლეწავ. თავი მომაბეზრა უკვე... ამ მწარე არაყის სმაც აღარ მინდა.

იგი შებრუნდა მიმტანისაკენ, რომელიც ხმაურზე შემოსულიყო. დარბაზის ღია კარიდან განციფრებული მოქეიფენი იცქირებოდნენ.

— „ქინძმარაული“ მთელი ყუთი! — ხმამაღლა უთხრა მან გაკვირვებულ ქალს, — დღეს ღვინოში უნდა ვიბანაო.

და სუფრაზე თანდათან ჩნდებოდა სისხლისფერი ქინძმარაულით სავსე ბოთლები, შავი და წითელი ხიზილალა, სულგუნი, მჭადები, ნადუღი, მჟავე წიწაკა, მწვანილი, ჩაშუშული, შემწვარი წიწილები და შამფურზე წამოგებული ხბოს ცვრიანი მწვადები.

ილომ ჭიქა შეავსო და მაღლა ასწია.

— სიცოცხლეს და სიყვარულს გაუმარჯოს, ბიჭებო! დავლოცოთ ის ტკბილად მოსაგონარი წუთები, ნეტარებით ერთად რომ გვიტარებია წყალწითელაზე, გაბაშვილის გორაზე, ბაგრატზე, გელათში, სათაფლიაზე. დავლიოთ ყველა იმათი სადღეგრძელო, ვისაც ნაღდად, გულით უყვარს ეს წმინდა ადგილები.

ფეხზე ადგნენ და სულმოუთქმელად დაცალეს ჭიქები.

შემდეგ ილო დარბაზში გავიდა. იქიდან რომ დაბრუნდა, ხელები ჰქონდა გაშლილი. ორკესტრი შალახოს უკრავდა.

თავდავიწყებით ცეკვავდნენ, ვიდრე ორკესტრმა დაკვრა არ შეწყვიტა.

ღამის თორმეტ საათზე რესტორნიდან ხელიხელგადახვეულნი გამოვიდნენ. ხმადაბლა ღიღინებდნენ:

„მეჩეთი და სინაგოგა აქ სიონი წმიდათ-წმიდა,
კაცი იყავ კაცური და იქ ილოცე, სადაც გინდა“.

სხვებზე მეტად ილოს მოკიდებოდა ღვინო და ბიჭებმა სახლამდე მიაცილეს. იგი კათოლიკური ეკლესიის წინ ცხოვრობდა.

სახლის ჭიშკართან მდგარმა ილომ მარჯვენა ხელი გამომშვიდობების ნიშნად ასწია და მიმავალ მეგობრებს ნაწყვეტ-ნაწყვეტ გასძახა:

— ხვალ სალოცავში რაბინი დაგვილოცავს გზას. მოდით, აუცილებლად მოდით, ეგ ერთი დღეც დავიმახსოვროთ...

***

ხანში შესული, თავსაფრიანი დედაკაცები, ვიშვიშით გადიოდნენ ღია კარში.

— რა დღეში ჩავცვივდით ისრაელიშვილები, ვინ იფიქრებდა ამას? სიმა, შვილო, რავარც ჩახვალთ წერილი გამოგვიგზავნე, იცოდე! თვარა ჯავრი არ მომასვენებს. თავსაც გაუფრთხილდი და ქმარსაც. დანიელი თუ არ გეყოლა გვერდში, შე საცოდაო, შაურად არ ეღირება შენი სიცოცხლე, გახსოვდეს!

ახალგაზრდა ქალები სევდიანი სახით ეთხოვებოდნენ მასპინძლებს. სიმა თვალზე მომდგარ ცრემლებს თავსაფრის ბოლოთი იმშრალებდა და სამადლობელ სიტყვებს ლუღლუღებდა:

— დიდი მადლობა შეწუხებისთვის, თქვენ დაგენაცვლეთ, დიდი მადლობა.

გვარიანად დანაყრებული, ღვინო ნასვამი კაცები პაპიროსს აბოლებდნენ და დაფიქრებული მიჰყვებოდნენ ქალებს.

კაცებს დანიელი მიაცილებდათ.

— მე და ჩემმა მზემ, არ შვებით კაის, დროზე რო არ მიდიხართ, — ეუბნებოდა იგი მიმავალ სტუმრებს, — გაჟეჟილს გატეხილი ჯობია

ყოველთვინ. თუ გგონიათ, მე არ მწყდება გული? მისხალ-მისხალ გამონადენი სისხლით მაქ შეძენილი ე ქონება და ცხოვრება. მარა, დრო გამოიცვალა, დრო... ისრაელიშვილს აქ აღარ ედგომება. რატო თუ იცით? ყაჩაღების ხელშია კომერცია, თუმნიან საქმეში ას მანეთ თხოულობენ. ვაი, ამ საათ! ვაი, ამ საათ! საიდან, როგორ? ამას არავინ კითხულობს. არ უნდათ მიხვდნენ, რომა ეგ ოხერი ეკონომია ამდენ ვერ გაწევს. რაფერ მოვიქცე? სახელმწიფოს მოვპარო და ბანდიტ მივცე? ესე არც რჯულში მაქ დაკანონებული და არც თორაში მიწერია. ესეც არ იყოს, გაახილეთ თვალი, ვერ უყურებთ, ქვეყანა მიდის. ბრძანა ი დალოცვილმა, — ისრაელებო, დაბრუნდით თქვენ მიწაზე და ოხრად ვტოვებ ამდენ ნაწვალებ-ნაჯახირებს, მივდივარ გამჩენის სახელზე, ბევადაი[1] ასეა.

— ღმერთი შეგეწიოთ, ღმერთი. — ჩაიბუხუნა ერთმა. — მაგაზე არ იჯავრო, ბელოინდერ,[2] ჩვენც დავადგებით შენ გზა და კვალ.

— წაღმა იარეთ, წაღმა! — თქვა მეორემ.

ზღურბლზე გადააბიჯეს თუ არა, ოთახში მაგნიტოფონი ჩართეს. ჰარი ბელაფონტე „ჰაბა, ნაგილას“[3] მღეროდა.

დანიელი და სიმა ილოს მშობლები იყვნენ. ისინი წითელი აგურით ნაშენ ორსართულიან სახლში ცხოვრობდნენ. საკმაოდ ვრცელი ეზო-კარი ლითონის მესრით შემოერაგვათ. ჭიშკრიდან სახლამდე სატალავრე რკინებზე ადესა დამწიფებულიყო. სახლის წინ, ბაღში ბალი, ტყემალი, ვაშლი, კომში და ხურმა ხარობდა. ეზოს სიღრმეში გარაჟი მოჩანდა.

სტუმრები რომ გააცილეს, ცოლ-ქმარი სასტუმრო ოთახში დაბრუნდა.

მათი ქალიშვილი ლალი, მუსიკის ტაქტს აჰყოლოდა, ღიღინებდა და თან ცეკვავდა. იგი ჩვიდმეტი წლისა იყო.

ილოს მეუღლე, მადონა, სუფრას ალაგებდა.

1. ბევადაი – ღმერთმანი.
2. ბელო ნედერ — აღთქმის უგულებელყოფა.
3. ჰაბა, ნაგილა — მოდით, ვიმხიარულოთ.

ილო მაგიდიდან მოშორებით იჯდა. წინა ღამის ნამთვრალები უხასიათოდ იყო, სტუმრებთან სუფრაზე ღვინოს აღარ მისძალებია. მას ფეხი ფეხზე გადაედო და ნაღვლიანი ღიმილით მისჩერებოდა ცეკვა-სიმღერით თავდავიწყებულ დას, რომელსაც ძლიერ შვენოდა ზღვისფერი კაბა და მაღალქუსლიანი ფეხსაცმელი.

სიმა შემოსვლისთანავე მადონასთან გაჩნდა.

— მარტო რავა ალაგებ, ქალო, სუფრას, დაანებე თავი, ჯობია ბავშვს მიხედო, გამოიღვიძებდა უკვე, დავენაცვლე. — მერე ქალიშვილს დაუცაცხანა.

— რატო არ ეხმარები გოგო რძალს, არ გრცხვენია?

ლალიმ მაგნიტოფონის ხმას აუწია.

სიმამ უკმაყოფილოდ გადახედა მას და ჩაილაპარაკა:

— არაფერში არგიხართ დედებს, ახლანდელი გოგოები.

— ბავშვი ახალი ჩაძინებულია, დედა, მოგეხმარები, — უთხრა მადონამ სიმას.

დანიელმა ქალიშვილს გადახედა.

„ჩემი ჯილაგია, — გაიფიქრა მან და გაიღიმა, — გულთან არაფერი არ მიაქ“.

სწორედ ამ დროს ძლიერად დააკაკუნეს კარზე.

რატომღაც უსიამოვნოდ შეკრთა დანიელი.

კარები სიმამ გააღო. კარის ჩარჩოში გამოჩნდა ახმახი კაცი. სიმას არ ეამა მისი დანახვა, მაგრამ სახეზე ნაძალადევი ღიმილი მოეფინა.

— მობრძანდით, პატივცემულო ლექსო, მობრძანდით.

ლექსომ ზღურბლზე გადმოაბიჯა.

— გამარჯობათ!

ილო წამოდგა და მაგნიტოფონი გამორთო.

ლალი გაიბუტა, ძმას გაუბრაზდა.

— დროზე მოგვისწარი მე და ჩემმა ღმერთმა. აი, აქ დაბრძანდი, ჩემო ლექსო, — უთხრა სტუმარს დანიელმა.

— დასაჯდომად არ მცალია, დანიელ, დარჩენილი ფული მოგიტანე. დაითვალე, ნოტარიუსშიც ყველაფერი გავახაზირე. მარტო ხელის მოწერა უნდა და ბინას ჩემს სახელზე გააფორმებენ.

— რათ უნდა დათვლა. პირველად გვაქვს ერთმანეთთან საქმე?

— ფული ისეთი საქმეა, მამა შვილს არ ენდობა, შენგან მაქ ეგ გაგონილი, დაითვალე!

დანიელმა ისე ამოიოხრა თითქოს გული თან ამოაყოლაო.

— ფულს უყვარს დათვლა, მარა მაშინ სხვა დრო იყო, არსად ვაპირებდი წასვლას. ასეც რო არ იყოს, ახლა შაბათ ღამეა და ფულ არ დავითვლი. — მან ხელი ჩაიქნია. — ეს ჭიქა აწიე და დაილოცე!

ლექსომ ფულის შეკრული დასტა მაგიდაზე დადო და ჭიქა ჩამოართვა.

— მშვიდობ-შალომიანად გევლოს შენი ცოლ-შვილით, სადაც წახვიდე, დანიელ.

— ამენ! — ჩაიდუდუნა დანიელმა და გულში რაღაც ჩაწყდა.

ლექსო წავიდა.

სიმა, მადონა და ილო საცოდავად მხრებჩამოყრილნი უცქეროდნენ მიმავალ ლექსოს. უფროსების მოწყენილობა ლალისაც გადაედო.

დანიელმა სტუმარი გააცილა, კარები მიხურა და შემობრუნდა.

გული დაუმძიმა ჩამომტირალმა სახეებმა. ეჭვის ჭია შეუჩნდა.

„ნუთუ დანაშაული ჩაიდინა, ფუძე რომ მოშალა? იმ ადამიანივით წინდაუხედავად ხომ არ მოიქცა, რომელიც მხოლოდ თავის სურვილებს უწევს ანგარიშს?“

რძალ-დედამთილი ხელსაქმეს მიუბრუნდნენ, ალაგებული ჭურჭელი მაგიდაზე დაეხვავებინათ და სამზარეულოში გაჰქონდათ.

თეფშის მტვრევის ხმამ ფიქრი გაუწყვიტა დანიელს.

სიმა იატაკზე ჩაჩოქილიყო და ნამსხვრევებს აგროვებდა.

ლალი მაგნიტოფონს აწვალებდა ხელში და ვერ გადაეწყვიტა ჩაერთო თუ არა.

ილო ისევ სკამზე დამჯარიყო და ფეხი ფეხზე გადაედო.

— ნავსი გატყდა, სიმა, ნავსი! — გამოცოცხლდა უეცრად დანიელი და სქელ ტუჩებზე ღიმილი მოეფინა. — სასიკეთოა, იცოდე, სასიკეთო, — უთხრა მეუღლეს და უეცრად მოვარდნილი სევდა გულიდან ჩამოეხსნა. მერე ლალის მიუბრუნდა.

— ჩართე, შვილო, მაგნიტოფონი, მოგვასმენინე ჰაბა, ნაგილა. იმღერე, იცეკვე, იმხიარულე...

ისევ აჟღერდა მუსიკა, ლალი ძმასთან მივიდა, შეეხვეწა ვიცეკვოთო. დანიელმა მაგიდიდან ფული აიღო.

— შევინახამ ამ ფულ, შვილო, და წავიდეთ ლოცვაში, გაიხედე, უკვე ჩასულია მზე.

ილომ დისგან თავი გაითავისუფლა.

სიმას და მადონას სუფრა აელაგებინათ და სამზარეულოში საქმიანობდნენ.

***

იაკობი, ამხანაგებთან ერთად, ქართველ ებრაელთა სალოცავის ალაყაფის კარებთან იდგა. მან შარვლის უკანა ჯიბიდან ფესი ამოიღო.

ებრაელს კანონის თანახმად ეკრძალებოდა სალოცავში უფესოდ შესვლა.

— ჩვენ რომ არ გვაქვს ჩაჩი? — იკითხა ავთანდილმა.

— სხვა რწმენის ადამიანს უფლება აქვს უიმისოდაც შევიდეს სალოცავში. — თქვა იაკობმა და ფესი თავზე მოირგო.

ყველანი ალაყაფის ღია კარში შევიდნენ.

ქვითკირის გალავნის გასწვრივ ალვის ხეები იყო ჩარიგებული. ვრცელ ეზოში ორი შენობა იდგა.

იაკობი მაღალი შენობისკენ გაემართა. მეგობრები მას მიჰყვნენ.

სალოცავის მთავარ შესასვლელს ოთხი წრიული კოლონა ამშვენებდა, რომლებიც კიბის ბაქანს ეყდრნობოდნენ. მუხის მაღალი, ორფრთიანი კარების ზემოთ, სადაც ელნათურა ენთო, კედელზე ეწერა:

„განაღეთ ბჭენი სიმართლისანი, ბჭენი იგი — ცათა შინა. შემოვალ მე, ვადიდებ გამჩენს“.

იაკობმა კარები შეაღო. სალოცავში შევიდნენ. ტარეცს აივანი გასდევდა. იგი მორწმუნე ქალებისათვის იყო განკუთვნილი. მშენებლებს საკმაოდ დიდი ფართობის გადახურვა საყრდენების გარეშე მოეხერხებინათ. აჩახჩახებულ თითბრისა და ბროლის ვეებერთელა ჭაღს ქვემოთ თება[1] იყო, იქ სისიტით[2] თავდაბურული რაბინი ლოცულობდა.

მლოცველები თავდახრილნი იდგნენ თების ირგვლივ განლაგებულ თავიანთ სკამებთან და განუწყვეტლივ იმეორებდნენ რაბინის წარმოთქმულ სიტყვებს.

ზემოთ, საქალებოში, თავსაფრით თმააკრული დედაკაცები, შუბლით მიყრდნობოდნენ ლითონის გისოსებიან მოაჯირს, გულში მჯიღს იცემდნენ.

როცა რაბინი ლოცვის დროს „ბარუხს“[3] წარმოთქვამდა, მთელი დარბაზი, ვით ერთი კაცი გუგუნებდა.

„ბარუხ, ბარუხ, შემო!“

მალე სეფერთორა[4] გამოაბრძანეს ეხალაკოდეშიდან[5].

მლოცველები თავს ხრიდნენ სეფერთორის წინაშე და კოცნიდნენ მას.

სეფერთორა თებაზე ააბრძანეს; გახსნეს და მოამაღლეს.

რაბინი ხალხისაკენ შემობრუნდა, ახალგაზრდა კაცი იყო, ახლად აშლილი წვერ-ულვაში ჰქონდა.

— ჯანმრთელობა გამოუგზავნოს ადონიამ ყველა ავადმყოფ! — იქადაგა მან და ორივე ხელი მაღლა შემართა.

— ამენ! — გუგუნებდა დარბაზი.

— მოუფონოთ ადონაიმ დავრდომილებ, გაჭირვებულებ, ღარიბებ, ოთხ კედელში გამომწყვდეულებ, ცის იერი რომ ენატრებათ!

— ამენ!

— დოლათი, ფარნასა, აცლახა, რევახა გამოგიგზავნოთ, აკადუშ ბარუხუმ!

— ამენ!

1. თება — სალოცავში რაბინისათის განკუთვნილი შემაღლებული ადგილი.
2. სისიტი — მოსასხამი.
3. ბარუხ – კურთხევა.
4. სეფერთორა — მოსეს ხუთწიგნი.
5. ეხალაკოდეში — სეფერთორის შესანახი ადგილი

— ყოფილიყოს მშვიდობა, შალომი მთელ მსოფლიოში!

— ამენ!

ამ დღისათვის განკუთვნილი ტექსტი წაიკითხეს და სეფერთორა ისევ ეხალაკოდეშში შეაბრძანეს.

შამაშმა[1] თებაზე აიტანა: თავზე ჭიქაჩამოცმული გრაფინით ღვინო, ვერცხლის ჭურჭლით მიხაკი და მსხვილი ანთებული თაფლის სანთელი.

რაბინმა ბოლოს ღვინო აკურთხა.

რიტუალის დამთვრების მერე მან ხმამაღლა გამოაცხადა:

— სმენა იყოს და გაგონება, ჩვენი საზოგადოების ღირსეული წევრი დანიელ ბენიამინიშვილი თავისი დიდი ოჯახით ერეცი[2] ისრაელში მიემგზავრება, მშვიდობის გზა ვუსურვოთ მათ. გაითვალისწინეთ ისიცა, რომ მთავრობას ჩვენი წასვლა აქედან არ უნდა. თორაში წერია, ერეც ისრაელში შევიყრებითო, მაგრამ ეს საკითხი ადვილი გადასაწყვეტი არ არის. დიდი დაკვირვება უნდა. დანიელი მორწმუნე კაცია. გამჩენმა ხელი მოუმართოს. ვთხოვოთ დანიელ და მის ვაჟიშვილს ამოვიდნენ თებაზე. ჯამაათის დალოცვა დიდი ძალაა...

დანიელი და ილო მლოცველებს გამოეყვნენ და ნელი ნაბიჯით აუყვნენ თებაზე ამავალ საფეხურებს.

რაბინმა დალოცა ისინი და ხალხს მიმართა:

— ახლა შეგიძლიათ დაემშვიდობოთ.

რიგრიგობით მიემართებოდნენ კაცები თებისაკენ. იაკობი, ავთანდილი, გაიოზი, დემური და ბონდო რიგში გამწკრივდნენ.

— წრე გააკეთონ, წრე, — გაისმა ხმები, როცა დამშვიდობება დამთავრდა, მამა-შვილი თებიდან ჩამოვიდნენ.

ხალხი მღეროდაა:

„შალომ ალეხემ, შალომ ალეხემ, შალომ ალეხემ,

შალომ, შალომ, შალომ ალეხემ“.

1. შამაში — სალოცავის დარაჯი.
2. ერეც — მიწა.

***

რკინიგზის სადგურის ბაქანი ხალხით იყო გაჭედილი. მატარებლის გასვლას თხუთმეტი წუთი აკლდა. მგზავრები ძლივს მიიკვლევდნენ გზას ვაგონებისაკენ.

ერთ-ერთ ვაგონთან ბაქნის კუთხეში, დანიელი, სიმა, მადონა და ლალი ახლობლებს, ნათესავებს და მეზობლებს რკალში მოექციათ.

მადონას ორი წლის ბავშვი ჰყავდა მკერდზე მიხუტებული.

ლალის მაგნიტოფონი ეჭირა ხელში. ისევ ჰაბა ნაგილას უკრავდა იგი. ეხვეოდნენ, ჰკოცნიდნენ, ემშვიდობებოდნენ ერთმანეთს.

— წერილები მოგვწერეთ!

— ბავშვს მიხედეთ!

— ჭკუით იყავით!

ილო ვაგონის საფეხურზე შემდგარიყო, ცალი ხელით სახელურს ჩაფრენოდა, კისერი წაეგრძელებინა და აკვირდებოდა პლატფორმაზე მოზღვავებულ ხელბარგით დატვირთულ მგზავრებს, ვაგონებისაკენ ფაციფუცით რომ მიიჩქაროდნენ. შავი კრეპის კოსტუმის ღილები შეხსნილი ჰქონდა. ეცვა თეთრი ატლასის მაღალსაყელოიანი ბლუზი და გალიფე შარვალი. წვივზე შემოტმასნილ ცარსკებს ბზიალ-ბზიალი გაჰქონდათ. წელზე ვერცხლით გაწყობილი, მსხვილბალთიანი ქამარი შემოერტყა. თავზე სვანური ქუდი ეხურა. შუბლზე მუქი წაბლისფერი თმები გადმოჰყროდა, რომელსაც ნიავი წარამარა აწვალებდა.

— ილო! — მთელი ხმით იყვირა ვიღაცამ.

ეს იაკობის ხმა იყო.

„მოვიდნენ“ — გაიფიქრა მან და გული აუჩქროლდა.

წინ იაკობი მოიჩქაროდა...

ისინი ვაგონში შესასვლელ კარს მიუახლოვდნენ.

— ჩამოდი ილო, ძირს ჩამოდი, თორემ დამშვიდობებას ვეღარ მოვასწრებთ. — ასძახა მას იაკობმა.

— შენი საყვარელი ქინძმარაული მოგიტანეთ. — უთხრა გაიოზმა.

— კალათებში ჭაჭა, სულგუნი, ჩურჩხელები და ხილია — დაუმატა ბონდომ.

— ჩამოდი, შე კაცო, რაღას უყურებ! — გაიჯგიმა დემური.

— შემირცხვენია ამნაირი დამშვიდობება. — ცხარედ, ყვირილით უთხრა მათ ილომ და ერთი საფეხურით მაღლა აიწია.

შეცბნენ ბიჭები. არ მოელოდნენ ასეთ შეხვედრას.

„მატარებელი ნომერი... წყალტუბო-მოსკოვი ხუთი წუთის შემდეგ გადის პირველი ლიანდაგიდან, ვიმეორებ...“ — გაისმა ამ დროს.

დანიელი, სიმა, მადონა და ლალი ვაგონისაკენ გაემართნენ. ილო მიეშველა მათი. იგი აღაც კი ამჩნევდა ბაქანზე მდგარ თავჩაქინდრულ მეგობრებს.

მატარებელმა შეჰკივლა.

უეცრად ილო ცოლისაკენ შებრუნდა და უთხრა:

— ბავშვს კარგად მიხედე. გზაში არ გაგიცივდეს. ჩემზე არ იფიქროთ. მოსკოვში სადგურზე დაგხვდებით. არ შეგეშინდეთ, იცოდეთ, არ შეგეშინდეთ!

მატარებელმა სიჩქარეს უმატა.

მადონამ გაოცებისაგან პირი დააღო. რაღაც უნდოდა ქმრისთვის ეთქვა. ვერ მოასწრო, რადგან ილომ სწრაფად ჩაინაცვლა ვაგონის ქვედა საფეხურზე, მარჯვენა ხელით ლითონის სახელური ჩაბღუჯა, ზურგი მორკალა და სწრაფად დაძრულ მატარებლიდან მოხერხებულად გადახტა ბაქანზე.

— ილო! ილო! ილო!..

გაისმა სასოწარკვეთილი ყვირილი და ვაგონის კარებს გაფითრებული ახლობლები მიაწყდნენ.

მეგობრები ილოსაკენ გამოენთნენ.

— ეს რა ქენი, შე ღმერთგამწყრალო?! — უკიჟინებდნენ და განცვიფრებული შესცქეროდნენ მას...

***

განათებული დარბაზის შუაგულში ათი კაცისათვის მაგიდა იყო გაშლილი. მაგიდის თავში არღანი წამოსკუპებულიყო, ყარაჩოღელის ტანსაცმელში გამოწყობილი, წკიპზე შემდგარი მეარღნე ბრძანებას ელოდა.

— მოსკოვში, თბილისიდან გადავფრინდები ზეგ დილით, ბიჭებო, — უთხრა ილომ გაოცებულ ძმაკაცებს. — დღეს და ხვალ ჩემი დღეა, იცოდეთ! ქუთაისს ასე უნდა დავამახსოვრდე. — მაგიდიდან ბოთლი აიღო, სისხლისფერი ქინძმარაულით ჭიქა შეავსო, მაღლა ასწია და მთელი ხმით დასჭექა:

— გაუმარჯოს საქართველოს!

ილო ტიროდა.

იმერეთის გაზაფხული

ცხრა ვაჟი და ერთი ქალი ჰყავდა იმერეთის ძლიერ თავადს ქართლოს ერისთავს. ცხრა ვაჟკაცი ხელისგულზე ატარებდა უსაყვარლეს არსებას. ვარდისმზე ერქვა ერისთავის ასულს.

— დაუტყვევებიხართ ზღვის ქაფის სიკისკასეს სანაპიროზე?

— ზღვის ქაფის სითეთრე გადაღვროდა ქალწულის სახეს.

— შესწრებიხართ ვარდის გაფურჩქვნას ადრე გაზაფხულზე?

— ვარდის ფურცლებივით ჰღვივოდა ქალწულის ბაგეები.

— შეგისვამთ ბროლის თასით რაჭული ხვანჭკარა?

— ქართული ღვინის ეშხი ჩაღვრილიყო უტურფესის თვალებში.

— გინახავთ ვით ირხევა ლერწამი ქარში?

— ისე ირხეოდა წერწეტი ტანი ერისთავის ასულისა.

— გაუტაცნიხართ ჩანჩქერის ზილფებზე მზის ათინათის სიკაშკაშეს?

— ასე ელვარებდა ვარდისმზის გულ-მკერდზე ჩამოღვრილი დალალთა ჩანჩქერი.

„იმერეთის გაზაფხულს“ ეძახდნენ ვარდისმზეს. ცხრა მთასა და ცხრა ზღვას იქით ლაპარაკობდნენ ქალწულის მომხიბვლელობაზე. სიმღერებს თხზავდნენ მის ზღაპრულ სილამაზეზე.

ბევრჯერ სცადეს დასაკუთრებოდნენ „იმერეთის გაზაფხულის!“ გულს, მაგრამ უშედეგოდ, ვერსად მოინახა ბადალი მისი.

იმერეთი სათუთად იფარავდა თავის გაზაფხულს სუსხისაგან.

* **

გალიაში გამომწყვდეული არწივივით აწყდებოდა თავისივე ციხე-დარბაზის კედლებს ოსმალთ სულთანის ვაჟიშვილი და ტახტის მემკვიდრე ჰალილ ზაგდალი. თითქმის ყოვლისშემძლემ ორჯერ სცადა ვარდისმზის დასაკუთრება და ორჯერვე ხელმოცარული დარჩა. ქართველთა მცირერიცხოვანმა ლაშქარმა იმერეთის მთების ვიწრო ხეობებში შეიტყუა ოსმალთა ურიცხვი ჯარი და სასტიკი მარცხი აგემა მომხდურს.

რისხვით აენთნენ ჰალილ ზაგდალის ორბის თვალები.

და მოითხოვა ოსმალთ მომავალმა მბრძანებელმა მიეგვარათ მისთვის ჯადოქართ ჯადოქარი ჯილაიდაზადი.

შეუსრულეს ნაბრძანები ქვეშევრდომებმა.

— ჯილაიდაზადი! — მიმართა ჯადოქარს ჰალილ ზაგდალიმ, — „იმერეთის გაზაფხულის“ ტრფობა ჩამივარდა გულში...

ჯადოქრის ჭრელ თვალებში ცბიერი ღიმილი გაკრთა, ჩაშავებული მეჩხერი კბილები გამოაჩინა. მერე ღამის ზღვასავით შავი თმები შეარხია, უცხო თვლებით მოოჭვილი, წვრილზე წვრილი თითები გაფარჩხა, არათითი გამოჰყო და მბრძანებლისაკენ გაიშვირა.

კაკლის ოდენა მარგალიტით გაწყობილი ბეჭედი წამოაცვა ჯილაიდაზადის არათითზე ჰალილმა.

იმავე წამს ჰაერში აფარფატდა ჯადოქრის აწოწილი, ხმელი გამოსახულება და გაჰქრა... ოსმალთ სულთნის ტახტის მემკვიდრეს უდიდესი ძალა ჩაეღვენთა ახოვან სხეულში.

გაუჩინარებული ჯადოქრის მხოლოდ ხარხარიღა ისმოდა დარბაზში.

გუმბათი ყრუდ გუგუნებდა.

„ადამის მოდგმის დამზადებული იარაღი ვერას გავნებს ჰალილ, ვიდრემდი სული შენი მრისხანებით იქნება მოცული!“

მსწრაფლ საჭურველი მოითხოვა ტახტის მემკვიდრემ.

ოქროსვადიანი ხმალი და ლომის ტყავგადაკრული ფარი მიართვეს ჰალილს. ხმალი მარჯვენა ხელში დაიკავა და ფარი მხარზე გადაიკიდა. ყველაზე ფიცხელი ბედაური მიჰგვარეს მყისვე. რაშს ზურგზე მოახტა და იმერეთს მიაშურა.

***

ცხრა ვაჟითა და ერთი ქალითურთ სუფრას მისხდომია ქართლოს ერისთავი. ხელში ყანწი ეჭირა, როცა წერილი მიართვეს, ხმლის წვერს ააცვა იგი ჭარმაგმა მოხუცმა და წაიკითხა: „მე ჰალილ ზაგდალი, — ვაჟიშვილი და მემკვიდრე ოსმალთ სულთანისა, —

მოვსულვარ, რათა დავეუფლო შენი ასულის გულს. ხმლით შემიძლია დავამტკიცო ჩემი წადილის შეურყევლობა“.

ჭექა-ქუხილით დაიგრგვინა ცხრა ვაჟკაცმა. ომახიანად აჟღარუნდა მათი მუზარადები. ბრძოლის ველისკენ გაუძღვა ქართლოს ერისთავი საკუთარ ვაჟებს.

დაიწყო უთანასწორო შერკინება.

რკინა არ ჭრიდა ოსმალის მოჯადოებულ სხეულს, მამა-შვილთ უცოდველ სისხლში განიბანა მტარვალი.

ფერწასული შეჰყურებდა ვარდისმზე თავზარდამცემ სანახაობას. როს მამისა და ძმების სისხლში მოსვრილი ჰალილ ზაგდალი მას მიეახლა, კითხვით მიმართა ქალწულმა:

— უძლიერესო ვაჟკაცთა შორის, ქვის სულისა და სხეულის ადამიანს რისთვის დაგჭირდა უდანაშაულოთა სისხლის დანთხევა? შენ ხომ ვერასოდეს ვერ იგემებ იმ სიტკბოებას, რასაც ქალი ანიჭებს მამაკაცს.

— ჰოი, უმშვენიერესო მშვენიერთა შორის, — იყო პასუხი, — სული და სხეული ჩემი მხოლოდ მაშინ არის ქვა, როცა ვმრისხანებ. შენი ბროლის მკლავები ყინულს გაალღობენ და კვლავ ადამიანის სისხლი აჩქეფდება ამურის ისრით დაკოდილის ძარღვებში.

მიუახლოვდა ვარდისმზე ჰალილ ზაგდალის და ფერხთით განერთხო მის წინაშე.

უმალვე წამოაყენა ვაჟკაცის ძლიერმა ხელებმა ტურფა ასული.

მაშინ სისხლში მოსვრილი ხელები დაუკოცნა ვარდისმზემ ოსმალთ სულთანის ტახტის მემკვიდრეს.

სიხარულმა აღიტაცა ჰალილი, მყის საჭურველი მოიხსნა და მიწაზე დაჰყარა; ღიმილმა გაუპო ბაგეები, ორბის თვალებზე ნეტარების საბურველი გადაეფარა, ქალის ალერსით გაბრუებული სიამოვნების მორევში ჩაიძირა იგი.

უეცრად ვარდისმზის ფარჩის კაბის მოფარფატე სახელოდან მამისეულმა ხანჯალმა იელვა და ტარამდე ჩაერჭო გულში ჰალილ ზაგდალის.

„იმერეთის გაზაფხულის“ ფეხქვეშ გმინავდა სულთმობრძავი გადამთიელი.

ბედის საპირისპიროდ...

მამის ნათელ ხსოვნას

ყოვლადწმინდა ღვთისმშობელი
მოციცინობს თავშიშველი,
ღმერთო, ყველა მიდღეგრძელე —
სტუმარი და მასპინძელი!

— შეგვეწიოს მისი მადლიო, — თქვა ოჯახის უფროსმა და სასმისი დაცალა. გაისმა მხიარული შეძახილები, პატეფონი ისევ დაუკრეს. ოთახში არაბული ტანგოს მელოდია დაირხა. ახალგაზრდები წამოიშალნენ. მიშიკომ დრო იხელთა და იუბილარი გამოიწვია.

— კოკონა, — უთხრა ცეკვის დროს, — დღეს, ოტელოს იმედაშვილი თამაშობს, მისი პარტნიორი ზარდალიშვილია... ასჯერ რომ უყურო, არ მოგწყინდება... წამოიყვანე დაქალები, ვინც მარისთან ახლოსაა, თეატრში მე გპატიჟებთ!

ქალიშვილმა მრავალმნიშვნელოვნად ჩაიღიმილა.

— კარგი, ამ საქმეს მოგიგვარებ.

კოკონამ დანაპირები შეასრულა და მიშიკოს თვალით ანიშნა, — მივდივართო. ქუჩაში გამოვიდნენ, ზაფხულის მშვენიერი საღამო იყო. თეატრისაკენ მიმავალ გზაზე ხალხი სასეირნოდ გამოკრეფილიყო, ახლომახლო ეზოებიდან ფეხბურთის თამაშით გართული ბავშვების სტვენა და ღრიანცელი ისმოდა. სალაროებთან ხალხი ირეოდა, ვიღაც შეწუხებული წუწუნებდა:

— ღმერთო ჩემო, ბილეთები მეათე რიგშიაც აღარა გაქვთ? — რასაც მოლარის მშვიდი და ცივი პასუხი მოჰყვებოდა.

— აკი მოგახსენეთ, მარტო ქანდარაზეა დარჩენილი რამდენიმე ადგილი-მეთქი!

პირტიტველა ყმაწვილკაცები ციბრუტივით ტრიალებდნენ თეატრში შემსვლელთა თვალწინ, ზედმეტი ბილეთი ხომ არა გაქვთო, წარამარა კითხულობდნენ.

— ეხლავე აქ გავჩნდები!.. — თქვა მიშიკომ და სადღაც გაქრა.

— შენი გულისათვის მარი, დღეს ეს კაცი ნემსის ყუნწში გაძვრება, — კოკონამ მსხვილი ნაწნავები ზურგზე გადაიყარა და ერთ-ერთ ამხანაგს მიაცქერდა, — ჭიკოსთან ფოქსტროტს რომ ცეკვავდი, ნარდს თამაშობდა, თან თქვენკენ იყურებოდა; კინაღამ კისერი მოექცა საწყალს. დავიწვი მაგის საცოდაობით, პაპიროსს-პაპიროსზე ქაჩავდა.

გოგონებმა გადაიკისკისეს.

მარის ისე გაუღვივდა ლოყები, ნაკვერჩხალს სულს რომ დაუბერავენ, მაგრამ არაფერი თქვა.

მიშიკო უკან დაბრუნდა; გახარებული ჩანდა, ხელში რაღაც ეჭირა.

— ბილეთები ვიშოვე, შოკოლადი კი მიირთვით, კოკონა, ელიკო, ლილი... გთხოვთ...

ოთხკუთხა კოლოფთან სამი ნაზი ხელი ამოძრავდა. მარი უხერხულად შეიშმუშნა.

— ნუ იპრანჭები, გოგო! — ელიკომ მას ხუმრობით იდაყვი წაჰკრა.

ლილიმ ეშმაკურად მოწკურა თვალები და კოკონას შეხედა.

— ხანუმჯან, რაღას უცდი?

ხმამაღლა გაიცინეს.

ისინი იდგნენ ბულვარის წინ, ლითონის მესერთან ტოტებგაბარდნილი ჭადრის ძირში.

— მარი, გაიცანი მიშიკო, ჩვენი ახლად შეძენილი მეგობარი.

მარი შეეცადა შებოჭილობა დაეთრგუნა, გაიღიმა და ვაჟს ხელი გაუწოდა: ცისფერი კოფთა და შინდისფერი ქვედაწელი ეცვა, მაღალ ქუსლებზე შემდგარიყო, კოფთაზე ერთი ღილი შეუკრავი დარჩენოდა; ვაჟის მზერა დაიჭირა და წამით შავი წამწამები დახარა. ქალის კდემამოსილებამ მიშიკოს სითამამე შეჰმატა:

— აღფრთოვანებული ვარ თქვენით, ისე კარგად ცეკვავდით...

მარი ქათინაურს გამოეპასუხა:

— მაინც და მაინც კარგად არ გამომდის.

მიშიკომ სმენა დაძაბა, რომ მისი სიტყვები გაერჩია, მორცხვობით, თითქმის ჩურჩულით ლაპარაკობდა.

— საცაა წარმოდგენა დაიწყება, შევიდეთ თეატრში! — შესძახეს ამ დროს გოგონებმა...

***

წარმოდგენა დამთავრდა.

გზად მიშიკო ქალიშვილებს ესაუბრებოდა, ამ დროს ემოციებს ვერ ფარავდა ნახულის და განცდილის გამოსახატად, ზოგჯერ ხელებს იშველიებდა.

გზის გასაყართან შედგნენ. გოგონები ჯერ მარის გამოემშვიდობნენ, შემდეგ მიშიკოს შემოეხვივნენ გარს, მადლობა გადაუხადეს პატივისცემისათვის, თან სიცილით უთხრეს — მარის შენ გაბარებთ, სახლამდე მშვიდობიანად მიაცილეო.

მიშიკომ პაპიროსს მოუკიდა. თამბაქოს ბოლი რგოლებად დაიგრაგნა და მაღლა წავიდა. ბულვარის ყვავილების და ბალახის სუნით დამტკბარმა ღრმად ჩაისუნთქა ჰაერი და ქალს გვერდით გაჰყვა. ნელა მიაბიჯებდნენ. ერთხანს, ისევ მსახიობებზე წაისაუბრეს და მერე მიშიკომ მოულოდნელად საუბრის თემა შეცვალა, თვითონაც არ იცოდა, როგორ მოიკრიბა გამბედაობა, თითქოს დაუოკებელმა, წყალვარდნილივით მოვარდნილმა ძალამ უბიძგაო, უცებ საკუთარ გრძნობებზე წამოიწყო საუბარი:

— ისე ბედნიერი ვარ დღეს... ყველაფერს შევხარი. მიხარია, რომ სახლში მიგაცილებთ. ეს ღამეც მახარებს. ასე მგონია, რაც კი აქამდე ღამე მინახავს, ყველა ღამეზე მშვენიერია.

სულმოუთქმელად ლაპარაკობდა, გული გამალებით უძგერდა. გაიფიქრა კიდეც — სულელურად ხომ არ ვლაყბობო და სახეზე სისხლი მოაწვა, მაგრამ სათქმელი მაინც დაამთავრა:

— დიდი ხანია მომწონხართ. არ ვიცი რატომ და რომ დაგინახავთ თავგზა მეკარგება.

მარი შედგა, გაბუტული ჩანდა და მიშიკომ ამიტომ ჰკითხა, ხომ არ გაწყენინეთო. ქალიშვილმა ვარსკვლავებით მოჭედილ ცას ახედა და მერე სერიოზული სახე მიიღო.

— არა, საწყენი, მგონი არაფერი გითქვამთ, მაგრამ ჩვენ ხომ მხოლოდ დღეს გავიცანით ერთმანეთი? — ეტყობოდა ვაჟის მღელვარება მასაც გადასდებოდა. აკანკალებული, წრფელი ხმით ლაპარაკობდა, თითქოს, რაღაც კიდეც წყინს და კიდეც უხარიაო.

მიშიკო ქალის გულახდილობამ დააბნია და შეცბუნებულმა მიუგო:

— კარგი, მაშინ გავჩუმდები.

ისევ განაგრძეს გზა. გვერდი-გვერდ მიდიოდნენ.

— მოდით, მიამბეთ რამე თქვენს შესახებ.

— ჩემს შესახებ?! – გაიმეორა მიშიკომ. რა უნდა უთხრას, რით მოხიბლოს?! ისეთ ყმაწვილ კაცებს უჭირავს ამ გოგოზე თვალი, მიშიკო მათთან, ქონებით და სწავლა-განათლებით, იმგვარად გამოჩნდება, როგორც ჭიანჭველა აქლემთან, არცაა გასაკვირი, ქალი სანდომიანია და ოჯახისშვილობასაც უქებენ; თქმით, იცოცხლე, ეტყვის სათქმელს რა დაულევს, მარა...

— რა დაგიმალოთ და, მამაჩემი ადრე შეძლებულ კაცად მიაჩნდათ ქალაქში; გელათის ქუჩაზე ხანძარი რომ გაჩნდა, მაშინ დაიქცა ჩვენი ოჯახი. შვიდი წლისა ვიყავი; მახსოვს, მამამ ცეცხლმოდებული სახლიდან გამომიყვანა, მერე უკანვე გაიქცა, მაგრამ... შენობამ იხუვლა და მიწასთან გასწორდა... იქ, დედა და პატარა დაიკო იყო...

ვაჟის სმენას ქალის ჩუმი ოხვრა მისწვდა.

...— მამას დამბლა დაეცა და ლოგინად ჩავარდა. ბიძამ შეგირდად ამიყვანა დუქანში, გაკვეთილების დამთავრებისთანავე იწყებოდა ჩემი სამუშაო დღე; „სამტრედია-რიონის“ მატარებელს დავყვებოდი... ბაწარს და თასმებს ვყიდდი... სწავლისათვის ფული ვეღარ გადავინახე... მასწავლებელმა დამითხოვა... სკოლის კარებთან ავეტუზე. ვემუდარებოდი ამხნაგებს, — მითხარით რა ისწავლეთ-თქო. ჩხირით ვხატავდი ანა-ბანას მიწაზე...

უეცრად დადუმდა; აზრი მოიკრიბა, რა ეშმაკი შეუჩნდა ნეტავი? ღმერთმანი, ჭკუიდან გადავიდა და ეს არის! სისულელეებით დაიმსახურებს ყმაწვილი ქალის ყურადღებას? ნურას უკაცრავად, ვერ მოგართვეს!

— არა, არ გეგონოთ, რო თავს გაბრალებთ, უბრალოდ მინდა იცოდეთ, მდიდარი არა ვარ, თუმც ცხოვრების არ მეშინია; ჯანღონე მომდევს, ფეხი უკვე წამოვდგი, ოჯახს არაფერს ვაკლებ, შეხედეთ რა ძლიერი ხელები მაქვს. — იგი უცებ გაჩერდა, ქალს თვალებში ჩააცქერდა და ხელისგულზე დაიდო, მისი ნაზი, ბავშვივით თბილი ხელი.

ბალახვანში მუსიკალური ტექნიკუმის ორსართულიან შენობასთან მისულიყვნენ. აქედან კარგად მოჩანდა დიმიტროვის ქუჩა, სადაც მარი ცხოვრობდა. ქალიშვილი სულ მთლად აფორიაქებული იდგა; არა, ქარაგმებისაგან თავბრუ არასოდეს დასხმია, მაგრამ ვაჟის სიტყვებში გულწრფელობა გამოსჭვივოდა და ამით მოიხიბლა. ერთი შეხედვით, თითქოს, ტლუ ბიჭი ჩანს, სინამდვილეში დამოუკიდებლად აზროვნებს და, რაც მთავარია, სხვა ბიჭებივით ცხოვრებისაგან განებივრებული არ უნდა იყოს... მისდაუნებურად გაინთავისუფლა ხელი, თუმცა გაიფიქრა კი, — ვაჟს ძალა რომ დაეტანებინა და მისი თითები მუჭში ჩაებღუჯა, არცთუ ძალიან გაუნაწყენდებოდა.

მოულოდნელად ახალგაზრდა კაცი მიუახლოვდათ, შავი ატლასის მაღალსაყელოიანი ბლუზი და „ცარსკები“ ეცვა, მთვარის შუქჩრდილზე ბუნდოვნად მოჩანდა მისი ჯმუხი პირისახე. გამარჯობათო, თქვა და მიშიკოს მეგობრულად ჩამოართვა ხელი.

მარიმ წარბი შეიკრა. არ ესიამოვნა ახლად მოსულის დანახვა. იგი იცნობდა მას; ლოთი-შფოთი ვინმე იყო, ტახირს ეძახდნენ. წელიწადი იქნებოდა, რაც მისი ახლო ნათესავის ქორწილში, გვარიანად გამომთვრალმა, მაგიდის გადასაფარებელი ქამარზე გამოიბა, წავიდა და წაიყოლა, — შემწვარი წიწილები და ინდაურები, შამფურზე წამოგებული ხბოს ცვრიანი მწვადები, ბროლის ვაზებში ჩალაგებული ნამცხვარი, თხილი, ხილი თუ ხილნარი... ლაწალუწით იმსხვრეოდა იატაკზე დაცვენილი ჭიქა-საინი. პირდაბჩენილი სტუმრები გაოცებული მიჩერებოდნენ თვითმოძრავ სუფრას.

ეს დღე იყო და მოსვენება დაკარგა მარიმ. გადაეკიდა ტახირი, სამედიცინო სასწავლებელში აკითხავდა, მომწონხარო ეუბნე-

ბოდა, დღე და ღამე შენზე ვფიქრობო, გინდა თუ არა ჩემი უნდა გახდე; ერთხელაც იყო დაემუქრა, ბიჭთან გავლილი არ გნახო, თორემ, ცხვარივით გამოგჭრი ყელსო. მარიმ ეს ამბავი ძმებს შესჩივლა და აგერ, რამდენიმე თვე იქნებოდა, სიახლოვეს აღარ გაჰკარებია ტახირი. აი, ახლა კი ისევ გამოჩნდა. ტახირმა ქალიშვილთან ბოდიში მოიხადა დარდიმანდული ჟესტით და მიშიკო გვერდზე გაიხმო.

— დიდი ხანია, რაც ამ გოგოს იცნობ? — ჰკითხა ხმადაბლა.

— არა. დღეს გავიცანი, — არც დაფიქრებულა ისე მიუგო, თან დასძინა, — რა იყო, რატომ მკითხე?

ისევ ჩაიცინა ტახირმა და მერე ორჭოფულად მიკიბ-მოკიბა:

— ოდესღაც მეც მომწონდა... დავსდევდი, რატომღაც ამ-ითვალწუნა... — ანაზდად კბილებში გამოსცრა, — სხვანაირად დაგელაპარაკებოდი, მაგრამ ბიძაშვილი ხარ, სჯობს გატეხილად გითხრა, ამ გოგოს ჩამოცილდი, ჩემი ხელდადებულია!

მიშიკოს ხმა არ მოუღია, ოღონდ წარბი შეიკრა, თვალი თვალში გაუყარა ტახირს. რამდენიმე წამი ერთმანეთს თვალებით ბურღავდნენ.

უცებ მარი მიუახლოვდა ბიჭებს, ქალიშვილი აფორიაქებული იყო და მისდაუნებურად მიშიკოს მკლავზე წაატანა ხელი, ეუბნება:

— წამოდით, ხომ დამპირდით სახლამდე მიგაცილებთო.

სხვაგან შეგხვდებიო, ჩაილაპარაკა მიშიკომ ბიძაშვილის გასაგონად და ქალიშვილის ნებას დაჰყვა.

ტახირის სახე ღვარძლისაგან დაიმანჭა. იგი მძულვარებით უყურებდა მიმავალ ქალ-ვაჟს. როცა ისინი თვალს მიეფარნენ, მან მარჯვენა მომუჭა და გულში ჩაიბრაგუნა.

— რითი მჯობია ეგ ჯიბეგაფხეკილი, — ჩაისისინა, — წერას ყოლილხარ აყვანილი, ბიძაშვილო, წერას! ეგ, კახპა, საბოლოოდ ჩემი უნდა გახდეს, ჩემი!..

***

კათოლიკურ ეკლესიასთან ოღროჩოღრო გზა თავდაღმართში ვიწროვდებოდა და ხელმარჯვნივ უხვევდა. გზის ორივე მხარეს მწვანეში ჩაფლული ოდა-სახლები მოჩანდა. გადაღმიდან რიონის ხმაური ისმოდა. იქით, მთა-გორები გადაჭიმულიყო. დილის ნისლით გაფერმკრთალებული მთვარე კუთხეში ჩადგმული სახლის ოთახის სარკმელში იჭყიტებოდა. ეს იყო ძველი ოთახი დაბალი ჭერითა და ჟამთა სვლისაგან ჩაშავებული ძელური კედლებით, იატაკის ღრიჭოებში ოქტომბრის ქარი დანავარდობდა, ფანჯარასთან ხის უბრალო მაგიდა იდგა. იქ მიშიკო ჩამომჯდარიყო კედელთან, დივანზე მოხუცი კაცი იწვა. იდაყვში მოღუნული მარჯვენა ხელი გულის ფიცარზე ედო. მთლად ჭაღარა თმა და თეთრი წვერი ძალზე გაზრდოდა. ტანჯული იერი ედო სახეზე. თავზე ფესი ეხურა. მეორე ოთახიდან გამოვიდა ხანში შესული, ჭრელი თავსაფრით თავწაკრული ქალი, მოყვითალო ფერის ნამცხვარი შემოიტანა თეფშით.

— ბურჟუელაში, რო ლეკეხი[1] ცხვება, ტყუილია, — ჩაილაპარაკა თავმომწონედ და მიშიკოსთან მივიდა, — ადე, შვილო, ასე მოფუვდით, ასე დატკბით...

მიშიკო დარცხვენილი წამოდგა.

— გმადლობთ ირა მამიდა, შენი შვილების ქორწილში გვედროვა ასეთი ნახელავი.

ქალს ყმაწვილის დალოცვა ეამა.

— სანერვიულო და საჩქარო არაფერია! თაფლიანი, ქიშმიშიანი და ფახლავა დამცხვარია. ჩიჟი-ბიჟი მზად არი. ინდაურები უკვე შებრაწულია, კარტოფილი გაროში ცურავს. ხბოს ხორცს, ღუმელში მალე შევდგამთ, მიწექი, მოატყუე თვალი! ხო გაგიგონია ერთი წაძინება წყალმაც წაუძინაო.

— რაღა დროს ძილია, მამიდა, საცაა სტუმრები მოვლენ.

ირამ ნამცხვარი მაგიდაზე დადო.

1. ნამცხვარი.

— დედოფლის ბინაზე აქედან მიდიხართ, შვილო?

— კი, მამიდა.

— ქეთუბას[1], რომელი რაბი წაგიკითხავთ?

— ხახამ [2] მორდეხაი. იქიდან რომ დავბრუნდებით, საქორწილო სუფრა გაწყობილი უნდა დაგვხვდეს!

— მაგის დარდი ნუ გექნება! შენ თავს მიხედე! — ღიმილით დასძინა და მოხუცთან მივიდა, — ხომ არაფერი გინდა, ძმაო?

არაო, თავი გააქნია ბერიკაცმა.

— წავალ, აბა! — თქვა და ხელები წინსაფარზე შეიმშრალა, — ქალებს მივეხმარები ეზოში, აუარება საქმეა კიდე. — იგი გარეთ გავიდა.

მოხუცმა შვილისაკენ გაიხედა, ანიშნა მასთან მისულიყო. მიშიკო საწოლთან გაჩნდა, ავადმყოფისაკენ დაიხარა, დაკვირვებით შეხედა, მალე მიუხვდა საწადელს.

— მამა, — უთხრა მოფერებით, — მარი კარგი გოგოა, კარგი ოჯახიშვილი; მეხმარებიან მისი ძმები, ახლახან გამგე-გამყიდველად მომაწყვეს გასამხედროებულ მაღაზიაში, სკოლას ექსტერნად დავამთავრებ; ერთი ოთახიც დაგვიგირავეს სამას თუმნად; არა, არ გეგონოს, რომ მიგატოვებთ, ისევ აქ ვიქნებით, მარა, ხო იცი, ახალგაზრდები ვართ, ვინიცობისაა, რაიმე არ მოგეწონოს, ჩვენი კუთხეც გვექნება...

ბერიკაცს ცრემლი გადმოუგორდა გაცრეცილ ლოყებზე. მარჯვენა ასწია, შვილს მკლავში ჩაავლო და შეძლებისდაგვარად მოუჭირა...

ეზოში დაფა-ზურნა აჭყვიტინდა. სარკემლში ადამიანები გამოჩნდნენ. მოისმა მათი სიცილი და ხმამაღალი ლაპარაკი. კარები გაიღო, პირმომცინარმა, ხელებგაშლილმა ტახირმა პირველმა გადმოაბიჯა ზღურბლს.

1. ნეფე-დედოფლისათვის დაწერილი ტექსტი, კანონი.
2. სწავლული, მასწავლებელი.

— იბედნიერე ძმაო, იბედნიერე! – ამ სიტყვებით, იგი ჯიქურ მიიჭრა მიშიკოსთან, მკლავები მოჰხვია და რამდენჯერმე გადაკოცნა.

სტუმრებით გაჭედილ ოთახში, მილოცვები ფუტკრის ზუზუნივით გაისმოდა. ამასობაში ტახირმა ავადმყოფი მოიკითხა, თეთრ წვერზე ეამბორა. მოხუცი მშვიდი გამომეტყველებით უსმენდა მის ნართაულს.

— გვაჯობა თქვენმა ვაჟიშვილმა, ბიძაჩემო, იმნაირი ქალი აგვწაპნა ცხვირწინ, ქართველი ებრაელების თვალი იყო! დედას ვფიცავარ, რო გავიგე, სიხარულით ცას მივწვდი! ღმერთმა აბედნიეროთ! – მარჯვენა ხელი ისევ მიშიკოს გადაჰხვია, მკერდზე მიიკრა და იქვე მდგომ, მაღალ, მხარბეჭიან მამაკაცს გულკეთილად შეჰღიმილა:

— შოშპინ[1], ქორწილში, მუსიკის თამადობას არავის დავუთმობ!

აბა, ამას რავა დაგამადლიო და შოშპინმა ხელები გაშალა.

— ჩემი თავი შემოგევლოს, ტახირ!

— დამკვრელებს კაპიკი არავინ მიცეთ, მუსიკის ფულს მე ვიხდი!

— ბიძაშვილობაც ამას ჰქვია, მე და ჩემმა ღმერთმა! ნათქვამია: „კაცი-კაციოთაო და ღობე ქაცვითაო“.

— სხვა რა ვართ, ადამიანები, შოშპინს ვენაცვალე! — მადლიერი თვალებით გადახედა მას და მერე, ტახირი მუსიკოსებს მიუბრუნდა.

— აბა, ბიჭებო, ააკვნესეთ დოლი და დუდუკი!

საქორწილო სიმღერა ყველამ ერთხმად აიტაცა:

„კოლ სასო, ვეკოლ სიმხა,
კოლ ხათან, ვეკოლ ქალა“[2].

— ხათან[3], გამოეწყვე, წავიდეთ! — თქვა შოშპინმა, როცა სიმღერა შეწყდა, — რაბი უკვე მისული იქნება დედოფლისას! მოყვრებო, ჩვენ ეზოში დაველოდოთ, ავადმყოფს ჰაერი აღარ ყოფნის! — და კარებისაკენ ნაბიჯი გადადგა, — ბეჭედი არ დაივიწყო, ხათან, ბეჭედი — თითქმის გარედან გაისმა მისი ბოხი ხმა.

1. ხელისმომკიდე მამაკაცი.
2. ხმა ლხინისა და ხმა სიმხიარულისა,
ხმა ნეფისა და ხმა დედოფლისა.
3. ნეფე.

სტუმრები ეზოში რომ გავიდნენ, მოხუცმა შვილს მკლავზე მოუთათუნა ხელი და სარკმლისაკენ მიუთითა. იქ რაფაზე, თორა[1] იდო, მიშიკოს თვალები გაუბრწყინდა, თორა აიღო და მამას მიაწოდა. ბერიკაცმა წიგნი მკერდზე გადიშალა, ვაჟის ხელი მუჭში მოიქცია, ასოებთან მიიტანა და ბაგეები ააცმაცუნა. იგი შვილს ლოცავდა.

***

შემოდგომის მზით განათებული ფანჯრების გასწვრივ სუფრა იყო გაშლილი. ოთახის შუაში, იატაკზე, გადაქათქათებული ბალიში იდო; ამ ბალიშზე მიშიკო და მარი შემდგარიყვნენ. ისინი ერთმანეთს მხრებით ეხებოდნენ. ხათნის გვერდით შოშპინი იდგა. მას ხელში ეჭირა მსხვილი, ანთებული თაფლის კელაპტარი. პატარძალს შვენოდა ფატა და თეთრი საქორწინო კაბა; ლოყებატკეცილს დადიანი[2] ამხნევებდა, ახალგაზრდა მომხიბვლელი ქალი. იქვე, სისიტმობურული იდგა ხახამ მორდეხაი. ჭაღარა წვერულვაშიანს კეხიანი ცხვირი ჰქონდა. მისი შუქიანი, მოძრავი თვალები მტკიცედ იმზირებოდნენ. მათ თავს ზემოთ, მამაკაცებს მაღლა შემართული ხელებით ეჭირათ გაშლილი სისიტი. კეკლუცობდნენ პომადით ბაგეებგაღებილი, თავსაფრიანი ქალები. ვერცხლისწყალივით მოძრავი, დაუდეგარი ბავშვები ადგილს ვერ პოულობდნენ. დაგვიანებული სტუმრები ცერებზე დგებოდნენ. ცდილობდნენ მომაღლებული სისიტისათვის ხელი შეეხოთ, რადგან ეს მიცვად[3] ითვლებოდა. ნეფე და პატარძალი მთლად ბალღებივით გამოიყურებოდნენ. მარის აჩქარებული სუნთქვისაგან მკერდი აუდ-ჩაუდიოდა, კაბაზე მიბნეული ქაღალდის ფერად-ფერადი ვარდები აქეთ-იქით ერხეოდა. მიშიკოს ხელებისათვის ვერაფერი მოეხერხებინა, ერთთავად მხრებიდან ჩამოცურებულ სისიტს ისწორებდა.

— ხათან, — უთხრა მას რაბინმა, — მაჩვენეთ სანიშნო ბეჭედი.

1. წიგნი, აქ მოსეს ხუთწიგნი.
2. ხელისმომკიდე ქალი.
3. მადლი.

ვაჟმა ხელი სწრაფად ჩააცურა პიჯაკის ჯიბეში და ოქროს ბეჭედი ამოიღო.

— ახლა, ხათან, გაიმეორეთ რასაც ვიტყვი და ბეჭედი დედოფალს გაუკეთეთ მარჯვენა ხელის თითზე! მე კი არა, ქალს უყურეთ და თქვით: „ესე რა, შენ ხარ დანიშნული ამ ბეჭდით ჩემთვის, წესითა მოშეთი და ისრაელითა“.

— აი, ეგრე, კარგია! — გაიღიმა ხახამ მორდეხაიმ და ქეთუბა მაღლა ასწია, — ხათანქალავ, გახსოვდეთ, ქეთუბა, ცოლ-ქმრობის დამადასტურებელი მოწმობაა, მისი არც დახევა შეიძლება, არც დაკარგვა, რადგან უამისოდ ქორწინება კანონიერი არ იქნება; ქეთუბა დაკურთხებულია აკადუშ-ბარუხუდან და გაშუქებულია სიმხიარულის შვიდი ნიშნით: მოსალოდნელი და მოულოდნელი მხიარულებით, ლხინით, ღიღინით, შველით, შენდობით და წელგამართულობით; ქალი ვალდებულია თვალისჩინივით გაუფრთხილდეს ქეთუბას, რომლის შინაარსი ასეთია: ქალავ, მოჰყავხართ რა თქვენ, მშვენიერი და ლამაზი ასული მეუღლედ, ხათანი ვალდებულობს, მოგეფეროთ, დაგაფარნასოთ, დაგაპუროთ, შეგმოსოთ და დაგბუროთ, ისე, ვითარცა წესია ვაჟკაცებისა! ქალიც გპირდებათ ხათან, რომ იქნება ეშეთხაელი[1], ოჯახის ერთგული, ქმრის დამფასებელი და შვილების კარგი აღმზრდელი დედა!.. იცოდეთ, ოჯახი მტერ-მოყვარითაა, მოყვარის დალოცვა შეგეწიოთ, მტერი კი მოყვარეთ გექციოთ.

რაბინი გაჩუმდა, ჯიბიდან სუფთა ცხვირსახოცი ამოიღო და ოფლით დაცვარული შუბლი შეიმშრალა.

— თხელი მინის ჭიქით ღვინო მომაწოდეთ! გმადლობთ! ხათან, ჩამომართვით სასმისი, ღვინო აკურთხეთ და დალიეთ! მერე დედოფალმა მოსვას, ნარჩენი ღვინო შოშპინს მიეცით! უთხარით, არავის დაალევინოს და გადაგინახოთ!

რაბინმა ფერად-ფერადი ყვავილებით მოხატული ქეთუბა გაშალა და ყივრითის ენაზე დაწერილი ტექსტი სწრაფად ჩაიკითხა, მერე ახალი ჭიქით მოწოდებული ღვინო დააკურთხა, მოსვა და შოშპინს გადასცა.

1. სპეტაკი, წმინდა.

— დაგამადლიანოთ გამჩენმა! მოსვით თქვენ და დადიანმა, ჯამაათსაც გადააწოდეთ! შოშპინ, მიეცით ხათანს გადანახული ღვინო! პატარძალო, თქვენ გვერდზე შებრუნდით, აი, ესე! ხათან, ჩამომართვით ფურცელი, ტექსტი წაიკითხეთ და თან, ნარჩენი ღვინო იატაკზე ნელა დაღვარეთ!

გაისმა მიშიკოს მაღალი ხმა:

— თუ ოდესმე გიღალატო შენ, იერუშალაიმ, მოიკვეთოს მარჯვენა ჩემი!

— გატეხე ჭიქა!

ხათანმა ჭიქა იატაკს დაანარცხა.

— გატყდა, გატყდა!.. — გაისმა მხიარული შეძახილები.

გულაჩუყებული მშობლები, ახლობლები და ნათესავები ხათან-ქალას ეხვეოდნენ, ჰკოცნიდნენ, ბენზახარზე დამადლიანდითო, — ეუბნებოდნენ.

ტახირმა, როგორც იქნა, დრო იხელთა, ჯერ ხათნს გადაეხვია, მიულოცა, მერე დედოფალს ეამბორა ხელზე, ორივენი წაღმა დაატრიალა და თან დასჭექა:

— ხათან-ქალას გაუმარჯოს!

— გაუმარჯოს, გაუმარჯოს!

— გამოუგზავნოთ აკადუშ ბარუხუმ ნამი ცისა და სიმსუყე ქვეყნისა!

ხათან-ქალას დღეს ღმერთი ლოცავს! — ეს ხახამ მორდეხაი იყო. ოთახი აგუგუნდა:

ლეხლეშალომ ბიმკომეხა,
ირცა ელოიმ ეთ მაყასეხა,
იშლახ ყეზრეხა მიკოდეშ,
უმიციონ ისყადექა.[1]

1. ოჯახში მშვიდობით წაბრძანდი,
მზეგრძელი იყავ, ხათანო,
საქმით, ქველობით, სიწმინდით
შენ დააკურთხე სიონო.

***

— მიშიკოს გაუმარჯოს! — რიხიანად შესძახა ტახირმა და მაღაზიის კარები მიხურა.

— გაგიმარჯოს ტახირ! — მიშიკომ საქმეს თავი მიანება და ბიძაშვილს პირმცინარი მიეგება.

— დედას ვფიცავარ, ნაწყენი ვარ შენზე! ასე უნდა, ბიჭო? რატომ აღარ ჩანხარ?

— რა ვქნა, გამიგე თუ ძმა ხარ, ეგ რჯულძაღლი საქმე იოლი არაა; საქონლით და სურსათით მომარაგებას დიდი დრო მიაქვს, მუშტარს გაძღოლა უნდა, საანგარიშო დავთრებს წესრიგიანობა უყვარს...

— თავს ტყუილა იმართლებ, არ გეპატიება; მარი როგორღაა?

— რა უშავს... — მიშიკომ სიტყვა ვერ დაამთავრა.

მაღაზიაში ბავშვიანი ქალი შემოვიდა.

— ტახირ, ცოტა მოითმინე! აგერ, მუშტარს გავისტუმრებ, მუშაობასაც ვამთავრებ უკვე, კარგი ღვინო მაქ და პატარა მოვულხინოთ...

— მიხედე, კაცო, შენ საქმეს! მანამდე მაღაზიას გადავავლებ თვალს.

მუშტარი რომ წავიდა, მიშიკომ მაღაზია შიგნიდან ჩაკეტა, სარდაფიდან საუკეთესო ღვინო ამოიტანა და დახლზე პურ-მარილი გაშალა.

— დედას ვფიცავარ, კარგათ ხარ მოწყობილი — თქვა ტახირმა და ჭიქა აწია.

მიშიკო კარგ გუნებაზე იყო, გულუხვობას იჩენდა; მესამე ჭიქაც რომ გამოსცალეს, ტახირმა სხვათა შორის უთხრა:

— ეზოში ყუთები რო გიყრია, ტყუილა რატო ალპობ? მომეცი, შეშად გამოვიყენებ ამ ზამთარში.

მიშიკო დაფიქრდა. ჩამოუწერავი ყუთების მაღაზიიდან გაცემის უფლება არ ჰქონდა. არადა, არც ბიძაშვილის წყენინება უნდოდა, ბოლოს გუნებაში ასე გადაწყვიტა: „აქტს შევადგენ, ვიცი უფროსი უარს არ მეტყვის და ჩამოვიწერო“, რაღა თქმა უნდა, დაეთანხმა.

ტახირმა ერთი ჭიქა კიდევ შესვა და ძეხვი დააყოლა.

— წავალ, აბა მანქანას მოვიყვან!

...ყუთები სატვირთო ავტომანქანის ძარაზე შემოაწყვეს და ერთმანეთს გულთბილად დაემშვიდობნენ.

ამის შემდეგ გაშინაურდა ტახირი მაღაზიაში, ნისიად მიჰქონდა კარაქი, შაქარი, თან ეხუმრებოდა ბიძაშვილს, — ხომ მენდობი, ბიჭოო. ერთი-ორჯერ, დებისათვის, ქალის მაღალქუსლიანი ფეხსაცმელი წაიღო, თავისთვის კი რამდენიმე ცალი უცხო პერანგი, თან მიშიკოს ეუბნებოდა: სულ მალე, ფულს ერთიანად მოგიტანო.

ნოემბერი იწურებოდა. იმ საღამოს, ტახირი დაძმარული სახით შევიდა მაღაზიაში; დახლის კიდეს მიეყუდა, ერთხანს ხმა არ ამოუღია, მიშიკომ, საქმეს რომ მორჩა, ბიძაშვილის უხასიათობას ყურადღება მიაქცია.

— რატომ ჩამოგტირის, ბიჭო, ცხვირ-პირი, ხომ მშვიდობაა?

— ისეთი არაფერი, მარა...

— მაინც, რა მოხდა? — მიშიკო ბიძაშვილის წინ გაჩერდა.

— წუხელ რესტორანში ვიჩხუბე, სულ ჩაილეწა მინები, დაიმსხვრა ჭურჭელი... მილიციაშია საქმე, ფულია საჭირო, თვარა, გაბმული ვარ მახეში ორივე ფეხით...

— რამდენი უნდა?

— ზარალი ათას მანეთამდეა.

— ჰო... დიდი თანხაა.

— არ მინდა მამაჩემმა გაიგოს, არადა, თუ დღეს ფული არ მივიტანე, ციხეში ჩამსვამენ. შენ რომ მიშველიდე...

— თვის ბოლოა, ტახირ, მაღაზიაში ნაკლებობა, ხო იცი, არ იქნება, ძველი ვალიცა გაქვს...

— ოღონდ ახლა მიშველე, გამიმართე ხელი... მამაჩემთან მოვიგონებ რამეს, ქვას გავხეთქავ, ხვალ, ძველსაც და ახალს ერთად ჩაგაბარებ.

მიშიკო დაფიქრდა.

— ამდენი ფული რომ მოგცე, თავი საფრთხეში უნდა ჩავიგდო... უბედურებაც მინდა აგაშორო, ერთი დღე, შენი ძმობის გულისათვის თავს რელსზე დავდებ.

— არ გინდა ლაპარაკი, ხვალ, შუადღემდე, აქ დავესობი, ბოძივით, პირობად, — შენი ხმალი და ჩემი კისერი იყოს.

მიშიკო დახლისაკენ შეტრიალდა...

***

მეორე დღეს, მიშიკო შეღამებამდე ელოდებოდა ტახირს მაღაზიაში. ტყუილა კი იცდიდა, ბიძაშვილი არ ჩანდა. შინ გონებაარეული მივიდა, მაგრამ მარის არაფერი უთხრა, რადგან ქალი უკვე მიზეზობდა და შეეშინდა, ვაითუ ინერვიულოსო. დაბოღმილმა, მისვლისთანავე დაღლა მოიმიზეზა და ლოგინში ჩაწვა.

ვაი, იმ ღამის გათენებას; მამლის პირველ ყივილზე გამოვიდა სახლიდან, თითქმის ბნელოდა; გაუკვირდათ ბიძაშვილებს დილაუთენია მისი დანახვა, უთხრეს, ორი ღამე ტახირს შინ არ გაუთევიაო. ფეხათრეული გამობრუნდა: მაღაზია უგულოდ მიალაგა და მუშტრის მოლოდინში, შექმნილი მდგომარეობიდან გამოსავლის ძებნა დაიწყო.

***

იმ დილით, მაღაზიაში სამი მამაკაცი შევიდა. მიშიკო დახლში იდგა, თეთრი ხალათი ეცვა, ხელში ალესილი დანა ეჭირა და კარაქს წონიდა.

— ერთი პურიც მომეცით! — უთხრა რიგში მდგომმა ქალმა.

— ეხლავე, ქალბატონო, — მიუგო მიშიკომ და თვალი კარებისაკენ გაექცა.

ახლადშემოსულთაგან ერთი, ფარაჯაზე მილიციის კაპიტნის სამხრული რომ ეკეთა, კარებთან გაჩერდა და სანოვაგით დატვირთულ მოხუც ქალს მიმართა.

— ბოდიში, რამდენიმე წუთი უნდა დაგაკარგვინოთ!

ორნი, სამოქალაქო ტანსაცმელში გამოწყობილნი, დახლისაკენ გაემართნენ.

მიშიკომ ერთი მათგანი შეიცნო; მისი მეზობელი იყო, სამხედრო ვაჭრობაში მუშაობდა რევიზორ-ბუღალტრად.

— ბატონო ჩუტკა, ხომ არაფერი გნებავთ? — დახლიდან გამოვიდა, თავაზიანად მიეგება.

— რევიზიაზე ვარ, მეზობელო! რა ვქნათ, ჩვენი საქმე ეს არის!

— რატომ? რა მოხდა ასეთი?

— სიგნალია შემოსული, დანაკლისი აქვსო, მომხმარებელს წონაში ატყუებსო...

ღიმილი პირზე მიეყინა...

ჩუტკამ გვერდით მდგომ ამხანაგს გადახედა:

— ჯერ რაც გაყიდული აქვს, მისი ზომა-წონა და ღირებულება შევამოწმოთ; მერე მაღაზია ჩავკეტოთ და აღწერა ჩავატაროთ.

მიშიკო აილანძა; თავი რომ მოითოკა, მის გონებაში წამით გაიელვა ტახირის ცბიერმა სახემ.

***

მარი ბაღის კიდეს დაღვრემილი მიჰყვებოდა, ზამთარმა უეცრად დაუთმო გაზაფხულს, მზისგულზე თითქმის ცხელოდა, გატიტვლებული ხეები მწვანით იმოსებოდნენ, ქუჩებში ხალხმრავლობა იყო, მოსწავლეები სკოლიდან ჟრიამულით ბრუნდებოდნენ, ყველგან სიცოცხლე ჩქეფდა. ბუნების საზეიმო განწყობამ ერთი-ორად მოუშხამა გუნება. ნელა მიდიოდა, ყველაფერი მშვენიერი იყო მისი — პატარა ტანი, სადა ქალურობა, ჯერ კიდევ ბავშვობას რომ არ გაჰყროდა, ნაცრისფერი ბერეტი და მუქი ლურჯი კოსტიუმი.

ნახევარი წლის ჭირსა და ვაებას ყმაწვილი ქალის სანდომიანი პირისახისათვის არა დაეკლო რა, პირიქით, წარბთან გაჩენილი ნაოჭი თითქოს მეტ აზრსა და იდუმალებას მატებდა მის თვალებს...

„ახია შენზე! ქარაფშუტობით გადაეკიდე იმ უპატრონო და არაფრისმქონე ღლაპს!“ — გაახსენდა დედის ნათქვამი.

„არავინ იცის როგორ შემობრუნდება ცხოვრება, მომავლის წინასწარ განსაზღვრა ძნელია, დედა“ — ასე უპასუხა.

იგი ბაღში შევიდა და სკამზე ფრთხილად ჩამოჯდა. დიდხანს, დიდხანს მიშტერებოდა ტანაყრილ ნაძვებს, არაფერზე არ სურდა ეფიქრა.

მაღალმა, ხმელმა, მხრებში მოხრილმა ახალგაზრდამ რამდენჯერმე აიარ-ჩაიარა მის წინ. თვალით რაღაცას ანიშნებდა ქალს. მარის ტანში უსიამო ჟრუანტელმა დაუარა. წამოდგა და ბაღიდან გამოვიდა. ახალგაზრდა შედგა, მისკენ იცქირებოდა.

უცნობის ამ დაჟინებულმა ჩაშტერებამ, მარის ის წუთები გაახსენა მიშიკო რო გააცნეს ამხანაგებმა. ესიამოვნა პირველი სიყვარულით გამოწვეული ტკბილი განცდების მოგონება. საღამოვდებოდა. ქალმა ნაბიჯს მოუჩქარა. ეკლესიასთან გადაუხვია თუ არა, ქუჩა ტახირმა გადმოჭრა და მის წინ კედელივით აღიმართა. ეტყობოდა ნასვამი იყო. ღვინისაგან აპრიალებული თვალები აცაბაცა გაურბოდა. მარიმ უეცრად მოვარდნილი შიში დაიოკა, ჰაერი ღრმად ჩაისუნთქა და ვითომც არ შეუნიშნავსო, მოიწადინა მისთვის გვერდი აევლო...

მას შემდეგ, რაც მიშიკო დააპატიმრეს, აჩრდილივით დასდევდა ტახირი ქალს; სიყვარულს ეფიცებოდა, უშენოდ ვერ ვძლებო, ეუბნებოდა. მარი გაურბოდა, გამოლაპარაკების საბაბსაც არ აძლევდა.

ამაზე უფრო ხელდებოდა საღერღელაშლილი კაცი და ახლა, ამიტომ დახვდა ასე გამომთვრალი.

— ერთი-ორი წუთი შეიცადე გოგო! გამეცი ხმა! საფრთხობელა ხომ არა ვარ! — წაიხლიჩინა და ქალს მკლავზე ხელი მოუფათურა.

— თავი დამანებე, მეჩქარება, — მარიმ კაცის ხელი ზიზღით მოიშორა, თითქოს გველი შეხებოდეს.

— რამ შეგაშინა გოგო, ჯავრისაგან ღვინო დავლიე, შხამი კი არა!

— დად გეკუთვნი ტახირ! როგორც ძმობას შეჰფერის ისე მოიქეცი! ფხიზელი მოდი ჩვენსა, იქ დაგელაპარაკები! ახლა, გამიშვი, მამა მელოდება!

— დაფიქრდი ქალო! მიშიკოს სამი წელი მიუსაჯეს! ცხოვრება დღითიდღე ჭირს... ოღონდ ჩემი გახდი და მამაჩემის ოქროს თუმნიანებში გაბანავებ... — კაცი ისევ წაიწია.

მარის თვითონვე გაუკვირდა საკუთარი გამბედაობის; მთელი ძალით მოიქნია პატარა ხელი...

მოულოდნელობისაგან თითქოს გამოფხიზლდა ნირწამხდარი კაცი. ლოყა მოისრისა და კბილების ღრჭიალით თვალი დაადევნა გაქცეული ქალის ლანდს.

— სად წამიხვალ... შენი ფეხით მოხვალ! ტახირი არ ვიყო, თუ შიმშილით არ ამოგხადო სული!

***

— მოსკოვთან ყოფილან მოსული გერმანელები, — ამბობდა ირა და ოთახს ჰგვიდა.

მოხუცი სარკმელში იცქირებოდა, მარი ბავშვს ძუძუს აწოვებდა, თან ქმრის მამიდას უსმენდა.

— მიშიკო ციხიდან ბესლახუბის კოლონიაში გადაუყვანიათ; დღეს რო ბარათი მოვიდა, შენც ხო წაიკითხე, შვილო? იწერება, ომში მინდა წასვლა, თუ გამიშვესო. ვაი, ჩვენს თავს; ღმერთო, შენ დააქციე ჰიტლერის ოჯახი! ეს რა ჯოჯოხეთი მოაწყო... ვინ იცის, ახლა, შენი საცოდავი ძმები სად არიან? ვაი, მათი დედის ბრალი.

— ირა მამიდა, საით არის ბესლახუბა, თუ იცი?

— ასე მითხრეს, შვილო, ოჩამჩირიდან ხუთი კილომეტრის სავალიაო.

მარიმ ბავშვს ჩეფჩიკი შეუსწორა, საკინძე შეიკრა, წამოდგა და მოხუცთან მივიდა.

— მამა, ბესლახუბაში უნდა წავიდე! მიშიკო უნდა ვნახო! ბავშვსაც წავიყვან, გაიხარებს!

მოხუცმა ცრემლჩამდგარი თვალებით შეხედა რძალს და მარჯვენა ხელით მკლავზე მოეფერა.

***

კოლონიის ზონის უფროსის სამუშაო ოთახიდან გამოსულმა ოფიცერმა მარის საშვი გაუწოდა.

— შემოწმებულია, — ფუთაზე მიუთითა, — შეგიძლიათ წაიღოთ, მცირე ხნის მერე გამოგიძახებენ.

მარიმ საბუთი ჩამოართვა, მადლობა გადაუხადა, ბავშვს, პირში საწოვარა შეუსწორა და ოფიცერს გვერდით კარებში შეჰყვა. იქიდან ბავშვით და ბარგით გამოვიდა; მოპირდაპირე მხარეს გაემართა, ალაყაფის კარების მიმართულებით. გვიანი შემოდგომის დილა იდგა. უკვე იგრძნობოდა მოახლოებული ზამთრის სუსხი, მაგრამ მზე მაინც იმედიანად კაშკაშებდა, ტყვარჩელის მთებიდან აშუქებდა საქართველოს ზურმუხტოვან ზღვისპირეთს, ქალი არაქათგამოცლილი ჩანდა. ამტვერებულ შარაგზაზე სატვირთო ავტომანქანები მოძრაობდნენ. ხის მაღალი ღობით შემორაგულ ზონას, ზემოთ, მავთულხლართები გასდევდა. ზონის კუთხეებში აღმართულ საგუშაგოებზე, ჯარისკაცები იდგნენ, ხელებში შაშხანები ეჭირათ. მარი ხის ჯიხურთან შეგროვილ ხალხთან მივიდა. ბარგი ყველას ღობის ძირში გაემწკრივებიანათ და თავიანთ რიგს მოთმიებით ელოდნენ. მარიც ასე მოიქცა.

— აქაური ხართ, შვილო? — ჰკითხა მას მოხუცებულმა ქალმა, ვის შემდეგაც იგი აღმოჩნდა.

— არა, ქალბატონო, — მიუგო მარიმ, — ქუთაისიდან ვარ.

— ცოდვაა თოთო ბავშვი, ამხელა გზაზე დაიღლებოდა. — სიბრალულით ჩაილაპარაკა მოხუცმა და ბავშვს მოეფერა.

ჯიხური ორსართულიან ქვითკირის შენობას ეკვროდა, ეტყობოდა იქ რეპროდუქტორი იდგა, რადგან სახურავზე მოწყობილი გამაძლიერებლიდან ხშირად ისმოდა გამოძახებული პატიმრის გვარები. რიგი სწრაფად კლებულობდა.

— დანიელაშვილი გასასვლელში! — ხმამაღლა გამოაცხადეს.

ჯიხურის შიგნით ურდულები გრიალით გასწიეს. იქიდან ზედამხედველი გამოვიდა.

— ვინ არის დანიელაშვილთან, შემოდით! — დაიძახა მან.

მარიმ ბარგი აიღო და ჯიხურში შევიდა. ზედამხედველმა კარები ურდულით გადარაზა. გვერდითი ოთახის სარკმელთან მივიდა, იქ მაგიდასთან მჯდომ ოფიცერს პასპორტი მიაწოდა და თვითონ, მეორე კარში გავიდა. ოფიცერმა მარი სარკმელთან მიიხმო და დაკვირვებით შეათვალიერა.

— რა გვარი ხართ?
— დანიელაშვილი.
— რა გქვიათ?
— მარი.
— რომელ წელში ხართ დაბადებული?
— 1920-ში.
ოფიცერმა პასპორტი დახურა.
— დაელოდეთ!

***

როცა გამოაცხადეს, — დანიელაშვილს გასასვლელთან უხმობენო, მიშიკო ზონის ერთ-ერთ ბარაკში ოჩაფეხა კიბეზე იყო შემდგარი და კირის ხსნარით ჭერს ათეთრებდა. შავი ფერის შარვალ-ხალათი და ყელიანი ფეხსაცმელები ეცვა. თმა გადაპარსული ჰქონდა, წვერი წამოზრდოდა, იგი განცვიფრებული დარჩა, როცა თავისი გვარი გაიგონა. კოლონიაში ყოფნის ას ოცდაათი დღის განმავლობაში გულით შენატროდა ამ წუთს. ტუსაღისათვის ამაზე დიდი ბედნიერება არ არსებობს. სულ ერთია ვინ ინახულებს, — დედა, მამა, ძმა, ახლობელი თუ მეგობარი, ოღონდაც ხმა გაიგონოს, ოღონდაც დაელაპარაკოს ადამიანს. იმ წამსვე მიატოვა სამუშაო და სიხარულისაგან ატაცებული კიბეზე დაეშვა, გარეთ გავარდა, სპორტული მოედანი გადაკვეთა და აქოშინებული მიიჭრა ჯიხურის კიბესთან.

— მეუღლეა, ბავშვით, — უთხრა ზედამხედველმა.

...ოთახში მაგიდა და უზურგო, გრძელი სკამები იდგა. პატიმარი რომ შეიყვანეს, მარი სკამზე იყო ჩამომჯდარი. ქმრის დანახვაზე წამოიწია, მაგრამ მუხლებში სისუსტე იგრძნო და ისევ დაჯდა. ტუსაღს მყისვე ჩაეფერფლა უეცრად მოვარდნილი სიხარული ცოლის გადაფითრებული სახის დანახვაზე და მთელი სიცხადით პირველად შეიგრძნო თავისი უმწეო მდგომარეობა; ნერვებმა თუ მიმტყუნა, საცოდავი ქალი კიდევ უფრო შეშინდებაო, გაიფიქრა,

გული გაიმაგრა, ცოლ-შვილთან მივიდა, ჯერ მარის მოეხვია, მიეალერსა, მერე ორივე ხელით ბავშვი აიტაცა თავს ზემოთ და... ჩვილის ღუღუნმა თავისი ქნა, ქვითინი წასკდა, რომ დამშვიდდა, ცოლს გვერდით მიუჯდა და მამა მოიკითხა...

— რა უნდა ქნას საწყალმა, ჯავრობს, ძალიან ჯავრობს... მამიდაშენი რომ არ გვეხმარებოდეს... — ამოიოხრა მარიმ და სათქმელი აღარ დაამთავრა.

მიშიკომ მუჭები მოწურა და მწარედ გაიღიმა.

— თუ აქედან გამოსვლა მეღირსა. არ შეგარჩენ ტახირ, არ შეგარჩენ — ბოღმით ჩაიდუდუნა მან.

მარი შეცბა, ქმარს დაკვირვებით დააცქერდა, გაიფიქრა, ალბათ კოლონიაში თუ რამეს მოჰკრა ყურიო; ცნობისმოყვარეობამ სძლია და ჰკითხა:

— ბიძაშვილის აუგი რატომ თქვი, რა დაგიშავა?

— ბიძაშვილიო?! მეორედ არ ახსენო ამ სახელით ეგ ავაზაკი! რისი ბიძაშვილი? გამცემია, მოღალატე!.. — და მოჰყვა, თუ რა ჩაიდინა მაღაზიაში, იმ საბედისწერო დღეს.

— რატომ გამწირა ასე, რა დავუშავე, მაგ არაკაცს? — ამოიგმინა ბოლოს.

ოჰ, როგორ ეტკინა მარის გული: თუმცა ეს ტკივილი არ იყო; მკერდქვეშ რაღაც დუღდა... განცდილი ტანჯვა, მწუხარება და ვარამი ქალის სხეულიდან ვულკანივით ამოიფრქვა და აცახცახებულმა ქმარს აღარაფერი დაუმალა.

— მართალია, მეორე დღეს შინ მოვიდა და სულ ბოდიშები იხადა, მაგრამ, ვინ იცის, გულში რა უდევს მაგ მართლა ავაზაკს?!

ნახვისათვის განკუთვნილი დრო ამოიწურა.

— თავს მოუარე, ბიჭო! იმ თვეში ჩამოვალ! არ შეგეშინდეს, ლეჩაქს არავის გავათელვინებ, იცოდე! — უკვე კარის ზღურბლიდან გადმოსძახა მარიმ საგონებელში ჩავარდნილ ელდანაცემ ქმარს.

...მიშიკოს ასე ეგონა ნელ ცეცხლზე თუ იშაშხებოდა; ან, რა მოასვენებდა. ეჩვენებოდა: ტახირის ბოროტი თვალები ელავდნენ

ბნელში; აი, ავაზაკმა მათი სახლის კარები შეამტვრია, ლოგინიდან წამოვარდნილ მარის ტანზე პერანგი შემოახია, ბავშვი წივის, ქვეყანას აქცევს, მამამისს თვალები გადმოსცვენია, რაღაცას ღმუის...

„ამ გოგოს ჩამოსცილდი, ჩემი ხელდადებულია“ — ეს ტახირია, მისი ხმა უსისისნებს ყურებში.

წვეთწვეთობით დაგუბებულმა ბალღამმა გადმოსანთხევი ვეღარა ჰპოვა, შიგნით, სხეულში ბრუნავდა და ღელავდა. ვაი იმას, ვისაც ეს გრგვინვა დაატყდებოდა თავზე!

— გადაგიხდი ფარისეველო, გადაგიხდი, თუ კაცი მქვია!

იმ ღამეს მიშიკო კოლონიიდან გაქრა...

...გაქცევიდან მესამე დღეს, მიშიკო დანიელაშვილი თვითონ დაბრუნდა კოლონიაში და დანაშაული აღიარა; სამიოდე კვირის შემდეგ კი, იგი, ჯარისკაცებით სავსე ეშელონით, ფრონტზე გაგზავნეს, საჯარიმო ბატალიონში...

ვეფხის დამცემი...
და მისი ქართველი მეგობარი

უბრალო, უპრეტენზიო, მაგრამ პირდაპირი და პირუთვნელი კაცი იყო პოეტი დომენტი ახობაძე. ზოგიერთები გაურბოდნენ კიდეც, ვერ იტანდნენ მის მწარე, უშეღავათო სიტყვებს. მახსოვს, ერთმა ცნობილმა მწერალმა თავისი ნაწარმოები წაუკითხა და თან დაბეჯითებით უმეორებდა, — ხომ კარგია, დომენტი, ხომ კარგიაო. დომენტიმ კი ჩაილაპრაკა, ისე, თავისთვის, მაგრამ ყველამ გავიგონეთ: კარგია, ეს ოხერი, მარა, რად გინდა, ხასიათი არ ჩანს, ხასიათი...

მოურიდებელი და უკომპრომისო ბრძანდებოდა ბატონი დომენტი, ამის გამო მტერ-მოყვარეც ბევრი გაიჩინა, თუმცა მრავალი ახალგაზრდა შემოქმედი ჰყავს გზაზე დაყენებული.

შორეული და შეუცნობელია ის სულიერი ლტოლვა, რომელმაც დამაახლოვა პოეტთან, განსაკუთრებით მისი სიცოცხლის ბოლო წლებში.

შაბათობით, დილით, შინ ვესტუმრებოდი ხოლმე. იგი ავტომშენებლის ქუჩაზე ერთ-ერთ მაღლივ შენობაში ცხოვრობდა მესამე სართულზე, უფრო ხშირად ლოჯში ვისხედით. შემინული სათავსოდან კარგად მოჩანდა იმერეთის მთა-გორები. იქ იდგა მაგიდა, რადენიმე სკამი და ძველი ქართული დივანი. პოეტი ყოვლთვის ამ ძველებურ სკამლოგინზე დაჯდებოდა და კედელზე გაკრულ ხალიჩას ზურგით მიყრდნობილი ხვამლს გასცქეროდა.

ვისხედით ასე, ვით შეეფერება ოსტატსა და შეგირდს, ვსაუბრობდით ლიტერატურაზე, მხატვრობაზე და, საერთოდ, ხელოვნებაზე.

ამ საუბრებიდან გავიგე, რომ მას გარკვეული წვლილი მიუძღოდა ვანში გალაკტიონის სახლ-მუზეუმის მშენებლობისათვის თანხების გამოყოფაში. ამისათვის ტიციანის მეუღლეც კი განაწყენებია, რასაც იგი თავისებურად ამართლებდა:

— მაშინ სხვაგვარად არ შეიძლებოდა. ორი სახლ-მუზეუმის მშენებლობისათვის საჭირო თანხას არავინ გამოგვიყოფდა, ამიტომ წინ გალაკტიონი დავაყენეთ. აბა, სხვაგვარად როგორ შეიძლებოდა მომხდარიყო, თანაც გუმანით ვგრძნობდი, რომ გალაკტონის სახლ-მუზეუმს უეჭველად მოჰყვებოდა ტიციანის სახლ-მუზეუმი..

ჰოდა, ასეც მოხდა.

იმ ხანებში, ეს იყო 1984 წელი, ალმანახ „განთიადის“ რედაქციის დავალებით ნარკვევი დავწერე ერთ ფრიად კეთილშობილ პიროვნებაზე. ნაშრომი თვითონ რედაქტორმა კ. ლორთქიფანიძემ წაიკითხა სარედაქციო კოლეგიის წევრებთან ერთად. განხილვის შემდეგ, უეცრად ბატონმა კონსტანტინემ რატომღაც გალაკტიონი გაიხსენა და გამოაჯავრა:

— გალა და მე მეგობრები ვიყავით... პოეტებში ბადალი არ ჰყავს, გენიოსია. მისი ყოველი ლექსი საოცრად მუსიკალურია, მაგრამ ქართულ სუფრაზე „მრავალჟამიერს“ რომ წამოვიწყებდით, დააღებდა პირს და, — ააა...ს ამბობდა ჩუმად. თავისთვის...

ეს რომ მოვუყევი, დომენტიმ გაიღიმა და ბრძანა:

— შურს გალაკტიონის, იცის ვერ ავა იმ სიმაღლეზე და ცდილობს როგორმე მცირედით მაინც დაჩრდილოს. სინამდვილეში „პოეტთა მეფეს“ დიდებული ხმა და შესანიშნავი სმენა ჰქონდა: თვითონ მომისმენია, ზოგჯერ ისე აუწევდა ხმას, კარგ მომღერლებს უჭირდათ აჰყოლოდნენ.

ერთხელ ბატონმა დომენტიმ, ფიქრებში რომ იყო წასული და ხვამლს გაჰყურებდა, სხვათა შორის თქვა:

— რთულია და დაუნდობელი შემოქმედებითი აღტკინება, შენგან რომ წავა, დამთავრდა, შენი არაფერი აღარაა. ხალხისაა უკვე... ამიტომაა შემოქმედი კაცი უიღბლო, ბეწვის ხიდზე უნდა გაიაროს უთქმელი წამებისა და მტანჯველი სიმარტოვის განცდის ფასად, ბოლოს კი ცრემლი, ვაება და თეთრად გათენებული ღამეები შერჩება მხოლოდ.

მერე უეცრად მომიბრუნდა და მკითხა:

— იაკობ, ბორის გაპონოვს თუ იცნობდი?

— კი, ბატონო დომენტი, ნათესავად მეკუთვნოდა; მისი ქალიშვილის ირინა გაპონოვის აკვანი მეც დამირწევია.

— თუ იცოდი, „ვეფხისტყაოსანს“ რომ თარგმნიდა ებრაულ ენაზე?

— არა. როცა გახმაურდა, მერე გავიგე ეგ ამბავი.

ვთქვი თუ არა, პოეტი თავის სამუშაო ოთახში გავიდა. რაღაცას განახებო, ჩაილაპარაკა; რომ დაბრუნდა, ხელში მოსწავლის რვეულიდან ამოღებული რამდენიმე ფურცელი ეჭირა, ლურჯი მელნით ნაწერი.

ეს იყო ზუსტად ექვსი წლის წინ, მაშინ პოეტი თავს კარგად გრძნობდა და მხნედ გამოიყურებოდა.

შემოსვლისთანავე კვლავ თავის სკამლოგინზე მოეწყო მოხერხებულად და ფურცლები გამომიწოდა.

— ბორია გაპონოვის მოთხრობაა, წაიკითხე.

ჩამოვართვი, რუსულად იყო ნაწერი. ორჯერ გულდასმით ჩავიკითხე.

— მე და ბორია გაპონოვი კარგი მეგბორები ვიყავით, — გააგრძელა მან, როცა ნაწარმოები დავუბრუნე, — დღე არ გავიდოდა, რომ არ ვენახე. მაშინ ის ავტოქარხანაში მრავალტირაჟიანი გაზეთის ლიტმუშაკად მუშაობდა, უაღრესად პატიოსანი პიროვნება იყო, ჩუმი, მოკრძალებული, ამასთან ქართული ენისა და ლიტერატურის ბრწყინვალე მცოდნე. მიხაროდა მისი დანახვა, კულტურული, მრავალმხრივ ერუდირებული კაცი ბრძანდებოდა, მაგრამ „ვეფხისტყაოსანს“ თუ თარგმნიდა ებრაულ ენაზე, ნამდვილად არ ვიცოდი.

და, აი, ერთ წვიმიან საღამოს, ვზივარ კავშირში და, ჩვეულებრივ, როგორც ყოველთვის იცოდა, მოკრძალებულად შემოაღო ბორიამ კარები. მახსოვს, შავი კოსტუმის საყელო აწეული ჰქონდა, მივესალმეთ ერთმანეთს და ჩამოჯექი-მეთქი, ვუთხარი.

რატომღაც არ დაჯდა, მეტი არც არაფერი უთქვამს, უხმოდ მივიდა ფანჯარასთან და იქ გაჩერდა, გარეთ იცქირებოდა.

გამიკვირდა იმ საღამოინდელი მისი მოქცევა.

ხომ გითხარი და კვლავ გიმეორებ, ძალიან ახლო, მეგობრული ურთიერთობა გვქონდა-მეთქი: მისთვის ერთადერთი გულის მეს აიდუმლე ვიყავი, ოჯახური მდგომარეობის წვრილმანებსაც კი მიყვებოდა, არცთუ დალხინებული ცხოვრება ჰქონდა. და ახლა, ასე რომ მოიქცა, დავეჭვდი, რაიმეზე ხომ არ გამინაწყენდა-მეთქი.

— შინ ხომ მშვიდობით ხართ ბიჭო?

კიო, უხმოდ მანიშნა. რაღა მეთქმოდა, მხრები ავიწურე და უხერხულობის დასაფარავად საწერი მაგიდიდან ახალბედა პოეტის ლექსების რვეული ამოვიღე. არა, კითხვას არ ვაპირებდი, ისე ყასიდად გადავფურცლე. სინამდვილეში გაპონოვს შუბლქვემოდან მალულად ვუცქერდი. საშუალო ტანისა იყო, მხარბეჭიანი, შუქიანი პირისახე ჰქონდა. რამდენჯერმე გამომხედა. ნაღდად დავინახე, რომ თვალები ცრემლით ავსებოდა, ტიროდა კაცი. ერიჰა... ისეთი ძლიერი ნებისყოფის მქონე ადამიანისაგან, როგორიც ბორია იყო, ეგეთებს ნამდვილად არ მოველოდი. უეცრად იგი შემობრუნდა, ფანჯარას მოსცილდა გასასვლელთან მივიდა და კარი სწრაფად გამოაღო, მაგრამ წამით შეყოვნდა და ამან გადაწყვიტა ყველაფერი, გარეთ აღარ გავიდა; ისევ ნელა მიხურა კარები და იქვე, თავჩაქინდრული, ხელებჩამოყრილი დადგა. მეტის მოთმენა აღარ შეიძლებოდა, წამოვდექი, მივუახლოვდი, ორივე ხელი მხრებში მძლავრად ჩავავლე, შევანჯღრიე.

— რა მოგივიდა ბიჭო, ხმა ამოიღე.

— დომენტი, — აღლვებული, ცრემლნარევი, ყელიდან ძლივს რომ გადმოდის სიტყვა, აი, ასეთი ხმით მეუბნება: — დომენტი „ვეფხისტყაოსანი“ ვთარგმნე ებრაულად.

— ჰა!.. — თითქოს სადღაც ზარბაზანმა დაიქუხა, ხელები ჩამომიცვივდა. ახლა სიბრალულით ვუყურებ, ცოტა შექანებული მგონია; საწერ მაგიდასთან დავბრუნდი, დავჯექი, მაინც არ მინდა ყურებს დავუჯერო, ვეკითხები:

— გაიმეორე, რა თქვი?

— ებრაულ ენაზე ვთარგმნე „ვეფხისტყაოსანი“, დომენტი.

— მერე, შე კაცო, რა გატირებს, უნდა გიხაროდეს. აქ მოდი, დაჯექი.

— ეს სიხარულის ცრემლია, დომენტი. — თქვა ბორიამ და ჩემს პირდაპირ ჩამოჯდა.

— არაფერია მაგი, დამშვიდდი, მოთოკე გრძნობები და ცრემლი შეიკავე.

როცა ეს სიტყვები წარმოვთქვი, უკვე დარწმუნებული ვიყავი, რომ ბორია არ ტყუოდა; რა თქმა უნდა, არ ვიცოდი, როგორი იქნებოდა ეს თარგმანი, ამის წარმოდგენაც კი მიჭირდა, მაგრამ, იმ წუთში ამას არსებითი მნიშვნელობა აღარ ჰქონდა, რადგან მთავარი ის იყო, რომ ჩემ წინ იჯდა საღ ჭკუაზე მყოფი კაცი და ამბობდა სიმართლეს, ხოლო დანარჩენი გაირკვეოდა.

— მთლიანად თარგმნე?

— ბოლო ორი თავი მაქვს დარჩენილი; „ქორწილი ტარიელისა და ნესტან-დარეჯანისა“ და „დასასრული“. ორიოდ კვირაში დავამთავრებ.

— აქამდე სად იყავი, რატომ არ მითხარი?

— სხვაგვარად ნუ გამიგებ, დომენტი, უნდობლობით არ მომსვლია, უბრალოდ, არ მეგონა თუ შევიძლებდი.

— რა ხანია, რაც თარგმნას შეუდექი?

— სკოლის მერხიდან მოყოლებული ყველაფერი ამ საქმეს შევწირე.

— დარწმუნებული ხარ, რომ შეძელი და ნაღდია?

— არ ვიცი.

— ვინ იცის კიდევ, „ვეფხისტყაოსანი“ რომ თარგმნე?

— დღეს პირველად გავთქვი საიდუმლო, არავისთვის, თვით შინაურებისთვისაც არ გამიმხელია; რა ვიცი, აბა, ხომ ხედავ, შენც კინაღამ გიჟად ჩამთვალე?

ხელები გავშალე:

— საოცარი კაცი ხარ, ღმერთმანი, აბა, რა უნდა მეფიქრა, როცა თოფივით დამახალე, „ვეფხისტყაოსანი“ ვთარგმნეო.

— უკვე ველარ ვითმენდი, დომენტი, ზედმეტი სიხარულისგან ისე ვიყავი დაძაბული, მეგონა, საცაა საფეთქლები გაირღვევა-მეთქი.

— თარგმანი სადა გაქვს?

— შინ გადავმალე.

— წადი, მოიტანე, აქ დაგელოდები.

გაპონოვი ტყვიასავით გავარდა გარეთ; ორმოციოდე წუთში დაბრუნდა, ხელში საგულდაგულოდ შეკრულ-შეფუთული სქელი საქაღალდე ეჭირა, რომელიც შემოსვლითანავე გამომიწოდა.

საქაღალდე ჩამოვართვი, გავხსენი, ვფურცლავ და ვფურცლავ გაპონოვისეული ხელნაწერი „ვეფხისტყაოსნის“ პირველ ებრაულ თარგმანს, მაგრამ რად გინდა, ებრაულის ანა-ბანა არ გამეგება; არც თარგმანის ავკარგიანობაში ვიყავი გარკვეული, მაგრამ მაინც მიხაროდა, მაინც გულდაგულ ვფურცლავდი, მეამაყებოდა, რომ ებრაულ ენაზე პირველად აჟღერებულ „ვეფხისტყაოსანს“ პირველმა ხელი მე შევავლე. გული რომ ვიჯერე, თარგმანი ავტორს დავუბრუნე და ვუბრძანე:

— აბა, საქმეს შევუდგეთ, დაჯექი და წაიკითხე!

გაპონოვი გაოცებისაგან წამოხტა:

— როგორ, დომენტი, ებრაული იცი?

— ეგ უკვე შენი საქმე არაა, დაჯექი და წაიკითხე, მე გისმენ!

— რომელი თავი წაგიკითხო?

— პირველი თავიდან დაიწყე, „დასაწყისიდან“, და ვიდრე არ გეტყვი, კითხვის შეწყვეტა არ გაბედო!

ბორია გაპონოვს მშვენიერი ხავერდოვანი ხმა ჰქონდა; ის კითხულობდა, მე ვისმენდი. არა, ერთი სიტყვა არ გამეგებოდა, მაგრამ რითმი, რიტმი და მუსიკა როგორ გამომეპარებოდა; ეგ კი არადა, იმდენად სიამოვნებდა ყურთასმენას ებრაული ჰანგის ჟღერადობა, რომ ზოგიერთ სტროფს ხელმეორედ ვაკითხებდი.

ამასობაში შემოგვათენდა კიდეც. შინ წასვლას აზრი აღარ ჰქონდა და კავშირში დავრჩი.

— თარგმანი ჩემთან დარჩება, შენ კი სამსახურში წადი, არ დაიგვიანო; საღამოს აუცილებლად მოდი აქ; ერთი მეგობარი პოეტი მყავს, ცოტაოდენი ებრაული იცის, ამაღამ კიდევ ერთხელ მოგიწევს წაკითხვა.

ის ღამეც გავათენეთ, ოღონდ უკვე სამნი ვიყავით. განთიადს არაქათგამოცლილები შევხვდით; განსაკუთრებით ბორია გადაღლილიყო, ხმა ჩახლეჩოდა და ბოლოს თითქმის ჩურჩულით კითხულობდა. ეს არც გვიკვრიდა, რადგან ორი ღამე, ზედიზედ ორჯერ, თითქმის თავიდან ბოლომდე წაიკითხა „ვეფხისტყაოსნის“ საკუთარი ებრაული თარგმანი. ერთსაც დავძენ, მიუხედავად გადაღლილობისა, სამივენი შესანიშნავ გუნებაზე ვიყავით, ვინაიდან ეჭვი აღარ გვეპარებოდა თარგმანის კეთილხმოვანებაში. სხვა დანარჩენი უკვე სპეციალისტის საქმე გახლდათ, რომელიც არა მხოლოდ ქუთაისში, არამედ საქართველოშიც კი არ გვეგულებოდა.

ამასობაში ჩემი მეგობარი პოეტი წავიდა და ოთახში ორნი დავრჩით, მე და გაპონოვი.

— რას მირჩევთ, დომენტი?

— ორი აზრი არ არსებობს, თარგმანი მოსკოვში უნდა გავგზავნოთ!

— მეშინია, დომენტი.

გამეცინა.

— „შიში ვერ იხსნის სიკვდილსა ცუდია დაღრეჯილობა“...

— მესმის!

შევეცადე დამემშვიდებინა:

— ნუ გეშინია, ყველაფერი კარგად იქნება, საღამომდე მოვიფიქრებ, როგორ უნდა მოვიქცეთ.

დავრჩი ისევ მარტო „ვეფხისტყაოსნის“ გაპონოვისეულ თარგმანის ხელნაწერთან და საკუთარ ფიქრებთან: თავს ვიტეხდი,

ვინ იცის, რამდენგზის ავწონ-დავწონე, თუ რა გამეკეთებინა, რომ ამ ალალი, გაჭირვებაში გაზრდილი, მამით ობოლი ბიჭის, ეს ტიტანისებური შრომა ან წყალს არ წაეღო, ან — ქარს; ყოველი ნაბიჯი დიდ სიფრთხილესა და დაკვირვებას საჭიროებდა, მით უმეტეს, რომ ბორია გაპონოვი თითქმის უსახელო ავტორი იყო, თუ არ ვცდები, არც არაფერი ჰქონდა გამოქვეყნებული; მოთხრობა, წეღან რომ წაგაკითხე, გაცილებით ადრე მომიტანა, ვიდრე „ვეფხისტყაოსნის“ თარგმანის საქმეს გამანდობდა და მთხოვა, ეგებ დამეხმარო, რომ „კუტაისსკაია პრავდაში“ მაინც დამიბეჭდონო; მცდელობა არ დამიკლია, მაგრამ რა მექნა, როცა მხატვრულად სუსტი ნაწარმოები გამოდგა; დღეს ამიტომაც წაგაკითხე, უბრალოდ, დავრწმუნდი რედაქტორისეულ შეფსებაში. ერთი სიმართლეც უნდა გაგიმხილო, მეც გვარიანად ვშიშობდი, ვეჭვობდი, ვაითუ, თარგმანმა არ გაგვიმართლოს-მეთქი, მხედველობიდან არ მრჩებოდა ის გარემოებაც, რომ შეიძლებოდა თარგმანი თავდაპირველად სისუსტის გამო დაეწუნებიანათ, მაგრამ კარგი სპეციალისტის სათანადო შენიშვნებისა და მუშაობა-ჩასწორების შემდგომ გამომდგარიყო. ამიტომ განსაკუთრებით დიდი მნიშვნელობა ენიჭებოდა იმ ფაქტორს, თუ როგორი პიროვნების ხელში მოხვდებოდა „ვეფხისტყაოსნის“ პირველი ებრაული თარგმანი, აგრეთვე ვშიშობდი, რომ ისეთი უცნობი ავტორი, როგორიც მაშინ ბორია გაპონოვი იყო, ყურადღების ღირსად არ ჩაეთვალათ და ნაშრომს დავიწყების სქელი მტვერი დაჰყროდა. მოკლედ რომ ვთქვა, ყველაფერი გავითვალისწინე და გადავწყვიტე ალალბედს მივნდობოდი. აღარ დამიყოვნებია. სასწრაფოდ შევადგინე წერილი სსრკ მწერალთა კავშირის გამგეობის თავმჯდომარის სახელზე, სადაც აღვნიშნე ბორია გაპონოვის მოკლე ბიოგრაფიული ცნობები და მის მიერ თარგმნილი „ვეფხისტყაოსნის“ ებრაული თარგმანის ფრიად სასიამოვნო მუსიკალური ჟღერადობის შესახებ, თან უმორჩილესად ვთხოვდი გამოეთქვათ თავიანთი მოსაზრება თარგმანის ავ-კარგზე.

საღამოს, ბორია რომ მოვიდა, წერილი უკვე მზად მქონდა. გავაცანი ჩემი მოსაზრებები და განვუმარტე ის გარემოებანი, რომელიც არ გამორიცხავდა გართულებებს, ამასთან ვუთხარი:

— მოდი და ასე მოვიქცეთ, შეარჩიე თარგმანიდან რამდენიმე თავი, რომელიც საუკეთესოდ მიგაჩნია და ამ წერილთან ერთად ხვალვე მოსკოვს ვაფრინოთ.

გაპონოვი უყოყმანოდ დამთანხმდა: ჩემ მიერ შედგენილ წერილზე, რომელიც მან რუსულად გადათარგმნა და რემინგტონზე დაბეჭდა, მე მწერალთა კავშირის ქუთაისის განყოფილების შტამპი დავუსვი, ხელიც მოვაწერე, დავნომრე და „ვეფხისტყაოსნის“ ებრაული თარგმანის გაპონოვისეული ხელნაწერის რამდენიმე თავთან ერთად, საგულდაგულოდ დალუქული, მოსკოვში გავგზავნეთ.

პასუხს ოთხი თვე და, მგონი, ცოტა მეტი, შეაგვიანდა. ამ ხნის განმავლობაში მე და ბორია თითქოსდა ნემსებზე ვისხედით, მართალია, ჩვეულებრივ ვხვდებოდით ერთმანეთს, მაგრამ თარგმანზე, ხმას ვერ ვიღებდით.

და, აი, ერთ მშვენიერ დღეს თითქოსდა საუკუნოვანი ლოდინის შემდეგ, მოსკოვიდან პასუხიც მოვიდა. პასუხი, მაგრამ არ იკითხავ, რა პასუხი? გვწერდნენ, თარგმანი ბრწყინვალეა, სასწრაფოდ გამოაგზავნეთ პოემის ებრაული თარგმანის დანარჩენი ხელნაწერიო. ბარათს ხელს აწერდა ცნობილი ებრაელი პოეტი აბრამ შლიონსკი. როგორც შემდეგ გაირკვა, პასუხს იმიტომ შეაგვიანდა, რომ ჩვენს მიერ გაგზავნილი ხელნაწერი, დასკვნისათვის მოსკოვიდან თელ-ავივში გადაუგზავნიათ.

იმ დღის სიხარულს რა დამავიწყებს; ხან ვტიროდით, ხან ვიცინოდით. ბორია მეხვეოდა, მკოცნიდა, მამაზე უკეთესი ხარო, მეუბნებოდა.

...ასე დაასრულა პოეტმა თავისი მოგონება. იგი ქართულ სკამლოგინზე იჯდა, კედელს ზურგით მიყრდნობოდა და ხვამლს უცქეროდა.

გარეთ გვიანი შემოდგომის წვიმა ცრიდა. იმერეთის მთაგორებზე აქა-იქ ჩამოთოვლილიყო.

— ხვამლზე მინდა ავიდე, — თქვა უეცრად პოეტმა და თან მკითხა: — შენ ხომ ვერ დამეხმარები?

უცბად ვერ გავიგე მისი ფარული ნააზრევი და რადგან ვიცოდი, მაღალი წნევა აწუხებდა, ოდნავ ყოყმანით (აბა, უარს როგორ ვაკადრებდი) ვუპასუხე:

— როგორ არ დაგეხმარები, მეგობარი მყავს ერთი, მთამსვლელია, ვთხოვ და ყოველგვარ საშუალებას გამოგვიძებნის, მომავალ გაზაფხულზე ავიდეთ ხვამლზე.

გვიან ჩავხვდი პოეტის ფარულ ნააზრევს...

ბ ო ლ ო ს ი ტ ყ ვ ა

წინამდებარე მოთხრობა საქართველოში გამოქვეყნდა ორჯერ: ჯერ გაზეთ „ქუთაისში“ (15 აპრილი, 1989 წ.), ხოლო შემდეგ „ლიტერატურულ საქართველოში“ (29 ივნისი, 1990). ამ მოთხრობის გამოქვეყნებისთვის დიდი უსიამოვნებანი შემხვდა: ზოგიერთები არასწორად მიიჩნევდნენ დომენტი ახობაძის მონაწილეობას ამ დიდ საქმეში.

1993 წ. გამოჟონა, რომ თითქოს ბორის გაპონოვმა „ვეფხისტყაოსნის“ ივრითული ხელნაწერი აბრაამ შლიონსკის გაუგზავნა ლენინგრადელი მწერლის აბრაამ ბელოვის დახმარებით. 1996 წ. ისრაელში, ცნობილი მწერლის, ისრაელის მწერალთა კავშირის თავმჯდომარის ეფრაიმ ბაუხის თხოვნით, მე გავემგზავრე იერუსალიმში, შევხვდი მწერალ აბრაამ ბელოვს და ვესაუბრე მას ამ საკითხზე. გაირკვა, რომ მისი წერილები შლიონსკისადმი შესულია წიგნში: „ებრაელთა წერილები საბჭოთა კავშირიდან“, მაგრამ ამ წერილებში არ ჩანს თუ ვინ მიაწოდა „ვეფხისტყაოსნის“ გაპონოვისეული თარგმანი (16 სტროფი) „ამბის ცნობა ტარიელისაგან ნესტან-დარეჯანის დაკარგვისა“ აბრაამ შლიონსკის, რომელიც ისრაელის გაზეთ „ყალ-ამიშმარში“ გამოქვეყნდა. ამის შესახებ არ იცოდა არც აბრაამ ბელოვმა. „შესაძლებელია, შლიონსკიმ ეს თექვსმეტი სტროფი მიიღო მოსკოვიდან“ — თქვა მან. მხოლოდ ამის შემდეგ ეფრაიმ ბაუხმა, რომელიც დარწმუნდა რომ დომენტი ახობაძეს ნამდვილად ჰქონდა შეტანილი წვლილი ამ საშვილიშვილო საქმეში, ჩემს მიერ რუსულ ენაზე თარგმნილი ეს ნაწარმოები გამოაქვეყნა გაზეთში: „Еврейский камертон» (31 мая, 2007, სათაურით:„Истинная история одного литературного перевода“) თავისი კომენტარებით.

„პოეზია — უპირველეს ყოვლისა!“ — ბრძანა გალაკტიონმა.

ჩემი აზრით, ორი დიდი ებრაელი პოეტის ბორის გაპონოვის და აბრაამ შლიონსკის სახელის უკვდავსაყოფად, კარგი იქნება გაკეთდეს მემორიალური დაფა ჯვრის მონასტერთან, სადაც სი-

ცოცხლის დარჩენილი წლები გაატარა დიდმა შოთა რუსთაველმა. ამ მემორიალით, ფართო საზოგადოებამ უნდა შეიტყოს, როგორ გადარჩა „ვეფხისტყაოსნის“ ყივრითული თარგმანი. და თუ ბორის გაპონოვის და აბრაამ შლიონსკის გვერდით აღმოჩნდება ქართველი პოეტი დომენტი ახობაძე, ამით არაფერი დაშავდება, პირიქით, ხელს შეუწყობს ჯვრის მონასტრის დაბრუნებას.

ოქტომბერი, 2012

ოპუსი №5

1955 წ. საგანმანათლებლო სისტემაში მოხდა ფრიად მნიშვნელოვანი მოვლენა — ვაჟები და ქალები შეერთდნენ. ჩვენი, ვაჟთა მე-8 არასრული სკოლა შეუერთდა ქალთა პირველ საშუალო სკოლას, და იმ დღიდან იწოდებოდა, როგორც ქუთაისის მე-3 საშუალო სკოლა. პირველი სკოლის დირექტორი იყო ბიძინა გულდედავა, ხოლო ახალი სკოლის დირექტორად დარჩა თამარ დახუნდარიძე. ეს ეპიზოდი ჩემი ცხოვრებისა იმით არის აღსანიშნავი, რომ სკოლაში მოვიდა ხატვის ახალი მასწავლებელი — ვანო ჭეიშვილი, განათლებული, პატიოსანი და მხატვრობაზე განუსაზღვრელად შეყვარებული კაცი. ბატონმა ვანომ ყურადღება მიაქცია ჩემს ფანქარში შესრულებულ ნამუშევრებს და მირჩია, რომ მევლო მასთან ხატვის წრეში, პიონერთა სასახლეში. იქ დღეს მწერალთა სახლია განთავსებული, ხოლო პიონერთა სასახლე მოგვიანებით გადავიდა ავტოქარხნის ქუჩაზე დიდების მემორიალიდან (დღეს იქ პარლამენტია) ოდნავ მოშორებით. სხვათა შორის, პიონერთა სასახლის პროექტის განხორციელებაში ჩემი წვლილიც ძევს: არქიტექტორი იყო ამური ფხაკაძე, ხოლო კონსტრუქტორი — მე. ეს იყო 1970-71 წწ. საპროექტოს ხელმძღვანელობდა ცნობილი მშენებელი სოსო იმნაძე. შენობა, არქიტექტურული თვალსაზრისით მოდერნულ სტილში იყო გადაწყვეტილი. სამწუხროდ, შენობის ბრტყელი გადახურვა არაეფექტური გამოვიდა. ქუთაისი უხვნალექიანი ქალაქია, და ალბათ არქიტექტურული ჩანაფიქრი სხვაგვარ თვალთახედვას საჭიროებდა. რაც ვთქვი, ეს უბრალოდ სიტყვას მოჰყვა, და ვფიქრობ, არცთუ უადგილოდ, რადგან პროფესია, რომელიც მე სკოლის დამთვრების მერე ავირჩიე — ვარ მშენებელი ინჟინერი, გარკვეულ კავშირშია იმ გავლენასთან, რაც ჩემზე ბატონმა ვანომ იქონია. მის სახელთან დაკავშირებულია აგრეთვე სამხატვრო სკოლის გახსნა, მწვანე ბაზრის სიახლოვეს, კულტურის

სახლის შენობაში. იგი ცნობილ მოქანდაკე ვალერიან მიზანდართან ერთად ამ სკოლის, მხატვართა კავშირის და სამხატვრო ფონდის დაარსების ერთ-ერთი ინიციატორი იყო ჩვენს ქალაქში. ასე და ამგვარად, პიონერთა სახლიდან სამხატვრო სკოლაში გადავინაცვლე და მისი ერთ-ერთი პირველი მოსწავლე აღმოვჩნდი. ეს სკოლა დაამთავრეს ქუთაისის და საქართველოს სინამდვილეში ცნობილმა მხატვრებმა: გურამ დოლონჯაშვილმა, ჯეირან ფაჩუაშვილმა, აივენგო ჭელიძემ, კარლო ფაჩულიამ, გოგი მიშველაძემ, რომლებთანაც ახლო, მეგობრული ურთიერთობა მაკავშირებდა... ბატონმა ვანო ჭეიშვილმა, სამსახურის კარი „აუტალახა“ მამაჩემს, არწმუნებდა, ბავშვს ხატვის ნიჭი აქვს და სამხატვრო სკოლაში სიარულს ნუ უშლიო. მამაჩემი — მიხეილ პაპიაშვილი ქუთაისის სინამდვილეში ცნობილი პიროვნება გახლდათ. მან, ომის შემდგომ სტალინურ იდეოლოგიას სწორად აუღო ალღო და მისი მოდელების მიხედვით განვითარებულ საგალანტერიო წარმოებაში შემდგომში 2500 ქალი და ქალიშვილი იყო დასაქმებული.

იმის შესახებ, თუ რა შედეგი გამოიღო ბატონი ვანოს თხოვნამ თუ რჩევამ, და რა გადაწყვეტილება მიიღო მამაჩემმა, რა თქმა უნდა, ჩემთან შეთანხმებით, შევქმენი პოეტური—პროზაული ნაწარმოები „ოპუსი №5“.

იმ გზას რომ გავყოლოდი!?..

„ეჰ, წერის ნიჭი რომ დამყოლოდა!“ — ეს ფრაზა ნაღვლიანად ჩაილაპარაკა ბაბუა ალიოშამ იმ დღეს, როცა მე მეხუთე კლასის მოსწავლემ, რაღაც ლექსის მაგვარი შაირი შევთხზე, და დედაჩემმა, იმით აღტაცებულმა, რომ მისი შვილი „დიდი პოეტია“, ეს მთელ ეზოს ამცნო. მეზობლები, განსაკუთრებით ჩემი კეთილი, მეგობარი მოხუცები, ფიქრობდნენ, რომ მე მართლა ნამდვილი მწერალი ვარ.

მე ვსწავლობდი იმ ეპოქის სკოლაში, რომელიც იმ დროს ცნობილი იყო როგორც სოციალისტური რეალიზმი. ამ სკოლაში ქართულთან ერთად რუსულიც მშობლიურ, სავალდებულო ენად ითვლებოდა, და ამიტომ საპროგრამო მოთხოვნა ლიტერატურაში ორივე ენაში თითქმის ერთნაირი იყო. ჩვენ ვეცნობოდით და ვსწავლობდით, როგორც ერთი, ისე მეორე ხალხის ლიტერატურულ შედევრებს, ვიზეპირებდით ამა თუ იმ მწერლის მხატვრულ გამონათქვამებს, ვცდილობდით გავთვითცნობიერებულიყავით მათ მსოფლმხედველობაში, ფეხდაფეხ მივყვებოდით მათ მიერ განვლილ შემოქმედებით გზას, ვწერდით ვრცელ საკლასო თხზულებებს, ვცდილობდით გაგვერკვია რისი თქმა უნდოდა ავტორს ამა თუ იმ ნაწარმოების მიხედვით და როგორ მოქმედებდა მისი ნააზრევი თანამედროვეობაზე. სამწუხაროდ, ასეთი ფორმა სწავლებისა ჩვენს ყმაწვილურ ცნობიერებაში აღიქმებოდა ცალმხრივად და დამახინჯებულად, რადგან გზა საზღვარგარეთის მხატვრული ლიტერატურისაკენ ჩვენთვის პრაქტიკულად დაკეტილი იყო. მაგრამ, როგორც ცნობილია, აკრძალული ხილი განსაკუთრებით ტკბილია, და ჩემი ქართული ლიტერატურის მასწავლებლის დახმარებით, მე, იმ ხანებში, როცა პირველი ლექსი გამოვაცხვე, უკვე „ვნადირობდი“ საზღვარგარეთელი მწერლების სქელტანიან რომანებზე.

მხატვრული თარგმანის სარედაქციო კოლეგიას საქართველოს მწერალთა კავშირში, ჯერ კიდევ არ ჰქონდა გამომუშავებული მიზანდასახული ორიენტაცია, რის გამოც საზღვარგარეთელი ავ-

ტორების თარგმანს სათანადო ყურადღება არ ექცეოდა. ამიტომ გერონტი ქიქოძის მიერ ქართულ ენაზე თარგმნილი ემილ ზოლას „ნანა“ და „ხაფანგი“ ან მოპასანის „ლამაზი მეგობარი“ რომ სადმე მოგეხელთებინათ, დიდ მიღწევად ითვლებოდა.

არ მახსოვს დავიჯერე თუ არა დედაჩემის მტკიცება იმის შესახებ, რომ მე პოეტი ვარ, მაგრამ, ვკითხულობდი ძალიან ბევრს. ვკითხულობდი ღამე, ვიდრე დედა ნავთის ლამპას არ ჩააქრობდა, ვკითხულობდი ქუჩაში, სკოლაში რომ მივდიოდი და უკან ვბრუნდებოდი, ვკითხულობდი მალულად გაკვეთილების მსვლელობის დროს, ვკითხულობდი შესვენებებზე. ერთი სიტყვით, ვკითხულობდი და ვკითხულობდი.

მხატვრული ლიტერატურით გატაცება, მე მთელი ცხოვრების მანძილზე გამყვა, მაგრამ იმ ხანებში, როცა ჩვენს სკოლაში ხატვის ახალი მასწავლებელი, ვანო ჭეიშვილი გამოჩნდა, ეს მიდრეკილება კითხვისადმი ცოტათი დაცხრა. ვანო მასწავლებელს ჩვენ „ვანო ჭეის“ ანუ უბრალოდ „ჭეიას“ ვეძახდით, მეგობრულად, რა თქმა უნდა. იგი იყო უკვე ხანში შესული ადამიანი. ასე სამოცი წლისა, მთლად ჭაღარა, ცოცხალი თაფლისფერი თვალებით. საქართველოს ხელოვნების დამსახურებული მოღვაწე, ის არ იყო დიდი ფერწერული ტილოების შემქმნელი მხატვარი, მაგრამ ითვლებოდა კარგ მთხრობელად. ჰქონდა გადმოცემის შესანიშნავი უნარი. ჭეია ამაყობდა იმით, რომ 1930-იან წლებში დაამთავრა ლენინგრადის სამხატვრო აკადემია. მისგან პირველად გავიგეთ, რომ არსებობდა ერმიტაჟი და ლუვრი, გავიგონეთ აღორძინების ეპოქის ბრწყინვალე ოსტატების სახელები: ლეონარდო, მიქელანჯელო, რაფაელი, ბოტიჩელი. თითოეულ მოსწავლესთან თავისებურ, კეთილ ურთიერთობას ამყარებდა. აქ თუ ვიხმართ სიტყვას „მამობრივი“, არ იქნება უადგილო, ამით ცდილობდა გაეღვივებინა ჩვენში ბუნების და ფერწერის სიყვარული. იმავდროულად მან მუშაობა დაიწყო ქალაქის პიონერთა სახლში, თეთრი ხიდის მახლობლად. მას იქ თავისი კაბინეტი — სამუშაო ოთახი ჰქონდა ხატვის დამატებითი გაკვეთილების ჩასატარებლად, და გვირჩევდა გვევლო მასთან. მე-

ექვსეკლასელთა შორის, მე პირველმა გადავწყვიტე მიმეღო ეს მიწვევა, და მალე მისი საყვარელი მოსწავლე გავხდი.

ზოგჯერ, გაკვეთილების დამთავრების მერე, ის სამასწავლებლოში მელოდებოდა და ჩვენ ერთად მივდიოდით პიონერთა სახლში, სადაც თავის კაბინეტში მაჩვევდა თუ როგორ დავუფლებოდი ხატვის ოსტატობას ფანქრით, მასწავლიდა თანდათანობით გადასვლას ნათელ-ჩრდილოვან გამაში.

ვანო ჭეია იყო ერთ-ერთი ინიციატორი ქუთაისში სამხატვრო სკოლის ჩამოყალიბებისა. სკოლა გახსნეს ქალაქის კულტურის სახლში, მწვანე ბაზრის მოპირდაპირე მხარეს, ჯაჭვის ხიდის მახლობლად. სამეცადინო ოთახები განლაგებული იყო მესამე სართულზე, საიდანაც კარგად მოჩანდა მწვანეყვავილას პეიზაჟი რიონის მარცხენა მხარეს, რაჭისკენ მიმავალ გზაზე, რამდენიმე თანაკლასელმა მომბაძა და ისინიც ამ სკოლის მოსწავლეები გახდნენ. ჩვენ ვსწავლობდით ფერწერას, გრაფიკას, ქანდაკებას, ლითონზე ჭედვას. ლექტორ-მასწავლებლები ხელოვნების გამოცდილი მუშაკები იყვნენ, რომელთა სახელებს დღესაც დიდი პატივისცემით მოიხსენიებენ.

გავიდა ხანი, მე ჩამოვრჩი საგნებში ზოგადსაგანმანათლებლო სკოლაში და მშობლებმა ამიკრძალეს სამხატვრო სკოლაში სიარული. ვანო ჭეიამ რამდენჯერმე მიაკითხა მამას სამსახურში, არწმუნებდა, რომ იგი საკუთარ შვილს დათვურ სამსახურს უწევდა, მომავალი დიდი ხელოვანის ნიჭს კლავდა, და, ბოლოს და ბოლოს, დაიყოლია. მაგრამ სკოლის დამთავრების წინ, მე მაინც მომიწია მიმეტოვებინა ის გზა, რომელიც შემდგომ დამეხმარა მომენახა საკუთარი თავი ხელოვნების სხვა სფეროში.

ვანო ჭეია მარწმუნებდა, რომ ჩემგან დიდი მხატვარი გამოვიდოდა. ამას რომ მეუბნებოდა, ის გამჭოლი მზერით მაცქერდებოდა თვალებში. ვნანობ, იმედი არ გავუმართლე მოხუც ოსტატს. ვინ იცის, შეიძლება, იმ გზით რომ წავსულიყავი, რომლისკენაც დაჟინებით მითითებდა მასწავლებელი, მე მართლაც შევძლებდი შემექმნა რაღაც მნიშვნელოვანი. მიმბაძველობა ყოველთვის

მარცხით არ მთავრდება. ბევრმა ცნობილმა ოსტატმა მოუხვეჭა სახელი თავის ფუნჯს მიმბაძველობით.

უფრო გვიან, როცა მე მოვინახულე ტრეტიაკოვის გალერეა და ერმიტაჟი, მას მერე კი, როცა ისრაელის მწერალთა კავშირის ინიციატივით ჩატარებული ექსკურსიის წყალობით ვნახე ლუვრი და ვინძორის ციხე-დარბაზი, პარიზის და ლონდონის ნაციონალური გამოფენა, მეგონა, რომ პოეტურ მუზას ჩემი აკვნის სიახლოვესაც არ ჩაუვლია, მაგრამ, ვიმეორებ, ვანო ჭეია მიმტკიცებდა, რომ მე დავიბადე როგორც მხატვარი. ზოგიერთ თემას ან სიუჟეტს მე რომ დავსესხებოდი, ვთქვათ რეპინს, დელაკრუას და სალვადორ დალის, ალბათ ჩემს მიზანს ნამდვილად მივაღწევდი. მაგალითად, როიალის კლავიშებზე მე განვალაგებდი არა ექვს, არამედ თორმეტ ლენინს, მოციქულთა რაოდენობის მიხედვით. დელაკრუას ცნობილ სურათზე კი გავზრდიდი დახოცილთა რაოდენობას ლამაზი ფრანგი რევოლუციონერი ქალის ფეხქვეშ, ხელში წითელი დროშით, მის თავს ზემოთ რომ ფრიალებს, იგი თავისუფლების მოსაპოვებლად მოუწოდებს რევოლუაციას... დელაკრუას ამ ტილოს ეწოდება: „თავისუფლება ბარიკადებზე“, მაგრამ სურათზე ბარიკადები არ ჩანს, და ჩემი აზრით, არც არის საჭირო, რადგან ბარიკადების ფუნქციას ასრულებს ბრძოლის დროს დახოცილი რევოლუციონერები და „თავისუფლება“ სწორედ მათ — ადამიანების — გვამებზე არის შემდგარი. ამ იდეის გამოა, რომ დელაკრუას ეს სურათი ლუვრში მუდამ არის გამოფენილი.

თუმცა მე ვერ შევძლებდი რეპინის სურათში „ივანე მრისხანე და მისი ვაჟი ივანე“ განრისხებული მეფე, საკუთარი შვილის მკვლელი, შემეცვალა იოსებ სტალინით. ლენინიზმი გამუდმებით ითხოვდა ხალხის მტრების — ფეოდალების... სისხლს. 20-იან წლებში ამ დოქტრინისაგან გადახვევა სტალინისათვის ნიშნავდა მარატის, დანტონის და რობესპიერის ბედს. რუსულმა რევოლუციამ სტალინი ისევე აღმოაჩინა, როგორც ფრანგულმა — ნაპოლეონი. პირველი ქართველი იყო, ხოლო მეორე კორსიკელი. და მიუხედავად მოსკოვთან დაშვებული შეცდომებისა და საბედისწერო მარცხისა, მიუხედავად იმისა, რომ ნაპოლეონი არ იყო ფრანგი, ნაპოლეონის სახელი ფრანგებმა შარავანდედით შემოსეს, მაშინ, როცა რუსეთის გადამრჩენის და მსოფლიოში ფაშიზმის დამმარცხებლის სახელს, რუსებმა ჯალათის და ტირანის იარლიყი მიაკრეს. როცა მთელი ევროპა თავს დაესხა მოსკოვს, და არამარტო ევროპა, ალბათ სტალინი არცთუ უსაფუძვლოდ ფიქრობდა, რომ ჰიტლერს, ისევე როგორც ნაპოლეონს, თავს მოახვიეს რუსების წინააღმდეგ ომი. თუ გავითვალისწინებთ, რომ 1944 წ. ნაცისტების წინააღმდეგ მიმართულ ერთ-ერთ გადამწყვეტ ოპერაციას სტალინმა შენგრაბენის, აუსტერლიცის და ბოროდინოს ბრძოლების გმირის ბაგრატიონის სახელი უწოდა, ჩვენი მოსაზრება არცთუ უსაფუძვლო იქნება, თუმცა ამის შესახებ არსებობს უფრო მყარი ისტორიული საბუთი, ვთქვათ: რატომ ცდილობდა საბჭოთა ლიდერი 1987 წ. რუდოლფ ჰესის განთავისუფლებას? რას ამტკიცებს ამის შესახებ №1 ნაცისტის შვილი ვოლფ რიუდიგერი და რატომ ჩივის იგი ჰააგის სასამართლოში? არა, რეპინის სურათში ივანე მრისხანის შეცვლა იოსებ სტალინით შეუძლებელია, სიუჟეტი არ ექვემდებარება ოდნავ ცვლილებასაც კი. საცოდავია მამა — მეფე, სულ რამდენიმე წამის წინ კვერთხით რომ გაუპო საფეთქელი საკუთარ შვილს, და ახლა მოცახცახე ხელებით ცდილობს მისი საფეთქლიდან გადმომჩქეფარე სისხლის შეჩერებას. მაგრამ სისხლი თითებშუა მაინც ძალუმად მოჟონავს... მისი შეჩერება შეუძლებელია.

მალე მივხვდი, ჩემი ოცნება — შემექმნა რამე დიდი ტილო, მხოლოდ მაცდუნებელი ილუზია იყო და სხვა არაფერი. ჩემს მიერ დახატული რამდენიმე ნატურმორტი და მწვანეყვავილას პეიზაჟი რა ხანია სადღაც გადავმალე, რომ არავის ენახა. გინდ დაიჯერეთ და გინდ არა, მაგრამ იმ დღეებში, როცა მათ ვწერდი, შთაგონებული ვიყავი და მწამდა, რომ რაღაცას მაინც მოვიტაცებდი იმ ცეცხლიდან, რომელიც აღორძინების ეპოქის ტიტანებმა აანთეს. დილით, სკოლაში წასვლის წინ, დედა მეუბნებოდა ხოლმე, რომ ძილში ხშირად წამოიძახებ უცნობ სახელებსო: „დღე“, „ღამე“, „სიქსტეს

კაპელა“, „მოსე“, „დავითი“, „მონა ლიზა“, „მადონა ლიტა“, „გაზაფ-ხული“, „ბალზაკი“... და გაკვირვებული მეკითხებოდა: „ვინ არიან ეს კაცები და ბავშვიანი ქალებიო?“

ერთხელ, ფერწერის გაკვეთილზე, ვანო მასწავლებელმა ფიროსმანის და ლადო გუდიაშვილის ნამუშევრების რამდენიმე რეპროდუქცია გვიჩვენა და მერე უეცრად შემოგვთავაზა ნატუ-რიდან დაგვეხატა ახალგაზრდა ქართველი გოგონას სახე, ხოლო თვითონ, როგორც ყოველთვის, მოგვშორდა. მენატურე ჩვენი თანაკლასელი მაკა იყო. მას უბრალო, გულამოჭრილი ჩითის კაბა ეცვა. ყველანი გულმოდგინედ ვმუშაობდით. იმ წუთებში, რომელიც, ალბათ, ჩემს ცხოვრებაში უკვე არასოდეს არ განმე-ორდება, მე რეალურ სამყაროს მოვწყდი და ჩემს წარმოსახვაში დაძაბული ვცდილობდი ტილოზე გამომეხატა სახე ახალგაზ-რდა ქართველი გოგონასი ისეთი ცოცხალი, როგორც მთიდან გადმომდინარე ცინცხალი წყაროა, მხიარული, მგრძნობიარე და სიყვარულის ნექტარით აღსავსე... და უეცრად ამ იდეალურ სიჩ-უმეში, როცა მხოლოდ პალიტრაზე ფუნჯით საღებავის შერჩევის ხმა ისმოდა, გაისმა ჩვენი ერთ-ერთი ამხანაგის ხმა. მეტსახელად მას ფრანციას ვეძახდით.

— თუ ჩვენ ამ სახეს ჩვეულებრივი ბიბლიური სიუჟეტის მიხედ-ვით დავხატავთ და ღვთაებრივი იერით ავამეტყველებთ, ვერ შევძლებთ მის გაცოცხლებას, ჩვენი მაკა სადა, უბრალო, სიცო-ცხლით სავსე, ხალისიანი გოგონაა, ჩვენ კი ისე შევცქერით, ვით ცვილისაგან ჩამოქნილ დედოფალას.

— კაბა გაიხადე, მაკა! შენი შინაგანი ცეცხლი ჩვენ აგვანთებს, და ისე დაგხატავთ, როგორც წესია, — შესთავაზა გოგონას ერთმა ჩვენგანმა. ეს გოგი იყო.

— მოხარშული წაბლი არ გინდა? — ნოდარ დუმბაძის ეს ცნო-ბილი ფრაზა მაკამ ღიმილით წამოისროლა.

— მაშინ მკერდი გაიშიშვლე. მენატურე ვალდებულია დაგვეხ-მაროს.

მაკამ გადაიკისკისა.

— გოგი, — გასძახა ფრანციამ ამხანაგს, — იცი, როგორ ეარ-შიყებოდა ვან გოგი თავის გულის რჩეულს და რა ჩაიდინა მისი სიყვარულის გამო? ვინსენტს მისი ცოლად შერთვა ჰქონდა გად-აწყვეტილი, თუმცა ის ქალი სულაც არ იყო წმინდანი.

— დიახაც, ვიცი. იგი თამამად შევიდა მომავალი სიმამრის სახლში, მის თვალწინ მაგიდაზე გაშლილი მარცხენა ხელი დადო და უთხრა: „თქვენი ქალიშვილის სიყვარულისათვის მე შემიძლია ყველაფერი ჩავიდინო“. ამ სიტყვებით დანა ქამრიდან დააძრო და ხელი მაგიდას მიალურსმნა.

— ეს ტყუილია. ყველაფერი სხვანაირად იყო. — ვთქვი მე. — ვან გოგი სასიმამროს სახლში რომ შევიდა, ბინდდებოდა, ოთახში სანთელი ენთო. მან ხელი ალთან მიიტანა და ეჭირა მანამდე, ვი-დრე ცეცხლმა ხელისგული არ ამოწვა.

— აბა, თუ ასეთი ყოჩაღი ხარ, თქვი, რა მიუძღვნა მხატვარმა თავის ცისფერთვალება მადონას?

— შენ მე ვერ მომატყუებ. ჰოლანდიაში ის მუქი პალიტრით მუშაობდა, ცისფერის გამოყენება კი პარიზში დაიწყო, იქ მონეს და პისაროს სტილით წერდა. მალე კი მის მიერ შერჩეული ელფერის, კოლორიტის ნათელი ჯაბნიდა, როგორც იმპრესიონისტების, ისე პოსტიმპრესიონისტების ქმნილებებს, სამწუხაროდ, მას და არც გოგენს ბედი არ წყალობდათ. ევროპამ არ მიიღო მათი ხელოვნე-ბა: ლურჯი ხეები, სინათლე ჩრდილის გარეშე... მათ სურათებს არ ყიდულობდნენ. ვან გოგის რვაასი ნახატიდან, მისმა ძმამა თეომ, რომელიც პარიზის ერთ-ერთი გალერეის დირექტორი იყო, მხ-ოლოდ ერთი სურათის გაყიდვა შეძლო. დღეს კი ყველას ანცვი-ფრებს მათი ტილოების ცისფერი, ოქროსფერი და წითელი ტონები. ორივეს სიღარიბეში ამოხდა სული. ვინსენტმა დეპრესიის დროს სასიკვდილო ჭრილობა მიაყენა საკუთარ თავს, გოგენი კი კუნძულ ტაიტზე სიფილისმა იმსხვერპლა.

ფრანციამ ისევ გამოთქვა თავისი აზრი:

— მე ვფიქრობ, ისინი, ვინც ამ ორი დიდი შემოქმედის შედევრების ყიდვა-გაყიდვით გამდიდრდნენ და გახდნენ მილიარდერები, წარმოშობილნი არიან მაიმუნებისგან, ხოლო ვან გოგი და გოგენი კი შემოქმედის ღვთაებრივი თიხისგან გაჩნდნენ ამ ქვეყანაზე.

— შთამბეჭდავი სიტყვაა, მაგრამ ფორმულირება არამყარია. — უპასუხა მას აივენგომ. — მაგალითად, მონმარტზე ვან გოგთან ერთად, რომ მუშაობდა, ფეხებმოღრეცილმა ანრი ტულუზმა, მთვრალ მდგომარეობაში მყოფმა, ადგა და ვინსენტს, ვითომცდა არაფერიო, ყური მოაჭრა, მერე კი ურჩია მოჭრილი ყური ბორდელში გაეგზავნა, სადაც მისი მზეთუნახავი მუშაობდა.

— სიცრუეა! — თავი ვერ შეიკავა ჯეირანმა. — ტულუზ-ლოტრეკი საერთოდ არ სვამდა. იგი ახალგაზრდობის დროს სასახლეში დაეცა, როცა საკუთარ სახელოსნოში მიდიოდა. მას ხერხემალი დაუზიანდა და ორივე ფეხი მოიტეხა. ხოლო ყური ვან გოგმა თვითონ მოიჭრა, პაპიროსის ქაღალდში გაახვია და საყვარელს, ეს სინამდვილეა, ბორდელში მიუტანა.

— გენიალობას ხშირად თან სდევს არაორდინალურობა, — დიალოგში ჩაერთო დოლონჯაშვილი. — იგი თავმდაბლობით და სიდინჯით ხიბლავდა ყოველთვის ადამიანს. — საზოგადოებრივი აზრის წინააღმდეგ მიმართული პროტესტი გოგენმა გამოხატა სურათში „ზმანება აღსარების შემდეგ“, რომელშიც გადმოცემულია იაკობის ბრძოლა ღვთის ანგელოზთან. ეს ბრძოლა შესაძლებელია ვან გოგის შემოქმედების სიმბოლოსაც წარმოადგენს. ლიტერატურაში, პოეზიაში, მუსიკაში, სახვით ხელოვნებაში ეს ბრძოლა წარმოადგენს ერთი მხატვრული სტილის შეცვლას და გადასვლას სხვა სტილში, სხვა მიმართულებაში. ეს ბრძოლა სხვა არაფერია თუ არადა იდეური ბრძოლა და ეს ბრძოლა ყველაფერიზე საშინელია...

— მაგრამ ვან გოგი იმპრესიონიზმის და პოსტიმპრესიონიზმის ჩარჩოებში ვერ თავსდება. ის უფრო მრავალმხრივია. მისი შემოქმედება ისევე გრძნობს და უშუალო კავშირშია ბუნებასთან, როგორც ჩვენი ვაჟას პოეზია: ისინი წერენ, ხატავენ და

თან ესაუბრებიან ხეს, ტყეს, ფოთლების შრიალს, მდინარეს, ცხოველს, ადამიანს...

ეს კარლო გამოეპასუხა მეგობარს. მას სიტყვა დამთავრებული არ ჰქონდა, რომ უეცრად გოგიმ ფანჯარა გააღო, რაფაზე შეხტა და დაიყვირ:

— მაკა, ერთი შენი სიტყვა — და ფრთებს გავშლი, აქედან პირდაპირ რიონში გადავეშვები, განვიბანები მის წყალში და ამოვალ გასხივოსნებული ისევე, როგორც იოანე ნათლისმცემელი იორდანედან.

ამჯერად ეშმაკობამ გაჭრა — მაკამ თავი ვერ შეიკავა.

— გოგი, ახლავე ჩამოდი ძირს. აი, შეხედე!..

და ჩვენს თვალებში აკიაფდა ორი პატარა მთვარე...

რა თქმა უნდა, იმ სურათის დახატვა ველარ მოვასწარით. მალე ზარი დაირეკა და კლასში ვანო ჭეია გამოჩნდა. მას სურდა ნახატების შეგროვება, მაგრამ ჩვენ არ მივეცით, ვუთხარით, რომ კიდევ ერთი გაკვეთილი დაგვჭირდებოდა...

...მას შემდეგ ბევრმა წყალმა ჩაიარა. ფრანცია ცოცხალი აღარ არის. ჯეირანი ქუთაისის ლადო მესხიშვილის სახ. თეატრის მთავარი მხატვარია. კარლო გრაფიკოსია და „ლიტერატურული საქართველოს“ მხატვრულ განყოფილებას ხელმძღვანელობს. გოგი და აივენგო კი თბილისში მოღვაწეობენ. მაკა კი დიდი ხანია მხედველობის არედან დავკარგე, არ ვიცი სად არის.

მე არ შევუდგები იმის მტკიცებას, რომ ქუთაისელი მხატვრები ზეგენიალურ ნაწარმოებებს ქმნიან, თუმცა გურამმა შექმნა ისეთი გობელენები, რომლებმაც რამდენჯერმე გაიმარჯვეს საკავშირო მნიშვნელობის კონკურსებში. მაგრამ მთავარი ეს არ არის, მთავარია ის, რომ ისინი უსაზღვროდ არიან შეყვარებული თავიანთ ქალაქზე და როცა ტილოზე მისი არაჩვეულებრივი სილამაზის პეიზაჟებს ხატავენ, მუდამ იმის ცდაში არიან, რომ წაშალონ ზღვარი ტალანტსა და თავდავიწყებას შორის. მათი ნამუშევრების გამოფენა ხშირად ეწყობა. მათ აქვთ თავიანთი მონპარნასი, თავიანთი მონმარტი და თავიანთი მთაწმინდა.

„...ეჰ, წერის ნიჭი რომ დამყოლოდა!“

სხვათა შორის, ბაბუა ალიოშას ეს ფრაზა, ჩემს დღიურში რომ მაქვს ჩაწერილი, მე შემთხვევით გამახსენდა იმ დღეს, როცა ლონდონის სურათების ნაციონალური გალერეის მთავარი შესასვლელის ბალკონიდან ყურადღებით ვათვალიერებდი ტრაფალგარის მოედანს, საუცხოო შადრევნებით რომ არის დამშვენებული, მათ შუაში კოშკის შპილზე აღმართული ადმირალ ნელსონის მარმარილოს ქანდაკებით. აი, იქ, ჩემს ზურგს უკან, ერთ-ერთმა რუსმა ტურისტმა თქვა:

«Здесь накоплены веками награбленные богатства...»

არ ვიცი, ჩაიარა თუ არა ჩემს სიახლოვეს პოეტურმა მუზამ, მაგრამ ეს ფრაზა კარგად დავიმახსოვრე და როცა სასტუმროში დავბრუნდი, ზუსტად ჩავწერე ჩემს დღიურში, რომელსაც ცისარტყელასფერებიანი ყდა აქვს.

ეს მუზა თან მახლდა პარიზშიც, როცა მარკ შაგალის და პაბლო პიკასოს სურათებს ვათვალიერებდი, და სწორედ მისი შემწეობით, ჩემს დღიურში გაჩნდა შემდეგი ჩანაწერი:

„ამბობენ, რომ ფუნჯის ამ ორ დიდოსტატს ერთმანეთი თვალის დასანახადაც კი ეჯავრებოდათ და შემთხვევას არ უშვებდნენ, რომ ერთმანეთისთვის შეურაცხყოფა მიეყენებინათ, მაგრამ ჩვენთვის მთავარი ის არის, რომ შაგალი იყო ებრაელი, ხოლო პიკასო თავგამოდებული ანტიფაშისტი“.

ბათ-იამი

P.S. ნაშრომი გამოქვეყნებულია რუსულ ენაზე: «Новости недели» - Еврейский камертон», 11 сентября, 2007.

IMPRESSION

1874 წელი.

„კაპუცინების ბულვარი პარიზში“[1]. აქ, ამ ბულვარში, 15 აპრილიდან 15 მაისამდე, ფოტოგრაფ ნადარის სალონში, მიმდინარეობდა მხატვართა ერთი ჯგუფის გამოფენა. მასში შედიოდნენ: ედუარდ დეგა, პოლ სეზანი, ფელიქს ბრაკმანი, არმან გიიომენი, კლოდ მონე, ბერტუ მორიზო, კამილ პისარო, პიერ-ოგუსტ რენუარი, ალფრედ სისლეი და სხვანი. ჯგუფში დაახლოებით ოცდაათი შემოქმედი იყო გაერთიანებული. ისინი მაშინ ოცდაათ წელს იყვნენ გადაცილებულნი. გამოფენის ორგანიზატორებმა ჯგუფს უწოდეს: „მსახიობების, მხატვრების, ფერმწერების, მოქანდაკეების, გრაფიკოსების... ანონიმური კოოპერაციული საზოგადოება“.

პარიზელებს ყოველთვის განსაკუთრებით იტაცებდათ ორი რამ: კითხვა და ხელოვნება. ითვალისწინებდნენ რა ამას რედაქტორები, ისინი თავიანთი გაზეთების და ჟურნალების ფურცლებზე დიდ ყურადღებას უთმობდნენ ახალი ლიტერატურული ნაწარმოებების და სახვითი ხელოვნების ნიმუშების რეკლამირებას. საყურადღებოა: თუ 1850-იან წლებში ჟურნალ-გაზეთებს დაახლოებით 250 ათასი პარიზელი კითხულობდა, 1870-იან წლებში მკითხველთა რაოდენობა უკვე ორ მილიონს აღემატებოდა.

იმ დროს პარიზი მხატვრებისათვის ისეთივე წმინდა ადგილი იყო, როგორც დღეს იერუსალიმია მლოცველთათვის, და სწორედ რომ სალონი განსაზღვრავდა მხატვრის ბედ-იღბალს.

სალონი ხელოვნების ნამუშევართა ყოველწლიური გამოფენის ორიენტირი, გეზის მიმცემი იყო. მხატვრის ნამუშევრის სალონში გამოდგმა გარკვეულ აღიარებას ნიშნავდა. ამ შემთხვევაში იგი უფლებამოსილი იყო თავისი ნამუშევარი გალერეაში გაეყიდა. ამის გამო ხელოვნების მუშაკებისათვის პრესის გავლენა ახალ მოვლენას წარმოადგენდა და დადებითი შეფასების შემთხვევაში

1. კლოდ მონეს ცნობილი სურათი, რომელიც მან 1872-73 წწ. დახატა „შთაბეჭდილება. ამომავალი მზის“ პარალელურად.

მხატვრული ტილოს ან სახვითი ხელოვნების სხვა დარგის ნამუშევრის წარმატება გარანტირებული იყო.

პირველი სამი კვირის განმავლობაში, კაპუცინების ბულვარი №35-ის სალონში გამოფენილმა ნამუშევრებმა ნახევარ მილიონზე მეტი მნახველი მიიზიდა. ამის შესახებ წერდა ოცდაათზე მეტი გაზეთი და ჟურნალი. წერილების და სტატიების უმეტესობა უარყოფითი აღმოჩნდა. რეცენზენტები მკაცრად აკრიტიკებდნენ „...ანონიმური კოოპერაციული საზოგადოების“ გამოფენის მონაწილეებს. ერთ-ერთ გაზეთში დაიბეჭდა სტატია ასეთი სათაურით: „მეამბოხეთა გამოფენა“. სტატიის ავტორი, ალბათ, ემილ კარდონი იყო. გამოფენის ასეთი ტენდენციური შეფასება გამოიწვია იმ ფაქტორმა, რომ XIX საუკუნის ხელოვნება ძირითადად არისტოკრატიის და ბურჟუაზიული საზოგადოების მონოპლიად ითვლებოდა. შეფასების კრიტიკული სიმწვავით გამოირჩეოდა ჟურნალ „Le Charivari“ („ლეშარივარი“), რომელსაც შარლ ფილიპი რედაქტორობდა. ეს იყო იუმორისტული ჟურნალი, სადაც დაახლოებით 200 მხატვარი თანამშრომლობდა. სწორედ ამ ჟურნალის მუდმივი თანამშრომელი იყო ლუი ლერუა — როგორც ილუსტრატორი (დამსურათებელი) და კრიტიკოსი. ირკვევა, რომ ის აგრეთვე წარმატებით მუშაობდა დრამატურგიაში და გრავიურაში, და როგორც ხელოვნებათმცოდნე დიდი ავტორიტეტით სარგებლობდა. მე ამ მიმართებით იმიტომ ვამახვილებ ყურადღებას, რომ მას — ლუი ლერუას, დღეს იხსენიებენ, როგორც მაშინდელ პარიზში ნაკლებად ცნობილ ჟურნალისტს. აქვე დავძენ, ეჭვი არ არის, რომ იგი არისტოკრატიის ინტერესების გამომხატველი და დამცველი პიროვნება იქმნებოდა.

ლუი ლერუა „...ანონიმური კოოპერაციული საზოგადოების“ გამოფენას, მისი გახსნიდან ერთი კვირის მერე, ე.ი. 22 აპრილს ეწვია. ის, რომ გამოფენის მონაწილეთა ეს ზედწოდება: „...ანომიმური კოოპერაციული საზოგადოება“ მიანიშნებდა გამოფენის მონაწილეთა არაპრეტენზიულობას გარკვეულ მხატვრულ მიმართულებაზე და პოლიტიკაზე, ეჭვსაც კი არ ბადებს. როცა კრიტიკოსი რედაქციის დავალებით გამოფენის დასათვალიერებლად მივიდა, იგი, ალბათ უფრო მაიმუნობისათვის (ტერმინი

„კაპუცინები“ არის კათოლიკურ-მონაზვნური ორდენი, დაარსდა იტალიაში 1525 წელს, როგორც ფრანცისკელთა შტო. მაგრამ — „კაპუცინი“ აგრეთვე არის მაიმუნების გვარი კაპუცინისებრთა ოჯახისა. ისინი ბინადრობენ ტყეში. გვხვდება ცენტრალურ და სამხრეთ ამერიკაში — ავტ.) იქნებოდა განწყობილი, ვიდრე სერიოზული სტატიის შესაქმნელად, რადგან იმ მომენტში, როცა მან ფოტოგრაფ ნადარის სალონში შეაბიჯა, სულაც არ ფიქრობდა იმაზე, რომ სტატიას, რომელსაც იგი შექმნიდა, დასაბამი უნდა მიეცა ახალი, მთელი მიმდინარეობისათვის სახვით ხელოვნებაში, რაც შემდეგ გარკვეულად აისახებოდა ლიტერატურაშიც.

პირველი, რაც კრიტიკოსს სალონში შესვლისთანავე უცნაურად და ახირებულად მოეჩვენა იყო გამოფენაში მონაწილეთა ჯგუფის სახელწოდება: „ანონიმური კოოპერაციული საზოგადოება არტისტების, მხატვრების და ა.შ.“

„ასეთ სათაურს არავინ წაიკითხავს“ — გაიფიქრა ლერუამ — „სათაური თვალში საცემი, მკვეთრი უნდა იყოს“, — თავისთვის ჩაილაპარაკა და წინ რამდენიმე ნაბიჯი გადადგა, იქნებ რედაქციაში წარსადგენი ანგარიშისათვის რამე ხელმოსაკიდი შევარჩიოო და შემთხვევით აღმოჩნდა სურათის წინ, რომელზეც გამოსახული იყო პეიზაჟი: მზის ამოსვლა, მზეს დილის ჯანღი ფარავს, წინა პლანზე რამდენიმე გემის წვეტიანი ანძაა, მეთევზეები, წყალზე არეკლილი მზის სხივები, პორტის მანქანათმშენებლობა, ნისლი...

ლერუა რატომღაც ტილომ დააინტერესა და სურათების კატალოგში ჩაიხედა: ”Mone „Impression. Soleil levant“. 1872.

...1872 წ. კლოდ მონე ჰავრში, სასტუმრო ამორატში ცხოვრობდა და მანსარდის ღია ფანჯრიდან პეიზაჟს ხატავდა.

„როცა კატალოგისათვის მკითხეს სათაური, მე ვუპასუხე: „შთაბეჭდილება. ამომავალი მზე“. —იგონებდა შემდეგ იგი.

„შთაბეჭდილება?“ — ირონიულად გაიმეორა ლერუამ და დაიბადა იდეაც და კრიტიკული მიმოხილვაც: საკუთარი თავი მან წარმოაჩინა მხატვარ-აკადემიკოსად, რომელიც გამოფენის ღირსშესანიშნაობათა დათვალიერების დროს წააწყდა რაღაც უცნაურს. გამოდიოდა ვოდევილის მსგავსი მოკლე კრიტიკული წერილი:

„რა არის გამოსახული ამ ტილოზე?“ — წერდა იგი — „ჩავიხედოთ კატალოგში: „შთაბეჭდილება. ამომავალი მზე“. მე მაშინვე ვუთხარი საკუთარ თავს: რადგან მე ვიმყოფები შთაბეჭდილების ქვეშ, აქ უეჭველად უნდა იყოს „შთაბეჭდილება“. როგორ მოგწონთ თქვენ ეს? შთაბეჭდილება აქ არის, მაგრამ არ მესმის რას ნიშნავს იგი! მაგრამ როგორი თავისუფლებაა, რა ჰერია! სიმართლეს მაინც ვერსად წაუვალთ, შპალერის ფაბრიკის ქაღალდს უფრო გავს, ვიდრე მხატვრის ტილოს. ოთახის გასალამაზებლად თუ გამოდგება მხოლოდ, ოღონდ იქ უფრო მეტი მონახაზია და აზრის სისრულე, ვიდრე აქ, ამ ზღვის პეიზაჟზე“.

ეს კომიკური მონახაზი ლერუამ ასე დაასათაურა: „იმპრესიონისტების გამოფენა„.

ასე და ამგვარად გაჩნდა ტერმინი იმპრესიონიზმი.

გამოფენის მონაწილეებს ტერმინი არ მოეწონათ, არც უფიქრიათ მიეღოთ ეს მეტსახელი, მაგრამ მკითხველებმა სწრაფად აიტაცეს და მოკლე ხანში ევროპაში და ამერიკაში გავრცელდა.

1876-1886 წწ. იმპრესიონისტებმა შვიდ გამოფენაზე მეტი მოაწყვეს, მაგრამ რაიმე მნიშვნელოვანი წარმატებისათვის არ მიუღწევიათ. როცა ბოლო გამოფენა დასრულდა, მხოლოდ კლოდ მონე დარჩა საკუთარი იდეალების მკაცრად დამცველი და გამგრძელებელი მხატვარი იმპრესიონისტი. იგი ხანშიშესული, 86 წლის ასაკში გარდაიცვალა, როცა კატაფალკაზე მის კუბოს შავი გადასაფარებელი დააფინეს, მისმა მეგობარმა მხატვარმა ჟორჟ კლემანსომ იგი ღია ლურჯით შეცვალა, და თან დასძინა: „მონეს არ უყვარდა მუქი ფერი, მისი ფერი ხასხასა ლურჯი და ცისფერი იყო“.

ნახევარ საუკუნეზე მეტი იმპრესიონისტებს და მათ მიმდევრებს დევნიდნენ, ლანძღავდნენ. მათი შემოქმედება ამორალურად იყო მიჩნეული. მათ შეუზღუდეს უფლება გამოეფინათ თავიანთი ნამუშევრები სალონში და გალერეაში. ამის გამო მათ ტილოებს იშვიათად ყიდულობდნენ ან საერთოდ არ ყიდულობდნენ.

რატომ გააღიზიანა კლოდ მონეს სურათმა „Impression. Soleil le vant“ პარიზის არისტოკრატია და კრიტიკა?

პარიზი. დ’ორსეს მუზეუმი. გზამკვლევი. 2002 წ.

ქართული პოეზიის კონცერტი მესხიშვილის თეატრთან

შთაბეჭდილება

1993 წ. ქუთაისი.

ულმობელი დრო იყო. მე და ჩემი მეუღლე ნემსის ყუნწში ვძვრებოდით იმისათვის, რომ ბავშვები გადაგვერჩინა. ვყიდდით ყველაფერს, რის გაყიდვაც შეიძლებოდა. თუმცა, მყიდველი უეცრად გაქრა, ძალიან იშვიათად შემოანათებდა ხოლმე ჩვენთან. რა დასამალია, იმ დაწყევლილ დროში, კვების პროდუქტებით ოჯახის მომარაგება ძალიან გაჭირდა. როგორც ამბობენ წელზე ფეხს ვიდგამდით და ისე გაგვქონდა თავი. აი, იმ ავად მოსაგონარ დღეებს დაემთხვა სწორედ ჩემი ახალი წიგნის გამოცემა. წიგნი გამომცემლობა „ქუთაისში“ დაისტამბა, გამოსაცემად მზად იყო და დაბრკოლებას მხოლოდ ის წარმოდგენდა, რომ გარეკანისათვის თანხა არ მყოფნიდა. და ვინაიდან წიგნი ჩემი (ავტორის) ხარჯით გამოდიოდა, გადავწყვიტე ამ საქმისათვის გამომეყენებინა ის ფული, რომლითაც ქალაქის მერია ყოველთვიურ დახმარებას გვიწევდა ქუთაისში მომუშავე საქართველოს მწერალთა კავშირის წევრებს. ეს თანხა შეადგენდა 100 ლარს; ხოლო მაშინ ლარი დოლარის ეკვივალენტი იყო, და 100 დოლარს უდრიდა. როცა საწყობის გამგეს, ვისგანაც ქაღალდი უნდა შემესყიდა, 100 ლარი მივუტანე, მან ამრეზით დახედა ქართულ ვალუტას და მითხრა — ამერიკული დოლარი ჯობია. როგორც ჩანდა ქართულ ვალუტას ჯერ კიდევ არ ენდობოდა.

პუნქტები, სადაც ფულის გადაცვლის ოპერაცია კანონიერად უნდა განხორციელებულიყო, როგორც ეს ჩვეულებრივად ხდება ყველა ნორმალურ სახელმწიფოში, მაშინ არც საქართველოში არსებობდა და არც პოსტსაბჭოთა იმპერიის სხვა რესპუბლიკებში. მაგრამ ყველგან მოქმედებდა ე.წ. „შავი ბაზარი“, სადაც შესაძლებელი იყო სასურველი ვალუტის შეძენა. სხვა გზა არ არსებობდა

და მეც იქ წავედი. მოკლედ მოვჭრი, ამ საქმეში არიფი გამოვდექი და ფულის გადაცვლის დროს მომატყუეს, ნამდვილის ნამცვლად ყალბი ასდოლარიანი შემომაჩეჩეს. როცა ეს ფული ქაღალდის გამყიდველს მივუტანე, ის უმალ მიხვდა რა დოლართანაც ჰქონდა საქმე, ორჭოფულად შემომხედა და მითხრა — მოუტყუებიხართო. რა უნდა მექნა, ავდექი და მილიციას მივაკითხე, რადგან იმ კაცის სახე, ვინც გამაბრიყვა, დავიმახსოვრე. ძიება რამდენიმე დღე მიმდინარეობდა, საბოლოოდ კი უშედეგოდ დასრულდა. ამის გამო გავემგზავრე თბილისში, და მწერალთა კავშირის დახმარებით მივაღწიე იმას, რომ პირადად მიმიღო საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის პირველმა მოადგილემ — მიქაძემ. მან ყურადღებით მომისმინა, მერე აიღო ყურმილი და კომუტატორს თხოვა შეერთებინათ მისთვის ქუთაისის შს სამმართველოს უფროსი – ასანიძე. ათიოდე წუთის ლოდინის მერე, რის გამოც მინისტრის მოადგილემ მოიბოდიშა, თქვა, რომ ისეთი დროა არაფერი ნორმალურად არ სრულდებაო, გაისმა ზარი. მან ყურმილი აიღო.

— როინ, გამარჯობა. რა ხდება თქვენთან? აქ, ჩემთან, კაბინეტში ზის მწერალი იაკობ პაპიაშვილი. რა შეემთხვა მას?

ყურმილში გაისმა პასუხი, რაზეც მინისტრის მოადგილემ მომენტალურად რეაგირება მოახდინა:

— არავითრი პირში წაყენება. მთელი მწერალთა კავშირი ფეხზე დგას. წაართვით ფული იმ არამზადას და მიეცით პაპიაშვილს. — მკაცრად წარმოთქვა და ყურმილი დადო. მერე მომიბრუნდა და წყნარად მკითხა: — უკან როდის ბრუნდებით?

— ახლავე.

— ფული შინ დაგხვდებათ, თქვენ საწერ მაგიდაზე, — ამ სიტყვებით მინისტრის მოადგილემ კარებამდე მიმაცილა, და თითქოს თავს იმართლებსო, ჩაილაპარაკა: — სატირალი მდგომარეობაა, ყველა ერთ ქვაბში ვიხარშებით. წინ უფრო მძიმე დღეები გველის, მაგრამ წიგნი საჭიროა, წიგნი უნდა გამოვცეთ.

სამინისტროდან პირდაპირ თბილისის ვაგზალს მივაშურე. იქ, სადგურის მოედანზე ქუთაისისკენ მიმავალ პირველივე იკარუსში ჩავჯექი და მალე შინისაკენ მივქროდი. გამიმართლა, ამინდი არ ჭირვეულობდა, რიკოთის უღელტეხილზე დიდი თოვლი არ იდო, ამერ-იმერისაკენ ტრანსპორტი შეუფერხებლად მოძრაობდა და შებინდებისას უკვე შინ ვიყავი. ზღურბლს გადავაბიჯე თუ არა, მეუღლემ მითხრა:

— მილიციიდან იყვნენ, ასი დოლარი დატოვეს, საწერ მაგიდზე დავდევი.

...ორი წლის წინათ.

8 დეკემბერს ბელორუსიის ნაციონალურ პარკის — ბელოვეჟსკაია პუშჩა — პოლიტიკურ რეზიდენციაში, დაბა ვისკულში, ერთმანეთს შეხვდნენ სამი სახელმწიფოს ხელმძღვანელები: რუსეთის მხრიდან — ბორის ელცინი და გენადი ბურბულისი, ბელორუსიის მხრიდან — სტანისლავ შუშკევიჩი და ვიაჩისლავ კებიჩა, უკრაინის მხრიდან — ლეონიდ კრავჩუკი და ვიტოლდ ფოკინი.

ბელორუსიის ნაციონალურ პარკთან გადის სახელმწიფო საზღვარი პოლონეთსა და ბელორუსიას შორის. მიეკუთვნება ბრესტის რაიონს და ვრცელდება ბალტიის ზღვის ბასეინისაკენ ორი მდინარით: ნარევი და ლესნაია. იქ, პარკში, წელიწადის ყველა დროს შეიძლება ნადირობა, თევზაობა, რუსულ აბანოში შხაპის მიღება და, თუ აუცილებლობა მოითხოვს — პოლიტიკაზე საუბარიც. და ამიტომ, ზემოდასახელებულმა დიდი თანამდებობის პირებმა, როცა ნადირობით და აბანოთი გული იჯერეს, ცოტა პოლიტიკითაც დაინტერესდნენ და განხილვის გარეშე ხელი მოაწერეს ახალ საკავშირო ხელშეკრულებას, რომელიც მ. გორბაჩოვმა წარუდგინა სსრკ რესპუბლიკების ხელმძღვანელების ყრულობას 1992 წ. 21 ოქტომბერს ნოვო-ოგარევოში (მოსკოვის ოლქი. იმ შენობაში ახლა პუტინის ოფიციალური რეზიდენციაა).

დოკუმენტის პრეამბულა ადასტურებდა, რომ „საბჭოთა კავშირმა, როგორც საერთაშორისო სამართლის უფლების სუბიექტმა და გეოპოლიტიკურმა რეალობამ შეწყვიტა თავისი არსებობა.“ ისინი, ვინც „ბელოვეჟსკაია პუშჩაში“ ამ დოკუმენტზე ხელი მოაწ-

ერა, თავს იმართლებდნენ იმით, რომ მათ ხელმოწერას არსებითი მნიშვნელობა აღარ ჰქონდა, რადგან ლენინური კავშირი, ფაქტიურად, უკვე დაშლილი იყო, გავიდნენ ლიტვა, ლატვია და ესტონეთი, მომწიფებული იყო კონფლიქტი ყაზახეთში, აზერბაიჯანში, ყარაბაღში, საქართველოში და აფხაზეთში...

1991 წ. 25 დეკემბერს აშშ პრეზიდენტმა, მას შემდეგ, რაც საბჭოთა ლიდერმა ტელეფონით აცნობა მას, რომ იგი გადადგა სკკპ ცკ გენერალური მდივნის თანამდებობიდან, განაცხადა, რომ აშშ მიესალმება დამოუკიდებელ სახელმწიფოთა თანამეგობრობის მიერ გაკეთებულ ისტორიულ არჩევანს თავისუფლებისათვის, და მიუხედავად ამ ქვეყნებში არასტაბილურობისა და ქაოსის შესაძლებლობისა, ეს მოვლენები აშკარად უპასუხებენ ჩვენს ინტერესებს (გაზეთი «Известия», 26 დეკემბერი, 1991 წ.).

ეს არ იყო თურქ-სელჩუკების, ჩინგის ხანის ან თემურ-ლენგის შემოსევების მაგვარი დარბევა და მშვიდობიანი მოსახლეობის დაწიოკება, მაგრამ ზემოაღნიშნულ დოკუმენტზე ხელმოწერიდან მეორე დღესვე მილიონობით ადამიანმა გამოიღვიძა ახალ სახელმწიფოში, სადაც გაქრა ფული, სამართალი და საჭმელ-სასმელი. პროსაბჭოური იმპერიის ყველა, უკვე დამოუკიდებელ სახელმწიფოში, დაიწყო ახალი ომი სახელწოდებით „შოკური თერაპია“. ნერვიული მოშლილობა, ინფარქტი, შიმშილი... ასეთი იყო სასწრაფო დახმარების ექიმების დიაგნოზი იმ ადამიანების მიმართ, რომლებიც ნაჯახით მოცელილი ხეებივით ცვიოდნენ მიწაზე. ძვირფასი ნივთების შემსყიდველ მაღაზიებში ხალხის რიგი დადგა. ისინი, იმისათვის, რომ სიცოცხლე რამდენიმე დღით გაეხანგრძლივებინათ, ჯართის ფასად აბარებდნენ იმ ძვირფასეულობას, რომელიც გადანახული ჰქონდათ დღესასწაულისათვის: შვილებისათვის, შვილიშვილებისათვის... ასეთი იყო სპეციალური ბრძანება მოსკოვიდან. საიუველირო მაღაზიის თანამშრომლები საქმეს ვერ აუდიოდნენ. ისინი ფაცი-ფუცით აფასებდნენ ოქრო-ვერცხლის და თვალ-მარგალიტის მშვენიერ ნიმუშებს ცელულოიდის შავ პარკებში, რომლებსაც შემდეგ დიდ ყუთებში ჰყრიდნენ...

„შავი ოქროთი“ დატვირთული ეშელონები რეგულარულად მიჰქროდნენ მოსკოვში დანიშნულების ადგილზე.

. . .

მეორე დღეს სახლიდან ადრე დილით გამოვედი. ახალი წიგნისათვის ყოველთვის დიდი მონდომებით ვზრუნავ, ამისათვის არაფერს ვიშურებ, არც ხარჯებს. 100 დოლარი, მილიციამ რომ დამიბრუნა, სათუთად მოვათავსე ჯიბეში. სტამბა, სადაც ჩემი წიგნი გამოდიოდა, გაზეთ „ქუთაისის“ მესამე სართულზე იყო განთავსებული, ხოლო საწყობი — პირველ სართულზე. ერთი სული მქონდა, ვიდრე ფულს საწყობის გამგეს ჩავაბარებდი.

შუა დეკემბერი იყო. ქუჩაში ძველი თოვლი იდო, გამჭოლი, სუსხიანი ქარი უბერავდა, სიარული ჭირდა და ამიტომ ფრთხილად მივდიოდი. თამარ მეფის ქუჩაზე რომ გავედი ხელმარჯვნივ გავუხვიე, ცოტაც გავიარე და ცენტრალურ მოედანზე ავტობუსის გაჩერებასთან დავდექი. იქ ხალხს უკვე მოეყარა თავი. ისინიც ჩემსავით თავიანთ მარშრუტს ელოდებოდნენ. ოდნავ მოშორბით, მესხიშვილის თეატრის მოპირდაპირ მხარეს, მაიაკოვსკის ქუჩაზე, ე.წ. „შახტიორთა“ სახლის ქვემო სართულზე, საიუველირო მაღაზია იყო განთავსებული, და იქ უკვე დიდი რიგი დამდგარიყო...

მიყვარდა ამ ადგილზე დგომა და ლოდინი... ხელმარცხნივ ქუთაისის ეთნოგრაფიული მუზეუმი იყო, რომლის სტუმარი ხშირად ვიყავი. მის დირექტორს ბ-ნ მიხეილ ნიკოლეიშვილს პირადად ვიცნობდი, საქმიანი ურთიერთობა გვაკავშირებდა. ჩემს უკან, ბორცვზე, მზის საათი იყო მოწყობილი, ხოლო იქით, შემაღლებულზე, კაფე „თოლია“ მოჩანდა. ჩემს წინ კი, მოედნის გადაღმა საქვეყნოდ ცნობილი ქუთაისის ბულვარი იშლებოდა. ჩემგან ხელმარჯვნივ მესხიშვილის სახელობის უნიკალური შენობა აღმართულიყო, მის მოპირდაპირე მხარეს კი, ბულვარის დასაწყისიდან ოციოდ მეტრში, ჩანდა შენობის კუთხე, რომელიც ერთ დროს, საღმოობით, ქუთაისელთა თავშეყრის ადგილი იყო. რა ვთქვა აღარ ვიცი. როცა ამ ადგილზე ვიდექი და ავტობუსს ველოდებოდი, რას არ მოვიგონებდი ხოლმე: მახსენდებოდა საახ-

ალწლოდ მორთულ-მოკაზმული ნაძვის ხე, მოედნის ცენტრში აღმართული; ლაღად, არხეინად მოსეირნე ქუთაისელები, თავიანთი „ლაღიძის წყლების“ მაღაზიიდან სასტუმრო „ქუთაისამდე“, ბულვარის გასწვრივ, ათჯერ მაინც რომ აივლ-ჩამოივლიდნენ... და ამ დროს ცნობილი მილიციონერის ჩიტიანის სასტვენის ხმას იშვიათად თუ გაიგონებდით. ლაილაით გულს რომ მოიოხებდნენ, „ლაღიძის წყლებით“ გაისველებდნენ ენას და ზოგჯერ, მომწვანო ან სხვა ფერის გაზიან წყალს, ცხელ ხაჭაპურსაც მიაყოლებდნენ ხოლმე. მაშინ, ეს სიამოვნება რაღაც კაპიკები ღირდა... ერთხელ, ერთმა ქალაქის თავმა, თუ არ ვცდები ოყრეშიძემ, მოედანი მთლად გადახნა, და იქ ვარდების ხეივანი გააშენა. ამ ვარდების სურნელებით ქუთაისელები ორიოდე წელი ვტკბებოდით და მერე ყველაფერი ლამაზი სიზმარივით გაქრა.

უეცრად ავტობუსი ჩამოდგა და მოგონებების ბურუსი თავისთავად დაიფანტა. მოხდა ისე, რომ, შემთხვევით, ავტობუსის წინა კარების პირდაპირ აღმოვჩნდი. კარები რომ გაიღო, გამოჩნდა ახალგაზრდა ქალი, ოცდაათი წლის იქნებოდა, საშუალოზე მაღალი, გამხდარი, გრძელი შავი ქვედაწელით იდგა, თავი და მხრები ყავისფერი შალით შემოებურა, რომელიც მის წაბლისფერ თმებს მთლად ვერ ფარავდა. მის გვერდით ორი გოგონა იდგა, ერთი ხუთიოდე წლისა, ხოლო მეორე რვა წლისა იქნებოდა, როგორც ჩანდა დედ-შვილი იყვნენ. ქალს ბავშვები ორივე ხელით ჰყავდა ჩაბღუჯული, გამოხედვა მკაცრი და დაძაბული ჰქონდა, თუმცა თვალებში რაღაც უცნაური სხივი უბრწყინავდა. მოგვიანებით მივხვდი, რომ ეს სხივი თავისი და განსაკუთრებით ბავშვების გადარჩენის იმედის სხივი იყო. თვალებად ქცეული იყო ქალი-მეთქი, და როცა ავტობუსის რამდენიმე საფეხური სწრაფად ჩამოიარა ბავშვებითურთ, როცა ფეხი ტროტუარზე ამოდგა და ჩემს წინ აისვეტა, დაჟინებით თვალი თალში გამიყარა. გონს მოსვლა ვერ მოვასწარი, უცებ ბავშვები გაანთავისუფლა, ორი გაშლილი ხელი ჩემკენ გამოიშვირა და ისეთი პოზა დაიჭირა, როგორც ნამდვილი მსახიობი აკეთებს ამას სცენაზე, და ხმამაღლა, გამოთქმით,

მღელვარე-მჟღერი ხმით მხატვრულად წაიკითხა გალაკტიონის სტრიქონები. ხმა ოდნავ უკანკალებდა.

„გათენდა. ცეცხლის მზე აენთო. აცურდა...
დროშები ჩქარა!..“

ეს ლექსი რომ დაასრულა, შეუსვენებლად განაგრძო გიორგი ლეონიძის „ყივჩაღის პაემანი“:

„...მტკვარზე, არაგვზე ისევ ჰყვავიან,
ხოდაბუნები თავთუხებისა,
შენი ტუჩები ისე ტკბილია,
როგორც ბადაგი დადუღებისას“.

მერე ტიციანის სტრიქონები წარმოსთქვა:

„მე არ ვწერ ლექსებს,
ლექსი თვითონ მწერს,
ჩემი სიცოცხლე
ამ ლექსს თან ახლავს...“

მისი დასრულებისთანავე ლადო ასათიანის „სალაღობო“ გაისმა:

„დაუკარით! — რომ ძველ ხანჯალს ელდა ეცეს,
გაისარჯოს და ბრძოლებში დაიხარჯოს,
გაუმარჯოს საქართველოს მთებს და ზეცას,
საქართველოს ძლიერებას გაუმარჯოს!...“

ირაკლი აბაშიძის სტრიქონები:

„როგორც დათბება, როგორც დათბება
და მზე ჩატკბება შემკულ დაისში,
უნდა აღსრულდეს რაც მენატრება,
უნდა გავფრინდე ჩემს ქუთაისში“.

თავდაპირველად შეშლილი მეგონა და გადავწყვიტე გავეცლები-მეთქი, მაგრამ როცა ფეხის გადადგმა დავაპირე და მივიხედ-მოვიხედე, წასასვლელი აღარსად იყო. ჩვენს ირგვლივ უამრავი ხალხი მოგროვილიყო. ყოველი ლექსის დამთავრებისთანავე მხურვალე ტაში და ოვაციები ისმოდა. ვიღაცამ პატარა გოგონებს ფული ჩაუჩურთა ხელში. ერთს მეორემ მიბაძა, მეორეს მესამემ... და მე ყველაფერს მივხვდი. უკვე ვგრძნობდი, ვიცოდი, იმათ, ვინც პატარა გოგონებს ფულს ჩუქნიდა, თავიანთი თავი უჭირდათ, მაგრამ ქართულმა სულგრძელობამ საკუთარი თავი დაავიწყათ, ამ უცნაური სურათის ხილვისას. და მე ჯიბეში ჩავიყავი ხელი...

რაღა ბევრი გავაგრძელო, იმ სუსხიან დეკემბრის თვეში, დიდი ლადო მესხიშვილის თეატრთან ქართული პოეზიის ჭეშმარიტი დღესასწაულის მოწმე გავხდი. იმ დედა-შვილს მერე ხშირად ვხედავდი, ხან თეთრ ხიდთან, მწერალთა კავშირის სიახლოვეს, ხან წითელ ხიდთან, მიწისქვეშა გადასასვლელთან, მოკლედ ხან სად და ხან სად. ქალი ყოველთვის პათოსით, დეკლამაციით კითხულობდა ლექსებს ქართული პოეზიის საგანძურიდან.

ერთხელ მომეცა შემთხვევა გამოვსაუბრებოდი მას. იგი ქართული ენის და ლიტერატურის მასწავლებელი აღმოჩნდა. როგორც გაირკვა მისი მშობლები შიმშილისაგან დახოცილიყვნენ, რომლის მიზეზი სწორედ „შოკური თერაპია“ გახლდა. თვითონ და მისი ქმარი კი პერესტროიკის დაწყებისთანავე უმუშევრები დარჩენილიყვნენ, ქმარი ფულის საშოვნელად სადღაც გადაკარგულიყო... ერთი სიტყვით, ეს ამბავი დავიწყებული, ალბათ უკვე გამოტირებული ისტორიაა იმ განწირული ადამიანებისა, რომლებიც „შოკური თერაპიის“ მსხვერპლნი გახდნენ.

მადლობა უფალს, რომ იმ ახალგაზრდა ქალს, აღმოაჩნდა გასაოცარი ძალა, უნარი დეკლამაციისა, და ქართული პოეზიის წყალობით შეძლო თავისი მშვენიერი გოგონების გადარჩენა.

IMPRESSION

...ნახევარ საუკუნეზე მეტი იმპრესიონისტებს დევნიდნენ. 1874 წ. კაპუცინების ბულვარში გამართული გამოფენის მერე ისინი დაადანაშაულეს უზნეობაში, მათი გამოფენა ასეთი ეპითეტებით მონათლეს: „მეამბოხეთა გამოფენა“, „გამხრწნელი ამორალიზმი“.

რით გააღიზიანეს მათ პარიზის საზოგადოება და კრიტიკა?

მონემ და მისმა მიმდევრებმა დატოვეს მხატვრის სახელოსნო.... და დაიწყეს ხატვა პლენერზე, ისინი ესწრაფვოდნენ ბუნებრივი განათების, ჰაერის, გარემოს გადმოცემას სურათში. ღია ცის ქვეშ მათი მუშაობის შედეგად საფუძველი ჩაეყარა პლენარული ფერწერის უმთავრეს იდეას: მხატვარი გარემოს აღიქვამს ისე, როგორც ხედავს, და არა ისე, როგორც ფიქრობს, და ამიტომ, ყოველ მიზეზ გარეშე, აუცილებელია წეროს ისე, როგორც ხედავს.

იმპრესიონისტებმა ასი წლით მაინც გაუსწრეს ლიტერატორებს. ხომ არ დადგა დრო, რომ ხელოვნების ამ დარგშიც გამოვიყენოთ ტერმინი: „impression“? რომ არსებობდეს, ვთქვათ, ასეთი მიმდინარეობა: „ლიტერატურული იმპრესიონიზმი“ ან „ლიტერატურული პოსტიმპრესიონიზმი“, ხომ არ უბიძგებს იგი ჩვენს პლანეტას უკეთესობისაკენ? ვინ იცის, იქნებ უმჯობესია წერო სუფთა ჰაერზე, ღია ცის ქვეშ, და არა „რეალობის ოთხ კედელში“ (შარლ ბოდლერი) ჩაკეტილმა?

პირველი შთაბეჭდილება — ამომავალი მზის შუქით განათებული, მხატვრისთვისაც და ლიტერატორისთვისაც ჭეშმარიტი ფერწერული ტილოა ყოველთვის.

ვაი, რომ, ეს მზის შუქით განათებული პირველი შთაბეჭდილება, მერე და მერე, თანდათანობით გადადის ზერეალიზმში ანუ სიურრეალიზმის ქვეცნობიერ სფეროში: სიზმარი, ჰალუცინაცია, ინსტინქტი...

ბათ-იამი

P.S. 1. წინამდებარე ნაშრომი ავტორის მიერ თარგმნილია რუსულ ენაზე და გამოქვეყნებულია ისრაელის გაზეთ «Новости недели»-ს დამატებაში «Еврейский камертон», ოპუსი №5-ის გაგრძელებაა.

2. კლოდ მონეს ტილოს — „შთაბეჭდილება. ამომავალი მზე“ — ადგილსამყოფელია მარმოტანის მუზეუმი. ამჟამად მოპარულია და შეტანილია ინტერპოლის სიებში. — ავტ.

მეცნიერულ-პუბლიცისტური ესსე

პროფესორ დავით ბრეგაძის მოგონება

„ქართული ლეგენდა“ მკვდრეთით აღვადგინე ვით გაზაფხული უგუნურ გარემოში. იგი ოდაა, ქებაა, გალობათა გალობაა, ხელთუქმნელი ჰიმნია სიყვარულზე.

ა ვ ტ ო რ ი

თავი 1

ჩემი რომანი „ქართული ლეგენდა“ მხატვრულად ასახავს ქართლში ქრისტიანობის გავრცელების პერიპეტიებს და ქრისტიანობის სახელმწიფო რელიგიად გამოცხადებას. რომანში და ამ რომანთან დაკავშირებულ ნაშრომებში გატარებულმა იდეურმა აზრმა ქართველი მკითხველი საზოგადოების დიდი ინტერესი გამოიწვია. გამოჩნდნენ როგორც მოწინააღმდეგეები, ასევე მომხრეები. რომანზე და მასზე თანდართულ, ჩემს მიერ შექმნილ, რამდენიმე მეცნიერულ ნაშრომზე, დადებითი რეცენზიები დაწერეს ცნობილმა მწერლებმა, შოთა რუსთაველის პრემიის ლაურეატებმა რევაზ ჯაფარიძემ და რეზო ინანიშვილმა. ეს რეცენზია მთლიანად არის შესული ჩემს მეხუთე წიგნში „ჰაბა, ნაგილა“ (მეორე გამოცემა, გამომცემლობა „ქუთაისი“, 1994). წიგნს „ქართული ლეგენდა“ დადებითი შეფასება მისცეს: პროფესორებმა სიმონ არველაძემ, ავთანდილ ნიკოლეიშვილმა და ლუკა დვალიშვილმა, დოცენტებმა პეტრე ვაჭრიძემ და მიხეილ ჭეიშვილმა. რომანი თავდაპირველად გამოქვეყნდა ალმანახ „განთიადში“ (2, 1989, რედაქტორი რეზო ჭეიშვილი. წიგნი გამოსცა გამომცემლობა „მერანმა“, 1991წ. „ქართული ლეგენდის“ წიგნად გამოცემის საქმეში დიდი წვლილი მიუძღვის ცნობილ ქართველ მწერლებს: გრიგოლ აბაშიძეს, გურამ ფანჯიკიძეს, ჯანსუღ ჩარკვიანს, გურამ გვერდწითელს და, რა თქმა უნდა ცკ-ს მდივნებს ბატონებს: გურამ ენუქიძეს და ნუგზარ ფოფხაძეს). რომანზე, და უკვე ჟურნალ „განთიადში“ — №9,

1991 წ. გამოქვეყნებულ ჩემს მეცნიერულ ნაშრომზე: „ქართველ ებრაელთა წარმომავლობის და ქართული ასომთავრული ანბანის შექმნის საკითხისათვის," გაზეთ „საბჭოთა ოსეთში" ვრცელი რეცენზია გამოაქვეყნა პროფ. რაფიელ შამელაშვილმა. ეს იყო 90-იანი წლების მეორე ნახევარში. სამწუხაროდ, ეს გაზეთი ავმა ხელმა გაანადგურა ჩემს ბინაში (ქუთაისი, ტ. ტაბიძის ქ. №17/19) და სათაური აღარ მახსოვს, მაგრამ ბატონი რაფიელის სიტყვები დღემდე ცოცხლობს ჩემს მეხსიერებაში:

„იაკობ, შენი გამოკვლევა აინშტაინის „ფარდობითობის თეორიის" ტოლფასია. სხვათა შორის, დიდმა ფიზიკოსმა ერთხელ თქვა, რომ დადგება დღე, როცა მოვა ადამიანი, რომელიც ყველაფერს გადახაზავს, გადაშლის, რაც დღემდეა აღმოჩენილი ფიზიკაში და აღმოაჩენს ახალს, რაღაც უცნაურს, რაც ჩვენთვის, სამწუხაროდ, ჯერ გაუგებარია. აი, ასეთი ძალა აქვს შენს რომანს და შენს თეორიას. შენ გადახაზე ძველი აღმოსავლეთის ისტორია. ის თავიდან უნდა დაიწეროს".

პოლემიკას მოჰყვა ის, რომ მე მიმიწვიეს აკაკი წერეთლის სახელობის ქუთაისის სახელმწიფო უნივერსიტეტში ლექტორად, სადაც ახლოს გავიცანი პროფ. დავით ბრეგაძე. ეს იყო 80-იანი წლების დასასრული. ის ხელმღვანელობდა ქართული ლიტერატურის კათედრას. აუდიტორიები, სადაც ლექციებს ვატარებდით, გვერდიგვერდ იყო. ერთმანეთს ხშირად ვხვდებოდით და ვსაუბრობდით. ხანდახან შემოგვიერთდებოდა პროფ. ზურაბ კიკნაძე, რომელიც იმ დროს შეთავსებით მუშაობდა ქუთაისის უნივერსიტეტში. იგი ჩემი რომანის „ქართული ლეგენდის" ერთ-ერთი რედაქტორი (სპეცრედაქტორი) იყო და ახლოს ვიცნობდი. ზოგჯერ საუბარი ფრიად სერიოზულ ხასიათს იღებდა.

ერთხელ ბატონმა დავითმა შინ მიმიწვია ჭიქა ჩაიზე, თან მითხრა: — გთხოვ, წამოიყოლო შენი რომანი, რომ იცოდე, „განთიადში" გამოქვეყნებული შენი ნაშრომი კათედრაზე, ჩემს მაგიდაზე დევს და დროდადრო შენს თეორიას თუ ჰიპოთეზას ჰურიათა ქართველთა შესახებ, სტუდენტებს ვაცნობო.

ბატონი დავითი ორსართულიან ქვითკირის სახლში ცხოვრობდა უნივერსიტეტის უკან. შეიძლება ითქვას, რომ ჩვენ მეზობლებად ვითვლებოდით, მეც იქვე ვცხოვრობდი, „დინამოს" სტადიონიდან ოდნავ მოშორებით. დარბაზი, სადაც მან მიმიღო, საკმაოდ ფართო და ნათელი იყო. ფანჯრებიდან უნივერსიტეტის მაღალი კორპუსები ჩანდა. შუა სექტემბერი იდგა, კარგი ამინდი იყო, იმერეთის ის დღეთაგანი, როცა მზის ქვეშ დგომა სასიამოვნოა. უნივერსიტეტის ეზოში სტუდენტები იდგნენ და საუბრობდნენ. გვერდით, სპორტულ მოედანზე ბიჭები კალათბურთს თამაშობდნენ.

ერთმანეთი რომ მოვიკითხეთ, ბატონმა დავითმა მაგიდასთან მიმიწვია, სადაც ოჯახის დიასახლისმა ის იყო ჩაი და ლამბაქით ნამცხვარი დაალაგა. წიგნები ჩანთიდან ამოვიღე.

— ბატონო დავით, — ვთქვი მე, — აი წიგნები, რომელიც მთხოვეთ რომ მომეტანა.

— დიდი მადლობა, — თქვა მან და ჯერ „ქართული ლეგენდა" აიღო, მერე კი გამოკვლევა ქართველ ებრაელთა წარმოშვების საკითხზე.

— მოკვლეული საკითხი, როგორც ასეთი, ფრიად მნიშვნელოვანია. მაშასადამე, თქვენი ჰიპოთეზის დედაარსი არის ის, რომ ძველი წელთაღრიცხვის XX-XIX სს. პროტოქართული ტომების ერთმა ნაწილმა დატოვა მშობლიური ადგილები და ებრაელი აბრაამის კვალდაკვალ ისინი პალესტინისაკენ გაემართნენ. როცა ამის შესახებ „განთიადში" (9, 1991) წავიკითხე, წამოვიძახე: ეს არის მწერალი, რომელიც გვაიძულებს ვიაზროვნოთ... ეს უდიდესი მიგნებაა, ჩვენი საუკუნის უდიდესი მონაპოვარია! შესაძლებელია, ეს ჰიპოთეზა დამტკიცდეს და თეორიად იქცეს.

მე ბატონ დავითს მოკრძალებით შევნიშნე, რომ ის ადგილი, საითკენაც მაშინ ლტოლვილები მიემართებოდნენ, იწოდებოდა არა პალესტინად, არამედ — ჯერ ქანაანად და მერე ისრაელად.

— დიახ, ქანაანი..., — თქვა პროფესორმა, — ისტორია იმასაც გვეუბნება, რომ იმპერატორი პუბლი ელი ადრიანე, ვისგანაც

მოდის ტერმინი „პალესტინა“, იყო მრავალმხრივ განვითარებული ადამიანი. და, რომ არა ბარ-კოხბას აჯანყება (132-135), ვინ იცის, ეს ტერმინი იმპერატორს არც კი მოეფიქრებინა. სხვათა შორის, ადრიანეს უთანხმოება ჰქონდა იბერიის მეფესთან ფარსმან II-სთან. შესაძლებელია, ეს იმიტომ მოხდა, რომ იმპერატორის ინიციატივით სომხეთში ისევ არშაკიდების დინასტია აღზევდა. — იგი მცირე ხნით დაფიქრდა და მერე თქვა: — შენ მართალი ხარ, ჩემო იაკობ, ქართველებსა და ქართველ ებრაელებს შორის არის უფრო ღრმა კავშირები, ვიდრე კავშირები ხალხებს შორის, რომლებიც ერთ ტერიტორიაზე ცხოვრობენ. მე ახლა მაგონდება პავლე იესეს ძე ინგოროყვა და მინდა გიამბო ერთი ეპიზოდი მისი ცხოვრებიდან, რომელიც მის საქმიანობასთან არის დაკავშირებული. ვიცი, შენ იცი მის შესახებ. მისმა წიგნებმა ქართული სასულიერო და საერო მწერლობის საკითხებზე დიდი ყურადღება მიიქცია. გამოაქვეყნა მრავალი მონოგრაფია: რუსთაველიანა, გიორგი მერჩულე, ბარათაშვილი, ილია, აკაკი და სხვა მრავალი. მე ბედნიერება მქონდა გავცნობოდი ბატონ პავლეს ასპირანტურაში სწავლის დროს. ის მე მაძლევდა მამობრივ რჩევებს, დამანახა გზები ჩემი მეცნიერული შრომების შემდგომი განვითარებისათვის, ამგვარად, მის მოწაფედ ვთვლიდი თავს.

— ორმოცდაათიანი წლები მძიმე იყო საქართველოსათვის. — განაგრძო პროფესორმა, — ეროვნულმა მოძრაობამ იძალა, რასაც დამსჯელი მოქმედებები მოჰყვა (1956 წ. 9 მარტი). ალბათ, ამის გამო იყო, რომ ნიკიტა სერგის ძე ხრუშჩოვმა ასეთი გამოგონება შესთავაზა სახელმწიფოს ორგანოებს: რესპუბლიკები, რომლებშიც მოსახლეობის ძირითადი ეთნიკური შემადგენლობა ნახევარი არ იყო, დამოუკიდებელ რესპუბლიკებად არ ჩაითვლებოდა, ე.ი. თუ აღწერის შედეგებით ქართველები ჩვენს ქვეყანაში ნახევარი არ აღმოვჩნდებოდით, ყოველგვარი ნიშანწყალი დამოუკიდებლობისა, რომელიც არსებითდ უკვე ისედაც ნულთან იყო გათანაბრებული, ისპობოდა, და როგორც ძველად, ისინი გუბერნიებად და მაზრებად შევიდოდნენ დიდი რუსეთის იმპერიაში.

ქვეყნის პირველი პირის ამ გადაწყვეტილებამ ყველა შეაწუხა. ჩვენი რესპუბლიკის მთავრობის წარმომადგენლები, მიუხედავად მათი კომუნისტური მსოფლმხედველობისა, ძალიან შეშფოთდნენ. სტატისტიკურ სამმართველოებს მიეცა სასწრაფო მითითებანი იმისათვის, რომ გასაქრობთა სიაში არ მოვხვედრილიყავით. მიიღეს გადაწყვეტილება, რომ საქმეში ძველი გამოცდილი ეროვნული მოღვაწენიც ჩაებათ. არ არის გასაკვირი, რომ მოაგონდათ ნამდვილი მამულიშვილი პავლე ინგოროყვა. მას ქუთაისის აღწერა, სათანადო დოკუმენტების მოგროვება და სასწრაფოდ წარდგენა დაავალეს.

ბატონ პავლე ინგოროყვას ქუთაისში ძალიან ბევრი მეგობრები ჰყავდა, მათ შორის პედინსტიტუტის ქართული ლიტერატურის ისტორიის კათედრის გამგე კონსტანტინე მეძველიაც იყო. აი, სწორედ მას დაურეკა და აცნობა: მოვდივარ ამა და ამ საქმეზე და თქვენ იცით, რა დახმარებას გამიწევთო. რა თქმა უნდა, კ. მეძველიას და მისი თანამშრომლების გარდა, ბატონ პავლეს სხვა „დამხმარეებიც“ ჰყავდა, მაგრამ დიდი მეცნიერი მაინც ჩვენს ინსტიტუტში მოვიდა, მოგვინახულა ყველანი, დაგვკოცნა, მოგვეფერა, თავისი დავალების შესახებ გვესაუბრა და მერე საქმეს შეუდგა. იგი ნაშუადღევს დაბრუნდა ძალიან დაღლილი, და მე ფრთხილად, როგორც იცით მაშინ „სხვა დრო“ იყო, ვთხოვე კონსტანტინე მეძველიას ბატონი პავლე ჩემთან მოეწვია სადილზე, სადაც ეს დიდბუნებოვანი ადამიანი და მეცნიერი, თავის ქვეყანაზე მზრუნველი და მოჭირნახულე, უფრო ახლოს გავიცანით.

და იქ, ჩემო იაკობ, ჩემს სახლში, ბატონმა პავლემ ვერ დაფარა თავისი აღფრთოვანება ქუთაისელი ებრაელების მოქმედებით. როგორც თვითონ ბრძანა, აღწერის დროს, მთლად ქუთაისის ებრაელობამ, თავი ქართველებად გამოაცხადა. ჩვენთვის მთავარი ის იყო, რომ იმ გაჭირვების დროს ქუთაისის ებრაელობა ქართველებს გვერდით დაგვიდგა და ჩვენი ჭირ-ვარამი გაიზიარეს, ეს დიდი გმირობა იყო მათგანო, განსაკუთრებით იგი აღნიშნავდა ებრაელთა თავკაცების აქტიურობას ამ საქმეში. სიმართლე რომ

გითხრა, მაშინ ყველას გაგვიკვირდა მათი ასეთი თანადგომა. არა, სარწმუნოება არ შეუცვლიათ, მაგრამ ის, რომ ქართველები იყვნენ ყველა ერთხმად ადასტურებდა. გატეხილად გეტყვი, ბატონ პავლეს მონათხრობი ამბავი, მაშინ ჩემთვის გასაოცარი იყო, მაგრამ ახლა, შენი რომანი „ქართული ლეგენდა“ და მასზე თანდართული გამოკვლევა რომ წავიკითხე ქართველი ებრაელების წარმომავლობის შესახებ, ვგრძნობ, რომ მართლაც გასაგები ყოფილა მათი იმდროინდელი განწყობილება.

ასე დაამთავრა თავისი მოგონება პროფესორმა დავით ბრეგაძემ. ამის მერე ცოტა კიდევ ვისაუბრეთ, და ბოლოს, როცა გამომშვიდობების დრო დადგა, მან კარებამდე მიმაცილა და უეცრად მითხრა:

— იაკობ, ამჟამად მე ვმუშაობ ჩემს ახალ წიგნზე, და, იმედი მაქვს, რომ თქვენ მას მიიღებთ.

ქუჩაში გამოვედი. ჩვენი უნივერსიტეტის ეზოში ისევ მოჩანდნენ სტუდენტები, სპორტულ მოედანზე ბიჭები ისევ თამაშობდნენ კალათბურთს. კარგ ხასიათზე დავდექი, პროფესორთან საუბარმა გამამხნევა და შინ ღიღინით გავემართე. ვღიღინებდი ჩემთვის, ჩუმად სიტყვებს ერთი ცნობილი რუსული სიმღერიდან «Завтра будет лучше, чем вчера»... (ხვალ უკეთესი დღე გათენდება, ვიდრე გუშინ იყო). ვაი, რომ ბელორუსიის ნაციონალურ პარკში მიღებულ შეთანხმებამდე სულ რაღაც თვეებიღა რჩებოდა, და მე არ ვიცოდი, რომ ჩვენს მაშინდელ გეგმებს განხორციელება არ ეწერა. და მიუხედავად იმ მძიმე დღეებისა, რაც „პერესტროიკის“ წლებში დაგვატყდა თავს, მოულოდნელად მივიღე პროფესორ დავით ბრეგაძის წიგნი: „მოგონებები, ნარკვევები, წერილები“ (გამომცემლობა „მოწამეთა“, ქუთაისი, 1996) წარწერით: „ჩემს იაკობს, პატივისცემით, ავტორი, 10/IV 96 წ.“ სამწუხაროდ, ეს მისი ბოლო წიგნი იყო. იგი მე დიდი ინტერესით წავიკითხე. მასში აღმოჩნდა ის მოგონება „მარად დაუვიწყარი“ (გვ. 38), რომელიც ბატონმა დავით ბრეგაძემ მიამბო ბატონი პავლე ინგოროყვას საქმიანობასთან დაკავშირებით ქუთაისში, იმ მოვ-

ლენების განვითარების შესახებ, რაც გამოიწვია ნიკიტა ხრუშჩოვის გამომგონებლობამ, საბჭოთა კავშირის რესპუბლიკებში ეთნიკური უმრავლესობის გამოვლენასთან მიმართებაში.

უწესრიგობა, რომელიც საქართველოში სტალინის გარდაცალებამ გამოიწვია, ჩემთვის ისევე კარგად იყო ცნობილი, როგორც ხრუშჩოვის ცნობილი გეგმა. დაძრწოდა შავბნელი ხმები, თითქოს სატვირთო ვაგონები უკვე ჩამომდგარი იყო რიონის და სამტრედიის სადგურებში ქართველების ციმბირში გადასასახლებლად, და თითქოს საქართველოს კომუნისტური პარტიის ცკ პირველი მდივანი ვასილ პავლეს ძე მჟავანაძე, ცრემლით სავსე თვალებით, მუხლებზე დაეცა ხრუშჩოვის წინაშე, რათა შეეცვალა მას ასეთი გადაწყვეტილება. რასაკვირველია, პროფესორს ერთი სიტყვაც კი არ დაცდენია ამ ჭორების შესახებ არც ჩემთან, და არც თავის წიგნში, მაგრამ, მიუხედავად ამისა, ის გმირობა, რომელიც ქუთაისის ებრაელობამ მოიმოქმედა საქართველოსათვის იმ მძიმე ჟამს, მათ მიმართ უფრო მეტი პატივისცემის გრძნობით აღგვავსებს. ცხადია, ისინი კარგად იყვნენ გათვითცნობიერებულები იმ მოვლენებში, რაც მაშინ საქართველოს ცაზე ტრიალებდა და მაინც უყოყმანოდ დადგნენ ქართველი ხალხის გვერდით. ამის გარდა, პროფესორ დავით ბრეგაძის ამ წიგნში, ჩემთვის ფრიად სასიამოვნო სიურპრიზი აღმოჩნდა. ავტორი ყურადღებით მიმოიხილავს რა ქართული კულტურის, ლიტერატურის და მეცნიერების ცნობილ მოღვაწეთა შემოქმედებას, დაწყებული უძველესი დროიდან დღემდე, გარკვეულად დადებით შეფასებას აძლევს ჩემს რომანს „ქართულ ლეგენდას“ და მასში განვითარებულ იდეას ქართველ ებრაელთა წარმომავლობის შესახებ. წერილის სათაურია: „მწერლის პირველი რომანი“ (გვ. 177). მასში პროფესორი დავით ბრეგაძე აღნიშნავს იმ მაღალ მხატვრულ ოსტატობას, რომლითაც დახატულია რომანის მთავარი გმირების ელიაზარის და რეხას სიყვარული, რომელსაც წინ ვერ აღუდგა ის გარემოება, რომ რეხამ მიიღო ქრისტიანული სარწმუნოება, ხოლო ელიაზარი დარჩა ძველი აღთქმის მიმდევარი. ნარკვევის დასასრულს

პროფესორი რწმენას გამოთქვამს, რომ ჩემი ჰიპოთეზა იმის შესახებ, რომ „ჰურიანი ქართველები“ არიან უძველესი ქართველური ტომები „შეიძლება დადასტურდეს მომავალში“.

ავტორის მინაწერი: „ჰურიანი ქართველნი“ დღეს ისევე გადაიხვეწნენ საქართველოდან, როგორც ეს უხსოვარ დროში ხდებოდა, ხოლო წყაროები ამის შესახებ დაცულია ქართლის ცხოვრებაში, მოქცევაი ქართლისაიში და დადასტურებულია მრავალი ავტორიტეტული არქეოლოგიური გამოკვლევებით. შავიზღვისპირეთის იმ რაიონებში, საიდანაც ისინი იყვნენ განდევნილნი, ცხოვრობს ეთნოსი, რომლებისთვისაც ქართული ენა უცხო სხეულია. 70-იანი წლების ალიამ დაგვანახა, რომ ქართველ ებრაელებს ის შორეული შიშის გრძნობა დღემდე აქვთ შემორჩენილი; ისინი თითქოს წინასწარ გრძნობენ „სით რა ქარი უბერავს“ და ილტვიან იქით, სადაც ძნელად მიწვდებათ დუშმანის ხელი. თბილისში ამჟამად ორი ათასი ოჯახი თუ ცხოვრობს, ქუთაისში — ორმოცი, კულაშში კი ისინი აღარ ცხოვრობენ, არადა 60-იან წლებში იქ სიცოცხლე დუღდა და გადმოდუღდა. დღეს ისინი მთელ მსოფლიოში არიან გაბნეულნი — აშშ, საფრანგეთში, გერმანიაში, ავსტრიაში, ბელგიაში და ა.შ., მაგრამ მათი ძირითადი ძარღვი ისრაელშია დასახლებული. მათ აქ ადვილად შეიცნობთ თავიანთი ფიზიონომიით (სახე, პირისახე, გამომეტყველება, შესახედაობა), და მართალია მესამე და მეოთხე თაობებმა უკვე აღარ იციან ქართული წერა-კითხვა, მაგრამ თუ შეკითხებით: „ბიჭო, შენ ქართველი ხომ არ ხარ?“ ისინი უმალ, უყოყმანოდ გიპასუხებენ: „კი, ქართველი ვარ“. ეს ალბათ — ინსტინქტია, თანდაყოლილი, არაცნობიერი მისწრაფება საკუთრი წარმომავლობისაკენ, ბეტონივით რომ ჩადუღაბებულა მათ გონებაში. უბრალოდ რომ განვმარტოთ, ამას ისინი ისევე გრძნობენ, როგორც ის მტრედი, რომელსაც რა ხანია ბუდე დაუნგრიეს, მაგრამ მისი შთამომავლები მაინც მოფრინდებიან ხოლმე იმ ადგილ-გარემოში, სადაც ადრე მათი მშობლების სამტრედე იყო, ჩამოსხდებიან სახურავის სანიაღვრეზე და საწყალობლად ღუღუნებენ... ესეც ალბათ ინსტინქტით ხდება.

თავი 2

დავითისა და თამარის დროის მეფეთა სამართლის წიგნში ვკითხულობთ: „ხმითა იგივეითა, ძალითა იგივეითა, უფლებებითა იგივეითა, ვითარცა ერი ქართველისაი, ერი ებრაელისაი, მცხოვრები საქართველოსა მიწასა ზედა“.

„განთიადში“ გამოქვეყნებული ჩემი ნაშრომი როცა წაიკითხა „ქართველ ებრაელთა წარმომავლობის და ქართული ასომთავრული ანბანის შექმნის საკითხისათვის“, — პროფ. დავით ბრეგაძე დარწმუნდა, რომ ბაგრატიონების და ჰურია ქართველების თვალსაწიერიდან — მხედველობის არედან, არასოდეს დაკარგულა მცხეთა და ქართლი, რამეთუ მათი ქარავნები რეგულარულად მიმოდიოდნენ იერუსალიმიდან მცხეთაში და პირიქით, მცხეთიდან იერუსალიმში, და ეს იყო მათი ეკონომიური და ამასთანავე პოლიტიკური მისია იმ წმინდა მიწაზე, სადაც ისინი გახდნენ ორი რელიგიის ზეობის მოწამენი: ჯერ მოსეს მცნების, ხოლო შემდეგ ქრისტეს აღდგომის.

ამ თემაზე მე კიდევ ორი მეცნიერული ნაშრომი გამოვაქვეყნე ჟურნალ „განთიადში“. ორივე ნაშრომი ამტკიცებს და ასაბუთებს ბატონი დავით ბრეგაძის აზრს. ეს რომ ასეა, მკითხველი თვითონ დარწმუნდება, როცა მათ წაიკითხავს.

ვინ იყვნენ „ჰურიანი ქართველნი“

ჰურიანი ქართველნი პროტოქართული ეთნოსის — მუშქების (მოსხების) და თაბალების ერთ-ერთ მძლავრ განშტოებას წარმოადგენენ. ისინი სავაჭრო-ეკონომიკურ ურთიერთობას აწარმოებდნენ შუმერებთან, ხურიტებთან, ებრაელებთან, ქალდეველებთან... ჯერ კიდევ ძვ.წ. IV-II ათასწლეულებში.

ტერმინი „ურია“ ან „ჰურია“ იყო მეტსახელი, და გულისხმობდა იმ ქართველებს, რომლებიც შუმერულ ურში სავაჭროდ დადიოდნენ, იგი შორეულ ეპოქაში იხმარებოდა პატივისცემის ნიშნად, რაც, ალბათ, ჩვენებური დიდებულის ან თავადის სინონიმი იქნებოდა.

ამ პროტოქართველი ვაჭრებისათვის კარგად იყო ცნობილი არა მარტო შავი ზღვის, არამედ კასპიის ზღვის აუზიც, საიდანაც ეზიდებოდნენ მარილს და იშვიათი ჯიშის თევზს, ხოლო კავკასიონის მაღალი მთიანეთი მათთვის იყო მატერიალური ბაზა გარეული ცხოველების ტყავის და მაღალხარისხოვანი ხე-ტყის მოსაპოვებლად.

თაბალები და მოსხები რომ დასავლეთ საქართველოს შავიზღვისპირეთის: ტაო-კლარჯეთის, სამცხე-ჯავახეთის და სამხრეთ-დასავლეთ ქართლის (ბორჯომ-ბაკურიანის ხეობა, ძვ. თორის რაიონი) მკვიდრი მოსახლეობა იყო შუმერების ისტორიულ ასპარეზზე გამოჩენის დროს (ძვ.წ. 3500), ამას საქმეში ჩახედული მკვლევარი ადვილად მიხვდება, ეს ტერიტორიები დღეს ცნობილია, როგორც ისტორიული კოლხეთი: აჭარა, აფხაზეთი, გურია, სამეგრელო, სვანეთი, სამცხე-ჯავახეთი... სწორედ საქართველოს ამ ნაწილშია გავრცელებული დიდებული ტყეები: წიწვოვანი, ფოთლოვანი, რაც ერთობ დამახასიათებელია კოლხეთის სუბტროპიკული კლიმატისათვის. ეს ტყე-მასივი 1000 ჰა-ზე მეტ ტერიტორიას მოიცავს.

საქართველოს საკურორტო ზონა უბრალოდ არ ვახსენეთ. აქ 1935-1938 წლებში მიმდინარეობდა არქეოლოგიური სამუშაოები (ბ.კუფტინი, მ.ივაშჩენკო, ლ.სოლოვიოვი), აღმოჩენილია ადრეული ბრინჯაოს ხანის მრავალი უმნიშვნელოვანესი სამარხი-ძეგლი. ისპანში, კურორტ ქობულეთის ჩრდილოეთით, ტორფის საფარის ქვეშ, რომელიც ორ ქრონოლოგიურ ჰორიზონტს მოიცავს, დაცულია დასახლებანი, ძვ.წ. IV ათასწლეულით რომ თარიღდება. სახურავის ძელები გადაბმულია სამკუთხედის ფორმით და ეყრდნობიან მიწის სიღრმეში ჩაშვებულ ხის ხიმინჯებს... ამ შენობა-ნაგებობების ხნოვანება ზუსტად ემთხვევა პერიოდს, როცა ქართველმა ერისმთავარმა ჯავახოსმა, იმ მიზნით, რომ ქართველ ვაჭრებს დახმარებოდა შუმერულ ურთან ეკონომიკური ურთიერთობის დამყარება-განვითარებაში, ქ. არტაანი მტრებისაგან გაათავისუფლა, ჩაატარა იქ სამშენებლო სამუშაოები, მოაწყო საქონლის გადასაზიდი და დასასვენებელი პუნქტი ვაჭრებისათვის, და ქალაქს უწოდა მეორე სახელი — ჰური (ძვ.წ. 3500. იხ „განთიადი“, 9, 991), ისე, რომ ქალაქს პირვანდელი სახელი შეუნარჩუნა. არქეოლოგიური კვლევით დადასტურებულია, რომ ეს დასახლებანი მოსახლეობას მიუტოვებია ძვ.წ. II ათასწლეულში (ძვ.წ. 2000 წ.) და სიცოცხლე ამ ადგილებში განახლებულა VII—VI სს.-ში. ბერძნული დასახლებანი თარიღდება ძვ.წ. V ს. (ქსე, ტ.10, გვ. 340).

სამ სხვადასხვა პერიოდს განეკუთვნება ქ. ოჩამჩირეში აღმოჩენილი დასახლებანი: ადრეული რკინის ხანის, ანტიკური ეპოქის და შუა საუკუნეების. პირველი თარიღდება ძვ.წ. III—II ათასწლეულით, ხოლო მეორე — ძვ.წ. VI-V სს. (ქსე, ტ. 7, გვ. 621). ორივე ქალაქში აღმოჩენილია ლითონის გამოსადნობი თიხის მილები და ნაკეთობანი, სხვადასხვა დანიშნულების კერამიკული და რკინის იარაღები; ბრინჯაოსაგან, ოქროსაგან და რკინისაგან დამზადებული სამკაულები, კოლხური და სინოპური მონეტები (დრახმები).

საქართველოს გეოგრაფიული ადგილმდებარეობა, მისი ბუნება ორგანულად არის შერწმული ქართველი ხალხის კულტურულ ტრადიციებთან და ისტორიასთან. ამ ულამაზესი მთაგორიანი ქვეყნის ჰავა მრავალფეროვანია, კლიმატური პირობები ხშირად ჭირვეულია და მოსახლეობას დაძაბული შრომა

სჭირდება სასიცოცხლო მნიშვნელობის საშუალებების ორგანიზებისათვის. ამით არის განპირობებული, რომ მთისა და ბარის მოსახლეობა ერთმანეთისაგან განსხვავდება არა მარტო დიალექტებით, არამედ კილოკავისათვის დამახასიათებელი თავისებური წარმოთქმით და რაც მთავარია, ხასიათით. ამიტომ ზოგჯერ ჰგონიათ, რომ სხვადასხვა კუთხისადმი ამგვარმა მიდგომამ ბევრი მკვლევარი დააშორა ჭეშმარიტებას. მაგრამ მათ რიცხვში ნამდვილად არ შეიძლება ჩაითვალოს ცნობილი ქართველი ისტორიკოსი პლატონ იოსელიანი. იგი ქართული ტომების ეთნიკური წარმომავლობის გაშუქებისას მნიშვნელოვან ადგილს უთმობდა ზეპირსიტყვიერების ნიმუშებსა და ტოპონიმიკას, ამ მიმართულებით შეიძლება უნიკალურად ჩაითვალოს მისი მოსაზრება (მიგნება), რომ სახელწოდება „მცხეთა“ წარმოდგება მესხთა (მოსხები— მუშქები) ტომის სახელისაგან.

არქეოლოგიური მასალებით დადასტურდა, რომ მცხეთისა და „დიდი მცხეთის“ ტერიტორია დასახლებული იყო ადრინდელი და შუა ბრინჯაოს ხანაში (ძვ. წ. III—II ათასწლ.). მიუხედავად ამისა, გამოთქმულია მოსაზრება, რომ მოსხთა ტომის სამოსახლო მცხეთაში ძვ.წ. VIII ს. შემდეგ უნდა გაჩენილიყო. საკითხისადმი ასეთი მიდგომა, რა თქმა უნდა, საკამათოა, რადგან ქართლში მოსხთა სამოსახლოების წარმოშობა თავისთავად უკავშირდება ჯავახოსის მიერ ქართული ჰურის დაარსებას, ჰურიათა ქართველთა სავაჭრო-ეკონომიკური ურთიერთობებს შუმერულ ურთან, ეგვიპტესთან და ბალკანეთთან, ხოლო „მოსხი“ ბიბლიური ეთნოსია და ცხადია, ამ წიგნის უგულებელყოფა შეუძლებელია:

პროტოქართული ტომი თუბალი ან თობალი (მჭედელი) კაენის შთამომავალია: „და ცილამაც შვა (ლამეხისაგან) თუბალ — კაენი (თობალ), რომელიც იყო მჭედელი რვალისა და რკინისა“ (დაბადება, 4.22).

სახელით მეშეხი მუშქების (მოსხების) ტომი ბიბლიაში ოდნავ მოგვიანებით ჩანს იაფეთის შვილებს შორის, რომელიც ნოეს ერთ-ერთი შთამომავალია:

„...იაფეთის შვილებია: გომერი, მაგოგი, მადაი, იავანი, თუბალი, მეშეხი და თირასი“ (დაბადება, 10.2).

აქ იაფეთის შვილებს შორის თუბალი და მეშეხი გვერდიგვერდ დგანან.

პირალიპომენონის პირველ წიგნში (1 პარ. 1.5), სადაც აღნუსხულია გვარტომობის გენეალოგია ადამიდან აბრაამამდე, თუბალი და მეშეხი ისევ ერთად დგანან გომერის (კიმირიელების) და იავანის (იონიელების ანუ ბერძნების) გვერდით.

და მაინც, ამ შემთხვევაში, ყველაზე მნიშვნელოვანი იეზეკიელის წიგნია, რადგან სწორედ ამ წინასწარმეტყველმა ბიბლიაში პირველმა დააფიქსირა, რომ თუბალისა და მეშეხის (მუშქი-მოსხი) ტომები მისდევდნენ არა მარტო მეტალურგიას (ლითონის წარმოებას), არამედ, აგრეთვე, ვაჭრობას. სხვათა შორის, ეს ცნობა ამოსავალი წყაროა ჰურიათა ქართველთა წარმომავლობის გასარკვევად:

„იავანი, თუბალი და მეშეხი ვაჭრობდნენ შენთან, რამეთუ გადაეცვალათ შენი საქონელი მონებზე და რვალის ჭურჭელზე“ (იეზეკიელი, 27. 13, 38. 2-4).

ამით სავსებით ბათილდება ზოგიერთი მკვლევრის მოსაზრება, თითქოს ქართლში და ივერიაში, როგორც წინაქრისტიანულ, ასევე ქრისტიანულ ხანაში, არ არსებობდა ვაჭართა და ხელოსანთ კლასი და თითქოს ამ ფუნქციებს სხვადასხვა დროს ასრულებდნენ არამეელები, ებრაელები, ბერძნები, სპარსელები, თათრები და ა.შ.

იეზეკიელი ბაბილონში ნაბუქოდონოსორის ტყვეობაში იმყოფებოდა. იგი, როგორც ჩანს, კარგად ერკვეოდა ეთნიკურ საკითხებში და იცოდა, რომ თუბალისა და მეშეხის სამშობლო მდებარეობდა „მაგოგის მიწის“ სამხრეთით; მაგოგი — ეს — სკვითებია, და რა თქმა უნდა, აქ იგულისხმება ამიერკავკასია, ადგილი, სადაც დღესაც საქართველოა.

იცოდა თუ არა ამ წინასწარმეტყველმა, რომ თუბალისა და მეშეხის წარმომადგენელ პროტოქართველ ვაჭრებს თავიანთ ქვეყა-

ნაში ჰურია ქართველებს რომ ეძახდნენ, ჩვენ ამის მტკიცებას არ შევუდგებით, მაგრამ ერთს ვიტყვით დარწმუნებით: სიტყვა „ხალიუფს“ ბერძნულია და მისი ქართული შესატყვისია „რკინა“ ან „ფოლადი“, რომლიდანაც შემდეგ წარმოიშვა ტერმინი „ხალიბი“. სპეციალისტთა შორის დავას იწვევს ჰეროდოტეს ერთი ცნობა, რომლის თანახმად ხალიბები მდ. ჰალისის (ახლანდ. ყიზილ-არმაქი) დასავლეთითაც სახლობდნენ და ამის გამო ფიქრობდნენ, რომ ხალიბები მცირე კაპადოკიის შავი ზღვის სანაპირო ზოლის მცხოვრები თვითმყოფი (თავისთავადი) ეთნოსი იყო. ქსენოფონტთან და სტრაბონთან ხალიბების სინონიმად მიჩნეულია ხალდები, რომლებსაც ჭანებთან (სანებთან) აიგივებდნენ, ამიტომ ჩვეულებრივ, ხალიბებს დასავლურ-ქართულ ტომებად მიიჩნევენ. სხვათა შორის, ჰეროდოტეს ცნობაც სათანადო განმარტებას ექვემდებარება, რადგან მუშქების (მოსხების) ქვეყანამ მდ. ჰალისის ზემო წელზე დამოუკიდებლობა შეინარჩუნა ფრიგიელთა დაპყრობითი ომების დროს.[1] ამიტომ არ არის გასაკვირი, — ამ ნახევრადლეგენდარულ რვალისა და რკინის დამმუშავებელ ქართულ ტომებს არგონავტები სინოპსა და ტრაპიზონს შორის რომ შეხვდნენ, რამაც განაპირობა კიდეც ცნობილი ტერმინის „ხალიბის“ წარმოშობა, რომელსაც ბერძნები იყენებდნენ როგორც ეპითეტს ამ რკინის მომპოვებელი და დამმუშავებელი ხალხის აღსანიშნავად.

მაშასადამე, ბიბლიური თუბალი და ბერძნული ხალიბი სინონიმებია, ე.ი. თუბალი და მუშქი — მოსხი ქართველური ეთნოსია, რომელთაგანაც შემდეგ და შემდეგ განვითარდა ახალი ეთნიკური ერთობა: ჰურიანი ქართველნი, ხალიბები (ჭანები, სანები), ტიბარენები (სასპერები), სვანები (მისიმიანები) და ა.შ.

სტრაბონი თავის „გეოგრაფიაში“ (33. 493) წერს,რომ „აზიელი და ევროპელი მომთაბარეების, ერთის მხრივ, და ბოსფორიდან გემებით

1. ი. პაპიაშვილი, „ჰაბა, ნაგილა“, მეცნიერება, გამომცემლობა „ქუთაისი“, 1994, „არიან ქართლის საკითხის გარკვევისათვის“, გვ. 85.

შემოსული მეკობრეების, მეორე მხრივ, საერთო სავაჭრო ცენტრი იყო ტბა (მეოტიდის — ი.პ.). „მეოტიდა“ აზოვის ზღვის სახელწოდება იყო ძვ. ბერძნების და რომაელების ეპოქაში (ძვ.წ. VIII—IV სს.). ამით დასტურდება, რომ ბიბლიიდან ზემოთ ციტირებული ცნობა „იავანი, თუბალი და მეშეხი ვაჭრობდნენ შენთან“... სწორია.

თამამად შეიძლება ითქვას, რომ ბერძნები არ შემცდარან; ძნელი იყო უფრო სასურველი ადგილმდებარეობის შერჩევა დასახლებისათვის, ვიდრე ეს მთაგორიანი, თვალწარმტაცი მხარეა ქედების, ზეგნებისა და ვაკეების ერთობლიობით, მდინარეებით, მცენარეული საფარით და ნადირფრინველით. სტრაბონი ჩამოთვლის მხოლოდ ისტორიულად მნიშვნელოვან ქალაქებს შავიზღვისპირა აუზის სავაჭრო-ეკონომიკური ურთიერთობების განვითარებისათვის, საშუალო დასახლებანი კი იყო უამრავი. ის, რომ ბევრი მათგანი: ბათუმი, ფოთი, სოხუმი ჩვენი დროის მსხვილი საპორტო ქალაქებია, ბევრ რამეზე მეტყველებს. ქობულეთისა და ოჩამჩირის რაიონებში არქეოლოგიური კვლევით მოძიებული ბერძნული დასახლებანი თარიღდება ძვ.წ. V ს-ით. არგონავტებმა მდ. ფასისით ქვეყნის სიღრმეში შეაღწიეს. როგორც ჩანს, ისინი საერთო ენას ნახულობენ ქართველ ვაჭრებთან და მათი ნაირნაირი საქონლით დატვირთული გემები ხშირად გადიოდნენ დიოსკურიის (სოხუმის) ნავსადგურიდან ბოსფორის სრუტის მიმართულებით, მარილის, ხეების და ტყავ-ბეწვეულის გარდა გაჰქონდათ საუკეთესო ხარისხის ქართული ღვინო და რკინის ნაკეთობანი.

თუ მდინარე ჭოროხის შესართავთან, შავიზღვისპირა სანაპიროთი დასავლეთისაკენ გაემართებით, აღმოჩნდებით მხარეში, რომელიც ოდესღაც დასახლებული იყო ხალიბებით და სხვა პროტოქართული ტომებით. ეს მხარე იყო მცირე კაპადოკია, ხოლო შემდეგ მუშქების ქვეყანა, რომელიც ალექსანდრე მაკედონელის ეპოქაში, „მოქცევაი ქართლისაის“ თანახმად, ცნობილია როგორც არიან ქართლი (ი. პაპიაშვილი, „არიან ქართლის საკითხის გარკვევისათვის“).

კაპადოკიაში, „მთებისა და მიწისქვეშეთის“ ქვეყანას რომ ეძახიან, ცნობისმოყვარე ტურისტები, ზურგჩანთებით ზურგზე, არცთუ უშედეგოდ ცდილობენ ხოლმე მიწისქვეშა ლაბირინთებში შეღწევას, სადაც კარგად არის დაცული უძველესი ღვინის სარდაფები, პროდუქტების ცივი საწყობები, სასმელი წყლის რეზერვუარები და ზოგჯერ — სამლოცველოებიც კი. ადგილობრივი გიდები, თურქები ან ასიმილირებული ქართველები, მათ უხსნიან, რომ ყოველივე ეს ოდესღაც „ხეთებმა ააშენეს“, ხოლო შემდეგ კი დასძენენ: „მაგრამ, ადვილი შესაძლებელია, ე.წ. „პროტოხეთბმა...“ ვინ იყვნენ ეს „პროტოხეთები“, იმათთვის ეს სულ ერთია, თუმცა ყურმოკვრით კი იციან, რომ მეღვინეობას ამ მხარეში უხსოვარი დროიდან მისდევდნენ მუშქები და თაბალები.

„განთიადი“ №7-8, 2010

ისტორიის ზოგიერთი საკითხისათვის

ჰურიათა ქართველთა ქარავანი ქართლში სავაჭროდ თითქმის ყოველ წელიწადს ჩამოდიოდა ისრაელიდან და ეგვიპტიდან, იყო აღებმიცემობა ანუ ერთი საქონლის გაცვლა მეორეში, და, რა თქმა უნდა, თავისთავად — პოლიტიკური, რელიგიური და საზოგადოებრივი ინფორმაციაც ვრცელდებოდა ორივე მხარეს, როგორც ქართლში, ასევე ისრაელში. ამგვარი ინფორმაციული ხასიათის ურთიერთობა — ცნობა, შეტყობინება რამე მომხდარი ამბის, რისიმე მდგომარეობის და სხვათა შესახებ, არანაკლებ მნიშვნელოვანი იქნებოდა, ვიდრე საქონლის გაცვლა-გამოცვლა, რადგან მაშინ სწორედ ასეთი საინფორმაციო საშუალებები იყო სახელმწიფოთა შორის შემდგომი ეკონომიკური ურთიერთობის განმსაზღვრელი, „ქართლის ცხოვრებაში“ ზუსტად და თავის დროზე არის დაფიქსირებული ამგვარი ხასიათის ინფორმაციები: მოსეს მიერ ზღვის გაპობა, ნაბუქოდონოსორის მიერ იერუსალიმის დანგრევა და ტყვე ჰურიების (ბაგრატიონების) დაბრუნება თავიანთ სამშობლოში — სასპეროში, ტიტ ვესპასიანეს მიერ იერუსალიმის მეორე ტაძრის დანგრევა, მცხეთაში ქრისტეს კვართის ჩამოტანა და ა.შ.

ნაბუქოდონოსორის მიერ გამოძევებულთა ქართლში მოსვლა განსაკუთრებულად არის საყურადღებო, რადგან ეს ცნობა ქართულ ქრონიკებში — „მოქცევაი ქართლისაიში“ და ქართლის ცხოვრებაში სხვადასხვა, განსხვავებული რედაქციითაა ჩადებული. ამ მიზნით მოგვყავს ორივე ქრონიკის დედნისეული ვარიანტი:

1. „მაშინ ნაბუქოდონოსორ მეფემან წარმოსტყუენა იერუსალიმი და მუნით ოტებულნი ურიანი მოვიდეს ქართლს, და მოითხოვეს მცხეთელთა მამასახლისისაგან ქუეყანა ხარკითა. მისცა და დასხნა არაგუსა ზედა წყაროსა რომელსა ჰქვიან ზანავი“ (ქართლის ცხოვრება, ტ. 1. გვ. 15, 16).

2. „მოვიდეს ნათესავნი მბრძოლნი, ქალდეველთგან გამოსხმულნი ჰონნი და ითხოვეს ბუნთურქთა უფლისაგან ქვეყანაი

ხარკითა და დასხდეს იგინი ზანავს“ (ძვ. ქართული ჰაგიოგრაფიული ლიტერატურული ძეგლები. ტ. 1. თბილისი, 1964, გვ. 81).

თუ რატომ არის მეორე ქრონიკაში „ჰონნი“, ნაცვლად — „ურიანისა“, არსებობს მოსაზრება:

„მოქცევაი ქართლისაის“ დედანში იყო არა ჰონნი, არამედ „ჰურიანი“, „ჰონნი“ მისი მცდარი წაკითხვაა (ე. თაყაიშვილი, „სამი ისტორიული ქრონიკა“, ტფილისი, 1980, გვ. 61).

ჩემს მიერ მოკვლეულია, რომ ტერმინი „ჰონნი“ უძველესი ებრაული სიტყვაა და ამ ენის ლექსიკის კუთვნილებაა. ამ სიტყვის ქართული შესატყვისია: „სიმდიდრე“, „კაპიტალი“ ანუ „ფული დიდი რაოდენობით“. ეს სიტყვა „ჰონნი“ გამოყენებულია და დამკვიდრებულია ძველ ებრაულ ლიტერატურულ ძეგლში „გალობათა გალობა“, ეს ლიტერატურული ძეგლი კი ყველასათვის თვალსაჩინო საბუთია:

„დიდი წყლები ვერ ჩააქრობს სიყვარულს, და მდინარეები ვერ წალეკავენ მას. უკეთუ ვინმე თავისი ოჯახის მთელ სიმდიდრეს (.....) გასცემს სიყვარულისთვის, მას აბუჩად აიგდებენ და ზიზღით მოკვეთენ“ („გალობათა გალობა“, 8, ლექსი 7).

„გალობათა გალობის“ ავტორად ხალხური ტრადიცია ებრაელთა მეფე სოლომონს მიიჩნევს. ე.ი. სიტყვა „ჰონი“ ებრაულ ლექსიკაში შესული იქნება არა უგვიანეს ძვ.წ. XIII—X სს., ხოლო მანამდე იარსებებდა ზეპირსიტყვიერი სახით, ვიდრე ფინიკიურ-ებრაული და ქართული დამწერლობანი შეიქმნებოდა.

მაშასადამე, ქართული „ჰონნი“ ებრაული „ჰონი“-დან არის წარმოებული, მრავლობითში გამოხატული ფორმაა და ამით „მოქცევაი ქართლისაი“ სწორედ მდიდარ, ძლიერ და გავლენიან ეთნიკურ დაჯგუფებაზე მიგვანიშნებს: „მოვიდეს ნათესავნი მბრძოლნი, ქალდეველთაგან გამოსხმულნი ჰონნი“, და აქ, კერძო შემთხვევაში, განსახილველი ტერმინი „ჰონნი“ უახლოვდება ტერმინ „ხალხის“ მნიშვნელობას ანუ ხალხის ნაწილის დროებით, ხანგრძლივად ჩამოცილებას ეთნიკური მასისაგან (მიგრაცია, სახელმწიფო საზღვრების შეცვლა და სხვა).

საფუძველი გვაქვს, ვივარაუდოთ, რომ ბაგრატიონების საგვარეულო დინასტიის მამამთავრის სახელი იქნებოდა — ბაგრატი, რომელმაც ებრაელებთან სავაჭრო ურთიერთობის დროს მიიღო მეტსახელი „ჰონი“ და ცნობილი გახდა როგორც „ბაგრატი ჰონი“ ანუ „მდიდარი ბაგრატი“. ჩვენ არ ვიცით, როდის მოხდა ეს — ძვ.წ. III თუ I ათასწლეულებში, თუმცა, როგორც ჩანს, დროთა ვითარებაში ასო „ჰ“ შეიკვეცა და მივიღეთ საგვარეულო შტო — ბაგრატოვნები. სუმბატ დავითის ძეს (XI ს., ე. თაყაიშვილის აზრით, იგი ბაგრატიონთა ტაოს შტოს წარმომადგენელია) ბაგრატიონები ებრაელთა მეფისა და წინასწარმეტყველ დავითის შთამომავლებად გამოჰყვას; მკვლევართა უმეტესობის აზრით, ბაგრატიონები ძველი ქართული მხარის — სპერის მკვიდრნი იყვნენ.

ამგვარად, ტერმინები „ურია“, „ჰურია“ და „ჰონი“, „ჰონნი“ მსგავსი სიტყვებია და ქართულ ქრონიკაში ერთნაირი მნიშვნელობით უნდა იყვნენ გამოყენებულნი.

რაც შეეხება საკითხს, თუ რატომ ეწინააღმდეგებიან ერთმანეთს განსახილველი ქართული ქრონიკები, კერძოდ, რატომ არის პირველში ფრაზა: „მოითხოვეს მცხეთელთა მამასახლისისაგან ქვეყანა ხარკითა“, ხოლო მეორეში — „ითხოვეს ბუნთურქთა უფლისაგან ქვეყანაი ხარკითა“, გასარკვევია.

ტერმინი „ბუნთურქი“ ქართულ წყაროებში ლეგენდარულად ისახება:

„ბუნთურქები, „მოქცევაი ქართლისაის“ მიხედვით, ქართლის (მტკვრის ხეობის) უძველესი მოსახლეობის სახელწოდებაა, და მათთან ბრძოლა მოუხდა ვითომდაც ალ. მაკედონელს. ქრონიკა მათ ახასიათებს, როგორც ველურ, მხეცური ბუნების ხალხს. ამით ქრონიკის ავტორს სურდა, ისინი განესხვავებინა გვიანდელი, მისთვის ცნობილი თურქებისაგან“ (ქსე, ტ. 2, გვ. 572).

„ბუნთურქი“ — ასეთი ეთნოსი არ არსებობს. „ბუნი“ ძველი ქართული სიტყვაა და იხმარებოდა „ნამდვილის“, „მკვიდრის“, „ძველისძველის“ (თავდაპირველის) მნიშვნელობით. ისმის კითხვა: რამ განაპირობა ქართული „ბუნის“ გამოყენება „თურქის“ თავსართად?

ცნობილია, რომ თურქული ეთნოსის სამშობლო შუა აზიაა, რომლის ტერიტორია კასპიის ზღვიდან ჩინეთის საზღვრამდე ვრცელდება. ადრინდელი თურქები ძვ.წ. I ათასწლეულში გამოჩნდნენ ვოლგისპირეთში და კასპიისპირა ველებში, ძირითადად მომთაბარეობას ეწეოდნენ, მაგრამ ისტორიული წყაროებით დასტურდება, რომ ძვ.წ. VI ს-ში უკვე არსებობს ხვარაზმის ძლიერი სახელმწიფო. ეს ტერიტორია დღევანდელი ტაჯიკეთი, უზბეკეთი და თურქმენეთია. ჰეროდოტეს თანახმად, ხვარაზმი შედიოდა აქამენიდების სამეფოს XVI სატრაპიაში, მაგრამ როცა ალ. მაკედონელი შეიჭრა ხვარაზმში, იგი უკვე დამოუკიდებელი სახელმწიფო იყო. მაკედონელის მიერ შუა აზიაში გალაშქრება და ხვარაზმის დაპყრობა ქართული ისტორიოგრაფიისათვის იმით არის საინტერესო, რომ ბერძენთა ხვარაზმში ლაშქრობის პარალელურად, არიან ქართველებმა — აზომ და 18-მა გვარმა, ბერძენთა გარნიზონების დახმარებით, ქართლი მთლად გაწმინდეს ბუნთურქებისგან — სამხრეთიდან თუ აღმოსავლეთიდან მოძალებული თურქებისაგან, რომელთაც თავდაპირველად ქართლში მცხოვრები, „ადგილობრივი“ ანუ „მკვიდრი“ თურქებისაგან განსასხვავებლად, „ბუნი“ დაემატათ. როგორც ჩანს, ეს ბუნთურქები ის ხვარაზმელი თურქებია, — და ამ აზრს ჩვენ ქვემოთ კიდევ უფრო განვამტკიცებთ, რომლებიც ქართლში სპარსეთის ალბანეთიდან (აზერბაიჯანიდან) შედიოდნენ აქამენიდების დინასტიის დროს. ჩვენთვის უცნობია, რა როლი ითამაშეს ამ თურქებმა ჰურიათა ქართველთა ადრეულ მიგრაციაში, მაგრამ, როგორც ირკვევა, ალ. მაკედონელის დროს, არიან ქართველები გააქტიურდნენ და მისი დახმარებით აღკვეთეს კიდეც ქართლში მათი თარეში.

ამბობენ, თითქოს, ალ. მაკედონელი იბერიაში არასოდეს ყოფილაო. ეს ვერსია თანამედროვე ქართულ ისტორიოგრაფიაში შემოსულია რუსული ტენდენციური წყაროებიდან.

„თანა ჰყვანდა ალექსანდრე მეფესა აზოი ძე არიან ქართლისა მეფისაი, და მას მიუბოძა მცხეთაი საჯდომად და საზღვარი დაუდვა მას

ჰერეთი და ეგრის წყალი, და სომხეთი, და მთაი ტროლისაი და წარვიდა“ (ს. ჯანაშია, „შრომები“, თბილისი 1988, ტ. VI, გვ. 176).

ალ. მაკედონელის მიერ ქართლში ხვარაზმის დაპყრობა და აზოს მიერ ქართლში ბუნთურქების განადგურება, რაც თითქმის ერთდროულად ხდება, არის ის ბაზისი და ზედანაშენი, რაც ამტკიცებს იმ დროს ბერძნების და ქართველების პოლიტიკურ-ეკონომიკურ და სამხედრო ურთიერთთანამშრომლობას ორივე მხარის საერთო მიზნებიდან გამომდინარე. არ დავიწყება გვმართებს, ძვ.წ. 333 წ. ისოსთან ბრძოლაში სპარსელების განადგურების შემდეგ, მაკედონელს მორჩილება მთლად ამიერკავკასიამაც გამოუცხადა. აქამენიდების დინასტიის უღელი მოიხსნა და დამოუკიდებელ სახელმწიფოდ აღდგა არამარტო ქართლ-იბერია, არამედ სომხეთი და ატროპატენა (აზერბაიჯანის ძველი სახელწოდება).

რაც შეეხება ლეონტი მროველის მიერ გამოთქმულ მოსაზრებას — თითქოსდა აზო არის ბერძენი და ქართველების მტერი: — იგი შედეგი უნდა იყოს იმ შინა ბრძოლისა, რომელიც მიმდინარეობდა იბერიაში მაკედონელის სიკვდილის მერე, ქართულ ეთნიკურ დაჯგუფებებს შორის. ერთმანეთს დაუპირისპირდნენ, ერთის მხრივ, არიან ქართველები და მეორე მხრივ — იბერიულ-ეგრისული გაერთიანებები.

ზემოთქმული, ხვარაზმელებისა და ე.წ. ბუნთურქების შესახებ, მხატვრულად აისახა რუსთაველის გენიალურ პოემაში. თამარ მეფის დროინდელი საქართველოს ცოცხალ სინამდვილესთან ერთად, ვეფხისტყაოსანში ბუნებრივად, უშუალოდ და გამჭვირვალედ აირეკლა ის წინარე ისტორიული რეალიები, რამაც მყარი საფუძველი მოამზადა ერთიანი, ძლიერი საქართველოს შექმნა-ჩამოყალიბების საქმეში. ამ მიმართებით ფრიად საყურადღებოა ქვეთავი: „ტარიელისა და ნესტან-დარეჯანის თათბირი და გამორჩევა“. აქედან იწყება პოემის სიუჟეტის განვითარება და ამავე დროს იხსნება დრამატული კვანძი. წინა პლანზე წარმოჩინდება ქალის, მომავალი დედოფლის პატრიოტიზმი, რომლის რჩევით:

„იგი რა მოჰკლა, ეუბენ პატრონსა ჩემსა მამასა, ჰკადრე, თუ სპარსთა ვერა ვიქმ ინდოეთისა ჭამასა, ჩემია მკვიდრი მამული, არ მივცემ არცა დრამასა, არ დამეხსნები, გაგიხდი ქალაქსა ვითა ტრამასა!“

პოემაში მიმზიდველი, ტკბილი, მშვენიერი ქართულით გაიშლება ამბის ჰორიზონტი, შეყვარებული ქალ-ვაჟის აზრი ერთია: „ესე ამბად არ ეგების, რომე სპარსნი გაგვიხასდენ“ და ტარიელი უყოყმანოდ კლავს ინდოეთში ნესტან-დარეჯანზე საქორწინოდ ჩამოსულ ხვარაზმის ხელმწიფის შვილს:

„კარვის კალთა ჩახლართული ჩავჭერ, ჩავაკარაბაკე, ყრმასა ფერხთა მოვეკიდე, თავი სვეტსა შევუტაკე. წინა მწოლთა დაიზახეს, გლოვა მიჰხვდა საარაკე; ცხენსა შევჯე, წამო-ცა-ვე, ჯაჭვი მეცვა საკურტაკე“.

ცხადია, რუსთაველმა კარგად იცოდა ხვარაზმის ისტორია. პოემის სახეობრივ სისტემაში ეს ქვეყანა — ხვარაზმი — სპარსელთა დაქვემდებარებაში მოსჩანს, რაც იმაზე მეტყველებს, რომ პოემის ფაბულაში ძვ.წ. VI-IV სს. ვითარების გამოძახილიცაა; ამ დროს იყო ხვარაზმი აქამენიდების ქვეშევრდომი. პოეტს, რა თქმა უნდა, შესწავლილი ჰქონდა ქართული მატეანენი და ხვარაზმელი თურქების ანუ ბუნთურქების ავანჩავანშიც გარკვეული იქნებოდა. ამას ადასტურებს ქვეთვი: „ტარიელისაგან ინდოთ მეფის სიკვდილის ცნობა“. ვაჭართა მონათხრობიდან ტარიელი შეიტყობს, თუ როგორ გაავერანეს და გააპარტახეს ხატაელმა თურქებმა ინდოეთი.

მართალია, ინდოეთის მეფისთვის ტარიელის მიერ „ხვარაზმშას სისხლის“ დანთხევა სამარცხვინო და მზაკვრული საქმეა, მაგრამ ნესტან-დარეჯანისათვის და ტარიელისათვის, და შესაბამისად — პოემის ავტორისათვის, პირიქით, საფუძვლიანია და სამართლიანი.

საბოლოოდ კი ვრწმუნდებით, რომ ინდოეთი პოეტის ალეგორიული წარმოსახვაა და საქართველო იგულისხმება. საგულისხმოა, რომ გადმოცემის თვალსაზრისით, ფორმით და სტილისტიკით, პოემა უნიკალურია და მსოფლიოში ბადალი არ მოეძებნება. საქმე იმაშია, რომ პოეტი, ერთი მხრივ, აქამენიდების და ალ. მაკედონელის ეპოქას გვიხატავს და მეორე მხრივ — XII ს. ქართულ რეალურ-ისტორიული სინამდვილიდან აღებული ცოცხალი პერსონაჟების ინდივიდუალიზებულ სახეებს ქმნის, აქანდაკებს.

აკადემიკოს სარგის ცაიშვილის ვარაუდით, ხატაეთი შუა აზიასა და ჩინეთს შორის მოქცეული ქვეყანა იყო, თურქებით დასახლებული. ეს აზრი, რა თქმა უნდა, გასათვალისწინებელია და ჩვენ ერთხელ კიდევ დავძენთ: ვეფხისტყაოსნის ავტორისათვის კარგად იყო ცნობილი ხვარაზმელების, ხატაელების და ბუნთურქების წარმომავლობა.

უდავო ჭეშმარიტებაა: ვეფხისტყაოსნის ყველა მთავარი გმირი, ყველა პერსონაჟი და ყველა ქვეყანა ღრმად ალეგორიულია.

დასკვნა:

1. ტერმინები „ჰურიანი“ და „ჰონნი“ სინონიმებია და ორივე ქართულ ქრონიკაში მდიდარ, ძლიერ, გავლენიან ხალხს გულისხმობს.

2. საკუთარი სახელი „ბაგრატი“ ალბათ, III-II ათასწლეულებში უკვე არსებობდა; ამის დამადასტურებელია მეტსახელი „ბაგრატი ჰონი“, რაც, რა თქმა უნდა, ქართველების ებრაელებთან სავაჭრო ურთიერთობის დროს ჩამოყალიბდა. რაც შეეხება ეთნონიმს „ჰურიანი ქართველნი“, ისეთივე თვითწოდებაა, როგორც, უბრალოდ, ეთნონიმი „ქართველი“, და პირველი — „ჰურიანი“, ისევე, როგორც „ჰონნი“, ქართველთა ვაჭართა კლასის აღმნიშვნელი ტერმინებია. ისინი ქართველთა ვაჭართა კლასის წარმომადგენლები იყვნენ ახლო აღმოსავლეთში და ეგვიპტეში.

3. ვეფხისტყაოსნის ქვეთავში „ტარიელისა და ნესტან-დარეჯანის თათბირი და გამორჩევა“ ისმის ფარული გადაძახილი ალ. მაკედონელის მიერ ხვარაზმის დალაშქვრაზე და არიან ქართველების მიერ იბერიის ბუნთურქებისაგან განთავისუფლებაზე.

ავტორის შენიშვნა: აქამენიდების სახელმწიფო ანუ ძველი სპარსული სახელმწიფო (ძვ. წ. 558 — ძვ. წ. 330) იყო უზარმაზარი ტერიტორია, — უხეში შედარება რომ ვიხმაროთ — საბჭოთა კავშირი — მარქსისტული იდეოლოგიის გარეშე, შუა აზიიდან ეთიოპიამდე და ინდის ხეობიდან ეგეოსის და ხმელთაშუა ზღვების სანაპირომდე. ჰეროდოტეს თანახმად, ხვარაზმი აქამენიდების მე-16, ხოლო კოლხეთი — იბერია მე-19 სატრაპიაში შედიოდნენ. ცხადია, შუააზიელი თურქები კოლხეთ-იბერიის შავიზღვისპირეთში თავისუფალი შესვლის უფლებით სარგებლობდნენ სავაჭრო-ეკონომიკური ურთიერთობების თვალსაზრისით. აქამენიდების იმპერიამ 228 წელი იარსება, ეს დრო კი საკმარისია ნებისმიერი ისტორიული წყაროს ფალსიფიცირებისათვის. არდავიწყება გვმართებს, რომ სამხრეთ რაიონებში მცხოვრები კოლხები და იბერიელები ყოველწლიურად სამას ტალანტს (ოქროთი ან ვერცხლით) უხდიდნენ აქამენიდებს ხარკის სახით, ხოლო ჩრდილოეთით მცხოვრები კოლხები ვალდებულნი იყვნენ, ომების დროს გამოეყვანათ დამხმარე ჯარი და ხუთ წელიწადში ერთხელ „ნებაყოფლობითი ძღვენი“ — 100 ბიჭი და 100 გოგო მიერთმიათ სპარსელებისათვის. ეს ცნობები ამოღებულია ჰეროდოტესა და ქსენოფონტეს შრომებიდან.

სხვათა შორის, კოლხეთ-იბერიის ეს რეალური ისტორია კარგად არის ასახული და გადმოცემული ქართულ ხალხურ ზღაპრებში.

„განთიადი“
№7-8, 2011 წ.

ტოპონიმ მცხეთის განმარტებისათვის

წიგნი «Еврей Грузии» ავტორი კ. ლერნერი, არასწორად განმარტავს ტოპონიმის „მცხეთას“ წარმოშობას (იხ. „Е.Г.“, 2008, გვ. 87-89). იგი აკრიტიკებს ცნობილ ქართველ ისტორიკოსს პლატონ იოსელიანს და ასკვნის, რომ ეს ტოპონიმი წარმოიშვა არა მესხთა ტომის სახელისაგან, არამედ სიტყვიდან „მსხემი“, რაც ნიშნავს მწირს, უბირს, ხიზანს. წინამდებარე ნაშრომის შექმნაც ასეთმა მცდარმა მოსაზრებამ გამოიწვია.

თაბალები და მოსხები დას. საქართველოს შავიზღვისპირეთის მკვიდრი მოსახლეობაა შუმერების გამოჩენის დროს (ძვ.წ. 3500). ეს ადგილები დღეს ისტორიული კოლხეთია, სადაც გავრცელებულია წიწვოვანი და ფოთლოვანი ტყეები. მოსახლეობა მათ ასე ეძახის: ნაძვნარი, სოჭნარი, ფიჭვნარი... არის გადმოცემა, რომ ძველი მესხები ამ ტერიტორიებს იცნობდნენ სახელით: ადგილი ხეთა.

ნაძვნარი, სოჭნარი, ფიჭვნარი! — ნათელი, წიწვოვანი ტყე, რომელშიც გაბატონებულია კავკასიური სოჭი, ნაძვი და ფიჭვი, მარადმწვანე ტანმაღალი ხეები! მათი საუკეთესო კორომები გვხვდება აფხაზეთში, სვანეთში, რაჭაში, იმერეთში, გურია-აჭარაში და აღმ. საქართველოს დას. ნაწილში. ნაძვნარები, სოჭნარები და ფიჭვნარები ზოგჯერ გვხვდება შერეული სახით წიფელთან, რცხილასთან, არყთან..., მაგრამ ამ ჯიშიანი მცენარეების წმინდა კორომები საქართველოს კავკასიისათვის დამახასიათებელი იერი და კოლორიტია. ნაძვის, სოჭის და ფიჭვის სარტყელის ზედა დონე 1500-1800 მ-დე მერყეობს. ამტანი, გვალვაგამძლე, სინათლის მოყვარული ხეებია და დაჩრდილვას ვერ იტანენ. მათი სიმაღლე, საშუალოდ, 1,5-50 მ-ია, 300-350 წელს ცოცხლობენ, ზოგიერთი ჯიში 500 წელსაც მიატანს ხოლმე. საქართველოში გავრცელებული ამ წიწვოვნების კავკასიური მოდგმის ჯიშები ჩვეულებრივ ბუნებრივად მრავლდებიან და ველურად იზრდებიან და ამიტომ, უხსოვარი დროიდან, ეს მარადმწვანე ხეები ნაძვის, სოჭის და ფიჭვის სამკვიდრო ადგილად იყო მიჩნეული ამ მხარის მკვიდრი

პროტოქართული ეთნოსისათვის. სხვაგვარად რომ ვთქვათ, მათთვის ეს მიდამოები ცნობიერი იქნებოდა, როგორც ადგილი, სადაც უამრავი რაოდენობით იზრდებიან ხეები ანუ, როგორც — ადგილი ხეთთა. „ხეთთა“ არის ტერმინი, სადაც „ხე“ სიტყვის მარტივი ფუძეა, „თთა“ კი — სუფიქსი (ბოლოსართი), ფუძის მნიშვნელობის მცვლელი აფიქსია და როცა ფუძეს დაერთვის ცვლის მის ფუნქციას (ამ შემთხვევაში რაოდენობრივი თვალსაზრისით — ი.პ.), გადადის მრავლობით რიცხვში და გულისხმობს არა ერთ, არამედ მრავალ ხეს და მიანიშნებს ადგილს, სადაც უამრავი რაოდენობით იზრდებიან ხეები. მაშასადამე ტერმინები: „ნაძვნარი“, „სოჭნარი“, „ფიჭვნარი“ და „ადგილი ხეთთა“ ანუ უბრალოდ „ხეთთა“ სინონიმებია. ამათგან რომელი ადრე წარმოიშვა ძნელი სათქმელია, მაგრამ მხედველობაშია მისაღები ტოპონიმი „ხეთთა“ — „ხეთა“ და ამის გამო, უპირატესობა ეკუთვნის ადგილს „ხეთთა“.

სიტყვიდან ხე ქართლში (საქართველოში) მრავალი ტოპონიმია წარმოშობილი. მაგ.: ხეთთა, მესხეთი, ორძხე, სამცხე, სამესხე, ჯავახეთი, მცხეთა და სხვა. მათ შორის „ხეთთა“ ცალკეა გამოსაყოფი, რადგან სუფიქსი „თთა“ ცალკე მნიშვნელობას მოკლებულია და ფუძესთან უშუალო კავშირში ხდება გასაგები; მაშინ, როცა ზოგიერთ წარმოდგენილ ტოპონიმში ფუძეზე (ხე) მიმაგრებული სიტყვის ნაწილი (affixum) „თთა“ იცვლის ფორმას და გვაქვს „თი“. მესხეთი, ჯავახეთი; ზოგჯერ კი მარტივი ფუძე (ძირი), ხე სიტყვის ბოლოში გადადის და წინ გეოგრაფიული, საკუთარი ან ნაცვალსახელი უსწრებს: „ორძ“, „სამც“, „სამეს“. (მცხეთას ბოლოს განვიხილავთ — ი.პ.), როგორც პრეფიქსი (წინსართი): ორძხე, სამცხე, სამესხე.

ვარაუდობენ, რომ სამცხე, როგორც სამფლობელო ადრე ცნობილი იყო სახელით ორძხე ან ოცხე (ოცხე, ალბათ, შუა საუკუნეების დროინდელი, გამარტივებული სახელწოდებაა ამ ხარის და მდ. ორძხისწყალის. ალბათ, ხეთა-ც ასევე გამარტივდა, შეიკვეცა ერთი „თ“. სხვა ენებში, მაგ: რუსულში დარჩა ხეთთა — хетта — ი.პ.).

ქართული მატიანის მიხედვით, ციხე-ქალაქი ორძხე დაუარსებია ჯავახოსის შუათანა ძმას, რომელსაც ერქვა ორძხე. მათი მამა იყო მცხეთოსი. იგი არის მცხეთის დამაარსებელი.

მცხეთის ეტიმოლოგიის გასარკვევად მესხეთის ზუსტი მნიშვნელობის დაზუსტებაა აუცილებელი. გამოვხატოთ ეს სიტყვა ასეთი გრაფიკით: მე-ს-ხე-თი. ვიცით, რომ სიტყვის დომინანტური (ძირითადი) ნიშანია პროტოქართული ტომი მესხი (მესხები, მესხთა). ტოპონიმიკის მსგავსი ნიმუში — მესხეთი — ქართული ენისათვის დამახასიათებელი, ტრადიციული მოვლენაა: მთიულეთი, იმერეთი, კახეთი, სვანეთი და ა.შ. მიუხედავად ამისა მე-ს-ხე-თი ამ ტოპონიმებისგან ცალკე დგას იმ თვალსაზრისით, რომ ამ სიტყვაში გამოყენებულია ქართული პირის ნაცვალსახელი — მე. „მე“, როგორც ცნობილია, შეესატყვისება რუსულ я-ს ანუ мой-ს (ჩემი). აქედან გამომდინარე მე-ს-ხე-თი შეიძლება განიმარტოს ასე: ადგილი ხეთთა ჩემია, მეკუთვნის მე (მესხს). ქართული ანბანის მეთვრამეტე ასო სანი, გრაფიკული სიმბოლო წინაენისმიერი ფშვინვიერი სისინა, აქ ძირითადი აზრის გამაძლიერებელია. ამ თვალთახედვით კიდევ მეტ დამაჯერებლობას იძენს ჩემი ნაშრომი „მესხის მნიშვნელობის განმარტება რუსთაველისა და გალაკტიონის რამდენიმე სტროფის მიხედვით“, რომლის თანახმად მესხი და ქართველი სინონიმია. რაც შეეხება ნაცალსახელს — ჩემი, იგი ორი ნაწილისაგან შედგება: ჩე — თანდებულია, მე — ნაცვ. სახელი. ჩემი-საგან არის ნაწარმოები მრ. ჩვენ, რამეთუ ასო — ვ ქართულში მრ-ის მაჩვენებელია: გაქვს — გვაქვს, გწერს — გვწერს. ე.ი. მესხეთი შეიძლება საბოლოოდ გავიაზროთ არამარტო როგორც ერთი მესხის ადგილი, არამედ — მრავლის, რაც აშკარად გამოსჭვივის სიტყვის ბოლო ნაწილში: ხე-თი, რადგან სუფიქსი „თი“, როცა დაერთვის ფუძეს (ხე), ცვლის სიტყვის ფუნქციას რაოდენობრივი თვალსაზრისით და „თთა“ სუფიქსის იდენტურია.

ქართულ ენაში პირველი პირის ნაცვ. სახელისაგან — მე — ბევრი სიტყვაა ნაწარმოები და ისინი ქართულ ლექსიკაში სათანადო განმარტებებით არიან წარმოდგენილნი: მებატონე ანუ დედულმამულის პატრონი, მეგობარი — მოყვასი, მოყვარე, თანაზიარი ჭირისა და ლხინისა, მედავითნე — დავითნის მკითხველი, მებაღე — ბაღის მომვლელი, შემმუშავებელი და სხვა.

ზემოთქმული საშუალებას გვაძლევს განვმარტოთ, თუ როგორ წარმოიშვა ტოპონიმი „მცხეთა“. სიტყვა თავდაპირველად იარსებებდა ასეთი სახით: მე-ც-ხე-თთა (არსებობს ხალხური გამოთქმა: მემცხეთა — ი.პ.). მსგავსად მესხეთის-ა დომინანტური ნიშანი აქაც ნაცვალსახელი — მე-ა; ხოლო — ხეთთა — ჩვეულებრივ მხარის აღმნიშვნელი ატრიბუტია და როცა ნაწილაკი „ც“ დაერთვის გვიჩვენებს პიროვნების წარმომავლობას და დაახლოებით ასე განიმარტება: მეც ხეთთა ადგილიდან ვარ. მოგვიანებით ასოები „ე“ და „თ“ შეიკვეცა და მივიღეთ ტოპონიმის მარტივი ფორმა: მცხეთა.

დასკვნა: პლ. იოსელიანის მოსაზრება, რომ მცხეთა მესხთა ტომის სახელიდან არის წარმოშობილი — სწორია.

თავი 3

ვირისთავის შესახებ

Наука не раполагает сведениями о целенаправлееном переселении евреев в это время, тем более, на территорию Кавказа. Ещё более фантастические предположения высказывает другой исследователь проблемы происхождения грузинских евреев: «Во время похода Навуходоносора одно из сильнейших иудейских племён, которое впоследствии получает название грузинских евреев (хуриани картвелни) незамедлительно оставляет Иудею и направляется в Иберию» (Папиашвили «Гантиади» (9) стр. 180-201, 1991:89). Более того, автор считает, что это иудейское племя было родственным грузинам и в VI в. намеренно шло в Иберию, т.е. в Картли, и, «по сути дела, возвращалось на свою древнюю родину, которую они покинули ещё во II тысячелетии до н.э.» (там же, стр. 184-185). И мцхетские жители не противились приходу евреев, напротив, они удовлетворили их претензии [?!- К.Л.], а «так можно было поступить только с братьями или с очень близкими родственниками, что указывает на то, что пришедшие в Мцхета беженцы были народом, родственным картвелам» (там же, стр. 190).

კ. ლერნერის წიგნი «Еврей Грузии» (Иерусалим – 2008, на русском языке), თავიდან ბოლომდე, „განთიადში“ (1991, 9) გამოქვეყნებული ჩემი ნაშრომის კრიტიკულ შეფასებას წარმოადგენს. აქვე აღვნიშნავ: ლერნერის ეს ე.წ. „ანალიზი“ აგდებული ტონითაა დაწრილი, რითაც შეურაცხყოფას მაყენებს. უპასუხისმგებლოდ აანალიზებს რა ჩემს კვლევას ქართველ ებრაელთა წარმომავლობის შესახებ, იგი ჩემს მოკვლევებს იყენებს საწინააღმდეგო მიმართულებით, საკუთარი, არასერიოზული და არამეცნიერული წიგნის შესაქმნელად, და რაც მთავარია, ამავდროულად, მან ჩემი აზრები თავისად გაასაღა. მე მაქვს სრული უფლება ვუწოდო ამ

წიგნს არასერიოზული და არამეცნიერული, რადგან მასში ავტორი იძლევა ძველი ქართული მატიანეების ისტორიული და რელიგიური მომენტების მცდარ შეფასებებს. და კიდევ, ამ წიგნში რაღაც შურის მაგვარი შეიგრძნობა ჩემს მიმართ, რადგან ჩემს ნაშრომს შუქი შეაქვს ძველი აღმოსავლეთის ხალხთა ისტორიოგრაფიაში, და ამიტომ, შესაძლებელია არც ღირდა დრო დამეკარგა და მისთვის პასუხი გამეცა, მაგრამ ვითვალისწინებ, რომ იგი ქართულ ენას და საქართველოს ისტორიას ასწავლის, რის გამოც გადავწყვიტე მისთვის სერიოზული პასუხი გამეცა, რისი უფლებაც მაქვს, როგორც ოპონენტს. ეს ვრცელი პასუხი დაწერილი მაქვს რუსულ ენაზე, მაგრამ ჯერ გამოქვეყნებული არ არის.

წინამდებარე წიგნის ფორმატი, ამჯერად არ მაძლევს ვრცელი პასუხის გაცემის საშუალებას, ე.ი. გადმოვთარგმნო ქართულად ის, რაც რუსულად მაქვს დაწერილი, და ამის გამო, მის არასერიოზულ მოქმედებას ზოგად შეფასებას მივცემ:

ქრისტიანი ღვთისმეტყველი და მწერალი ტერტულიანი კვინტუს სეპტიმუს ფლორენსი, ტრაქტატში გადმოგვცემს, რომ ცნობილ რომაელ ისტორიკოსს ტაციტუსს მოელანდა, თითქოს ქრისტიანები, ისევე როგორც იუდეველები ეთაყვანებიან ვირისთავს. ასეთ სისულელემდე, — განაგრძობს ტერტულიანი, — იგი მივიდა იმ მოტივით, რომ, თითქოს, იუდეველები, როცა უდაბნოში მოგზაურობდნენ, ისინი გადაარჩინეს გარეულმა ვირებმა, რომლებიც სარწყულებისაკენ მიეშურებოდნენ და მიასწავლეს მათ წყარო..., რის გამოც თითქოს, მადლიერმა იუდეველებმა თაყვანი სცეს ამ ცხოველის გამოსახულებას. აქედან წარმოიშვა აზრი, რომ ჩვენც — ქრისტიანებიც, რადგან რელიგიით ახლოს ვართ იუდეველებთან, ვეთაყვანებოდეთ იმავე გამოსახულებას (ტრაქტატი „კერპთაყვანისმცემლებისადმი“, წიგნი პირველი, 11, დაახ. 197 წ.).

რომაელი ისტორიკოსი და მწერალი პუბლიუს კორნელიუს ტაციტუსი (დაახ. 55-116 წწ.), 88 წ. იყო პრეტორი, 97 წ. — კონსული, თავის შრომებში ცუდად ახასიათებს ბერძნებს, არაბებს, ეგიპტელებს, და განსაკუთრებით იუდეველებს. ჩვენთვის უცნო-

ბია ის წყარო, რომლის საშუალებით მან თავის ისტორიაში შეიტანა ცნობა იმის შესახებ, რომ თითქოს მოსემ იუდეველები ეგვიპტიდან რომ გამოიყვანა, დაავალდებულა ისინი თაყვანი ეცათ იმ ცხოველის გამოსახულებისათვის, რომელმაც წყარო მიასწავლათ და ისინი სიკვდილისაგან იხსნა („ისტორია“ V, 3-4).

ჩემი აზრით, ტაციტუსის, როგორც კერპთაყვანისმცემლის, სიძულვილი იუდეველების, და შესაბამისად ქრისტიანების მიმართ, არის რელიგიური სიძულვილი, რადგან იგი, როგორც მწერალი და ისტორიკოსი, მომდევნო თავში ასწორებს დაშვებულ შეცდომას და დაწერა სიმართლე: როცა რომაელმა სარდალმა და პოლიტიკურმა მოღვაწემ გნეუს მაგნუს პომპეუსმა, რომაელთაგან პირველმა, იუდეა დაიპყრო და იერუსალიმში იუდეველების ტაძარი დაათვალიერა, აღმოჩნდა, რომ ტაძარი ცარიელი იყო და არავითარი ღმერთების გამოსახულება მის კედლებზე არ არსებობდა („ისტორია“, V, 9), რა თქმა უნდა, თუ მხედველობაში არ მივიღებთ მოსეს ხუთწიგნეულს.

რეზიუმე: როცა ტაციტუსი მიხვდა, რომ დაუშვა შეცდომა, მან იგი გამოასწორა და დაწერა სიმართლე, როგორც სინამდვილეში იყო. სამწუხაროდ კ. ლერნერი ტაციტუსი არ არის და არ აღიარებს, რომ ჩემი შრომის ანალიზის დროს, დაუშვა უხეში შეცდომები და უღალატა მერვე მცნებას.

ბათ-იამი
ისრაელი

მილოცვები 70 წლის იუბილესთან დაკავშირებით

The International Academy
of Sceinces, Education, Industry and Arts
offise of the President. CA.USA.

ПОЗДРАВЛЕНИЕ

Уважаемый господин Яков Папиашвили!

От имени Международной Академии Наук, Образования,
Индустрии и
Искусств
поздравляю Вас с замечательным юбилеем. Желаю Вам,
Вашим родным и
близким
Хорошего здоровья и успехов в творчестве.



Профессор Леонид Финкель
Президент израельского филиала Международной
Академии Наук, Образования, Индустрии и Искусств,
Академик Израильской Независимой Академии Наук

22 января 2012 года

С ЮБИЛЕЕМ!

Исполнилось 70 лет со дня рождения известного израильского писателя и публициста Якова Папиашвили, пишущего на грузинском и русском языках

"Яков Папиашвили пишет только о том, что знает, что сам переживал или же со слов героев, им как бы задокументированных, - писал о его творчестве председатель Федерации союзов писателей Израиля, известный израильский литератор Ефрем (Эфраим) Баух. - Но в этом нет сухости документа, ибо все погружено в эмоциональную стихию, рожденную на стыке двух духовных начал, двух пуповин, питающих автора - места рождения и его еврейства. Их слияние и противостояние - внутренняя мера его лучших вещей, таких, как "Мать", "Слезы", "Две картинки из жизни гостиницы "Гарипш".

Последнее название с подзаголовком "роман" выбрано автором для книги, вышедшей в свет в Израиле при поддержке Фонда президента еврейского государства имени Залмана Шазара для ученых и писателей. Яков Папиашвили - автор многочисленных публикаций в израильской и грузинской периодике на различных языках, неизменно привлекающих внимание любителей чтения. Предлагаем на суд читателей нашей газеты новую работу литератора - очерк-исследование "Песня Бухенвальда".

Издательский Дом "Новости недели" поздравляет Якова Папиашвили с юбилеем, желает ему здоровья, счастья, творческого долголетия!

ისრაელის საგამომცემლო სახლმა, სადაც გამოდის გაზეთები: «Новости недели», «Время НН», «Еврейский камертон», «Глобус» და სხვა გამოაქვეყნა იაკობ პაპიაშვილის ახალი ნაშრომი მათ წინააღმდეგ, რომლებიც უარყოფენ ებრაელთა ჰოლოკოსტს და ასევე ავტორს მიულოცა 70 წლის იუბილე.



ისრაელის ქართულენოვანი თეატრის ცნობილმა დამსახურებულმა მსახიობმა, ბატონმა დავით ხუბელაშვილმა იაკობ პაპიაშვილს უსახსოვრა თავისი წიგნი „ორ ქვეყანას გადაწვდენილი რამპის შუქი“. წიგნს ახლავს ეს მილოცვა.

საქართველო-ისრაელის მეგობრობის საზოგადოების იმერეთის განყოფილების ჟურნალში „ნოსტალგია“, ხშირად ქვეყნდება იაკობ პაპიაშვილის პროზა და პოეზია. 2012 წლის №11 ნომერში, გვ.14-16 გამოქვეყნებულია წინამდებარე რომანის „გაგრა“ ვრცელი ნაწყვეტი და ჟურნალ „ნოსტალგიის“ შემოქმედებითი კოლექტივის გულთბილი მილოცვა მწერლის საიუბილეო თარიღის აღსანიშნავად.

შენიშვნები:

გაგრა. (ორიოდე სურათი გაგრის ცხოვრებიდან)

რომანზე მუშაობა დავიწყე ქუთაისში და დავასრულე ბათიამში. ისრაელის მწერალთა კავშირის ქართულ სექციაში (თ. კეზერაშვილი) ჩემი შემოქმედება ქართულ ენაზე უარყოფითად შეაფასეს, რაზეც მე პროტესტი განვაცხადე. ისრაელის მწერალთა კავშირის ფედერაციის თავმჯდომარემ, ცნობილმა მწერალმა ეფრაიმ ბაუხმა, მირჩია, თუ შევძლებდი, მეთარგმნა ჩემი ნაწარმოებები რუსულ ენაზე. ეს იყო 1996 წ. ერთი წლის დაძაბული მუშაობის შემდეგ, ჩემს მიერ თარგმნილი რომანი „გაგრა“ და სხვა ნაწარმოებები რუსულ ენაზე წარვადგინე ისრაელის მწერალთა კავშირის ფედერაციაში, სადაც განხილვის შემდეგ შემომთავაზეს ნაშრომების წიგნად გამოცემა. მწერალ — ისრაელის მწერალთა კავშირის ფედერაციის თავმჯდომარის ეფრაიმ ბაუხის სარეკომენდაციო წერილის თანახმად, ისრაელის ყოფილმა — ან გარდაცვლილმა პრეზიდენტმა ყეზერ ვაიცმანმა, პრეზიდენტის ზალმან შაზარის სახ. ფონდიდან მეცნიერთათვის და მწერლებისათვის გამოყო თანხა და წიგნი გამოიცა რუსულ ენაზე 1998-1999 წწ. წიგნმა დაიმსახურა მეორე – ისრაელის აბსორბციის სამინისტროს პრემია ახალი რეპატრიანტებისათვის. 1970 წლიდან დაწყებული, ამგვარი პრემიებით, არც ერთი ქართველი რეპატრიანტი არ დაუჯილდოებიათ.

რომანი გამოიცა ეფრაიმ ბაუხის წინასიტყვაობით. წიგნზე, რუსულენოვან პრესაში, გამოქვეყნდა მრავალი დადებითი რეცენზია. წიგნს სპეციალური გადაცემა მიუძღვნა რადიო «Река»-მ; ეთერში პირადად გამოვედი სიტყვით.

ცნობისათვის: ქართულ ვარიანტში „სურათი მეორე“ რუსული ტექსტისაგან ოდნავ განსხვავებულია.

სასტუმრო „გაგრიფში“ ააშენეს XIX ს. დასაწყისში რუსეთის იმპერიის პრინცის ოლდენბურგის ბრძანებით.

1922 წლიდან გაგრა სკკპ ცკ (ი.ბ. სტალინის) განსაკუთრებული ყურადღების ქვეშ მოექცა. მიუხედავად ქვეყნის მძიმე ეკონომიური მდგომარეობისა გაგრაში შენდება სანატორიუმები, დასასვენებელი სახლები — ინფრასტრუქტურებით.

1991-1993 წწ. გაგრა ომისა და კაზაკების მსხვერპლი გახდა.

სათაურები: „და ვსჭამთ ნაყოფსა მისგან ტკბილსა...“, „სისხლით ნაწერი არ ქრება“, „ბოლო გაკვეთილი“ ავტორის განცდაა და დაკავშირებულია რომანთან „გაგრა“, რაც რუსეთის იმპერიის მიერ აფხაზეთის და სამაჩაბლოს დაპყრობით გამოწვეული შთაბეჭდილებაა.

ხანისწყალთან

რომანი გამოქვეყნდა 1991 წ. ისრაელის ქართულენოვან გაზეთში „ალია საქართველოდან“, დაისტამბა რამდენიმე ნომერში, გაგრძელებებით. რომანი შევიდა ჩემს მეხუთე წიგნში „ჰაბა, ნაგილა“ — „მოდით, ვიმხიარულოთ“ (1994, გამომცემლობა „ქუთაისი“).

ამ რომანთან დაკავშირებით აღვნიშნავ ერთ კურიოზულ შემთხვევას: ეს ნაწარმოები ჩემ მიერ თარგმნილია რუსულ ენაზე და შესულია ჩემს რუსულ წიგნში — „Две картанки из жизни гостинцы “Гагрифши”, რომელიც ისრაელის პრეზიდენტის (ყეზერ ვაიცმანი) მწერალთა და მეცნიერთა თანადგომისა და დახმარების ფონდის ხელშეწყობით 1998-1999 წლებში გამოიცა. წიგნი ფირმა „ჯოინტმა“ შეისყიდა და 2000 წელს ამერიკაში გაავრცელა, ამასთან წიგნის რამდენიმე ეგზეპლარი ნიუ-იორკში ჩემს ახლობელს ლულუ მოშიაშვილს გავუგზავნე, რომელიც ადრე თბილისში მხატვრული თარგმანისა და ლიტერატურული ურთიერთობათა მთავარ სარედაქციო კოლეგიაში მუშაობდა. იგი მპირდებოდა, რომ წიგნს ინგლისურად თარგმნიდა, მაგრამ შემდეგ რატომღაც დამაღალატა. ასე იყო თუ ისე, 2001 წელს ჰოლივიდური ფილმი

„სიტყვაც აღარ თქვა“ ეკრანზე გამოვიდა (რუსული სათაური „Ни слова Больше”) რომლის სცენარიც ვინმე სანშაინ მადლენს ეკუთვნის. მასში მონაწილეობენ ცნობილი მსახიობები ნატალია კინსკი და ბოლდუინი. ფილმი ვიდეოკასეტაზე მთლიანად მაქვს გადაწერილი. ამ ფილმის სიუჟეტური განვითარება მთლიანად აღებულია ჩემი რომანიდან „ხანისწყალთან“, მხოლოდ დასასრულია ბოევიკური სტილით გაკეთებული.

დასასრული ღმერთმა იცოდა

მოთხრობა გამოქვეყნდა გაზეთში „ალია საქართველოდან“ (1991), სათაურით: „ბედისწერა“. შევიდა ჩემს რუსულენოვან წიგნში (1998-1999), სათაურით: «Судьбы».

დედა

მოთხრობა — ლეგენდა პირველად გამოქვეყნდა 1988 წ. გაზეთ „ქუთაისის“ ლიტერატურულ გვერდზე, საიდანაც გადაბეჭდა გაზეთმა „ალია საქართველოდან“ (1988). ამავე სათაურით გამოვაქვეყნე ჩემი მესამე წიგნი (1993, გამომცემლობა „ქუთაისი“).

სამი ანგელოსი

მოთხრობა — ლეგენდა პირველად გამოქვეყნდა გაზეთ „ქუთაისის“ ლიტერატურულ გვერდზე. შესულია ჩემს მესამე წიგნში „დედა“ (1993).

ბესია

80-იანი წლების მეორე ნახევარში ორჯერ გამოქვეყნდა გაზეთ „ქუთაისში“ ალეკო შენგელიას რედაქტორობით. პოეტმა იორამ ქემერტელიძემ გამოაქვეყნა ჟურნალში, რომლის რედაქტორი თვითონ იყი: „ცისკარი“ (2, 1991). მოთხრობა შესულია ჩემს მეოთხე წიგნში „დედა“ (1993).

ჰაბა, ნაგილა

მოთხრობა გამოქვეყნდა ჟურნალ „ცისკარი“-ს დამატებაში: „ნობათი“ (1984). 1988 წ. გამოიცა ჩემი პირველი წიგნი ამავე სათაურით: გამომცემლობა „საბჭოთა საქართველო“-ს (დირ. გურამ ფანჯიკიძე) ქუთაისის ფილიალში (რედაქტორი ზურაბ კუხიანიძე). მოთხრობა გამოაქვეყნა აგრეთვე გაზეთმა „ალია საქართველოდან“ (1989). შესულია ჩემს მეხუთე წიგნში: „ჰაბა, ნაგილა“ — „მოდით, ვიმხიარულოთ“ (1994). მოთხრობის რადიო მონტაჟი გააკეთა ცნობილმა ჟურნალისტმა გივი მეფისაშვილმა. გადაცემა განხორციელდა რადიო „ქუთაისში“.

იმერეთის გაზაფხული

მოთხრობა — ლეგენდა პირველად გამოქვეყნდა გაზეთ „ქუთაისის“ ლიტერატურულ გვერდზე. შეტანილია ჩემს მეხუთე წიგნში (1994).

ბედის საპირისპიროდ

მოთხრობა შესულია ჩემს პირველ წიგნში (1988). იგი შევიტანე აგრეთვე მეხუთე წიგნში (1994).

ვეფხის დამცემი...
და მისი ქართველი მეგობარი

მოთხრობაში აღწერილი პერიპეტიები ნამდვილი ამბავია. მოთხრობა პირველად გამოქვეყნდა გაზეთ „ქუთაისში“ (15 აპრილი, 1989) სათაურით: „კაცია, და ხასიათი“, რედაქტორი: თ. ლანჩავა. „ლიტერატურულ საქართველოში“ სათაური შეცვალეს, უწოდეს: „ერთი თარგმანის ისტორია“ (29 ივნისი, 1990 წ.), რედაქტორი: ელ. ჯაველიძე. ისრაელში ნაწარმოებში მოთხრობილი ამბავი დადასტურდა და ეფრაიმ ბაუხის რეკომენდაციით გამოქვეყნდა რუსულენოვანი გაზეთის «Новости недели» -ის დამატებაში «Еврейский камертон»-ში (31 მაისი, 2007).

პროფესორ დავით ბრეგაძის მოგონება

ამ ნაშრომის ნაწვეტი გამოქვეყნებულია ბატონი დავითის 100 წლის იუბილესთან დაკავშირებით გამოცემულ გაზეთში, რომელიც ქუთაისის სახ. უნივერსიტეტის გამომცემლობამ დასტამბა.

ხმელი ფოთოლი

ქართული ფეხბურთის ჰიმნი

გვანახეთ — ფეხბურთი ქართული
და შემართება შვილებო,
მესხური ილეთი ზღაპრული,
„ხმელი ფოთოლი“ ბიჭებო.

მისამღერი:

ჰერი ბიჭებო, ჰერიო,
მომავალს ვუცქერიო,
აამღერეთ იბერიო,
პონტის კარი ვრცელიო.

გვანახეთ — თამაში ქართული,
იცეკვეთ, იფრინეთ შვილებო,
შეტევა! — გოლები კოლხური,
დიუსელდორფული ბიჭებო.

მისამღერი:

ჰერი ბიჭებო, ჰერიო,
მომავალს ვუმღერიო,
საქართველოს სასახელოდ,
დაგელოცოთ გზებიო.

P.S. ამ ჰიმნში შესაძლებელია გამოყენებული იქნეს ფრაზები ძველი სიმღერიდან:

1. „ბიჭებო, ბიჭებო, ბიჭებო, გამარჯვება ბიჭებო“.
2. „დინამო, დინამო, დინამო, გამარჯვება დინამო“.

PS. 2011 წ. აპრილის დასაწყისში „რუსთავი-2“ ტელეწამყვანმა ზაალ უდუმაშვილმა გამოაცხადა კონკურსი ქართული ფეხბურთის ჰიმნის შესაქმნელად. წინამდებარე ჰიმნი მე გავუგზავნე ისრაელში საქართველოს კონსულს ქ-ნ ნატალია კორძაიას. ასე აღმოჩნდა ჰიმნის ტექსტი ჯერ საქ. კულტურისა და სპორტის სამინისტროში და შესაბამისად ფეხბურთის ფედერაციაში. მე ვესაუბრე პრეზიდენტს – ბ-ნ ზვიად სიჭინავას, რომელმაც ჰიმნის ტექსტი არ განიხილა იმ მოტივით, რომ ბორის პაიჭაძეს მეტი დამსახურება მიუძღვისო. ალბათ, ამის გამო, „რუსთავი-2“ კონკურსის შედეგები აღარ გამოაცხადა:

ჩემს ნაშრომში „მესხის“ მნიშვნელობის განმარტება რუსთაველისა და გალაკტიონის რამდენიმე სტროფის მიხედვით“, რომელიც გამოქვეყნდა ლიტერატურულ საქართველოში (1995) და შესულია ჩემს პოეტურ კრებულში „სად არის საქართველო?! (ქუთაისის უნივერსიტეტის გამომცემლობა, 2003) მეცნიერულ დონეზე მაქვს დასაბუთებული, რომ ტერმინები „მესხი“ და „ქართველი“ სინონიმებია. ამგვარად ფრაზა „მესხური ილეთი ზღაპრული“ ჩემს ჰიმნში ალეგორიულ დატვირთვას იძენს და ქართული სპორტის განვითარებას მიანიშნებს უხსოვარი დროიდან დღემდე. რაც შეეხება ვის მეტი თუ ნაკლები დამსახურება აქვს, ჩემი აზრით, აქ, კერძო შემთხვევაში, არსებითი მნიშვნელობა არ უნდა ქონდეს. ყოველ შემთხვევაში, მინდა გავიხსენო ერთი სტუდენტობისდროინდელი ეპიზოდი: თბილისის „დინამო“ მოსკოვის „სპარტაკს“ (შეიძლება „ლოკომოტივს“) ხვდებოდა. მოედანს ხელისგულივით ვხედავდი... დანარჩენი იხილეთ წინამდებარე წიგნის 38-ე და 39-ე გვერდებზე. და კიდევ ერთი: მიხეილ მესხს პირადად ვიცნობდი. იგი გავიცანი ჯემალ ზეინკლიშვილის ბინაში, სადაც შემთხვევის წყალობით ოჯახთან ერთად ვისვენებდი. იგი ცხოვრობდა წაღვერიდან კეჩხობში მიმავალი აღმართის მარჯვენა მხარეს. მახსოვს, მე მაშინ №4 სამშენებლო ტრესტის საწარმოო განყოფილების უფროსი ვიყავი და მქონდა კეჩხობის დასასვენებელი სახლის ორი საგზური, რომელიც დავთმე ამ ორი დიდი ფეხბურთელის პატივსაცემად.

התאחדות אגודות הסופרים במדינת ישראל

רח' קפלן 6, תל-אביב מיקוד 64734 ■ ת"ד 7111 תל-אביב מיקוד 61070

Fax. 03-6919681 פקסי ■ Tel. 03-6953737 :טלפון

THE ISRAEL FEDERATION OF WRITERS' UNIONS

اتحاد رابطات الكتاب في دولة إسرائيل

התאחדות אגודות הסופרים במדינת ישראל

17.11.99

ისრაელის მწერალთა ფედერაციის თავმჯდომარის ეფრემ ბაუხის რეკომენდაცია, რომლის საფუძველზე იაკობ პაპიაშვილმა დაიმსახურა ორი ფულადი პრემია: 1. ისრაელის პრეზიდენტის (ყეზერ ვაიცმანი) ფონდის „ამოსის“. ფონდი „ამოსი“ ზალმან შაზარის სახელობისაა და განკუთვნილია მხოლოდ მეცნიერთათვის და მწერლებისათვის. 2. ისრაელის აბსორაციის სამინისტროს ფონდის — მწერალი რეპატრიანტისათვის.

Яков Папиашвили

Две картинки из жизни гостиницы "Гагрипши"

Роман

***

Повести и рассказы

Перевод с грузинского автора

Израиль
1999

Все права принадлежат автору

Copyright Yakov Papiashvili

הספר הזה הודפס בסיוע עמו"ס -
קרן לעידוד מלומדים וסופרים
ע"ש זלמן שז"ר.

This book is published by the
support of the Zhalman Shazhar's
Fund "AMOS" for the scientists and writers.

Эта книга опубликована при поддержке
фонда "АМОС" имени Залмана Шазара
для ученых и писателей.

ISBN - 965-339-025-2 -מסת"ב

Издательство "Мория"
п.я. 3461
Кириат Бен-Гурион
Холон
Израиль
1998

Яков ПАПИАШВИЛИ,
член союзов писателей Израиля и Грузии

ДВА СООБЩЕНИЯ ДЛЯ СОВЕТСКОГО НАРОДА

"Если бы не Г-сподь был с нами, - да скажет Израиль, - если бы не Г-сподь был с нами, когда восстали на нас люди, то живых они поглотили бы нас, когда возгорелась ярость их на нас; воды потопили бы нас, поток прошел бы над душою нашею; прошли бы над душою нашею воды бурные. Благословен Г-сподь, который не дал нас в добычу зубам их! Душа наша избавилась как птица из сети ловящих; сеть расторгнута, и мы избавились".

Псалом 124

В августе 1948 года Георгий Маленков предъявил Сталину письмо врача Кремлевской больницы Лидии Тимашук, адресованное начальнику охраны Сталина генералу Власику. В этом письме группа известнейших врачей обвинялась в неправильном лечении А.А.Жданова. Написанное под давлением Маленкова и Хрущева, это письмо должно было быть использовано для смещения Сталина путем заговора и захвата власти в стране. Сталин, будучи еще здоровым и работоспособным человеком, понял смысл письма, произнес слово "чепуха" и отправил его в архив.

Никакой другой реакции Сталина на упомянутое письмо ни в устном, ни в письменном виде не существует.

...С тех пор прошло 57 лет, пройдут еще многие годы, и, вероятно, уже никто никогда не заинтересуется тем, как оказалось письмо Л.Тимашук на рабочем столе Маленкова в 1951 году. А, может быть, товарищ Маленков, вопреки Хозяину, вовсе не послал письмо в архив, а придержал у себя для повторной попытки переворота в стране?

Врачи, в том числе врачи-евреи, строго охраняли здоровье вождя. Заговорщики знали, что им мешали врачи, и решили убрать их во что бы то ни стало. Маленков и Хрущев действовали не только против ЕАК, но и вообще против государственности евреев, неважно где - в Крыму или в Эрец-Исраэль. Для достижения этой цели они были вынуждены подтасовывать факты, создавая видимость существования еврейского заговора. Не исключено, что толчком ко всему предприятию послужило выступление А.Громыко на заседании Генеральной Ассамблеи ООН 14 мая 1947 года, а затем, ровно через год, провозглашение Бен-Гурионом Государства Израиль. Чуть позже, в ноябре 1948-го, начались аресты членов ЕАК. Нет никакого сомнения в том, что заговорщики планировали связать "дело

Лидия Тимашук.
С ее письма началось "Дело врачей"

ЕАК" с "делом врачей" и придать всему этому вид еврейского заговора. Но им не удалось ввести Сталина в заблуждение, поэтому план сорвался.

Кстати, история этого письма не совсем ясна. По одной версии (П.Судоплатов), заговорщики (конкретно - М.Рюмин) извлекли его из архива. По другой, опубликованной в журнале "Известия ЦК КПСС" под редакцией М.Горбачева, оно все время лежало на столе в кабинете Маленкова.

Тут мне придется опередить события и упомянуть о двух сообщениях, которые заговорщики планировали опубликовать еще в 1948 году. Первое из них, известное как сообщение ТАСС, было опубликовано в газетах 13 января 1953 года, то есть примерно за полтора месяца до смерти Сталина, а второе - сообщение министерства внутренних дел СССР - стало достоянием гласности 4 апреля 1953 года - через месяц после смерти вождя. Но тогда, в 1948-м, Сталин, будучи еще здоровым и работоспособным человеком, не поддался на провокацию, не соединил два "дела" в одно и благодаря этому продлил свою жизнь еще на пять лет.

Судьба еще не провозглашенного Государства Израиль в промежутке между 1946 и 1948 годами висела на волоске. Поскольку это государство не могло возникнуть иначе как под воздействием могущественных внешних сил, то оно бы и не возникло, если бы Сталин не был начеку. О том, какие мнения приходилось выслушивать Сталину, можно судить по письму, адресованному ему Сусловым 26 ноября 1946 года: "Основной порок в деятельности ЕАК, - рассуждает Суслов, - состоял в том, что он приобретал все более националистический, сионистский характер и объективно способствовал усилению еврейского реакционного буржуазно-националистического движения за границей и подогреванию националистических сионистских настроений среди некоторой части еврейского населения в СССР" (Цит. по "Неправедный суд", "Последний сталинский расстрел", Москва, "Наука", 1994, с. 5).

Отметим: ЕАК и особенно его председатель Михоэлс всеми силами боролись против сионистов и против государственности Израиля. Они хотели осуществить еврейское государство не на Ближнем Востоке, на исторической родине евреев, а в Крыму. Но в письме Суслова об этом не сказано ни слова, наоборот, факты искажены таким образом, будто ЕАК занимал просионистскую позицию.

Внутри страны шла беспощадная антисионистская кампания. При этом на Западе, в Англии и Америке, планы сионистов также не приветствовались. В этой сложнейшей обстановке от Сталина требовалась сверхчеловеческая сила воли, отвечающая его Б-жественной миссии, чтобы заставить Андрея Громыко выступить в поддержку сионистов на заседании Генеральной Ассамблеи 14 мая 1947 года. (Согласно Судоплатову и другим авторам, Сталин заговорил "о необходимости создания демократического еврейского государства на территории Палестины" лишь после войны, "чтобы извлечь политические дивиденды в борьбе за власть и для консолидации своих сил". Это не так. Вопреки Ленину, Троцкому и Горькому, с 1925 года Сталин занимает твердую просионистскую позицию, в частности, поддерживает высылку арестованных сионистов в Палестину. Нет сомнений, что план Сталина об образовании Государства Израиль тогда уже существовал.) И когда через год Давид Бен-Гурион объявил о рождении нового государства, Сталин был рядом с ним: если бы израильтяне не получили от него оружие, воевать с голыми руками против арабской коалиции было бы сумасшествием, их задушили бы. Новое государство погибло бы еще в колыбели.

Как исправить допущенную Сталиным "ошибку" - вот задача, вставшая перед заговорщиками. Сегодня средства массовой информации хором утверждают, будто Сталин был лишен власти в результате государственного переворота за три дня до своей смерти. Это распространенное заблуждение. В действительности Сталин был лишен власти с того дня, как Маленков и Суханов заставили Рюмина написать Сталину письмо с разоблачением Абакумова, который якобы скрывал данные о заговоре врачей-евреев, планировавших убийство вождя. Это произошло весной 1951 года. Уже тогда был арестован "за антисоветскую сионистскую пропаганду" целый ряд известных врачей-евреев.

Несколько слов об Абакумове. Его арестовали летом 1951 года. Вслед за ним в тюремных камерах Лефортовской тюрьмы оказались другие сотрудники-следователи, которые вели дело ЕАК. На место Абакумова назначили Игнатьева. Говорят, что "осторожность, проявленная Абакумовым, сыграла в его судьбе роковую роль". Это цитирование не совсем точное. Конечно, руководитель МГБ не хотел связывать между собой "дело ЕАК" и "дело врачей" и тем самым расширить рамки проклятого "еврейского вопроса" до уровня мирового заговора на манер того, который описан в "Протоколах сионских мудрецов". При этом Абакумов понимал, что такие обвинения наверняка вызовут напряженность в кремлевских верхах, особенно у Ворошилова и Молотова, женатых на еврейках, и у Кагановича, который сам был евреем. Но суть все же не в этом.

Вопрос первый. Знал ли Абакумов, что в Кремле против Сталина готовилась не провокация, а заговор с целью его удаления?

Ответ: знал.

Вопрос второй. Знал ли Абакумов о письме Рюмина о том, что он, Абакумов, якобы скрывал данные о заговоре врачей-евреев, планировавших убийство Сталина?

Ответ: знал. Если об этом знал Судоплатов, знал и Абакумов.

Вопрос третий. Знал ли Абакумов о том, что отец Рюмина был кулаком, а тесть служил в армии Колчака?

Ответ: наверняка знал.

Почему же Абакумов бездействовал? Почему не подстраховался и не арестовал Рюмина, для разоблачения которого у него были весомые основания? Как можно назвать бездействие Абакумова - оплошностью, трусостью или тем и другим вместе? Андропов в подобных случаях действовал более решительно: он не пощадил и самого Брежнева. Очевидно, лавируя между разными заговорщическими группировками и тем самым перекрывая их заговор против Сталина и против советского народа, Абакумов запутался.

В 1951 году его обвинили в том, что он не только не разоблачил "еврейских шпионов" в ЕАК и среди кремлевских врачей, но и препятствовал обвинительному процессу против ЕАК. Из этого как будто следует, что после смерти Сталина его надлежало отпустить. Однако в декабре 1954 года в Ленинграде состоялся новый судебный процесс, и вместо освобождения обвинение Абакумова получило следующую формулировку: "Измена родине с использованием своего служебного положения". 19 декабря Верховный Суд СССР приговорил его к высшей мере наказания, и уже через час (!) он был расстрелян.

Никита Хрущев, Лаврентий Берия и Георгий Маленков у гроба Сталина

Почему в Кремле так спешили? После ареста Абакумова в его квартире обнаружили документы, вникать в которые запретили даже прокурорам. Среди бумаг были милицейские протоколы, связанные со скандальными сексуальными похождениями Лаврентия Берии, и материалы по "делу авиаторов", которое курировал Маленков. Однако главную роль в устранении Абакумова многие историки отводят именно Н.С.Хрущеву. Любопытный факт, отмеченный историками того времени: как могли пропасть документы, касающиеся московских процессов над "врагами народа" и массового террора на Украине, в которых Хрущев был одним из главных инициаторов?

17 декабря 1997 года Президиум Верховного Суда РФ, руководствуясь статьей уголовного кодекса "Реабилитация жертв политических репрессий", посмертно заменил Абакумову расстрел на 25 лет заключения в исправительно-трудовом лагере, исключив дополнительную меру наказания в виде конфискации имущества. Верховный суд пришел к выводу, что Абакумов не виновен "в измене родине, терроризме и не является участником антигосударственного заговора".

Впрочем, В.С.Абакумов был частично реабилитирован еще в 1976 году.

13 марта 1952 года было принято постановление насчет следствия по делам всех лиц, имена которых фигурировали в ходе допросов по делу ЕАК. Список этот включал 213 человек, в том числе И.Зренбурга, В.Гроссмана, С.Маршака, М.Блантера, Г.Хейфица, Б.Збарского и других. Из этого большого числа лиц, намеченных к аресту или уже арестованных, Игнатьев распорядился сформировать группы для будущих процессов. Именно в это время начинает набирать обороты "дело врачей", которое должно было замкнуть цепь не только новых репрессий по отношению к евреям, но и подготовить почву для широких массовых репрессий в стране в целом, чтобы всё свалить затем на Сталина.

Военная коллегия Верховного Суда СССР обвинительное заключение по "делу ЕАК" утвердила 21 апреля 1952 года. Судебное разбирательство началось 8 мая и продлилось до 18 июля 1952 года. 12 августа того же года приговоренных расстреляли.

А 13 января 1953 года было обнародовано сообщение ТАСС (привожу главную, содержательную его часть): "Некоторое время тому назад органами госбезопасности была раскрыта террористическая группа врачей, ставивших своей целью путем вредительского лечения сократить жизнь активным деятелям Советского Союза.

В числе участников этой террористической группы оказались профессора: Вовси М.С., врач-терапевт; проф. Виноградов В.Н., врач-терапевт; проф. Коган М.Б., врач-терапевт; проф. Коган Б.Б., врач-терапевт; проф. Егоров П.И., врач-терапевт; проф. Фельдман А.И., врач-отоларинголог; проф. Этингер Я.Г., врач-терапевт; проф. Гринштейн А.М., врач-невропатолог; Майоров Г.И., врач-терапевт...

...Установлено, что все эти врачи-убийцы, ставшие извергами человеческого рода, растоптавшие священное знамя науки и осквернившие честь деятелей науки, состояли в наемных агентах у иностранной разведки. Большинство участников террористической группы (Вовси, Коган, Фельдман, Гринштейн, Этингер и др.) были связаны с международной еврейской буржуазно-националистической организацией "Джойнт", созданной американской разведкой якобы для оказания материальной помощи евреям в других странах. На самом деле эта организация проводит под руководством американской разведки широкую шпионскую террористическую и иную подрывную деятельность в ряде стран, в том числе в Советском Союзе.

Арестованный Вовси заявил следствию, что он получил директиву "об истреблении руководящих кадров СССР" из США от организации "Джойнт", через врача в Москве Шимелиовича и от известного буржуазного националиста Михоэлса. Другие участники террористической группы (Виноградов В.Н., Коган М.Б., Егоров П.И.) оказались давними агентами английской разведки. Следствие будет закончено в ближайшее время".

Таким образом, Маленкову, с помощью Суханова, Рюмина и Тимашук удалось сфальсифицировать связь между "еврейскими врачами-вредителями" и членами ЕАК "через главного врача московской клинической больницы им. Боткина Бориса Абрамовича Шимелеовича, и "известного буржуазного националиста Михоэлса".

Второе сообщение, опубликованное в "Правде" 4 апреля 1953 года, опровергает первое. Исходило оно не от ТАСС, а от МВД СССР и, в отличие от первого, выдержано в спокойно-деловом тоне: "Министерство внутренних дел СССР провело тщательную проверку всех материалов предварительного следствия и других данных по делу группы врачей, обвинявшихся во вредительстве, шпионаже и террористических действиях в отношении активных деятелей советского государства.

Иосиф Виссарионович Сталин

В результате проверки установлено, что привлеченные по этому делу профессор Вовси М.С., профессор Виноградов В.Н., профессор Коган М.Б., профессор Коган Б.Б., профессор Егоров П.И., профессор Фельдман А.И., профессор Этингер Я.Г., профессор Василенко В.Х., профессор Гринштейн А.М., профессор Зеленин В.Ф., профессор Преображенский Б.С., профессор Попова Н.А., профессор Закусов В.В., профессор Шерешевский Н.А., врач Майоров Г.И. были арестованы бывшим Министерством государственной безопасности СССР неправильно, без каких-либо законных оснований.

Проверка показала, что обвинения, выдвинутые против перечисленных лиц, являются ложными, а документальные данные, на которые опирались работники следствия, несостоятельными. Установлено, что показания арестованных, якобы подтверждающие выдвинутые против них обвинения, получены работниками следственной части бывшего Министерства государственной безопасности путем применения недопустимых и строжайше запрещенных советскими законами приемов следствия.

На основании заключения следственной комиссии, специально выделенной Министерством внутренних дел СССР для проверки этого дела, арестованные Вовси М.С., Виноградов В.Н, Коган Б.Б., Егоров П.И., Фельдман А.И., Василенко В.Х., Гринштейн А.М., Зеленин В.Ф., Преображенский Б.С., Попова Н.А., Закусов В.В., Шерешевский Н.А., Майоров Г.И. и другие привлеченные по этому делу полностью реабилитированы в предъявленных им обвинениях во вредительской, террористической и шпионской деятельности и, в соответствии со ст. 4 п. 5 Уголовно-процессуального кодекса РСФСР, из-под стражи освобождены".

Каждый, кто внимательно прочтет оба сообщения, без труда заметит, что из второго напрочь исчезла еврейская тема. Ни слова про "Джойнт". Ни слова про связанного с этой "террористической" организацией врача Шимелиовича и "известного еврейского буржуазного националиста Михоэлса".

Мало того, во втором сообщении неожиданно появляются ранее не упоминавшиеся русские врачи: Василенко, Зеленин, Преображенский, Попова, Закусов. Теперь русские фамилии количественно превосходят еврейские. Очевидно, целью этих манипуляций было показать, что речь и ранее шла не о международном еврейском заговоре, а о недоразумении более узкого масштаба.

Но вернемся к нашей теме. Повторим: заговор против Сталина (и тем самым против Израиля) набирает силу с 1947 года, после выступления Громыко на заседании Генассамблеи ООН. Если бы Сталин письмо Лидии Тимашук снабдил резолюцией: "МВД. Расследовать и доложить", первое сообщение (ТАСС) появилось бы не в 1953 году, а в 1948-м. Соответственно, второе сообщение опубликовали бы после того, как со Сталиным было покончено. Словом, весь сценарий с "еврейским заговором" был бы разыгран в 1948-1950 годах в том же порядке, как это произошло в 1951-1953 годах.

Необходимы еще доказательства? Еще раз внимательно перечитайте оба сообщения - и вы убедитесь, что заговорщики намеревались убрать Сталина где-то в начале 1949 года. Тогда же прикончили бы и Берию. Жизнь этих двух грузин продлилась потому, что в 1948 году Сталин был еще здоров и работоспособен.

А что было бы с Израилем, если бы планы заговорщиков удались? Судьба его висела на волоске. Ведь прозрачльская политика США оформилась только после Сталина, когда СССР внес изменения в свои внешнеполитические приоритеты. Что касается англичан, то они всегда предпочитали арабов евреям...

ОТ РЕДАКЦИИ

Двадцатый, самый кровавый в истории человечества век, уходя в прошлое, выставил самому себе достаточно убедительные оценки. И если относительно его героев мнения многих современников все же расходятся (для одних это Мартин Лютер Кинг, для других - Че Гевара), то главные злодеи этого страшного столетия споров почти не вызывают - Ленин, Сталин, Гитлер, Мао и длинный ряд более мелких тиранов вроде Пол Пота, Иди Амина, Стресснера, Ким Ир Сена и прочих.

Тем удивительнее, что не только в России, где испокон века молились на топор и кнут, но и у нас, в Израиле, где, казалось бы, должны быть в ходу несколько иные ценности, до сих пор встречаются люди, усматривающие в достопамятной деятельности некоего Сосо Джугашвили руку Б-жественного провидения и всерьез говорящие о его Б-жественной миссии. Сталин, по их мнению, был, в частности, послан миру для... возрождения еврейского государства. Образец такого подхода мы предлагаем сегодня вниманию читателей "ЕК" в статье Якова Папиашвили. Не располагая, видимо, какими-либо фактами, кроме общеизвестных, автор для обоснования своей концепции, просто перетолковывает их в духе всегда и везде популярной идеи "доброго царя и плохих бояр".

Соблюдаем принцип нашей газеты, предоставляющей возможность высказаться выразителям весьма спорных концепций, но не запрещающей и себе изложить в этой связи собственную позицию. Для самых невнимательных повторим: точка зрения г-на Папиашвили целиком принадлежит ему и нами отнюдь не разделяется.

ახსნა-განმარტება ქართველებს

პუბლიცისტური ნაშრომის „Два сообшения для Советского народа“ გამოქვეყნებამ დიდი მნიშვნელობა იქონია თანამედროვე ისრაელის თვითშეგნების ჩამოყალიბებაში. საზოგადოებამ შეიტყო, რომ სტალინი იბრძოდა არამარტო ფაშიზმის, არამედ აგრეთვე რუსული ნაციონალისტურ-შოვინისტური მენტალიტეტის აღმოსაფხვრელად.

ი. ბ. სტალინს დიდი დამსახურება მიუძღვის ჩეჩენ-ინგუში და ოსი ხალხის ფიზიკურ გადარჩენაში. როგორც ცნობილია 1941 წელს ამ რესპუბლიკებში დაიწყო დიდი აჯანყება ადვოკატ ხასან ისრაილოვის ხელმძღვანელობით. მათი მოთხოვნა იყო საბჭოთა ხელისუფლების დამხობა და კავკასიაში ფაშისტური რეჟიმის დამყარება. ამასთან დაკავშირებით 1942 წლის აპრილში თავდაცვის სახალხო კომიტეტმა ჩეჩნების და ინგუშების გაწვევა საბჭოთა არმიაში შეაჩერა. აჯანყებულებთან ფარულად ჩავიდნენ გერმანელთა აგენტები და ინსტრუქტორები თურქეთის და ვოლგისპირეთის გავლით.

1944 წლის 31 იანვარს გაიმართა თავდაცვის სახელმწიფო კომიტეტის სხდომა, სადაც მიღებულ იქნა დადგენილება №5073 ჩეჩენ-ინგუშეთის სსრ გაუქმების შესახებ. როცა საკითხი შეეხო დამნაშავეთა დასჯას, აზრი გამოთქვეს თსკ-ის წევრებმა ვ. მ. მოლოტოვმა და გ. მ. მალენკოვმა. მათი წინადადება იყო „Смерть предателям! полная ликвидация этих народов“, ი.ბ. სტალინმა გამოთქვა აზრი მათი გადასახლების შესახებ მცირე აზიაში და ყაზახეთში. დღის წესრიგიდან ამოღებულ იქნა სიტყვა – „ლიკვიდაცია“, რომელიც შეიცვალა სიტყვით – „დეპორტაცია“. ამით სტალინმა გადაარჩინა ჩეჩენ-ინგუშები ფიზიკური განადგურებისაგან, რადგან თსკ-მა ერთხმად მიიღო ამხანაგ სტალინის წინადადება.

აღსანიშნავია, რომ რუსი ლიტერატორები, სცენარისტები, რეჟისორები და შესაბამისად მსახიობები დიდი მონდომებით ამახინჯებენ ზემოაღნიშნულ ფაქტებს და თავიანთი შემოქმედების საშუალებით ორი ქართველის – სტალინის და ბერიას სახეს ისეთი ჯადოსნური ხერხებით წარმოაჩენენ რომ პარალელს ატარებენ საერთო ქართულ ხასიათთან, რაც რუსული პოლიტიკური იდეოლოგიის თვითმიზანი იყო და არის.

ავტორი

სარჩევი

რედაქტორის წინათქმა - **რევაზ მიშველაძე** 5

რომანი-გაგრა

სურათი პირველი 11

ლირიკული წიაღსვლა ხატი სალოცავი 45

აქ, ამბავი დონდუას ყალთაბანდობისა... 60

სურათი მეორე 103

ინდივიდუალური ფილოსოფიურ-ესთეტიკური შთაგეჭდილება

და ვსჭამთ ნაყოფსა მისგან ტკბილსა... 121

სისხლით ნაწერი არ ქრება 125

ბოლო გაკვეთილი 131

რომანი-ხანისწყალთან 141

მოთხრობები

დასასრული ღმერთმა იცოდა 177

დედა 197

სამი ანგელოსი 206

ბესია 208

ჰაბა, ნაგილა 214

იმერეთის გაზაფხული 228

ბედის საპირისპიროდ... 231

ვეფხის დამცემი... და მისი ქართველი მეგობარი 253

ბოლოსიტყვა 263

ოპუსი №5 265

იმ გზას რომ გავყოლოდი!?.. 267

IMPRESSION 277

ქართული პოეზიის კონცერტი მესხიშვილის თეატრთან ... 281

IMPRESSION 289

მეცნიერულ-პუბლიცისტური ესსე

პროფესორ დავით ბრეგაძის მოგონება 293

ვინ იყვნენ „ჰურიანი ქართველნი“ - „განთიადი“ №7-8 2010წ. .. 302

ისტორიის ზოგიერთი საკითხისათვის - „განთიადი“ №7-8 2011წ 309

დასკვნა: 316

ტოპონიმ მცხეთის განმარტებისათვის 318

ვირისთავის შესახებ 322

მილოცვები 70 წლის იუბილესთან დაკავშირებით 325

შენიშვნები 330

ხმელი ფოთოლი 335

ეფრემ ბაუხის რეკომენდაცია 337

სტალინის ღვთაებრივი მისია 340

ახსნა განმარტება ქართველებს 342

ტექ. რედაქტორი **ნანა ჭოჭუა**
დამკაბადონებელი **თამარ ტყაბლაძე**

Папиашвили Яков
Гагра
роман
(На грузинском языке)

Papiashvili Iakob
Gagra
Novel
(in Georgian language)

ტირაჟი 200 ცალი

დაიბეჭდა გამომცემლობა
„მერანის“ სტამბაში
მხატვრის ქუჩა №4
ტელ: 2-31-70-47; 2-32-73-62
E-male
merani_merani@mail.ru

ფასი 20 ლარი

იაკობ პაპიაშვილი

პროფესორ დავით ბრეგაძის გახსენება

ბეგნი
იაკობ პაპიაშვილი